CEZANNE
PUBLISHING

ტიერი ფრემო

კანის კინოფესტივალი

დღიური, ჩანაწერები, მოგზაურობა

გამომცემელი: „სეზან ფაბლიშინგი“
წერეთლის გამზირი 140, თბილისი 0119

ტიერი ფრემო
კანის კინოფესტივალი
დღიური, ჩანაწერები, მოგზაურობა

Frémaux, Thierry
Sélection Officielle
Journal

ფრანგული გამოცემა: „გამომცემლობა გრასე და ფასკელი“, 2017
© Editions Grasset & Fasquelle, 2017

ფრანგულიდან თარგმნა: **სიბილა გელაძემ**
რედაქტორი: **ელზა ნაბახტეველი**
დამკაბადონებელი: **მაკა ცომაია**

გარეკანზე: კანის ფესტივალი, 2018
ფოტო: დავით ვაშაძე

წიგნი გამოიცა ფრანგული ინსტიტუტის საგამომცემლო
დახმარების პროგრამის ხელშეწყობით.
Cet ouvrage a bénéficié du soutien des Programmes d’aide
à la publication de l’Institut Français.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერები არიან:
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

Georgian National
Film Center

თბილისი. 2018
ISBN 978-9941-8-0803-6

წინასიტყვაობა

მსოფლიო კინოსამყაროში გამუდმებით მიმდინარეობს დისკუსია, თუ რომელი საერთაშორისო კინოფესტივალია ყველაზე პრესტიჟული და უმთავრესი. ამ კითხვაზე არსებობს ერთადერთი პასუხი – კანის საერთაშორისო კინოფესტივალი ყოველთვის იყო და არის მთავარი კინოფორუმი, რომელიც 2018 წელს უკვე 71-ედ გაიმართა.

ტიერი ფრემო 2007 წლიდან ამ კინოფესტივალის დირექტორია. მისი დღიურები საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ მსოფლიოს ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის შიდა სამუშაოებს, 2015 წლის კანის ფესტივალის დახურვის ცერემონიით დაწყებული და 2016 წლის საფესტივალო მზადებით დამთავრებული.

წიგნს ქართველ მკითხველს თავად ავტორი წარუდგენს. იგეგმება ტიერი ფრემოს ვიზიტი საქართველოში, ერთი მხრივ, როგორც საინტერესო წიგნის ავტორის და, მეორე მხრივ, როგორც კანის კინოფესტივალის დირექტორის რანგში.

ვიმედოვნებთ, რომ ასეთი ურთიერთობები ხელს შეუწყობს ქართული ფილმების წარდგენას კანის საერთაშორისო კინო-ფესტივალზე.

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

მთარგმნელისგან

ტიერი ფრემოს წიგნი „კანის ფესტივალი – დღიური, ჩანაწერები, მოგზაურობა“ არის დღიურების სახით დაწერილი დოკუმენტური პროზის ნიმუში, რომელიც ეხება მსოფლიო მასშტაბის კულტურულ მოვლენას, კანის საერთაშორისო კინოფესტივალს. თვითონ ტიერი ფრემოც აღნიშნავს, რომ კანის ფესტივალი ისევე პოპულარულია, როგორც მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში და ტურ დე ფრანსი ველორბოლაში. ავტორი საინტერესო მთხრობელია, უამრავი ფაქტის მოწმე და ამ ფესტივალთან დაკავშირებული თითქმის ყველა მოვლენის თვითმხილველი. ეს ენერგიული და დინამიკური ადამიანი, კანის ფესტივალის გენერალური დირექტორი ტიერი ფრემო, იმავდროულად, ლუმიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელიცაა ლიონში. მას წარმოუდგენელი შრომა უწევს: კვირის განმავლობაში რამდენიმე დღეს პარიზში ატარებს, დანარჩენს ლიონში. წიგნში დაწვრილებით გვიყვება, თუ როგორი მონდომებით ემზადებიან ის და მისი გუნდი ამ დიდი ფესტივალის მოსამზადებლად მთელი წლის განმავლობაში – შეიძლება ითქვას, კანის ფესტივალის დასკვნითი ცერემონიალის დამთავრებისთანავე. ბატონი ფრემო – სინეფილი და არქივისტი, როგორც თავის თავს უწოდებს – „ისტორიკოსი და სინემათეკარი“, გვიამბობს აგრეთვე ლუმიერების ინსტიტუტის ინიციატივით დაარსებულ ფესტივალზეც, სადაც უჩვენებენ ძველ, აღდგენილ ფილმებს და რომლის მიმდინარეობისას იმართება შეხვედრები ცნობილ კინომოღვაწეებ-

თან. ტიერი ფრემოსთვის კანის ფესტივალი თანამედროვე ხელოვნებასთან ზიარებაა, ლუმიერების ინსტიტუტი და ლიონი – ეროვნულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა. კინოს სიყვარულით დაწერილი დღიურები გვიქმნის ილუზიას წითელი ხალიჩისა, რომელზედაც გაიელვებენ ხოლმე ტიერი ფრემოს მეგობრები თუ მსოფლიო კინემატოგრაფის ვარსკვლავები: ტრიუფო, გოდარი, ტავერნიე, დიუვივიე, სკორსეზე, ტარანტინო, ლეონე, მარიონ კოტიარი, ვენსან კასელი, შონ პენი, რობერტ დე ნირო, კატრინ დენევი, სპილბერგი, ბერგმანი... ეს მართლაც ადამიანი-ორკესტრი გატაცებით გვიყვება თავის უნიკალურ გამოცდილებაზე, საქმიანობაზე, თავის გატაცებებზე, აქა-იქ – პირად ცხოვრებაზეც. წარმოუდგენლად ბევრს ასწრებს ულევი ენერგიისა და კინოს სიყვარულის წყალობით: დადის ფესტივალებზე ამერიკაში, იტალიაში, არგენტინაში, რუმინეთში, აზიის ქვეყნებში, ყველგან, სადაც კინო უყვართ და ფილმებს იღებენ. თხრობა მიმდინარეობს ულამაზესი პარიზული პეიზაჟებისა და ლიონის მთიანი შემოგარენის ფონზე, სადაც ის ველოსიპედით გადაადგილდება. ფრემოს სინეფილური დღიურების დომინანტი ტონალობა კინოსგან, კინოცენტრებიდან, კინოდარბაზებიდან და კინოსთვის თავდადებული რეჟისორებისა და მსახიობებისგან მომდინარეობს. ტიერი ფრემო, როგორც ნამდვილი მოქალაქე, დღიურებში გვერდს ვერ უვლის „შარლი ებდოს“ ტრაგედიას და 13 ნოემბრის სისხლისღვრას პარიზში.

ეს დღიურები, ავტორთან შეთანხმებით, შემოკლებული ვერსიით გამოდის ქართულ ენაზე. ცვლილება განიცადა წიგნის სახელწოდებამაც. ორიგინალში ამ წიგნს ეწოდება „ოფიციალური სელექცია“, საიდანაც კონტექსტის გარეშე არ ჩანს დიდი მოვლენა – კანის ფესტივალი. ამიტომ გადავწყვიტეთ, ექსპლიციტური გაგვეხადა სათაური და ქართულად ის წარმოვადგინეთ როგორც „კანის კინოფესტივალი“.

სიბილა გელაძე

ტიერი ფრემო. 2016

მ-ს

დიდი მადლობა ივ ბონგარსონს და ლუკ მატიეს.

ვუძღვნი ჩემს მეგობრებს ბერნარ შარდერს, რეიმონ შირას,
ჟაკ დერეს და ბერტრან ტავერნიეს პირველი ფილმის ქუჩიდან...
და ყველა სხვა მეგობარს, ვისაც ამ წიგნში შეხვდებით.

2015
მაისი

ოთხშაბათი, 27 მაისი

მე მქვია ტიერი ფრემო. ვარ კანის ფესტივალის გენერალური დირექტორი და ლიონის ლუმიერის ინსტიტუტის ხელმძღვანელი. დავიბადე 1960-ში, ფილმ „სუნთქვაშეკრულის“ გამოსვლის წელს, იზერის დეპარტამენტის სოფელ ტულენ ფურში, რომელსაც არასდროს დავშორებივარ. გავიზარდე ვენისიეში, მენგეტის უბანში, სადაც ოცდაათი წელი გავატარე; ვცხოვრობ ლიონში, რომელსაც ყოველთვის ვუბრუნდები, სადაც არ უნდა ვიყო; აქ, ლუმიერის ინსტიტუტში დავიწყე პირველად მუშაობა და არასოდეს მიმიტოვებია ეს დაწესებულება. ვერასოდეს ველევი მშობლიურ მხარეს და ვეჯაჭვები ყველა იმ ადგილს, სადაც დავდივარ. ეს ზოგჯერ პრობლემად მექცევა ხოლმე და ცხოვრებაში ხელს მიშლის. ცხოვრებად კი მექცა კანი.

„ყველაფერს იწერ, რაც ყველამ იცის და არ იცის?“ – მკითხა საბინ აზემამ დიდი ხნის წინ. კი, არა, ზოგჯერ. ჩემი ფუნქცია მედიამოვალეობასა და სიჩუმის ფიცს შორის, ანუ ხილულსა და უხილავს შორის მერყეობს. ჩემთვის დიდი პატივია, რომ ვარ იქ, სადაც ვარ: კანის ლა კრუაზეტზე და ლიონის პირველი ფილმის ქუჩაზე, კინოსამყაროს ყველაზე დიდ საფესტივალო ქალაქში და ლუმიერის კინემატოგრაფის დაბადების ადგილას. ყოველთვის ვეუბნებოდი საკუთარ თავს, რომ ამით არ უნდა მეამაყა. ახლა, როცა ჩანაწერებს მივუბრუნდი და მათი გამოქვეყნება გადავწყვიტე, ამავე აზრზე ვრჩები. უბრალოდ, მსურს ვისაუბრო პროფესიაზე, ეპოქასა და კინოზე, რომელიც იცვლება. მინდა მოვყვე ცნობილ და თან უცნობ კანის ფესტივალზე. წერა 80-იანი წლებიდან დავიწყე იმიტომ, რომ მეხსიერებიდან არ ამომშლოდა ლუმიერის ინსტიტუტი, რომელიც მაშინ შეიქმნა, არ დამვიწყებოდა ჯიმ ჰარისონის, ანდრე დე ტოტის თუ ალან ჯინსბერგთან მეგობრობა და, იმავდროულად, პირველი ფილმის ქუჩაზე უაიმ უანდერსის, ჯოზეფ მანკევიჩის და ელია კაზანის სტუმრობა. ეს ყველაფერი დღიურის წე-

რისკენ მიბიძგებდა. მოვლენებზე, დღეებსა და ფილმებზე „დღიურში“ ვიწერდი. მისი ერთადერთი მკითხველი მე ვიყავი. ეს დღიური დღემდე არსებობს, ოღონდ კარგა ხანია, აღარ გადამიხედავს. მას მერე ოცდახუთი წელი გავიდა, მანკევიჩი და კაზანი აღარ არიან ცოცხლები, ჯიმი კიდევ ბევრჯერ ესტუმრა ლიონს... დრომ საშინლად სწრაფად გაირბინა და ვეღარ გავუძელი ამ გამოცდას, დანაპირები შევასრულე.

ჩანაწერების გაკეთება დავიწყე 2001 წელს კანში (ჟიურის თავმჯდომარე: ლივ ულმანი, ფესტივალი გაიხსნა ფილმით „მულენ რუჟი“, „ოქროს პალმა“ მიიღო ჯოვანი მორეტის ფილმმა „ვაჟის ოთახი“). ეს ყველაფერი მიმოფანტული, არასრულყოფილი და დაუმთავრებელი იყო. რამდენიმე წლის წინ ამის შესახებ პროდიუსერ ჟულიეტ ფავრელის თანდასწრებით ვთქვი. მან, თავის მხრივ, ეს ამბავი გამომცემლობა „გრასეს“ მეპატრონეს, ოლივიე ნორას უთხრა, რომელიც მას მერე ელოდებოდა ჩემგან რაიმე ნიშანს. ჰოდა, მეც შევუდექი საქმეს, ყველაფერს შევკრავ დროის მიხედვით, ოლივიე კი მიხედავს. და თუ თქვენ უკვე კითხულობთ ამ ყველაფერს, ჩანს, რომ მიზნისთვის მიმიღწევია.

ხუთშაბათი, 28 მაისი

ჩვენგან ყველაზე დიდხანს აქ სამუელ ფორი რჩება ჟან-პიერ ვიდალთან ერთად, რომელიც კანში ცხოვრობს. ისინი ამოწმებენ საფესტივალო სასახლეს, რომელიც კარგ მდგომარეობაში უნდა დატოვონ. ამ ადამიანმა ჩაიბარა გემი „რივაც“ და მოწვეულმა სტუმრებმა შეძლეს ესეირნათ ზღვაზე, ენახათ ლერენის კუნძულები, გაესინჯათ არაჩვეულებრივი ღვინო, რომელსაც სააბატოს ბერები აყენებენ სენტონორეს კუნძულზე. ფილმების ბაზრის დირექტორი ჟერომ პაიარიც რამდენიმე დღეს გაატარებს სამხრეთში, ისევე როგორც ჩემი მოადგილე კრისტიან ჟენი ან კრისტინ ემე, პრესბიუროს ხელმძღვანელი. ისინი მოგვიანებით დაუბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს ტულონსა და ნიცაში. საფესტივალო გუნდი მომთაბარე ჯოგს ჰგავს, ის ნელ-ნელა იშლება. ჩვეულებისამებრ, მისი თითოეული წევრი ბოლოს პარიზს უბრუნდება, მე კი ლიონისკენ მივდივარ.

მზე სასიამოვნოდ ანათებს, მივუყვები ნახევარკუნძულის ვიწრო ქუჩებს, მერე – რონის ნაპირებს, ჩემი ახალგაზრდობის დროინდელ საუნივერსიტეტო შენობებს და გავდივარ პირველი ფილმის ქუჩაზე. იქ მხვდებიან ლუმიერის ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებიც მოუთმენლად ელიან, როდის დავიწყებთ ლუმიერის ფესტივალისთვის მზადებას. ამ სამუშაოსკენ მიბრუნება ყველაზე უკეთ შლის ჩემში დაღლილობის ნაკვალევს. უკვე ვიცით, რომ პატივს მივაგებთ სტუდია „პიქსარს“ და მის ოცი წლის წინანდელ ფილმს „სათამაშოების ისტორია“ (Toy Story); აგრეთვე ჟულიენ დიუვივიეს, რომელიც დროა ამოვიყვანოთ განსაწმენდლიდან, სადაც მას ადგილი მიუჩინა ფრანგულმა კრიტიკულმა კატეხიზმმა და დღემდე იქ ამყოფებს; გავიხსენებთ ლარისა შეპიტკოსაც, საბჭოთა კინოს მოწყვეტილ ვარსკვლავს. გასაკეთებელი ბევრია. ოფიციალურად უნდა გამოცხადდეს ლუმიერის პრიზის მფლობელი და ეს იქნება მარტინ სკორსეზე, რომელიც ამ ჯილდოს პედრო ალმოდოვარის შემდეგ მიიღებს.

კანში, ფესტივალის ბოლო საღამოს, ჟიურის მიერ მივიწყებული ადამიანები არ ჩანან ხოლმე, ხოლო ისინი, რომლებიც წინასწარ გრძნობენ, რომ ბედი არ გაუღიმებთ, სწრაფად ტოვებენ ლა კრუაზეტს. ვერავინ წარმოიდგენს რეჟისორის სევდას, რომელმაც იცის, რომ პრიზს ვერ მიიღებს. თუმცა, ისინი რომ მოსულიყვნენ ცერემონიაზე, წარუმატებლობის მიუხედავად, მათ გმირებივით შეხვდებოდნენ – შეჯიბრების ხარისხმა ხომ მათი ფილმების მონაწილეობით აიწია და თანაც, არავინ იცის, რა ბედს არგუნებდა ამავე ფილმს სხვა ჟიური. კანის ოფიციალურ კონკურსზე მოხვედრა უკვე თავისთავად გამარჯვებაა. რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს ჟიურიმ, ბოლო, გადამწყვეტ საღამოზე დასწრებას ყველა ამჩნევს. ოღონდ, კინოში სამოთხიდან ჯოჯოხეთში გადასასვლელი ძალიან ვიწროა: ჯონ ბურმენი ამბობდა, რომ „ოსკარის“ ნომინანტთა ხუთეულში ყოფნას მხოლოდ გამარჯვებულისთვის აქვს ფასი, რადგან დანარჩენი ოთხისთვის ეს არის დამცირება მსოფლიო ტელევიზიით, ხოლო კლასიფიკაციით მეექვსე და შემდგომ პოზიციებზე მყოფნი ანონიმებად რჩებიან.

დიდსულოვნებით თავი დაგვამახსოვრეს ვინმე პაბლო ტრაპერომ და რობერტ როდრიგესმა, რომლებიც დაესწრნენ ცერემონიას, თუმცა იცოდნენ, რომ პრიზები არ მოუპოვებიათ. ერთხელ ისეც მოხდა, რომ 2008 წელს არი ფოლმანი მთელ ცერემონიას დაესწრო, რადგან თავისმა პრესატაშემ დაარწმუნა, ერთ-ერთ პრიზს მიიღებთო. ყველაზე ბოლოს „ოქროს პალმა“ უნდა გაცემულიყო, საღამო დასასრულს უახლოვდებოდა და ფოლმანს სჯეროდა, რომ ყველაზე ძვირფასი პრიზი მას ერგებოდა. უსაზღვრო იყო მისი იმედგაცრუება.

სამაგიეროდ, 2009 წელს კვენტინ ტარანტინო საგანგებოდ არ დაესწრო ცერემონიას – უნდოდა მთელი ყურადღება გადაეტანათ კრისტოფ ვალცზე, რომელსაც სცენაზე უხმეს მის მიერ შესრულებული როლისთვის ფილმში „უსახელო ნაბიჭვრები“ (Inglourious Basterds). ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ის მიიღებდა პრიზს მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. ამ დროს ტარანტინო იყო კანში, ცერემონიას სხვებთან ერთად უყურებდა ერთ-ერთ დიდ ეკრანზე, რომელიც სასტუმრო „კარლტონის“ ჰოლში იდგა. მას არ დაუმალავს კრისტოფის დაჯილდოებით გამოწვეული სიხარული. ყველამ იცის, რასაც ნიშნავს გახარებული ტარანტინო.

კვენტინ ტარანტინო შარშანაც ჩამოვიდა და „ოქროს პალმა“ ნური ბილგე ჯეილანს გადასცა. თანაც, აღინიშნა „მაკულატურის“ (Pulp Fiction) 20 წელი.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ტარანტინო ამთავრებს ფილმის – „საზიზღარი რვიანის“ (The Hateful Eight) გადაღებას ვაიომინგის მთებში. ტიმ როთმა მოახერხა თავი დაეღწია იქიდან და მიშელ ფრანკოს მექსიკურ ფილმს გამოჰყოლოდა, რომელიც კონკურსში მონაწილეობდა. მახარებს ფიქრი იმაზე, რომ კინოს ხალხი ყველგან მუშაობაში ეფლობა მაშინვე, როგორც კი კანის ფესტივალი მთავრდება. ისინი იმ ფილმებს იღებენ, რომლებსაც ალბათ გაისად ვნახავთ. ტარანტინოს ფილმი კი ვერანაირად ვერ მოხვდება ლა კრუაზეტზე, რადგან დეკემბერში გამოდის.

პარასკევი, 29 მაისი

ფესტივალის შემდგომ, ორი კვირის განმავლობაში, ისევ კანის დროით ვცხოვრობ. რამდენიმე დღე მჭირდება აზრზე მოსასვლელად. უმანკო ბავშვივით მძინავს, 8 საათზე ვიღვიძებ. დღეს ჩემი დაბადების დღეა და ივ ბონგარსონისაც, მეგობარი ჟურნალისტის, რომელიც ფოტოგრაფიით არის გატაცებული. ამავე დღეს დაიბადა კრისტიან ჟენიც, ჩემი მოადგილე და კანის ფესტივალის ფილმების დეპარტამენტის დირექტორი. თითოეული მათგანი ეცდება ერთმანეთს დაასწრონ მილოცვა და იმღერონ რენოს სიმღერა: „ამის დედაც, თეთრი თმა“. ასეთ რამეებს მე არასოდეს ვზეიმობ და 2015-ში – მით უმეტეს, მაგრამ დღეს 55 წლის გავხდი. დრომ ძალიან სწრაფად გაირბინა. დღევანდლამდე ეს მნიშვნელოვანი არ იყო, მაგრამ ახლა მნიშვნელოვანი გახდა. და აი, მეც შემეხო ის, რასაც რემონ კარვე „წარსულის თავბრუდამხვევ სისწრაფეს“ უწოდებდა. როგორც ყოველთვის, წელსაც მომწერა ბერტრან ტავერნიემ, ხოლო ლუმიერის ინსტიტუტის გუნდმა ლიონში სიურპრიზად ნამცხვარი დამახვედრა. აქ ვხვდები ადამიანებს, რომლებიც არაფერს მთხოვენ და არც არაფერს მსაყვედურობენ.

ჟერომ სედუ, კინოსტუდია „პატეს“ პრეზიდენტი მეუბნება: „თქვენი ტელეფონი გადავსებულია და უარს ამბობს თავაზიან მესიჯებზე“. მართლაც, ბევრი შეტყობინებაა: მადლობები, გამოსამშვიდობებელი სიტყვები და გულთბილი მოკითხვები... არის მანუგეშებელი ფრაზებიც. ზოგი მეგობარი დეტალურად იხილავს ამა თუ იმ გაზეთს, რომელთა არსებობაც მირჩევნია არ ვიცოდე, რადგან ფესტივალის შესახებ უარყოფითი შინაარსის სტატიები დაბეჭდეს.

ლუკ დარდენმა ბრიუსელიდან მომწერა: „ჩამოდი და ნახე „თავაწეული“ (La tête haute). მსახიობები თავმდაბლობისგან გალამაზდნენ“. ლუკი ხშირად მწერს ამგვარ მესიჯებს, როცა კინოზე ან ლიტერატურაზე სურს საუბარი. ის ბევრს კითხულობს და ამაში არც მე ჩამოვრჩები. ფეხბურთზეც მწერს ხოლმე, ორივე, ცალ-ცალკე, ბევრ მატჩს ვნახულობთ. მისი მსჯელობა განუჭვრეტელია, ამიტომ არის

ასეთი ძვირფასი. ერთი კვირის წინ კანში იყო ჟან-პიერთან ერთად. ძმებმა ერთად იზეიმეს ლუმიერის კინოს 120 წელი. მათთან ერთად იყვნენ ტავიანები და კოენები. ეს იყო ამაღელვებელი და ამავე დროს ბედნიერი მომენტი.

კმაყოფილი ვარ, რომ ლუკს მოეწონა ბერკოს ფილმი, რომელსაც პუბლიკამ კანშივე მოუწყო ზეიმი. ემანუელა კი ჯიუტად უარობდა გახსნაზე იქ მდგარიყო. „არა, მირჩევნია შეუმჩნევლად მოვიდე, ისე, როგორც „განსხვავებული ხედვის“ სექციაში ხდება, მერე კი შემოდგომაზე გამოვიდეს ფილმი ეკრანებზე“. თავისას არ იშლიდა, მე კი ვცდილობდი დამეთანხმებინა იმაზე, რაზედაც კინოხელოვანთა 99 პროცენტი ოცნებობს. ვიცი, რომ კატრინ დენევსაც მოსწონდა ჩემი იდეა და ბევრს ეცადა, ემანუელა გადაერწმუნებინა. არაერთი ფრანგული ფილმი იყო რიგში. საკონკურსო ფილმების სექციაში ფრანგული ფილმის წარდგენა გახსნაზე ერთით ნაკლებ ფრანგულ ფილმს ნიშნავდა საკონკურსოდ, მაშინ, როდესაც კონკურსგარეშე ფილმებში გახსნაზე ჩვენება რაღაც უნიკალურს ნიშნავს და ფესტივალისთვის კარგია – მიხვდით, ხომ? ასეთია ჩვენი სამზარეულო. სხვანაირი მიზანია დასახული და სხვანაირი მოლაპარაკება მიმდინარეობს, რადგან თუ ფილმი ჩვენების დღესვე გამოვა კინოთეატრებში, მდიდარი საფესტივალო პრესის წყალობით დიდ სარგებელს ნახავენ ფილმის შემქმნელები, კინოდარბაზები და მაყურებლებიც.

ემანუელამ ხელი აიღო თავმდაბლურ სურვილზე და სრულიად საპირისპირო სიტუაციაში აღმოჩნდა: მისი ფილმი გაუშვეს გახსნაზე და სინქრონულად – კინოდარბაზებში. ფილმი ტრიუმფალურად მიიღეს კანში, დიდებულად კინოდარბაზებში და ძალიან კარგად მედიაში, მაგრამ არაერთსულოვნად, თუმცა ეს ნორმალურია (როცა კანში ჩამოვედი, ნაძლევი დავდე, რომ ჩემი წყალობით ყველა ერთსულოვანი გახდებოდა, მაგრამ ამ სურვილმა მალევე გადამიარა). ვისაც ეს ფილმი მოეწონა, თავშეუკავებლად გამოხატა აღფრთოვანება, რაც გადამდები აღმოჩნდა სხვებისთვის, და წარმატებამაც არ დააყოვნა. ყველას მოეწონა იდეა, გახსნაზე ეჩვენებინათ ფილმი, რომელიც

არაფრით ჰგავდა ასეთ დროს ნაჩვენებ სხვა ფილმებს (არ იყო გლამურული, ფართო პუბლიკაზე გათვლილი და მედიით გახმაურებული). ავტორის თვალსაზრისით, გამარჯვებული ფილმი ეწინააღმდეგებოდა კანში, და არა მარტო იქ, დამკვიდრებულ წესებს როგორც სოციალურად, ისე პოლიტიკურადაც, რადგან ის გადაიღო საზღვარგარეთისთვის თითქმის უცნობმა რეჟისორმა. შეგვიქეს გამბედაობა, მაგრამ მარტო ეს არ იყო ფილმის ღირსება – ჩვენ მოგვწონდა ფილმი. „თავაწეული“ ასე რომ არ მიეღოთ, ემანუელა ალბათ მისაყვედურებდა. მან კი, კარგმა გოგომ, უამრავი მესიჯით მაცნობა, რომ ბედნიერი იყო.

შაბათი, 30 მაისი

ფერმა, რომელიც ჩემი ოჯახის მიწებს გადმოჰყურებს, ჩემსავე რეგიონში მდებარეობს და XIX საუკუნის ბოლოსაა აშენებული. ფერმა შევიძინე 1995-ში, კინოს საუკუნოვანი საიუბილეო თარიღის აღნიშვნის წელს, ჩემებისგან მალულად, თუმცა იქვე ახლოს ცხოვრობენ. ბავშვობაში ხშირად ვსტუმრობდი აქაურობას და ახლაც ვაგრძელებ საათობით მშობლიურ გორაკებსა და ხევებში ხეტიალს. ცხელი დღეები ახლოვდება და ყველგან ზაფხულის სუნი ტრიალებს. მოპირდაპირე ფერდობებზე, იქ, სადაც ცივი მიწები მთავრდება, შარტრეზი და ვერკორი გადაჰყურებს იზერის ველს. ყველაფერი მზადაა – მოხუცმა დედე ტომასმა თივის ზვინები დადგა და მინდვრებს ფოტოგრაფიული სილამაზე შესძინა.

დილით ველოსიპედით ვიარე, შემდეგ კი ვერკორში ჩავედი. ვესაუბრე კლოდ ლანზმანს, რომელიც ჩემს ცხოვრებაში 1999 წელს გაჩნდა. ეს იყო ლიონში, სადაც კლოდს ჰქონდა პრეზენტაცია წიგნისა „ერთი სულიერი, რომელიც ჩაივლის“. ძირითადად, ის ცნობილია, როგორც „შოას“ ავტორი, არის უდიდესი მწერალი, წარსულში კი სახელოვანი ჟურნალისტის ცხოვრებით იცხოვრა, რაც ხშირად არც ახსენდებათ. უნდა ითქვას, რომ კლოდს ხმაც შესანიშნავი აქვს, არაჩვეულებრივ შეტყობინებებს მიტოვებს ხოლმე ავტომოპასუხეზე. დამშვიდობებისას კი მეუბნება: „გეხუტები“. ხუთი წლის წინ რესტო-

რანში დამპატიჟა, თავის ახალ წიგნზე უნდოდა საუბარი. სათაურად „პატაგონიელი კურდღელი“ ჰქონდა მოფიქრებული. მიამბო, როგორ დაიბადა წიგნი და მითხრა: „როცა გამოგიგზავნი, გადაშლი და წაიკითხავ. მოგეწონება, მერე წიგნს დახურავ და იტყვი – „აი, კაცი!“ ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო – კლოდი ხომ გაგიჟებულ ხარსაც ჰგავს, რომელიც მზადაა, შემოგიტიოს. წიგნი კი მართლა ძალიან მომეწონა.

კლოდს უმცროსი შვილის ამბავი ვკითხე. ბიჭს კიბოს იშვიათი ფორმა სჭირს. „ასეთი ავადმყოფები ცოტანი არიან საფრანგეთში და ყველა ერთმანეთს იცნობს. ფელიქსი იბრძვის, მეგობრები თავზე ადგანან. საავადმყოფოდან მალე გამოვა“. კლოდი ბედნიერი იყო, რომ ფესტივალის პრეზიდენტმა პიერ ლესკურმა და მე მოსაწვევი გავუგზავნეთ. მას მოეწონა ახალგაზრდა უნგრელი რეჟისორის, ლასლო ნემეშის პირველი ფილმი „საულის ვაჟი“. კინოსურათი გვახსენებს ოსვენციმის ზონდერკომანდის ერთ-ერთი წევრის ცხოვრებას, რომელსაც მკვდარი ბავშვი თავისი შვილი ჰგონია და ცდილობს მიწას მიაბაროს. ყველა იცნობს ლანზმანის ურყევ ეთიკას კინოში საბოლოო გადაწყვეტილების გამოხატვის აუცილებლობის შესახებ; ყველას ჰგონია, რომ ის წინააღმდეგია ნებისმიერი ფიქციისა საკონცენტრაციო ბანაკების თემაზე, თანაც ეჭვობენ, რომ თავისი ფილმით „შოა“ ერთხელ და სამუდამოდ ამოწურა ეს საკითხი. ზოგიერთი მაქებარი ფეხს უწყობს კლოდს, თუმცა ხანდახან ნაჩქარევია მათი მონდომება. ყველამ ნახა, როგორი აღშფოთებული გამოდიოდა მაყურებელი „უსახელო ნაბიჭვრების“ ჩვენებიდან. და მაინც, ყველა ფიქრობდა, რომ ლანზმანი მართალი იყო და რომ კამერით ნებისმიერი ამბის შექმნა შეუძლებელია. ვერავის დააჯერებდი, რომ ჰიტლერი მოკვდა კინოდარბაზის აფეთქებისას, რაც ნიტრატში დამუშავებულმა ფილმების ასლებმა გამოიწვია (ეს გენიალური იდეა ეკუთვნის სინეფილ ტარანტინოს, რომელიც ცელულოიდის მოყვარულია). კარგად არ უნდა იცნობდე ლანზმანს, რომ ასეთი ფიქრები მიაწერო. მას ძალიან მოეწონა ტარანტინოს ფილმი.

„საულის ვაჟი“ სვამს მტკივნეულ კითხვას შოას ამბის კინემატოგ-

რაფიულ ფიქციად ქცევის შესახებ. შეკითხვა ისმის მთელი ძალით, ისეთი მანერით, რაც გაოცებას ჰგვრის მაყურებელს, რომელიც ამ თემაზე შექმნილი წარმატებული ნაწარმოების პირისპირ დგას. ლანზმანის აზრი ალბათ უნდა გაიზიაროს ყველამ (ჩემსავით), ზრუნვა სჭირდება „წარმოუდგენლის წარმოდგენას“, ყოველ შემთხვევაში, საფიქრალია, რომ კაცობრიობის ისტორიის ზემოხსენებული მომენტი კინოს მიღმა არ დარჩეს.

„ვინც კი „შოაში“ გადაიღე, ან მოკვდა, ან ახლა კვდება“, – ვუთხარი კლოდს, რომელიც ჩემთან ჩამოვიდა, რადგან მის ყურამდეც მიეღწია ნემეშის ფილმის ირგვლივ ატეხილ ხმაურს. – თვითმხილველთა მონათხრობით სარგებლობის დრო წავიდა. ნუთუ მხოლოდ საარქივო მასალებით უნდა დავკმაყოფილდეთ და არანაირი ახალი სახე აღარ უნდა შეიქმნას? განა ახალგაზრდა თაობებს და ზოგადად კინოს, არა აქვთ უფლება, მოსინჯონ რომანტიკული მეთოდი? თუმცა რომანტიზმში ჩაკარგვის რისკი არსებობს“. „გეთანხმები“, – მიპასუხა კლოდმა.

ნემეშის გადაწყვეტილება მის ფილმს ანიჭებს განსაკუთრებულ სტატუსს, ურომლისოდაც ფილმი საჭირო დამაჯერებლობას ვერ მოიპოვებდა; კამერა კონცენტრირებულია ერთადერთ პერსონაჟზე – საულზე; მაყურებელი ხედავს საულის თვალით დანახულ საკონცენტრაციო ბანაკს და ქაოსის მიზანსცენა აიძულებს მას იგრძნოს ის, რასაც პერსონაჟი განიცდის. ათასგვარი ხმაური, მუდმივი მუქარა, სხვადასხვა სუნი, დამცირება, სიკვდილი – ყოველდღიური სამიზნე, მოკლედ თუ ვიტყვით, თანმიმდევრულად და ტექნიკურად ორგანიზებული დიდი დანაშაული. აქტიური თვითმხილველის პოზიციიდან, ლანზმანი თავისი დოკუმენტური ფილმით გვიამბობს გადარჩენილებზე, ხოლო ნემეში, რომელიც მის მემკვიდრედ გვევლინება, მხატვრული ნაწარმოების მეშვეობით მოგვითხრობს გარდაცვლილთა ცხოვრებაზე. ნათელი რწმენა ამ ორ ადამიანს აახლოებს და არ აცალკევებს.

„აგორაში“, სადაც ოფიციალური სადილები იმართება ხოლმე, ლასლო ერთიანად კანკალმა აიტანა, როცა ლანზმანის პირისპირ აღმოჩნდა. მე ვაკვირდებოდი მათ. ისინი დიდხანს ელაპარაკებოდ-

ნენ ერთმანეთს, ბოლო ფრაზა კი ეს იყო: „მე ვნახავ თქვენს ფილმს; მეშინია თქვენი განსჯის, – შეუბრალებელი ვიქნები“. კლოდმა ნახა „საულის ვაჟი“ და ძალიან შემიქო.

„ლამაზი კინოფილმია, ძალიან ძლიერი და აზრიანი, იმ თემაზე, რომელსაც კარგად ვიცნობ, – მითხრა კლოდმა, როდესაც ფილმის ჩვენებიდან დაბრუნდა. – ძალიან კარგად გამოუვიდა რეჟისორს, შეგიძლია გადასცე“. არადა, ოფიციალური ჩვენების შემდეგ ფილმს დაუნდობლად შეუტია რამდენიმე ოხუნჯმა, რომლებიც წინასწარ ცდილობდნენ ლანზმანის აღშფოთების გამოხატვას. როცა გაირკვა, რომ ლანზმანს „საულის ვაჟი“ მოსწონდა, მისმა „მეხოტბეებმა“ სრულიად შეიცვალეს აზრი.

ნაშუადღევის ბოლოს ვენსან ლინდონმა დამირეკა: „ტიერი, სალაპარაკო მაქვს შენთან. იცი, ისევ ღრუბლებში ვარ, პრემია, რომელიც როლის შესრულებისთვის მივიღე, მე არ მეკუთვნის, ის ყველასია, ყველასი! ქუჩაში ხალხი მაჩერებს, ეს ხომ სრული სიგიჟეა! რესტორანში შევალ და ხალხი ტაშს მიკრავს! იმ დღეს ავტობუსი გაჩერდა, კარი გაიღო და მძღოლმა ძალიან, ძალიან სასიამოვნო რაღაცები მომაძახა. აზრზე ხარ? იცი უკვე ფილმის რამდენი სეანსი ჩატარდა? განა უაზრობა არ არის? „მხედრისა და პატერის“ დროს ეს ყველაფერი არაჩვეულებრივ მომენტად შეფასდა, მაგრამ ახლა არაფერი მესმის“. ასე ლაპარაკობს ის, ვინც ერთ-ერთი არაჩვეულებრივი „მოლაპარაკეა“ ამ პროფესიაში და რომელიც დიდხანს ვერ ძლებს სიტყვის უთქმელად.

ივნისი

ტიულენში ჩასვლამდე სასიამოვნო სიურპრიზი მელოდა: საბედნიეროდ, არავის გავუფრთხილებივარ. უცებ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ხედის წინაშე აღმოვჩნდი. პატარ სოფელ კრაზე გავლისას, ტიულენისკენ მიმავალი გზის დასაწყისში, მოულოდნელად გაჩნდა უდიდესი პეიზაჟი, რომელიც ტიციანის ყველაზე მდიდრულ პეიზაჟებს უტოლდება.

სტენდალი

ორშაბათი, 1 ივნისი

ლიონის სადგური პერაში, 7 სთ 21 წთ-იანი ჩქარი მატარებლით პარიზში ვბრუნდები. ორ საათში ბარგს დავაწყობ ჩემს პარიზულ ბინაში, რომელიც ძალიან ახლოსაა. მე ვცხოვრობ ლიონში და ვცხოვრობ პარიზშიც. პარიზში, ლიონის ქუჩაზე. ბრეტანელები მონპარნასის ირგვლივ სახლდებიან, სამხრეთის ხალხი კი – ბასტილიას, ნასიონსა და ლიონის სადგურს შორის.

„ლიონის ქუჩა იმედს მაძლევს!“ – მითხრა ბერტრან ტავერნიემ, ყველაზე მეტად ლიონელმა და ლუმიერის ინსტიტუტის ყველაზე უფრო თავმჯდომარემ, როცა კანში თანამდებობაზე დამნიშნეს. 2000 წლის შემოდგომაზე ჟილ ჟაკობმა, კანის ფესტივალის პრეზიდენტმა და კატრინ ტასკამ, მაშინდელმა კულტურის მინისტრმა, შემომთავაზეს შემენარჩუნებინა ჩემი პოსტი ლუმიერის ინსტიტუტში.

ვაგრძელებ რიტმით, რაც ჩემი მომავალი კვირების რიტმად დარჩება: ორშაბათი და სამშაბათი დედაქალაქისთვის იქნება განკუთვნილი, მერე ლიონში დავბრუნდები, ხუთშაბათს უკან მივბრუნდები... სამი დღე პარიზში, ორი დღე ლიონში. სექტემბრიდან მაისამდე, როცა კვირებს პარიზში ან მოგზაურობებში ვატარებ, მარი არაფერზე მეუბნება უარს, ივნისის მერე კი უფლებას არ მაძლევს, ერთი ღამეც კი სახლის გარეთ გავატარო. გამონაკლისია: მოჭარბებული სამუშაო, პრემიერისწინა ჩვენება, სადილი პარიზში გავლით მყოფ რომელიმე რეჟისორთან ან ბრიუს სპრინგსტინის კონცერტი ბერსიში.

ამელის ქუჩა პარიზის მე-7 ოლქში, ეს არის ფესტივალის გენერალური უბანი. ყველა აქ მოდის. სასწავლო წლის დასაწყისისთვის ჩვეული ატმოსფეროა, მოვალეობის შესრულებით გამოწვეული კმაყოფილების განცდა. შუადღისას კულტურის სამინისტროსკენ მივრბივარ: ფლერ პელრენი კოქტეილზე იწვევს კანის ფესტივალის ლაურეატებსა და ანიეს ვარდას, რომელიც ბედნიერებისგან ბრწყინავს. „საპატიო ოქროს პალმის“ მიღებისას მას ემოცია არ შეუკავებია, რაც არ შეესაბამებოდა „მძიმე ხასიათის“ მქონე ქალის იმიჯს. ამგვარ იარლიყს აწებებენ ხოლმე მათ – ეს სიტყვები კიდევ ერთი საშუალებაა

ისეთი ქალების გასაკიცხად, რომლებმაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სხვა ადამიანებს თავს მოახვიეს საკუთარი მეობის სიმტკიცე და სხვადასხვა რთულ ეპოქაში მძიმე ბრძოლებში მიღებული ჭრილობები. საჯარო გამოსვლების დროს ანიესს დიდი ხანია ეტყობა, რომ ყველაფრის აზრზეა. არაერთხელ დაურეკავს ჩემთვის, რომ ემხილებინა მედიაში გაჩაღებული კომედიის ამსახველი ესა თუ ის ფაქტი. მიუხედავად ამისა, მისგან სინაზე გამოსჭვივის – ცხოვრების, ხალხის, მეგობრების მიმართ და ეს სულაც არ არის თვალთმაქცური.

უცებ ფრანსუა ოლანდი გამოჩნდა. „ვიზიტი-სიურპრიზი“ ალბათ გათვალისწინებული იყო, მაგრამ მე არ ვიცოდი. არც პიერმა იცოდა. მას საშინელი სურდო დაემართა და ბოლო მომენტში უარი თქვა წვეულებაზე. ამერიკელები გადაირევიან-მეთქი, გავიფიქრე. ისინი გონზე ვერ მოდიან, როცა ხედავენ ფრანგი პრეზიდენტის კულტურისადმი ინტერესს (ჩემზე ამბობენ, რომ ვარ ენერგიული და სიცოცხლით სავსე, მაგრამ არ ვიცი, როგორ ახერხებენ პოლიტიკოსები ყოველდღიურად კარგი იერის შენარჩუნებას?). პრეზიდენტი დაუძაბავად გადადის ჯგუფიდან ჯგუფში და რამდენიმე სიტყვას ამბობს სცენიდან: „კინოს არ უნდა მოვთხოვოთ მხოლოდ ბედნიერი სიტუაციების ასახვა. კარგია, რომ არსებობს ფილმები, რომლებიც რეალობას გამოხატავს, თუნდაც ეს არ იყოს სასიამოვნო“. ვიღაცამ მითხრა, მას თურმე გაჭკვირვებია, როცა წაუკითხავს, რომ ფრანგული სოციალური ფილმები აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის ფეხსაცმელში ჩავარდნილი კენჭივით არის, რადგან მთავრობა პასუხისმგებელია კრიზისსა და უმუშევრობაზე; ის უნდა ცდილობდეს შეუმჩნეველი იყოს, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარ თავს ულოცავდეს საფრანგეთის „ოქროს პალმით“ დაჯილდოებას. „არსებობს დრამები, არსებობენ ქალები და კაცები, რომლებიც იბრძვიან და იმარჯვებენ; კინო ამასაც უნდა აჩვენებდეს“. იქნება უმუშევრობა თუ არა (ფრანგული სოციალური ფილმი წლევანდელი დისკუსიის საგანია. თანამედროვე სინეფილები მას განიხილავენ როგორც მოვალეობაზე უარის თქმის კიდევ ერთხელ წარმოჩენას).

სამშაბათი, 2 ივნისი

ამ დილით, ტაქსიმ, რომელიც ველოსიპედებისთვის განკუთვნილ გზასაც ნაწილობრივ იკავებდა, კინაღამ სენაში გადამისროლა. კარგია პარიზში. სადაც არ უნდა ვიყო, ყოველდღიურად პედალებს ვიყენებ, ველოსიპედისტი ვარ. კვირის განმავლობაში და კვირა დღესაც. ინვალიდების სასახლის ველზეც და გალიბიეს უღელტეხილზეც. ფესტივალის ბიუროში მისასვლელად, საცხოვრებელი ადგილიდან, ანუ ლიონის სადგურის მიდამოებიდან, 7,5 კილომეტრს გავდივარ სენის მარცხენა სანაპიროზე, მერე უკან ვბრუნდები. და ყველაფერი ეს ხდება პარიზული გარემოს შესაბამისად, ჩვენებებზე, სადილებსა და კრებებზე სიარულის გათვალისწინებით. ანუ, ყოველდღიურად, საშუალოდ, 20 კილომეტრს გავდივარ, ხოლო წელიწადში, ანუ დაახლოებით 200 დღეში 4000 კილომეტრს. ველიბის (ველობილიკი) გამოგონებამ კომპლექსისგან გაათავისუფლა ადამიანები, რომლებიც ადრე ველოსიპედისტებს ქალაქის იშვიათ არსებებად აღიქვამდნენ. პირველად ეს საქმე ლიონში წამოიწყეს. ლიონში ველობილიკს ველოვი უწოდეს. ის სულ სხვა გაქანებისაა. იქ არავინ გადაგისვრის რონაში საღამოობით ალკოჰოლის გადაკვრის შედეგად. „ველიბის ველოთი დადიხარ?“ – მეკითხებიან ხშირად. „არა, საკუთარი ინვენტარით“. პარიზში ეს არის „ლუკი“, ლიონში „ჟიანი“, ტიულენში „სკოტი“. ბორბლების ცენტრები შავია, ბორბლები ფრანგული, მუხრუჭები იტალიური, სიჩქარეების გადამრთველი იაპონური, ტანსაცმელი ამერიკული.

უნდა გავერკვე, რა ხდება მედიაში. ვიყურები ინტერნეტში, ვათვალიერებ ყოველკვირეულ ჟურნალებს, ფრანგულ, ინგლისურ და ესპანურენოვან საიტებს, ასევე ვეცნობი იმ წერილებს, რომლებიც კრისტინ ემემ და მისმა გუნდმა შემიკრიბეს. შემეძლება ამერიკელი ჟურნალისტების სტატიების წაკითხვაც: სკოტ ფაუნდასის („ვარიეთი“), თოდ მაკარტის („ზი ჰოლივუდ რიპორტერი“. ეს უკანასკნელი მანამდე დიდხანს იყო კრიტიკის განყოფილების უფროსი „ვარიეთიში“, სადაც იბეჭდება აგრეთვე ძალიან კარგი ჯასთინ ჩენგის სტატიები) ან კიდევ ხუმარა ენ თომპსონს, რომელმაც დაწერა – წელს

ორი საუკეთესო საკონკურსო ფილმი... კონკურსგარეშე იყო ნაჩვენებიო! ის გულისხმობდა „ვის-ვერსას“ და „შეშლილ მაქსს“. მარტო ის არ წერდა ამას. ინგლისელებში ანგარიშს უწევენ პიტერ ბრედშეუს („გარდიანი“) ან ჯოფ ენდრიუსის („ტაიმ აუტი“) აზრს. შესანიშნავი კრიტიკოსები ჰყავთ ესპანელებსაც, ლათინოსებს (არგენტინელებს, მექსიკელებს), იაპონელებს, კორეელებს, გერმანელებს და იტალიელებს. დასასრულ, ფრანგებზეც ვიტყვი. მედია მოქმედებაშია მოყვანილი, ოფიციალურ შერჩევას დიდ მოთხოვნებს უყენებენ. მართალია აქა- იქ კომპლიმენტები გაისმის, რაც მე მხიბლავს, მაგრამ ზოგადად 2015 წლის საფესტივალო გამოშვება არამნიშვნელოვნადაა მიჩნეული. ამაში არაფერია გასაკვირი, კრისტიან ჟენს და მე გვეგონა, რომ მთლიანობაში ფილმების კარგი შერჩევა მოხერხდა, ძლიერადაც კი გვეჩვენებოდა ეს სელექცია, მაგრამ ვიცით, რომ კონკურსი ყოველთვის მოწყვლადია. პროგრამის შედგენაში რაღაც შეცდომები გაგვეპარა, რასაც არავინ გვპატიობს. ამას გარდა, 2014 წლის კარგად ჩატარებული ფესტივალის კონტრეფექტი ადვილად სავარაუდო იყო, თანაც ფილმები იყო სუსტი და ვერ დააკმაყოფილა ის სურვილები და მოუთმენლობა, რასაც „მსოფლიოს ყველაზე დიდი ფესტივალი იწვევს“. ყოველწლიურად, კანი არის ცხოვრების არსი კინოსამყაროს ზოგიერთი რეჟისორის, პროდიუსერისა და დისტრიბუტორისთვის. აქ თავს იყრის აგრეთვე მსოფლიო პრესის ნაღები წარმომადგენლობა, რომლის ვალია სწრაფად, ნათლად და მტკიცედ გამოხატოს თავისი აზრი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აქ მაღალი დონის ჟურნალისტები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. ყველაფერი ეს იწვევს გაუმართლებლად დიდ მოლოდინს იმ ფილმებზე, რომლებზეც ყველას თვალი უჭირავს. მე მითხრეს, რომ „ლე მონდმა“ ცუდი შემაჯამებელი სტატია გამოაქვეყნა ფილმების სელექციაზე. ეს გაზეთი დიდად თავაზიანი არ არის, მაგრამ მთლიანობაში არც აგრესიულია. ჟურნალისტები ჟაკ მანდელბომი და ურელიანო ტონე თავის საქმეს აკეთებენ, შეცდომებისთვის გვსჯიან. ჩვენ ისინი დარტყმის პოზიციაზე გავიყვანეთ შემთხვევით (მაგალითად,

იმით, რომ ვალერი დონზელის ფილმი ჩავრთეთ კონკურსში) და მათაც შეუბრალებლად დაგვარტყეს („დეპლეშენის არყოფნა კონკურსში სკანდალურიაო“). ამას ემატება ზოგიერთი იმედგაცრუება და გას ვან სანის ფილმი, რომელიც მიწაში ჩადეს. ჟურნალისტებს ჰყავდათ თავიანთი ფავორიტები, რომელთაც ცუდად მოექცნენ ფესტივალზე, ფილიპ გარელი და მიგელ გომეში რეჟისორთა ორკვირეულზე – კენზენზე გაუშვეს, აპიჩატპონგი, მენდოზა, კავაზე და პორუმბოიუ „განსხვავებულ ხედვაში“ აღმოჩნდნენ (თუმცა ჟურნალისტებმა არ იციან, რომ ეს მათი ნებით მოხდა).

როცა შეჯამების დრო დგება, თითოეული შემფასებელი კონკურსის რეკონსტრუქციას ახდენს a posteriori; ადვილია იდეალური სელექციის მოხდენა მას მერე, რაც უკვე ვიცით, როგორი გამოხმაურება მოჰყვა ფესტივალის გადაწყვეტილებას. ეს არის სინამდვილის რეტროსპექტული ილუზია. ჩვეულებისამებრ, ეს გზა ვიწროა და ადვილია ჩვენი შეცდომების დანახვა. წელს ვეცადეთ, რაღაც შეგვეცვალა, მაგრამ არ გამოგვივიდა. ხალხისთვის არ აღმოჩნდა დამაჯერებელი. აქტი უკვე შედგენილია.

მაივენი კაფე „სტერნში“ იმყოფება, „პანორამას“ გასასვლელში. ეს მისი შერჩეული ლამაზი პარიზული ადგილია. ორი წლის წინაც აქ იყო, როცა მისი „პოლისი“ საკონკურსო ფილმებს შორის მოხვდა. მას უნდა მადლობა გადამიხადოს და სადილზე მეპატიჟება. უჩვეულო ჟესტია, ისიც კი მგონია, რომ მხოლოდ მაივენი იქცევა ასე, იმიტომ კი არა, რომ სხვები გაუთლელი ქაჯები არიან, არამედ იმიტომ, რომ ის ასეთია, ელეგანტური და ერთგული. „კარგად ვიცი, რომ ემანუელ ბერკოსთვის პრიზის მიცემამ კრიტიკისგან იხსნა „ჩემი მეფე“, – მითხრა შეფიქრიანებულმა და ოდნავ დაბნეულმა. ადვილი არ არის ახალგაზრდა ქალი კინორეჟისორისთვის უცებ შემოიჭრას კანში, მიუხედავად იმისა, რომ მათი სია, ვინც კონკურსში პირველივე გამოჩენით ყურადღება მიიქცია, საკმაოდ გრძელია. მათ შორისაა მაივენიც, რომელმაც წარმატება მოიპოვა 2011 წელს „პოლისით“ და მიიღო პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის, მიუხედავად ლა კრუაზეტის ნა-

წილის განსხვავებული აზრისა. მოგვიანებით, უდიდესმა წარმატებამ ხალხში ყოველმხრივ სანდო გახადა ჟიურის არჩევანი, ჟიურისა, რომელსაც ბობ დე ნირო ხელმძღვანელობდა. ადვილია იმის მტკიცება, რომ მას ბევრი ჰყავდა ჩასაფრებული, მისი წაფორხილების მომლოდინე, მაგრამ დღემდე ვერ შეარყიეს, რადგან „ჩემი მეფე“ ამბიციური და წარმატებული ფილმია. თუმცა იმთავითვე ნათელი იყო, რომ აუცილებლად მოჰყვებოდა უხეში კრიტიკა, რაც ფილმს გასცდებოდა და მიზანში ფილმის რეჟისორს უფრო ამოიღებდა. ამის გამო მაივენი ნაწყენია და აღარ სურს ხალხში გამოჩენა: „იცი, თუ ხალხს ვანერვიულებ, ხალხს საერთოდ აღარ ვნახავ“. მაგრამ გულს არ იტეხს და უნდა საუკეთესო ფილმის გადაღება: „მართალი იყავი, რომ მეუბნებოდი, ცოტა შემემცირებინა ფილმი, მასში ჯერ კიდევ არის გაჭიანურებული ადგილები. მაგრამ ფილმის გამოსვლამდე დრო კიდევ მაქვს“.

ვუბრუნდები 2015 წლის „ფილმის საერთაშორისო ფესტივალს“, და აი რა არის დასამახსოვრებელი: 13-იდან 24 მაისამდე (ადრე ეს ერთი კვირით ადრე იწყებოდა და ფილმებისთვის უკეთესი იყო: განცხადება სელექციაზე უფრო მალე ქვეყნდებოდა, გაზაფხულის დასაწყისში. სწორედ ამის გამო კანის ფესტივალის შემდგომი პერიოდი ხანგრძლივდებოდა, რაც ფილმების გამოსვლის მხრივ უფრო ხელსაყრელი იყო). ფილმების როგორც ორიგინალური, ისე ფრანგული ვერსიების საკითხში ცერემონიას ხელმძღვანელობდა ლამბერ ვილსონი (ვენსან კასელის, სესილ დე ფრანსის, ედუარ ბაეს, მელანი ლორანის, ბერენის ბეჟოს, ოდრი ტოტუს შემდეგ).

ჟიურის თავმჯდომარეები: ჯოელ და ეტან კოენები. პირველი შემთხვევაა თანათავმჯდომარეობა. ანონსი 2015 წლის 19 იანვრისთვის იგეგმება. ერთი თვის შემდეგ აფიშის მთავარი მიგნება იქნება დევიდ სეიმურის მიერ გადაღებული ინგრიდ ბერგმანის უიშვიათესი ფოტო, „მაგნუმის“ სააგენტოდან.

13 აპრილს ცხადდება გახსნის ფილმი: „თავაწეული“ – ემანუელ ბერკოს ნამუშევარი კატრინ დენევის, ბენუა მაჟიმელის, სარა ფორესტიეს მონაწილეობით. მათ გვერდითაა აგრეთვე უცნობი მსახიობი

როდ პარადო, შესანიშნავი ახალგაზრდა და მიმზიდველი მამაკაცი. დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, განცხადება ამის შესახებ შუა ზამთარში უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ ვერცერთი ფილმი ვერ მოესწრო მარტის ბოლომდე და აპრილის დასაწყისამდე, ჩვენ კი მხოლოდ „შეშლილი მაქსი“ გვქონდა ნანახი, მისი გაშვება გახსნის ფილმად არც „ვორნერს“ უნდოდა და არც ჩვენ. გამოვიდოდა, რომ კიდევ ერთხელ გამოვიყენებდით ამერიკულ ფილმს კანის ფესტივალის გასახსნელად, ჩვენთვის კი მთავარი მრავალფეროვნებაა.

16 აპრილს ოფიციალური კონკურსის შესახებ გამოცხადდა პარიზში, კინოდარბაზ „ნორმანდიაში“. შერჩეული ფილმები ძალიან კარგად მიიღეს, თუმცა ამას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, პირიქით რომ მომხდარიყო – ფილმები ხომ ჯერ არავის უნახავს. მაგრამ აფიშა მნიშვნელოვანია და მონაწილეთა შეცვლის განზრახვას ყველა ესალმება. არნო დეპლეშენის არყოფნას უკმაყოფილო სახით შეხვდა „რამდენიმე ბედნიერი“, რომლებიც არნოს აღმერთებენ (მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა თავს ძალა დაატანა და ისე დაწერა დადებითი შეფასება „ჯიმი პ“-ზე, რომელიც უყოყმანოდ ჩავრთეთ კონკურსში). ზოგადად, კარგი ატმოსფერო შეიქმნა. საფრანგეთი (ხუთი საკონკურსო ფილმით) და იტალია (სამი საკონკურსო ფილმით) დიდ ძალას ქმნიდნენ, ჰოლივუდი კი სუსტად იყო წარმოდგენილი, რაც მომენტის რეალობას გამოხატავდა. სელექციის დროს ზოგჯერ იძულებით გადაწყვეტილებასაც ვიღებდით, რადგან ჩვენ დამოკიდებული ვიყავით წლის მოსავალზე.

ფესტივალის პრეზიდენტის რანგში პიერ ლესკური პირველად წარდგა ხალხის წინაშე. შესამჩნევი ეპიზოდი იყო, როცა მან კერძო პარტნიორები ახსენა. ამას მოგვიანებით დავუბრუნდები.

გახსნის ცერემონია გაიმართა ოთხშაბათს, 13 მაისს, 19 საათსა და 15 წთ-ზე, ოფიციალური სადილი კი – „პალმ ბიჩში“, კრუაზეტის ბოლოში, ქარის თანხლებით. კონკურსში ცხრამეტი ფილმი მონაწილეობდა (ჩვეულებისამებრ, სულ ცოტა ოცი ფილმია ხოლმე, ზოგჯერ ოცდაორი, ზოგიერთ წელს ოცდაოთხიც ყოფილა), თვრამეტი – „გან-

სხვავებული ხედვის“ კონკურსში (აქაც, ზოგჯერ ოცდაორი, ზოგჯერ ოცდასამი ფილმიც კი ყოფილა), რამდენიმე ნამუშევარია წარმოდგენილი კონკურსგარეშე ან სპეციალური სეანსით (უფრო დოკუმენტური ფილმები), ღვაწლის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებები, კან კლასიკის (კლასიკური კანი) აღდგენილი ფილმები და ლუკ ჟაკეს ფილმი ფესტივალის დახურვაზე.

ამას ემატება ფილმის ბაზარი (კანში ხალხი ძირითადად სამუშაოდ მოდის) და პარალელური სექციები (კრიტიკის კვირეული და რეჟისორების ორკვირეული, „კენზენი“). სულ: 58 ფილმი ოფიციალური კონკურსიდან, 350 ჩვენება, 1000 სეანსი ბაზარზე, 40 000 აკრედიტაცია, 4500 ჟურნალისტი, ანუ ყველაზე დიდი მედიათავყრილობა, მსგავსად ოლიმპიური თამაშებისა (თუმცა ოლიმპიური თამაშები ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება). კანის ფესტივალი ოთხიდან ერთ-ერთი პლანეტარული მასშტაბის მოვლენაა ოლიმპიურ თამაშებთან, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატთან და „ტურ დე ფრანსთან“ ერთად (ყველა ეს მოვლენა სპორტის სფეროს ეკუთვნის და მხოლოდ კანის ფესტივალი წარმოადგენს ხელოვნებას). სულ, როგორც კანის მერი ამბობს, 100 000 ადამიანი შემოესევა ხოლმე კანს თორმეტი დღის განმავლობაში.

ხუთშაბათი, 4 ივნისი

გამთენიისას ლიონში ვარ. დეკორი იცვლება, „სესადის“ (SESSAD) კრებაზე ვარ; ეს არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მდებარეობს ლიმონესტში, ქალაქის ჩრდილოეთით და ბავშვებზე ზრუნავს. ამ შესანიშნავ სამუშაოს შესანიშნავი პროფესიონალები ასრულებენ. ახალგაზრდა ვიქტორი უხერხულად გრძნობს თავს უფროსი ასაკის ადამიანების წინაშე, რომლებიც მასზე ლაპარაკობენ, აქებენ. არ ვიცით, რას ფიქრობს ამ ყველაფერზე, ფეხებზე ჰკიდია თუ უხარია, ის თავისი თაობის წარმომადგენელია: ისეთი ვარ, როგორიც ვარ, ისეთი ვიქნები, როგორიც ვიქნები. როცა დედამისი და მე ვეუბნებით, „ნამდვილი მოზარდი ხარ“, ის გვპასუხობს, „მოზარდობის წინა

პერიოდში ვარ“. ლიონი მეორე ადგილია, სადაც ამბები ხდება. კანის მერე სულის მოსათქმელი დრო არ მაქვს. ლუმიერის ინსტიტუტი დიდ ენერგიას მოითხოვს, რომლითაც მუდამ მავსებს სიამოვნების მომნიჭებელი და მომთხოვნი გუნდი. ამ გუნდთან ერთად უნდა მოვამზადო ლუმიერის მორიგი ფესტივალი, რომლის პროგრამაც მალე უნდა გამოცხადდეს. ფესტივალი უკვე მეშვიდედ იმართება, მაგრამ ვერასოდეს ვერაფერს ვსწავლობ.

პარასკევი, 5 ივნისი

გამოქვეყნდა ჩემი საუბარი „ფილმ ფრანსესთან“. ტექსტს „აჟანს ფრანს პრესი“ გამოქვეყნებამდე გაეცნო, მაგრამ მისი მოკლე შინაარსი კიდევ უფრო შეამცირა და აზრი არაზუსტად გადმოსცა – ტიერი ფრემო ბრალს სდებს სოციალურ ქსელებსო. და ყველა საიტი აქედან ახდენს პერიფრაზირებას, არცერთი არ დაინტერესებულა სრული ინტერვიუს მცირე ანალიზითაც კი. ვიცი, საიდან მოდის ეს სათაური – გასულ დეკემბერს, ბუენოს-აირესის კონფერენციაზე გამოვხატე ჩემი სიძულვილი სელფის მიმართ, განსაკუთრებით იმ ადამიანებისადმი, რომლებიც საკუთარი პატივმოყვარეობით ჩახერგილ საფეხურებზე ადიან. ამას ვერავინ აცნობიერებს ჩვენ გარდა, რადგან ყოველ საღამოს წითელი ხალიჩის თავში ვდგავართ. სელფების დებილური პრაქტიკა წითელ ხალიჩას ნარცისიზმის სასაცილო სცენად წარმოაჩენს. სამწუხაროდ, ჩვენმა მოწოდებამ თავშეკავებისკენ და იმ ეპოქის წინმსწრებად დაბრუნების სურვილმა, რასაც სერჟ დანე „კათოდურ სასაკლაოს“ უწოდებდა (ეს იყო 1983-ში, ნეტავ დღეს რას იტყოდა?), უმალ რეაქციონერთა რიგებში გადაგვისროლა. ინტერნეტში „ლიბერასიონმა“ არ დაიშურა სარკაზმი და მთავარ სათაურად გამოაქვეყნა: „ლესკური და ფრემო ცალკე ფილმებს ქმნიან“.

შაბათი, 6 ივნისი

ერთ მშვენიერ და ნათელ დღეს, რომელსაც კარგი პირი უჩანდა, ველოსიპედით იზერის სანაპიროს მივაშურე. მდინარის სანაპიროები კე-

თილმოწყობილია გრენობლიდან სენ-ჟერვემდე; ჟაკ მორისის წიგნიდან გავიგე, რომ სენ-ჟერვე მორის გარელის მშობლიური სოფელია. ერთი სიტყვით, მორისი აქაური იყო. რამდენჯერაც აქეთ მოვხვდები, სულ მასზე ვფიქრობ. ვფიქრობ მის იდუმალ და მნიშვნელოვან ადგილზე ფრანგულ კინოში. ის გულუხვად იყო მოდებული კინოსამყაროს ყველა ტერიტორიას, თუმცა ეს ტერიტორიები ზოგჯერ ძლიერ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგალითად, კლოდ სოტეს სამფლობელო და მორის გარელის შვილის, ფილიპის მიწები. ამ დილით გაგიჟებული მდინარე ხმაურით მოედინება, გაზაფხულის წვიმებისა და მთის ჩანჩქერების წყალი ასე ბეკ დე ლეშაიონის კლდის ძირში ერთმანეთს ერევა და იზერს ემატება. ორ კვირაში დაიწყება არდეშუაზის 130-კილომეტრიანი პარკური. მეგობრებს დავპირდი, რომ მათთან ერთად მივიღებდი მონაწილეობას ამ რბოლაში. მე ფიზიკურად მათსავით არ ვარ მომზადებული, ისინი ზამთრის მერე ველოსიპედებზე სხედან. მულინეს გადაჩურჩულება მეგობრებთან კი უკვე მღლის.

ამ კვირას რენე ბორდა დავასაფლავეთ. ისიც „კანელი“ იყო. გულის შეტევით გარდაიცვალა 68 წლის ასაკში. სტუმართა დახვედრის გუნდში მუშაობდა. იყო კეთილი და თავმდაბალი, საჭიროების დროს – პრინციპული, ყოველთვის მზადმყოფი. ყოველ საღამოს წითელი ხალიჩის თავში იდგა და კიბეზე ამოსვლის რიტმს აწესრიგებდა, ცხელ დღეებში კი, როცა კორტეჟები სწრაფად მოდიოდნენ, ამ კაცის იქ ყოფნა შვებას გვგვრიდა.

საღამოს ჩემი მდგომარეობა ინტერნეტში გაუარესდა. „პრემიერ ფრ“-მ პირველად შემდეგი სათაური გაავრცელა: „ტიერი ფრემოს, მსოფლიოში ყველაზე მედიატიზებული ფესტივალის ხელმძღვანელს, აღარ ესმის მედიის“. უი, მათ ჩემი გვარი აღარ ეშლებათ, ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

კვირა, 7 ივნისი

ვუბრუნდები ნორმალურ ცხოვრებას. ვეწაფები წიგნის მაღაზიებს, DVD-ზე ვნახულობ ძველ ფილმებს, ვუყურებ ტელეიდიო-

ტობებს (სილვი პიალა მეუბნებოდა, მორისი ასეთ გადაცემებზე გიჟდებოდაო, რაც დამამშვიდებლად მოქმედებს ჩემზე). ძილითაც უკეთ მძინავს. ვისურვებდი, რომ სულ მარტო ვიყო და თან ყველას ველაპარაკებოდე. ერთმანეთს ვუნაცვლებ მოყოლის სურვილსა და ჩუმად ყოფნის ნებას. მახსენდება კანისშემდგომი ხანგრძლივი საუბრები ელიზაბეტ კენთან, სკოტ ფაუნდასსთან, სერჟ კაგანსკისთან, ჩემთვის ძვირფას ჟურნალისტებთან. ფესტივალის დამთავრებისთანავე ყველა ისევ ფესტივალზე იწყებს ლაპარაკს, რადგან მისი დამთავრება არ უნდათ, და ეს უწინარესად მე მეხება. ეს ნოსტალგიაა, მაგრამ ერთგვარი სიმშვიდით გაჯერებული. ან იქნებ პირიქითაა, ყველას გულზე მოგვეშვა, რომ ფესტივალი დამთავრდა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, უსაფრთხოების პრობლემა არ შექმნილა, ამ მხრივ სერიოზული არაფერი მომხდარა... ჩვენი უპირველესი საზრუნავი ყოველთვის ფესტივალის კარგად ჩატარებაა, და არა ვინმეს გუნება-განწყობაზე ფიქრი.

კითხვები მიჩნდება ტექსტთან, რომელსაც ახლა კითხულობთ. ხშირად მომნდომებია დღიურის წერა ფილმების საკონკურსო შერჩევასთან დაკავშირებით, დამიწყია კიდეც, მაგრამ მალევე მიმიტოვებია. ვერ დავიკვეხნი, რომ ვინმესთვის ჩემი ცხოვრების შესახებ მოყოლის მოთხოვნილება მაწუხებს. შეიძლება დღიური რაღაცით ფასეული იყოს შემდგომი ეპოქისთვის, ანუ მათთვის, ვინც მომავალში მოვა – იქნებიან ისინი ქალები, ბავშვები, მეგობრები თუ უცნობები... ეცოდინებათ ყველაფერი ერთი კაცის ცხოვრებაზე, თუკი ამით ოდნავ მაინც დაინტერესდებიან. მარტო კინოს სფეროში რამდენია ისეთი ადამიანი, რომელთა პირადი დღიურიც ნამდვილი საჩუქარი იქნებოდა. რას არ მივცემდი, რომ ეარსება ანრი ლანგლუას დღიურს, რომელმაც ჟან მიტრისთან და ჟორჟ ფრანჟიუსთან ერთად ფრანგული სინემათეკა დააარსა 1936 წელს; გამიხარდებოდა ფილიპ ერლანჟეს დღიურის წაკითხვა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946 წელს აღადგინა კანის ფესტივალი; დიდი ინტერესით წავიკითხავდი ჩანაწერებს ჟან ზეს სიკვდილის შესახებ. ბედნიერება იქნებოდა მცოდნოდა ამბები წინანდელ

კანზე, იმ კანზე, რომელზეც ყოველდღე მიყვებოდა ჟილ ჟაკობი, როცა იხსენებდა რობერ ფავრ ლე ბრეტს ან მორის ბესის, იხსენებდა 60-იან წლებს, თავისი ჟურნალისტობის პერიოდს.

ფესტივალით გამოწვეულ ეგზალტაციას გონებრივი სიმშვიდე არასოდეს მოჰყვება. კანი, კანი, კანი... ფესტივალი იპყრობს ჩვენს გონებას რამდენიმე თვის განმავლობაში და ერთი ხელის მოსმით მისგან ვერ გათავისუფლდები.

სინანული მიპყრობს: ნაომი კავაზას ფილმის ნაცვლად იქნებ არნო დეპლეშენის ფილმით უნდა გამეხსნა „განსხვავებული ხედვა"? არადა, ყველა გახსნაზე ფრანგული ფილმი იყო ნაჩვენები. შეცდომა მომივიდა, არნომ ალბათ მიტოვებულად იგრძნო თავი. არ მინდოდა უცხოელებს ჰგონებოდათ, რომ ჩვენი კინოს წარმოჩენას ვცდილობდით, თავდასხმები კი სწორედ ფრანგებისგან დაგვატყდა. არნოს რვა ნამუშევრიდან ექვსი სრულმეტრაჟიანი ფილმი ოფიციალურ კონკურსში მონაწილეობდა და არნო პირველ ადგილზე აღმოჩნდა მათ შორის, ვისაც პრესა ფესტივალის „აბონენტებს" უწოდებს. ვიფიქრე, რომ ამ მომენტში უნდა გავჩუმებულიყავი. ამ შეცდომის გამო წითელი ბარათიც მივიღე.

კონკურსში მონაწილეობა ეკუთვნოდა „შეშლილ მაქსს" (Mad Max: Fury Road) და „ვის-ვერსასაც" (Vice-Versa) – „პიქსარის" ანიმაციას, მაგრამ ასეთ დროს ასევე კარგად მიიღებდნენ მათ? უცნაურია, მაგრამ „შეშლილი მაქსის" კონკურსგარეთ დატოვებით კრიტიკას და ხალხს ეძლევათ საშუალება, მთლიანად დაისაკუთრონ ეს ფილმი თავიანთი სიამოვნებისთვის. აქედან გამომდინარე, კანში ამ ფილმის ჩვენება შესანიშნავი გადაწყვეტილება აღმოჩნდა – ის აფეთქებდა ბოქს-ოფისს და პირველივე ხუთშაბათიდან ზეიმის საგნად იქცა, გეგონებოდა, საკონკურსო ჩვენების მეორე ფილმი იყო. როდესაც ანიმაციური ნამუშევარი კონკურსში მონაწილეობს, დამკვირვებლები ამჩნევენ, რა გულუბრყვილობითა და ინფანტილურობით იცავს სელექციონერი ფილმს. ასევეა ჟანრობრივ კინოშიც, რომელიც უყვართ მსჯელობისას, მაგრამ არ მოსწონთ, თუ კონკურსში მონაწილეობს. მე კი მიხარია, რომ „ვორნერი" და „პიქსარ-

დისნეი“ კანში არიან წარმოდგენილი, თუმცა შეეძლოთ მსოფლიოს სხვა არენაზე ეჩვენებინათ ფილმები. ბედნიერი ვარ, რომ ვინმე ჯონ ლესეტერი აქ თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში, ასევე ჯეფრი კეტცენბერგიც, რომელმაც დიდი გზა გახსნა ოცნებების ანიმაციით. ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც ვერავინ იტყვის ჩვეულ ფრაზას, კანში სტუდიები არ ჩამოდიანო.

მაელ არნო, ლუმიერის ინსტიტუტის ერთ-ერთი გუშაგი ამბობს: „საჭიროა წინსვლა!“ და გაზაფხულიდან მოყოლებული შატოს პარკი მომაჯადოებელ ადგილად გარდაიქმნა – უბანში მომუშავეები აქ მოდიან და ბალახზე მიირთმევენ საუზმეს, თან მოაქვთ საგანგებოდ მომზადებული სუფრა და დანა-ჩანგალი, მეზობელი შენობიდან ლიცეუმელები მოდიან და იკავებენ ყველა სკამს თუ ადგილს, სადაც კი დაჯდომა შეიძლება. ჩვენ მშვენიერ გუნდსა და ბაკალავრის გამოცდების ჩამბარებლებს შორის ვიმყოფებით. ახალგაზრდებმა პარკის მიდამოები შტაბად აქციეს, თუმცა არაფერი გაუფუჭებიათ, არც წარწერები დაუტოვებიათ.

კენ ლოკი: „ძვირფასო ტიერი, იმედია, კარგად ხარ და ისვენებ. მინდა გითხრა, რომ ვიზიარებ ტვიტერზე გამოქვეყნებულ შენს ზოგიერთ აზრს. ადრე კრიტიკოსები ფიქრს გარკვეულ დროს ანდომებდნენ და მერე აქვეყნებდნენ შემაჯამებელ დასკვნას, არ იყენებდნენ ტვიტერს. ხომ არ უნდა ვთხოვოთ ხალხსაც, შეწყვიტონ სულელური სელფების გადაღება? ან იქნებ მე დავბერდი? ვთქვათ, დავბერდი, მაგრამ ფეხბურთი ხომ მაინც დაგვრჩა? ახლა მიმდინარეობს ჩვენი პატარა საფეხბურთო კლუბის (ლაპარაკია „ბათზე“) კოლექტიურ საკუთრებად, კოოპერატივის მაგვარ რაღაცად გადაკეთება. რევოლუცია საფეხბურთო მოედნიდან დაიწყება. კარგად იყავი, ტიერი, იმედია, ლიონში ყველაფერი კარგადაა. დროებით“.

სამშაბათი, 9 ივნისი

რობერ ფავრ ლე ბრეტმა, მორის ბესიმ და ჟილ ჟაკობმა, რომლებიც ჩემამდე იყვნენ ამ თანამდებობაზე, კარგად იცოდნენ შემდეგი

მაქსიმა, რომელიც საკუთარ თავზე გამოსცადეს და რაშიც მე ყოველ წელს ვრწმუნდები:

„ფილმების კარგი სელექცია ფილმების დამსახურებაა, ხოლო ცუდი სელექცია სელექციონერის ბრალია“.

2015 წლის ფილმების სელექციაზე ყველაფერი წავიკითხე, საპირისპირო მოსაზრებებიც. არაფერია საგანგაშო: როცა საჯარო სამსახურში ხარ, სწრაფად სწავლობ, ყურადღება არ მიაქციო უამრავ სისულელეს. ნერვიულობას აზრი არა აქვს, მეტადრე იმიტომ, რომ კანი ისედაც არის ის საოცნებო ადგილი, სადაც შენზე უნდა ილაპარაკონ; შეიძლება წარმოიდგინო ათასგვარი შეთქმულების თეორია და არ უნდა გამოხატო წყენა, რომ ამით რეკლამა არ გაუწიო ჩასაფრებულებს. ამიტომ ხმას არ ვიღებ.

ვსადილობ ლეილა ბეხტისთან ერთად, რომელიც მთელი ზაფხულით შვედეთში მიდის „კანალ+“-ს დაკვეთით მიმდინარე სერიალის გადასაღებად. ვალდო რივას კაფე „მაქსი“ საუკეთესო სასადილო ადგილია მე-7 ოლქში „ტუმიესა“ და ბრესანის „ობერჟუთან“ ერთად (სხვაც ბევრია, ამით განებივრებულები ვართ). პარმანტიეს კატლეტის გასინჯვის სეზონი ჯერ არ დამდგარა, მაგრამ მზარეულმა, რომელიც ველოსიპედისტია, უამრავი გემრიელი რამ მოგვიმზადა. აქ ისიც მომწონს, რომ ვალდო ხელზე კოცნის თავის სტუმრებს.

ლეილას ხშირად ვხვდები, მას მერე, რაც ის იყო „განსხვავებული ხედვის“ ჟიურის მრისხანე წევრი ტიმ როთის თავმჯდომარეობისას (მათ ერთად იღვაწეს რეჟისორ ქალ ტონი მარშალთან, სილვი პრასთან ჟორჟ პომპიდუს ცენტრიდან და არგენტინელ ჟურნალისტ ლუსიანო მონტევიდოსთან). ეს არის თანამედროვე ახალგაზრდა ქალი, ნამდვილი პარიზელი. შესანიშნავი ენით ლაპარაკობს, რომელსაც აფერადებს ვერლან-ჟარგონით, რომლის სწრაფად გასაგებადაც სულ რამდენიმე წამი სჭირდება გონებას. ის კულტურულია, ცნობისმოყვარე და ექსტრავაგანტური, თუმცა თავშეკავებულზე მეტად საყვარელი ეთქმის, რადგან სახეზე რაღაც სევდა აღებეჭდება ხოლმე. ის აღტაცებულია კოლეგა მსახიობებით, რომლებსაც, მისი აზრით, ბევ-

რი ღირსება აქვთ მასთან შედარებით. ამაში ის ნამდვილად ცდება. ლეილას კომპანიაში ყოფნა ჩემთვის მეტად ძვირფასია, რადგან ის წარმოადგენს ახალგაზრდა თაობის ფრანგებს, რომელთა შესახებაც ამ ქვეყანამ და ამ ქვეყნის კინომ არ იცის, რომ უნდა დაეყრდნონ მათ და მხარშიც ამოუდგნენ. ლეილას ვჩუქნი ანა ახმატოვას ლექსებს, ის ფურცლავს წიგნს, ირჩევს რომელიღაც ლექსს, და უცებ იგებს ამ ქალისა და მისი ენის მნიშვნელობას:

„ვერ გადააბამ ორ გულს ერთმანეთს,
წასვლა თუ გინდა, უნდა წახვიდე.
ბედნიერება მისი ხვედრია,
ვინც თავისუფლად ცხოვრობს და არის“.

სადილის ბოლოს გამოჩნდა ყურებამდე გაღიმებული ტაჰარ რაჰიმიც, ლეილას მეუღლე. ცხოვრებაში ის ნათელი ადამიანია და არა ისეთი ბნელი, როგორ როლსაც ასრულებს ჟაკ ოდიარის ფილმში „წინასწარმეტყველი“ (Un prophète). ვლაპარაკობთ ალჟირზე, ორანის მხარეზე, სადაც ისინი ხშირად ჩადიან. დიდი შეძახილებით შეხვდნენ ჩემს ნათქვამს იმის შესახებ, რომ მე და მენგეტის უბნის მეგობრები არზეს სანაპიროზე დავდიოდით საცურაოდ, როცა სამხრეთ ალჟირისკენ მივდიოდით. ამასობაში ანგარიში მოვითხოვე, მაგრამ გადასახდელი არაფერი იყო, ჩუმად გაპარულ ტაჰარს გადაეხადა. ვერ გადავაჩვიე ასეთ ქცევას და ვერც ვუპროტესტებ.

ოთხშაბათი, 10 ივნისი

გარდაიცვალა ჟან გრიუო, სცენარისტი ფილმებისა: „პარიზი ჩვენია“, „ჟიული და ჯიმი“, „ჩემი ამერიკელი ძია“. ბოლოს მისი გვარი გამოჩნდა (ეკრანზეც) ვალერი დონზელის ფილმში „მარგერიტი და ჟულიენი“, რომელიც ტრიუფოსთვის ჰქონდა დაწერილი. ის და ტრიუფო მუდმივად თანამშრომლობდნენ. ფილმი ძალიან მოგვეწონა, მაგრამ საკონკურსო ჩვენებაში ჩართვით ჩვენ ის დავასუსტეთ.

„კარდენის“ სივრცეში იმართება უეფას პრესკონფერენცია ევრო 2016-ის გამო, რომლის დელეგატიც ვარ ლიონიდან; აქ არ არის ვენდი რენარი, რომელიც კანადაში ქალთა ფეხბურთის მსოფლიო თასზე მონაწილეობს, სადაც ჩვენი წარგზავნილები სასწაულებს ახდენენ. ვენდი დიდი ქალია, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ის არის საფრანგეთის გუნდის, „ოლემპიკ დე ლიონის“ კაპიტანი. ჩვენ ორივენი დავთანხმდით, ლიონის წარმომადგენლები ვყოფილიყავით ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში, რომელსაც თავმჯდომარეობდნენ ჟაკ ლამბერი და მიშელ პლატინი. პლატინის ნახვა ძალიან გამიხარდა. აქვე იყვნენ ბაზილ ბოლი და ტიერი რეი, რომელიც იბრძოდა იმისთვის, რომ 2024 წლის ოლიმპიური თამაშები პარიზში გამართულიყო. მიშელ პლატინი დიდებული ვინმეა, თან საყვარელი და შეურიგებელი. როდესაც რომელიმე ჟურნალისტი სადავო ტერიტორიაზე მის გადაყვანას ცდილობს, რაც გულისხმობს ფიფას პრეზიდენტობის საკითხს და ზეპ ბლატერის ამბავს, რომლის მემკვიდრედაც პლატინის განიხილავენ, ის ბურთს ხეებისკენ გზავნის: „მეც თქვენსავით ვარ, გუგლით ვიგებ, რა ხდება“. ჰმ, თუმცა მეტი იცის.

17 საათია, ლიონში ვბრუნდები, ვენსან პერეზის ფოტოების გამოფენის ვერნისაჟისთვის. მატარებელში ყოფნას სიმშვიდე მოაქვს. ვაგონი თითქმის ცარიელია და მე დაგვიანებით ვეცნობი მესიჯებს, იმეილებს, ფოსტას. ნაშუადღევის ბოლოსკენ გავივლი საფრანგეთს, რომელიც მკის მოლოდინშია. მოჩანს ბურგუნდიის ხეობებში მიმოფანტული ულამაზესი ჯოგები. ლუმიერის ინსტიტუტის ფოტოგალერეა მასპინძლობს ამ შვეიცარიელი ბიჭის ძალიან პიროვნულ გამოფენას, რომელიც ადრე ფრანგული კინოს ლამაზ ბიჭად იყო აღიარებული – მან ჯერ შეროს თეატრალურ ექსპერიმენტებში მიიღო მონაწილეობა ნანტერში, შემდეგ კომერციულ კინოში გადავიდა, რომელიც დიდად არ აინტერესებდა. ერთი წლის წინ ერთად ვსადილობდით, როცა შეროს სიკვდილის ამბავი გავიგეთ. მას სახე უცებ წაეშალა.

ხუთშაბათი, 11 ივნისი

სააგენტო „ფრანსპრესის“ კინოჟურნალისტებს სურთ გაიხსენონ „ჩემი დამოკიდებულება სოციალურ ქსელებთან“. ალბათ ფიქრობენ, რომ მონახეს რაღაც რაკურსი იმ რამდენიმე სიტყვის დახმარებით, რომლებიც თვითონვე მონიშნეს „ფილმ ფრანსესთვის“ მიცემულ ჩემს ინტერვიუში. არ არსებობს სხვა რაკურსი. დიდი ფილოსოფოსობა არ სჭირდება იმის მტკიცებას, რომ სოციალურ ქსელებს ზოგჯერ შეუსაბამო და უხამსი მანიპულაციის საგნად აქცევენ ხოლმე, იქამდეც კი, რომ ბოლოს ისმის კითხვა: რაში სჭირდებათ ეს ადამიანებს, საკუთარი ლამაზი სახეების გასაშიშვლებლად? რაც საწინააღმდეგო შედეგს იძლევა ხოლმე. შეგიძლიათ ჩემი აზრი შეამოწმოთ ვაროლის წინასწარმეტყველებით, რაც თანამედროვე ცნობადობის ეფემერულ ხასიათს ეხება. სხვა ყველაფერზე თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი ცხოვრება არ შეცვლილა სოციალური ქსელების გავლენით.

– თავისუფლად შეიძლება ვიფიქროთ, რომ პირიქით მოხდა. თუმცა უნდა დავძინო, რომ ტვიტერი და ინტერნეტი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი თანამედროვეების იუმორი ხალხისთვის უცნობი დარჩებოდა. სოციალური ქსელების წყალობით დიდად ვიხალისე, როდესაც ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ეს ტვიტი წავიკითხე: „ძალიან სამწუხაროა, რომ ევა გრინს და ევა ჟოლის არ შეუძლიათ გამოიცვალონ გვარები“.

პარასკევი, 12 ივნისი

შორიდან კანი შთაბეჭდილებას ახდენს. ახლოდანაც. კანი მომაჯადოებელი მანქანაა. ჟილ ჟაკობმა ერთხელ მითხრა: „თქვენ აქ მოგეწონებათ, ნახავთ თუ არა“. მომეწონა და არ მომბეზრებია, ისევე როგორც მას ჩემამდე. ხშირად მეუბნებიან: „ალბათ რა მაგარია ასეთი რამის ხელმძღვანელობა...“ ჯერ ერთი, მარტო სულაც არ ვხელმძღვანელობ, კანი – ეს არის პრეზიდენტი (ამიერიდან უკვე პიერ ლესკური), 25-კაციანი საბაზისო გუნდი და 1500-კაციანი საბრძოლო დანაყოფი, რომელიც იმყოფება ვითარებაში „ლა კრუაზეტი თავს ესხმის“. ეს

არის დიდი გამოცდილების მქონე ორგანიზაცია, რომელიც შედგება მობილიზებული და ულტრაკომპეტენტური ხალხისგან. „კი, მაგრამ, ალბათ ეს მაინც მაზალოა, არა?“ კი, ალბათ მაინც. ყოველთვის მეგონა, რომ რუასის აეროპორტის ხელმძღვანელობაც ალბათ მაზალოა.

ნაშუადღევს ბაიონისკენ მივდივარ, სადაც პირველად იმართება ფესტივალი „კულტურა სპორტზე“. ეს არის მონათესავე ფესტივალი ჩვენ მიერ სამი წლის წინ ლუმიერის ინსტიტუტში დაარსებული ფესტივალისა „სპორტი, ლიტერატურა და კინო“. გახსნის საღამო გრანდიოზული იყო, მაგრამ წვიმამ ყველაფერი გააფუჭა ქალაქის არენებზე. მე უნდა ვაჩვენო ლუმიერების ფილმი სპორტზე, ინსტიტუტმა გვათხოვა რაიმონ დეპარდონის ფოტოების ექსპოზიცია ოლიმპიურ თამაშებზე. აქ არიან აგრეთვე რემონი და კლოდინ ნუგარე, რომლებიც ამ რეგიონში იღებენ ფილმს საფრანგეთზე, რომელსაც დაერქმევა „მოსახლეობა“. ჯერ მარტო სახელწოდება მოგანდომებს ფილმის ნახვას.

შაბათი, 13 ივნისი

კანი, 2015 (გაგრძელება). ჟიური: თავმჯდომარეები – ჯოელ და ეტან კოენები (აშშ), როკია ტრაორე (მალი), სოფი მარსო (საფრანგეთი), სიენა მილერი (ინგლისი), როსი დე პალმა (ესპანეთი), ქსავიე დოლანი (კანადა), ჯეიკ ჯილენელი (აშშ), გილერმო დელ ტორო (მექსიკა).

ჟიურის წევრებს მგონი ერთმანეთი შეუყვარდათ და გულთბილი იმეილებით ურთიერთობენ. ვამაყობ, რომ მათი ადრესატი მეც ვარ. თუმცა საერთოდ ვერ შევძელი ამ ჯგუფში ფეხის მოკიდება. ჯგუფის ერთიანობამ განაპირობა დებატების მაღალი ხარისხი და ერთად ყოფნით გამოწვეული სიამოვნება. გამიხარდებოდა მათთან ერთად მემსჯელა, მაგრამ ამას არ ვაკეთებდით. თხუთმეტ დღეს ვატარებთ ერთად, ყოველ დილით ერთმანეთს გადავკოცნით, ზოგჯერ საღამოსაც ვხვდებით, მერე კი ეს ყველაფერი ქრება. ჟიურის წევრები თავშეკავებულად იქცევიან, არ ეტყობათ არც რაიმეს მოწონება, არც უარყოფა. ჰო, თავშეკავებულები არიან. საკუთარ მახეში ვებმებით – კონფიდენციალობის დაცვასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ათასგზის

ნათქვამი უკანვე გვიბრუნდება და ჟიურის სათათბირო ოთახის კარი ფესტივალის დირექციას ცხვირწინ გვეხურება. ზოგჯერ, საღამოობით, როდესაც ისინი კიბეებზე ამოდიან, ვცდილობ მათ თვალებში ამოვიკითხო, რას ფიქრობენ, რას გრძნობენ, რა მოსწონთ. არაფერი გამომდის. ალექსანდერ პეინი, რომელთანაც მრავალი წელია სინეფილური მუდმივი დიალოგები მაქვს, 2012 წელს ჟიურის წევრი იყო; და ასე ცოტა არასოდეს გვილაპარაკია ერთმანეთთან, როგორც მაშინ. ვნახე, როგორ ღრიალებდნენ ის და ემანუელა დავოსი რაღაც ფილმის გამო, რომელიც არ მოეწონათ. ამან გამაღიზიანა და საერთოდ აღარ მომინდა, უფრო მეტი გამეგო ფილმზე.

2015 წლის პალმარესი:

„ოქროს პალმა“: ჟაკ ოდიარის „ტამული“

გრან-პრი: ლასლო ნემეშის „საულის ვაჟი“

პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის: ჰოუ სიაო-სიანის ფილმი „მკვლელი“

ჟიურის პრიზი: იორგოს ლანტჰიმოსის ფილმი „კიბორჩხალა“

პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის: ვენსან ლინდონი, სტეფან ბრიზეს ფილმში „ბაზრის კანონი“

პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის: ემანუელ ბერკო, ფილმში „ჩემი მაივენის მეფე“; რუნი მარა, ტოდ ჰსიენის ფილმში „ქეროლი“

პრიზი საუკეთესო სცენარისთვის: მიშელ ფრანკო, ფილმი „ქრონიკა“

ჩვენ (ფესტივალმა) „საპატიო ოქროს პალმა“ ანიეს ვარდას მივანიჭეთ.

ჟიურიმ, რომელზეც ითქვა, რომ ჩვენ მიერ შერჩეულ ფრანგულ

ფილმებს იწონებდა, ასეთი პრიზები გასცა. ჟიურიმ გააკეთა ის, რაც უნდოდა. პრესკონფერენციაზე, რომელიც ცერემონიას მოჰყვა, ეტან კოენმა (რომელიც დისკუსიის დროს არ დამჯდარა და თითქოს უკეთ ფიქრისთვის გამუდმებით ბოლთას სცემდა) ყველაფერი ასე შეაჯამა: „ჩვენ ცხრანი ვიყავით და ჩვენი არჩევანი გავაკეთეთ. სხვა ცხრა ადამიანი ალბათ სხვანაირად მოიქცეოდა“. უკეთესად ვერ იტყვი. მისმა ძმამ კი, რომელსაც უთხრეს, ჟურნალისტების პროგნოზები ვერ გაამართლეთო, ასე უპასუხა: „იცით, რა? ჩვენ ჟურნალისტები არ ვართ“.

კვირა, 14 ივნისი

„ლუმიერი! კინოგამომგონებელი“ – ამ გამოფენას პარიზის „გრან-პალე“ მარტის თვიდან მასპინძლობს და დღეს მისი ბოლო დღეა. მე და ჟაკ ჟერბე გამოფენის კომისრები ვიყავით. გული მწყდება, რადგან ეს იყო ლამაზი თავგადასავალი. ჩვენ – ჟაკმა, ჟულიეტ რაჟონმა, ნატალი კრინიერმა, ჰარუ ბეზჟიანმა, მარჟორი ლეკუენტრმა და პოლ კლუზელმა ერთად თვეები გავატარეთ, რაც არასოდეს დამავიწყდება. უზომოდ მეამაყება, რომ შევესწარი ლუმიერის ინსტიტუტის გუნდის დიდი ნაბიჯებით წინსვლას – შეძლო და ამ პროექტს შეეჭიდა, რაშიც მხარდაჭერა მიიღო „გრან-პალესა“ და ეროვნული კინოცენტრისგან; მეზეიმებოდა, როცა ვხედავდი ლუმიერის გვარს პარიზის ამ ლამაზი შენობის ფრონტონზე. ერთი საუკუნეა გასული მას შემდეგ, რაც ლუიმ და ოგუსტმა წარმატებას მიაღწიეს პარიზში 1900 წელს გამართულ მსოფლიო გამოფენაზე. დღევანდელი გამოფენის მოწყობა, რა თქმა უნდა, ფინანსურ რისკსაც შეიცავს, რადგან ჩვენი ინსტიტუტის გასასტუმრებელია გამოფენისთვის გამოყოფილი ფული, მაგრამ მასშტაბურად მივუდექით და საყვარელი სამუშაო შევასრულეთ (labor of love), ერთგულება გამოვიჩინეთ, მოვალედ ვიგრძენით თავი. სხვა მასპინძელ ქალაქებსაც მოვნახავთ მთელ მსოფლიოში და გავაგრძელებთ ამ კეთილშობილურ საქმეს. მოვამზადებთ ლუმიერის ზეიმის შემდეგ ეტაპს: 114 რესტავრირებული ფილმისგან შექმნილ დოკუმენტურ ფილმს, რომელზე მუშაობასაც მაელ არნოსთან ერთად ვაპირებ.

ჯეიკ ჯილენაალი პარიზშია, მას უნდა ჩემთან ერთად ისადილოს, მაგრამ ვერ ვახერხებ მისვლას. სამწუხაროა, რადგან ძალიან მესიამოვნებოდა მასთან ჯერ კიდევ ფესტივალის დროს დაწყებული საუბრების გაგრძელება. ის იყო ყურადღებიანი და სასიამოვნო. ერთ რამედ ღირდა მისი და გილერმო დელ ტოროს დუეტის ყურება. პირველი შეკრებისას, ფესტივალის გახსნის წინა დღეს, ჟიურის წევრებს ვუხსნით პრიზების მინიჭების წესებს, ჩვევებსა და რაობას. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ამისთვის არიან აქ. ჟიურის კარგი წევრი ის არის, რომელიც პრიზებს გადასცემს (სხვა ფესტივალებზე ისეც მომხდარა, რომ ჟიურის პრიზები არ გაუცია, უბადრუკი სელექციის გამო და ამ გზით გაუპროტესტებიათ ცუდად შერჩეული ფილმები, – მე რომ ეს დამემართოს, თავს მოვიკლავ, პირდაპირ სასახლის სახურავიდან გადმოვხტები). საკონკურსო ფილმების სიას ვუყურებდით და ამ დროს გილერმო და ჯეიკი ჟუსტენ კურზელის „მაკბეტზე“ შეჩერდნენ, რომელშიც მარიონ კოტიარი მონაწილეობდა („მზადაა პრიზი საუკეთესო სცენარისთვის“ – წამოიყვირა ორივემ ერთად შეცბუნებული ჯოელ კოენის წინაშე. „მე კი არა, შექსპირია საუკეთესო სცენარისტი!“

ორშაბათი, 15 ივნისი

ქარივით შევიჭერი ლიონის ქუჩაზე მდებარე ჩემს ბინაში. ათეულობით DVD ყრია იატაკზე, სასელექციო პროცესის ბოლო ნაშთები. ეს ყველაფერი უნდა წავიღო სამსახურში, საიდანაც მათ დაუგზავნიან პროდიუსერებს ან მაკრატლით დაჭრიან. ყოველთვის არის გაურკვეველი წარმომავლობის ერთი DVD მაინც, პლასტმასის ყდით, ხელით წაწერილი სათაურით, ინგლისურად, ფრანგულად, ზოგჯერ არაბულად ან ჩინურად, რაც ერთ შესაძლო მოგზაურობას ნიშნავს. თუმცა, ყოველთვის არა, ასობით სრულმეტრაჟიანი ფილმი გვინახავს არაფრით გამორჩეული. მაგრამ ყველას ვნახულობთ, ქვეყნის, სტილისა და რეპუტაციის მიუხედავად. ასეთია სელექციის დემოკრატია: ნებისმიერი ფილმი, უცნობის მიერ გადაღებული, უცნობი ქვეყნიდან მოსული, საეჭვო ტექნიკურ პირობებში განხორციელებული, კომპიუტერით თუ

სმარტფონით შექმნილი, გინდაც სუპერ 8-იანით, სასელექციო კომიტეტებში უნდა ნახონ. 2002 წელს, ერთმა იაპონელმა მეგობარმა გამომიგზავნა თავისი მეგობრის ფილმი VHS-ზე გადაღებული. ვნახეთ და მოგვეწონა. ფილმს ეწოდებოდა Blissfully Your („თქვენი მონა-მორჩილი“). ან ფონტენმა და მისმა ჟიურიმ ამ ფილმს „განსხვავებული ხედვის“ პირველი პრიზი მიანიჭეს. ეს იყო აპიჩატპონგ ვირასეტაკულის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი, რომელსაც პირველად უნდა წარმოედგინა ტაილანდი კონკურსზე, ხოლო რვა წლის შემდეგ მისმა ფილმმა „ძია ბუნმი, ვისაც წინა ცხოვრებები ახსოვს“, „ოქროს პალმა“ მოიპოვა.

ლამაზი ფიქრები არ მტოვებს. ამჯერად იაპონელებზე, კორე ედასა და კავაზეზე ვფიქრობ. „კომპანია ვაინშტაინი“ აანონსებს აშშ-ში ტარანტინოს ფილმის ჩვენებას წლის ბოლოს, მაშასადამე, კანი უნდა დავივიწყოთ; „იურიული სამყარო“ ირგვლივ ყველაფერს ამსხვრევს. ჟოაშენ ტრიე ჩამოდის საკონკურსოდ ფილმით Louder than bombs („ბომბებზე მეტად ძლიერი“.)

ის მანამდე „განსხვავებულ ხედვაში“ აღმოვაჩინეთ ფილმით „ოსლო, 31 აგვისტო“. მან ასევე მომწერა: „თქვენმა ფესტივალმა მიმიღო, არ მიმატოვა და მიპატრონა პრემიერის საღამოს. თქვენ მომეცით შესაძლებლობა, თავი მეფედ მეგრძნო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ისედაც სუსტი კინოსთვის, რომელსაც ჩვენ ვქმნით; ეს უნიკალური მოპყრობაა. იცოდეთ, რომ ოსლოში მეგობარი გყავთ“.

სამშაბათი, 16 ივნისი

კიდევ ერთი მესიჯი მივიღე პიერ რისიანისგან. ეს არის მსოფლიო კინოს ჩრდილში მდგომი კაცი. „გამარჯობა, შე ძველო“ – ყოველთვის ასე იწყებს ხოლმე. – ეს დღეები შენთვის სიმშვიდე არ დამირღვევია და როცა მეტყვი, მაშინ ვილაპარაკოთ კანზე. არ იცი სრული სიმართლე ფილმების სელექციაზე, ვერ გიბედავენ ამის თქმას. ბევრი რამ ვიცი ამერიკელი მეგობრებისგანაც და შენ ეს უნდა იცოდე“. ყველაფერი იდუმალებითაა მოცული თავის დასკვნიანად.

„იცი, რომ შეგიძლია დამეყრდნო“. ნეტავ რას გულისხმობს? წმინდა წყლის რისიანული ნათქვამია. იგი ეშმაკურად იყენებს სატელეფონო cliffhanger-ის ჟანრს, რომ გაიძულოს დარეკვა. (cliffhanger - „ყველაზე საინტერესო ადგილას“).

ლუმიერის ფესტივალისთვის მზადება ძალას იკრებს. სიამოვნებით ვყვინთავ ჩემს ადრინდელ გატაცებებში, მახსენდება კინოს ისტორია, პირველი ფილმის ქუჩა, ინსტიტუტის გუნდი, ბერტრან ტავერნიე და ჩემი ძვირფასი ბერნარ შარდერი, ამ ინსტიტუტის პირველი დირექტორი, ვინც მე დამაკვალიანა; ასევე ძვირფასი რემონ შირა, რომელიც ერთ თვეში 93 წლის ხდება. მაელ არნოსთან ერთად ვხვეწ პროგრამას, ლესლი პიშო მეხმარება კომუნიკაციის საქმეში, სესილ ბურჟა – ფინანსებში, ჟულიეტ რაჟონი – კლასიკური ფილმის საბაზრო საკითხებში, ლორანს შურლო სტუმრებით იქნება დაკავებული, ხოლო მარგრიეტ სპიკმანი, ჩემი ასისტენტი – მიმდინარე საკითხებით. ეს ლიონელი ქალები ნიჭიერები და დასაფასებლები არიან, ისევე როგორც ლიონის „ოლიმპიკის“ ფეხბურთელი ქალები.

ბერტრანი ამზადებს დიდ დოკუმენტურ ფილმს ფრანგულ კინოზე. ამავე დროს, დაკავებულია სიახლეებით სავსე სპეციალური პროგრამის შექმნით იმავე საკითხზე, რაც მიეკუთვნება ჟანრს – „რას მაძლევს მოგზაურობა“. ჩემი ძვირფასი ლუსიენ ლოჟეტი მიგზავნის ინფორმაციას დიუვივიეზე, რომლის აღდგენილი ფილმების ჩვენებასაც ვგეგმავთ, რადგან სათანადოდ არ არის შეფასებული მისი შემოქმედება. გავმართავთ აგრეთვე კუროსავას იმ ფილმების რეტროსპექტივას, რომელთა რესტავრაციაზეც ზრუნავს „ვაილდ საიდ დისტრიბიუშენის“ ახალგაზრდა გუნდი. ისინი ირწმუნებიან, რომ ფილმების რესტავრაცია ოქტომბრისთვის მოესწრება.

ოთხშაბათი, 17 ივნისი

ფილიპ გარნიე: „კანი ასე დამამახსოვრდება: Aways in the minorities!“ (ყოველთვის უმცირესობები). ფილიპის სიძულვილი მოულოდნელად გამარჯვებული ფილმების მიმართ და მისი ისტორიული

გადახრა ლუზერებისკენ მართობს. მიუხედავად ამისა, ვერ დავმალავ, რომ წელს კანი ნეგატიურ ვიბრაციებში იყო გახვეული.

გაზეთ „ლე მონდის“ ჟურნალისტებს არც დაუფარავთ თავიანთი დამოკიდებულება. აპრილის შუა რიცხვებიდან, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთი რეჟისორი არ მიიღებდა მონაწილეობას კონკურსში, გაზეთებიდან მაშინვე ვიგრძენით ცუდი განწყობა. არცერთი ფილმი არ ჰქონდათ ნანახი, მაგრამ მხოლოდ რეჟისორის გვარი საკმარისია მათთვის, ვინც „ახალი ტალღის“ შემდგომი „კაიე დიუ სინემას“ დამფასებელია. ეს ჟურნალი, 1962 წელს შემუშავებული თეორიის თანახმად, ამტკიცებს: როცა არ არსებობს ფაქტები, რომლებიც დაამტკიცებდა ერთი ნაწარმოების უპირატესობას მეორეზე, მაშინ უპირატესობა ენიჭება ნაცნობობაზე დამყარებულ სუბიექტურ მოწონებას და არა კრიტიკულ მსჯელობას.

ორი კვირის შემდეგ, როდესაც სრულიად საწინააღმდეგო შეჯამება წარმოადგინეს, უკან არ წაუღიათ თავიანთი სიტყვები. კომპლიმენტები არ დაიშურეს „კენზენისთვის“ (კანის ფესტივალის პარალელურად მიმდინარე ფილმების შერჩევა, რომელიც 1946 წლიდან იმართება.), რომლისთვისაც ზოგი შექება მართლა ალალი და უსაყვედუროა (არა იმიტომ, რომ ზემოთ ნახსენები რეჟისორები წარმოადგინა, არამედ ორი-სამი მშვენიერი ფილმი დაასახელა, რომლებიც შეგვეძლო საკონკურსოდ დაგვეტოვებინა. ასეთები იყო „ფატიმა“ და „მუსტანგი“), ასევე შეაქეს „კრიტიკის კვირა“, რომელმაც ისარგებლა ვითარებით, როგორც შეეძლო. ოფიციალური კონკურსისთვის კი დაიშურეს შეწყნარებაც და შექებაც, „განსხვავებულ ხედვასაც“ ასევე მოექცნენ, თუმცა ეს უკანასკნელი ბოლო წლების წარმატებულ მოვლენად ფასდება.

მთავარი კი ისაა, რომ ოფიციალური კონკურსი ისევ და ისევ იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს, რასაც პარადოქსულად მოწმობს აღნიშნული ბრძოლები. სიახლე ის იყო მხოლოდ, რომ ინსტიტუციას დაეტაკნენ. შეტევა წამოვიდა „ლე მონდიდან“, რომელმაც 13 მაისს პირველ გვერდზე დაბეჭდა პირველი ასეთი სტატია – „წითელი ხალიჩა სპონ-

სორებისთვის“. აქვე გამოაქვეყნეს ფესტივალის პრეზიდენტის, პიერ ლესკურის კლიშე გადაღებული მკერავთან. ჟურნალს უნდოდა პიერის განსხვავებული ფოტო დაებეჭდა და ამ უკანასკნელმა ფოტოგრაფ იან რაბანიეს შესთავაზა გაჰყოლოდა ბუტიკში, სადაც თავისი ახალი სმოკინგი უნდა მოეზომებინა. ამას ის „კანალ+“-ის ძველი თავმჯდომარისთვის აკეთებდა, რომელსაც არაერთხელ მიუცია ბიძგი სხვადასხვა სისულელისთვის, მაგალითად, იუმორისტთა სატელევიზიო ჯგუფ „ნულებისთვის“ და ანტუან დე კონისთვის. ცხადია, ეს ყველაფერი უწყინარი ეგონა. მან, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ ეს ფოტო დაამშვენებდა გაზეთს, რომელიც შეეცდებოდა ყველასთვის ეჩვენებინა – რომ ფესტივალი კერძო პირთა ხელშია და რომ ისინი არ იშურებენ სმოკინგებს ხალხისთვის. ამას მოჰყვა მინიშნება იმაზე, რომ ფესტივალის პრეზიდენტი ცოცხალ ბილბორდად იყო ქცეული. ზღვარი გადაილახა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს ადამიანი პირველად გამოჩნდა ყოველდღიურ გაზეთში, ხარისხობრივად უფრო ელეგანტური იყო. ყველამ იცის, რომ გაზეთები არ ცოცხლობენ მხოლოდ მკითხველების სიყვარულით, რომ ისინი უხვად იყენებენ რეკლამას და უყოყმანოდ იმატებენ ახალ პარტნიორებს. მკითხველებმა ისიც იციან, რომ „ლე მონდმა“ შექმნა თავისი „ფესტივალი“, რომელსაც იგივე სპონსორები ჰყავს, რაც კანს. სტატიის ავტორმა ქალმა, რომელიც სამი მილიარდერისგან შედგენილ ჯგუფში შედის, ალბათ იფიქრა, რომ პრიორიტეტული იყო შებრძოლებოდა ფესტივალისთვის კერძო საწარმოების მიერ გაღებულ ფინანსურ დახმარებას, რაც ფესტივალს არსებობის საშუალებას აძლევს. ამ მილიარდერებს კი არასოდეს უთხოვიათ, სხვანაირად წარმართულიყო ფესტივალი. კულტურის დაფინანსების შემცირება და მხოლოდ სახელმწიფოს ამარად დატოვება ინტერესს იწვევს, მაგრამ ასევე საინტერესოა კერძო საწარმოების შემოსვლა კულტურის სფეროში. ცხადია, გამოძიების მოტივად ეს გამოდგება, მაგრამ არამც და არამც დაცინვა-ქილიკის საგნად.

ხუთი დღის შემდეგ, ნაწილობრივ თავისივე საგაზეთო სტატიების შეჯამებისას, „ლე მონდმა“ გადაჭარბებულად გაითამაშა შფოთვა

მომავლის გამო. ეს იმით გამოხატა, რომ მთელი ძალით შეუტია არა მხოლოდ ოფიციალურ კონკურსს, არამედ მთლიანად ფესტივალს: „თანდათანობით ფუფუნებისა და ფულის წარმოჩენას, პარტნიორებად ქცეული სპონსორების ჩარევას პროგრამაში (...) ამ წელიწადს წონასწორობა ადვილი შესანარჩუნებელი არ იქნება. ესეც სიმბოლურია მას მერე, რაც თავისი პოსტიდან წავიდა ჟილ ჟაკობი, რომელმაც ფესტივალი უმაღლეს დონემდე აიყვანა“. აქედან დასკვნა: „ახალ ტანდემს, პრეზიდენტ პიერ ლესკურსა და გენერალურ დირექტორს ტიერი ფრემოს, მოუწევთ აგვიხსნან, 2016 წელს ორიენტირის შეცვლა სპორტულ მოთელვასავით ხომ არ იქნება, თუ ვინმემ დაგეგმა“.

გაზეთს რომ არ ეზარებოდეს მორალურ საბურველში გახვეული ძველმოდური მლიქვნელობის გაფილტვრა, ეცოდინებოდა, რომ ფესტივალის ხელმძღვანელობის შეცვლა წარმატებული აღმოჩნდა. ეს ყველასთვის გასახარელი ამბავია, რადგან ბოლო მოეღო სასახლის ჭორებსა და ხელისუფლების მიერ დადგმულ თამაშებს. ერთი წლის წინ ერთხმად არჩეულმა პიერ ლესკურმა შესანიშნავად მოირგო ახალი სამოსელი. ის არის ასოციაციის ნამდვილი პრეზიდენტი, პოლიტიკური და დიპლომატიური ქცევით, რომელიც ემსახურება გუნდს. თავმდაბალია, მხიარული და სიტყვამოსწრებული, ერთი სიტყვით, მისი სახით ახალი სახე შემოვიდა ოჯახში. ხოლო ღონიძიების მსვლელობისას სრულიად დადასტურდა მისი სილაღე. მე ის წინასწარ გავაფრთხილე, რომ ექნებოდა მარტოობის მომენტები – ამას აუცილებლად გრძნობ, როდესაც ისეთ ორგანიზებულ სკაში ხვდები, როგორიც ფესტივალია. მაგრამ პიროვნული თვისებებისა და პირადი კავშირების მეშვეობით, აგრეთვე სხვებისთვის სამსახურის გაწევის სურვილის წყალობით, ის მალე დამკვიდრდა ჩვენ შორის და ბევრიც შეგვძინა. ერთი წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს 2015 წლის ივნისში, მისი პირველი ფესტივალის შემდეგ. მისთვის ნამდვილი პრეზიდენტობა ახლა იწყება, დიდი საქმეები გველოდება, მიუხედავად იმისა, რომ „ლე მონდს“ თვალში ვეჩხირებით. ამ გაზეთს, მას მერე, რაც „სექსუალური სკანდალისა და ყველას დასანახად გაშიშ-

ვლებული ტკბობის შესახებ“ გამოაცხადა, კანში მეტად შფოთიანი ღამეები დაუდგა. მანამდე მსგავსი არაფერი მინახავს.

ხუთშაბათი, 18 ივნისი

პირველი ფილმის ქუჩა ლიონში. ლუმიერის მეშვიდე ფესტივალისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. ბევრი ჟურნალისტია თავმოყრილი ლიონიდან, რონ-ალპის მხარიდან, პარიზიდან. ასევე ბევრი ადგილობრივი კოლეგაა კულტურის სფეროდან. ლუმიერის ქარხნის ანგარის ქვეშ ვართ, სწრაფად გადავყლაპეთ ყავა და კონდრიო (რონის მხარის ღვინო) და შევედით ინსტიტუტის დიდ დარბაზში, სადაც ნემსი არ ჩავარდებოდა. აქ მოსული იყო დასვენებული ხალხი, რომელსაც კინოს ამბები უშუალოდ შეეხებოდა საათნახევრის განმავლობაში, მოისმენდა კინომოყვარულთა შეფასებებს და პედაგოგიურ მოსაზრებებსაც. პატივი მივაგეთ სტუდია „გომონს“, რომელიც უკვე 120 წლისაა, მუსიკოს ალექსანდრ დეპლას, მექსიკელ კლასიკოსებს, ჟან იანს, გავიხსენეთ მისი ადგილი ფრანგულ კინოში სკეტჩებისა და სულელური შანსონის თანხლებით („თუ წახვალ და მიმატოვებ, მგონი მოვკვდები, თუ წახვალ და მიმატოვებ“). ტრიუმფალური აღტკინება მოედო დარბაზს, როცა გამოცხადდა, რომ ლუმიერის პრიზი გადაეცემოდა სკორსეზეს. ამას მოჰყვა კლიპი მისი ფილმების შესახებ, რასაც ფონად გასდევდა როლინგ სტოუნზის სიმღერები: Jumpin’ Jack Flash (ჯეკი, რომელიც ელვასავით ხტუნავს) და Street Fighting Man (ქუჩის მებრძოლები).

ფეისბუკსა და ტვიტერზე მართლა ტრიუმფალური შეხვედრა მოგვიწყვეს, ყველა თავის საყვარელ სკორსეზეს ფილმზე წერდა და ნაშუადღევს უკვე წამოვიდა მესიჯების ნიაღვარი, მათ შორის იყო ჟერარ კოლომბის შეტყობინებაც. სულ თავიდან, ლიონის მერს უნდოდა სცოდნოდა, ვინ გახდებოდა ლუმიერის პრემიის ლაურეატი, სანამ პრესა ამ ამბავს შეიტყობდა, დღეს უკვე აღარ აქვს ეს მოთხოვნა. „პირველ წელს, როცა გამოაცხადეთ, რომ კლინტ ისტვუდი იქნებოდა ფესტივალზე, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მეშინო-

და, ბოლო მომენტში არ გადაეფიქრებინა აქ ჩამოსვლა. ის კი ჩამოვიდა, მას მერე უკვე სრული ნდობა მაქვს თქვენი“.

პარასკევი, 19 ივნისი

გაღვიძებისთანავე კომპიუტერთან ვჯდები, ვაგრძელებ ტექსტის აკრეფას იმ ადგილიდან, სადაც გავჩერდი. წერტილ-მძიმეს დიდ ყურადღებას ვაქცევ, „იტალიკსაც“, გაუგებარ რაღაც ფრაზასაც, თავისუფლად ვექცევი თარგმანს, ვაკლებ რაღაც სიტყვას, ზოგ სიტყვას ტექსტში ვმალავ. მას შემდეგ, რაც დიდი წარმატებით მიიღეს „აქტ სუდში“ გამოცემული ბერტნარ ტავერნიეს „ამერიკელი მეგობრები“, „მაგნუმის“ დიდი ოპუსი დავარწმუნე, რომ ის უნდა დაბრუნებოდა ჟან-პიერ კურსოდონთან ერთად დაწერილ ნაშრომს „ამერიკული კინოს 50 წელი“; ეს იქნებოდა შევსებული და საბოლოო გამოცემა, რომელიც გადაიქცეოდა წიგნად – „ამერიკული კინოს 100 წელი“, მერე დაემატებოდა მუნჯი კინო – „ნაციის დაბადების ეპოქიდან“. ეს იყო უაზრო პროექტი, ძვირადღირებული და გასაგიჟებელი. არ უნდა დავთანხმებულიყავი, მაგრამ ბერტრანისთვის რას არ გავაკეთებდი. სულ ახლოდან ვუყურებ ჩემზე უფროსი ორი კინომოყვარულის კვლევისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის პროცესს, კრიტიკულ და ენციკლოპედიურ სამუშაოს.

რეჟის ვერნიე, ბრეტანიდან, რომელშიც ერთდროულადაა თავმოყრილი შემწყნარებლობა და დაუნდობლობა, ვინც სარკაზმითა და სიყვარულით აკვირდება ფრანგულ კინოს და თითოეული ფილმი ზეპირად იცის, ამბობს: „წელს ვერ ჩამოვედი კანში, მაგრამ არ მომეწონა იმ ხალხის პოზიცია, რომლებიც თითქოს კარნახობდნენ ჟიურის წევრებს „საუკეთესო პალმარესს“. ეს არ იყო ჟიურის თავმჯდომარისა და კანის ფესტივალის გემოვნების შესაბამისი გადაწყვეტილება. სწორედ ამაშია ფესტივალის სილამაზე და ინტერესი, რომ არის ფილმების „სადავო“ სელექცია და მოულოდნელი პალმარესი, რომელიც იწვევს დისკუსიას... ჩემზე კარგად იცი, რაც რჩება ფესტივალის და შესრულებული მისიის შემდეგ. არც მატეო გარონეს ფილმი მინა-

ხავს და არც გას ვან სენტისა, მაგრამ გამაოგნა ზვავივით წამოსულმა ქედმაღლურმა ზიზღმა, რამაც ისინი მიწაში ჩაიტანა... ამ ამბებს ჩვენი მომავალი საუბრებისთვის ვინახავ“.

შაბათი, 20 ივნისი

გუშინ საღამოს ელისეს სასახლეში „ბაზრის კანონის“ ჩვენება გავაცდინე. ეს ფილმი ფრანგულ ბოქს-ოფისში პირველ ადგილზე რჩება. ვერ დავრჩი ბავშვების, უიკენდის, დაღლილობისა და კიდევ სხვა მიზეზთა გამო. სახლში დაბრუნება მომინდა. „პრეზიდენტი გაგიგებთ“, – მითხრა ოდრი აზულემ, რომელიც პრეზიდენტის მრჩეველია კულტურის დარგში. სიამოვნებით ვიქნებოდი ვენსან ლინდონის, სტეფან ბრიზესა და კრისტოფ როსინიონის გვერდით, რომელიც პროდიუსერია, აგრეთვე მიშელ სენ-ჟანთანაც, რომელსაც ფილმების დისტრიბუცია ევალება. ამ დილას პიერმა გამომიგზავნა ესემესი: „გამარჯობა, ტიერი. იქიდან გვიან წამოვედით. ვენსანი თავის შვილებთან და მეგობრებთან ერთად სადილად წავიდა. ფრანსუა ოლანდი მხოლოდ 19 საათსა და 15 წუთზე მოვიდა, ბრატისლავიდან ჩამოვიდა. მერე იყო ჩვენება. ბოლოს, ყველა ტერასაზე გავიდა, დაახლოებით 2 საათი გავატარეთ იქ და ფილმზე ვლაპარაკობდით. ოლანდმა კანის მნიშვნელობაზე ილაპარაკა. ბოლოს მოგვმართა: „იჩქარეთ, რომ მოამზადოთ მილიონი ნახვა, რადგან ისევ გვაქვს ზრდა ამ საქმეში“. ხვალ 11-ის ნახევრიდან 12 საათამდე დაკავებული ვიქნები, დანარჩენ დროს, როცა გინდა, მაშინ დავუკავშირდეთ ერთმანეთს ტელეფონით“.

ზაფხულის ლამაზი საღამო შემერგო, დილით კი შარტრეზსა და ვერკორს შორის ამოწვერილმა მზემ ყველა სინანული დამავიწყა. სანანებელი ბევრი მქონდა. მე ის კაცი ვარ, რომელიც სულ სინანულშია. ზოდიაქოთი აღმავალი ტყუპები ვარ, რომელსაც თურმე ახასიათებს კლასიკური, მისთვის დამახასიათებელი ტანჯვა. ეს დაახლოებით იგივეა, მთელი დღე რომ ლურჯ ფერში ხატავდე ნახატს და თან ფიქრი გაწვალებდეს, წითლით ხატვა ხომ არ ჯობდაო. ასე ყოფნა ზოგჯერ არსებობას დამქანცველს ხდის, ხოლო სიყვარულში ამგვარი დამო-

კიდებულება საშინელებაა. და რადგან კანის ფესტივალის შემდგომი პერიოდი კითხვებითაა სავსე, სინდისის ქენჯნასაც მეტი რა უნდა. „სჯობს სიყვარულით მოკვდე, ვიდრე სინანულის გარეშე გიყვარდეს“, – ამბობდა ელუარი, რომელმაც თავისი სახელი მიანიჭა ჩვენს კოლეჯს მენგეტში. ზოგიერთს პირადად ვერ დავურეკე, რამაც მათ გული ატკინა, იმიტომ რომ მეგობრობა გვაკავშირებდა, რაღაც ამბავი ან ორმხრივი მოვალეობა გვაერთიანებდა. არიან სხვებიც, რომლებიც როლში შეიჭრნენ, მათი ფილმები კონკურსში რომ ვერ მოხვდა: „ის კი არ მეწყინა, რომ ჩემი ფილმი არ შეარჩიეს საკონკურსოდ, არამედ ის, რომ სელექციონერმა არ დამირეკა“. არასოდეს გამიგია, რომ კინომოღვაწეს, რომლის ფილმიც შეარჩიეს საკონკურსო ჩვენებისთვის, ჩემს სიჩუმეზე დაეჩივლოს. ბოლოს და ბოლოს, მე ველაპარაკები მას, ვინც თვითონ მელაპარაკება და ვპასუხობ მას, ვინც კითხვას მისვამს. რეჟისორთან დაწყებული საუბრები მასთანვე ჯამდება. თუ რეჟისორი არ მირეკავს, მოლაპარაკებები იმართება პროდიუსერთან, დისტრიბუტორთან ან გამყიდველთან. მაგრამ ვერანაირი მეთოდი ვერ შველის მეგობრობის ჭრილობებს. თუკი ვერ შეძელი ადამიანის გვერდით ყოფნა, ამ სინანულს გონება შემაწუხებელ ჩურჩულად გარდაქმნის. ეს მცირე ხმაური კი ღამღამობით ძილს მიფრთხობს.

კვირა, 21 ივნისი

მესიჯები გავუცვალეთ ერთმანეთს მე და ნიკოლ კიდმანმა – დღეს მისი დაბადების დღეა. დიდი ხანია, გულთბილი ურთიერთობა გვაქვს, რაც კანში ჩემი მოსვლისთანავე დაიწყო. 2001 წელს, რომელიც ჩემი პირველი ფესტივალის წელი იყო, ჟილთან ერთად, რომლის შესაძლო მემკვიდრედაც მასახელებდნენ, „მულენ რუჟი“ გახსნის ფილმად შევარჩიეთ. ნიკოლს იმხანად რთული პერიოდი ჰქონდა, მისი კარიერა საფრთხეში აღმოჩნდა მას მერე, რაც ტომ კრუზს დაშორდა. ბეზ ლერმანის ფილმის ტრიუმფალურმა ჩვენებამ ყველაფერი შეცვალა. ორ საათში ნიკოლ კიდმანი ისევ მსოფლიოში ცნობილი იყო და წითელ ხალიჩაზე ასვლით და განსაკუთრებით იქიდან ჩამოსვლით

დაუვიწყარი სანახაობა შექმნა. ეს არის მაგია და ეფექტურობა ლა კრუაზეტზე შექმნილი აზრისა, რასაც აყალიბებს სხვადასხვა კლიშეს სწორი დოზირება, ურყევი მისწრაფება და გადამწყვეტი მტკიცებულებები. ამავე დროს, ეს ერთგვარი თერმომეტრია ხალხის სიჯანსაღის შესამოწმებლად. ლა კრუაზეტის აზრი, ეს არის ფესტივალის უნარი, ფილმის ერთი ჩვენებით შექმნას ნაპერწკალი, რომელიც მსოფლიო კინოველზე დიდ ცეცხლს გააჩენს; რაც ერთი მეხის დაცემითა და კრიტიკული სულისკვეთებით ვინმე დებიუტანტს გასხივოსნებულ მომავალს შეუქმნის; რასაც საერთაშორისო პრესა ხვადასხვა ჟესტით უსასრულობამდე აიტაცებს; რაც გამოიწვევს იმას, რომ გაზეთებში დაწერილი ხოტბა, სიყვარულით სავსე კომენტარები და ხანგრძლივი ტაშის ხმა ექოდ გავრცელდება მთელ მსოფლიოში და გულის სიმებს შეურხევს კინომოყვარულებსა და მწარმოებლებს იაპონიაში, შვედეთსა თუ ავსტრალიაში.

კვირადღეა სოფელში. არდეშუაზში, რომელიც მოყვარულთა ყველაზე დიდი ველორბოლაა საფრანგეთში, წელს აღარ ვმონაწილეობ, სამაგიეროდ, პატივს მივაგებ მუსიკის ზეიმს და ვუსმენ დილანის გამორჩეულ სიმღერებს, რომელთა შორისაა Like a Rolling Stone (მოიწონე როლინგ სტოუნზი), რომელიც ამოღებულია ციკლიდან Bootlegs (კონტრაბანდა) და რომელსაც ის ბალადის სახით შლის, თითქოს მონტანას შტატის რომელიმე სოფლის ზეიმზე მღეროდეს შემცირებულ ვერსიას. როკის ისტორიაში დილანი ვალსის ყველაზე დიდი მოყვარულია.

ორშაბათი, 22 ივნისი

ალბერტო ბარბერა, „მოსტრას“ (Mostra del Cinema di Venezia, ვენეციის კინოფესტივალი) დირექტორი წერდა: „იტალიაში უკმაყოფილონი დარჩნენ, როცა გაირკვა, რომ ჩვენი სამი ფილმიდან არცერთი არ მოხვდა დაჯილდოებულთა შორის. ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა თვალი გადავავლე სააგენტო „ფრანს პრესის“ დეპეშებს. გაზეთი „ლა სტამპა“ წერს, რომ კოენებმა რამდენიმე სიტყვით ბოლო მოუღეს

„იტალიურ საკითხს“. გაზეთი „ლა რეპუბლიკაც“ საკმაოდ ანერვიულებული ჩანს, ხოლო მილანის „კორიერე დე ლა სერა“ წერს: „იტალიის მარცხი კანში. ყველა ჯილდო საფრანგეთმა მოხვეტა“. გეგონება, ჩემპიონთა ლიგის კომენტარებს კითხულობ. კონკურსში სამი იტალიელის მონაწილეობამ რაღაც დროით პოპულარული გამხადა იქ, იტალიაში. მაგრამ საფრანგეთში, როგორც ჩანს, მსაყვედურობდნენ ასეთ გულუხვობას: მორეტის ფილმის გამო, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა პრესის მხარდაჭერა; სორენტინოს ფილმის გამოც, რომელიც ფესტივალის მხრიდან ზედმეტად დაცულად მიაჩნდათ, რადგან სწორედ ამ ფესტივალზე აღმოაჩინეს ის („ოსკარი“ რომ ჰქონდა მიღებული საუკეთესო უცხოური ფილმისთვის, არაფერს ცვლიდა და კიდევ უფრო აუარესებდა მისადმი დამოკიდებულებას); და ბოლოს, მატეო გარონეს ფილმის გამოისობით, რომელიც არის ბაზილის ზღაპართა ზღაპრის გაბედული ადაპტაცია, ამბიციური რეჟისურით, რომელიც, ჩემი აზრით, ნამდვილად იმსახურებდა კონკურსში მოხვედრას. ამ ფილმის მიმართ კრიტიკა სრულიად გულგრილი აღმოჩნდა.

იტალიელები გაბრაზდნენ კიდევ იმიტომ, რომ ჟიურის შემადგენლობაში არ იყვნენ იტალიელები. ეს ნორმალურიც იყო, რადგან კონკურსში სამი ფილმი მონაწილეობდა ალპების მიღმა ქვეყნიდან. იტალიელებს კი სჯერათ – ერთი წევრი რომ მაინც ყოფილიყო იტალიელი, ჟიური ამგვარ არეულობას თავს აარიდებდა. ალბერტო ამას ასაბუთებს „ლა სტამპაში“ – იტალიელი ყოველთვის მოაპოვებინებს ხოლმე ჯილდოს თავის ქვეყანასო.

სამშაბათი, 23 ივნისი

ვუბრუნდები კანის შესახებ ნათქვამს, რომ თურმე ფესტივალმა გზიდან გადაუხვია, ანუ მის სპონსორებს. 16 აპრილს, ტრადიციული პრეს-კონფერენციის დროს, როცა უნდა გამართულიყო კანის ფესტივალის 2015 წლის გამოშვების პრეზენტაცია, პიერმა, ფესტივალის პრეზიდენტმა, სათანადოდ გამოპრანჭულმა, როგორც ჟილის მემკვიდრეს შეეფერებოდა, მადლობა გადაუხადა კერძო პარტნიორებს და ეს თავისებუ-

რად გამოუვიდა. ახალგაზრდული რწმენითა და ურყევი ლოგიკით განაცხადა – ერთი ფირმა წავა და სხვა მოვა, ეს არის კლასიკაო. მსგავსი რამ ხდება ყველა კულტურულ ინსტიტუციაში. აფიშებსა და ეკრანებზე არავისი ლოგო არ ჩანს, ეს უნიკალურია ამ მასშტაბის მოვლენისთვის; ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს „ოფიციალური“ პარტნიორები და გარკვეული რაოდენობა საზოგადოებებისა, რომლებიც ფესტივალით სარგებლობენ, რომ თავიანთი არსებობა ხილულად ამცნონ სხვებს. კანი არის ზოგადი ინტერესის საზოგადოება, რომლის ანგარიშებსაც აკონტროლებს კინოს ნაციონალური ცენტრი, კულტურის მინისტრი და ბერსი. (ასე უწოდებენ საუბარში ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს შემოკლებით, რომელიც ბერსის ქუჩაზე მდებარეობს.) დონის შესანარჩუნებლად ფესტივალს სჭირდება რესურსები, მაგრამ არ გვინდა კრიზისის დროს საზოგადოებრივი ფული გამოვიყენოთ. გაზვიადებულია კულტურის სამყაროს იმიჯი. იგი წარმოდგენილია განებივრებულ ბავშვად, რომელთანაც ყველა ვალშია. ჟილ ჟაკობი და პიერ ვიო, რომლებმაც კანის ფესტივალზე ფირმები შემოიყვანეს, დარწმუნებული იყვნენ, რომ კერძო სექტორის მხრიდან ფესტივალის ბიუჯეტის 50 პროცენტით დაფინანსება გონივრული იყო. მე და პიერ ლესკურმაც გავიზიარეთ ეს პოზიცია, მაგრამ ამ საკითხს ლესკური ისეთი აღმაფრენით მიუდგა თავისი პირველი საჯარო გამოსვლის დროს, რომ ყველამ გზიდან გადახვევად აღიქვა. არადა, არანაირი გადახვევა არ ყოფილა.

ოთხშაბათი, 24 ივნისი

პატარა ზეიმი გაიმართა კრისტიან ლუბუტენთან. იქ მელიტა ტოსკან დიუ პლანტიე აღნიშნავდა ნეერაჯ გაივანის „მაზაანის“ დაჯილდოებას, რომლის პროდიუსერიც თვითონ იყო. ამ ფილმმა მოხიბლა „განსხვავებული ხედვა“, თუმცა მერე არანაირი განსაკუთრებული ყურადღება არ დაუმსახურებია – კანის მაგიას ყოველთვის არ მოაქვს წარმატება. კრისტიან ჟენთან ერთად ბედნიერი ვარ, რომ ვაჩვენეთ ეს პირველი ფილმი, რომელშიც ასახულია განვითარებადი კონტინენტის წელში გამართვის პროცესი. ყველას ჰგონია, რომ ამ მოვლე-

ნას ექნება შემტევი ხასიათი. კრისტიანისთვის აზია მისი გულის რჩეული ტერიტორიაა. ინდური კინო, რომელიც ისტორიულად ერთ-ერთი მასშტაბურია, გამოდის დიპტიქიდან, რომელიც წარმოდგენილია, ერთი მხრივ, ბოლივუდის კომედიებით და, მეორე მხრივ, ბენგალიური საავტორო კინოთი (სატიაჟიტ რაი, რიტვიკ გატაკი, მრინალ სენი და ა.შ.). გამოჩნდა ახალი ურბანული თაობა, რომელიც უფრო სკორსეზესა და ლუმეს მხარეს იყურება. ჩვენ ვდგავართ ერთგვარი ახალი ინდური ჰოლივუდის წინაშე, რომელიც მომავალში ბევრს გვეტყვის ქვეყნის მდგომარეობაზე, პოლიციაზე, კორუმპირებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებზე, ახალგაზრდობის მომავლის მგზნებარე რწმენაზე. კამერებმა და სცენარებმა უკვე შეაღწიეს სახლებში და გვიყვებიან ოჯახების ტანჯვაზე, ქალებისა და მოზარდების პრობლემებზე. ეს ის ძველი ინდური ოჯახები არ არიან, რომლებსაც ვხედავდით „მუსიკის სალონში“, ესენი მუმბაისა და დელის მშფოთვარე ქალაქურ უბნებს ეკუთვნიან.

პრესის ერთი ნაწილი ყოყმანობს, არ იცის, რა გზა აირჩიოს: სხვისი აზრი გაიზიაროს თუ მორჩილად, მექანიკურად გაიმეოროს კოლეგების მოსაზრებები. „ლიბერასიონის“ ერთმა ჟურნალისტმა, რომლის აზრიც ალბათ ამაღელვებელი იქნებოდა, რომ არ ემუშავა საჯარო პირების მიმართ უხეშობით გამორჩეულ გაზეთში, რაღაც ისრები ისროლა ჩემი მიმართულებით – ამის მიზეზი ის იყო, რომ რეჟისორ მიგელ გომეშის ფილმი „ათას ერთი ღამე“ არ შეირჩა ოფიციალური კონკურსისთვის. მანამდე კი ლამის პროცესიც გამიმართეს.

დღეს პრემიერაა სამნაწილიანი ფილმისა „შეშფოთებული“, რომელიც ამავე რეჟისორმა გადაიღო. იგი დღემდე გაბრაზებულია ჩვენზე, რომ არ დავპატიჟეთ საკონკურსო ჩვენებაზე. მისთვის არანაირი შეურაცხყოფა არ მიგვიყენებია, უბრალოდ, ვფიქრობდით, რომ გომეშის ფილმის ადგილი „განსხვავებულ ხედვაში“ იყო. პროდიუსერებმა ჯერ კრისტიან ჟენთან, ჩემს მოადგილესთან, გამართეს დისკუსია, მერე მეც მომწერეს. ეს ნორმალური და ჯანსაღი რეაქციაა. სანამ მე მათ ვუპასუხებდი, უფრო სწორად ეჭვებს გავუფანტავდი, ისინი „კენზე-

ნის“ შეთავაზებას დათანხმდნენ. აღმოჩნდა, რომ ყოველი შემთხვევისთვის ფილმი მათთვისაც ნაჩვენები ჰქონდათ. ტრადიციულად, პარალელური სტრუქტურები არის გამოსავალი მათთვის, ვისაც ლა კრუაზეტზე მოხვედრა უნდა, დღეს კი ყველას უნდა ლა კრუაზეტზე მოხვედრა.

ფილმ „ტაბუს“ მერე, რომელიც მიგელ გომეშის არაჩვეულებრივი წინა ფილმია, იგი უკვე პრივილეგირებულ რეჟისორად არის აღიარებული და მექანიკურად, წინასწარვე, ნახვის გარეშე იციან, რომ მისი ფილმები შედევრებია. მაშასადამე, გულშემატკივრები უკვე მზად იყვნენ „ოლა“ დაეძახათ, ჩვენ კი იმედი გავუცრუეთ. თუ ფილმი კონკურსისთვის არ შეირჩა, იმას როდი ნიშნავს, რომ არ მოგვეწონა. ჩვენც წინასწარ შექმნილი აზრის მსხვერპლი აღმოვჩნდით, საბოლოო შედეგმა თავგზა აგვიბნია. მოუთმენლად ველოდით შედეგს: კინომოღვაწეები არ უნდა უჯერებდნენ მათს მაქებრებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ავტორიტეტული კინოჟესტით ეს ფილმი „განსხვავებული ხედვისთვის“ გადაგვეცა სანამ, ერთ მშვენიერ დღეს, ეს რეჟისორი ოფიციალურ კონკურსში არ ჩაერთვებოდა. მაგრამ ის შესანიშნავად გრძნობდა თავს „კენზენზე“, რომელიც უყოყმანოდ იღებს ხოლმე ასეთ ხალხს. „კენზენის“ წყალობით ფილმი კანში მოხვდა, ეს იყო მთავარი.

ხუთშაბათი, 25 ივნისი

სიამოვნებით ვხვდები ბენუა ჟაკოს. რამდენიმე წელია, რაც გვგონია, რომ ერთმანეთზე ნაწყენები ვართ (და ამას ერთმა გაუგებრობამაც შეუწყო ხელი – მისი ერთ-ერთი ფილმი კონკურსზე არ დაუშვეს). მას იმიტომ ჰგონია ასე, რომ მას გვერდით არ დავუდექი, მე კი ასე მგონია იმიტომ, რომ ის უსამართლოდ ფიქრობს ასე. კანის ფესტივალის ხელმძღვანელობას ხშირად ახლავს თან მსგავსი რეაქციები. მე და ბენუა ბედნიერები ვართ, თუმცა ხმამაღლა არ ვაღიარებთ, რომ სრული ურთიერთგაგებით ვეკიდებით გარკვეულ პრინციპებს და საერთო საყრდენები გვაქვს ფრანგული კინოს ისტორიასთან დაკავ-

შირებით. ეს უფრო ფასეულია, ვიდრე კანისთვის დამახასიათებელი პატარ-პატარა წყენა.

ორსონ უელსი დაიბადა 1915 წლის 6 მაისს კენოშაში, ვისკონსინის შტატში. ყოველთვის ვგიჟდებოდი კენოშას სახელზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში კინომოღვაწეთა დაბადების ადგილები გამოხატავს XX საუკუნის დიდ ამერიკულ ოცნებას: ლინჩი დაიბადა მისულაში, მონტანას შტატში, ალექსანდერ პეინი – ომაჰაში, ნებრასკის შტატში, ჰოვარდ ჰავკი კი – გოშენში, ინდიანაში. მოკლედ, ამ გაზაფხულზე უელსისადმი მიძღვნილი ზეიმი გვექნება, ლუმიერის ინსტიტუტი და ფრანგული სინემათეკა ამ ზეიმზე მისი ფილმების რეტროსპექტივას წარმოადგენენ, ოღონდ – სინქრონულად, რადგან მათი გაერთიანება ვერ მოხერხდა. უელსის ცხოვრებამ უფრო ფილმების სახსრების ძიებაში ჩაიარა, ვიდრე მათ გადაღებაზე ზრუნვაში. გასულ წელს, ტელურიდში, კოლორადოს შტატში ტომ ლუდიმ, გარი მაიერმა და ჯული ჰანსტინჯერმა გამართეს ფესტივალი, სადაც აჩვენეს „მეტისმეტია ჯონსონ“. ეს ფილმი იპოვა და აღადგინა პაოლო კერკი უზაიმ, იტალიელმა კინომკვლევარმა და „ჯორჯ ისტმენ ჰაუსის“ მეპატრონემ. ახალგაზრდა ორსონის პირველი ფილმის – „ნამდვილის“ პოვნა (გადაღებულია 1938 წელს, კონრადის პროექტამდე და ამერიკული ფილმების მწარმოებელი საწარმოს /RKO Pictures/ ნამდვილ დებიუტამდე) გამაოგნებელი აღმოჩნდა. არა კინემატოგრაფიული ხარისხის გამო, რადგან ეს სამოყვარულო ფილმი არანაირად არ მიანიშნებს იმ მეხის გავარდნაზე, რადაც წარმოჩნდა შემდგომში უელსის ფილმი „მოქალაქე კეინი“ (Sitizen Kane); „ნამდვილი“ ფასეული იყო იმით, რომ მასში გამოარჩიეს ისეთი რამ, რაც გულუბრყვილო, კოლექტიურ, გამომგონებლურ და თავისუფალ საქციელად შეფასდა. ეს არის დაშლილი ფილმი, რომელსაც აკლია სცენები და შესაბამისად, მათზე პაოლო გვიყვება.

ამ საღამოს ლუმიერის ინსტიტუტში უნდა წარვადგინო ფილმი „შანხაელი ქალბატონი“. ეს არის თამამი ფილმი, რომელიც გადაიღეს ბრწყინვალედ, ასეთი მანერით – შენ მიდი, მე მოგაწვები, რამაც შედეგად მოიტანა ფანტაზიისა და სასიყვარულო ცხოვრების თანამ-

დევი სევდის დამკვიდრება ეკრანზე. ინსტიტუტში შეკრებილებს კი მოვუყვები ამ ხუმრობას: კაცი შედის კინოში „მოქალაქე კეინის“ საყურებლად, რაც მას არ აქვს ნანახი. მებილეთე ქალი მიჰყვება მას ადგილამდე და მერე ხელს გაუშვერს ცოტაოდენი ხურდის მისაღებად. კაცი არ ინძრევა. მაშინ ქალი თავისი ჯიბის ფარნით ინათებს გაშვერილ ხელს, რომ მიახვედროს, რა უნდა. ის კი ისევ არ ინძრევა. გაბრაზებული ქალი მიუახლოვდება მას და ყურში ჩასჩურჩულებს: „როუზბად, ეს ციგაა“.

პარასკევი, 26 ივნისი

ნორმალური ცხოვრება ბრუნდება, მელანქოლიასავით, დრო ცუდად მიდის, სიურპრიზების გარეშე, დღეები ცუდად ორგანიზებულია. როგორც ჟიულ რენარი ამბობდა, ხოლო ენრიკე ვილა-მატასი ციტირებდა პარიზზე და ჰემინგუეიზე დაწერილი თავისი მრავალწახნაგოვანი წიგნიდან, „ცხოვრება ხანმოკლეა, მაგრამ ადამიანები ახერხებენ მოწყენას“. მელანი ლორანი მოდის პირველი ფილმის ქუჩაზე, რომ წარმოგვიდგინოს პირველი მონტაჟი ფილმისა „ხვალ“. იგი სირილ დიონთან ერთად გადაიღო, ხალხის დაფინანსებით, რისთვისაც ინტერნეტპლატფორმა იყო გახსნილი. დარბაზში არიან მისი ლიონელი „თანაპროდიუსერები“, ახალგაზრდები თუ ხნიერები. მათ მტკიცედ სწამთ ამ ეკოლოგიური ფილმის, ისევე როგორც იმ ოცნებისა, რომ ამ ფილმის არსებობასთან არიან დაკავშირებული. რადგან იქვე ვარ, გამოვდივარ კაბინეტიდან, რომ კომპლიმენტები ვუთხრა მელანის, ამაღელვებელ მსახიობს და მომავალ რეჟისორს, და პუბლიკას ვუჩვენო კლიპი ლუმიერის ფესტივალზე, სადაც მელანიმ ტარანტინო მოხიბლა იმით, რომ ნენსი სინატრას სიმღერის – Bang Bang-ის (ბახ, ბუხ, ამერიკული სიმღერა) კაშკაშა ვერსია შესთავაზა. „მოკალი ბილ“ (Kill Bill, ტარანტინოს ფილმი) ამ სიმღერას ახალი სიცოცხლე შთაბერა დღევანდელი ახალგაზრდობის გასახარად.

დილით გავიგეთ, რომ ვიღაც ტიპი, რომელმაც თავი დაეშის წევრად გამოაცხადა, ლიონიდან რამდენიმე კილომეტრში თავს დაესხა

ერთ კაცს და თავი მოაჭრა. მერე ამ საშინელი დანაშაულის ფოტო ინტერნეტში განათავსა, რაც საშინელებაზე ხელის მოწერების ადგილად იქცა. მოკლული მისი დამქირავებელი ყოფილა, მას ერქვა ერვე კორნარა (მინდა, მისი სახელი აქ ეწეროს). ის ხელმძღვანელობდა ერთ პატარა ქარხანას სენ-კანტენ ფალავიეში, რომლის გზებიც ზეპირად ვიცი. ახლობლების გულის გამგმირავი სიტყვები ზღვასავით მოედინება. ჩადენილი სისასტიკე გამომზეურებულია.

საღამოს, სოფი სედუმ, რომელიც „პატეს“ არქივში მუშაობს (განთავსებულია ფრანგული სინემათეკის ადმინისტრაციული საბჭოს შენობაში), საიდუმლოდ მითხრა – სერჟ ტუბიანას, რომელმაც ცოტა ხნის წინ 2015-2016 წლების სეზონის ზოგადი კონტურები გამოაცხადა, თურმე ყველა ადმინისტრატორისთვის მიუწერია თავისი გადაწყვეტილების შესახებ – როგორც ნავარაუდევი იყო, სამსახურიდან ორი წლის შემდეგ კი არა, ამ წლის ბოლოს მივდივარო. დეკემბერიც მალე მოვა. მგონია, რომ სერჟის ერთ-ერთი მეგობარი ვარ, ერთმანეთს ხშირად ვხვდებით, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამს.

შაბათი, 27 ივნისი

ისევ ვცდილობ იმ გზის აღდგენას, რომელიც ადრე ჩემს სახლამდე მოდიოდა. ახლა ის დაფარულია ველური და ურჩი ყვავილების ამონაყარით, ფიჩხით, ეკალბარდითა და ჭინჭრით. სამი ათეული წელია აქ არავის უვლია და ურჩმა ბუნებამაც თავისი ქნა, გზა გააქრო. ეკალბარდებში მოქცეული ბებერი ხეების დანახვამ მოგონებები ამიშალა. ამ საქმეში ჩემი ვაჟი ჟიული დამეხმარა. ამიერიდან ეცოდინება, რომ ადრე აქ მინდვრებს ამუშავებდნენ. გზის ორი მეტრის გასუფთავებას სულ სხვა სამყაროში გადავყავარ, ეს უფრო მაბნევს, ვიდრე ბოლო თვეებში ველოსიპედით გარბენილი ათასობით კილომეტრი.

ვურეკავ სერჟ ტუბიანას, უკვე დამშვიდებული და დაწყნარებული. მისგან კი მესმის: „მინდა სხვა რამეზე გადავერთო, დავუბრუნდე წერას, ემანუელასთან ყოფნით ვისარგებლო. ჩვენ გვინდა ერთად ყოფნა და ბრეტანში უფრო ხშირად შეხვედრა. სინემათეკაში თითქოს

ვიშრიტებოდი, ზოგჯერ თავს მარტოდ ვგრძნობდი. მომავალი სეზონი უკვე მზად მაქვს, ძალიან ლამაზი ჩანს, ამის შემდეგ წავალ“. ერთმანეთს შევხვდებით ახალი სამუშაო წლის დასაწყისში, სკორსეზეს პროექტით – სინემათეკა უმასპინძლებს სკორსეზესადმი მიძღვნილ დიდ გამოფენას. გაზეთი „ლობსი“ (Le Nouvel Observateur, შემოკლებით L'Obs.) გვამცნობს, რომ რემი ფლიმლენს, „ფრანს ტელევიზიონის“ პრეზიდენტს, ხელშეკრულება აღარ გაუგრძელეს და ის მალე დატოვებს თანამდებობას. გაზეთი წერს: „მას მერე, რაც გაიგო, რომ ამ დიდი დაწესებულების სათავეში აღარ იქნებოდა, ეს ადამიანი ფიზიკურად წელში გაიმართა, რადგან მძიმე ტვირთი უცებ სადღაც გაუფრინდა“. სერჟსაც ასევე მოეშვა გულზე ალბათ. ასეთი ამბები ისე სწრაფად ხდება, უკან მოხედვას ვერ ასწრებ. ძალიან დამენანა სერჟი.

კვირა, 28 ივნისი

ლიონის სატოლას აეროპორტიდან საღამოს 8-საათიანი რეისით ბოლონიაში მივფრინავ, დავესწრები „სინემა რიტროვატოს“ (Cinema Ritrovato, ყოველწლიური ფესტივალი, რომლის მიზანია ნაკლებად ცნობილი ფილმების პოვნა და აღდგენა.) მე-2 ფესტივალს. ერთი საათიც კი არ იყო გასული, რომ მდინარე პოს ველი გადამეშალა თვალწინ. სწავლულთა ბოლონია აქ არის, ჩრდილოეთი იტალიის გულში. მისი ქუჩები ქვაფენილითაა მოკირწყლული, ხოლო ტროტუარების ჩაყოლებაზე ყველგან თაღებია. ამ ქალაქს იდუმალი სილამაზე აქვს, რასაც ადვილად ვერ შეამჩნევ. ის არც იმ ბრწყინვალე სანახავი ქალაქების სიაშია, რაზეც ლაპარაკობენ ხოლმე, როცა ამ ქვეყანას ახსენებენ. მაგრამ, კლასიკური კინოს წრეებში ბოლონია დიდი ქალაქია, ისე როგორც ალბერტო ბარბერას ტურინი.

„ჩინეთეკა“ 1960 წელს დაარსდა, ხოლო 80-იან წლებში მას მეორე სუნთქვა შესძინეს. მისი ხელმძღვანელია ჯან ლუკა ფარინელი, რომელსაც მოუვიდა გენიალური იდეა, უარი ეთქვა კლასიკური გაგებით საჯარო არქივზე (სადაც მიმდინარეობს კონსერვაცია, ჩვენება, ისმის ქება და წუწუნი) და დააარსა ლაბორატორია „იმაჯინ რიტროვატა“

(L'Immagine Ritrovata) – კულტურული მემკვიდრეობისთვის მოამაგე ამ ჟესტს რაღაც ინდუსტრიულ-ეკონომიკური ასპექტიც შესძინა. აქ ფილმებს ამზადებენ სამომავლოდ, რაც ნიშნავს მათს გაციფრულებას. ამგვარად, იტალიელებმა ბოლონიას სინემათეკების მსოფლიო რუკაზე მიუჩინეს ადგილი, ახალი სიცოცხლე შთაბერეს ასობით ფილმს, ხოლო ჩარლი ჩაპლინის შემოქმედებას მიანიჭეს პლასტიკურობის ბრწყინვალება, რაც უფრო ადრეც უნდა ექნათ. თხუთმეტი წელია ამგვარ მომლოცველობას ვეწევით ბოლონიაში. მახსენდება ბერტრანის ემოცია, როცა მუნიციპალური თეატრის შენობაში ვნახეთ „დიდი ქალაქის ჩირაღდნები". ასეთი სილამაზის ნახვამ ის მოხიბლა და თან გააღიზიანა. „რა იდიოტები ვიყავით, – ლუღლუღებდა ის, – როგორი იდიოტები, რომ მოგვინდა მაგრები ვყოფილიყავით და საკუთარ თავს ვაიძულეთ, არჩევანი ჩაპლინსა და კიტონს შორის გაგვეკეთებინა". მან გაიხსენა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ 60-იანი წლების სინეფილებს ჩარლი ჩაპლინის მიმართ – ისინი ბასტერ კიტონს ამჯობინებდნენ, რადგან ეს უკანასკნელი იყო უფრო უიღბლო, ნაკლებად პოპულარული, ნაკლებად წარმატებული. ასეთად ახსოვთ ადრინდელი სინეფილია, რომელიც მხოლოდ კონფრონტაციაში მოიაზრებდა საკუთარ თავს: „მითხარი ვინ არ გიყვარს და გეტყვი, ვინ ხარ შენ" – ასეთი მიდგომა ჰქონდათ. კინოს სიყვარული გამოიხატებოდა მოწონებისა და ზიზღის ხალისიან თანაარსებობაში, გულუხვ ეპოქაში „ლე კაიეს" (Les Cahiers du cinéma, „კინემატოგრაფიული რვეულები") უფლება ეძლეოდა, უკუეგდო ბუნიუელი და კუროსავა, ხოლო „პოზიტივი" ასევე ექცეოდა ჰიჩკოკსა და გოდარს. დღეს ყველას ყველა უყვარს, ან არავის არავინ, უფრო კი, ყველას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია.

ჩაპლინის გარდა, „ჩინეთეკას" ლაბორატორიამ ბრწყინვალედ აღადგინა „სამოთხის შვილები", რიზის რამდენიმე ფილმი, მონიჩელის ფილმები და პაზოლინის ნამუშევრებიც. პაზოლინი აქაური იყო. ლუმიერის ინსტიტუტმა სწორედ ბოლონია, „ეკლერის" ლაბორატორიების კომპანიონი ლაბორატორია აირჩია ლუმიერის ფილმების

სარესტავრაციოდ. ლაბორატორიის მეპატრონემ დავიდ პოძიმ დაგვარწმუნა, რომ რესტავრაცია ციფრული ფორმატის 4k რეზოლუციით უნდა გაგვეკეთებინა.

ამას გარდა, „ჩინეთეკას“ აქვს „სკორსეზე“ და „ლუმიერი“ – ამაზე უკეთეს სტუმართმოყვარეობის ნიშანს ვერც კი წარმოვიდგენ. ზაფხულში, ყოველღამე, პიაცა მაჯორეზე, რომელსაც კურთხეულ ადგილად აქცევს სან-პეტრონიოს ბაზილიკა, ოთხი ათასი ადამიანი იკრიბება და ღია ცის ქვეშ უყურებს ფილმებს. ეს არის ევროპაში ყველაზე ლამაზი მოვლენა, ლოკარნოს, ლა ვილეტისა და მონპლეზირის ჩვენებებთან ერთად. ამ საღამოს პატივს მიაგებენ გარდაცვლილ ფინელ კრიტიკოსსა და ისტორიკოსს პეტერ ფონ ბაგს, რომელიც აკი კაურისმიაკის მსგავსად ფიქრობდა, რომ ტანგო ჰელსინკიში გამოიგონეს.

ორშაბათი, 29 ივნისი

ერთ წელიწადს, ბერნარდო ბერტოლუჩის ბოლონიაში შევხვდი ოჯახურ „ტრატორია კამინეტოში“, სადაც სტუმრებს ხანდაზმული მარია მასპინძლობდა. ბერტოლუჩი დავბომბე ათასნაირი შეკითხვით (ვკითხე დეპარდიესა და დე ნიროს ურთიერთობებზე „1900“-ში, მამამისის, ატილიოს ლექსებზე, ბრანდოსთან მუშაობაზე „უკანასკნელ ტანგოში“, მის დამოკიდებულებაზე იტალიის კომუნისტური პარტიის მიმართ, გოდარით მის უსაზღვრო აღტაცებაზე, რაც არასოდეს გამქრალა), ბერნარდო კი მომიყვა ამბავს ბილი უაილდერზე, რომელსაც კინოს ისტორიაში ყველაზე სასაცილო კაცის სახელით იცნობენ. ის ამავე დროს იყო უმაღლესი დონის სცენარისტი და რეჟისორი. უაილდერის მხიარულ ამბებს ვაგროვებ, მაგრამ ამისთვის ერთი სიცოცხლე ალბათ არ მეყოფა. 70-იან წლებში ბერტოლუჩი არის ლოს-ანჯელესში. მას ურეკავს დიდი მაესტრო და ეპატიჟება სადილზე. იმ დროს ბერტოლუჩი ახალგაზრდაა, იმედისმომცემი კინომუშაკი, რომელსაც გადაღებული ჰქონდა „რევოლუციის წინ (Prima della rivoluzione), „კონფორმისტი“ და „ობობას სტრატეგია“. რესტორანში ხვდებიან ერთმანეთს და ტრადიციული მოკითხვის შემდეგ გადადიან მენიუზე.

უაილდერი, როგორც ყოველთვის, მომნუსხავი მოსაუბრეა. მან შეუკვეთა სადილი და დაუფარავი მოუთმენლობით წამოიძახა: „ახლა კი ღვინის შეკვეთა მიიღეთ!“. იმ პერიოდში ბერტოლუჩი ალკოჰოლს არ ეკარებოდა და ამაზე ლაპარაკი არ სიამოვნებდა. „ახალგაზრდა, აბა, რა გირჩევნიათ, წითელი თუ თეთრი?“. ბერტოლუჩი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: „არც წითელი, არც თეთრი, ღვინოს არ ვსვამ“. „აბა, მაშ რას სვამთ?“ – ჰკითხა გაკვირვებულმა უაილდერმა. „მხოლოდ წყალს“. „ძალიან კარგი, რომელი წლის გინდათ?“

ჩემთვის ძვირფასია ფარინელისთან ყოფნა. ის ორმოცდაათი წლისაა, მხიარული იერით, ყველაზე ძველ მეგობრებსაც კი არასოდეს უნახავთ ულვაშის გარეშე, უყვარს ხმამაღლა ლაპარაკი, არაჩვეულებრივად საუბრობს ფრანგულად და მუდმივად ხარხარებს. ის უძღვება მისსავე ფესტივალს, იცის ყველაფერი, იცნობს ყველას და რაც მთავარია, მართლა ნახულობს ფილმებს, რომლებსაც ახალ სიცოცხლეს ანიჭებს. არც ისე დიდი ხნის წინ კინაღამ ყველაფერი მიატოვა და პოლიტიკაში წავიდა. ეს იქნებოდა ავანტიურა, რაც მე და რამდენიმე მეგობარმა გადავაფიქრებინეთ. ფილმების გაციფრულებაც ხომ პოლიტიკაა.

ჯან ლუკა „კან კლასიკის“ ხშირი სტუმარია. ეს სექცია ჩვენ 2004 წელს შევქმენით, რათა გვემასპინძლა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნავენ მთელ მსოფლიოში. წელს აღვადგინეთ „როკო და მისი ძმების“ ერთი ასლი, შარშან – როსელინის „შიში“, ხოლო სამი წლის წინ ლეონეს შენიშვნების მიხედვით მოვახდინეთ „რეკონსტრუქცია“ ფილმისა „ერთხელ ამერიკაში“, რომელიც სკორსეზეს ფილმის ფონდმა გამოუშვა. ნუთუ თავდაპირველ ვერსიას სჭირდებოდა სცენების დამატება, რაც ადვილი შესამჩნევია დამატებული ფირის წყალობით? ლეონეს ასე არ აუკინძავს თავისი ფილმი. მაგრამ სინეფილები ჰგვანან ხელოვნების ისტორიკოსებს, მათ სურთ ყველაფერი იცოდნენ ნაწარმოებებზე, ოცდაორწუთიანი დამატება აღვიძებს კომენტირების სურვილს. არსაიდან მოსული ეს სცენები ძალიან ლამაზია და იმის აღდგენა, რაც ლეონემ თავის სი-

ცოცხლეში გადაიღო (მან ძალიან ცოტა ფილმი შექმნა), უსაზღვროდ ამაღელვებელ შთაბეჭდილებას ახდენს.

სამშაბათი, 30 ივნისი

„პატეს“ სტუდიამ დიუვივიეს ორი ფილმი აღადგინა – „ლამაზი გუნდი“ და „დღის ბოლო“. პირველი ფილმი საყოველთაოდ ცნობილია, ის არის სახალხო ფრონტის კინოგანსახიერება თავისი სასოწარკვეთით, მეორე ფილმი კი უცნობია. ეს გულისგამგმირავი ნაწარმოები ეხება მსახიობების ასაკს. დიუვივიემ გამოიგონა გამოთქმა „მწუხრის ფილმი“. ეს ფილმები ახლებივითაა, ყველა ცას ეწევა სიხარულით, გარდა ტარანტინოსი, რომელსაც უყვარს 35-მილიმეტრიანი ასლები, რომელთაც აქვთ თავისი ისტორია. ის იტყვის: „პრობლემა სწორედ ისაა, რომ ახლებივითაა“. მაგრამ... ფილმები მასაც მოეწონება.

17 საათზე ვიღებ იმეილს ბერტრანისგან. ის მწერს ხელახლა ჩატარებული ბიოპსიის, სკანირებისა და სისხლის ანალიზის შედეგებზე. მესიჯის ტონი ხალისიანია. ტავერნიეს ნებისმიერ დროს შეუძლია ხუმრობა, აქვს ამის ფუფუნება. ის არ ასახელებს სიტყვას „კიბო“. მე კი ნაწერში, მგონი, ამ სიტყვას ვკითხულობ.

ივლისი

ოთხშაბათი, 1 ივლისი

გუშინ შუაღამისას მორჩა ფილმის ჩვენება პიაცაზე. გავისეირნეთ ბრწყინვალე ბოლონიაში. ღამით აქ შენობების ფერები იცვლება და დღისით უხილავი რამდენიმე ტერასა ფანჯრების ნახაზს და ფასადების ოქროს ფერს გამოჰკვეთს. ქალაქი კარს ხურავს, ხალხი მიდის დასაძინებლად, მაგრამ არა სტუდენტები, რომლებიც ესევიან სანტო სტეფანოს პიაცას, რომელიც ისევე ლამაზია, როგორც მთავარი ოპერატორის მიერ განათებული დეკორი. ქუჩები, სადაც მაელ არნოსთან

ერთად მივაბიჯებ ზაფხულის სიცხეში, მახსენებს ჯულიანო მონტალ-დოს ფილმს „ოქროს ზოდები“ (და ჯორჯო ბასანის რომანს), რომლის ღრმა სევდაც მეუფლება ახლა: ჰომოსექსუალი პროფესორის სიმარ-ტოვის ფონზე, ადამიანისა, რომელსაც სიბერე და სიკვდილი ელო-დება, განა ვინმეს აღუწერია ასე კარგად ფაშიზმის აღმავლობა და მტანჯველი კოლექტიური ბედისწერა? ეგ ფილმი ბოლონიაში კი არა, ფერარაში გადაიღეს, – მეუბნება ფილიპ გარნიე. მაგრამ ეს არაფერს ცვლის, საკმარისია დაინახო ქუჩა, სინათლე, დღის რაღაც მონაკვეთი და ფილმები მაშინვე ამოტივტივდება მეხსიერებიდან.

ბოლო წუთებს ვატარებ ბოლონიაში. დიდი ხანი დამჭირდა, რომ მეგრძნო ჩემი იტალია, თუ არ ჩავთვლით მოლტენის, ედი მერკსის გუნდს, რომელიც იყო ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი კინოგმირი. ჩვენს ახალგაზრდობაში გვიზიდავდა ესპანეთი და ალჟირში გავარ-დნა, საჰარა და აფრიკა. იტალია მოგვიანებით შემოვიდა ჩემს ცხოვ-რებაში. ამის ხელისშემწყობი აღმოჩნდა ფარნეზეს სასახლე რომში და ფრანგული სკოლის საზაფხულო არდადეგები, რომელიც იქ ერთ მეგობართან, ოლივიე ფარონთან ერთად გავატარე. კიდევ ეს წიგ-ნი: „ამიერიდან მეჩვენება, რომ როჟე იტალიაშია“. იგი გამოაქვეყნა ფრედერიკ ვიტუმ როჟე ტაიერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომელიც იყო ერთ-ერთი უდიდესი კრიტიკოსი მათ შორის, ვისაც კი ამქვეყნად უცხოვრია. ის წერდა „პოზიტივისთვის“ და გოდარი, რო-მელიც ჟურნალ „კაიეს“ მომხრე იყო, ხოტბას ასხამდა მას. და კიდევ პრემიერები „მოსტრას“ დროს... ახლა უკვე რეგულარულად ვბრუნ-დები იტალიაში, ვენეციაში, ტურინში, ბოლონიაში, რომში, ტაორმი-ნაში. არ ვარ ნამყოფი ნეაპოლში, ფრანჩესკო როსის ქალაქში, საი-დანაც არიან იტალიური კინოს ახალი თაობის წარმომადგენლებიც: პაოლო სორენტინო, ვალერია გოლინო, ვინჩენცო მარა, პროდიუსე-რები ნიკოლა ჯულიანო, ვიოლა პრესტიერი და ა.შ.

თვითმფრინავში ნეტარებით ვიხსენებ სინემათეკების სამყაროში გატარებულ ორ დღეს. შევხვდი მეგობრებს, როგორც ახალგაზრდებს, ისე ხნიერ ბუზღუნებს, ბუზღუნებს და უბრალოდ ძველი გვარდიის

წარმომადგენლებს. ლიონში მხოლოდ სამი საათი გავატარე და მაშინვე ტეჟევეში (TGV, Train à Grande Vitesse – ჩქარი მატარებელი) ჩავჯექი. პარიზში პაპანაქებაა და ეს ხვატი დანარჩენ საფრანგეთშიც ვრცელდება. ვხვდები პიერ ლესკურს სადილზე რესტორან „ლურჯი მატარებლის“ დიდებულ დეკორში. ახლოვდება ფესტივალისშემდგომი ადმინისტრაციული საბჭო და აშკარად ვგრძნობ, რომ ის მშვიდია და თავდაჯერებული. მივდივართ ლუდის დასალევად „ტალღოვან მექანიკაში“, შარონის ქუჩის ახლოს მდებარე კაფეში. აქ „ტურ დე ფრანსის“ მოახლოებასთან დაკავშირებით ჟურნალი „პედალი“ თავისი წლიური ნომრის გამოსვლას აღნიშნავს. ჩემი არ იყოს, პიერსაც შეუძლია ერთდროულად ილაპარაკოს ბად ფაუელსა და ფრედი მეიერთენსზე. ის მიყვება პროექტ მოლოტოვზე, ტელეარხების გადატვირთვის პლატფორმაზე, რომელიც ჟან-დავიდ ბლანთან, „ალო სინეს“ ავტორთან ერთად უნდა გამოუშვას გაისად. „ეს ჩემი გამდიდრების ბოლო შანსია“, – ამბობს სიცილით.

ბასტილიაზე გასეირნების შემდეგ ფეხით ვბრუნდები შინ. ისეთი სიცხეა, რომ ბოლომდე ზემოქმედებს ჩემზე, არაჩვეულებრივია. ქალაქის თავზე თითქოს უზარმაზარი რადიატორია და პარიზულ ღამეს სამხრეთის ქვეყნების ცხელი ქარი უბერავს. სანამ სახლში შევალ, მზერა ხალხისკენ გამირბის, რომელიც ლიონის სადგურის მოედანს შესევია. ირგვლივ ბევრი ტაქსია და მშობელი, რომლებიც შვილებს ელოდებიან, შეყვარებულებიც აქ არიან თავიანთი გულისსწორების დასახვედრად. ისევ ბერტოლუჩი გამახსენდა. ერთხელ, როცა ლოს-ანჯელესში იყო, ბრანდომ დაურეკა. ისინი ერთმანეთზე ნაწყენები იყვნენ მას შემდეგ, რაც „უკანასკნელი ტანგო პარიზში“ გადაიღეს. ეს ფილმი უამრავ ადამიანს ძალიან, ძალიან ძვირად დაუჯდა, მათ შორის ტრაგიკულ მარია შნაიდერს. მაგრამ ბრანდომ დაურეკა, შინ მიიპატიჟა, მალოლენდ დრაივის მთაზე. მისი ნახვა უნდოდა, მასთან ლაპარაკი და ბოდიშის მოხდა.

ხუთშაბათი, 2 ივლისი

დილის საუზმეს გეახლებით კაფე „ფლორში“ მწერლებთან, ბენუა ჰემერმანთან და ადრიან ბოსკთან ერთად. ჩვენ დიდი მიმართულებები მოვნიშნეთ სპორტსა და კინოზე მათი ლიტერატურული ჟურნალის ზამთრის ნომრისთვის, რომელსაც ეწოდება „სპორტზე“. ჟურნალი 2016-ის დასაწყისში გამოვა. პერსპექტივშია მესამე გამოცემა „სპორტის, ლიტერატურისა და კინოსი“, რაც მომავალი წლის იანვარში აღინიშნება ლუმიერის ინსტიტუტში. „ფლორიდან“ გამოსული, გვერდით მდებარე წიგნის მაღაზიაში შევედი და როგორც ყოველთვის, ბოლო სანტიმამდე დავხარჯე. ეს მზით განათებული და იმედისმომცემი დილა ჰგავს ყოველ დილას, რომელიც მე, ახალგაზრდა პროვინციალს სენ-ჟერმენ დე პრეზე გამიტარებია.

17 საათსა და 53 წთ-ზე სადგურის ბაქანზე ვბრუნდები. სამსახურიდან ბასტილიამდე ველოსიპედით მივედი, კანის ფესტივალის დამთავრებიდან ერთი თვე გავიდა და მაინც გაჭირვებით ვატრიალებ პედალებს. ლიონში, პერაშის სადგურზე 20 სთ 10 წთ-ზე ჩავედი. ვნახე მარკ ლამბრონი ენეს უბნის რესტორან „აბელში“, რომელიც არის შუა საუკუნეების ციხესიმაგრე შუაგულ ქალაქში. ბერტრანმა აქ გადაიღო „ერთკვირიანი არდადეგები“, აქ გადაღებული ფოტოები ამშვენებს ამ კოშკის ხის კედლებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ლიონელი „დედის“ სახლში სადილობდე. როგორც პარიზში მცხოვრები ყველა ლიონელი, მარკიც ცდილობს, მგზავრობისას გაცნობილ ხალხში აღმოაჩინოს იმ ქალაქის სითბო, რომელიც მისთვის არასოდეს გახდება უცხო. ჩვენი დიდი რომანისტი რენე ბელეტო ყოველთვის ამბობდა, რომ მას ლიონის დატოვება მხოლოდ იმიტომ მოუხდა, რომ მიმხვდარიყო, რამდენად ძვირფასი იყო მისთვის ეს ქალაქი და ბოლოს და ბოლოს წერა დაეწყო. სწორედ მას მერე, რაც მარკმა „ოქროს თავის“ პარკი დატოვა, დაწერა „ერთი სეზონი დედამიწაზე“, დაქრის მოგონება ლიონში გატარებულ ბავშვობაზე. წიგნში მჟღავნდება მუსიკის ისტორიის საუკეთესო ცოდნა. რესტორანში ვლაპარაკობდით დავიდ ჟილმურზე, ჯიმ მორისონზე და 70-იანი წლების ლიო-

ნელ მუსიკოსებზე, იმ პერიოდზე, როცა ლიონი როკის დედაქალაქად იყო აღიარებული („სტარშუტერი“, „ელექტრიკ კალას“, „მარი და ბიჭები“, „განაფულ“, ვიქტორ ბოსკის „პულსარი“ – ეს ის ჯგუფებია, რომლებიც ჩანდნენ შრომის ბირჟაზე და რომლებიც ტელეფონის გამოჩენამ დაამარცხა). მარკი ოცნებობს, რომ კლეპტონი ჩამოვიდეს აქ და დაუკრას სკორსეზესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე ოქტომბერში, მე კი დომინიკ დელორმის წყალობით ბილეთები ვუშოვე ჩიკ კორეას კონცერტზე, რომელიც ხვალ საღამოს ფურვიერში იმართება.

პარასკევი, 3 ივლისი

ეს დღეს ხდება, – მეუბნება პიერ ლესკური და ლუბერონის მატარებელში ჯდება; ის ალენ დე გრიფის გასვენებაში მიდის, უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად. ალენ დე გრიფი ავადმყოფობამ პარიზს დააშორა. პიერ ლესკური აღტაცებით მესაუბრება მასზე, დიდხანს ლაპარაკობს ადამიანზე, რომელიც სიმშვიდეს მხოლოდ ჯაზის მოსმენაში ნახულობდა. როგორც ლესკური ამბობს, მისი პატივისცემის ნიშნად კოლტრეინს უსმენს კაბინეტში, მერე კი – „არანჟუეს“ ჯაზურ ვერსიას ჯიმ ჰოლის შესრულებით. სოციალურ ქსელებში ვრცელდება ტექსტები დე გრიფის პატივსაცემად, ყველას ჰგონია, რომ მასთან ერთად გაქრება ტელევიზიაც გარკვეული გაგებით, რასაც დამატებით ამტკიცებს „კანალ+“-ის გაურკვეველი აწმყო.

„ლამის სასოწარკვეთილი ვარ, რომ ჩემი საქმეა ფილმების დაფინანსება, ხალხისთვის მათი შეთავაზება და ბოლოს, თავაწყვეტილი კრიტიკის გაცნობა, რომელიც ყოველთვის ეწინააღმდეგება იმას, რაც მოლოდინს სცილდება“, – წერს ჟან ლაბადი, რომელიც მიგზავნის ჟურნალისტებთან მისი საუბრის ასლებს. „კრიტიკა, რომელიც ანადგურებს ფილმს კანის ფესტივალის მსვლელობისას, შემდეგ კი ამას კიდევ უფრო მეტი სიამოვნებით აკეთებს ფილმის ეკრანზე გამოსვლისას, სარისკოს ხდის კანში ჩასვლას. ერთხელაც, დიდმა იტალიელმა კინომოღვაწეებმა შეწყვიტეს ვენეციის ფესტივალზე სიარული“. „პაქტის“ მეპატრონე ლაბადი არის პარიზისა და მსოფლიოს საუკეთესო

დისტრიბუტორი და პროდიუსერი! ის, რომ საფრანგეთი კვლავაც სამოთხეა საავტორო კინოსა და დამოუკიდებელი რეჟისორებისთვის, ლაბადის მსგავსი ხალხის დამსახურებაა, მათი შეუცდომელი ყნოსვის, შოკისმომგვრელი კულტურის, საპირისპიროთი დაინტერესების შედეგი. მათი შავი იუმორით, კინოსა და ზეიმისადმი სიყვარულით აიხსნება ბევრი წარმატება და „ოქროს პალმა“ (მორეტი, კამპიონი, ლინჩი და ა.შ.). დაძაბული ატმოსფერო, რაც იქმნება დამოუკიდებელ რეჟისორებსა და კრიტიკას შორის თითოეული ფილმის გამოსვლისას, როცა რეჟისორები სარისკო მდგომარეობას უქმნიან საზოგადოებას, ხოლო კრიტიკა ანგარიშს არ უწევს ამას, გუშინ არ დაწყებულა. ამ ბოლო დროს დაძაბულობამ მოიმატა და ლაბადი პირველი არ არის მათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ აღარ წავიდეს კანში, თუ კრიტიკის რისკი მოიმატებს. საჭიროა, რომ ეს ყველაფერი ჩაცხრეს.

საღამოს ვიღებ იქით-აქეთ ბილეთებს და პარიზისკენ მივდივარ ლეა სედუს დაბადების დღეზე, რომელთანაც ხშირი ურთიერთობა მაქვს. ეს მოიტანა არა მარტო „ადელის ცხოვრებამ“, არამედ მოსამზადებელმა პერიოდმაც, ფილმის გადაღებამ, კანის ფესტივალმა და მისმა შედეგებმა. ეს არის მსახიობი, რომელმაც იცის სცენარების კითხვა და როლების შერჩევა, უდავოდ გამოირჩევა კინოგემოვნებით და ამაზე იმ რეჟისორების ჩამონათვალიც მეტყველებს, რომლებმაც მისი ფილმოგრაფია შექმნეს. მაგრამ სამოდელო სფეროში გადაღებული ფოტოებით გონივრულად შედგენილი პროტოკოლისა და ფილმების პრომოების მიღმა ავანტიურისტისა და გადარეული ქალის ტემპერამენტი იმალება. მან ზეპირად იცის ბობი ლაპუენტის სიმღერა „სირცხვილი და ჟოლო“, რასაც ერთად ვმღეროდით კანის ფესტივალზე. მან სხვა ფრანგული სიმღერების ტექსტებიც იცის. ჩემსავითაა.

სენის მარცხენა სანაპიროს ერთი ჩიხის იდუმალ ბაღში ეს ლამაზი ბავშვი ეგებება სტუმრებს – ოჯახს, მეგობრებს, ფრანგული კინოს ახალგაზრდა წარმომადგენლებს, რომელთაც არასდროს შორდება, მაშინაც კი, როდესაც ახალ „ჯეიმს ბონდში“ იღებენ, არც მაშინ, რო-

ცა მონრეალში გზავიე დოლანის ფილმში მონაწილეობს, რომელსაც მომავალ წელს ვნახავთ.

გამოცხადებულია, რომ ამაღამ კვირის ყველაზე ცხელი ღამე იქნება. ჰაერის ტემპერატურა რეკორდებს ხსნის, პარიზში არ ვრჩები და ბოლო მატარებლით ლიონში ვბრუნდები. მატარებელი სავსეა დასასვენებლად მიმავალი ხალხით. ვკითხულობ ფილიპ სოლერსის „მედიუმს“, თან მერსედეს სოზას ვუსმენ. პერაშის სადგურიდან პირდაპირ შუნში გავიქცევი.

შაბათი, 4 ივლისი

სამუელ ბენშეტრიტი, „ასფალტის“ რეჟისორი, რომლის ფილმი სპეციალური სეანსით აჩვენეს, მწერს: „კანის წყალობით ჩემს ფილმს დიდი გასაქანი მიეცა... შენ სანახავად ლიონში ჩამოვალ... გისურვებ მაგარ „ტურ დე ფრანსს“ და კარგ ზაფხულს“. „ასფალტის“ ჩვენება გაიმართა სასახლის მეხუთე სართულზე, კონკურსისა და „განსხვავებული ხედვის“ ხმაურისგან მოშორებით, რაც ზოგჯერ ტვირთად აწვება ხოლმე შერჩეულ ფილმებს მიზანთა დიდი სიმრავლის გამო, ხოლო საზოგადოებრივ თვალთახედვას ამრუდებს. ასეთი გაუხმაურებელი ჩვენების გამო, ფილმის ორიგინალურობის წყალობით, პროდიუსერების – ივან ტაიებისა და ერიკ ემანის ძალისხმევით, აგრეთვე როლების არაჩვეულებრივი განაწილებით (იზაბელ იუპერი, გუსტავ კერვერნი, ვალერია ბრუნი ტედეში, მაიკლ პიტი), „ასფალტი“ კარგად მიიღეს. სამუელი დარწმუნებულია, რომ აკეთებს იმას, რაც მისი გასაკეთებელია, რომანებსა და ფილმებს კარგად უხამებს ერთმანეთს, გააზრებული აქვს, რომ გარეუბანშია დაბადებული და ეს მას პარიზის წრისგან განასხვავებს. ის თვალში საცემად ავლენს გენეალოგიის სიყვარულს, როდესაც საუბრობს ჟან-ლუი ტრენტინიანზე, რომელიც მისი ვაჟის, ჟიულის პაპაა. ამ ბავშვის სილამაზე და მისი ყოფნა „ასფალტში“ კვალს აჩნევს ფილმს.

მახსენდება ტრენტინიანი 2012 წლის მაისში, 66-ე ფესტივალის დახურვაზე, ემანუელ რივასთან ერთად. ისინი თან ახლდნენ ჰანეკეს,

რომლის შესახებაც უკვე ვიცოდით, რომ მეორე „ოქროს პალმას“ მიიღებდა. როდესაც ტრენტინიანი სცენაზე გამოჩნდა, სასახლის დიდი დარბაზი თითქოს შეცბუნდა. „მე ვიტყვი ლექსს“, – თქვა მან. ეს იგივე იყო, რომ 20-საათიანი ახალი ამბების წინ ვინმეს ლექსი წაეკითხა ტელევიზიით; დარბაზი კიდევ ერთხელ შეცბუნდა. მახსოვს, მაშინვე რენო ლე ვან კიმზე და „კანალ+“-ის სხვა გუნდებზე გავიფიქრე, რომელთაც ალბათ შეეშინდათ, მაყურებლებმა ტელევიზორები სხვა არხზე არ გადართონო. ყველას სუნთქვა შეეკრა. „მოკლე ლექსს ვიტყვი“, – თქვა ეშმაკურად ხანშიშესულმა მსახიობმა და ამით აჩვენა, რომ დარბაზისა და პუბლიკის გასაოცარი შეგრძნება ჰქონდა. სიჩუმეში მან თითქმის ჩურჩულით თქვა: „თუ ეცდები იყო ბედნიერი, ალბათ იმიტომ, რომ სხვას მისცე მაგალითი“. პრევერის ლექსი იყო. მაშინვე ყველამ ინანა, რომ ლექსი ასე მოკლე აღმოჩნდა.

კვირა, 5 ივლისი

ვინმემ იცის ოდესმე, რომელია მის ცხოვრებაში მთავარი შეხვედრა? სიყვარულს არ ვგულისხმობ, კინოზე ვამბობ. როდის ხდები სინეფილი? როგორ შემოიჭრება ხოლმე ხელოვნება ცხოვრებაში? ამ კითხვას ხშირად მისვამენ და ყოველ ჯერზე სხვადასხვანაირად ვპასუხობ. რამ გამოიწვია ეს ჩემში: ფილმმა, დარბაზმა, მსახიობმა, ფოტომ თუ აფიშამ? იქნებ ყველაფერი ეს განაპირობა დაუცველობისა და სიამოვნების ერთგვარმა ნაზავმა, რომელიც ჩემში მოზარდობის დასაწყისში გაჩნდა? მაშინ ვიგრძენი, რომ რაღაც შეიძლებოდა ჩემი ყოფილიყო, რაიმე ამბავი, რომელიმე საზოგადოება, მეხსიერება. ნანახი მქონდა როსელინის „სტრომბოლი“, გოდარის ფილმები, ეიზენშტეინის ფილმებიც, დრეიერის „ჟერტრუდი“, უაიმ უანდერსის „დროთა განმავლობაში“. მაგრამ, მახსოვს, რომ ჩემი ბავშვობის კინოს კარი გაიღო სერჯო ლეონეთი და ფილმით „ერთხელ დასავლეთში“. მისი ნახვა დიდხანს მეკრძალებოდა, რადგან 13 წლის არ ვიყავი. ეს ფილმი ნანახი არ მქონდა და ვაღმერთებდი. მაჩუქეს დისკი ამ ფილმის მუსიკით, რომელიც პირველად ბიძაჩემმა ჟან მუარომ მაჩ-

ვენა ტულენში. ამავე დროს, წაკითხული მქონდა მთელი ეს ისტორია „ტელე პოშის“ სერიით. ერთხელაც, როცა ვენისიეს უბანში მარსელ სამბას სახელობის ლიცეუმის მასწავლებლები გაიფიცნენ, ბავშვები ჯგუფურად წავედით ამ ფილმის სანახავად ლიონის ერთ-ერთ კინოდარბაზში, რომელსაც „ლე კომოედია“ ერქვა. მას შემდეგ ლეონე სულ არსებობს ჩემს სინეფილურ სიყვარულში. 2009-ში ლუმიერის პირველი ფესტივალი სწორედ მისი გამოსახულების დიდ ეკრანზე ჩვენებით გავხსენით ტონი გარნიეს დარბაზში. ერთი კვირის შემდეგ კი, ფესტივალის დახურვაზე, კლინტ ისტვუდმა წარმოგვიდგინა თავისი „კეთილი, უხეში, ბოროტი“. ხუთი ათასი კაცი უყურებდა ფილმს და როცა დასასრულისკენ უკვე ტიტრები გამოჩნდა, მათ ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს ფილმს.

უცნაურად ცუდმა რეპუტაციამ ხელი შეუშალა ლეონეს კინოს, განსაკუთრებით 60-იან და 70-იან წლებში. მას თითქოს იმიტომ ადანაშაულებდნენ, რომ მისი ფილმები წარმატებული იყო, არ მოსწონდათ მისი სტილი, შემწყნარებლური და ვულგარული, თუმცა ის იყო სადა და მეტად ახლებური, მაგრამ პურისტებს არასოდეს მოეწონებათ არც ზუმი და არც მსხვილი პლანი. მას ისიც დააბრალეს, ვესტერნის ჟანრი მოკლაო. კლინტიც მის გზას გაუყენეს. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მათ მოუწიათ კლინტ ისტვუდის გადარჩენა: ისტვუდმა შესანიშნავად შეასრულა თავისი მისია ფილმით „შეუბრალებელი“. ეს დიდი ტილო მან მიუძღვნა (უკვე დამღლელია სიტყვა მწუხრის ხმარება აქ) ლეონეს (და დონ საიჯელს, კიდევ ერთ მის მენტორს, კინომოღვაწეს, რომელიც ერთხანს მეორეხარისხოვნად მიაჩნდათ, დღეს კი ლუმიერის ინსტიტუტმა თაროდან ჩამოიღო მისი ფილმები და როგორც ტარანტინომ მითხრა, მათ ნიუ-ბევერლიში, მის საკუთარ დარბაზში უჩვენებენ).

ლეონეს შესახებ ბევრი ქაჯობა დაიწერა და როცა გამოვაცხადეთ, რომ 2009 წელს ჩვენ მას პატივს მივაგებდით, კიდევ აღმოჩნდა ერთი-ორი კაცი, რომლებმაც იმავე კლიშეებით გააგრძელეს საუბარი. დრომ თავისი ქნა და ძალდაუტანებლად გაკვეთილიც ჩაგვიტარა. იგივე მოხდა, რაც თავს გადახდა ტარანტინოს, რომელიც უკვე ხელ-

შეუხებელია, თუმცა, როცა გადაიღო ფილმები „ცოფიანი ძაღლები“ და „მაკულატურა“, მათ ბევრი უარყოფითი კომენტარი მოჰყვა, რაც დღეს აღარავის ახსოვს.

რა იცოდა ლეონემ კრიტიკული და კომპლექსური სტატუსის შესახებ? სიხარულს ჰგვრიდა თუ ტანჯვას? სულ ვფიქრობდი, რომ ცხოვრებაში ის ჰგავდა როდ სტეიჯერის პერსონაჟს ფილმიდან „იყო ერთხელ რევოლუცია“: არაფრისგან არაფრის მკეთებელი, „გამიშვით ყვავილებზე მოვფსა, ბანკი გავძარცვო და დავკავდე შვილებით“ – აი ასეთი ტიპი. ლეონე პირველად რადარებიდან გაქრა ამ ფილმის შემდეგ, 1971 წელს. მაშინ 40 წლის იყო. მან შექმნა კომეტებივით ვესტერნები, „სპა-გეტი“ (ვერ იტანდა, როცა ამ ჟანრს ვესტერნს უწოდებდნენ), რასაც დღეს დამნაშავის სიამოვნებით ვნახულობთ („ჩემი სახელია არა-ვინ“, „გენიოსი“, „ორი კომპანიონი“, „ზარი“). მერე ის კვლავ გამოჩნდა, როცა გადაიღო „ერთხელ ამერიკაში“ (როგორც კი გამოვიდა, ვნახე ლიონის კინოთეატრ „უჟესე კონკორდში“. საბედნიეროდ, მარტო ვუყურებდი ფილმს, არავის შევუწუხებივარ. ფილმის დასასრულს შემიპყრო მელანქოლიამ და დიდმა წუხილმა, რაც ჩემში მეგობრობასთან დამშვიდობებამ გამოიწვია). ფილმი 1984 წელს კანში წარმოადგინა. ეს ბუმბერაზი ადამიანი ისეთივე ხელოვანი იყო, როგორიც სხვები არიან – ციებცხელებიანივით ელოდა პრესის განაჩენს. ტოდ მაკარტი ამბობს, რომ ჰოვარდ ჰოუკსი, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში არაფერი გადაეღო, ხოლო მისმა „ფარაონების მიწამ“ საშინელი მარცხი იწვნია, საშინლად ღელავდა პირველ დღეს, „რიო ბრავოს“ გადასაღებ მოედანზე. ყველამ იცის, რომ „ფარაონების მიწა“ მისი ერთ-ერთი დიდი ფილმია. ხოლო ლეონემ კანში დიდი და უჩვეულო სევდა გამოხატა და სიბერეზე ალაპარაკდა. დღესაც მესმის მისი ხმა: „თქვენ ძალიან თავაზიანად ექცევით ახალგაზრდა კინომოღვაწეებს, იყავით თავაზიანები ხნიერებთანაც. მე თქვენ წინაშე გამომაქვს ფილმი და დებიუტანტივით მეშინია“. ეს მისი ბოლო აქტი აღმოჩნდა – რომში გარდაიცვალა, გულის შეტევით, რობერტ ვაიზის ფილმის ყურებისას. დავაზუსტებ, რომ ეს მოხდა 1989 წლის 30 აპ-

რილს. ლეონე ემზადებოდა სტალინგრადის ბრძოლისადმი მიძღვნილი ფილმის გადასაღებად. თავისი ბოლო ვიზიტისას, ჟან ჟილისა და ცხონებული პიერ ტოდესკინის მიერ გამართულ ანსის იტალიურ ფესტივალზე, ვრცლად გაგვიზიარა ფილმის თავდაპირველი გეგმა. მეც იქ ვიყავი და თვალს არ ვაშორებდი. კარგად მხოლოდ მკვდრებს ექცევიან, ხოლო ახალგაზრდებს ეზიზღებათ ხოტბა-დიდების მოსმენა, რადგან მხოლოდ მომავალი აინტერესებთ. ნეტავ, როგორ მიიღებდა ლეონე 2012 წლის 18 მაისს მკვდრეთით აღდგენილი მისი ფილმის – „ერთხელ ამერიკაში“ ჩვენებისას ატეხილ ოვაციას და დე ნიროს, ელიზაბეტ მაკგოვენის, ჯენიფერ კონელის, ჯეიმს ვუდის და ენიო მორიკონეს მხრიდან გამოვლენილ დიდ დაფასებას? ალბათ, საკუთარ თავს ეტყოდა – უნდა შეგეძლოს, თავი დააღწიო საკუთარ ტანჯვებს და დატკბე ცხოვრებით, და კიდევ იმით, რასაც ცხოვრება მიუძღვენი, მიუხედავად იმისა, ბევრი იტანჯე თუ არა ამ გზაზე და თუნდაც მარტო დარჩიო. მეჩვენება, რომ ბევრს ვლაპარაკობ კინოს ხალხზე.

ორშაბათი, 6 ივლისი

ლუმიერის ფილმები არასოდეს გამოსულა დარბაზებში, კინოს ასი წლისთავის აღნიშვნის დროსაც კი. ეს ანომალიაა და მალე გამოსწორდება, თუ ყველას ენერგიას გავაერთიანებთ და აღარავინ იჩხუბებს ამ თემასთან დაკავშირებით საკუთარი უპირატესობის წარმოჩენის გამო, რადგან სწორედ ამიტომ ვერ აღწევდა ეს კინოსასწაულები მაყურებლამდე. ახლა კი, ეროვნული კინოცენტრისა და მისი არქივების წყალობით, ასევე სინემათეკისა და ლუმიერის ოჯახის დახმარებით, ლუმიერის ინსტიტუტმა დაიწყო ფილმების აღდგენა. 1500 „კინემატოგრაფიული ხედიდან“, რომელთაგანაც თითოეული 50 წამამდე გრძელდება, ამოვარჩიეთ 150 ერთი ფართოფორმატიანი ფილმის შესაქმნელად. ეს იქნებოდა პირველი მოგზაურობა სამყაროში, რაც ასე კარგად აღწერა ანრი ლანგლუამ: „იყო დრო, როცა კინოს დანახვა შეიძლებოდა ხეებში, კინო ამოხეთქავდა ზღვიდანაც და ადამიანი ჯადოსნური კამერით ყველგან ჩერდებოდა, შედიოდა კაფეებში, სადაც

ყველა ეკრანი გვთავაზობდა ფანჯარას უსასრულობაში. ასეთი იყო ლუმიერის ეპოქა“.

კანიდან დაბრუნების შემდეგ რეგულარულად დავდივარ ნეიიში, იქ ვმუშაობ ახალგაზრდულ პოსტპროდუქციის საწარმოს ჯგუფთან, რომელსაც ეწოდება „სილვერვეი“. ლიონიდან სესილ ბურჟა და მაელ არნო ადევნებენ თვალს პროექტის დაფინანსებას. ეს უკანასკნელი დღეს მოდის ჩემთან შესახვედრად თავის ქველმოქმედ კინოსაწარმოში. ეს პერსპექტივა ვერასოდეს წარმოგვედგინა მე და ბერტნარს, დღეს კი მისით ანთებულია მთელი ლუმიერის ინსტიტუტი.

მახსენდება პრევერის მოკლე ლექსი, რომელიც ტრენტინიანმა შემოგვთავაზა. შემიძლია სანაძლეოს ჩამოვიდე, რომ ეს იყო პრევერის ლექსის – „პატერ ნოსტერ“-ის პირველი ოთხი ხაზი, რაც სკოლაში გამორჩეულად გვიყვარდა. კარგს ვიზამთ, თუ თავიდან დავიზეპირებთ დღევანდელ დღეს, ღმერთების მიმართ გაუთავებელი რევერანსების ეპოქაში:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
დარჩი მანდ,
ჩვენ კი მიწაზე დავრჩებით,
მიწაზე, რომელიც ზოგჯერ ასე ლამაზია“.

სამშაბათი, 7 ივლისი

ფესტივალის ადმინისტრაციის საბჭოზე ვიკრიბებით. პიერ ლესკური თავმჯდომარეობს. აქ დაახლოებით ოცდაათი კაცია, რომლებიც სხვადასხვა სექტორს წარმოადგენენ. ფესტივალი არის კერძო სამართლისა და საჯარო სარგებლობის მქონე ასოციაცია, რომელსაც აფინანსებენ: კულტურის სამინისტრო და ეროვნული კინოცენტრი, კანის მუნიციპალიტეტი, პროვანს-ალპ-კოტ დაზურის რეგიონი და საგარეო საქმეთა სამინისტრო. დაარსების დღიდან, გარდა 1939 წლისა (ომის გამო კანის ფესტივალი არ გაიმართა, რის გამოც ფესტივალის ფუძემდებელი ჟან ზეი დღემდე ვერ მოსულა გონს) და 1946 წლის წარმატებისა (ფილიპ ერლანჟეს წყალობით, რომელიც ხელმძღანელობდა

საგარეო საქმეთა სამინისტროში არტისტული გაცვლა-გამოცვლების სერვისს. ვგიჟდები სახელწოდებაზე „არტისტული გაცვლა-გამოცვლები“), კანი ყოველთვის იყო ეროვნული მიზნების ნაწილი და აღიარებული, როგორც ფრანგული კულტურის გვირგვინი. მაშასადამე, ადმინისტრაციული საბჭო მისი ვებერთელა მიზნების გათვალისწინებით არის მრავალწევრიანი. თითოეულს აკისრია თავისი ფუნქცია და კეთილსინდისიერება და ამიტომ საზეიმო იერი აქვთ, სასიამოვნოები ჩანან. მე პიერისგან მარჯვნივ ვზივარ, მისგან მარცხნივ ზის ეროვნული კინოცენტრის თავმჯდომარე ქალბატონი ფრედერიკ ბრედენი, ის, ამავე დროს, ფესტივალის ვიცე-პრეზიდენტია. ადმინისტრატორებს, რომლებიც შეუდარებელი არიან თავიანთ საქმეში და პირველი სიტყვა ეკუთვნით საბჭოში, ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოულოდნელი კითხვის დასმა. მაგრამ ჰორიზონტზე არანაირი ღრუბელი არ ჩანს. ლაპარაკი ჩამოვარდა საკონკურსო სელექციაზე, ითქვა მხოლოდ რამდენიმე „მომწონს“, „არ მომწონს“ და ბისტროს დამახასიათებელ დისკუსიაში არ გადაზრდილა. ზოგიერთმა ბრძენმა, რომელთა შორისაცაა „უჟს“-ს მეპატრონე, ჩააცხრო ვნებები შემდეგი ჭეშმარიტებით: სელექციაზე ნამდვილი მსჯელობა ჯერ კიდევ წინ გველოდება, წლის ბოლოს. იმ დროისთვის ყველა ფილმი იქნება გამოსული და ყველას ექნება ნანახი. ეს აზრი გავიზიარეთ და ერთმანეთს დავშორდით.

ოთხშაბათი, 8 ივლისი

დიდებული ზაფხულია. ხალხი არ ტოვებს ტერასებს. მახსენდება მაიკლ პოუელის ფრაზა: „დაუღალავად შემიძლია ვუყურო ქუჩაში მოსიარულე ფრანგ ქალებს“.

ხუთშაბათი, 9 ივლისი

დიდმა სიცხემ უკვე დაღალა საფრანგეთი. გამარჯვებული მზე თავისი პირველი ცეცხლოვანი სხივებით ეფერება პარიზის ჩრდილო გარეუბნის მსხვილ, ინდუსტრიულ ანგარებს. რუასის აეროპორტი, ტერმინალი 2ე, ნიუ-იორკში მივფრინავ. მარტინ სკორსეზე მყავს სა-

ნახავი. 2016 წლის კანის ფესტივალი ითხოვს საავტორო უფლებების დაცვას. მოკლე ღამე გამომივიდა თვითმფრინავში, ყველა თავისებურად რეაგირებს დროის სხვაობაზე. იქ ჩასულს სიურპრიზი მხვდება – მანჰეტენზე შემოდგომის უჟმური ამინდია, გრილა, საცაა წვიმაც წამოვა. მშიერი, სკორსეზეებთან მისვლამდე, ლექსინგტონ ავენიუს ერთ-ერთ ბარში შევდივარ.

მარტის ყველა გარს ახვევია; ელენი, მისი მეუღლე, რომელიც უნაკლო ფრანგულით საუბრობს, ემა ტილინჯერი – მისი პროდიუსერი, „ფილმ ფაუნდეშენის“ დირექტორი მარგარეტ ბოდი და ერთგული ასისტენტი ლიზა ფრეჩეტი. მოკლედ, აქ წარმოდგენილია ქალთა პირველი ოთხეული, არ არის მხოლოდ „სიკელია პროდაქშენში„ მყოფი, ლეგენდარული თელმა შუნმეიკერი, 57-ე ქუჩაზე. შეხვედრის მთავარი საკითხია მისი ახალი ფილმი „სიჩუმე“, რომლითაც სკორსეზეს უნდა კრუაზეტზე დაბრუნება აღნიშნოს. მარტიმ ისარგებლა „უოლ სტრიტის მგლის“ წარმატებით და „პარამაუნთი“ სუძაკუ ენდოს რომანის ადაპტაციის პროცესში ჩართო. ამაზე დიდხანს ლაპარაკობდა, ხოლო ფილმი გასულ ზამთარს ტაივანში გადაიღო. მას სჭირდება ერთი წელი პოსტპროდუქციისთვის და აქვს კიდეც ეს დრო. თუმცა, როგორც მიხსნის, „ბევრ დროს ატარებს „ვინილის“ მონტაჟზე“. ეს არის სერიალი – კოპროდუქცია მიკ ჯაგერთან ერთად, რომლის საპილოტო ვერსიაც უკვე შექმნა. მითხრა, ლიონში გაჩვენებო. ერთი სული აქვს, ლიონში ჩამოვიდეს – ჯერ არ უნახავს პირველი ფილმის ქუჩა და აღტაცებულია, რომ იქ სრული თავისუფლება ექნება: „საკუთარ თავზე კი არ ვილაპარაკებ, სხვების ფილმებს ვაჩვენებ, რომლებიც მრავლად იქნება იქ“.

შევცქერი ამ ადამიანს, რომელსაც უკვე დიდი ხანია ვიცნობ. 20 წლის წინ ლოს-ანჯელესში გამაცნო ანდრე დე ტოტმა, ჰოლივუდის მეოთხე ცალთვალა რეჟისორმა, ავტორმა ფილმისა „გაძევებულთა დოღი“. 2002 წელს უკვე კანში შევხვდი, როცა მოვაწყვეთ გაუგონარი ასვლა კიბის საფეხურებზე მასთან, ლეო დიკაპრიოსთან და კამერუნ დიასთან ერთად. შემდეგ ვაჩვენეთ „ნიუიორკელი განგსტერების“

ნაწყვეტი. მოგვიანებით, ბილი უაილდერის პატივსაცემად, რომელიც ახალი გარდაცვლილი იყო, საღამო გავმართეთ. მაშინ ყველაზე მეტად ეს აინტერესებდა მარტის.

სკორსეზემ წვერი მოუშვა, ახალგაზრდობისდროინდელი იერი დაიბრუნა, ოღონდ ახლა თეთრია, რაც მას დიდ მომხიბვლელობას მატებს. ის ძველებურად სწრაფად ლაპარაკობს, საუბრისას გაუთავებლად იცინის, ხოლო ლუმიერის ფესტივალის კლიპზე მეტყველი რეაქციით კარგად ავლენს თავის დღევანდელ განწყობებს, მხიარულება და სასურველი ამბები მოსწონს. ვჩუქნი ორ ბოთლ რონას ხეობის წითელ ღვინოს და ვუყვები იმ ვენახებზე, საიდანაც მოდის ეს ღვინო. „აა, ეს იგივეა, რაც პატარა საავტორო ფილმები, ადგილობრივი, უცნობი, მაგრამ არაჩვეულებრივი?“ დიახ, ზუსტად ასეა.

ორი საათის შემდეგ წამოვედი მისგან და საკუთარ თავს ვუთხარი, რომ კარგი დრო გავატარე ძველ მეგობართან ერთად, კინოს ისტორიის ერთ-ერთი გიგანტთან. იგივე იქნებოდა, რომ სტუმრად მივსულიყავი ოზუსთან, რენუართან, ფელინისთან. ვაცნობიერებ, რომ იღბლიანი ვარ და მანჰეტენზე მივაბიჯებ. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისკენ მივიჩქარი ჩემი საყვარელი მხატვრის როტკოს ნახატების სანახავად (ამერიკელი მხატვარი მარკ როტკო აბსტრაქტული იმპრესიონიზმის წარმომადგენლი), „ავინიონელი ქალიშვილების“, გრიტ სტერნისა და ჰორაციო კოპოლას გენიალური ფოტოების გამოფენის დასათვალიერებლად. კიდევ ორ ხანმოკლე შეხვედრაზე წავედი ქვემო მანჰეტენზე, აეროპორტში მაგვიანდება. ძლიერი წვიმა წამოვიდა. უცებ დაღამდა. წყალდიდობა შავ მანტოსავით ეფინება ნიუ-იორკს, ატმოსფეროც დრამატული ხდება. მანქანების ანთებული ფარების ნაკადი ედება ქუჩებს. ტაქსი არ ჩანს ჰორიზონტზე. თვითმფრინავზე ალბათ დამაგვიანდება, ახალბედასავით. დელანსისა და ბოუერის გადაკვეთაზე ბოლოჯერ ვცდილობ ტაქსის გაჩერებას. ამ დროს ვიღაც მაშტერდება, ალბათ ნაცნობია, და მეძახის. ეს ანტონენ ბოდრია, „ორსეს სანაპიროს“ ავტორი და სცენარისტი. ორი სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს, ახალ ამბებსაც შევეხეთ, მან ბერტრანის ჯანმრთელობა-

ზე მკითხა, რაღაცაზე გახუმრებაც მოასწრო, მერე გაძვრა-გამოძვრა ნამდვილი ნიუიორკელივით და ტაქსი მოძებნა. საშინელებას გადამარჩინა. თვითმფრინავს ძლივს მივუსწარი და კამიუს „მოგზაურობის დღიურების“ კითხვა დავიწყე, წიგნი რუასის აეროპორტში ვიყიდე (ყოველთვის ტონობით წიგნი დამაქვს მოგზაურობაში და, მიუხედავად ამისა, აეროპორტებში ორ-სამ წიგნს მაინც ვყიდულობ ხოლმე). „თენდება ფოლადისფერ ზღვაზე, რომელიც თვალისმომჭრელი ფარფლებითაა სავსე, ზღვა ღელავს, ცა თეთრია, ნისლისა და სიცხისგან ანარეკლი არა აქვს, მაგრამ აუტანელია, თითქოს მზე სითხედ გადაიქცა და ღრუბლებს შეერიაო ცისკიდურზე“. 1949 წელი, ნიუ-იორკი, მოგზაურობა გემით, ირგვლივ სიმშვიდეა, ვისვენებ და ვწერ. იმ დროს დღევანდელივით ერთი დღით არ მიდი-მოდიოდნენ სამოგზაუროდ.

პარასკევი, 10 ივლისი

„როგორ არა, გარწმუნებ, რომ საჩქაროა!“ 14 ივლისის წინა დღეს სტეფან სელერიეს, „მარს ფილმზის“ მეპატრონეს, ადგილების მნიშვნელოვან დისტრიბუტორს, გადარეულ სინეფილს, ჰოლივუდის ვარსკვლავებზე პლატონურად შეყვარებულ ადამიანს, ბრწყინვალე და მარად მშფოთვარე პროფესიონალს, უნდა გადმომცეს „2016 წლის კანის ფესტივალის ფილმების თავისი სია“. ანუ, არც ისე საჩქაროა. „სტეფან, მომავალი კანის ფესტივალი, როგორც ყოველთვის, მაისშია!“ მაგრამ, ამ ზარით ის თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებს: მელაპარაკება ფილმებზე, ამ ყველაფრის ხსენებით კი საკუთარ თავსაც უმტკიცებს, რომ იცავს თავის რჩეულ ფილმებსა და რეჟისორებს. კინოს სიყვარული რომ გაბატონებულია ამ წრეში, ჩემთვის ლამაზი სიურპრიზია. მე კინოს სიყვარულიდან მოვდივარ და შემორჩენილი, თამამი, ახალგაზრდული შემართებით მუდამ მჯეროდა, რომ ჩვენ ვიყავით (ჩვენ, ანუ სინემათეკებისა და არქივების ხალხი, კრიტიკოსები, ჟურნალისტები და ისტორიკოსები) საუკეთესო სპეციალისტები, ყველაზე გადარეულები და ყველაზე ბეჯითები. მერე მივხვდი, რომ მეწარმეები, გამყიდველები, მყიდველები, პროდიუსერები, დის-

ტრიბუტორები არიან ყურადღებიანი მაყურებლები, ერუდიტები და კინოს მცოდნეები. ისინი ჩვენგან განსხვავებულად უყურებენ კინონაწარმოებებს და მათთან კინოზე ლაპარაკი ნამდვილად სიამოვნებაა.

ბოლო კვირების განმავლობაში ნანახ ფილმებს შორისაა ჯეიმს ედვარდ გრანტის „ანგელოზი და ცუდი ბიჭი“ ახალგაზრდა ჯონ ვეინის მონაწილეობით (გრანტის 82-ე ფილმი 1927 წლიდან). ეს იყო შავ-თეთრ ფოტოსავით ზუსტი, აბრეშუმივით მსუბუქი და არავითარ შემთხვევაში თვალში ცუდად მოსახვედრი ნაწარმოები. გამაოგნებელიც კი, ფილმში გამოყენებულია პეიზაჟები, რომელთა ველური ბუნება არასოდეს ჩანს მტრული და საშიში. ვურეკავ ბერტრანს.

„როგორც მე და სკორსეზე მივხვდით, ეს არის სცენარი, რომლის ფარული რიმეიქიც გააკეთა ორმა ნიჭიერმა და გონებამახვილმა კაცმა. პიტერ ვიერის „მოწმის“ გარდა, რომელიც კანის ფესტივალის გახსნაზე აჩვენეს, ეს ფილმიც ძალიან კარგია“. სკორსეზემ ისიც მითხრა, რომ ფილმს ნაწილობრივ ვეინიც რეჟისორობდა. ალბათ ამით აიხსნება მისი წარმატება.

შაბათი, 11 ივლისი

ინტერნეტში ტრიალებს ასეთი ხუმრობა: ანგელა მერკელმა გადაწყვიტა, დასასვენებლად საბერძნეთში წასულიყო. აეროპორტში პოლიციელი ეკითხება:

– გვარი?

– მერკელი.

– სახელი?

– ანგელა.

– ეროვნება?

– გერმანელი.

– ოკუპაციის მოსახდენად მიდიხართ?

– არა, მხოლოდ რამდენიმე დღით.

კვირა, 12 ივლისი

2008 წლის მაისში, ფესტივალის გახსნის წინა დღეს, შონ პენს ვუთხარი (ჟიურის თავმჯდომარე იყო, თან ძალიან კარგი თავმჯდომარე), კონკურსი რომ დაიწყება, არც სელექციაზე, აღარც ფილმებსა და კინოზე არ ვილაპარაკებთ-მეთქი. მოკლედ აღარაფერზე ვილაპარაკებდით, ერთმანეთს გარდა გამარჯობისა არაფერს ვეტყოდით და სადილად ვივლიდით. შონმა უხმოდ დამიქნია თავი. მაგრამ პირველი დღიდანვე ემოციები დაეუფლა: „დარწმუნებული ხარ, რომ ფილმებზე არ უნდა ვილაპარაკოთ“, – მკითხა, როცა პაბლო ტრაპეროს „ლეო-ნერა“ და არი ფოლმანის „უოლცი და ბაშირი“ ნახა. თავი დავუქნიე. მაშინ ის ჩემი ყურისკენ დაიხარა და ჩამჩურჩულა: „შეიძლება რაღაც გითხრა? ძალიან კარგი დღე იყო“. კი, ამის თქმა ჩემთვის შეეძლო. ყოველ წელს, შუა გაზაფხულზე, წლის ყველაზე სანუკვარი თორმეტი დღე მაქვს ხოლმე. ვარსებობ მხოლოდ ამ თორმეტი დღით, ჩერდება როგორც დრო, სიცოცხლე, სიყვარული. ყოველივე ეს იმ ფილმების გამო ხდება, რომლებიც გვიყვარს და სხვებსაც გვინდა შევაყვაროთ.

დღეს საღამოს, სადილზე შონ პენს ვხვდები პარიზში. ის სამხრეთ აფრიკაში მიდის თავისი ფილმის – „ბოლო სახის“ (The last face) გადაღების გასაგრძელებლად და გავლითაა პარიზში. მეუბნება, რომ თუ ფილმი მოგვეწონება, დაელოდება კანის ფესტივალს. კარგი ამბავია. ბედნიერი პარიზული სადილი გამოგვივიდა ტერასაზე. ადელ ეგზარკოპულოსიც აქ არის. ეს ქალი შონ პენმა გადაიღო ფილმში მას მერე, რაც ნახა „ადელის ცხოვრება“, რამაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ვიხსენებთ ბილ პოლადს, შონ პენის მეგობარსა და პროდიუსერს, რომელმაც პირველი წარმატებული ნაბიჯები გადადგა რეჟისურაში სანაპიროს ბიჭებზე გადაღებული ფილმით „სიყვარული და სიბრალული“ (Love and Mercy), რასაც შესანიშნავი შეფასება მოჰყვა საფრანგეთში. ჯონმა ბევრი ჰოლივუდური ისტორია იცის და მიყვება, როგორ დაურეკა დილანმა. თურმე მიულოცა როლის მიღება გას ვან სენტის ფილმში „რძე“, მაგრამ უფრო მეტად თურმე აინტერესებდა მისი კვების რეჟიმი, რისი წყალობითაც შეძლო იერის შეცვლა.

„ის უფრო ამისთვის რეკავდა. ვუთხარი, რომ ეს ადვილი იყო – უნდა დაწვა უფრო მეტი კალორია, ვიდრე იღებ. ამ ნათქვამმა ცოტა დააბნია და ყურმილი დაკიდა“.

ორშაბათი, 13 ივლისი

პარიზი დროსავით მსუბუქია. ჩვენი სამსახური ცარიელია, აქ მომუშავე გუნდის ორი მესამედი შემოდგომაზე დაბრუნდება. ვნახე დიუვივიეს და კუროსავას თითო-თითო ფილმი. ნაშუადღევს კი დელამენის წიგნის მაღაზიაში მივდივარ. ამბობენ, რომ დახურვის საფრთხის წინაშეა, რადგან ეს ადგილი გადაეცა ახალ საინვესტიციო ფონდს, რომელსაც ურჩევნია ფეხბურთის მოთამაშეებში და ალმასის საბადოებში ჩადოს ფული. ვიყიდე ჟან ლუი კომოლის წიგნი ვერცხლის ნივთიერებაზე დაფუძნებული ტექნოლოგიიდან ციფრულ ტექნოლოგიაზე გადასვლის შესახებ. აგრეთვე მორის ტურნერის ბიოგრაფია, ხოლო ბერტრანისთვის შევიძინე ვიქტორ ჰიუგოს და ალექსანდრ დიუმას მიმოწერა. ეს ორი მწერალი მას ძალიან უყვარს. ბერტნარს სულ მალე შევხვდები. სადილზე. მასთან ერთადაა მისი მეუღლე სარაც (ფილიპ ნუარე და მე ვიყავით მათი ხელისმომკიდეები ქორწილში). ვხვდებით იმიტომ, რომ ერთმანეთის ნახვა გვსიამოვნებს და კიდევ იმიტომ, რომ ლუმიერის ინსტიტუტის დღევანდელ დოსიეებს შევეხოთ. ვილაპარაკებთ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და იმ საავადმყოფოზეც, სადაც ის დაწოლას აპირებს. ოდნავ შეწუხებული ჩანს ან გვარიანად შეწუხებულია, მაგრამ ამის დამალვას მხიარულებითა და ენერგიულობით ახერხებს. მე კი ვგრძნობ მის შეშფოთებას, ასე ხელშესახებს, რადგან მეც იგივე შფოთვა მიპყრობს. იმდენი ხანია ბერტრანის გვერდით ვარ, იმდენნაირ სიტუაციაში მინახავს, რომ ჩემს თვალში ის სალი კლდეა, რომელსაც ვერაფერს აკლებს ვერც ზღვის ტალღები და ვერც ქარიშხლები. ავადმყოფობა უცებ გამოჩნდა ამ სიცოცხლის მოყვარე ადამიანის ცხოვრებაში. იგი არასოდეს შეჩერებულა მას მერე, რაც მელვილი და სოტე დაელაპარაკნენ მის მშობლებს, რომ მიეცათ შვილისთვის უფლება, კინოში წასულიყო სამუშაოდ.

ბერტრანმა აირჩია ოპერაცია. ეს უკვე გადაწყვეტილია. დრო ახლოვდება. ოპერაცია მომავალ კვირასაა დაგეგმილი. ის სიხარულისგან ყვირია, როცა ვჩუქნი წიგნს „დიდი მეგობრობა“. თავის მხრივ, ისიც მჩუქნის პამფლეტს თანამედროვე ხელოვნებაზე, საიდანაც მნიშვნელოვან ნაწყვეტებს მიკითხავს, როცა ამას ახერხებს გაბმული სიცილის დროს.

სამშაბათი, 14 ივლისი

აფრიკული წერო მიფრინავს პირენეებზე, მას მიჰყვება კოლუმბიელი ალტიპლანოდან. „ტურ დე ფრანსზე“, ძველი, პატარა წრე ხალხისა, რომელთა შორის ჭარბობდნენ ფლამანდიელები და ბრეტანელები, შეიცვალა და გლობალური გახდა. პირენეები პირველი ეტაპია და ტარბიდან ლა პიერ-სენ მარტენამდე მანძილს გულისხმობს. ამ ეტაპზე სპეციალური თვითმფრინავი, ვერტმფრენი დაფრინავს, აღმართებზე ბევრი ხალხია, თეთრი კენიელი კრის ფრუმი, ბევრი სკეპტიკოსის პროგნოზების მიუხედავად, შესანიშნავად წარმოაჩენს თავს. სიამოვნებით ვხვდები კრისტიან პრუდომს, პიერ-ივ ტრუოს და ASO-ს (Amaury Sport Organisation „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორი) მთელ გუნდს. ბავშვის თვალით ვუყურებ ველორბოლას, ხოლო პროფესიონალის თვალით ვაფასებ რბოლის ორგანიზებას: მართალია, კანის ფესტივალს ვხელმძღვანელობ, მაგრამ მაინც ქედს ვიხრი იმ სულისკვეთების წინაშე, რაც სასტარტო სოფელში სუფევს, იმ უნარის წინაშე, რითაც შეუძლიათ მართონ სპორტსმენები, მედია, პოპულარობა, ტექნოლოგიური მხარე და უსაფრთხოება. ჟაკ ლამბერი, რომელიც ერთ წელიწადში „ევრო 2016“-ზე იმუშავებს, აქ არის ჟან დურისთან, სპორტის ისტორიკოსთან ერთად. აქვეა ბრუნო ლემერი, მემარჯვენე პოლიტიკოსთა ამომავალი ვარსკვლავი, რომელიც სულ ტელეფონზე კიდია და ყველას მიმართ თავაზიანია. მიტერანისა და შირაკისგან გადაეცა კოდები, ხელს ართმევს ხალხს, ლოყებზე ეფერება ბავშვებს. აქვე ჩანს ძროხების უკანალები. ეს კაცი კარგად გრძნობს თავს პროფესიაში.

ოთხშაბათი, 15 ივლისი

ვხვდები მაელ არნოს, რუასის აეროპორტში უთენია წასვლამდე, გადავჯდები ვენაში და ასე ჩავალ ოდესაში, უკრაინაში. იქაც ატარებენ, როგორც მრავალ ადგილას მსოფლიოში, „პატარა“ ფესტივალს, რომლის ძალაც ერთბაშად გიპყრობს პუბლიკის გულმხურვალებითა და სტუმრების მიღებით. ეს ყველაფერი გარწმუნებს, რომ სულაც არაა პატარა ფესტივალი. ერთდღიან პროგრამაში, რომელიც, ჩვენი აზრით, ხანმოკლე იქნება, არის მასტერკლასი კანის ფესტივალზე, ერთი პრესკონფერენცია და ლუმიერების აღდგენილი ფილმის ერთი ასლის ჩვენება. ყველაფერი უნდა მოვასწროთ ერთ დღეში და მეორე დღეს, დილაადრიანადვე დავბრუნდეთ სახლში. ეს იყო ერთადერთი პირობა იმისთვის, რომ ჩემი ჩამოსვლით დამეფასებინა ფესტივალი, სადაც დიდი ხანია მიწვევდნენ. ვცდილობ ხოლმე, მოვიცალო ჩემი კოლეგებისთვის მთელ მსოფლიოში.

ლუმიერის ფილმებს მე ვთარგმნიდი ინგლისურად, ხოლო ერთი ვირტუოზი გოგო კი თარგმნიდა რუსულად ხალისიანი და ყურადღებიანი პუბლიკისთვის. ამ ფილმებს უდიდესი წარმატება აქვს. ფრანგი კინემატოგრაფისტი ჟანა ლაბრუნი ესწრება ჩვენებას, აქვეა დარენ არონოვსკი, რომელიც ბავშვივით გაკვირვებული უყურებს ფილმს და აინტერესებს ეს ქვეყანა, რომლიდანაც არიან წარმოშობით მისი წინაპრები. ნაშუადღევს ოდესის კიბეებზე ავდივართ. შავი ზღვა დიდ ტბას ჰგავს. იქიდან იწყება ხედი კინოს ისტორიაზე, ეიზენშტეინზე, „პოტიომკინზე“.

საღამოს, ამ ქალაქის იუმორითა და თბილი ჰაერით აღტაცებულები, სასტუმროს ირგვლივ ვსეირნობთ, ვიხიბლებით ძალიან ფართო და ოდნავ განათებული ქუჩებით, არქიტექტურითა და სხვა ეპოქიდან შემორჩენილი შენობებით. უფრო ზემოთ, ქვეყნის აღმოსავლეთით, დონბასში ხალხი ისევ იხოცება. ჩვენს გიდს ვესაუბრებით ამის შესახებ და მერე სასტუმროში ვბრუნდებით. ღამე ხანმოკლეა. ხვალ მივემგზავრებით და მხოლოდ სინანული მიგვყვება თან.

ხუთშაბათი, 16 ივლისი

დაბრუნებისას გადავუფრინეთ შავ ზღვას, რომელიც საბოლოოდ სხვა იერს აძლევს სამყაროს, დიდხანს გავჩერდით სტამბოლში. შევედით ლაუნჯში, სადაც თავმოყრილი იყო მსოფლიოში არსებული ყველა კულტურის წარმომადგენელი, ყველანაირი სახე, რელიგია, ჩაცმულობა, მუსიკა. მსოფლიო მარტო დასავლეთი არ არის ან სრულებითაც არ არის დასავლეთი, თუმცა მსოფლიო მასშტაბით ამერიკანიზებულია. მგზავრებისთვის აეროპორტები საკონსულოებს ჰგავს, აქ არის კომფორტი, უსაფრთხო გარემო, სერვისები... ვსარგებლობ შემთხვევით და ვმუშაობ. სიამოვნებით წავიდოდი ერთი დღით ამ ქალაქის დასათვალიერებლად, რომელიც ბავშვობაში მქონდა ნანახი, 1974 წელს, და რომელსაც ვხედავ ნური ბილგეს ფილმების თუ ორჰან ფამუქის წიგნების წყალობით. თვითმფრინავი დაგვიანებით მიფრინავს და სატოლაში ვერ ვუსწრებ ტეჟევეს. ერთ მძღოლს მივყავარ ლურჯსირენებიანი მანქანის სისწრაფით პარ-დიეს სადგურში და იქ ვჯდები სრულიად ექსტრემალურად სხვა ტეჟევეში. პარიზში მოტოტაქსით მივდივარ ელისეს სასახლეში, რომ დავესწრო საფრანგეთ-მექსიკის პატივსაცემად გამართულ სადილს. ვუზივარ ოფიციალურ მაგიდას ფრანსუა ოლანდთან ერთად, რომელიც დიდ ყურადღებას იჩენს ჩემდამი, როცა საუბარი კინოზე ჩამოვარდება. მსიამოვნებს მანუელ ვალსთან შეხვედრა, რომელიც კანში გამოჩნდა და ფესტივალის შესახებ გამჭრიახი აზრებით საუბრობს; მიხარია ალეხანდრო რამირესთან შეხვედრაც, ის არის „სინეპოლისის“, მექსიკასა და ლათინურ ამერიკაში კინოდარბაზების დიდი კონგლომერატის ახალგაზრდა მეპატრონე, მორელიას ფესტივალის პრეზიდენტი, სადაც მიწვეული ვარ და ოქტომბრის ბოლოს მივდივარ. საღამო გრძელდება ელისეს სასახლის ტერასაზე, რომელსაც გვიანობამდე შემოვრჩით. ფრანსუა ოლანდი პირველი მიდის, მასთან ერთად მისი მრჩეველი ოდრი აზულეც გვტოვებს, ისინი მიდიან ქალაქის მერიის მოედანზე „კრისტინისა და ქვინზების კონცერტის პატარა მონაკვეთზე დასასწრებად“.

პარასკევი, 17 ივლისი

ფესტივალის კარგ მოგონებასავით გაისმა ზარი ემილ კუსტურიცასგან, რომელიც მშობლიურ მთებში იღებს ფილმს მონიკა ბელუჩის მონაწილეობით. თვითონაც ერთ-ერთ მთავარ გმირს ასახიერებს. მისთვის ჩვეული ენერგიულობის, პროვოკაციის სიყვარულისა და მსოფლიო კინოსადმი დაუღალავი ინტერესის მიღმა, მელანქოლიური და მარტოსული მეჩვენება. ორი ათეული წელია, რაც ის მსოფლიო კინოს ახალგაზრდა გენიოსად აღიარეს და აგრძელებს იმ კინორეჟისორების გზას, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთი ქვეყნების ისტორიასა და სახეს (კუსტურიცას ქვეყანა 20 წელიწადში დაიშალა). ორჯერ მიიღო კანში „ოქროს პალმა“, ვენეციაში – „ოქროს ლომი“ პირველი ფილმისთვის და მაინც ვერ მოუყარა თავი ფულს დიდი მექსიკური პროექტისთვის პანჩო ვილას შესახებ. ვერ ხვდება, რატომ უჭირს თავისი ფილმების დაფინანსება. „შვიდ მილიონ ევროზეა ლაპარაკი, წარმოგიდგენია? არიან ტიპები, რომელთაც მხოლოდ ერთი ფილმი აქვთ გადაღებული და მათ ერთბაშად 20 მილიონ ევროს აძლევენ. ჩემი რატომ ეშინიათ?“

ამის მერე საკუთარი ფილმის ლამის პროდიუსერიც გახდა. ვეკითხები გადაღებაზე, უფრო სწორი იქნებოდა, გადაღებები მეთქვა, რადგან ორი წელია ამ ფილმს იღებს. „ყველაფერი კარგადაა, მონიკა უმაგრესია. ამ ზაფხულს დავამთავრებთ“. ერთ წელიწადში შევხვდებით? მას მართლა შევხვდით ალექსი ველერის დოკუმენტურ ფილმში „ოქროს პალმის“ მფლობელებზე, რომელიც გაუშვეს კან კლასიკზე. ემირი ერთ-ერთ ფრაზას იწყებს ასე: „მომავალ წელს, როდესაც ჩამოვალ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად...“ ემირი! გასულ იანვარს, კუსტენდორფის ფესტივალზე, რომელსაც ის ატარებს მშობლიურ სოფელ მოკრა გორაში, მან მიჩვენა თავისი ფილმის პირველი 15 წუთი, რაც ძალიან იმედისმომცემად მომეჩვენა. როცა მივულოცე, ხუმრობით მითხრა: „ვერ გეტყვი, რომ ფილმში ყველაფერი ამ დონისაა...“ ზოგჯერ უნდა შეჩერდე. „ზოგჯერ ეს უკეთესია“.

შაბათი, 18 ივლისი

23 მაისს, გაზეთმა „ლე პარიზიენ“ კანის ფესტივალის იმიჯის გასარკვევად გამოკითხა ხალხი... რომელიც საერთოდ არ დადის ფესტივალზე. გაზეთი ეშმაკურად მოიქცა. როცა კითხვებს უსვამ პუბლიკას, რომლისთვისაც კანის ფესტივალი მიუწვდომელია და არაფერი იცის მის შესახებ, ან იცის ის, რასაც პრესა ავრცელებს, გამოკითხულთა რეაქცია აუცილებლად მტრული იქნება, განსაკუთრებით ჩვენ დროში, როცა პოპულარობას ეჭვის თვალით უყურებენ. შედეგმაც არ დააყოვნა: გამოკითხულთა თვალში ფესტივალი არის მოვლენა, რომელიც მოიცავს ფასეულობადაკარგულ წითელ ხალიჩასა და განზოგადებულ მეს, მიუწვდომელ გლამურსა და გაუგებარ საავტორო ფილმებს. ამაში არაფერია გასაკვირი, სამწუხაროდ, ესაა კანის იმიჯი. გაზეთ „ლე პარიზიენს“ შეეძლო არ დახარჯულიყო.

ჩვენი კითხვები სხვა მხარეს არის მიმართული. რატომ უდგებიან მკაცრად ფესტივალს ისინი, ვინც სიამოვნებას იღებს ამ ფესტივალით და მისი მსვლელობისას საუკეთესო პირობებში ცხოვრობს? როგორმე უნდა გაირკვეს ამ ხალხის ხასიათის ცვალებადობის მიზეზი, რადგან არად დაგიდევენ კანის ფესტივალის დისკრედიტაციას და აღარც კი ახსოვთ, როგორ სიამოვნებდათ იქ ყოფნა. ხშირად ყოფილა, რომ ბევრ ფილმს მოჰქცევიან ცუდად კრუაზეტზე და მერე, კინოთეატრებში გამოსვლისას იმავე ხალხს გადაუფასებია. ამ შემოდგომაზეც იგივე განმეორდება. ძნელია დაეთანხმო ფესტივალის მონაწილეებზე გამოთქმულ მდაბიურ ოხუნჯობებს, სხვების გაცინებას ფილმებზე ქილიკით; თითქოს კინოს ხალხი, რომლებიც სასტუმროებიდან და ინტერვიუს დარბაზებიდან ვერ გამოდიან, დამნაშავე იყოს რამეში მხოლოდ იმიტომ, რომ ფესტივალს ესწრებიან და ამიტომ იმსახურებენ ასეთ დამცირებას.

უნდა ნახოთ ვარდისფრად შეფაკლული სახე იმ ადამიანის, რომელიც საძულველ სიტყვებს არ იშურებს ფილმის ჩვენების შემდეგ. „ყოველ წელს ასეა“, – მეუბნება ერთი მეგობარი კრიტიკოსი. ამაზე კი ვწერ, მაგრამ არამც და არამც არ უნდა განვაზოგადოთ – არიან ჟურნალისტები, რომელთაც უყვართ, რომლებიც იხიბლებიან, აღტა-

ცებაში მოდიან, ჩხუბობენ, აპროტესტებენ, ხუმრობენ. ისინი არ ტოვებენ დარბაზებსა და რიგებს, უყურებენ საიტებსა და აპლიკაციებს, ნახულობენ დღეში ხუთ, ექვს სრულმეტრაჟიან ფილმს და კრიტიკული შემართებით, გიჟურად გავრცელებულ ჭორებზე დაყრდნობთ ქმნიან პროდუქციას. არიან შორეული ქვეყნებიდან ჩამოსულებიც, რომელთა სიყვარულიც კინოსა და კანის ფესტივალისადმი ამაღელვებელია. ასეთია, მაგალითად, ალონგკოტ მაიდუანგი (რომელსაც კალაპა პრუეკის სახელით იცნობენ), ტაილანდელი ჟურნალისტი, რომელიც ცხოვრობს ლონდონში და წერს ჟურნალ „ფილმაქსში". ეს კაცი წელიწადში 50 სრულმეტრაჟიან და 10 მოკლემეტრაჟიან ფილმს ნახულობს. ასეთები და ისეთებიც ერთად ქმნიან ფესტივალს. სწორედ აღტაცებული და გურმანი ფესტივალის მონაწილეები კვალავენ ახალ ბილიკებს უდაბნოში, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს ყველაზე დეპრესიული და მოწუწუნე კრიტიკოსიც კი, რადგან არავინ არ უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა. მომავალი, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საქმე მიეძღვნება საკითხს: როგორ გავაბედნიეროთ ჟურნალისტები კანში?

კვირა, 19 ივლისი

„ვარსკვლავური ომები VII"-ის გადაღებაზე იდუმალებათა შარავანდედს ახლავს ერთი გამორჩეულად ამოუცნობი ჯ. ჯ აბრამსი, „დისნეისა" დ „ლუკას ფილმის" მიერ შერჩეული რეჟისორი, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა „ვარსკვლავური ომების" საგა და ვინც ფილმს ციფრული ტექნოლოგიით კი არ იღებს, არამედ 35-მილიმეტრიანი ფირით. აბრამსის მიერ გადაღებული „ვარსკვლავური გზის" გაგრძელების, კიდევ ორი ფილმის მოყვარულები აღტაცებით შეხვდნენ მის მოსვლას „ვარსკვლავურ ომში". აბრამსი ცელულოიდის დიდი დამცველია, რელიგიის რანგამდე ჰყავს აყვანილი. ძალიან სასაცილო იქნება, თუ ის ციფრულ ტექნოლოგიას ზურგს შეაქცევს, რასაც ჯორჯ ლუკა დიდ რეკლამას უწევდა, კანშიც კი ჩამოვიდა 2002 წელს ციფრულ ტექნოლოგიაზე სალაპარაკოდ და თავი დასაცინი გაიხადა მათგან, ვისაც ეკონომიკური მოდელის არ სჯეროდა.

ალბათ ეს ვერ შეუშლის ხელს სანახაობრივი სპეცეფექტების სიუხვეს, მაგრამ დებატები ციფრული ტექნოლოგიის შედარებით ღირსებებზე და ფილმის დაპროგრამებულ ვადაგასულობაზე (ეს არის ამერიკული სიტყვა, რასაც საფრანგეთში სინემატოგრაფის დროს არ იყენებდნენ) მხოლოდ ახლა იწყება. ერთი მხრივ, არიან 35-მილიმეტრიანის გულშემატკივრები: სტივენ სპილბერგი, ჯეიმს გრეი, კრისტოფერ ნოლანი და კვენტინ ტარანტინო, რომელმაც „რვა ნაძირალა“ (The Hateful Eight) გადაიღო 70-მილიმეტრიანი ფირით და Ultra Panavision ფორმატით. ათეული წლებია, ეს ფორმატი არავის გამოუყენებია (ფრანგებიდან ამ ტექნოლოგიის მომხრეები არიან ფილიპ გარელი და ჟან-მარი სტრობი); ამ დაპირისპირებაში მეორე მხარეს წარმოადგენენ ჯეიმზ კემერონი, ლარს ფონ ტრიერი და რა, თქმა უნდა, ჯორჯ ლუკასი, ასევე დევიდ ფინჩერი, რომელიც თავის Syde by Syde-ში, კიანუ რივზისა და კრის კენილის მონაწილეობით შექმნილ დოკუმენტურ ფილმში, ამტკიცებს:

„რეჟისორი გადაიქცა ბორდის უფროსად. ციფრული კამერით მან იმდენივე იცის თავის გამოსახულებებზე, რაც მთავარმა ოპერატორმა“. ეს დებატები მნიშვნელოვანია ყველა გაგებით, რადგან სვამს მთავარ კითხვას, რაც ეხება არა კლასიკოსებსა და თანამედროვე რეჟისორებს შორის დაპირისპირებას, ან კიდევ რეაქციონერებსა და პროგრესისტებს შორის ბრძოლას, არამედ არჩევანს, რომელიც დგება კინოს წინაშე – თავი გადაირჩინოს დღევანდელ გამოსახულებათა სამყაროში, რომლის ერთადერთი გამომყენებელი და შემოქმედი ის უკვე დიდი ხანია აღარაა. ციფრული ტექნოლოგია იძლევა საშუალებას სრულიად განსხვავებული კრეატიულობა წარმოვაჩინოთ. გავიხსენოთ, იმავეს ამბობდნენ ქიმიურ ფირზეც, როცა ახალი ვიზუალის უტოპიურ გამოგონებაზე ალაპარაკდნენ ამ საქმის პიონერები და ეს მიდგომა 60-იანი წლების ბოლომდე აქტუალური დარჩა. არასოდეს დამავიწყდება დანეს სიტყვები, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ნათქვამი: „დარწმუნებული ვარ, როგორც კი სინათლე გაქრება და შემოქმედების ინსტრუმენტი აღარ იქნება, როგორც კი სინათლე

მზისგან კი არა, სხვა წყაროდან წამოვა, კაცობრიობის რაღაც ნაწილი ჩვენ მიგვატოვებს, ყველაფერი მოჩვენებითი გახდება...“

„ტურ დე ფრანსის“ ერთი ეტაპი ამ ადგილებში გაივლის და ნაშუადღევის ბოლოს ლორან ჟერას და „ტურ დე ფრანსის“ გუნდს სადილზე ვხვდებით იზერის ხიდთან, მიშელ შაბრალის რესტორანში. გვიანობამდე ვრჩებით რესტორანში ბერნარ ინოს უშრეტი ენერგიის წყალობით და კრისტიან პრუდომის დამსახურებით, რომელმაც აიწყვიტა და უნდოდა ჩვენთვის დაემტკიცებინა, ბალახზე გორაობა ისევ შემიძლიაო. რა თქმა უნდა, ყველამ ულაპარაკოდ დაუჯერა, რომ სახლში დასაძინებლად დროულად წავსულიყავით.

ორშაბათი, 20 ივლისი

დავბრუნდი პარიზში. ვესაუბრე ტიმ როთს, რომელსაც კანის ფესტივალის მერე არ დავლაპარაკებივარ. გავიხსენეთ ტარანტინოს ფილმი. „ეს იქნება არაჩვეულებრივი როლი ჯენიფერ ჯეისონ ლეისთვის, ხოლო კურტ რასელი კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ გენიალური მსახიობია“. ტიმი არის ძალიან ძმური გრძნობების ადამიანი მას არ შეუწყვეტია ფილმების ყურება და კინოზე ლაპარაკი მშობლიურ ინგლისში ცხოვრებიდან და 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე. ის 80-იან წლებს განასახიერებდა ყოველთვის, ცხოვრებაშიც და ეკრანზეც. „აი, ნახავ, – დასძინა მან, – ეს მაინც სემ ჯეკსონის ფილმი იქნება“.

საღამოს, ტონინოს პასტა იყო უმაღლესი. ტონინო პარიზის მე-12 ოლქში მდებარე „სარდენია ა ტავოლას“ მეპატრონეა. მე მას ჩამოვუტანე „პადრე პადრონეს“ აფიშის ორიგინალი. მაკარონი ისეთი გემრიელი იყო, მეგონა პირველად ვჭამდი. კანის ფესტივალის მომზადება მოითხოვს თავის მოფრთხილებას ყველაფერში: ყოველდღიურ ცხოვრებაში, კვების და ძილის რეჟიმს. ექსცესები დაუშვებელია. მხოლოდ ერთხელ შეიძლება მისცე თავს ამის უფლება ლიონში, კანში ჩასვლამდე; როცა უკვე კანში ვარ დაბანაკებული, ეს დასაშვებია პოლ რასამთან ერთად სადილზე ტეტუს რესტორანში, რომელიც

გოლფ ჟუანშია, პლაჟთან ახლოს. იქ ისეთ ბუიაბესს ამზადებენ, რომ ამ კერძს ყველა თაყვანს ვცემთ. „თითქოს ეკლესიაში ვართ!“ – წამოიძახა ერთხელ დე ნირომ, რომელიც ყოველთვის თავშეკავებულია, მაგრამ აქ, სადაც ხშირი სტუმარია, თავს ვერ იკავებს. კანში ბევრს ვჭამთ და სწრაფად, მათ შორის ბრუნო ოჟეს კერძებსაც. ის არაჩვეულებრივ ოფიციალურ საუზმეს ამზადებს თავის კერძო სამფლობელოში, სადაც მოდის უკლებლივ ყველა, ვინც ყოველწლიურად კანის ფესტივალს ქმნის – ერთხელ ჯენიფერ ლოურენსმაც კი შემოირბინა. ყოველ დღეს ვატარებ ალკოჰოლისა და ყავის გარეშე, რადგან ალკოჰოლი დაღლილობის შეგრძნებას იწვევს, მაშინაც კი, როცა ყველაფერი რიგზეა, ყავა კი მათრახის შემორტყმასავითაა, როცა ოდნავ ფორმაში ხარ.

სამშაბათი, 21 ივლისი

ერთი თვის წინ გარდაიცვალა რობერტ ჩარტოფი, ჰოლივუდის ერთ-ერთი პირველი პროდიუსერი. მასთან არასდროს მილაპარაკია მას შემდეგ, რაც ჩემი მოვალეობის შესრულებას შევუდექი. ირვინ უინკლერთან ერთად ის იყო პროდიუსერი ფილმებისა „როკი“, „გაცოფებული ხარი“ და „გმირების ძალა“. აბა, შედით ვებგვერდზე IMDb, რომელიც არის მსოფლიოში საუკეთესო საიტი კინოზე და თქვენ ნახავთ, რა აქვს გაკეთებული ამ ორ კაცს. კარელ რეიზს ძალიან უყვარდა ჩარტოფი, ბურმენსაც. ამ უკანასკნელის ფილმის Point Blank-ის („დამიზნებით“) პროდიუსერიც იყო. მას ეყოფოდა დრო, ყოფილიყო აგრეთვე პროდიუსერი „როკის“ ახალი გაგრძელებისა Creed, (რწმენა) რომელიც შემოდგომაზე გამოდიოდა ეკრანებზე. ეს იგივე „როკი 7“-ია, რომელიც გადაიღო ახალგაზრდა რაიან კუგლერმა. იგი კანში ჩამოვიდა თავისი პირველი ფილმით „ გაჩერება „ფრუთვეილი“ (Fruitvale station), რომელსაც მხარს უჭერდა ჰარვი ვაინშტაინი და რომელიც ჯერ სანდენსზე უჩვენეს. ტომას ვაინტერბერგმა და „განსხვავებული ხედვის“ ჟიურიმ ის პრიზით დააჯილდოვეს. ეს ბიჭი ძნელად გასაგებ, გარეუბნის ჟარგონზე ლაპარაკობდა, მაგრამ თავი კარგად დამამახსოვრა, კარგად იცოდა, როგორ მოქცეულიყო, სადა და ცნობისმოყვარე ადამიანის შთაბეჭდი-

ლებას ახდენდა. ის ოკლენდიდან იყო და ჩვენ ჯეკ ლონდონზე ვილაპარაკეთ. მას ეს მოეწონა.

პომპიდუს სახელობის საავადმყოფოში ბერტრანს ოპერაციას უკეთებენ დილიდან. ოპერაცია მთელ დღეს გრძელდება. გვიან ღამით სარა მიგზავნის მესიჯს, დამშვიდებულია, ყველაფერმა კარგად ჩაიარაო.

ოთხშაბათი, 22 ივლისი

„ამაოების ბაზრის“ ფრანგულ თარგმანში ვიპოვე კლელია კოენის წერილი შატო მარმონის მითებზე, რამაც ჰელმუტ ნიუტონი გამახსენა. მისი სიკვდილის წინა დღეს (სასტუმროდან გამოსვლისას, როგორც ჩანს, ცუდად შეიქნა და ავტოავარიაში მოყვა) ავსტრალიელმა პროდიუსერმა ქალმა ჯეინ შარპმა სადილზე შეგვკრიბა ვერნერ ჰერცოგი, ჯული დელპი და ჰელმუტი მეუღლესთან ერთად, რომელიც დიდი ხელოვანია. ჰელმუტი იყო სიცოცხლითა და სინაზით სავსე მოხუცი ფოტოგრაფი, მისმა ყოფნამ ის საღამო გააბრწყინა და ყველაზე შთაბეჭდილება მოახდინა. „საკუთარი ცუდი რეპუტაციის სიმაღლეზე უნდა იყოს ყველა“, – უყვარდა ხოლმე თქმა. მან ბევრი კითხვა დამისვა კანზე, რომელიც თურმე აჯადოებდა ამ კაცს, თუმცა ჯეტ-სეტი მას აღარ იზიდავდა. განშორებისას მითხრა: „ივნისში სახლში ვიქნები, მონაკოში, მოდით ჩემთან“. წავედი სასტუმროში, აღტაცებული იდეით, რომ პატივი მექნებოდა სტუმრად მივსულიყავი ფოტოგრაფთან, რომელზეც ვგიჟდებოდი და სულ არ გამკვირვებია, რომ კარგი ტიპი აღმოჩნდა, ადამიანებით უზომოდ დაინტერესებული. მომდევნო დღეებში სევდამ და სინანულმა შემიპყრო. ყოველთვის ასე მემართება, როცა მასზე ვფიქრობ.

ინტერნეტში ტუნისელი ჟურნალისტი და კინომოღვაწე ფერიდ ბუგედირი რამდენიმე მოსაზრებას გამოთქვამს. ის ხსნის, რატომ არ არის შემთხვევითი ფრანგული კინოს წარმატება და რატომ აქვს აფრიკულ კინოსაც, მიუხედავად სტრუქტურული პრობლემებისა, ასეთი წარმატებები (რაც ხშირად კანში გამხდარა შესაძლებელი). ის მომენტს არ უშვებს ხელიდან და გვახსენებს, რომ ჩახედულია ამ საქმეში, რადგან

იყო ჟიურის წევრი კანში. ეს საშუალებას აძლევს მას, წამოაყენოს ექსტრავაგანტური ჰიპოთეზა, რაც ასე უყვართ ხოლმე დამკვირვებლებს – თითქოს ჟაკ ოდიარის „პალმა“ არის ძმები კოენების მიერ საფრანგეთისთვის მიძღვნილი საჩუქარი. „ჩემი მდგომარეობის კაცს შეუძლია იცოდეს, როგორ ვალში არიან ძმები ჯოელ და ეთან კოენები საფრანგეთის წინაშე. ისინი იყვნენ 2015 წლის კანის ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარეები, მე ხომ თავადაც ვიყავი კანის ფესტივალის ჟიურის წევრი! 1991 წელს ჟიურის თავმჯდომარე იყო რომან პოლანსკი, რომელმაც „ოქროს პალმა“ მიანიჭა ძმები კოენების ფილმს „ბარტონ ფინკი“ და ამით ისინი უცებ იქცნენ ვარსკვლავებად ამერიკაში, სადაც მანამდე მცირე მასშტაბის პაროდიულ და ორიგინალურ ავტორებად მიაჩნდათ. სრულიად ნორმალურია, რომ (ცნობიერად თუ არაცნობიერად) იგივე გააკეთო იმ ქვეყნის კინოს სასარგებლოდ, რომელმაც ცნობილი გაგხადათ. ფერიდ, დაწყნარდით.

ხუთშაბათი, 23 ივლისი

დამაინტრიგებელი მესიჯი მივიღე სპილბერგის პროდიუსერ კრისტი მაცოსკოსგან. მე მას შევხვდი 2013 წლის კანის ფესტივალზე, მაშინ სტივენი ჟიურის თავმჯდომარე იყო. „უკვე შერჩეული გაქვს გახსნის ფილმი?“ – მკითხა, როცა დავურეკე. არა, ამ საკითხს შემოდგომამდე არასოდეს განვიხილავთ, რომ უფრო გავაფართოოთ არჩევანი. „ჩვენ რაღაც მოვიფიქრეთ. სტივენი ბედნიერი იქნება კანში დაბრუნებით“. მან ფილმი გადაიღო? თუ პროდიუსერობს რაიმე ფილმს?

ექიმებმა უთხრეს სარა ტავერნიეს, რომ ბერტრანის ოპერაცია წარმატებით ჩატარდა. სასწრაფოდ ვისადილე პიერ ლესკურთან ერთად ლიონის სადგურის სიახლოვეს. მატარებელში მთლიანად ჩავეფალი სალმან რუშდის ინტერვიუში, რომელიც „ექსპრესმა“ გამოაქვეყნა. სალმან რუშდი კინოს დიდი მოყვარულია, ამაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ტომ ლადიმ მას კანსა და ტელურიდში შემახვედრა. ჩვენ ერთმანეთს მეილებს ვწერთ ხოლმე, რითაც ძალიან ვამაყობ, უფრო კი მას მერე, რაც „ჯოზეფ ენტონი“ – მისი ავტობიოგრაფია წავიკითხე.

ამ წიგნის წაკითხვა ოლივიე ასაიამ მირჩია, როცა მექსიკაში ვმოგზაურობდი. სალმან რუშდი იცავს „შარლი ებდოს“, ანუ ჩვენ და ამით ის იზიარებს მსოფლიო თვალსაზრისს, ანუ დე ფაქტო უნივერსალურ აზრს. ზოგიერთ მის კოლეგა მწერლებს პენ კლუბიდან არ უნდოდათ ამ გაზეთის დაჯილდოება გასულ გაზაფხულზე. იგი ერთ-ერთია მათ შორის, ვისაც ყველაზე კარგად გამოსდის ჩვენი დაცვა დღევანდელ საფრანგეთში, რომელიც ადრინდელთან შედარებით კიდევ უფრო დანაწევრებული ჩანს 11 იანვრის მანიფესტაციების შემდეგ. ყველაფერი დანარჩენი ბადებს სურვილს, გაიზიარო მისი სიტყვების გონიერება, ჰუმანურობა, რისხვა და სამართლიანობა. ეს მის მდგომარეობაში მყოფი კაცისგან მეტისმეტად მამაცურად ისმის: „სატანური კუპლეტების გამოქვეყნებისას, აიათოლების მომხრეები ჯერ ლონდონში და შემდეგ სხვაგანაც ემუქრებოდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც არ იზიარებდნენ ჩემს წინააღმდეგ დევნას. ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ექსტრემისტებზე შეტევა არ ნიშნავს მუსლიმანებზე შეტევას. უნდა ვიცოდეთ, რისთვის ვიბრძვით. ექსტრემიზმის დამარცხება, ვიმეორებ, არ ნიშნავს ისლამის დამარცხებას. პირიქით, ეს ისლამის დაცვას ნიშნავს“.

პარასკევი, 24 ივლისი

„სინე+“-ზე გადის შტერნბერგის „ლურჯი ანგელოზი“ კარგი ხარისხის ფირით და მარლენ დიტრიხის მონაწილეობით, რომელიც მღერის „თავიდან ფეხებამდე სიყვარულისთვის ვარ შექმნილი...“ დიდი ხანია, არ მინახავს ეს ფილმი, რაც ჩვენი თაობების კინოს მოყვარულთა პარკურის აუცილებელი ეტაპია, ისე როგორც მთელი გერმანული კინოპროდუქცია, რაც კი 1919-1933 წლებში შეიქმნა. სოციოლოგმა და კრიტიკოსმა ზიგფრიდ კრაცაუერმა დაამტკიცა, რომ მთელი ეს კინოპროდუქცია ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის სურვილის ნიშნებს შეიცავდა. ამ სოციოლოგის წიგნს მჭევრმეტყველურად ეწოდებოდა „კალიგარიდან ჰიტლერამდე“. წიგნს იზეპირებდნენ, ხოლო იქ მოხსენიებულ ფილმებს დიდი მონდომების შემდეგ თუ ნახულობდნენ.

მარლენ დიტრიხი იყო ახალგაზრდა გერმანელი ქალი, ავხორცი და ვნებიანი, ვაიმარის ბერლინში ცნობილი ჯოჯოხეთური სახელით, ძლივს დაფარული ლესბოსური ურთიერთობების გამო. ეს უფრო ახსოვდათ, ვიდრე ის, რომ მან ლოლა-ლოლას როლის მოსაპოვებლად დაამარცხა გლორია სვანსონი, ლუიზ ბრუკსი და ბრიჟიტ ჰელმი. ნეტავ 25 წლამდე ახალგაზრდებს ეუბნება რამეს მარლენ დიტრიხის სახელი? ლიონში კინომოღვაწე კლოდ მურიერასმა კინოსკოლა – კინოფაბრიკა გახსნა, რომელიც განკუთვნილია „ქალაქელი ახალგაზრდებისთვის“, რომ მათ უამბოს მარლენის შესახებ. დასანანია, რომ ბრჭყალებს ვიყენებ ახალგაზრდების მიმართ, რადგან ეს უკვე ნიშნავს მათს ოსტრაკიზმს, არადა, ასე არ უნდა იყოს. გამოცდები დამთავრდა. ციფრული ტექნოლოგიის ამ ფანებისთვის კინო ისეთივე ერთადერთი ინტერესის საგანი იქნება, როგორიც ჩვენთვის იყო? ისევე ეყვარებათ ფილმები, კინოდარბაზები, მაყურებლები? და ის სამყაროც, რომელსაც კინო გვპირდებოდა ჩვენ?

შაბათი, 25 ივლისი

„როცა სცენარს წერთ, ძილის წინ შეჩერდით რომელიმე სცენის ეპიზოდის შუაში, რომ იცოდეთ, მეორე დღეს რით განაგრძოთ წერა“, – ამბობდა ბილი უაილდერი. შვებულებაში წასვლამდე 2016 წლის კანის ფესტივალის მომზადება იწყება. მე აღვრიცხავ ფილმებს, რომლებსაც მომავალ წელს გვპირდებიან. ხელში ვიღებ ფილმების სიას, რომლის შედგენას, ჩვეულებისამებრ თუ ცრურწმენის გამო, 23 მაისს, ფესტივალის დახურვის წინა დღეს ვიწყებ. „დაპირებული ფილმები“ – გაზვიადებული ნათქვამია, თან ძალიან ადრე ნათქვამი. რეჟისორები მუშაობენ, ზოგი მათგანი მზადების პროცესშია. თუ დასაქოქი ბერკეტი ერთხელ მაინც არ არის გადატრიალებული, ანუ გადაღება არ დაუწყიათ, ფილმი არ არსებობს, თუმცა დასაქოქი ბერკეტიც უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს. გადაღების დაწყებიდან კანში მოხვედრამდე ერთი წლიდან თვრამეტ თვემდეა საჭირო, უფრო მეტი დრო სჭირდება დიდ ფილმებს, განსაკუთრებით – ამერი-

კულებს, სხვებს შეიძლება ერთ წელზე ნაკლები დროც ეყოს. მაგრამ ისტვუდს შეუძლია გადაიღოს ოქტომბერში, დამირეკოს აპრილში და მითხრას, რომ ფილმი მზად აქვს. ასე იყო „მისტიკური მდინარის“ (Mystic River) შემთხვევაში, რომელიც 2003 წლის ფესტივალს მოევლინა სიურპრიზად, ამიტომ, იმედია, „სალიც“ (Sully) იმავე ბედს გაიზიარებს. ამ ფილმს ისტვუდი ტომ ჰენკსთან ერთად იღებს.

მოკლედ, ასეთი ტრადიცია მაქვს: ფესტივალის დახურვის წინა დღეს რამდენიმე წუთით ვფიქრობ უცხოურ ფილმებზე, რომლებიც 2016 წელს ფესტივალზე იქნება წარმოდგენილი. სია ზედაპირულია, მაგრამ გამომწვევი: მარტინ სკორსეზე, შონ პენი, ემირ კუსტურიცა, რომლებიც უკვე ვახსენე, ჯეიმს გრეი (მას ჯერ არ დაუწყია ფილმის გადაღება), ნიკოლას უაინდინგ რიეფენი (მას უკვე დამთავრებული აქვს გადაღება), ლუკ და ჟან-პიერ დარდენები, კრისტიან მუნჟიუ, კრისტი პუიუ („ლაზარესკუს“ ავტორი), ტერენს მალიკი, ბერტრან ბონელო, პაბლო ლარენი, პარკ შანვუკი, ქსავიე დოლანი, მისი ფილმი ფრანგულია, ჟან-ლუკ ლაგარსის პიესის მიხედვითაა გადაღებული. მას სხვა ამერიკული პროექტიც აქვს, ჯესიკა შასტენთან ერთად, მაგრამ ეს ფილმი ალბათ ვერ მოესწრება საფესტივალოდ, ასეთია ჩემი წარმოდგენა, რადგან ჟიურის წევრი ქსავიე არაფერს მეუბნება კინორეჟისორ დოლანზე.

არაფერი ისმის ჯეფ ნიკოლსზე, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 2013 წლის კონკურსის დროს ფილმით „ტალახი“ (Mud) – კალიფორნიიდან მოაღწია ხმამ, შემოდგომისთვის ფილმი მზად ექნებაო. ისიც გავიგეთ, რომ ოსკარების კამპანიაში ყოფილა ჩართული ფილმით „საგანგებო ღამის გამოშვება“ (Midinight special“) როგორც ჩანს, ახლა სხვა ფილმს იღებს. სამაგიეროდ, კოენებს უკვე დამთავრებული აქვთ „გამარჯობა, კეისარო!“ (Hail, Caesar!), რომელიც, ანონსის თანახმად, მომავალ ზამთარს უნდა გამოვიდეს (კოენებმა ამ ფილმის მონტაჟი შეაჩერეს, რომ კანის ფესტივალის ჟიურიში მიეღოთ მონაწილეობა); ფილმს ალბათ არ გაუშვებენ ბერლინში, ოლივერ სტოუნის ფილმის მსგავსად, რომელშიც ნახსენები იყო ედუარდ სნოუდენი და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო).

თუ სპილბერგი, პენი და სკორსეზე გამოჩნდებიან ჰორიზონტზე, ეს უკვე დიდი ამბავი იქნება ამერიკული კინოსთვის, რომელიც ძალას იკრებს 2016 წლისთვის. „ბედი, რომელიც წილად ხვდათ ტოდ ჰეინისის „შეშლილ მაქსს“, „ვის-ვერსას“ და „კეროლს“, სტუდიებს უბიძგებს, კანი ისევ ახალ შანსად გამოიყენონ“, – მეუბნება ლოს-ანჯელესიდან დიდიე ალუკი.

ბოლოს და ბოლოს, ფესტივალზე იქნება პედრო ალმოდოვარიც. როგორც ყოველთვის, ის ფილმს იღებს ზაფხულში, მონტაჟზე იმუშავებს შემოდგომაზე და ფილმს გამოუშვებს გაზაფხულზე ესპანეთში. ამასობაში, მომიწევს მისი დარწმუნება, რომ ჩამოვიდეს კანში. ალმოდოვარმა იცის კანის ისტორია, ისიც იცის, რომ ჰიჩკოკს არასოდეს მიუღია „ოსკარი“, ხოლო ბერგმანს არასოდეს ღირსებია „ოქროს პალმა“, მაგრამ ის მაინც ინარჩუნებს რთულ ურთიერთობებს იმ კონკურსთან, რომელსაც მისთვის ჯერ არაფერი მოუტანია.

კვირა, 26 ივლისი

გილერმო დელ ტორო: „პარიზში ვარ, აქ ხარ?“; იზაბელ იუპერი: „ლიონში ვარ, აქ ხარ?“; არა, ვერკორში ვარ, საღამოა, მაგრამ ისევ ძალიან ცხელა, საცაა ქარიშხალი ამოვარდება და მინდვრებს დაივლის. ბეკ დე ლეშაიონის კლდის მხარეს და მონტოს ზევით მთები წითლად მოჩანდა. გამხმარი ბალახის სუნი მოსდებოდა პეიზაჟს. ჰაერის ტემპერატურა მაღალი იქნება გვიან ღამემდე. მინდა ლა გავში წავიდე, რომანშის ხეობაში. ეს არის ჩემი ბავშვობის ალპური სოფელი, რომელიც უკვე ოთხი თვეა, სამყაროს არის მოწყვეტილი ჩამოწოლილი ზვავის გამო, რომელმაც იქ მისასვლელი გვირაბები ამოქოლა. ადგილობრივ მოსახლეობა სასოწარკვეთილია სიმარტოვისა და იზოლაციისგან. საჭმელად იქ წავალთ, შემოვლითი გზით, მორიენის მხრიდან გალიბიეს უღელტეხილის გავლით, იქაურებთან ერთად უნდა ვიყოთ, რომ თავი მარტოდ აღარ იგრძნონ. არდადეგები აქ უნდა გავატაროთ. როცა დავბრუნდებით, წინ გვექნება 2016 წლის კანის ფესტივალი.

აგვისტო

ხუთშაბათი, 13 აგვისტო

კორსიკა და იტალია მოვიარეთ და სადილად პიერ და ფრედერიკ ლესკურებთან გავჩერდით, ლილ სუღ ლა სორგის ერთ-ერთ რესტორანში. ეს არის მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილი, სადაც პიერი ყოველ ზაფხულს ჩადის. იქ ცხოვრობს ერთი არაჩვეულებრივი ბუკინისტი, რომელიც გაპოვნინებს იშვიათ გამოცემებს, სან-ანტონიოს წიგნს ან სანდრარის „მოჭრილ ხელს“, ან კიდევ ჟან-ფრანსუა რეველის „ქურდს ცარიელ სახლში“, წიგნს, რომელიც ბევრჯერ გადავიკითხე ბოლო წლებში.

ემოციური ურთიერთმოკითხვის შემდეგ, პიერმა და მე სასწრაფოდ გავიხსენეთ რამდენიმე დოსიე, მათ შორის ტვ-ს უფლებების შესახებ. ნუთუ შეიძლება ისე მოხდეს, რომ „კანალ+“ აღარ იყოს კანის ფესტივალის პრივილეგირებული კომპანიონი? ოც წელზე მეტი ჩვენ გვერდით იდგა ეს ტელევიზია. შარშან უკვე იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მაშინ პიერმა მითხრა: „ჩემი მოსვლის პირველსავე წელს ხომ არ მოვიშორებ იმ ტელევიზიას, რომელიც თავად მე მოვიყვანე კანის ფესტივალზე? ძალიან მძიმეა ჩემთვის, მაგრამ უნდა გავაკეთოთ ის, რაც უკეთესია ფესტივალისთვის“. მართლაც მძიმეა და ძნელად წარმოსადგენი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არ გვანებივრებდა ეს პარტნიორი. იგი ზოგჯერ რუტინულად ვითარდებოდა, კანის იმიჯს უტოლებდა ზოგიერთი „დიდი საინფორმაციო გადაცემის“ ჟურნალისტების მიერ აქცენტირებულ მომენტებს, რაც ვარსკვლავებს არ მოსწონდათ. ამიტომ ხელშეკრულებას ხელი ერთი წლით მოვაწერეთ – ეს პიერის იდეა იყო: „მტკივნეულ საკითხებს ხელი არ ვახლოთ 2015 წლის კანის ფესტივალის პერიოდში. ამაზე შემოდგომაზე დავილაპარაკოთ“. აქედან გამომდინარე, ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებით. დავაკვირდებით ვენსან ბოლორეს, რომელიც ფაზლის მეთოდით უდგება ძალაუფლების მოპოვებას და რომლის სანახაობრივმა შემოჭრამაც ჩვენს პეიზაჟში საქმის ვითარება შეცვალა. ის ჯიუ-

ტი მოსაუბრე იქნება, მაგრამ, ამავე დროს, ეს საქმე მას ეხება, არის ინიციატივიანი, ბრწყინვალე ტიპი და კინოს მოყვარული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია – ამაზე ცოტა ხნის წინ ვერც ვიოცნებებდით. „ფრანს ტელევიზიონი“ შეიძლება იყოს მეორე გამოსავალი. ვოცნებობთ, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ ისეთივე კეთილი სამსახური გაუწიოს კანის ფესტივალს და კინოს, როგორი კეთილგანწყობითაც ექცევა ველორბოლას „ტურ დე ფრანსის“ გაშუქებით და ჩოგბურთს, „როლან გაროსის“ ტურნირის მაყურებლისთვის ჩვენებით.

პარასკევი, 14 აგვისტო

დოფინედან დავბრუნდი. ზაფხულის კიდევ სამი მშვიდი დღე მექნება. ვაგრძელებ მუშაობას, თვალს ვაპარებ დღიურისკენ, რომლისთვისაც ამ ბოლო დროს ხელი არ მიხლია, ვპასუხობ ქარიშხალივით მოვარდნილ უამრავ მეილს, თან ვუსმენ, უკვე მერამდენედ, რენოს სრულ შემოქმედებას. ეს ის მომღერალია, რომელიც ყველას ენატრება. ვზივარ ძველ საბძელში, რომელიც იქცა ბიბლიოთეკად, მერე კერძო კინოდარბაზად და ვტკბები ბუნებისგან შემოთავაზებული სპექტაკლით, რომლის ბრწინვალებაც არასოდეს ქრება. სოფლის მეურნეები კაკლების ველზე მუშაობენ. რამდენიმე კვირაში აქ მოვლენ უცნაური ტრაქტორები, რომლებიც შეარხევენ ხეებს და მსოფლიოში ყველაზე კარგი ხარისხის კაკალი ჩამოცვივდება ძირს. ნიუ-იორკიდან მარტინ სკორსეზე მიგზავნის მესიჯებს, რომლებსაც თან ურთავს ფილმების სიას. „ვგიჟდები სიის ჩამოწერაზე“, – მითხრა ერთხელ ნიუ-იორკში ყოფნისას. მარტო მას არ უყვარს სიების წერა. ეს კინომოყვარულთა მანიაა: იქმნება სიები, ვრცელდება ინტერნეტით, იწერება სხვადასხვა ჩამონათვალიც სხვადასხვა უჩვეულო ალგორითმით. ვიქექები ჩემს კომპიუტერში, მყარ დისკზე უამრავი ასეთი სია მაქვს. ვიპოვე ერთი, ოცი წლის წინანდელი ჩამონათვალი, რომელიც პომპიდუს ცენტრისთვის შევადგინე ჟან ლუ პასეკისა და სილვი პრას თხოვნით. მათ ლუმიერის ინსტიტუტისადმი მიძღვნილ საღამოზე შევხვდი. ამ სიის თანაავტორები იყვნენ ბერნარ შარდერი, რემონ შირა და ბერტრან

ტავერნიე პირველი ფილმის ქუჩიდან. მათ გამოიყენეს მასალები 30-იანი წლებიდან მოყოლებული 60-იანი წლების ჩათვლით, მე კი, როგორც ახალგაზრდას, მომანდეს 70-იანი და 80-იანი წლები (გარდა იმ ფილმებისა, რომლებიც სხვა პერიოდში გადაიღეს, მაგრამ ამ წლებში გაუშვეს ეკრანებზე). მომწონდა ეს საქმე. კინოს სიყვარულში ვიყავი გაზრდილი, კინოსი, რომელსაც უკვე დიდი პანთეონი ჰქონდა და ერთბაშად ზოგიერთი დიდი და ფასეული ფილმის ამოღება ჩემთვის ხელსაყრელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ სიამოვნებით ჩავრთავდი სიაში სატიაჟიტ რეის მთელ შემოქმედებას. ვუყურებ ახლა, მაშინ რა მქონდა ამორჩეული: რობერტ ალტმანის „მაკაბე და მისის მილერი“ (1971), ბერნარდო ბერტოლუჩის „სასაცილო კაცის ტრაგედია“ (1981), კლოდ შაბროლის „ზუსტად დაღამებამდე“ (1971), „ფილმის გადაღება დავიწყების საწინააღმდეგოდ“ – კოლექტიური (1991), ფრენსის ფორდ კოპოლას „ნათლიმამა 3“ (1990), ედგარდო კოზარინსკის „მარტო კაცის ომი“, რიშარ დინდოს „დანი, მიჩი, რენატო და მაქსი“ (1987), ბობ დილანის „რენალდო და კლარა“ (1979), ჟან ევსტაშის „მეძავის დედა“ (1973), მარკო ფერერის „უკანასკნელი ქალი“ (1976), „შტეფენ ფრირის „ჩემი ლამაზი ლაუნდრეტი“ (1985), ჟან-ლუკ გოდარის „ვნება“ (1982), მონტე ჰელმანის „ორი მოასფალტებული ქუჩა“, (1971), ჯერემი პოლ კაგანის „დიდი შესწორება“ (1978), აკირა კუროსავას „დიდი ძიუდოს ლეგენდა“ (1943); ჯერი ლევისის „შვედური მაგიდა“ (1982), კრის მარკერის „ჰაერის სიღრმე წითელია“ (1977) და „გადაგდება“ (1962), კლოდ მოლერის „უთხარით მას, რომ მიყვარს“ (1977), კრისტინ პასკალის „ზანზიბარი“ (1989), არტურ პენის „ჯორჯია“ (1981), სიდნი პოლაკის „აკრძალული საკუთრება“ (1966), ბობ რეფილსონის „ხუთი ადვილი პიესა“ (1970), პიერ რისიენის „ხუთი და ეპიდერმისი“ (1982), ჟაკ რივეტის „ჩრდილოეთის ხიდი“ (1981), ერიკ რომერის „ჩემი ღამე მოდთან“ (1969), ჟაკ როზიეს „მენი ოკეანე“ Maine Ocean (1986), რაულ რუისის „მეზღვაურის სამი გვირგვინი“ (1983), ჯერი შაცბერგის „საფრთხობელა“ (1973), ფერნანდო სოლანას „სამხრეთი“ (1988), ჟან-ფრანსუა სტევნენის „შლემი“ (1978), ჟან მარი სტრობის „არ შერიგებულები“

(1965), ფრანსუა ტრიუფოს „ესროლეთ პიანისტს“ (1960), პოლ ვეკიალის „სხეული გულით“ (Corps à coeur) (1979), ვაიმ ვენდერსის „დროთა განმავლობაში“ (1976), ვუდი ალენის „ზაფხულის ღამის ეროტიკული კომედია“, ალდრიკის „ორი გოგო ხალიჩაზე“, ჯუზეპე ბერტოლუჩის „ძმა“, ბერტრან ბლიე („ყვერები“), ჯონ კარპანტიე („შეტევა“), კასავეტი („ღიაა ღამით“), ფილიპ კონდრუაიე („თასი ათ ფრანკად“), ალენ კორნო („შავი სერია“), ასი დაიანი („ცხოვრება აგფას მიხედვით), დეპარდონი („სენსაციური ამბები“ და მისი მოკლემეტრაჟიანი ფილმები), ჟაკ დერე („მხოლოდ ორჯერ ვკვდებით“), კლინტ ისტვუდი („თეთრი მონადირე შავი გულით“), ვილიამ ფრიდკინი („ფედერალური პოლიცია, ლოს-ანჯელესი“), ფულერი („დიდი წითელი“), ვერნერ ჰერცოგი („აგირე“), ლორან ჰაინმანი („უნდა მოვკლათ ბირგიტ ჰაასი“), ბარბარა კოპლი („ჰარლან კაუნტი, აშშ“), სერჯიო ლეონე („ერთხელ ამერიკაში“), ბარბარა ლოდენო („ვანდა“), ლუი მალი („ალამო ბეი“ და მისი დოკუმენტური ფილმები), ნანი მორეტი („მე ვარ თვითკმარი“), მორისი („პატი როკს“), პოლ ნიუმენი („შუშის სამხეცე“), ემილიო პაკული („წმინდა მიწა“), პაზოლინი („სალო, ანუ სოდომის 120 დღე“), პეკინპა („პატ გარეტი, ბავშვი ბილი“), პერი („მდიდრული რანჩო“, ტომას მაკ გუანისადმი მიძღვნილი), რეი („ისევ არ შეგიძლიათ სახლში წასვლა“ – ნამდვილი სასწაული), რედფორდი („ჩვეულებრივი ხალხი“), რესნე („მურიელი“), სანტონი („გამარჯვებისკენ სწრაფვა“), სორა („ჩქარი ცხოვრება“), შლონდორფი („შეწყალება“), ვერნერ შროტერი („არგენტინა“), სკორსეზე („ალისა აქ აღარ არის“), ტაჩელა („სადარბაზო“).

ბევრი მათგანის სერიალი ახლაც იწვევს დიდ ინტერესს, ზოგმა დაადასტურა სიის მართებულობა, ზოგმა არა, ზოგი მათგანი ისევ ჩვენთან არის, ზოგი გაქრა. ფრანგებიდან ალბათ ჟაკ დემი უნდა ჩამეწერა სიაში („შერბურის ქოლგები“ შედევრია, ვგიჟდებოდი მის ფილმზე „ოთახი ქალაქში“, რომელიც ლუმიერის ინსტიტუტის ხელშეწყობით აღადგინეს), ფილიპ გარელიც, ჟან-კლოდ გიგეც, რომელსაც ლეო ფერეზე ვესაუბრებოდი კანში, ჟან-კლოდ ბიეტიც, რომლის ფილმებსაც

ვნახულობდი სენ-პოლიკარპის ჩიხში მდებარე კინოდარბაზში, ტეროს მოედანთან ახლოს ლიონში. ჩემს სიას აკლია აზიელი ოსტატები, რადგან ჩემი სინეფილური ახალგაზრდობის დროს მათს ფილმებს არ ვნახულობდი. გამონაკლისი იყო კუროსავა, ძიუდოს სიყვარული მიბიძგებდა მისი ფილმებისკენ. სიაში არც ბერგმანი და ტარკოვსკი არიან, რადგან მეჩვენებოდა, რომ ისინი სხვებს ეკუთვნოდნენ. სიაში არც კრისტიან ჟაკის „საიქიოდან მობრუნებული“ შემიტანია, არც ანდრე ტოტის „კატორღელების დოღი“, არც ნიკოლა რეის „დაუმორჩილებლები“, არც სტიუარტ როზენბერგის „ცივსისხლიანი ლუკი“ და არც მაიკლ პოუელის „ვიცი, სადაც მივდივარ“. მოგვიანებით ეს ფილმები ჩემთვის ახლობელი გახდა. არც მოლინაროა ამ სიაში, ყველაზე თავმდაბალი კინომუშაკი მსოფლიოში (ყველას გვაქვს ნანახი „აბეზარი კაცი“, მაგრამ ნამდვილად წარმატებულია მისი „ბელის სიკვდილი“, სიმენონის რომანის ადაპტაცია). როგორც კი ჰკითხავდნენ მისი დებიუტის შესახებ, მაშინვე ტრიუფოს და გოდარის ქებას იწყებდა. არც რაპნო, სოტე და დე ბროკა შემიყვანია ამ სიაში, ალბათ ჩემს სინეფილურ ბავშვობაში ვფიქრობდი, რომ მათ კლასი აკლდათ, არადა, არსებობდა ფილმები „აღგზნებული“ „ცეზარი და როზალი“, „კაცი რიოდან“!

იყო აგრეთვე ევსტაში და „ახალი ტალღა“ ბრჭყალებში და ცოტათი დაშლილი. აგრეთვე კოპოლა, რომლის ქაოსური კარიერაც იმ დროისთვის კითხვების პიკს ქმნიდა და ახლაც თითქმის ასეა. კმაყოფილი ვარ, რომ მაშინ არტურ პენის „ჯორჯია“ ამირჩევია (ფილმის სცენარი დაწერა სტივ ტესიჩმა, რომლის რომანი „კარუ“ მისი გარდაცვალების შემდეგ აღიარეს).

– ჩვენ ერთად ვისადილეთ ნიუ-იორკში, ხშირად გადიოდა გარეთ მოსაწევად, სწორედ ამან მოკლა. სტივს პიტერ იეტის ფილმისთვის დაწერილი ჰქონდა სცენარი „ოთხეულის ბანდა“. ეს არის ფილმი არა მაო ძე დუნის შემდგომ ჩინეთზე, არამედ – ველოსიპედზე ამერიკაში). სიაში მყავდა აგრეთვე ჯერემი პაულ კაგანის „დიდი შეთქმულება“ (The big fix) (ფილმში მონაწილეობდა ჩემი ერთ-ერთი საყვარელი

მსახიობი რიჩარდ დრეიფუსი) და რაულ რუისის „მეზღვაურის სამი გვირგვინი“, რომელსაც სიამოვნებით ვადარებდი ორსონ უელსს.

ფილმები, რომლებიც მოგვწონდა, შეიძლება ითქვას, ჩვენ გვეკუთვნოდა, ამიტომაც ახლა უკვე გვაქვს უფლება, მათი ერთგული აღარ ვიყოთ. ოფიციალურ აკადემიზმს და კატექიზმს, რაც ფრანგული სინეფილიის დრამაა, ყოველთვის უნდა გვერჩივნოს „საყვარელი სენტიმენტალური კინოს“ იდეა, რის შესახებაც წერდა ისტორიკოსი და მწერალი ნინო ფრანკი. თქვენი საყვარელი ფილმების სია ყოველთვის თქვენი ცხოვრების რაღაც მომენტზე გვიყვება. არასოდეს უნდა შევწყვიტოთ ასეთი სიების შედგენა, გადაკითხვა და გაგრძელება.

შაბათი, 15 აგვისტო

ბერტრანის სატელეფონო ზარი: „კარგი ამბები მაქვს. სისხლის ანალიზი დამაიმედებელია. სიმსივნე მართლა გვანებებს თავს. ქიმია არ დამჭირდება. შემიძლია წავიდე ვენეციაში, ჩემ პატივსაცემად გამართულ საღამოზე, მაგრამ რამდენიმე კვირაში, რაღაც ტექნიკური ამბავი მაქვს მოსაგვარებელი. ამიტომ ლიონში ჩემი ყოფნა სათუო ხდება“. ამ წამს არ მაინტერესებდა ლუმიერის ფესტივალი, მთავარი იყო, რომ ბერტრანის ხმა მესმოდა, გამახსენდა მისი მისწრაფებები, სამყარო და მომავლის გეგმები. როცა ეს მესიჯი მივიღე, იზერის სანაპიროს მივუყვებოდი, სიხარულისგან ისე ვიყვირე, ჩემმა ხმამ იზერის წყლის ხმაური გადაფარა და ალბათ ვერკორის პლატოზე ნაძვის დიდი ტყეები შეაზანზარა.

კვირა, 16 აგვისტო

ახლახან მეზობლის საქონელი ჩვენს მინდვრებში გადმოვიდა, გადმოლახა ღობეები და წყნარად წამოვიდა უფრო მწვანე ბალახისკენ, რაც ცხოველებისთვისაც უფრო მწვანეა, ვიდრე სხვაგან. სამი ძროხა იყო და ერთი ხარი, რომელიც მომშტერებოდა. აზრზე არ იყო, რა შიშს მგვრიდა, ასე ხდება, როცა ცხოველები ახლოს გვყავს ჩვენს კომფორტულ დასავლურ ცხოვრებაში. არ უნდა შევყოვნებულიყავი, უნდა ჩამევლო... დამიბრუნდა ადრინდელი რეფლექსები და ძველი

ხალხის გულგრილობა, როცა ბავშვობაში დამტოვებდნენ ხოლმე ბედის ამარა, რაც მეზიზღებოდა: „თვითონ მოიფიქრე, როგორ მოიქცე“, – ჩამყვიროდნენ ყურებში. ასეთი იყო ბავშვის წვრთნა აგრარულ გარემოში, რაც კარგია. იგივე დამემართა ახლაც: მარტო ვიყავი, მაგრამ ბედნიერი, ხელში მეჭირა ორი ჯოხი და ერთმანეთს ვურტყამდი, ხარს არაფერს ვუშავებდი, ვცდილობდი მათთვის მიმართულება მიმეცა, რომ არ დაკარგულიყვნენ, არ გადარეულიყვნენ, არაფერი ენანათ და აღარ მონდომებოდათ აქეთ გადმოსვლა.

როი საზერლენდი დონალდის შვილია. დიდი ბიჭია, ახლად გამოღვიძებულის თუ ღამის კლუბიდან გამოსულის იერით, გააჩნია როგორ შეხედავ. ჰოლივუდის აგენტებს შორის ის ერთ-ერთი საუკეთესოა. უნდა, რომ შევხვდე 2016 წელზე სალაპარაკოდ. „მითხარი, როგორ დაგეხმარო. აჯობებს, თუ ადრე დავიწყებთ. მომავალ კვირას პარიზში ვიქნები“. ეს იმას ნიშნავს, რომ ფილმები ექნება თან, რაც კარგი ამბავია. შეიძლება, ჟიურის წევრები უნდა რომ შემომთავაზოს. კიდევ ერთი ინფორმაცია: ჰოლივუდთან ჩვენს ურთიერთობებში დადებით როლს შეასრულებს კანში კეროლის Mad Max fury Road-ის ან Vice-versa-ს ჩვენება. ეს ურთიერთობები ჯერჯერობით ისევ მერყევი და მოსაფრთხილებელია (კალენდრის პრობლემა, მაისის თვე საკმაოდ შორსაა „ოსკარების“ კამპანიისგან და ა.შ.).

ორშაბათი, 17 აგვისტო

ლიონში ახალი სამუშაო წელი მეწყება. ქალაქი ოდნავ შენელებული რიტმით ცხოვრობს, მაგრამ არაფერი მსგავსი არ ხდება შატოში, მისი ტერასები გადმოჰყურებს მონპლეზირის უბანს და ბრწყინვალე შუქშია გახვეული. ანტუან ლუმიერმა, ლუმიერების მამამ, ეს სახლი შექმნა იმგვარი გეგმით, რომ მთელი დღის განმავლობაში მის ყველა ბელვედერში მზე მოხვედრილიყო. ჩვენი გუნდის წევრები, გატარებული შვებულების შესახებ ნათქვამი ერთი-ორი სიტყვის მერე, გატაცებით იწყებენ მუშაობას, რაც აღმაფრთოვანებს. ამას ალბათ სკორსეზეს ეფექტს უნდა ვუმადლოდეთ, სა-

ვარაუდოდ იმასაც, რომ გუნდის თითქმის ყველა წევრი ლიონელია, იმ ქალაქის მკვიდრი, სადაც ერთი კვირის განმავლობაში კინოს დაუვიწყარი დღეები გაიმართება. სამ კვირაში ლუმიერის ფესტივალის პროგრამაზე მუშაობა უნდა დასრულდეს, ფესტივალი კი 9 ოქტომბერს დაიწყება. პროგრამა დაწვრილებით უნდა მოიცავდეს აუცილებელ ინფორმაციას, ისეთს, როგორიცაა: ცხრილი, სტუმრების სია და ღონისძიებები. პარიზში კი კანის ფესტივალთან დაკავშირებული სამსახური დაკეტილი იქნება აგვისტოს ბოლომდე. მე, სხვა სეზონურად მომუშავის მსგავსად, სწორი გადაწყვეტილებების მიღება მიწევს ზაფხულის ბოლოს. ეს ჩვევა ბავშვობიდან მომდგამს, როცა ჩემი ცხოვრება სასწავლო წლებად იყო დაყოფილი. სკოლა მთავრდებოდა ივნისის ბოლოს, ბოლო ორ კვირას არაფერს ვაკეთებდით. გვქონდა ხანგრძლივი ზაფხულის არდადეგები. მაშინ ასეთი ხუმრობა იყო გავრცელებული მასწავლებლებზე: „აბა, გამოიცანით სამი მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა გახდე მასწავლებელი? – ივლისი, აგვისტო, სექტემბერი“. მე იმ კატეგორიის ადამიანებს ვეკუთვნი, რომელთაც უყვართ თვეების ზედმიწევნით დაგეგმვა (აღნიშვნა იმისა, რა არის საჭირო, რა არის სასურველი, რა არის შეუძლებელი და ა.შ.). დღეს ვეღარ ვბედავ შევეჯახო დროის უბრალოდ ჩავლას და უკვე თავბრუ მეხვევა ჩამოწერილი გეგმის წინაშე. მას მერე, რაც ორმოცდაათის გავხდი, გადავწყვიტე თავიდან დამეწყო ყველაფერი და გადამემოწმებინა. ტრიუფო ამბობდა, რომ „თამაშის წესი“ ოცდაათჯერ ჰქონდა ნანახი და სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა რამ ისწავლა ფილმისგან. არაჩვეულებრივი ხერხია იმისთვის, რომ ცხოვრების და მომავლის გეშინოდეს.

სამშაბათი, 18 აგვისტო

ისევ ვუბრუნდები „საუკეთესო ფილმების“ ჩამონათვალს. სერჟ დანიმ, რომელიც გიჟდებოდა სიების შედგენაზე, გამოიგონა რვაკატეგორიიანი ტაქსონომია, რომ საკუთარი თავისთვისაც მიეჩინა ადგილი;

„ა. უდავო ფილმი. ფილმი გზის მეგობარი, რომელსაც ბევრჯერ ნახავ. „შენი ულუფა“, რომელიც არ თავდება;

ბ. ფილმი, რომელიც გახდა უდავო ან სავარაუდოდ უდავო. მაგრამ არ არის შენი რეალური „თანამზრახველი“;
გ. ფილმი მეტეორიტი. ერთხელ ნანახი, ცალკე მონიშნული. მეორადი, ვირტუალური „ულუფა“;
დ. ფილმი ბუნდოვნად დამახსოვრებული;
ე. ფილმი, სხვებისთვის შედევრი და ბოლოს და ბოლოს – ჩემთვისაც;
ვ. ფილმი, რომელიც ემოციას იწვევს, მაგრამ ამას ყველა არ იზიარებს;
ზ. უმაღლესი ფილმი, მნიშვნელოვანი რაღაც პერიოდში „ჩვენთვის“, მაგრამ აღარ ნანახი, შიშის გამო;
თ. მოძველებული ფილმი, ხან რომ ჩანს და ხან არა. უფრო ბავშვობას უკავშირდება“.

ეს არის სინეფილებისთვის ისეთივე საჭირო კლასიფიკაცია, როგორიც პრუსტის კითხვარი იყო XX საუკუნის განათლებული ადამიანებისთვის. ეს კლასიფიკაცია გამოსადეგია სასიყვარულო ამბებშიც.

ოთხშაბათი, 19 აგვისტო

ამ კვირაში პარიზში არ წავალ. ერთი ძველი მეგობარი უნდა მოვინახულო და მის შესახებ მინდა გიამბოთ. ეს იყო 1930 წელს, ხმოვანი კინოს ეპოქის დასაწყისში. ერთი ახალგაზრდა ბიჭი „თავს ესხმის“ ლიონის კინოდარბაზებს და კვირაობით, მიჯრით დაწერილი ასოებით აღნუსხავს კვირის განმავლობაში ნანახი ფილმების მონაწილეთა გვარებს. ამაში არაფერია გასაკვირი, როგორც უკვე აღინიშნა, სინეფილები ხშირად ადგენენ სხვადასხვანაირ სიას. მან ეს საქმე გააგრძელა, განავრცო და ყველა ფრანგული ფილმის აღნუსხვა დაიწყო. ამ ბავშვს ერქვა რემონ შირა, ერთ-ერთია მათ შორის, ვისაც ამ წიგნს ვუძღვნი. ლიონში, საქსის ავენიუს პატარა ბინა, სადაც ის დაიბადა 1922 წელს და საიდანაც არასოდეს წასულა (არქივის მწარმოებლისთვის ეს უპირატესობაა), პატარა ბარათებით არის სავსე. ის ჯიუტად აგრძელებდა, ერთი მხრივ, კინომოყვარულის საქმეს, მეორე მხრივ

კი, მეცნიერულ კირკიტს, რამაც ერთგვარი გამოწვევის ხასიათი მიიღო და ამ ადამიანმა ეს გამოწვევა საკუთარ თავს თვითონვე წაუყენა. საქმე ბოლომდე მიიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ნამდვილ ლიონელს შეეფერება, სხვაგან მუშაობაც უწევდა (მათ შორის რესტორატორადაც) – მოახერხა ფრანგული კინოს დაარქივება დასაბამიდან დღემდე. მარტოდმარტომ, სპეციალისტების დაუხმარებლად, წარმატებით შეასრულა ეს საქმე. რამდენიმე წლის შემდეგ ყველა მიხვდა (უწინარესად კი კრიტიკოსი კლოდ ბელი), რომ ყველაზე სანდო წყარო, 1950 წლამდე პერიოდის 3000 ფრანგული ფილმის შესასწავლად, ამ ადამიანის ბარათებია.

60-იან წლებში ბერნარ შარდერი, რომელიც არის ლიონის კინომოყვარულთა ვუნდერკინდი ბავშვი, ფრანგული კინოს უიკენდებს და დამოუკიდებელი კინოს ლეგენდარულ საერთშორისო კონგრესს მართავდა. იკრიბებოდნენ მოყვარულები, მათ შორის იყო ახალგაზრდა ტავერნიე, „რომელიც სიამოვნებისგან ზმუოდა მანამდე, სანამ ეკრანზე ტიტრები დამთავრდებოდა“, – მიამბობდა რემონი ცოტა ხნის წინ. 60-იან წლებში, გაზეთ „პოზიტივის“ ლიონური წლების შემდეგ, რომელიც ბერნარმა 1952 წელს დააარსა, ის იქცა გამომცემლად და რემონის შრომების გამოქვეყნება სცადა. ეს საქმე ძვირადღირებული აღმოჩნდა და უდიდესი არქივი ბრიუსელში აღმოჩნდა, ბელგიის სამეფო სინემათეკაში.

1975 წელს გამოვიდა 1929-1939 წლების სრულმეტრაჟიანი ფრანგული ფილმების, ხმოვანი მხატვრული ფილმების კატალოგი, რამაც ფრანკოფონ კინომოყვარულთა დიდი აღტაცება გამოიწვია. ისინი წლები ელოდნენ ამ მოვლენას. ეს იყო ყოვლისმომცველი, ზუსტი ლექსიკონი, ისტორიკოსის თვალით დანახული, რომელიც აღწერდა დოკუმენტურ წყაროებს, მაგრამ ასევე იმ მომენტს, როცა კინომ ისიც კი არ იცოდა, რა არ იცოდა. კატალოგი აუცილებელი ცნობარი იყო პროგრამების შემდგენელთათვის, ჟურნალისტებისთვის, მწერლებისთვის (სხვათა შორის, პატრიკ მოდიანო იყო რემონის გულმხურვალე მკითხველი), კოლექციონერებისთვის. ორი სხვა კატალოგიც,

რომლებიც მალევე გამოვიდა, წარმატებული აღმოჩნდა. შირას ავტორიტეტი გაიზარდა. კატალოგებში მოყვანილი დასახელებები უტუარი მნიშვნელობის წყაროებად იქცა. კინომოყვარულები უკვე ისე ახსენებდნენ შირას, როგორც ფარმაცევტები – ვიდალს.

ამის შემდეგ რემონი მიუბრუნდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, რომლებიც დღეს სასიამოვნო ემოციით იკითხება. თვითონ შირამ, ალექსანდრ ვიალატის და ანატოლ ფრანსის მოყვარულმა, კარგად იცოდა თეატრი (ეს იყო მისი კიდევ ერთი გატაცება), ლიტერატურა, ლირიკული ხელოვნება... თვითონაც მწერალი იყო და ერთ სიტყვასაც არ დაწერდა სტილის გარეშე. მისი წიგნები საფრანგეთზე აფრქვევდნენ იმ მოგონებების სურნელს, რომლებიც უშუალოდ მოდიოდა ფილმიდან „ნული ყოფაქცევაში“. ეს იყო ასევე მაქს დირლისა და სატურნენ ფაბრის ხეტიალი. მოკლედ, ყველაფერი გვახსენებდა იმ ეპოქას, როდესაც „კინომ აღწერა იმ წლების ამბავი, ბუდუარები, მოსაწევი ადგილები, სასამართლო, ყაზარმა, კუთხის ბისტრო, მწვანემცენარეებიანი მისაღებები, ერთად შეკრიბა გულუბრყვილოთა გულწრფელი სიცილი, კომბინეზონში გამოწყობილი ქალიშვილების გულის წასვლა, მატერ დოლოროსას ქვითინი, დაუოჯახებელი მამის ემოციები“.

ამ წიგნებით შირამ, ხშირად ოლივიე ბაროსთან ერთად, დიდი სამუშაო ჩაატარა იმისთვის, რომ ფრანგული კინო ამოტივტივებულიყო. არცთუ იშვიათად ფრანგული კინოს ყველაზე ბნელ ადგილებს უტევდა. მისი წარმატებული კალმის წყალობით, ბევრი მივიწყებული სცენარისტი და რეჟისორი გაცოცხლდა. ვერასოდეს ვათქმევინე, თვითონ ვის ანიჭებდა უპირატესობას კინოში. მას არაფერი სცხია წარსულით მცხოვრები ადამიანისა, ის ყოველთვის აღტაცებული იხრებოდა მომავლისკენ, თანამედროვე ფრანგი კინომოღვაწეების „სიმწიფისა და გონიერებისკენ“.

1982 წელს ბერნარმა ის ლუმიერის ინსტიტუტში მიიღო. პიროვნული თვისებებისა და გულკეთილობის წყალობით რემონ შირა ლუმიერის ინსტიტუტის შუქურად იქცა (მხოლოდ ის ხვდებოდა მკვლევრებს, ჟურნალისტებს, ახალგაზრდა სტუდენტებსა თუ ხნიერ ერუდიტებს).

აღიარებული იყო ყველგან, უცხოეთშიც კი. საფრანგეთში, როდესაც ნიკოლა სედუმ, მარტინ ოფრუამ და პიერ ფილიპმა მას გომონის არქივების გამოკვლევა ანდეს, დიდ დაფასებად მიიღო. ეს ადამიანი ხორცშესხმული თავმდაბლობა იყო. როცა ის აირჩიეს კინოს ისტორიის კვლევის ასოციაციის პრეზიდენტად, ჟან მილტრის შემდეგ, ამას მოჰყვა მადლიერების საჯაროდ გამოხატვა მისი კოლეგების მხრიდან, რადგან, შირამ ხელი შეუწყო კინოს ისტორიის განვითარებას. ის კარგად აცნობიერებდა, რასაც აკეთებდა. 1988 წელს მიიღო პრიზი „საუკეთესო ნაშრომისთვის“, რომელიც გადასცა დრამის ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებამ (SACD). (Société des Auteurs et Compositeurs Dramatiques) ეს ჯილდო ზუსტად შეეფერებოდა მას, ვისაც თავი ხელოსნად მიაჩნდა. ამის მერე ისევ დაუბრუნდა თავის ბარათებს და აღარასოდეს შეუწყვეტია ეს საქმიანობა. ის არ იყო პონტიფიკოსის მსგავსი ვინმე, საკუთარ თავს რომ განადიდებს, მას არასოდეს აინტერესებდა ძალაუფლება. პირიქით, ყოველთვის გამოირჩეოდა თავაზიანობითა და მიმტევებლობით კინომოყვარული კოლეგებისა და სტუმრების მიმართ, რომლებსაც დიდი ხნის განმავლობაში იღებდა ლუმიერის ინსტიტუტში მისი იდეით შექმნილ მედიათეკა-ბიბლიოთეკაში (პენსიაზე გასვლის შემდეგ). მას 1983 წლიდან უძღვებოდა. მის გვერდით მე მოხალისეს ვგავდი, ერიკ ლე რუა (კინოს ეროვნული ცენტრის არქივის თანამშრომელი) სტაჟიორივით გამოიყურებოდა, ხოლო მიშელ სენ-ჟანი („დიაფანას“ მეპატრონე, ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგი დისტრიბუტორი) რწმენის გამო ჯარში წაუსვლელ ახალგაზრდას ჰგავდა. დღეს არმელ ბურდულუმ და ბრუნო ტევნონმა ჩაიბარეს ის სამსახური, რომელსაც მინდა, რომ რემონ შირას სახელი ეწოდოს. ცოტა ხნის წინ მას ჯერ კიდევ მიჰყავდა გადაცემების ციკლი ფრანგულ კინოზე მაელ არნოსთან ერთად. ტრანსმისია მისთვის ცარიელი სიტყვა არასოდეს ყოფილა. გადაცემას ეწოდებოდა „რემონ შირას კინო“ და ეს ყველაფერს ნიშნავდა. ბერტრანი გამუდმებით მას უკავშირდებოდა, როცა რაიმეს დაზუსტება უნდოდა, იქნებოდა თარიღი, ტიტრები თუ სხვა რამ, მაგალითად, რომელიმე

ფილმის ან გარდაცვლილი კინომოღვაწის შესაფასებლად. ის იყო ძალიან საყვარელი და ფაქიზი ადამიანი, ვისაც კი ურთიერთობა ჰქონია მასთან, ყველა გიჟდებოდა მასზე. ფილმებზე, ცხოვრებასა და ადამიანებზე მსჯელობისას იყო კრიტიკული, დაუღალავი ალტრუისტი, და მეგობრების დიდი ერთგული. ერთ-ერთი მათგანი მეც ვიყავი. მასთან შეხვედრამ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა.

კანის მერე ნანახი არ მყავდა, მენატრებოდა და დანაშაულის გრძნობაც მქონდა, და ამიტომ სასწრაფოდ მის სანახავად წავედი. მან ერთი ფრაზით გააქრო ჩემი მობოდიშება, რომ არ ვნახულობდი და ტელეფონითაც არ ვურეკავდი („შენ ხომ ბევრი საქმე გაქვს“), და ჩვენ ერთად გავატარეთ დრო, რაც ამ ბოლო თვეებში არ გვღირსებია. სხეული ცოტა დაუბერდა, ხმა დაუსუსტდა, მაგრამ გონება სულ არ შეცვლია. ვისაუბრეთ ამპერის სახელობის ლიცეუმზე, სადაც ის სწავლობდა. „წარმოგიდგენია, ყველა წავიდა, აღარავინ დარჩა“, – მითხრა, თითქოს აღარ ახსოვდა, რომ თვითონ იყო ერთდერთი ცოცხალი მათგან. კინოზეც ვილაპარაკეთ, ლიტერატურაზეც, ეს-ეს არის დაუმთავრებია მორის გარსონის „დღიურის“ კითხვა. ოკუპაციის პერიოდი ძალიან აინტერესებს. გავიხსენეთ ზოგიერთი სინემათეკის მდგომარეობა, აგრეთვე სერჟ ტუბიანას მემკვიდრე პარიზში, მან კი ბევრი შეკითხვა დამისვა ლუმიერის ფესტივალის პროგრამაზე, ფესტივალზე, რომლის გახსნასაც ის ვეღარ მოესწრო. მას თვალები გაუბრწყინდა, როცა შევთავაზე დიუვივიეს „პატეს“ მიერ აღდგენილი ფილმების დივიდის გაგზავნა, რის ჩვენებასაც ფესტივალზე ვაპირებდით. დიუვივიეზე პირველმა მან დაწერა. რემონი რჩება დაუღალავ კინოს შემმეცნებელად, მის მიერ დატოვებული გაკვეთილი მარტივია: უნდა ისაუბრო მხოლოდ იმ ფილმებზე, რომლებიც ნანახი გაქვს და ფილმების ყურების მადაზე უნდა იყო.

ხუთშაბათი, 20 აგვისტო

ჯუდი ფოსტერი და მე ერთმანეთს ვემესიჯებით. ჩვენ ის მოწვეული გვყავს სკორსეზესადმი მიძღვნილ ზეიმზე ლიონში. ეს მშვენიერი ქალი

მარტიმ პირველად გადაიღო არა „ტაქსის მძღოლში“, რომელსაც ჯუდი თავისი ამაღელვებელი ახალგაზრდობით ამკობდა, არამედ ფილმში „ალისა აქ აღარ არის“. ეს არის სკორსეზეს ხელით აგებული შენობის ერთ-ერთი ლამაზი ქვა, რომლის დანახვა არ მოინდომეს. ფილმი 1974 წელს გადაიღო, „საშიში ქუჩებისა“ და „იტალიელ-ამერიკელის“ შემდეგ. ეს უკანასკნელი დოკუმენტური ფილმია მის მშობლებზე. მაშინ სკორსეზემ არ იცოდა, რომ წარმატებული რეჟისორი დადგებოდა და მალე „ოქროს პალმა“ ძირფესვიანად შეცვლიდა მის, როგორც კაცისა და ხელოვანის, ცხოვრებას. ჯუდი უარზეა, რადგან მისი ყურადღება მიპყრობილია ახალი პროექტის მონტაჟზე. ამ პროექტმა თავი მოუყარა ჯორჯ კლუნის, ჯულია რობერტსს და „სონი-კოლამბიას“, ჰოლივუდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტუდიის მსხვილ ბიუჯეტს. სტუდიაში პროდიუსინგს ხელმძღვანელობს ტომ როთმენი. ფილმის გამოსვლა შტატებში აპრილის თვეშია დაანონსებული. აუცილებელია, უფრო მეტი ვიცოდე ამ ყველაფერზე. საამისოდ აუცილებელია ვესაუბრო პროდიუსერს, რაც წინასწარ ვიცი, რომ უაღრესად დელიკატურად მომიწევს: ცნობების შეკრება ფილმზე ნიშნავს ინტერესის გამოხატვას; ეს კი სარისკოა, რადგან ჯერ იმედის აღძვრა პროდიუსერებს შორის და მერე უარის თქმა ფილმზე, გაუმართლებელია. სელექციონერი უნდა იყოს სურვილის მქონე ცხოველი და, ამავე დროს, ცივსისხლიანი მანქანა. ჯუდი, რომელიც მთლიანად თავისი ფილმითაა დაკავებული, მეუბნება: „გეთაყვა, დამპატიჟე მომავალ წელს“.

პარასკევი, 21 აგვისტო

ერთი ვიკინგი ჩამოდის რონასა და სონას შორის მდებარე ქალაქში. მედს მიკელსონი მიდასტურებს, რომ ჩამოვა ლუმიერის ფესტივალზე. „შეგვეძლება ველოსიპედებით სეირნობა?“ – მეკითხება ის ნახევრად ხუმრობით. როცა მედს ვხვდები, ან დეი ლევისს, ან დენი ბუნს, სულ ველოსიპედზე, აღჭურვილობასა და პარკურზე ვლაპარაკობთ. მას უყვარს ველოსიპედით სეირნობა ბალეარებსა და მალიორკაზე. ვეუბნები, რომ ახალი ველოსიპედის ყიდვას ვაპირებ. „წითელი იყიდე,

წითლები უფრო სწრაფებია“. შუნისკენ ვაგრძელებ გზას. როცა ღამით ვბრუნდები, სავსე მთვარე ნელა ამოდის და ვერკორსა და შარტრეზს შორის თავსდება. ზაფხულის ნიავი აფრიალებს ცაცხვის ფოთლებს, რომლებიც ხალიჩასავით ეფინება მიყრუებულ ადგილს.

შაბათი, 22 აგვისტო

სამუშაო წლის დაწყება ნიშნავს აგრეთვე „ლე სტრიტ კლაბის“ რეაქტივაციას. ეს არის ბრიუს სპრინგსტინის ფანების ინტერნეტჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან: ანტუან დე კონი, როშდი ზემი, ჟურნალისტები – სერჟ კაგანსკი, ფრანსუა არმანე, ლეონარ ადადი, ივ ბონგარსონი და ლიზა ვინიოლი, აგენტები – ფრანსუა სამუელსონი და დავიდ ვატინე, აგრეთვე საპროდიუსერო-სადისტრიბუციო საზოგადოება „ვორნერი“ და ოლივიე სნანოუჯი. ბრიუსი, რომლის შესახებაც დიდი ხნის განმავლობაში არაფერი გვსმენოდა, ზაფხულში უცებ, სიურპრიზად გამოჩნდა ნიუ-იორკში U2-ის კონცერტზე, ვისთან ერთადაც იმღერა: „ჯერ ისევ არ მიპოვნია, რასაც ვეძებდი“. შეიძლება თავის მომავალ ალბომს გულისხმობდა, რომელსაც გამოსვლა დააგვიანდა. ერთი საიტი აცხადებდა, რომ ბრიუსი ემზადებოდა 2016 წლის ტურნესთვის და ალბათ ახალ დისკსაც ამზადებდა. ამ ინფორმაციაში არაფერია გასაკვირი: ბოლოს ბრიუსი ნახეს გენიალურ ჯონ სტიუარტთან გამომშვიდობებისას. იგი არ ჰგავდა კაცს, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ნიუ-ჯერსის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების თვალიერებაში იქნებოდა ან პენსიონერთა რულეტს ითამაშებდა ეზბური პარკის კაზინოში.

„ეს საიტი მატყუარაა, – აღშფოთდა რუშდი, რომელიც თავის ახალ ფილმს, „შოკოლადს“ ამონტაჟებდა. – ამ საიტმა ორი წლის წინ ყველაზე მაღალანაზღაურებად ფრანგ მსახიობთა ათეულში მომიხსენია“.

კვირა, 23 აგვისტო

ერთი გოგონა სახიფათოდ იყო მიყრდნობილი ხმაურიანი სოფლის გზის პირას მდგარ მანქანას. მას ლასვეგასელი კინოვარსკვლა-

ვივით ეცვა, თავის სმარტფონს დაჰყურებდა და კევს ღეჭავდა. გამომწვევი ზედაჩასაცმელი, შორტი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. ეკრანს მიშტერებოდა და არად აგდებდა შემხვედრი მანქანების მძღოლთა დაჟინებულ მზერას თუ მათი ავტომობილების გაბმულ სიგნალს. გოგონა ერთ ბიჭს აჰფარებოდა, რომელიც იქვე, პატარა არხში მოსაფსმელად ჩასულიყო და ახლა უკვე ქამარს იკრავდა. გეგონებოდა, ნენ გოლდინის მოდელი სტიუარტ ო ნენის „სიჩქარის დედოფალს“ შეხვდა (რომელიც ფილიპ გარნიემ თარგმნა) ნაშუადღევის ბოლოს, მზეზე, ერთ კვირა საღამოს, როცა არ გინდა, რომ ორშაბათის დადგომა ნახო.

ორშაბათი, 24 აგვისტო

თავსხმა წვიმაა, მაგრამ ვინც მუშაობს, მიემგზავრება ან გზატკეცილით, ან ჩემსავით რკინიგზით, დილაადრიანად. ახალი სამუშაო წლის დაწყებისას ეს ჩემი პირველი რეისია ლიონიდან პარიზისკენ. არანაირი ნიშანწყალი „ტალისის“ (სწრაფი მატარებელი პარიზი-ბრიუსელი.) ეპიზოდით გამოწვეული ფსიქოზისა, როცა ერთი ტერორისტი სწრაფი მატარებლის სამმა მგზავრმა უშიშრად შეიპყრო, არ შეიმჩნევა. საჰაერო ტრანსპორტის შემდეგ სარკინიგზო ტრანსპორტშიც შემოაღწია ტერორიზმმა. ჩვენი სიცოცხლე მხოლოდ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხარისხზეა დამოკიდებული, რადგან თითოეული ჩვენგანის სიცოცხლე ტერორისტული სიგიჟით შეპყრობილ მარტოხელა მგლების ანაბარაა მიტოვებული. მაგრამ ფრანგები მალე იბრუნებენ იუმორის გრძნობას. რკინიგზაზე საინფორმაციო ბიურო გაიხსნა, საეჭვო ქცევის ადამიანთა გამოვლენის მიზნით. გუშინ, ვიღაც ტიპმა დაპოსტა ტვიტერზე: „მინდა განვაცხადო ერთი საეჭვო ანომალიის შესახებ, ეს არის სწრაფი მატარებლის ბარში სენდვიჩების ფასი“.

ამელის ქუჩაზე ფესტივალის მომსახურე გუნდის ნაწილი უკვე დაბრუნდა შვებულებიდან, მათი ნახევარი, ათამდე კაცი, ფილმის ბაზარზეა, რომელიც ტორინოს ფესტივალს ამზადებს. მახსოვს, ჩემი კარიერის დასაწყისში, სამუშაო წლის დაწყებას მღელვარება ახლდა. ჟილ

ჟაკობი ფლობდა არაერთგზის გამოცდილ ტექნიკას ზემოქმედების გასაძლიერებლად, როგორც კი იტალიური „მოსტრა“ დაანონსებდა ხოლმე შერჩეულ ფილმებს – იგონებდა სხვადასხვაგვარ საფრთხეს, რაც ვითომ კანის ფესტივალის უპირატესობას დაემუქრებოდა. არ მესმოდა, რატომ უნდა დავესუსტებინეთ მეტოქეების ხსენებას. მე კი ისე ვიქცევი, როგორც ძიუდოისტების წრეში იქცევიან – მეტოქეებზე არ ვლაპარაკობ, მათ პატივს ვცემ, მაგრამ ყველა ღონეს ვხმარობ, რომ ისინი დავამარცხო. ფესტივალებს შორის არსებული მეტოქეობა არ მესმოდა მანამდე, სანამ ამ საქმეში არ აღმოვჩნდი, ადრე ყველა ფესტივალი არაჩვეულებრივად მეჩვენებოდა. ვწუხვარ, რომ ზოგჯერ მეტოქეობის განცდამ მეც მომწამლა. ჟილის წლები იყო გამომწვევი და რთული, საქმისადმი ზედმეტად სერიოზული მიდგომით (ჟილი იმ თაობის კაცია, რომლის წარმომადგენლებისთვის მოდუნება საქმისთვის თავის დანებებას ნიშნავს), მკაცრი მოთხოვნებით, რასაც დიდხანს ვერ შევეგუე. როცა მივლინებაში მივდიოდი, ჟილი სასაცილო და განგაშის შემცველ მეილებს მიგზავნიდა. ამით, მგონი, თავს იმშვიდებდა, ჩემზე კი პირიქით მოქმედებდა. მესიჯებით, რომლებიც ათასგვარი გაფრთხილების ფორმას იძენდა, ჟილი ნერგავდა ეჭვს, ქმნიდა საგანგებო ვითარებას და ამგვარად აკონტროლებდა თავის შფოთიანობას. რით აიხსნება ეს? ალბათ რაღაც შინაგანი ტკივილითა და მარცხის შიშით, რაც მისი მარცხიც იქნებოდა. ის ისე მჭიდროდ იყო დაკავშირებული კანთან, რომ მის ოდნავ კრთომაზეც რეაგირებდა. არანაკლებ მობილიზებულია პიერი, ის ჭკვიანურად ეცნობა ჩვენს გამოცდილებას – აქტიურ, ცნობისმოყვარე და მფარველ მოწმესავით.

სამშაბათი, 25 აგვისტო

ტომა მალერი ჟურნალ „პუენიდან“ იკვლევს, რა მიზეზითაა, რომ იტალიელ რეჟისორ პაოლო სორენტინოს, „დიდი სილამაზის“ ავტორს, გუნდრუკს უკმევენ საზღვარგარეთ და არა საფრანგეთში? მე ვპასუხობ, რომ საფრანგეთის მხრივ განსხვავებული შეფასება თვალშისაცემია, მაგრამ არა უჩვეულო. რეჟისორის მომხრეები ამას იმით

ხსნიან, რომ იგი უფრო ფესტივალების დროს აღმოჩენილი კინომოღვაწეა, ვიდრე კრიტიკის მიერ ხელდასმული. 2001-ში მას ყურადღება მიაქციეს ვენეციის ფესტივალზე, მერე ანსის ფესტივალზე და ბუენოს-აირესში „ბაფიციზე“ (დამოუკიდებელი კინოს ბუენოს-აირესის საერთაშორისო ფესტივალი). მის პირველ ფილმს ეწოდებოდა „დამატებითი მოთამაშე“ (l'uomo in più), სამი წლის შემდეგ კი კანის ფესტივალის კონკურსში მისი „სიყვარულის შედეგები“ გამოჩნდა. ამ უცნობმა კინომოღვაწემ, რომელსაც აუტიზმის ნიშნები ჰქონდა, ვერ შეძლო თავისი რწმუნების სიგელების თავაზიანად წარმოდგენა. ამით ის კიდევ უფრო სიმპათიურად გამოჩნდა, მაგრამ უნდობლობა გამოიწვია. მაშასადამე, საფრანგეთთან პირველი შეხვედრა მარცხით დამთავრდა. რა თქმა უნდა, არსებობენ რეჟისორები, რომლებიც კრიტიკას უყვარს, მაგრამ ფესტივალებზე დასრულებულა მათი კარიერა.

ეს აიხსნება კიდევ იმით, რომ პაოლოს ფილმების რეჟისურა ძალზე მყვირალაა, შესაბამისად, იგი „ყალბი ბრწყინვალების“ რეჟისორად და „პატარა ცბიერად“ მიაჩნიათ. ყოველთვის მძულდა ასეთი ეპითეტები, მაშინ ჰიჩკოკი და კუბრიკი „დიდი ცბიერები“ გამოდიან? შეიძლება არ გიყვარდეს, მაგრამ სორენტინოს კინო მეტისმეტად „საავტოროა“. ის კუთხეშია მიმწყვდეული, არანაირი დაჯგუფების წევრი არ არის, არც გავლენიანი მეგობრები ჰყავს, რომლებიც მინიმალურ კრიტიკულ ტერიტორიას მაინც გააკონტროლებდნენ, რაც მას ნანატრ რესპექტაბელურობას მოუტანდა. ის გაუფრთხილებლად გამოჩნდა დრუპის იერით, არავისი არაფერი ჰმართებდა და ცოტათი ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. მაშასადამე, მის მიმართ ყალბი დამოკიდებულება იყო.

პაოლოს პირველმა ფილმმა დიდად ვერ დამარწმუნა, მაგრამ მომდევნომ – „სიყვარულის შედეგებმა“ გადამრია, ისევე როგორც ფილმის ბოლო ფრაზამ, რომელიც კადრს მიღმა გაისმა: „როცა ის ჩემზე იფიქრებს, ეცოდინება, რომ მეგობარი ჰყავდა“. ნორმალური იყო, რომ კანი ასეთი წრთობის რეჟისორს ჩაეჭიდა. დღესდღეობით, ის ყველა სხვა ფესტივალის სასურველი სტუმარია, ხოლო კოლეგები მისით აღფრთოვანებას ვერ მალავენ. მაგალითად, გასპარ ნოესთვის ის არის

კინომოღვაწე სხვა კინომოღვაწეებისთვის, დამოუკიდებელი და ნეიტრალური, სხვაგან მყოფი. დროთა განმავლობაში დადასტურდა მისი მხარდამჭერების აზრი – პაოლო გაიზარდა და ანგლოსაქსებმა მას „ოსკარი“ მიანიჭეს, საფრანგეთის მხრიდან მის უარყოფას კი ვერაფრით ახსნი. თუმცა კინოდარბაზებში სულ სხვა სურათია, სორენტინოს ფილმებზე ბევრი ხალხი დადის. როდესაც მან გამოაქვეყნა შესანიშნავი რომანი „ისინი ყველანი მართლები არიან“, ლიტერატურის კრიტიკოსებმა საქებარი სიტყვები არ დაიშურეს, მაგრამ არა კინოჟურნალისტებმა. ჩვენ ვცხოვრობთ უნიუანსებო ეპოქაში, როდესაც დიდი ტყუილების საკრალიზებას ახდენენ, როდესაც ჟურნალი „ლე ზენროკუპტიბლ“ პირველ ნომერ „ზედაფასებულ რეჟისორად“ სორენტინოს მოიხსენიებს. ამის შესახებ რომ გაიგო, თქვა: „მადლობა, ბიჭებო, ყოველთვის კარგია რაღაცის მოპოვება“.

სენ-დომინიკის ქუჩაზე, ტუმიეს რესტორანში ვსადილობ დომინიკ დელპორთან ერთად, რომელიც „ავას მედიას“ მეპატრონეა. ერთმანეთი დიდი ხნის წინ ლიონში გავიცანით და ჩვენი ყოველი შეხვედრა სიხარულს გვგვრის. ათასი რამ გავიხსენეთ, სანამ „კანალ+“-თან თანამშრომლობამდე მივიდოდით. დომინიკმა ყველაფერი იცის ტელევიზიის მომავალზე, ინტერნეტზე, შინაარსზე, პლატფორმებსა და საიდუმლო ინფორმაციაზე. ის ასახელებს საფუძვლიან არგუმენტებს „კანალ+“-თან თანამშრომლობის გაგრძელების სასარგებლოდ. მისგან გამომზეურებული არგუმენტები „ვივენდი ჯგუფიდან“ მომდინარეობს. რესტორნის შემდეგ ვურეკავ პიერს, რომელიც ჯერ კიდევ სამხრეთშია. მას უნდა გამართოს შეხვედრა „ფრანს ტელევიზიონთან“, რომ მათი სურვილები შეაფასოს.

ოთხშაბათი, 26 აგვისტო

მოულოდნელად, „კლუბ 13“-ში ლელუშის ახალი ფილმი გაუშვეს „ერთს + ერთი“. სასიამოვნო ზაფხულის დღეებია, არანაირი შეხვედრები... ბოლო წამს შემიძლია პარიზის ერთ-ერთ კინოდარბაზში გამოვიკეტო. ფილმის წინასაპრემიერო ჩვენება, რომლის პროდიუსერები

და დისტრიბუტორები ძმები ჰადიდაები არიან, გაიმართება ანგულემში, მარი ფრანს ბრიერისა და დომინიკ ბენშარის მიერ ორგანიზებულ ფესტივალზე, სადაც შემოდგომის ფრანგულ ფილმებს უჩვენებენ. ეს პროდიუსერები, ძირითადად, ამერიკულ, საავტორო და მძაფრსიუჟეტიანი ჟანრის კინოში მუშაობენ. ადრე მათ გატეხეს ჰონკონგის კინოს ყამირი. კინორეჟისორს უყვარს ხოლმე ხალხის რეაქციის ნახვა მანამდე, სანამ თავის ფილმს ბედს მიანდობს. კანის ფესტივალამდე, დაუწერელი კანონის მიხედვით, აკრძალულია პრესისთვის ფილმების ჩვენების გამართვა – ფილმი არავის არ უნდა ჰქონდეს ნანახი. ვეთანხმები ამ პრინციპს, რადგან ვიცი, რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ასეთ ჩვენებებს პრესატაშეებისთვის.

ვარიაციები ცხოვრების შემთხვევითობასა და დამთხვევებზე, მოგზაურობასა და სიყვარულზე მოცემულია ლელუშის 2015 წელს გადაღებულ ფილმში „კაცი, რომელიც მომწონს“, სადაც ამერიკის უდაბნოების ნაცვლად ნაჩვენებია განგის წყლები. ამ ფილმმა ხელახლა წამოჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ადგილი უკავია ლელუშს თანამედროვე ფრანგულ კინოში. ლელუშის პირადი ისტორია ყოველმხრივ წესრიგშია – მას აქვს „ოქროს პალმა“ და საუკეთესო უცხოური ფილმის „ოსკარი“, რომელიც 1966 წელს მოიპოვა. სტროემის მოფიქრებული ფორმულა – „კინორეჟისორი, რომელსაც სიამოვნებით შეიზიზღებდით“ – ზედმიწევნით ესადაგება ლელუშს, რომელიც თავის დროზე ლანგლუამ მიიღო სინემათეკაში პირველი ფილმით (ანრი ლანგლუას უყვარდა თანამედროვე დამწყები რეჟისორები, ისევე როგორც მუნჯი კინოს ფანტომები). პუბლიკის ერთი ნაწილი აგინებს ლელუშს, მეორე ნაწილი კერპად აღიარებს და არასოდეს უღალატებს. ის ეკუთვნის ისეთი ადამიანების კატეგორიას, რომელთაც მიშელ უელბეკი ასე მოიხსენიებს: „მათ შეურაცხყოფას რისკი არ ახლავს“. ის არის ფრანგული სინეფილიის მიერ, გააზრების გარეშე, ნეგატიურად მიჩნეული რეჟისორი, სპეციალისტებმა არ იციან, რა თქვან მასზე. არავის შეუმჩნევია, რომ ლელუშისთვის უცხოა ქედმაღლობა, რომ ის ჭაბუკური ენთუზიაზმით ეკიდება თავის პროფესიას; არადა, წესით, უნდა

ჰქონოდა უპირატესობის კომპლექსი, რითაც თვალშისაცემად არიან შემკულები მისი მაგინებლები. ლელუშის მდგომარეობამ შეიძლება გული აუჩუყოს ვინმეს, განსაკუთრებით ახლა, როცა მედიით დამხობები ხდება და ჩვენ ვხედავთ, როგორ ცდილობენ ადრე დომინანტი ელემენტები უმცირესობად მოგვაჩვენონ თავი, ლელუში კი ურყევად აგრძელებს თავის გზას. მიუხედავად ამისა, გამოუცნობია ერთი რამ: როდის გაფუჭდა ყველაფერი? რით შეიძლება გაამართლონ თავიანთი უღირსი დამოკიდებულება ლელუშის შემოქმედებისადმი, რომელიც არის მწყობრი და მიზანსწრაფული? ფილმები რჩება, ხოლო მათ, ვინც საპირისპირო აზრებს გამოთქვამდა ლელუშის ნამუშევრებზე, ალბათ არასოდეს ჰქონიათ მისებრი ენერგია და კრეატიულობა საიმისოდ, რომ საქმე უკეთ გაეკეთებინათ. ლელუშის ცხოვრება არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, როგორც თვითონვე ამბობს ხოლმე საკუთარ მარცხსა და წარუმატებლობაზე საუბრისას, მისი ბიოგრაფია კი მაინც ინტერესს იწვევს. ცხოვრებისეულ თუ შემოქმედებით გზაზე მიღწეულ თითქმის თავხედურ წარმატებას, თან სდევდა მტკივნეული ჩავარდნები. ეს აისახებოდა ჟურნალების პირველ გვერდზე დაბეჭდილი ჩამქოლავი და დამამცირებელი სტატიებით, მაგრამ მისი დამოკიდებულება კინოს მიმართ არასდროს შელახულა. ლელუშს პატივს სცემენ მისი კოლეგები, მათ არ გაჰკვირვებიათ კუბრიკის ნათქვამი, რომ „ბედნიერი ახალი წელი“ მისი ერთ-ერთი ფავორიტი ფილმი იყო. ეს ინფორმაცია გაკვირვებას იწვევს, რადგან კუბრიკსა და ლელუშს არაფერი აქვთ საერთო. მაგრამ, ამ ორი რეჟისორის ურთიერთობას იქნებ სწორედ ის გამოხატავს, რაც მათ განასხვავებს. ადრე, ჯოზეფ მანკევიჩმა გამიმხილა, რომ ისურვებდა ყოფილიყო ავტორი დიუვივიეს ფილმისა „წიგნაკი მეჯლისიდან“. ყოველთვის მომწონდა ასეთი ტოლობის ნიშანი: „ვუდი ალენს მოსწონს ბერგმანი, რომელსაც უყვარს ვესტერნები“. ეს ფრაზა ბევრის მთქმელია. ხშირად რეჟისორებს არ უყვართ საკუთარი სტილი. ლელუში არის მაყურებელიც, რომელიც ყველა ფილმს ნახულობს (დღეს, ნაშუადღევს, 14-საათიან სეანსზე ნახა ფილმი Dheepan, რომელიც დღეს გამოვიდა ეკრანებზე)

და საათობით შეუძლია ილაპარაკოს ამაზე. ასეც მოიქცა კანის ფესტივალზე 2013 წელს, ალენ ჟიროდის „ტბის უცნობზე“ საუბრისას, რომელიც იმ წელს ყველა ფილმზე მეტად მოეწონა. მაშასადამე, რეჟისორს მოსწონს ის, რაც მას არ ჰგავს.

ჩვენების ბოლოს ყველა ბედნიერია და თავდაჯერებული. ელზა ზილბერსტაინი ბრწყინავს. დიდხანს ვესაუბრები ჟან დიუჟარდენს, რომელიც ხუმრობს კლოდის ეპიზოდების გადაღებებზე – თურმე მას აიძულებდა, საღამოობით ზოგჯერ დაესვენა (კლოდი 80 წლის ხდება), იქამდეც კი, რომ ხანდახან უარს ეუბნებოდა დიალოგის რამდენიმე სტრიქონზე, რომლებიც მეტისმეტად ჰგავდა ლელუშის ფრაზებს. „კლოდი ვერასოდეს იტყვის უარს აფორიზმებზე, თუმცა გაფრთხილებული მყავდა, რომ ყველა აფორიზმს ვერ დავეთანხმებოდი. საღამოობით, როცა მეორე დღის სცენებს ვიმეორებდით, ზოგიერთ რეპლიკას გადავხაზავდი ხოლმე: „არა, კლოდ, ეს არა, ამას, ამას და ამას, მე არ ვიტყოდი“. ისე მობეზრდა ეს ყველაფერი, რომ ერთ დღესაც მითხრა: „მეგონა, ისეთივე სიმპათიური იყავი, როგორიც ბელმონდოა, მაგრამ ისევე მომაბეზრებელი ყოფილხარ, როგორც ვენტურა“.

ეტუალიდან სენ-ჟერმენამდე ველოთი მივდივარ (ჯერ დაღმართზე ვეშვები, მერე აღმართზე ავდივარ, სენის მხრიდან შევდივარ სენ-ჟერმენის ბულვარში, ეს მინიმუმ 3 პროცენტია). ვხვდები ვენსან ლინდონს და „ლიპში“ ჩავდივართ საჭმელად.

„მოიცა, ამ სკამზე დაჯექი, აქ მიტერანს უყვარდა ჯდომა“, – მეუბნება ვენსანი, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის თანამედროვე ფრანგული ცხოვრება. ის კითხვებს მისვამს ლელუშზე. ვუყვები, რომ ფილმი კარგად მიიღეს. „არ მიკვირს, კლოდი კიდევ არაერთხელ შეძლებს ჩვენს გაკვირვებას“. მერე ვსაუბრობთ დიუვივიეზე, რომელზეც ის გიჟდება. მოკლედ, კარგად დაემთხვა. ჩვენ გვინდოდა დიუვივიეს მოწვევა ლიონში, ლუმიერის ფესტივალის გახსნაზე. „საუკეთესო იდეაა, ბევრი ექნება სათქმელი. ალბათ სიგიჟეა, მაგრამ ყველაფერი თავიდან ვნახე, რაც კი გადაუღია. შენ რაზე გინდოდა ლაპარაკი? ლუი ჟუვესა და მიშელ სიმონზე ფილმიდან „დღის ბოლო“, კაზბადალჟე-

ზე „პეპე მოკოდან“, ანრი ჟანსონზე „ლამაზი გუნდის ორი დასასრულიდან“, თუ შარლ ვანელის სიფათზე? იქნებ ფილმებზე: „ბანდერა“, „პანიკა“, „ზეიმი ანრიეტასთვის“, მიდი, მითხარი, ან კიდევ გაბენზე? თუ გაბენზე გინდა რამის თქმა, გაფრთხილებ, ამას დრო სჭირდება“. შუაღამისას მან დიდი სიფრთხილით იკითხა კომისიის შერჩევაზე, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, რომელი ფრანგული ფილმი გაეგზავნა „ოსკარზე“ საუკეთესო უცხოური ფილმის ნომინაციაში. „მე შემიძლია შვიდი არგუმენტი დაგისახელოთ იმისთვის, რომ გიბიძგოთ, ჰოლივუდში გაგზავნოთ „საბაზრო კანონი“, ის ზუსტად და მეთოდურად გადმოსცემს სათქმელს, ძალიან დამაჯერებელია“.

„ლიპიდან“ კაფე „ფლორში“ რომ გადავიდეთ, სენ-ჟერმენის ბულვარი უნდა გადავჭრათ. ლამაზი პარიზული ღამეა, დამთავრებას არ აპირებს. „ფლორში“ როი საზერლენდს ვხვდები, რომელიც ჯეიმს გრეის ირლანდიური გადაღებიდან ახალი დაბრუნებულია. ფილმი მზად იქნება ალბათ მომავალ წელს. ფილმის სახელწოდებაა „დაკარგული ქალაქი ზ“. როი მარტო ამ ფილმზე ლაპარაკით არ კმაყოფილდება. ფილმების სელექცია ასეც შესაძლებელია, პატარ-პატარა რეტუშებით, გრძნობით სავსე წუთების დროს, ერთ ჭიქა შაბლის ღვინოსთან ერთად.

ხუთშაბათი, 27 აგვისტო

კანის ყოველი ფესტივალი მკვეთრად აჩენს ერთსა და იმავე საკითხებს, ხოლო 2015 წლის ფესტივალი გამოეხმაურა ერთ-ერთ ახირებას, რაზეც არ იცი, უნდა შეგეშინდეს თუ გაგეცინოს. ეს არის მოარული აზრი იმის შესახებ, რომ კანის ფესტივალზე უარყოფილი ფილმები სხვაგან იმარჯვებენ. უფრო გულმოდგინედ თუ დავაკვირდებით, თანაც ბევრი სპეციალისტი ამას სიამოვნებით აღრიცხავს, საკმაოდ დიდია იმ ფილმების სია, რომელთაც, საუბედუროდ, კანმა ზურგი შეაქცია, სამი თვის თავზე კი ვენეციაში „ოქროს ლომი“ მოიპოვეს. ეს ჩემამდე იყო, მაგრამ არც მე გამომივიდა უკეთესად. მაგალითად, მაიკ ლის ფილმი „ვერა დრეიკი“ რამდენიმე თვის წინ სნობუ-

რად უარყვეს კანზე და მოგვიანებით დავესწარი მისი დაჯილდოების ცერემონიას „თეატრ ლა ფენიჩეში“, როდესაც ვენეციის ფესტივალის უმაღლესი პრიზი გადასცეს. ჩემი ბრალი იყო. ვეღარ გავუძელი უსასრულო საყვედურებს, თითქოს მუდმივად ვმფარველობდით „კანის აბონენტებს“ და სელექციის დროს ნაჩქარევად გადავწყვიტე, ერთ-ერთი მათგანი ამომეგდო. ამის გამო აღრიალდნენ ისინი, ვინც იმავეს გააკეთებდა, პირიქით რომ მომხდარიყო და მისაყვედურებდა ისეთი ფილმების შერჩევას, რომლებიც არავის გააკვირვებდა. „ოქროს ლომის“ მიღებისას მაიკ ლიმ დარბაზში შემამჩნია და სამადლობელ სიტყვაში ჩემი მისამართით თქვა: „ყველაზე მეტად მადლობას ვუხდი კანის ფესტივალს. მისმა უარმა საშუალება მომცა სხვა კონკურსში ჩავრთულიყავი და გამემარჯვა“. კინაღამ წამოვდექი, რომ პასუხად ხმამაღლა მეღიარებინა: „ცუდი ბიჭი ვარ“. ასე რომ მეთქვა, ის ვერასოდეს მოხვდებოდა იმ რეჟისორთა რიგებში, რომლებმაც ორ დიდ ფესტივალზე გაიმარჯვეს. არც ისე ბევრნი არიან ასეთი რეჟისორები. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საფუძვლიანი მსჯელობის შედეგად ოფიციალური კონკურსიდან ფილმის ამოგდება ეხმარება როგორც დარჩენილ ფილმებს, ისე უარყოფილებსაც! სხვა შემთხვევაში, განა იგივე ტრიუმფი ექნებოდა ფილმს კანის კონკურსზე? ამას ვერასოდეს გაიგებს ვინმე. მაიკ ლისთან ცივი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მას მერე ბევრჯერ ჩამოვიდა კანში, ბოლოს, შარშან იყო თავისი მშვენიერი და ბუნდოვანი ფილმით „Turner” (დაზგასთან მომუშავე).

ისტორია მეორდება. წელსაც ასევე იბურტყუნებს არნო დეპლეშენზე. მასთან დაკავშირებითაც იგივე შეცდომა მომივიდა და ამას იგივე სარგებელი მოჰყვა. ანალოგიური რამ ხდება ქსავიე ჟიანოლისთანაც – „ტელურიდის“ შემდეგ ტომ ლადი მიზიარებს მის საუკეთესო შეფასებას ფილმზე „მარგერიტ“. ჩვენ ის საკონკურსო ფილმებში არ ჩავრთეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქსავიე კანის ფესტივალზე ისევ ჩამოვა. პრესამ კარგად მიიღო ის სექტემბერში და რატომ გაწირა მაისში? მე მხოლოდ კითხვას ვსვამ. თუ ის მოიპოვებს „ოქროს

ლომს“, საფრანგეთს შეეძლება მეორედაც იზეიმოს, დავწერე თავის დასამშვიდებლად (ძალიან მომეწონა მისი ფილმი. ეს რომ ქსავიემ წაიკითხოს, ალბათ გადაირევა).

ამ ფიქრებში ვიყავი გართული ლიონისკენ მიმავალ მატარებელში, რომ ტელეფონი აწკრიალდა. რემონ შირა გარდაიცვალა. პარდიეში მისულს ინსტიტუტის გუნდი გაოგნებული დამხვდა. ყველა შეიკრიბა ლუმიერის შატოს ბოლო სართულზე, ბიბლიოთეკაში, რომელიც მის სახელს ატარებს. რამდენიმე სიტყვა ვთქვი, მერე ყველა გავირინდეთ, მეხსიერების სამეფო, სადაც ის ცოტა ხნის წინ კიდევ მეფობდა, მის სიჩუმესა და ჩვენს ტკივილს დავუთმეთ.

პარასკევი, 28 აგვისტო

იტალიურ-ამერიკული არია მესმის ედუარ ერიოს ქუჩაზე, ლიონში. რობერტ დე ნირო მირეკავს, ის არის ტრიბეკას ნიუიორკულ კაბინეტ-ში, მე კი გამოვდივარ კაფე „ნეგოსიანიდან“.

– სიამოვნებით ჩამოვიდოდი ლიონში მარტის პატივსაცემად, მაგ-რამ ვშიშობ, ჩემი გადატვირთული გრაფიკი ამის საშუალებას არ მომ-ცემს. – ვერ ჩამოდიხარ? – გადაღება მაქვს. – რა საწყენია. – ჯერ გეგ-მა არ შემიდგენია ბოლომდე, მაქსიმალურად ვეცდები. – სხვა დროს მაინც დაგპატიჟებთ, უკვე შენ პატივსაცემად გამართულო ზეიმზე. – სად? ლიონში? – დიდი მადლობა. თუ ვერ ჩამოვალ, ვიდეოს გამო-გიგზავნი. კანში როგორ მიდის საქმე? – კარგად. – როდის დამპატიჟებ კიდევ? – როცა შენ გინდა, ბობ, როცა შენ გინდა.

შაბათი, 29 აგვისტო

მესამედ და უკვე ბოლოჯერ გადის კინოთეატრებში მიგელ გომეშის ტრიპტიქი „ათას ერთი ღამე“ (მერე ხმას აღარ ამოვიღებ ამ ფილმზე, გპირდებით). ამ ოპუსს ქვესათაურად აქვს „მოჯადოებული“, ხოლო მის წინა სერიებს, შესაბამისად – „შეშფოთებული“ და „შეწუხებული“. დისტრიბუტორმა, თითოეული ამ ფილმის ჩვენებისთვის უკუღმა გზით იარა, მოჯადოებულმა, შეშფოთებულმა და შეწუხებულმა. დისტრიბუ-

ტორს ვერაფერს უსაყვედურებ გარდა იმისა, რომ ეგონა, ფილმის ქება-დიდების შედეგად კინოში ბევრი მაყურებელი მივიდოდა. „შიმშილის თამაშების“ გარდა, ყველა ორ- და სამნაწილიანი ფილმი დიდად სარისკოა. ამასთან დაკავშირებით, ყველაზე ცნობილია ალენ რენეს ფილმის დიპტიქი: „Smoking” და „No smoking”, მეორე ფილმის სანახავად გაცილებით ნაკლები მაყურებელი წავიდა, რადგან, როგორც ჩვენი პროფესიის ხალხი ამბობს, სათაურში იყო სიტყვა „no”.

პაოლო ბრანკო მიყვება, რომ კენზენში მისვლისას მიგელ გომეშს უთქვამს: „ფრემომ არ მიიღო ჩემი ფილმი, ის განწირულია“. უჰ! მაგრამ, ვპატიობ. როგორ შეძლებს კინორეჟისორი შეინარჩუნოს ზომიერების გრძნობა, როდესაც ის კრიტიკის შედეგად ამგვარ ეგზალტაციას ეძლევა? „ათას ერთი ღამე“ წარუმატებელი ფილმია. ზოგიერთი მგზნებარე მაქებრის აზრი არ ნიშნავს მაყურებელთა აზრს. თანაც მაყურებლის აზრი მყისვე ვლინდება, კომპეტენტურია და გულწრფელიც. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ არსებობს კინოზე საუბრის განსხვავებული მანერაც, გარდა იმისა, რაც ყოველ ოთხშაბათს ისმის კომპლიმენტების ჩემპიონატიდან – იქ გაბატონებულია ზედსართავები, რომელთაც შემდგომ დისტრიბუტორები აფიშებზე წერენ. ეს ერთგვარი დამოწმებაა დროთა ცვალებადობისა. „შეშფოთებულის“ აფიშას მიაწერეს: „გამაოგნებელი“, „არაჩვეულებრივი“, „მიმზიდველი“, „შეწუხებულს“ კი – „ფილმი-დაცემა“, „ფილმი-მოვლენა“, „ერთ-ერთი გიჟური ფილმი, რაც კი ოდესმე გვინახავს“, ხოლო „მოჯადოებულს“ – „სიზმრისეული“, „დიონისური“, „საკვირველი“, „ექსცენტრული“, „არაპროგნოზირებადი“. რენუარს და უელსს არ ღირსებიათ ასეთი ქება, ყოველ შემთხვევაში, მათ ფილმებზე ასე არ ლაპარაკობდნენ. აღმატებითი ხარისხის გამოყენება კომერციულად გაუმართლებელია. ეს იმის მანიშნებელიცაა, რომ გაურბიან კრიტიკულ ანალიზს, რაც უბიძგებდა სხვებს, ბედი ეცადათ. კინოკრიტიკოსი რომ ვყოფილიყავი, მეწყინებოდა, ჩემი აზრი მხოლოდ ერთ ფრაზამდე შეემცირებინათ.

კვირა, 30 აგვისტო

ზაფხულის მიწურულსაც კი საუბრებს ჯერ კიდევ მაისის თვის ამბები კვებავს. ანტონი ბობო, რომელიც ადრე „ფრანგული ფილმის“ ჟურნალისტი იყო, ხოლო ახლა დისტრიბუტორად მუშაობს „მემენტოში“ ალექსანდრ მალე გისთან, ამბობს: „კონკურსში „ათას ერთი ღამე“ რომ არ ჩართეს, ამ ფილმ-ტრიპტიქზე აგრესიას ნიშნავდა. შეიძლება ფილმი არც არავის მოსწონს, მაგრამ ხმას არავინ იღებს, ეს იყო წლის ყველაზე დიდი კრიტიკული თავდასხმა! ვან დორმალის ფილმი რომ დაგეშვა საკონკურსოდ, მის კარიერას ბოლოს მოუღებდი, ხოლო ფილმს ნაწილ-ნაწილ აკუწავდნენ, კრიტიკოსები კი სავარძლებს გამოშიგნავდნენ. მისი შესაფერისი ადგილი იყო კენზენში, სადაც ყველაფერი კარგად მიდის, განსაკუთრებით საინტერესო კი მისთვის ვენეცია იქნებოდა. კონკურსში გუ ვან სენტის ფილმის ჩართვით ის ჯვარზე გააკარით, დიდი შეცდომა მოგივიდათ. დონზელის ფილმმა ვერაფერში დამარწმუნა, მაგრამ ავტორმა რა არ გადაიტანა. მომეწონა დეპლეშენის ფილმი და ძალიან შეცდი, რომ კონკურსში არ ჩართე. თუმცა, პირიქით რომ მოქცეულიყავი, რუტინულ ამბად შეგიფასებდნენ. კედელთან ხარ მიყენებული. ჰოუ სიაო-სიანის ფილმი არის გაკვეთილი კინოზე, თქვენ ისე მოექეცით მას, როგორც უნდა მოქცეულიყავით. ამ ფესტივალზე ჩვენ ყველანი ახალი რეჟისორის დაბადების მომსწრენი გავხდით, ეს არის ლასლო ნემეში. შენ გაბედე და ის ჩართე კონკურსში, რაც აშკარად მართებულია დღეს, მაგრამ გადაწყვეტილებას რომ იღებდი, ალბათ ასე არ იყო. საკონკურსო ფილმებს შორის მოხვდა მისი „საულის ვაჟი“. ხალხს სხვა რა უნდა?“

ორშაბათი, 31 აგვისტო

რემონის დასაფლავებაა. როგორც ლიონელს, გიიოტიერის სასაფლაოზე მარხავენ, სადაც ლუმიერები განისვენებენ. ამ კაცმა ფრანგული კინოს ყველაზე ლამაზი ისტორია დაწერა მარტივად, თანაც მისი კატალოგიზაცია მოახდინა. რემონის ნამოღვაწარი აშენდა სხვათა შრომის სიყვარულზე, ის ამ სხვების პედანტური მოანგარიშე და საბოლოო „ექსჰუმერი“ (საფლავიდან ამომღები) იყო.

ორი კვირის წინ რომ ვნახე, მითხრა, ბერტრანი დიდხანს მელაპარაკება ხოლმე ტელეფონით, ბერნარ შარდერი კი ყოველდღე მეკითხება, როგორ ხარო. „იცი, მე მძიმე ბავშვობა მქონდა, მაგრამ მეგობრები სწრაფად შევიძინე. და მეგობრობა ჩემი ცხოვრების მთავარი საქმე იყო“.

„მიჟოც ჩემი ცხოვრების მთავარი საქმე იყო“, – დასძინა რემონმა. მარი-ჟოზეფი ბოჟოლედან მისი მეუღლე იყო დაახლოებით სამოცი წელიწადი. მის ხელში მოკვდა, საქსის ავენიუს ბინაში, ლიონში. ის მთელი ცხოვრება აქ ცხოვრობდა. ადრე მითხრა, ძველ მეგობრებს გასვენებებში თუღა ნახავო. 93 წლის იყო, მაგრამ მისი სიკვდილი მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა, მისი ხსოვნა კი მუდამ დარჩება ჩვენს გულებში. რემონი შუა ზაფხულში წავიდა, რომ ჩვენი გლოვის დღეებს სითბო ჰქონოდა თანმხლებად.

სექტემბერი

სამშაბათი, 1 სექტემბერი

ლუმიერის ფესტივალის პროგრამა უკვე მზად არის. ეს ნიშნავს: ბიულეტენებს, ფურცლებს, აფიშებს, პროგრამას, კალენდრებს, კატალოგებს, ფლაერებს, ბილეთებს, სტიკერებს, მაისურებს, წიგნებს... ოთხასი მოხალისე მოვა ადგილობრივი ჯგუფის დასახმარებლად, რომელიც მალე მიიღებს პარიზელ მოხალისეთა ჯგუფსაც.

პიერ ლესკური: „ტელევიზიით მთხოვეს გამოსვლა, კარგად იხდიან და საინტერესოცაა, მაგრამ კანთან არანაირ კავშირში არ არის. უარს ვიტყვი. როდის შევხვდებით?“

ოთხშაბათი, 2 სექტემბერი

ახალი სეზონი ნამდვილად სექტემბერში იწყება ვენეციის, ტორონტოს და სან-სებასტიანის ფესტივალებით. მანამდე დაკვირვების პროცესში ვარ. ვფიქრობ, ვსაუზმობ, ვსადილობ, ვაჯამებ. ერთი შე-

ხედვით, ეს ყველაფერი ადვილია, მაგრამ რაღაც მაინც ხდება ხოლმე. საჭიროა ყურადღება, ნახვა ყველაფრისა, რასაც სხვები აკეთებენ და „ჩვენი“ ფილმების შემოწმება. მომავალ კანის ფესტივალამდე შორია, ჯერ არაფერია გადასაწყვეტი და გასაკეთებელიც ცოტაა. გამონაკლისიც არის ხოლმე. მაგალითად. ტერენს მალიკი, რომელიც 2009 წლის ზაფხულიდან გვთავაზობდა თავის ფილმს „The Tree of Life”. მან 2010 წლის კანის ფესტივალს ბოლო მომენტში გვერდი აუარა, ხოლო 2011 წლის კანი მისთვის აღიარების ადგილად იქცა.

ბოლო წლებში აღარ დავდიოდით მოსტრაზე (Mostra Internazionale d’Arte Cinematografica), რომელიც დღეს საღამოს იწყება. ალბერტო ბარბერა, 2002 წელს ბერლუსკონიმ გარეთ გააგდო, მაგრამ ის დაბრუნდა და ფესტივალს ხელმძღვანელობს. მაშასადამე, აქ კანიც დაბრუნდა. ალბერტო კარგი კაცია. მარკო პოლოს აეროპორტში ჩასვლა ისევე სასიამოვნოა, როგორც ლაგუნაზე ნავით გასეირნება და ნელ-ნელა ფეხით დაბრუნება სასტუმრო „ექსელსიორთან“, რომელიც ვისკონტის აქვს გადაღებული. ლა მოსტრა არის მთავარი მომენტი ახალი სამუშაო წლის დიდი რვიანისა. ეს ფესტივალი 1932 წელს დაიბადა, ხოლო კანის ფესტივალი – 1939 წელს, უფრო იმიტომ, რომ ამ კინოფესტივალისთვის კონკურენცია გაეწია. მოსტრა მსოფლიოში ყველაზე ძველი ფესტივალია. ის დიდი ხნის განმავლობაში აღიარებული იყო საავტორო კინოს კურთხევის ადგილად და იაპონური კინოს ევროპულ კარად (კუროსავა, ოზუ და მიზოგუჩი ყოველთვის აქ ჩამოდიოდნენ) მანამდე, ვიდრე ხელმძღვანელობის ქრონიკული სიძნელეები ამ ფესტივალსაც არ გაუჩნდა 70-იანი წლების შემდეგ. ამას გარდა, იტალიელებმა უპირატესობა არ მიანიჭეს ფილმის ბაზრის შექმნას და ეს არჩევანი დღესაც ფატალურია მათთვის. მისგან განსხვავებით, თუ დღეს კანის ფესტივალი არის ის, რაც არის, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მთელი მსოფლიოს პროფესიონალები აქ იყრიან თავს, რომ „ბიზნესი აკეთონ“. ამიტომ, ვენეციის ფესტივალზე შეხვედრა ყოველთვის როდია შედეგიანი ფართომასშტაბიანი კომერციული მიზნებისთვის. მოსტრაზე, რომელიც დამოკიდებულია ბიენალეზე, სულ უფრო ნაკლებად მოდიან პროფე-

სიონალები. ამას გარდა, მოსტრას ფესტივალი იმართება არა დოჟების სასახლეში, არამედ ისტორიით, სილამაზითა და არაჩვეულებრივი ადგილებით გამორჩეულ კუნძულ ლიდოზე. მაშასადამე, ვენეციის ფესტივალი არის ლიდოს ფესტივალი, რომელსაც დიდად აღარ წყალობენ. ეს საჩუქარი აღმოჩნდა ტორონტოს ფესტივალისთვის, რომელმაც მეტად ჭკვიანურად შემოიღო დროებითი, არაოფიციალური, მაგრამ სარგებლიანი ბაზარი. იგი, ტრადიციულად, მოქმედებას იწყებს მოსტრას მომდევნო დღეებში. ეს ის გაკვეთილებია, რომლებიც სულ გვახსოვს.

ხუთშაბათი, 3 სექტემბერი

ფესტივალების ისტორიული მოდელი თვალშისაცემად შეიცვალა. მთავარი ევროპული ფესტივალები 30-იან წლებში დამკვიდრებული სქემის მიხედვით შეიქმნა: ის უნდა იმართებოდეს პატარა ქალაქში, სადაც იქნება წყალი. ვენეციაში არის ლაგუნა, ლოკარნოში – ტბა, სან-სებასტიანში – ლა კონჩას უბე, ხოლო კანში – ხმელთაშუა ზღვა. 1939 წელს სახელმწიფომ გადაწყვიტა, ფილმის საერთაშორისო ფესტივალი დაეარსებინა არა პარიზში, არამედ კანში, თუმცა მანამდე ბიარიცი უნდოდათ. სამაგიეროდ, ახლა, უკვე ორი ათწლეულია, მოდური გახდა დიდი ქალაქები, რადგან მეგაპოლისებში არის ულტრათანამედროვე ინსტალაციები, დარბაზები, მულტიფუნქციური ოპერისა და თეატრების დარბაზები, მუზეუმები. საფესტივალო ქალაქებად იქცნენ ბერლინი, ტორონტო, ბუზანი კორეაში – ეს არის ყველაზე დიდი ფესტივალი აზიაში. ყველგან ცეცხლოვანი პუბლიკა იკრიბება. დიდი ქალაქები საშიშ კონკურენტებად იქცნენ და ეს მომავალში უფრო საგრძნობი გახდება. აი, ესეც სულ გვახსოვს.

პარასკევი, 4 სექტემბერი

ახალი სამუშაო წლის დასაწყისისთვის დანიშნულ შეხვედრებს შორისაა ტელურიდი, ყველაზე ნაკლებად ცნობილი და მდიდარი ფესტივალი. ეს არის კანისა და ვენეციისგან სრულიად განსხვავებული, ერთი მივარდნილი ადგილი მთაში, ამერიკაში. სოფელში აქა-იქ

გადის ცენტრალური ქუჩა. იქაურობა ვესტერნის დეკორს ჰგავს, ალბათ აქ დაესხა თავს ბუჩ კესიდი პირველ ბანკს, ხოლო სარა ბერნარი აქ ავიდა „შერიდან ოპერა ჰაუზის“ სცენაზე.

კოლორადოს მდიდრულ დასასვენებელ ადგილას დამკვიდრდა TFF – Telluride Film Festival, რომელიც იმართება სექტემბრის პირველ დღეებში, „შრომის ზეიმის“ ირგვლივ და კრებს ვინც კი კინომოყვარული არსებობს ქვეყანაში ყველას, ჟურნალისტებს, პროდიუსერებსა და დისტრიბუტორებს. ამ ფესტივალს, შექმნის დღიდან (1974), სულ უფრო და უფრო დიდი ფასი ედება. იგი დააარსეს სტელა და ბილ პინსებმა და ლეგენდარულმა ტომ ლადიმ, კრის მერკერისა და ვერნერ ჰერცოგის მეგობარმა. მან ჰერცოგს ერთი დარბაზი მიაკუთვნა და მისი სახელი უწოდა (მეორე დარბაზს პიერი უწოდეს, პიერ რისიენის პატივსაცემად). ის ხელმძღვანელობდა „პასიფიკ ფილმ არქივს“ და ყოველთვის ჩანდა კოპოლას კინოსტუდიის „ზოეტროპის“ 70-იანი წლების პროდუქციის ტიტრებში. ამ ფესტივალზე მოსახვედრად ყველაზე იაფი აკრედიტაცია ათასი დოლარი ღირს და აქ ჩამოსვლამდე ვერავინ იგებს პროგრამას – ეს არის იდუმალება, სნობობაც, მაგრამ ამ ფესტივალის პრინციპი. აქ მოხვედრის სურვილი პიკს აღწევს, ჩრდილოამერიკელი ხალხის გულკეთილობაც უმაღლეს წერტილზეა. იქ მყოფს პრივილეგიის შეგრძნება აქვს, დანარჩენს კი ჟანგბადის ნაკლებობა აგვარებს (რადგან 2700 მეტრის სიმაღლეზე არიან). მე „დავიბადე“ ტელურიდში, 1995 წელს – ბერტრანთან ერთად ლუმიერის ფილმები ვაჩვენე, პუბლიკა ტრანსში ჩავარდა, ცნობილ პიროვნებათა მთელი კოჰორტაც იქ იყო. მათ დაუვიწყარი ტრიუმფის სახე მისცეს ლუმიერის ფილმებს. ტოდ მაკარტიმ ამის შესახებ „ვარიეტის“ პირველ გვერდზე დაწერა. მე კი აქ დამეწყო ამერიკული თავგადასავლები, ამ ღვთით კურთხეულ მთებში. აქ დავრწმუნდი, რომ ლუმიერის კინო ბევრმა არ იცოდა და რომ ის უნივერსალური იყო.

ოთხი დღის განმავლობაში, ორ ბარბეკიუსა და სამ კათხა ლუდს შორის, ბლუზის კონცერტის თანხლებით, იქ ნახავთ ითან ჰოუკს პერანგში და მოსაუბრე დონ დელილოს თუ ტედ ჰეინის... იქ შევხვდი

არაჩვეულებრივ ადამიანს, ეს იყო პიტერ ო ტული, ძალიან თავაზიანი კაცი, ვისთან ერთადაც ვსეირნობდი. რაც შეეხება სელექციას, TFF აჩვენებს დიდი რაოდენობით ფილმებს კანის ფესტივალიდან და ასევე, შემოდგომით გამოსულ ახალ ფილმებს. ეს ის ნამუშევრებია, რომლებიც მომავალ სეზონს შექმნიან და რომელთა სიცოცხლისუნარიანობასაც დატესტავს ჰოლივუდი „ოსკარების“ კონკურსისთვის.

შაბათი, 5 სსექტემბერი

ლამაზი ფრანგული ზაფხული მანუგეშებს, რომ არ გადავკვეთე ატლანტის ოკეანე, სხვა წლების მსგავსად. დილას ვატარებ ღვინის სარდაფის დალაგებაში, და ვუსმენ „არტ ტატუმს“, რომლის სახელიც პირველად გავიგე ბლიეს ფილმიდან „მამინაცვალი“ – როცა პატრიკ დევაერი ახსენებს მას ფორტეპიანოს ფანტასტიკური უვერტიურის დროს. ბლიეს ფილმები უფრო და უფრო ხშირად ჩნდება თანამედროვე ფრანგულ კინოსამყაროში. ზამთრის მიწურულს ჩემი ბიბლიოთეკის ერთ ნაწილი წყალმა ჩარეცხა და ახლა წიგნების გადარჩევაში ვარ. ფრთხილად ვაცლი ერთმანეთს შეწებებულ გვერდებს, ვცდილობ, გადავარჩინო ის, რაც მთავარია. ბოლოს, დაღლილ-დაქანცული, ვიღებ გადაწყვეტილებას – გადავყარო ის შრომები, რომლებიც მიყვარდა. ესენია ჩემი „კაიე“ და „პოზიტივი“, სრული კოლექციები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, განადგურდა, უინტერესო წიგნები კი გადარჩა. როგორც დესპროჟი იტყოდა: „ბრასანსის სიკვდილის დღეს ბავშვივით ვიტირე, ტინო როსის გარდაცვალების დღეს კი ორჯერ გადავიღე ხამანწკები“.

კვირა, 6 სექტემბერი

კარგი ამბები მესმის აკი კაურისმაკისგან. როგორც ყოველ წელს, ახლაც, შემოდგომაზე ჰელსინკიდან დაიძვრება და პორტუგალიისკენ წავა, გადაკვეთს ევროპას თავისი „კამპინგ ქარით“ ცოლთან, პოლასთან და ძაღლთან ერთად. ეს გენიოსი ადამიანი უხმაუროდ ცხოვრობს და აკვირდება ცხოვრების ორომტრიალს, საიდანაც ევროპულ ამბებს აგებს, მერე კი ისეთ ფილმს იღებს, რომლის ნახვაც

შესაძლებელი იქნება ორი საუკუნის შემდეგაც. კაურისმაკი გავიცანი კინოს 100 წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმზე ლიონში. ჩვენ ყველანი მისი ფილმების გულმხურვალე თაყვანისმცემლები ვიყავით, ბერტრანი გიჟდებოდა მის „Calamari Union"-ზე, მე კი „ბოჰემურ ცხოვრებაზე", აკი გაუფრთხილებლად დაგვადგა თავს და იმ რეჟისორებს შორის (ჟან რუ, პოლ ვეკიალი, არტურ პენი, სტენლი დონენი, ანდრე დე ტოტი, მრინალ სენი, იუსეფ შაჰინი), რომლებიც მოვიდნენ იმისთვის, რომ თავიდან გაეთამაშებინათ „ლუმიერის ქარხნიდან გამოსვლა", მან არაჩვეულებრივი ტემპერამენტი გამოავლინა. თავისი ზედმეტობების გასამართლებლად (მას მერე შედარებით დაწყნარდა), პოლარული წრის შვილი, რომელიც, ყოველწლიურად, ივნისში, აწყობს „მიდნაით სან ფილმ ფესტივალ"-ს ლაპლანდიის ჩრდილოეთში, ამბობს ხოლმე: „ფინეთში, ზამთარში, სულ ღამეა, ყველა მოწყენილია, ამიტომ სვამენ. მაგრამ ზაფხულში სულ დღეა და ყველა კმაყოფილია. ამიტომ სვამენ". კანში, როდესაც სცენაზე ავიდა, რომ მიეღო გრან-პრი ფილმისთვის „ადამიანი წარსულის გარეშე", მიუახლოვდა დევიდ ლინჩს, ჟიურის თავმჯდომარეს, თვალებში ჩახედა და ჰკითხა: „თქვენ ვინ ხართ?"

აკი ხშირად ჩამოდიოდა ლიონში. თავისი მუნჯი ფილმის „ჯუჰას" პრემიერისწინა ჩვენებისას გვთხოვა, რომ მისი ფილმის დაწყებამდე გაეშვათ „მატარებლის შემოსვლა ლა სიოტას სადგურში". ფილმების ჩვენებამდე მან პუბლიკას მიმართა: „ამ საღამოს თქვენ ნახავთ ორ ფილმს, ერთი 50 წამს გრძელდება, ლუმიერის გადაღებულია და შედევრია, მეორე საათ-ნახევარი მიდის, ჩემი გადაღებულია და საძაგლობაა". ბოლოს, ფაბიენ ვონიეს გარდაცვალებამ შეგვყარა ერთად. ფაბიენი მისი ფრანგი პროდიუსერი იყო და ჩვენ ყველანი დავტიროდით მას.

პირობას ვაძლევ საკუთარ თავს, რომ აკისა და პოლას სანახავად წავალ პორტოში. 2016 წლის ჩემსავე რეზოლუციებში ვკითხულობ: „მეგობრებს აღარ მივატოვებ". დიდი ხნის ჩანიშნული მქონდა მწერლისა და კრიტიკოსის, მატიე გალეს დღიურის ეს რამდენიმე სტრიქო-

ნი, რაც არასოდეს მავიწყდება, თუმცა ყოველთვის ვერ ვიქცეოდი ამ ნაწერის შესაფერისად: „სხვა დროისთვის გადავდებდი ხოლმე ღია ბარათის გაგზავნას, მეგობრული დამოკიდებულების რამენაირად გამოხატვას, სტუმრად წასვლას. ახლა ვაპირებ ამ ყველაფრის გამოსწორებას. არცერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლება. მახსენდება ბორი, ყველა ის წერილი, რომლებიც მეგობრებს გავუგზავნე ცოტა ხნით ადრე მის გარდაცვალებამდე. გამომშვიდობების სიმფონია, რომლის მოსმენაც ვერ შევძელით...“ შეგრძნება იმისა, რომ დრო გადის და დრო ფუჭდება, გამიჩნდა იმ წელს, როცა 55 წლის გავხდი. მანამდე ერთი კითხვაც კი არ გამჩენია ამ საკითხზე. გულუბრყვილოდ ვწერ, რომ ასაკის მატებასთან ერთად გვეძალება მოგონებები, გვახსენდება, რაზე ვთქვით უარი და რისი დაბრუნებაც გვინდა, ვფიქრობთ მიტოვებულ სასიყვარულო ამბებზე, ადამიანებზე, რომელთა სახეებიც მეხსიერებაში ხშირად ამოტივტივდებიან ხოლმე. ტრიუფო რომ მოკვდა, გოდარმა, რომელიც უხეშად დაუპირისპირდა მას წლების წინ, ის „ფრანსუათი“ მოიხსენია. გამახსენდა, როგორ დაუბრუნდა მეგობრობის გზნება, როგორ გაახსენდა ბევრი რამ, რაც ამ ორ ადამიანს აკავშირებდა, განასხვავებდა, უთანხმოებები მათ შორის, რაც საბოლოოდ საერთო ისტორიად იქცა. ჩემი ბიჭი, ჟიული, მალე 12 წლის გახდება, ის მხოლოდ თავის მეგობრებზე ფიქრობს. მე დამემსგავსება, მეგობრული კაცი დადგება. ვასწავლი, როგორ არ უნდა გამოეცალოს ხელიდან არავინ და არაფერი.

ორშაბათი, 7 სექტემბერი

ვენსან მარავალი, „უაილდ ბანჩის“ ერთ-ერთი მეპატრონე, მეუბნება: „დავბრუნდი ჩვენებაზე, მინდა ნიკოლა ვინდინგ რეფნის ფილმის „ნეონ დემონის“ პირველი მონტაჟი ვნახო, მერე დაგირეკავ“. კვირა საინტერესოდ იწყება, ნიკოლა 2016 წლის კონკურსის ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატია. კანში მან შთაბეჭდილება მოახდინა ფილმით „Drive”, მაგრამ მის მიმართ ნდობა ნაწილობრივ გააქარწყლა ფილმმა „Only God Forgives”. ეს იყო რადიკალური და დამაბნეველი ნა-

მუშევარი, რომელიც მეორე ნახვისას უფრო უკეთესი ჩანს. ნიკოლამ ახალი ფილმის გადაღება უკვე დაამთავრა? ჯერ ხომ ძალიან ადრეა.

ჩვენების შემდეგ მარავალი მირეკავს: „ძალიან მომწონს, მაგრამ სეპარატისტულია. ნიკოლა ქმნის პროტოტიპის კინოს, ზოგი გენიალურიაო, დაიღრიალებს, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს ფილმი შექმნილი იყოს წითელი ხალიჩის პუბლიკისა და გალა-საღამოსთვის“. ამ ფილმის ნახვის სურვილი მომეძალა. მაშინვე ვურეკავ ნიკოლას და ყასიდად ლუმიერის ფესტივალზე ველაპარაკები, სადაც ის თავის მეგობარ მედსთან ერთად იქნება. „კი, ჩამოვალ ლიონში, ძალიან კარგად მახსენდება ლიონური კერძი მაშონი“. მარავალი მელაპარაკება ასევე ოლივერ სტოუნის „Snowden”-ზე:

„ფილმი ახლა მონტაჟდება, მაგრამ ამერიკელ პროდიუსერებს არ სურთ ან არ შეუძლიათ ამ ფილმის გამოშვება წლის ბოლომდე. შეიძლება ბერლინის ფესტივალისთვის მოესწროს, მაგრამ შეხედე, პატეს სტუდიასა და რასამთან ერთად, იქნებ მოუნდეთ და დაელოდონ კანის ფესტივალს?“

ნაშუადღევს ვენეციაში ვბრუნდები ბერტრანის პატივსაცემად გამართულ ღონისძიებაზე. ბერტრანი და მე ალბერტო ბარბერას მიერ ნაქებ რესტორანში ვსადილობთ ალბერტოსთან, მის მეუღლე სარასა და საბინ აზემასთან ერთად. ბერტრანი ივლისის მერე არ მინახავს. ჯერ კიდევ არ არის ფორმაში, მაგრამ თანდათან უმჯობესდება მისი მდგომარეობა. ამას ვამჩნევ საუბრის დროს, რომელიც ჩვენი ბოლო საუბრის გაგრძელებას ჰგავს.

„სკოტ ეიმანის წიგნი ვეიზე საინტერესოა, „ალამოს“ გადაღებისა და პროდიუსინგის ამბებიც არაჩვეულებრივია. ცნობილი გახდა, რომ თურმე ვეინის რეჟისორობით ბევრი სხვა ფილმიც არის გადაღებული, თუმცა ოფიციალურად სხვები მიაჩნიათ ამ ფილმების რეჟისორებად. მაგალითად, „Comancheros” (კომანჩეროები, ინდიელთა ტომი) და „Big Jake” (დიდი ჯეიკი). აგრეთვე ბევრი რამ გახდა ცნობილი მის ჩართულობაზე MPAA-ში (La Motion Picture Association of America, ამერიკული პროფესიათაშორისი ასოციაცია, რომელიც ექვსი მსხვილი სტუ-

დიის ინტერესებს იცავს), მის პოლიტიკურ პოზიციაზე და კიდევ იმაზე, როგორ მოისროლა მან რობერტ როსენის ფილმის „მეფის გიჟების“ სცენარი“. საღამოს მშვიდად ვატარებთ, სარა ყველაზე ზრუნავს, საბინა თავის ცხოვრებაზე გველაპარაკება, მას მერე, რაც რესნე აღარ არის. ამ დროს რესტორანში გამოჩნდა ამოს ჟიტაი, რეჟისორი, რომლის ფილმსაც „იცხაკ რაბინის ბოლო დღე“ ამ საღამოს უჩვენებენ კონკურსზე. ის ჩერდება ბერტრანის წინ და დიდი სიყვარულით შეჰყურებს. ყოველთვის მომწონდა, როცა ორი სხვადასხვა ოჯახის წარმომადგენელი რეჟისორი პატივისცემით ეპყრობა ერთმანეთს.

სამშაბათი, 8 სექტემბერი

კინოს სასახლის დიდ დარბაზში ალბერტო ბარბერა „საპატიო ოქროს ლომს“ გადასცემს ბერტრანს მას შემდეგ, რაც ბევრი ლამაზი სიტყვა თქვა მასზე. ხალხი ფეხზე დგას, მათ ეს-ეს არის ნახეს „სიცოცხლე და სხვა არაფერი“, ბერტრან ტავერნიეს ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი, რომელიც მთავრდება არაჩვეულებრივი კადრსმიღმა ხმით. სიტყვების ავტორი ჟან კოსმოსია, ხოლო ამ სიტყვებს წარმოთქვამს ფილიპ ნუარე: „გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი აღლუმის დროს მოკავშირეთა ჯარებმა ელისეს მინდვრებზე ჩავლას დაახლოებით სამი საათი მოანდომეს, მგონი. მე გამოვითვალე, რომ თუ ასეთივე სისწრაფით ივლიდნენ ამ აუხსნელი სიგიჟის ომში დაღუპული საწყალი ადამიანები, მათ სვლას თერთმეტი დღე და თერთმეტი ღამე დასჭირდებოდა. მაპატიეთ ეს დამამწუხრებელი დაზუსტება. ჩემი სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით“. კარგია, როცა ფილმი ასე თავდება – „ჩემი სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით“.

საღამოს გამოსამშვიდობებელი სადილი გვაქვს ვენეციაში, მეგობრული სადილი. აქ არიან ალფონსო კუარონი, ჟიურის თავმჯდომარე, ბერტრანი, რომელიც ჩემდა გასახარად ადრინდელი ბერტრანია, და ალბერტო ბარბერა, ვინც ძმური მზერით შესცქერის თავის სტუმრებს.

ოთხშაბათი, 9 სექტემბერი

როცა თვითმფრინავი ცაში ადის და წყლისპირა ქალაქების მარადიულ სილამაზეს უყურებ, ძნელია არ გაიფიქრო, რომ ეს ზღვა კიდევ უფრო სამხრეთით ტრაგიკული გახდა, 2015-ში სირიიდან და ლიბიიდან ხალხი გარბის საბერძნეთისა და სიცილიისკენ. ათეულათასობით ადამიანი მორბის აქეთ გემებით. ავსტრიაში ნახეს მანქანა-მაცივარში გაყინული ლტოლვილები, მანქანა პარკინგზე იდგა. ლტოლვილთა მთელი კორტეჟები მოისწრაფვიან მდიდრების ევროპული პორტებისკენ.

„ღმერთო ძლიერო, ღატაკთ მასები, ვისთვისაც თქვენ მსხვერპლი გაიღეთ, აქაც არიან, დაპარკინგებულ-დახვავებული, საქონელივით, თავშესაფრებში. დიდრონ შავ გემებს გამოყოლილნი ჰორიზონტს აქეთ,

ეს ღატაკები, არეულები, გემებს ტოვებენ, ხიდზე დგებიან,
იტალიელი, ბერძენი თუ ესპანელი, რუსი,
ბულგარელები, სპარსელები და მონღოლები,
ცირკის ცხოველნი, მერიდიანს გადამხტარები.
მათ როგორც ძაღლებს, შავ ხორცს უგდებენ,
მაგრამ ისინი შეჰხარიან ჭუჭყიან საჭმელს.
ღმერთო ძლიერო, შეიწყალე ტანჯული ხალხი“.

ეს არის ბლეზ სანდრარის ლექსი „აღდგომა ნიუ-იორკში“, რომელიც მან 1912 წლის აპრილში დაწერა. ლექსი დღესაც აქტუალურია.

გაზეთ „პუენში“ იბეჭდება სტატია გაუგებრობაზე, რაც სორენტინოს დაემართა. „ლე ფიგარო“ და „კანარ ანშენე“ ხოტბას ასხამენ მის ფილმს „ახალგაზრდობა“. „ლიბერასიონს“ არ მოეწონა ფილმი, მაგრამ ირჯება და წერს, რატომ. „ლე მონდი“ ორი სტრიქონით კმაყოფილდება. კრიტიკის ისტორია სავსეა ამგვარი სისულელეებით, რასაც მერე დრო აგვარებს.

ხუთშაბათი, 10 სექტემბერი

გუშინ საღამოს იყო ტორონტოს ფესტივალის გახსნა, რომელიც დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავს დაარსებიდან 40 წელს. ფესტივალს ხელმძღვანელობს ვეტერანი პიერ ჰენდლინი, რომელმაც ფილმების შერჩევა კემერუნ ბეილის დაავალა. ორივე გაბედული და უნივერსალური გემოვნებით გამოირჩევა. ტორონტო კანის ანტითეზაა, მაგრამ არამც და არამც – მისი მეტოქე, უფრო კანის ამერიკელ ბიძაშვილი შეიძლება მივიჩნიოთ. კანი მალთუსის მიმდევარია, მაქსიმუმ სამოცი ფილმის ჩვენებას მართავს, ხოლო ტორონტო მეტისმეტად ბევრს ინდომებს – 398 სრულმეტრაჟიან ფილმს აანონსებს, აქედან 39 კანადურია. კანი პროფესიონალებისთვისაა განკუთვნილი, ტორონტო – ფართო პუბლიკისთვის, ფესტივალის ათასობით სტუმრისთვის, რომელთაგან უმრავლესობა ადგილობრივები არიან. მათი არაოფიციალური სტრატეგია ასეთია: საავტორო ფილმები, რასაც ჩვეულებრივ უყურებენ ფრანგულ კინოდარბაზებში, კანადაში არ გამოდის და ეს ფესტივალი ერთგვარი გიგანტური საწარმოს პლატფორმაა თორმეტი დღის განმავლობაში. ეს ხდება უმაღლესი დონის ინსტალაციების პირობებში, ლამაზ დარბაზებში, ჭრელი საზოგადოების მონაწილეობით, რაც სრულიად უცხოა კანის უკომპრომისო პუბლიკისთვის.

არის კიდევ ერთი დიდი განსხვავება: აქ არ ტარდება კონკურსი, ფილმები ჩამოაქვთ მოწვევებით და თან – დიდი რაოდენობით. თავიდან ტორონტოს საერთაშორისო ფილმების ფესტივალს ეწოდებოდა „ფესტივალთა ფესტივალი“. მოკლედ, აქ უშვებდნენ ფილმებს, რომელთაც მოპოვებული ჰქონდათ პრიზები სხვაგან, კანიდან დაწყებული ბერლინით დამთავრებული, ანუ გამარჯვებულებს. შემდეგ, ფესტივალმა ზოგი ფილმის წინასაპრემიერო ჩვენება გამართა, უფრო ჰოლივუდის თხოვნით, რომელსაც ამით უნდა ეყნოსა საოსკარო კამპანიის ხასიათი. ფილმი, რომელიც შესამჩნევი გახდება ტორონტოს ფესტივალზე, აუცილებლად აღმოჩნდება ლოს-ანჯელესის Dolby Theatre-ის წითელ ხალიჩაზე თებერვალში. კანში ნაჩვენებ ბევრ ფილმსაც უჩვენებენ აქ ხარბ და მცოდნე მაყურებელს. აქ მრავლად

არიან ჟურნალისტები, გამყიდველები, მყიდველები. ისინი წარმოადგენენ ფილმების ბაზრობას, რომლის სახელიც არავინ იცის. ასე იქცა ტორონტო სამუშაო წლის დაწყების ფესტივალად ვენეციის ფესტივალის ხარჯზე, რომელსაც ჯერ საბოლოო სიტყვა არ უთქვამს.

პარასკევი, 11 სექტემბერი

მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმამ და შემდეგ ამ თარიღის სისტემატურმა აღნიშვნამ, დავიწყებას მისცა 11 სექტემბერი, როგორც 1973 წელს ჩილეში მომხდარი პუტჩის დღე. მე იმათ რიცხვს ვეკუთვნი, ვინც ყოველწლიურად სალვადორ ალიენდესა და მისიანებზე ფიქრობს. მაშინ ბავშვი ვიყავი, მაგრამ მახსოვს სახელმწიფო გადატრიალება ჩილეში. გაკვეთილებზეც გველაპარაკებოდნენ ამაზე. რეაქციულ ოჯახში გაზრდილი ბავშვიც კი ვერ დარჩებოდა გულგრილი იმის მიმართ, რაც შორეულ ქვეყანაში მოხდა; ქვეყანაში, რომლის არსებობაც მხოლოდ მაშინ გავიგეთ, როცა ასეთი განსაცდელი დაუდგა. იმ დროს მასწავლებლები და მათი დამხმარეები დაუყოვნებლივ შენიშვნებს აძლევდნენ ბავშვებს, როგორც კი ვინმეს სულ ოდნავ აგრესიას შეამჩნევდნენ, ისეთს, რაც ადამიანის უფლებათა დარღვევის რამე ჩარჩოს ესადაგებოდა. ალიენდესთან დაკავშირებული ამბების შემდეგ რამდენიმე თვე იყო გასული, როცა მენგეტის ელუარის სახელობის კოლეჯში წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს კატალონიელ ანარქისტ პუიჯი ანტიჩს სწორედ იმ დღეს, როცა ის ფრანკომ გააკოჭინა. მასწავლებელს ეს რომ დღეს გაებედა, მშობლები აუცილებლად პეტიციას დაუწერდნენ, რასაც მოჰყვებოდა პოლიტიკური ხასიათის თავდასხმები, მინისტრის გადაწყვეტილება და ეროვნული განათლების სფეროდან მისი გაძევება. დიდება მათ იქ, სადაც არიან.

შაბათი, 12 სექტემბერი

არაფერია ფატალური იმაში, რომ ამინდი ფუჭდება და ციფრული ტექნოლოგია ბატონობს. ლიონის მესამე ოლქში, რონის სანაპიროსთან ახლოს, იხსნება კინო „ჭიანჭველა“. ეს კინოთეატრი 1914 წელს გაიხსნა პირველად, მერე რამდენიმე წლით დაკეტილი იყო. ახლა კვლავ იხსნება ლუმიერის ინსტიტუტის დახმარებით. აქ იქნება სამი დარბაზი: ერთი 33, მეორე 39 და მესამე 63 სავარძლით. აქაურობა გალამაზდა. ის ამოქმედდება როგორც ხელოვნებისა და ექსპერიმენტების დარბაზი, იქნება უბნის დარბაზი, ისეთივე, როგორიც არის სახლის ახლოს მდებარე პატარა სავაჭრო ობიექტი, არაბული ბაკალეიის მაღაზიები, რომლებიც საღამოობით ქალაქს ანათებენ. ამ კვირის პროგრამაშია: „გაკვეთილი“ – კრისტინა გროზევასა და პეტარ ვალჩანოვის ბულგარული ფილმი, აზიფ კაპადიას „ამი“, დამიან სიფრონის „ახალი ველურები“ და „სამოთხის შვილები“, რომელიც პატეს სტუდიამ აღადგინა. სწორედ ამ ფილმით გახსნა ეს სტუდია ხელმეორედ 70-იან წლებში ფრანსუა კეროლიანმა, რომელიც არის დაუღალავი მწარმოებელი, მესაკუთრე და ანიმატორი. სწორედ მან ისურვა, რომ ლუმიერის ინსტიტუტს გაეგრძელებინა ეს საქმე. პოტენციური კომერციული წონასწორობა არ არის მყარი, მაგრამ ისეთი რწმენა გაგვიჩნდა, რომ უთუოდ გავიმარჯვებთ.

კვირა, 13 სექტემბერი

„გამარჯობა, ძველო მეგობარო. ზუსტად ვიცი: ისტვუდი გადაღებას იწყებს ამ შემოდგომაზე“. პიერ რისიენი თავის ამპლუაშია: ნახევრად გულუბრყვილო, ნახევრად დამსმენი. „ხომ იცნობ კლინტს, სწრაფად გადაიღებს, ხოლო ვერნერი შუა ივნისში გაუშვებს“, – მეუბნება გახარებული, რასაც ტელეფონითაც ვხვდები. მაშინვე დასძენს, ამ ფილმის მოზიდვა კანის ფესტივალზე ადვილი არ იქნება.

როგორც ჟან დუშე, ისე რისიენიც, ჩვენი სინეფილური მითოლოგიის მთავარი სილუეტია. ის უნიკალური ეგზემპლარია, რადგან ითავსებს ბევრ პროფესიას; არის: კრიტიკოსი, ისტორიკოსი, პრესა-

ტაშე, დაზვერვის აგენტი, აზიური პერანგების მოყვარული, მხიარული მოსაუბრე, ხოლო 1982 წელს სრულმეტრაჟიანი ფილმიც კი გადაიღო მანილაში – „ხუთი და ეპიდერმისი“, რომლის სცენარი შორიდან შთააგონა პესოამ. ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში ის ხშირად ექცეოდა ჩრდილში, მაგრამ გავლენას ახდენდა მსოფლიო კინოზე და აფართოებდა მის ვირტუალურ საზღვრებს. ის სახელს უხვეჭდა ისეთ ავტორებს, რომლებსაც არავინ იცნობდა (მაკმაონის „ტუზების კარედან“ მოყოლებული, კინორეჟისორ ისტვუდის აღიარებამდე, ფილმ „დაუკარი ბუნდოვანებავ, ჩემთვის“ გამოსვლისთანავე). მან გეოგრაფიული საზღვრებიც გააფართოვა, პირველი ესტუმრა შორეულ ქვეყნებს (ფილიპინებს, ჩინეთს, სინგაპურს, ავსტრალიას, კორეას), რომ ამ ქვეყნების კინოს გასცნობოდა. ის რომ არა, ვერასოდეს ვნახავდით კინგ ჰუსა და ლინო ბროკას ფილმებს. ის რომ არა, ვინ აღმოაჩენდა ახალზელანდიელი ახალგაზრდა გოგონას, ჯეინ კამპიონის პირველ მოკლემეტრაჟიან ფილმებს? ეს დაუღალავი აღმოჩენების ოსტატი, რომელსაც ამერიკელი მეგობრები „მისტერ ევრივეას“ ეძახიან, ყოველთვის მახსენებდა დამწყებ ძიუდოისტებს, რომლებიც მიდიან ტოკიოში, რომ თაყვანი სცენ სამყაროს დაბადებას და შეერიონ ტატამის ახალგაზრდა იაპონელებს ტენრისა და მეიჟის უნივერსიტეტიდან.

პიერმა თავისი ცხოვრების საწყისი ეტაპი ჰოლივუდელ რეჟისორებს მიუძღვნა, ვაჟკაცური, ცალთვალების და ვესტერნული ჟანრის ავტორებს, შემდეგ კი თანამედროვე აზიის შესწავლა დაიწყო, ისეთი ფილმები ნახა, რომლებიც არავის ენახა, ისეთ რეჟისორებს შეხვდა, რომლებსაც არავინ იცნობდა და მოხუც იმ კუონტაკს დაფნის გვირგვინები დაუწნა, რისი ღირსიც ის უდავოდ იყო. ამ ექსპედიციებიდან ჩამოჰქონდა ფირების ნაწყვეტები, სავიზიტო ბარათები, პატივისცემა ადგილობრივ ეროვნულ განძად შერაცხული ადამიანებისა, რომელთა სახელიც მხოლოდ მან იცოდა. მანილაში ყვავილებიანი მოსასხამების ყიდვა ჩვევად ექცა. ამ მოსასხამებს კანში ოფიციალურ სადილებზეც კი მოისხამს ხოლმე. ამ დროს ალმაცერად უმზერენ სმოკინგიანი უვიცები, რომლებმაც არ იციან, რომ ამ ხმამაღლა მოლაპარაკე

კაცისთვის ყველა კარი ღიაა. პიერს აქვს სასულიერო პირის სახე და სარკასტული გონება. მან გამოიგონა ცნება ტკბობის მოყვარული და ხუმარა ბერისა. თვითონვე შეიქმნა ლეგენდა, რომელიც იმ დროიდან იწყება, როდესაც იყო ასისტენტი „სუნთქვაშეკრულის“ გადაღებაზე, შემდგომ ახლო მეგობრობა აკავშირებდა რაულ ვოშთან და ფრიც ლანგთან, მოგვიანებით ჩხუბობდა ლოზისთან, რომელსაც ის „ლოსის“ ეძახდა, ჰედი ლამართან ერთი სასიყვარულო ღამეც ჰქონდა... ეს ყველაფერი ხანგრძლივ თხრობას ჰგავს, მაშინაც კი, როდესაც ის კიტსის ლექსებს ამბობს. მას აქვს ცვალებადი ხასიათი, მხიარულიცაა და შუბლშეკრულიც, უკიდურესად ზრდილობიანია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნერვები ეშლება და თავს ვერ აკონტროლებს. ეს კი მის ასაკს აღარ შეეფერება. ამაზე მის მეგობრებს ეცინებათ, მათ შორის ბერტრანს, რომელსაც ამ კაცთან 50-წლიანი გულთბილი ურთიერთობა აკავშირებს. რადგან პიერს ცნობისმოყვარეობა არ დასჩლუნგებია, ყოველთვის იცლის სხვებისთვის, რომ მისცეს მათ რჩევა, წაიკითხოს სცენარი, ასპარეზზე გამოიყვანოს ახალგაზრდა რეჟისორი, დააფასოს ფილმის აღდგენილი ასლი. მას შეუძლია კბილი გაჭკრას სხვას და მძიმე დღეში ჩააგდოს. როდესაც ვონგ კარ ვაის დაცილდა, მას მხოლოდ მატყუარა კარ ვაის ეძახდა (მერე შეურიგდა, რადგან მისი ფილმები საუკეთესოდ მიაჩნდა). მაკარტის შავ სიაში ჩამშვებების საკითხმა ის ლამის გააბრაზა.

წლებია, რაც პიერს დიაბეტი აწუხებს. ყოველი საუზმის წინ მუცელში დიდ ნემსს იკეთებს, რაც თავიდან, ცოტა არ იყოს, გვიკვირდა. ახლა ისევ ოცნებობს მოგზაურობაზე, თუმცა მისი გემი უფრო ნავსადგურშია გაჩერებული, ვიდრე მოძრაობს. თვითონ პიერი კი განასახიერებს იდეას, რომ კინო მსოფლიოს გაცნობის ინსტრუმენტია.

ვენეციაში ალფონსო კუარონმა და მისმა ჟიურიმ უკვე დაარიგეს პრიზები. ამ პროფესიის ხალხისთვის სენტიმენტალურია ჯილდოების გაცნობა. კმაყოფილი ვარ, რომ პაბლო ტრაპერო, ფაბრის ლუკინი და ვალერია გოლინო დააჯილდოვეს. „ოქროს ლომი“ ჩვენთვის უცნობმა ლორენცო ვიგამ მოიპოვა. მსოფლიო კინოს კარიბჭეს სულ უფრო

გაბედულად აღებს ახალგაზრდა ლათინოამერიკული კინო. ეს კარი ბოლომდე ვერ გაიღება, თუ ამ კინოს სიუჟეტები შემოიფარგლება ნარკოტიკების პრობლემით, ჩრდილოეთისკენ დაძრული ემიგრაციის საკითხით და სოციალური ძალადობის თემით. მაგრამ იქ კინო და ფიქცია ამ დროისთვის არსებულ ვითარებას ასახავს.

ორშაბათი, 14 სექტემბერი

ამ დილას მზით არის სავსე სოფელი კრეზოს მხრიდან, სადაც მატარებელი ჩერდება. ირგვლივ სიჩუმეა. მინდა ამ სოფლისკენ გავიქცე და პარიზში აღარ წავიდე. ზაფხული მთავრდება, მაგრამ შემოდგომა ჯერ კიდევ არ დამდგარა. ეს ის მომენტია, როცა დრო უნდა დაიჭირო და ეცადო ის მოიგო. ლუმიერის ფესტივალის პროგრამა საბოლოოდ დასადგენია, კომუნიკაციისა და ბილეთების საკითხები – მოსაგვარებელი. დასაქმებულია ხალისიანი და ბრწყინვალე გუნდი: სესილი დიდებულია, მაელი – მოტივირებული, როგორც არასდროს, ლესლი – დაუშრეტელი ენერგიით სავსე, ფაბიენი – საყვარელი, როგორც ყოველთვის, ფაბრისი საზეიმო იერით ტაძრის მცველს ჰგავს, პოლინი და ჟულიეტი არავის ჩამორჩებიან და დიდ ენერგიას დებენ საქმეში.

ყველა სტუმარმა დაგვიდასტურა, რომ ჩამოვა, გარდა ჯიმ ჰარისონისა. წელს ვერ ჩამოვაო, მითხრა პიტერ ლევისმა. „ჯიმი ხშირად ლაპარაკობს საფრანგეთში უკანასკნელად წასვლაზე, მაგრამ ჯერ არ არის ფორმაში, სხვათა შორის, არც ლინდა“. ბოლოს მას უნდოდა წარედგინა „ბოროტების სურვილი“ და რაღაც ეთქვა მექსიკურ ტრაგედიაზე. ერთ ჭიქა ტამპიეს მარნის ბანდოლის ღვინოთი მის სადღეგრძელოს შევსვამთ. 2015 წლის ფესტივალს კარგი პირი უჩანს. მის გახსნამდე ერთი თვით ადრე 150 000 ადგილის 50 პროცენტი გაყიდულია. მალე ჩვენ ვისიამოვნებთ ფილმების ნახვით, საუბრებით და ხალხის მიღებით. როგორც ჰიჩკოკი ამბობდა: „ფილმი დავამთავრე, ისღა დამრჩენია, ფილმი გადავიღო“.

კმაყოფილი ვარ ლორან ჟერათი, რომელიც არც სცენაზეა ორშაბათობით, არც პარიზში და არც გასტროლებზე. ის რადიოშია, დიახ.

დილის საინფორმაციოს ყველაზე სასაცილო ადგილას, როდესაც იმიტაციები ისმის. როგორც ყოველთვის, ფონად ირჩევს ისტორიას და კულტურის მნიშვნელოვან მომენტებს, პოლიტიკურად დისტანცირებულია. ვინც იცნობს, ყველამ იცის, რომ მას ამოძრავებს უცოდველი გულმოწყალება და ჯანსაღი ნება, გაისულელოს თავი იმისთვის, რომ ყველა გააცინოს. „რა სისულელე ვთქვი", – მეუბნება ზოგჯერ, როცა ბავშვური ღიმილით სახეგანათებული რაღაც უწმაწურობას ამბობს.

ვსადილობთ ტურინის ტრატორიაში. როგორც ყოველთვის, ვლაპარაკობთ ალპებზე, მუნჯ კინოზე და ფრანგულ კლასიკურ შანსონზე. ლორანი ჩემზე მაგარია და უკეთ იცის სალვადორი, ბეკო, ჟან-კლოდ პასკალი, და აზნავური. მე კი უფრო კარგად ვიცი ანრი ტაშანი, პიერ ტისრანი და ლენი ესკუდერო. ერთნაირად ვერკვევით ბრასანსის, ფერეს, რეჯიანისა და პიერ პერეს შემოქმედებაში. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ბერნარ დიმემ „ერთ ჭიქა ღვინოს თუ მიყიდი" ჩვენთვის დაწერა. ზეპირად გვახსოვს კოსიმონ/ფერეს „ჩემი ამხანაგის" სიტყვები. საღამოს მესიჯს ვუტოვებთ სერჟ ლამას, გვინდა ვუმღეროთ ერთი მისი იშვიათი სიმღერა, თუმცა ვიცით, რომ, როგორც ყოველთვის, ხვალ დაგვირეკავს და გაოგნებული და გამხიარულებული გვეტყვის, დამავიწყდაო.

სამშაბათი, 15 სექტემბერი

კოსტა-გავრასს არასოდეს ნდომებია, რომ ფრანგულ სინემათეკას საზეიმოდ აღენიშნა მისი ღვაწლი. ფიქრობდა, რომ არ იყო კარგი მისი ფილმები გაეშვათ იმ დაწესებულების ეკრანებზე, რომლის პრეზიდენტსაც თვითონ წარმოადგენდა. ამიტომ, მის პატივსაცემად არაფერი გაკეთებულა არც პარიზში და არც ქვეყანაში. ამ საღამოს, ინსტიტუტში ამ უსამართლობის გამოსწორებას ვაპირებთ და მისი ფილმების რეტროსპექტივას ვაწყობთ. კოსტა-გავრასის ზოგიერთი ფილმი მართლაც ძალიან ფასეულია („ზ", „მისინგი", „სპეციალური განყოფილება"), სხვები კი ნაკლებად თამამი, თავის მოსაწონებლად გამიზნული ფილმებია. კოსტა ის ტიპია, რომელიც ტყუილად არასოდეს იღებს კამერას ხელში. შარშან ლუმიერის ფესტივალზე შევნიშნე,

რა პოპულარობით სარგებლობს იგი, როდესაც მივესალმე მას ხუთი ათასი ადამიანის წინაშე, ტონი გარნიეს სახელობის დარბაზში. იგივე დადასტურდა ზაფხულის მიწურულსაც, როცა მისი ფოტოექსპოზიციის ბილეთები დაიტაცეს და ინსტიტუტის ფოტოგალერეა ნახევარკუნ-ძულზე არ დაცარიელებულა.

იმ საღამოს კოსტა დარბაზში იყო, პირველი ფილმის ქუჩის ტერი-ტორიაზე, მეგობრებთან ერთად. უაღრესად თავმდაბლურად ესაუბ-რებოდა აღტაცებულ პუბლიკას, ლამის ჩურჩულებდა. მიყვარს ასეთი საღამოები, რადგან დრო გვაქვს კომპლიმენტების სათქმელად, ვინმეს საქებრად. ამ დროს შეგიძლია გამოხატო მადლიერება ხელოვანთა მიმართ და თქვა, რა როლი აქვთ მათ ცხოვრებაში. კოსტა იყო მთა-ვარი მამოძრავებელი ძალა იმისათვის, მაყურებელთა თაობებს პო-ლიტიკური ცნობიერება რომ ჩამოჰყალიბებოდათ. მახსოვს ერთი ჩემი მეგობრის მოხსენება „სპეციალურ განყოფილებაზე“. ჩვენ მაშინ პოლ ელუარის სახელობის კოლეჯის მესამე კლასში ვსწავლობდით, მენგე-ტის უბანში. ჩემი კლასელის სახელი და გვარია ფილიპ ვიტრი. ფილმი მერე ვნახე. კინო წიგნზე უკეთ გვაგრძნობინებდა ახალგაზრდა რეზის-ტანტების მოვალეობას და მათი რისკიანი არსებობის სიმსუბუქეს. კვი-რა საღამოს, მთელი ოჯახი ერთად ვუყურებთ ხოლმე „ზ“-ს. არ მგონია, რომ 2015 წელს, ახლანდელმა ბავშვებმა, რომლებიც ტვ-ს გადახვევით უყურებენ (ყოველ შემთხვევაში, ჩემები), შეიგრძნონ ის ენერგია, რასაც ეს ფილმი შთაბერავდა ხოლმე ჩამოყალიბების პროცესში მყოფ მათი მომავალი მამების ტვინებს. როცა მოზარდები ვიყავით, ჩვენ გვიყვარ-და მამხილებელი კინო, პოლიტიკური კინო, რომელიც გვიყვებოდა უსამართლობაზე და ბოლოს კარგად მთავრდებოდა; გვაცნობდა უდა-ნაშაულოთა ისტორიას, რომელთაც ბედი სწყალობდათ, გვახსენებდა ამბოხებებს, რომელთაც უდანაშაულოები უერთდებოდნენ, თუმცა ად-რე უპირისპირდებოდნენ.

ერთხელაც, ჟურნალებში გამოჩნდა ამ კინოს საწინააღმდეგო სა-შინელი ტექსტები და მას გულისამრევი ტერმინი მიაკუთვნეს – „მე-მარცხენეთა ფიქცია“. ახლა უკვე ვიცით: ეს იყო სასაცილო, ნამდვი-

ლად ირონიული და არაპროდუქტიული. დღეს ვისურვებდით, გვენახა მემარცხენე ფიქცია მეინსტრიმულ ფრანგულ ეკრანებზე, საიდანაც გამქრალია პოლიტიკა. ისმის კითხვა, სად არის მემარცხენე ფიქციები? არსებობს კი ასეთი ფილმები? ნეტავ რას აკეთებენ ისინი, ვინც ასეთ ფილმებს ბრალად სდებდა არაეფექტურობას და დასცინოდა მათს სულისკვეთებას? ან ის ინსტანციები სად გაქრნენ, რომლებიც ასეთ დებატებს უწყობდნენ ხელს? აღელვებულმა ჟორჟ კეპენეკიანმა კოსტას ქალაქ ლიონის მედალი გადასცა. სერჟ ტუბიანამ ილაპარაკა იმაზე, სინემათეკის როგორი პრეზიდენტი იყო კოსტა. ჟაკ პერენმა გაიხსენა „ზ"-ს პროდიუსინგი, პარიზში, ალჟირში, კანში (სადაც ამ ფილმმა კონკურსში მიიღო მონაწილეობა) და ლოს-ანჯელესში (სადაც „ოსკარი" მოიპოვა). რეჟუ დებრე ავიდა სცენაზე და ლამაზი ამბები გაიხსენა: „კოსტა არის თხემით ტერფამდე ფრანგი. იმიგრაციისა და ტრანსფერის წყალობით მან ჩვენამდე მოიტანა უმშვენიერესი თვისებები ბერძენი კაცისა. ის პელოპონესში დაიბადა, კონსტანტინე ჰქვია, არ დაგვავიწყდეს მისი კარგი წარმომავლობა. ის არაფრიდან არ მოსულა, თოფისწამალი და ტყვიები არ აკლია ხელბარგში. მართალია, ის მსოფლიო მოქალაქეა, მაგრამ მაღლა უჭირავს ჩირაღდანი იმ ქვეყნისა, რომელმაც ბევრი რამ მოგვცა. ბერძენმა კაცმა გამოიგონა ფილოსოფია, პოლიტიკა, მოგზაურობა, გეომეტრია, ოლიმპიური თამაშები, ცივიზმი, კოსმოპოლიტიზმი და ა.შ. ბერძენ კაცს აქვს ვიზუალის განსაკუთრებული შეგრძნება, ის კარგად ხედავს. მან მოიფიქრა ტრაგედია, სპექტაკლი, თეატრი. თეატრი წარმოიშვა სიტყვიდან „თეა", რაც ხედვას ნიშნავს. ჩვენ გვყავს მიგრანტი, რომელმაც ბევრი მოგვცა. ის არის ჩამომავალი ძალიან გრძელი გენეალოგიური ხაზისა და ჩვენთვის ნამდვილად დიდი პატივია, რომ ის ჩვენთანაა აქ და ახლა. გმადლობთ, რომ მოგვეცით საშუალება დაგვებრუნებინა ვალი ამ მასშტაბის ადამიანისთვის".

ოთხშაბათი, 16 სექტემბერი

კინოს ეროვნულ ცენტრში „კინოს სამინისტროს" სხდომაა. ეს არის პირველი კრება, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, რომელი ფილმი გაიგ-

ზავნება საფრანგეთიდან ოსკარებზე. ძველად, კანში, ქვეყნები თვითონ ირჩევდნენ გასაგზავნ ფილმს, აქედანაა გამოთქმა „ოფიციალური სელექცია“ (კონკურსი). შემდეგ, კანის ფესტივალმა გადაწყვიტა, თვითონ შეერჩია მოსაპატიჟებელი ფილმები. ოსკარების კონკურსი დღესაც სთხოვს სხვა ქვეყნებს, თვითონ აირჩიონ მათთან გასაგზავნი ფილმი. საფრანგეთში, ამომრჩევლებად არიან უფლებამოსილი წევრები (კანის ფესტივალიდან, ცეზარების დაჯილდოებიდან, უნიფრანსიდან), კინოცენტრის ფინანსური დახმარების თავმჯდომარე და ხელოვანები. მეც ვარ ამ კომისიაში, მევალება ხარისხის შეფასება, რაც ადვილი არ არის, რადგან არ შეიძლება „ჩვენი ფილმი“ შევარჩიოთ, ფილმის ღალატი გამოვა, თანაც აშკარა ბრძოლა კანის ფესტივალზე გასული ფილმისთვის არ იქნება პატიოსანი საქციელი.

პრინციპი მარტივია: ქვეყნებს თავ-თავისი არჩევანი აქვთ, ამერიკული აკადემია 9 ფილმს არჩევს, შემდეგ, 2016 წლის იანვრის ბოლოს, წარადგენს 5 ფილმს, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას გაუწევენ ფინალში. ჩვენი მისიაა, გვახსენებს ფრედერიკ ბრედენი, რომელიც ელეგანტურად უძღვება დებატებს, საკუთარ სიამოვნებაზე კი არ ვიფიქროთ, არამედ შეუმცდარი არჩევანი შევძლოთ. ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ქალბატონი განსაკუთრებულად მობილიზებულია. მას უნდა, რომ საფრანგეთი ფინალამდე მივიდეს, განსხვავებით წინა წლებისგან, როცა გარკვეული პრობლემები წარმოიშვა. ნატალი ბე, მიშელ ჰაზანავიჩუსი, მელანი ლორანი, ჟან-პოლ სალომე, ალენ ტერზიანი, სერჟ ტუბიანა და მე სწრაფად ვთანხმდებით ფილმებზე „ბაზრის კანონი“ და „დიფენი“, „მარგერიტს“ ჰყავს რამდენიმე დამცველი, თანაც დღეს გამოდის ეკრანებზე. გამოიკვეთა ორი აუტსაიდერი: კატრინ კორსინის „ზაფხული“ და ახალგაზრდა ფრანგ-თურქი რეჟისორის, დენიზ გამზე ერგიუვენის „მუსტანგი“. ერთ კვირაში ისევ შევიკრიბებით საბოლოო არჩევანისთვის.

ლუბეკის ქუჩის ტროტუარზე მე და სერჟ ტუბიანა ბოლო დეტალებს ვაზუსტებთ მარტინ სკორსეზეს ჩამოსვლასთან დაკავშირებით, რომელიც ლუმიერის ფესტივალამდე სინემათეკაშიც გამოივლის. ამა-

სობაში, სიამაყით სავსე ჰაზანავიჩუსმა თავისი ელექტროველოსიპედის ქება დაიწყო: „ეს არის სპორტული წარმატებისა და ოჯახური კომფორტის მომტანი. ამ ველოსიპედზე შემომჯდარს გეუფლებათ თავისუფლებისა და სიხალისის შეგრძნება, როგორც ველოსიპედზე პირველად დაჯდომისას“. ხუმრობს და კიდევ უფრო ხმამაღლო აგრძელებს: „ეს არის რიზე უნდ მიულერი, ომაჟის მოდელის, ბოშის ბატარეით, დისკიანი მუხრუჭით, ჰიდრავლიკური შეჩერებით. მართლა, ხუმრობის გარეშე, გენიალურია. ათი სიჩქარე აქვს, ბიჭებო, 45-მდე ავდივარ“. მეც, მოტორის გარეშე. და ჩვენ დავიძარით ერთად ველოსიპედებით, წვიმა ცრის სენის მარჯვენა სანაპიროზე, ჩვენ კი მივისწრაფვით საკუთარი კერიებისკენ, ჰაზანავიჩუსი – თავისი ბიუროსკენ, მე-10 ოლქში, მე კი ლიონის სადგურისკენ, ტჟვ #2555, ვაგონი #10.

ხუთშაბათი, 17 სექტემბერი

1997 წელს ფერნანდო სოლანას მიწვევით ბუენოს-აირესში აღმოვჩნდით ბერტრანი, მიშელ გომესი, კოსტა-გავრასი და მე. კოსტას ფოტოაპარატი დაჰქონდა ყველგან.

„ფოტოებს ყოველთვის ვიღებდი“, – მითხრა მან. ერთხელ, ფოტოგრაფიის ევროპული სახლის წყალობით ვნახეთ მისი ნამუშევრები. „ფოტოგრაფი შეთავსებით, ფოტოებს იღებს გაუფრთხილებლად“, – წერს ტუბიანა კატალოგში კოსტაზე. ამ ფოტოებით გავხსენით გუშინ ექსპოზიცია ლუმიერის ინსტიტუტის კინოფოტოგალერეაში. კოსტაც იქ იყო, ყველას ელაპარაკებოდა, იხსენებდა ფოტოებს, რომლებიც არ ეგონა, თუ გასაჯაროვდებოდა. საღამოს უჩვენეს მისი ორი ფილმი: „ალყაში“ (რომელშიც არის ლოს კალჩაკისის არაჩვეულებრივი მუსიკა) და „მკვლელები“ იშვიათ ასლზე დაბეჭდილი. ფილმს კაბინიდან უშვებდა ინსტიტუტის პროექციონისტი ანტონი. მან ისიამოვნა 35-მილიმეტრიანი ორბობინიანი ფირის გაშვებით. როცა ამის შესახებ სეანსის დაწყების წინ გამოვაცხადე, მაყურებლებმა მქუხარე ტაში დასცხეს.

სადილზე ვიყავით კოსტა და მისი მეუღლე მიშელი, მე და ჩემი

მარი. დიდხანს ვილაპარაკეთ კრის მარკერზე. ის იყო არაჩვეულებრივი კინორეჟისორი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, გამორჩეული პერსონაჟი. მისი გამოსახულებები იშვიათია. ვენდერსმა ის გადაიღო ზურგიდან „ტოკიო-გა“-ში, სილუეტი, რომელიც მალულად მიდიოდა ბისტრო შინჟუკუში, რომელსაც „დამბა“ ჰქვია – ყველა კინორეჟისორს არ ღირსებია ეს, ჰქონოდა ბარი, რომელსაც მისი ერთ-ერთი ფილმის სახელი ერქმეოდა.

მარკერმა ნება დართო კოსტას მისთვის სურათი გადაეღო. ეს ფოტოც არის გამოფენაზე. ეს ყველაფერია, მაგრამ ერთი სიცოცხლისთვის ცოტაა. მიშელიც, რომელიც იყო ჟურნალისტი, მანეკენი და პროდიუსერიც (არა მხოლოდ თავისი ქმრის ფილმების), მეგობრებისთვის უძრავი ქონების აგენტად იქცა. მან შეიკედლა მარკერი, როცა ის სინიორესა და მონტანის სახლიდან წამოვიდა. მიშელი ამაღელვებელი და მშვიდი ხმით მოგვიყვა მარკერის ბოლო დღეებზე, რომელიც დაიბადა და გარდაიცვალა 29 ივლისს, იმაზე, როგორ უყურებდა ის აღსასრულის მოახლოებას, როგორ წყნარად დაალაგა თავისი ნივთები, როგორ ჩაჯდა სავარძელში, თითქმის დამშვიდებული, ოდნავ გვერდულად და როგორ უშფოთველად ჩასრიალდა ძირს.

პარასკევი, 18 სექტემბერი

ვაგრძელებ ჩვენს გარდაცვლილებზე საუბარს. ყოველ 18 სექტემბერს მეგობრები იხსენებენ პროდიუსერ პასკალ დომანს. 18 სექტემბერი მისი გარდაცვალების კი არა, დაბადების დღეა, რასაც ჟერომ ჟუნო მახსენებს. რამდენიმე წლის წინ, ფრედერიკ ბერტემ გამოაქვეყნა მასთან დიალოგი, სიკვდილის შემდეგ. ამ ინტერვიუს წაკითხვამ შემძრა. ის იყო დისტრიბუტორი და პროდიუსერი, ნორმის მიღმა მყოფი პიროვნება, რომელიც მუდამ იმალებოდა მისთვის საყვარელი კინორეჟისორების ზურგს უკან და არასოდეს უზრუნია, საკუთარ თავზე ელაპარაკა. ახლა კი, როცა ჩვენ შორის აღარ იყო, დაბრუნდა სალაპარაკოდ. უდიდეს მოვლენად იქცა ამ ტექსტის არსებობა მათთვის, ვისაც ის უყვარდა. როდესაც ფრედერიკმა მთხოვა წინასიტყვაობა

დამეწერა, მაშინვე დავთანხმდი. ჩემი ცხოვრების რაღაც მომენტში პასკალ დომანს დიდი ადგილი ეკავა და მეამაყებოდა, რომ შევუერთდებოდი ამ წიგნში მისადმი გამოხატულ პატივისცემას. წიგნი მას ჰგავდა და უცაბედად წარსულის ლამაზ მონაკვეთებს გვახსენებდა.

იმ გზაზე, 80-იანი წლების ლიონის ლუმიერის ინსტიტუტიდან 2000 წელს კანის ფესტივალამდე რომ მიმიყვანა, კინოს ბევრი მამა, ძმა და ბიძა შემხვდა, რომლებიც პირველი ფილმის ქუჩიდან, ლა კრუაზეტიდან და სხვა ადგილებიდან იყვნენ. ბევრი ანგელოზიც შემხვედრია, ისინი მდარაჯობდნენ ახალგაზრდა პროფესიონალს და პასკალიც ამ გზაზე შემხვდა.

მრავალი წელი ვიყავი ერთგულ მოხალისედ ლუმიერის ინსტიტუტის კოლექციების განყოფილებაში, იქ, სადაც დღეს თავმოყრილია პასკალის მოტანილი ანატოლ დომანის არქივები და მრავალი ფილმის ფირის ასლები. 1990 წელს კი ოფიციალურად გავხდი ამ განყოფილების პროგრამების ხელმძღვანელი. მაშინ გამიჩნდა უიმ უინდერსის ფილმების რეტროსპექტივის იდეა. ამ რეჟისორმა კვალი დააჩნია ჩემს სინეფილურ განათლებას. პროექტის იდეა იყო შემდეგი: სინემათეკებს უნდა ეზრუნათ არა მარტო ძველ ფილმებზე, არამედ თანამედროვეებზეც. დიდ ეკრანზე ჩვენება ისეთი ფილმებისა, როგორიცაა „დროთა განმავლობაში“ და „ზაფხული ქალაქში“ (ამ ფილმების საავტორო უფლებები დაბლოკილი იყო, რადგან უიმს არასოდეს უზრუნია ფილმების მუსიკის საავტორო უფლებებზე), ისევე მნიშვნელოვან მოვლენად იქცა, როგორც 30-იანი წლების ფრანგული ფილმების ჩვენება. ისინი ძალიან ძვირად ფასობდა ჩემი ლიონელი მენტორების – შირასა და შარდერისთვის. ამ მოვლენის მომზადების პერიოდში, სრულიად ბუნებრივად მივადექი ანატოლ დომანის ფილმს „მსოფლიოს ბოლოში“. მას პასკალი ამზადებდა გამოსასვლელად, რაც გათვალისწინებული იყო 1991 წლის ოქტომბრისთვის.

ანატოლს ლიონში შევხვდი, სადაც ის შარდერის სანახავად ჩამოვიდა ჟაკ ჟერბესთან ერთად, რომელმაც მას 1989 წელს მიუძღვნა ნაშრომი „მოგონება-ეკრანი“, პომპიდუს ცენტრში გამართულ გამოფენა-

ზე წარსადგენად. ანატოლი მეგობრულად იყო განწყობილი ახალგაზრდა ინსტიტუტის მიმართ, რომელიც ერჩივნა ფრანგულ სინემათეკას და თავისი არქივი ჩვენთან გადმოიტანა. მან ამავე დროს მომთხოვა დავკავშირებოდი პასკალს.

პასკალს ვიცნობდი შორიდან, ვიცოდი, რომ კარგი რეპუტაცია ჰქონდა და ენერგიული იყო. ისიც ვიცოდი, რომ რეტროსპექტივებს უწყობდა კინორეჟისორებს დახმარების მიზნით, რომ უინდერსი გადაარჩინა ტექსასის უდაბნოში და რომ მუშაობდა რემონ დეპარდონთან, რომელიც (თითქმის) ლიონელი იყო. პასკალმა შეხვედრა პარიზში დამინიშნა. მახსენდება, როგორ ნერვიულად ველოდებოდი შარონის ქუჩის ბარში. ჩემი თავიც მახსენდება და პასკალიც, ზედმეტი ვოლტებით სავსე ენერგიით, საკვირველი და გიგანტური. პასკალი გაგების უნარითაც გამოირჩეოდა – დღეს, როცა ჩვენს პროფესიაზე მეტი ვიცი, ვხვდები, მაშინდელი ჩემი გულუბრყვილობითა და უვიცობით როგორ ვაღიზიანებდი მოუთმენელ პასკალს. დღემდე ვერაფრით ამიხსნია, შეხვედრის პირველივე წუთებში მისი ჩემდამი გამომჟღავნებული ნდობა და სითბო.

კინოსთან მე უტოპიური დამოკიდებულება მქონდა. წლების განმავლობაში ფილმების ბობინების ტარება, როცა არ ვიყავი დაკავებული ძიუდოს შეჯიბრებებით ან დისერტაციის წერით, და სხვა არაფერი. პასკალმა მიმიწვია ფილმის გამოშვებაში მონაწილეობის მისაღებად. ეს ჩემთვის ანაპურნას მწვერვალზე ასვლას და ევერესტის დაპყრობის მოლოდინს ნიშნავდა. არ ვიცოდი, რას ნიშნავდა „ციფრების საღამო“; ეს განსაკუთრებული მომენტია ფილმის ცხოვრების გზაზე: ყოველ ოთხშაბათს, დისტრიბუციის ბიუროში იკრიბება ხალხი და ითვლის, რამდენი შესვლა ჰქონდა ფილმს. ზოგჯერ საზეიმოდაა საქმე და ბედნიერების საღამოები დგება, ზოგჯერ კი – სატირლად. სწორედ ასე მოხდა მაშინ. სევდა, თითქმის ფატალურობა დაემხო თავზე დომანის პლანეტას. დავრწმუნდით, რომ „მსოფლიოს ბოლოში“ შორს ვერ წავიდოდა. ამას უცებ მივხვდით.

შემეძლო მეფიქრა, რომ პასკალისა და ანატოლის ცხოვრებაში ცუდ

დროს გამოვჩნდი. მათი დაცემისა და დასასრულის პერიოდში. მაგრამ არაფერ მსგავსს არ ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ ანატოლი ხშირად მირეკავდა და ყოველთვის გულთბილად მესაუბრებოდა მომავალზე, თუმცა ვალებში იხრჩობოდა. ის არასოდეს იმჩნევდა წაგებას, მაგრამ ვერასდროს მოინელა უინდერსის ფილმის მარცხი. არც პასკალი იყო უკეთ, მაგრამ ხმას არ იღებდა. სერჟ დანე, რომელიც უკვე ავადმყოფობდა, ზრუნავდა პასკალზე და ყოველთვის იცავდა მას. რაღაც მთავრდებოდა. „პარი ფილმზის მარცხი – ეს არა მხოლოდ ტრაგედიაა პასკალისთვის, არამედ კინოს იდეის დასამარებაა“, – მეუბნებოდა სერჟი, რომელსაც ხშირად ვხვდებოდი. მან არაჩვეულებრივი ტექსტი მომცა უიმის ფილმზე „შეკეთების ზედაპირი“, რომელიც შემდეგ „ტრაფიკის“ პირველ ნომერში გამოაქვეყნა. არა, მე ცუდ მომენტში არ მივსულვარ მასთან, რადგან ის წუთები, რომლებსაც პასკალის აღსარებების ძალა მაღალ ფასს სძენდა, სიცოცხლის ბოლომდე გამყვება.

გაურკვეველი გრძნობა დამეუფლა, როცა პასკალის სიტყვების კითხვა დავიწყე, კინოსთვის თავგანწირვაზე წერია აქ. ეს თავგანწირვა ყოველთვის იცოცხლებს, რადგან მას განასახიერებს დაუმარცხებელი ძალა, რაც პასკალს ჰქონდა. ხელოვანი მარტო ის არ არის, ვინც კამერის წინ ან მის უკან დგას. შემოქმედი ხელოვანები არსებობენ ინდუსტრიაში და კომერციაშიც. ამ ადამიანთა პოეტური ქმედებაც სხვადასხვა ფორმით ვლინდება ნაწარმოებთა გადასარჩენად. მათი ჟესტები ხშირად უხილავია, ნაკლებად თვალშისაცემი, მაგრამ განუზომლად მნიშვნელოვანი. პასკალი სწორედ ასეთ ადამიანებს ეკუთვნოდა. ის არც რეჟისორი იყო, არც მსახიობი (თუმცა ტრიუფომ მას საჩუქარი უძღვნა და „მოპარულ კოცნებში“ მისი დაუვიწყარი სილუეტი გადაიღო, რომ არავის დავიწყებოდა მისი „გრძელი ფეხები“. ამ ორ სიტყვას გამოკვეთილად ამბობდა ფრედერიკ ბერტე), მაგრამ ის სჭირდებოდა კინოს. პასკალი თავისი ფუნქციით იცავდა კინოს, იმგვარად, როგორც შეეძლო. დღეს სხვანაირი ქმედებებია მიღებული ჩვენს პროფესიაში, მაგრამ ახალგაზრდა სპეციალისტები მაინც განიცდიან მის გავლენას, თუმცა შეიძლება მათ ეს არც იცოდნენ.

ჩვენგან წავიდა ადამიანი, რომელიც გვიყვარდა. მან კი თავისი ამ-ბები ერთი მეგობრული პირუეტით მოგვაწოდა. ეს არის სულისშემ-ძვრელი მემუარები საიქიოდან, რაც მელანქოლიაში გვძირავს, თუმცა პასკალი ძალიან სასაცილო იყო. ის კარგად ცხოვრობდა, მიუხედავად პრობლემებისა. პასკალის გამო არასოდეს გვიპყრობს სევდა. მას ღირ-სეულად ეჭირა თავი ჩვენთან ურთიერთობებში, არასოდეს მალავდა თავის ხმაურიან ცხოვრებას და მარტოობით გამოწვეულ ტანჯვას. ჩვენ ჩვენივე თავის გამო ვსევდიანობთ, რადგან ვცხოვრობთ სხვადასხვა დროის სივრცეებში და არ მივაქციეთ სათანადო ყურადღება პასკალს, სანამ ის ჩვენ გვერდით იყო. როდესაც მისი მემუარები წავიკითხე, სან-სებასტიანის ფესტივალზე ვიმყოფებოდი, სასტუმრო „მარია კრისტი-ნას“ ნომერში. ზეიმის ბოლო დღეები იყო. დილას ვისაუზმეთ მიკელ ოლასირეგისთან ერთად, რომელიც აქაურობის მეპატრონეა (ხოსე ლუის რებორდინოსი, რომელიც სინეფილების ქვედა ფენებიდან არის გამოსული, ამ ადამიანის ბრწყინვალე მემკვიდრე აღმოჩნდა). აქვე იყ-ვნენ ჟილ ჟაკობი, პოლ ტომა ანდერსონი, დიეგო გალანი და ჩემა პრა-დო, ესპანური ფილმოთეკის დირექტორი, რომელიც ჯიმ ჯარმუშის დი-დი მეგობარი იყო, ხოლო ჯარმუში – პასკალის დიდი მეგობარი. მზე ქა-ლაქზე იღვრებოდა და გუმანით ვხვდებოდი, როგორ ეხლებოდა ზღვა კლდეებს, რაფაელ მონეოს შენობებთან ახლოს. უცებ მომინდა დამე-ძახა რემონ დეპარდონისთვის, ფრედერიკ მიტერანისთვის, ბერნარ ეიზენშიცისთვის ან ანრი დელეზისთვის, პასკალის მეგობრებისთვის, რომ მეთქვა, „პასკალის წიგნის“ წაკითხვის მერე როგორ მომეჩვენა ზღვაში მობანავე პასკალი.

შაბათი, 19 სექტემბერი

ამ უიკენდზე მიშელ სიმანი წარუძღვება „რიჩარდ ბრუკსის სტაჟს“, ძველმოდურად, როგორც სინეკლუბებში ხდებოდა 60-იან წლებში. ჟურ-ნალი „პოზიტივი“, რომლის ყველაზე ახალგაზრდა ძველი თანამშრომე-ლი და, ამავდროულად, მუდმივად კრიჭაში მდგომი არის მიშელი, თავის ერთ ნომერს უძღვნის რუსი ებრაელების იმიგრანტ შვილს, რომელმაც

სხვებთან ერთად ააშენა ომისშემდგომი პერიოდის ჰოლივუდი. მან გადაიღო რამდენიმე ფილმი-განძი, რომელთა ხელახლა ნახვა მხოლოდ დიდ სიამოვნებას აღძრავს. მეგობრებო, ესენია: „სერჟანტი ტერორი“, „კატა გახურებულ სახურავზე“, „ელმერ გენტრი“, „გულგრილად“, „პროფესიონალები“ – რიჩარდ ბრუკსია. ისევე, როგორც „ძალადობის მარცვალი“ ან „ძირს ნიღბები“ (Deadline USA). ეს იყო ერთ-ერთი პირველი ფილმი, რომელიც VHS-ზე ჩავიწერე 80-იანი წლების დასაწყისში. მასში ბოგარტი თამაშობს პრესის მაგნატს, რომელიც ებრძვის მაფიას. მას უნდა დაიბრუნოს თავისი ცოლი და ბოლოს მიმართავს ერთ მაფიოზს, რომელსაც უკვირს ხმაურის გაგონება ტელეფონში მაშინ, როდესაც გაზეთ „დეის“ პირველ გვერდზე იწერება მისი სულმდაბლური და სამარცხვინო საქციელის შესახებ: „That's the press, baby. And there's nothing you can do about it” (ეს პრესაა, პატარავ. და თქვენ ვერაფერს გახდებით მასთან.). ათჯერ მაინც მაქვს ეს ნანახი.

პასაჟში კიბორჩხალების რაგუს თეფშთან ისე იქცევა, როგორც ფილმში „ნიღაბი და ბუმბული“, მიშელ სიმანი კარგ ფორმაშია. ის ერთი ხელის მოსმით ბრწყინვალედ აქრობს დღევანდელ ამბებს, ცოტა დროს უთმობს ზოგიერთ კოლეგაზე გაბრაზებას და მისთვის ძვირფასი ფილმებისა თუ რეჟისორების დაჩაგვრას. მას ყველაფერი აქვს ნანახი, პრესისთვის გამართულ ჩვენებებზე, წინასაპრემიერო ჩვენებებზე, დარბაზებში და ფესტივალებზე. არც დაჭკვიანდა და არც არაფერი მოინანია. მალე 78 წლის ხდება, 60-წლიანი საუნივერსიტეტო მუშაობის შემდეგ (იყო დოცენტი ფაკულტეტზე, მის სტუდენტებს უყვარდათ თავიანთი ძვირფასი მასწავლებელი, მაგრამ საუნივერსიტეტო იერარქიის ამბიციები არ ჰქონდა) ის წლებმა ვერ შეცვალა. ისევ ზეაქტიურია, ბულიმია აწუხებს, გიჟდება მხატვრობასა და ლიტერატურაზე. მიშელ სიმანი, როგორც დაუკმაყოფილებელი ინტელექტუალი, ხელიდან არ უშვებს ახლო გამვლელსაც კი და მოწმედ იყენებს თავის მსჯელობებში, ხოლო ეს მსჯელობები მისი წამიერი გუნება-განწყობილებებიდან გამომდინარეობს. ამას სიმანის მაგინებლები მისსავე დასაცინად იყენებენ – შეპყრობილია და ბოროტი ძალა ამოძრავებ-

სო. სინამდვილეში კი, მისი კრიტიკული მოსაზრებები უხინჯო ერთგულების მუდმივობის მაჩვენებელია. მან პირდაპირ ჭრილობაზე იცის დარტყმის მიყენება. ჩემი თვითკრიტიკული მიდგომები დღევანდელი კრიტიკის მდგომარეობაზე, სიმანის მოჭარბებული, მაგრამ არგუმენტებით გამყარებული გადარეული მსჯელობის გვერდით, მშვიდ შეფასებებად მოჩანს, ხოლო მისი მძაფრი დებატები, 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ისტორიულად უწყვეტი ანალიზის შემცველია. „პოზიტივში“ სიმანი არის მემკვიდრე და სულისჩამდგმელი ჟურნალისა, რომელიც დიდხანს უპირისპირდებოდა „კაიე დიუ სინემას“ და აქვეყნებდა ირონიითა და პროვოკაციებით სავსე ნომრებს, როგორც თვითონ უწოდებდა, „ბერმუდის სამკუთხედის“, ანუ გაზეთების – „ლე მონდის“, „ლიბერასიონისა“ და „ლე ზენროკის“ წინააღმდეგ. მას უყვარდა ამ გაზეთების დაცინვა, რადგან ისინი ვერაგულ შეთქმულებებს აწყობდნენ. სერჟ კაგანი გაზეთიდან „ლეზ ენროკ“ ამით მხოლოდ ერთობოდა და დასცინოდა მიშელს, რომელსაც თან პატივს სცემდა. როგორც ჩანს, გრძელდება მოფარიკავის ტრადიცია, რომელიც „კაიეს“ დამცველ ტრიუფოს უპირისპირებდა კირუს, რომელიც „პოზიტივის“ ღირსებას იცავდა. დღევანდელ ეპოქაში სძულთ გადაჭარბებები, ამიტომ მიშელ სიმანის მსჯელობა გაზვიადებულია და სხვებს აცოფებს, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მარყუჟში ჰქონდეს თავი გაყოფილი, თითქოს ისევ შეუძლებელს ეძებდეს და ყველას ღლიდეს. არადა, ის მართალია, რომ არ თმობს, რომ ისევ უყვარს თავისი წმინდა საგანი, რომლისგანაც ყველაზე მნიშვნელოვან რამეს ქმნის. ის არ უნდა იყოს მარტო, დებატები ჩხუბისა და გარეთ გაგდების თანხლებით გაანაყოფიერებდა დღესდღეობით გახრიოკებულ კინოაზროვნების ნიადაგს და ეს იქნებოდა ყველაზე კარგი ახალი ამბავი.

კვირა, 20 სექტემბერი

კვირაა. ჩვეულებრივზე გვიან ვდგები, ვუსმენ შარლ ლოიდს და ჟაკ ბრელს, 1967 წლის დისკს. იშვიათად ვატარებ უიკენდს მთლიანად ლიონში. ამინდს თითქოს ცუდი პირი უჩანდა, მაგრამ მზით გას-

ხივოსნებული აღმოჩნდა. გული მწყდება, მთაში რომ არ წავედი და სუფთა ჰაერი არ ვისუნთქე. კინოშიც იმდენი ხალხი არ წავა, რაც გათვალისწინებული იყო. როცა აქ ვარ, დაუღალავად დავდივარ ქუჩებში, მოედნებზე, უბნებში. ლიონი ის ქალაქია, სადაც შეიძლება სიარული. ასეთ დროს საუკეთესოდ აღიქვამ ქალაქის სტრუქტურას, სადაც ორი მდინარე და ორი ბორცვი ხვდება ერთმანეთს. ეს გაძლევს საშუალებას, ფურვიერის უბნიდან მდინარე სონამდე ჩახვიდე, ხოლო კრუარუსის დასახლებიდან რონის ნაპირებამდე. იქ ყველას ნახავთ: ახალგაზრდებს, ხანში შესულებს, საბავშვო ეტლებს, ჩვილ ბავშვებს, მათს მშობლებს, სკეიტერებს, ჯოგინგის მოყვარულებს და ველოსიპედისტებს. ქალაქმა მოიშორა მანქანები და მოიპატიჟა გიტარისტები. მდინარეთა სანაპიროების ასე მოწყობა ამ ქალაქის ნამდვილი კულტურული რევოლუციის მაჩვენებელია. ძველი ლიონი ცოტათი იტალიურია (აქ იყო ერთი კაცი, რეჟი ნერე, რომლის დამსახურებაცაა ეს), ახალ უბან კონფლუანსს თანამედროვეობის იერი აქვს, ხოლო არაბები და ჩინელები ლა ფოს ო ზურსთან ცხოვრობენ, ახალი ურბანისტული ზონები გარს არტყია ქალაქს (მენგეტების, რილიესა და ვოლ ან ველენთან), ხოლო ბობოლები კრუა რუსის აღმართებზე ცხოვრობენ, დღევანდელი ლიონი არ ჰგავს ედუარ ანრიოს ლიონს. გავრცელებულია კლიშე, რომ ეს იდუმალი ქალაქია. ეს ასეც არის – აქ ყველაფერი აკვირვებს მათ, ვინც ლიონში რჩება და გზების გაჭრას აპირებს. ლიონი ყოყმანობს, არ იცის გაიცნობიეროს თავისი შარმი, თუ ეშინოდეს მისი გამომზეურების. მაგრამ, ოცდახუთი წლის წინ, მას მერე, რაც მერიაში მიშელ ნუარი მოვიდა, და აგრეთვე ჟერარ კოლომბის ყოველმხრივი ჩარევით, ყველაფერი შეიცვალა – ლიონმა გადაწყვიტა, მსოფლიო სილამაზის კონკურსებში მიეღო მონაწილეობა, და ჰოი, საკვირველებავ, ლიონელები ამით ამაყობენ.

ორშაბათი, 21 სექტემბერი

რონ პუენის თეატრში იმართება შეხვედრა-კონფერენცია, ფაბიენ პასკო გვევლინება ელჩად, ხოლო ორელიენ ფერენზი – წამყვანად.

პატარა დარბაზი სავსეა ყურადღებიანი სახეებით. ორი უცნობი მიახლოვდება თავაზიანად და მეუბნება, რომ სანამ ჩვენ მზეს ვეფიცხებოდით, ისინი შორიდან ჩამოვიდნენ ჩემ მოსასმენად. მათ შორის ერთი ქალბატონი სენტ-ეტიენიდანაა. ნათელი და მზიანი დღეა, ალბათ გავწითლდი და მზის ამტანობის გამო კომპლიმენტებს ვიმსახურებ. დარბაზში თეთრთმიანები სჭარბობენ, დრო ისეთია, რომ ეს გასაკვირი არაა. ასეთი პუბლიკის წინაშე შესაძლებელია ყოველგვარი პედაგოგიური ფორმის გარეშე ერთმანეთს მივაყოლო საკითხები, ძირითადი ლიტერატურა და შეთავაზებები. ხშირად ამბობენ: „ძალიან კარგი იყო ახალგაზრდა პუბლიკის წინაშე გამოსვლა“. თითქოს საშუალო ასაკის ხალხის კლება ჩვენი პროფესიისთვის პრესტიჟული იყოს. თითქოს ბრასენსს არ ჰქონოდეს ნამღერი, რომ „დრო საქმეს ვერაფერს დააკლებს“. დარბაზიდან გამოსულს დენიზ გამზე ორგუვენი შემხვდა, „მუსტანგის“ რეჟისორი, რომელიც მარწმუნებს, ოსკარებზე ჩემი ფილმი საფრანგეთისთვის მომგებიანი იქნებაო (თურქეთმა არ შეარჩია ეს ფილმი). აქვეა ერიკ კანტონა, რომელიც მომყვება თეატრის სცენაზე. თავისი სოციოლოგიური დოკუმენტებით მსოფლიო ფეხბურთზე, ეს „საძაგელი ბიჭი“ იქცა საუკეთესო ავტორ-რეჟისორად. ის მელაპარაკება ფოტოგრაფ რიშარ ოჟარის ფილმზე, რომლის პროდიუსერებიც ის და მისი ძმები არიან. „ეს არის დოკუმენტური ფილმი მიკი რურკზე, აი, ნახავ, არაჩვეულებრივია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით“.

სამშაბათი, 22 სექტემბერი

22 სექტემბერია დღეს, როგორც ბრასენსის სიმღერაშია:

„ოცდაორ სექტემბერს ეშმაკთან წახვედით,
მას მერე, ყოველ წელს ვასველებ ცხვირსახოცს,
რადგან ამ რიცხვში მე თქვენ მახსენდებით.
ისევ ეს რიცხვია, მაგრამ ქვისა გავხდი,
ცრემლი აღარ შემრჩა, თვალზე მოსაყვანად,
რადგან დღეს მკიდია ოცდაორი რიცხვი.

სიყვარულის ტკივილი გაქვს, ჟორჟ?“

საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულია ოსკარებზე. „ლე ფიგა-რომ“ გამოუშვა ნომერი, სადაც ამტკიცებს, რომ მე კომისიაში დიდი უპირატესობა მაქვს, რადგან ჩემი ხმის გარდა კიდევ ორი ხმა მეკუთ-ვნის, მელანი ლორანისა და მიშელ ჰაზანავიჩუსის; მელანისა იმიტომ, რომ ის მე უარს ვერაფერზე მეუბნება მას მერე, რაც კანის ფესტივა-ლის ცერემონიის დიასახლისი იყო, მიშელისა კი იმიტომ, რომ „ხე-ლოვანის“ თავგადასავალი კანის ფესტივალზე დაიწყო. ეტყობა, „ლე ფიგაროში“ იქცევიან ასე. უმჯობესია დაწერონ ჯიმ ჰარისონის „ძირი-თად ცოდვებზე“.

მეგობრული ატმოსფერო სუფევს, სერჟ ტუბიანა პსჟ-ზე ლაპარა-კობს, მელანი, სანამ ჩაის არ დალევს, არ გაინძრევა, მიშელი ყლაპავს ლეგენდარულ შუებს ლუბეკის ქუჩიდან, ალენ ტერზიანი, კი რომელიც სამოცდახუთი წლის ასაკში დაქორწინდა (ჩემს ცოლზე დავქორწინ-დიო, აზუსტებს), თამამად იწყებს საქმეს. დებატებს უძღვება ჯგუფი, რომელიც აცნობიერებს საქმის სერიოზულობას. ნატალი ბე პარი-ზიდან გასულია გადაღებებზე, მაგრამ ყველაფერი იცის ტელეფონის წყალობით. კარს უკან კი არიან პროდიუსერები და წინასწარ შერჩეუ-ლი ხუთი ფილმის გამყიდველები. ჩვენ მათ სათითაოდ ვესაუბრებით, ვისმენთ არგუმენტებს, ყველა ცდილობს თავისი ფილმი იდეალურად წარმოაჩინოს, ამერიკელი დისტრიბუტორების მხარდაჭერა ყველგან მთავარი არგუმენტია. მე ყურადღებას ვამახვილებ იმ ფაქტზე, რომ „დიფენი“ და „ბაზრის კანონი“ უცხოურმა ჟიურიმ დააჯილდოვა, რაც მოწმობს მათს „საექსპორტოობას“, მაგრამ კონსენსუსს მივაღწიეთ „მუსტანგზე“. ამ ფილმის რეჟისორი დაიბადა ანკარაში, მისი ფილმი გადაღებულია თურქეთში, თურქულ ენაზე. თუმცა რეჟისორი გაიზარ-და საფრანგეთში, სწავლობდა „ფემიში“ (ევროპული ფონდი გამოსა-ხულებისა და ხმის შემსწავლელი ხელობისთვის), მისი პროდიუსერი შარლ ჟილიბერი ფრანგია. ნებისმიერ არგუმენტს მეორე მხარეც აქვს, ხომ არ იქნება ეს ცუდი ნიშანი პროფესიის მიმართ? თუ, პირიქით, უნ-

და ვაჩვენოთ, რომ საფრანგეთი გახსნილი ტერიტორიაა, სადაც სხვა ქვეყნებიდან მოსულ კინორეჟისორებს შეუძლიათ აკეთონ საქმე? „ახალგაზრდა თურქი კინორეჟისორი ქალი ბრწყინვალე იქნება“, – ამბობს ტერზიანი და განაგრძობს: „ამას ვამბობ მე, სომეხი“. კენჭისყრა ფარულია. შედეგად, იმარჯვებს „მუსტანგი“.

სადილზე ვარ ჟერომთან და სოფი სედუსთან ერთად „სტრეზაში“, პარიზის მერვე ოლქში, სადაც ადრე ფრანგული კინოს ოქროს კვადრატი იყო განლაგებული, დღეს კი ახალგაზრდა საპროდიუსერო სახლები უფრო პარიზის მე-9 და მე-12 ოლქებს შორის მდებარეობს. „ლე სტრეზა“ არის იმ ტიპის ადგილი, რომელსაც, სასწაულია, მაგრამ დრომ ვერაფერი დააკლო. შესვლისთანავე იქმნება შთაბეჭდილება, რომ პრესისა და ბიზნესის წარმომადგენელ დიდ ბარონებს აქ თავიანთი მაგიდები აქვთ, ისე როგორც კინოვარსკვლავებს, რომელთა ფოტოებიც კედლებს ამშვენებს. აქ არაჩვეულებრივი საჭმელია, მასპინძლობაც საუკეთესოდ იციან ალპების იქითა ქვეყნის შვილებმა, რომელთაც ასაკი არ ეტყობათ, მაგრამ გიჟებივით მოძრაობენ. ერთ-ერთი მათგანი ფრედ მელას ჰგავს „სიმღერის მეგობრებიდან“.

სოფი აქ მოდის ფონდიდან, რომელიც მე-13 ოლქშია, ჟერომი კი აქვე, ლამენეს ქუჩიდან. იქ მას პატეს ბიურო აქვს მოწყობილი, თვითონ კი მისი აქტიური პრეზიდენტია. კინოცხოვრება მისდევს ათასობით სხვა არსებობას. ჟერომი არის კაცი, რომელთანაც თავს კარგად ვგრძნობ მაშინაც კი, როცა ფილმზე უარს ვეუბნები და ამას მშვიდად უპირისპირებს არგუმენტებიან რეაქციას. ის არის „ოლემპიკ ლიონეს“ ერთგვარი ვიცე-პრეზიდენტიც, შეუძლია ჩვენი მოხიბვლა და დამშვიდებაც, როცა საღამოობით ვბრუნდებით მატჩიდან ან გამარჯვების აღსანიშნავად, ან ეჭვების გასაფანტად.

ოთხშაბათი, 23 სექტემბერი

პიერ ლესკური ღრუბლებში აღმოჩნდა, რადგან ახალი სამუშაო წლის დაწყებიდან უყურებს ტოკშოუ „სე ა ვუ“-ს. (C à vous). მედიის მიერ გამოწვეული რყევებით ვერასოდეს კმაყოფილდება პიერი და

ბავშვივით გაკვირვებული უყურებს ციფრებს, რომლებიც დღითი დღე უმჯობესდება „მთავარი საინფორმაციო გადაცემის“ მიერ გამოცხადებულ ციფრებთან შედარებით. წლის ასეთმა მედიააჟიტირებულმა დასაწყისმა პიერი დათრგუნა, უფრო კი მედიის ამ მოძველებულმა მიდგომებმა შეაწუხა, ამის ნიშნები კი დიდი ხანია ეტყობოდა მედიას. პირველ დღეს, ამ ადრე ძალიან მოდურმა ტოკშოუმ უმასპინძლა მანუელ ვალსს, გადაცემის იმ ნაწილში, რომლის გამოცნობაც ადვილია. ამ გადაცემის ერთ-ერთი ქრონიკერი, რომელიც ძალიან ესიმპათიურება ხალხს, ინტერნეტში სწორედ ამ დეტალის გამო შეადარეს მიშელ დრუას, რომელმაც თავის დროზე ალენ პერეფიტი მიიღო. ეს იყო დე გოლის მიმდევარი, მოზეიმე ორტფ-ის (საფრანგეთის რადიოსა და ტელემაუწყებლობის ოფისი) ბედნიერების ხანა; თავხედობის პიკი მუდმივი რევოლუციის მაუწყებელი არხისთვის და ერთით მეტი გამარჯვება ისტებლიშმენტის, მოდისა და სანახაობის მოყვარული საზოგადოებისთვის. ასე იყო ეს და „დიდი სამოთხის“ ბარში გი დებორმა კიდევ ერთხელ ასწია ჭიქა – ეს მომაბეზრებელი და მრავალგზის გამეორებული შოუ მას კიდევ აინტერესებდა, რადგან მის ჰიპოთეზებს გამარჯვებას ჰპირდებოდა. 60-იან წლებში, ვინმე მიშელ პოლაკი და ბევრი სხვაც ჩრდილში იყვნენ და თავის დროს უცდიდნენ, ეს დრო 70-იან და 80-იან წლებში დადგა. ახლა კი, ვერ წარმოიდგენ, რა უნდა მოხდეს ხვალ.

ხუთშაბათი, 24 სექტემბერი

კანში ვარ. როგორც ყოველთვის, ფრანსუა დერუსოსთან ერთად მიმოვიხილავ დიდ და პატარა საკითხებს, ბიუჯეტს, გუნდების შემადგენლობებს, სასახლის ზოგიერთი სივრცის მოდიფიკაციებს, ფესტივალის გახსნისადმი მიძღვნილი სადილის კონფიგურაციას და ა.შ. ფრანსუა ჩემ გვერდით არ არის, როგორც ყოველთვის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან ამბებს განვიხილავთ. იგი შვიდი თუ რვა წლის წინ მოვიდა ჩვენთან ადმინისტრაციულ და ფინანსურ დირექტორად, თავი დაგვამახსოვრა კომპეტენტურობით და მშვიდი, მაგრამ ბრძო-

ლისუნარიანი ტემპერამენტით. თავიდან, ჟილი მას „ბუღალტერს“ ეძახდა, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი მის გასანერვიულებლად.

ის მუდამ ჩემ გვერდითაა. წარმოების მენეჯმენტს რაც შეეხება, დარწმუნებული ვარ, რომ საკუთარ თავს ვერ გაიკონტროლებ. დირექტორს უნდა ჰყავდეს ვინმე, ვისაც შეეძლება მისთვის უარის თქმა, წინააღმდეგობის გაწევა და ბიუჯეტის კონტროლი. ეს როლი აქვს ფრანსუას, იმავეს აკეთებს სესილ ბურჟა ლუმიერის ინსტიტუტში. ფრანსუასთან ერთად ვმართავ ჩვენს დაწესებულებას ყოველდღიურად, ერთობლივად ვამოწმებთ, რამდენად კარგად არის მოგვარებულია საქმეები. ფრანსუა რეგულარულად ხვდება მომსახურე პერსონალის დელეგატებს, რაც წინათ არ არსებობდა კანში. ის უძღვება არჩევნებს, პერსონალს უქმნის სამუშაო პირობებს, აძლევს ხალხს უფლებას, დასვან კითხვები, გააპროტესტონ, იარსებონ. სწორედ ეს არის სამუშაო კოდექსის დაცვა. ივნისიდან სექტემბრამდე მუდმივი გუნდი მცირდება, დაახლოებით თხუთმეტი კაცი მუშაობს ხოლმე. შემოდგომაზე ეს რიცხვი იზრდება და შუა ზამთარში კულმინაციას აღწევს, შემდეგ უკვე ფესტივალის დროს არის მატება.

მწერალი დენი რობერი, რომელიც ცნობილი გახდა „კლირსტრიმის საქმით“, მოდის ლუმიერის ინსტიტუტში, რომ ილაპარაკოს კავანას შესახებ, რომლის შესახებაც დოკუმენტური ფილმი გადაიღო თავის ქალიშვილთან ერთად. დარბაზი სავსეა, მშვენიერი დებატები იმართება მწერლის ირგვლივ, რასაც ემატება ამაღელვებელი „შარლი ებდოს“ გახსენება, რომელსაც ტრაგიკული ამბავი გადახდა თავს გასულ იანვარს.

პარასკევი, 25 სექტემბერი

12 საათზე ინტერნეტში გაიყიდება 3000 ბილეთი მარტინ სკორსეზესთვის ლუმიერის პრიზის გადაცემის ცერემონიალზე დასასწრებად. 59 წამში დაიტაცეს ბილეთები, „გაუმარჯოს საფრანგეთს“, – ამბობს სკორსეზე, როცა საღამოს ამის შესახებ იგებს.

შაბათი, 26 სექტემბერი

სამუშაო წლის დასაწყისის ფესტივალები დამთავრდა, შეიძლება უკვე მათი შეჯამებაც. 2015 წლის პროფილი უკეთ გამოიკვეთა. დადასტურდა, რომ ამ წელს დიდი ფილმები ნაკლებად იყო. სან-სებასტიანის ფესტივალი გუშინ დამთავრდა ისლანდიური ფილმის, „ბეღურების“ გამარჯვებით. ვენეციაში, ტელურიდზე და ტორონტოში გამოჩნდა რამდენიმე ამერიკული ფილმი: „პროჟექტორი“, „შავი მასა“, „სტივ ჯობსი“, „ანომალიზა“ და ჩარლი კაუფმანის ანიმაციური ფილმი „ოთახი“ – მოულოდნელი და სრულიად დამოუკიდებელი ჟანრის ნამუშევარი, რაზეც გიჟდება ხოლმე ამერიკული პრესა. მეჩქარება ამ ყველაფრის ნახვა. დარჩა ნიუ-იორკის პატივცემული ფესტივალი, მაგრამ თანამედროვე კინოს ეს ციხესიმაგრე გვიჩვენებს იმას, რაც თვალში არ ეჩხირება: სპილბერგის „ჯაშუშთა ხიდი“; კანის შემდეგ, სადაც კი უჩვენეს, ყველგან სენსაცია მოახდინა „სავლეს ვაჟმა“, ისევე როგორც „ცხვრებმა“, ისლანდიურმა ფილმმა, რომელიც „განსხვავებული ხედვის“ გამარჯვებულია; „მუსტანგის“ დასახელებამ ოსკარებზე წარსადგენად ფილმს დადებითი მნიშვნელობა შესძინა. ალბათ ჯაფარ პანაშის „ტაქსი თეირანსაც“ მიზანში ამოიღებენ, „45 წელსაც“, რადგან ამ ფილმებმა ბერლინში გაიმარჯვეს 2015-ის დასაწყისში. წელიწადს დაასრულებს ტარანტინოს და ინიარიტუს ფილმები, რომლებიც წლის ბოლოს გამოვა.

„ხმოვანი მესიჯი მაქვს. გადმომირეკე“. ტჟვ-ში, ორ ვაგონს შუა უჩვეულო ხმის თანხლებით ვესაუბრები ემირ კუსტურიცას. „გადაღება უნდა დამემთავრებინა ოქტომბრის ბოლოს. რამდენიმე ნაწილი უკვე დავამონტაჟე. შენი ფესტივალისთვის მოვასწრებ, If you don’t mind“. „I don’t mind”. ემირი შეტანილია პოტენციურ კანდიდატთა სიაში, რომელშიც ამ ბოლო დროს ხშირ-ხშირად ვიყურები.

კვირა, 27 სექტემბერი

დოფინეს მხარეს კარგი ამინდია. ჯერ კიდევ არის დრო ველოსიპედით სიარულისთვის, სანამ ლუმიერის ფესტივალი დაიწყება და

შემოდგომის მგზავრობები დამიკარგავს სხვა რამის კეთების ყოველ-გვარ სურვილს. შარტრეზის მხრიდან წამოსული მზე გათენებისას იზერის ველზე ჩამოწოლილ ნისლის თხელ პირბადეში ატანს. შემოდგომა კურთხეულია ამ მხარეში, სადაც მალე ხალხი შეგროვდება ხეების ქვეშ, რომლებიც ამ ადგილების სიმდიდრეა. აქ კაკალს აგროვებენ. „გრენობლის კაკალი“ სინამდვილეში ტიულენის კაკალია. გვერდითა ქალაქის, ვინეს მცხოვრებლები ამბობენ, „ვინეს კაკალიო“. აქვე ახლოს ძმებმა ლარიეებმა გადაიღეს „ვხატოთ თუ სიყვარულს მივეცეთ“, ლამაზი, მაგრამ გაუგებარი ფილმი (მოკლედ რომ ვთქვა, კანში საშუალო ფილმად შეფასდა). სენ მარსელენში, მზადდება ყველი სენ-მარსელენი, ბარბარაც აქ იპოვეს, ომის დროს. აქ დაბრუნებამ ის შეძრა და დაწერა „ჩემი ბავშვობა“.

ო, გაზაფხულებო ჩემო, ოო, მზეებო ჩემო,
ოჰ, მთლად გიჟურო და დაკარგულო წლებო ჩემო,
ოო, თხუთმეტო წელო ჩემო, სასწაულებო ჩემო,
მაწუხებს არსებობა.

ნაშუადღევს, საკვირაო საუბარი მაქვს პიერ ლესკურთან. სწრაფად გადავდივართ მედიაპარტნიორობის მოლაპარაკებებზე. მეორე საკითხია 70-ე ფესტივალი, რომელიც 2017 წლის მაისში გაიმართება. ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული იდეები, პიერი მისმენს, თვითონაც ამატებს რაღაცებს და ენთუზიაზმით დებატობს. ენთუზიასტია.

ორშაბათი, 28 სექტემბერი

იმ დროს, როცა შეგირდები ანთებენ ხოლმე ღუმელს, ლიონელ შეფ-მზარეულებს ვხვდები, ისინი კრისტოფ მარგენმა მოიყვანა. ჩვენ ვამზადებთ „ლუმიერის ქარხნიდან გამოსვლის“ ახალ ვერსიას და ამ მიზნით ვიკრიბებით პირველი ფილმის ქუჩაზე. ჩვენთანაა ფრანსუაზ მონეც, ლიონის „პროგრესის“ ჟურნალისტი. კამერის წინ ოცდაათამდე მზარეული (მათ შორის ერთი ქალი!) აღარ მორცხვობს. ისინი

მხიარულად გამოდიან საბძლიდან, თავზე თეთრი ქუდები ახურავთ, წინსაფრები ლურჯ, თეთრ და წითელ ფერებად უბზინავთ, ხელში თითო ბოთლი ბოჟოლეს ღვინო, თითო ბაგეტი და მამალი უჭირავთ, რომ უფრო ცოცხალი გახდეს კადრი, რომელიც super frenchie გამოვიდა. მხოლოდ სამი დუბლი გადავიღეთ და დავასრულეთ.

შემდეგ იყო დე ლა პაღ დიეს სადგური. 11 სთ 34 წთ-იანი ტჟვ. შემდგომ კი ამელის ქუჩა. ყველა დაბრუნებული დამხვდა შვებულებიდან თუ სხვადასხვა ფესტივალიდან. ზოგიერთი ახლად ჩამოსული იყო. ზაფხული თავისთავად გაგრძელდა. ახლა იწყება მონაკვეთი, რომელიც შობამდე მიგვიყვანს, თუმცა ჩემთვის ერთი კვირით შეწყდება ლუმიერის ფესტივალის გამო. იანვრიდან კი ერთი წუთიც კი აღარ გვექნება საკუთარი თავისთვის. მანამდე კი „თათრების უდაბნოა“ (დინო ბუზატის რომანი დროის ამაოებაზე): უთვალთვალებ, აკვირდები, ელოდები მოვლენების განვითარებას. მე-7 ოლქის ამ პატარა ქუჩის ერთი კორპუსი მთლიანად ჩვენ გვიკავია. პირველ სართულზე აკრედიტაციები გაიცემა, რასაც ფაბრის ალარი ხელმძღვანელობს, აქვეა აუდიოვიზუალური პრესა, რითაც ფრედ კასოლია დაკავებული. მეორე სართულზე ჟერომ პაიარი და ფილმის ბაზარია. მესამე სართული უჭირავს ფილმების დეპარტამენტს, სადაც ლორ კაზნევი არის პასუხისმგებელი ჟიურიზე და სპეციალურ საქმეებზე, აქვეა სამუელ ფორის პარტნიორობის სამსახური; მეოთხე და მეხუთე სართულებზე განთავსებულია სხვადასხვა სერვისი, მათ შორის: საკომუნიკაციო, ინტერნეტმომსახურების, საბუღალტრო, კინოფონდაციის და სხვ; იქ ნახავთ აგრეთვე მიშელ მირაბელას, ფესტივალის ყველაზე ნაკლებად ცნობილ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან ადამიანს. მეხუთეზე არის კრისტიან ემესა და მისი გუნდის ბეჭდური პრესა; სულ მაღლა კი ერთი საერთო დარბაზია, სადაც კრებები და გუნდური საუზმე იმართება ხოლმე, აქვეა ტერასაც მწეველთათვის. შენობის სარდაფში მოთავსებულია საპროექციო კაბინა. ეს არის პატრიკ ლამის სამფლობელო, სადაც ინფორმატიკოსებიც საქმიანობენ. მე ვარ მესამეზე, კრისტიანის ოთახთან ახლოს, პიერ ლესკური მეოთხეზეა, იქვე არიან ფრანსუა

დერუსო, ნიკოლ პეტი და მარი-კაროლინი, დირექტორის ასისტენტები და ჩვენი დაწესებულების ბურჯები. ჩემი ფანჯრიდან ვხედავ მე-7 ოლქის პოლიციის შენობის ნაწილს, ასოციაციების სახლს და არგენტინულ რესტორანს.

როცა აქ შემოვდივარ, მაშინვე მუშაობას ვიწყებ. დილით ვსვამ პირველ ყავას, მერე კიდევ ორ ფინჯანს ზალპით მივაყოლებ ხოლმე. ვიცი, რომ ცუდია და ვცდილობ ნელა დავლიო, ზოგჯერ ვახერხებ კიდეც. მარი-კაროლინმა უარი თქვა ჩემი ჩვევების შეცვლაზე: თავიდან არც ლიონში და არც კანში ასისტენტები არ მყოლია. არ ვარ ის ადამიანი, ვინც სხვას სთხოვს, ნივთები დამილაგეო, ამიტომ დახვავებული ნივთების სტრატეგია ყოველთვის ხელსაყრელი იყო ჩემთვის. კარგად შენიღბულ არეულობაში, რომელიც ნელ-ნელა ჩამოყალიბებულ ერთეულად იქცა და მისი გაკონტროლება შესაძლებელი ჩანდა (რაც უმთავრესად ასეც იყო), იპოვიდით წიგნს, სტატიების ქსეროასლებს, ფოტოებს, სავიზიტო ბარათებს, კიდევ სხვა უამრავ დოკუმენტს. ამ არეულობის ლოგიკას ჩემ გარდა ვერავინ მიხვდებოდა. ჩემგან ერთადერთი კომპრომისი იყო ის, რომ მარი-კაროლინი ყოველ დილას პატარა ადგილს ათავისუფლებდა მაგიდაზე ხელმოსაწერი დოკუმენტების დასაწყობად. ამას გარდა, ყოველი სეზონის ბოლოს მაიძულებს ხოლმე ნაწილობრივ დავცალო ოთახი, რათა ცოტაოდენი სასიცოცხლო სივრცე შევინარჩუნო. საკიდზე მუდმივად კიდია კოსტიუმი, ნასკვიანი ჰალსტუხი და სუფთა პერანგი. აქ არის აგრეთვე ველოსიპედისტის საწვიმარი სამოსი. ზამთარში, როცა ბევრი ხალხია, ველოსიპედი აქ ამომაქვს ხოლმე და კანაპეზე ვაყუდებ. ოთახში მაქვს დიდეკრანიანი ტელევიზორი, უამრავი დივიდი, პრინტერი, რომელიც შიგადაშიგ მუშაობს და ჩემი პროფესიონალური მაკბუკი, რომელსაც მუდამ თან დავატარებ. კედელზე იმ კინორეჟისორების ფოტოები მაქვს გაკრული, რომლებმაც „ოქროს პალმა“ მიიღეს: ნანი მორეტიმ 2001-ში, რომან პოლანსკიმ მომდევნო წელს, გას ვან სენტმა 2003-ში. ეს მოხდა ჩემი კანის ფესტივალზე მუშაობის პირველ სამ წელს. ცხადია, მქონდა ამბიცია, პანთეონისთვის ხალხი არ დამელია და „ჩემი

ოქროს პალმის ლაურეატებისგან“ ერთგვარი კანის ფოტოგალერეა შემექმნა კაბინეტში, როგორც ლონდონშია. მთლიანად ვიზიარებ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ენერგია, რასაც ადამიანი საკუთარ თავს ახმარს, არ უდრის უფრო მნიშვნელოვანი ამბებისთვის დახარჯულ ენერგიას. არაფერი მსგავსი მე არ მიქნია. ვიცი, ეს ძალიან ცუდია.

სამშაბათი, 29 სექტემბერი

დღეს, კანისა და ოდესის შემდეგ, სულ რამდენიმე კვირაში და მექსიკამდე, რუმინეთამდე, საბერძნეთამდე, ასევე 2016 წლის სხვა ქალაქებამდე ადრე, ვზეიმობთ ლუმიერის სინემატოგრაფის 120 წლისთავს მის ქალაქში, ლიონში. 20 სთ 30-ზე, როცა ლიონის „ოლიმპიკი“ თამაშობს ჩემპიონთა ლიგის მატჩს ჟერლანის ბუნაგში, ავდივარ მორის რაველის სახელობის აუდიტორიუმის სცენაზე. თან მახლავს ახალგაზრდა ლიონელი პიანისტი რომენ კამიოლო, რომელიც უკრავს ჯაზური ინტერმედიის ბრწყინვალე ინტერპრეტაციას. ამ დროს ფუჭდება პროჟექტორი. ეს უხერხულობა ყველას სწრაფად ავიწყდება, რადგან მათი გონება გადაერთვება ფილმების ხარისხსა და მოგზაურობის ძალაზე. ჯადოსნური საღამოს დასასრულს 1800 კაცი ტრიუმფით ხვდება სანახაობას. სერიოზული მომენტია. თავისიანებთან ერთად არის მოსული იმაქს ლეფრან-ლუმიერი, რომელიც მკლავებში მივარდება. ბედნიერია, რომ ხედავს, თუ როგორ იქცა მსოფლიო კულტურის ძეგლი ლიონურ სიამაყედ, როგორც ოჯახური განძი.

ეს ზეიმი ოცი წლის წინ, 1995 წელს გამართული დღესასწაულის გაგრძელება და იმის დასტურია, რომ ლუმიერი იბრუნებს თავის ადგილს, როგორც კინორეჟისორი. მას ეს ადგილი რომერმა, რენუარმა და ლანგლუამ 60-იან წლებში მიაკუთვნეს. მორის პიალამაც ილაპარაკა ამ თემაზე კაგანსკისთან და ფევრესთან გაზეთ „ლე ზენროკის“ ფურცლებზე: „ისინი ბევრნი არიან კინოს ისტორიაში, ბევრია ის ხალხი, რომლებიც გამორჩათ, მაგრამ რომელთა შორისაც უცებ აგნებენ რაღაც უჩვეულოს... ყველაზე მშვენიერი მათ შორის ლუმიერია. ეს უფრო მნიშნელოვანია, ვიდრე ფაქტი, რომ მან გამოიგონა პროექცია.

რადგან იქ არის რაღაც სასწაული. ლუმიერი, როგორც რეალისტი, ჩემპიონია ყველა კატეგორიაში. ლუმიერის ფილმები ფანტასტიკაა. საინტერესოა, რომ ეს ფანტასტიკა, რომელიც ყველა ფილმში უნდა ყოფილიყო, ვერსად ვეღარ ნახეს. ის დაიღალა, გაცვდა, რადგან ყველაფერი ფალსიფიკაციამ წალეკა. ლუმიერის კინო გვიჩვენებს ცხოვრებას ისეთს, როგორიც არასოდეს არავის უნახავს... ედისონის ზოგიერთი ფილმი შემორჩა, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, მათ არანაირი ფასეულობა არ გააჩნიათ. ლუმიერი სინამდვილიდან კი არა, სასწაულის სფეროდანაა მოსული. და მაინც, მის მიერ ნაჩვენები რეალობა, პირველად ნაჩვენები რეალობაა, რასაც მოსდევს გულწრფელობა და სიწმინდე, და რაც უკვე დაკარგულია". ერთი უნდა ვკითხო სილვის, საიდან მოდის მორისის ამგვარი შთაგონებული ანალიზი. იქნებ ერთად ნახეს ლუმიერის ფილმები და შესაძლოა იცოდეს, მორისისთვის ყველაფერი გასაგები როგორ გახდა.

ოთხშაბათი, 30 სექტემბერი

ლუმიერის ინსტიტუტში წინასაპრემიერო ჩვენებაა ლუკ ჟაკეს ფილმისა „ყინული და ცა". ფილმი მხურვალედ მიიღეს ადამიანებმა, რომელთაც კლიმატური დათბობის პრობლემები აწუხებთ. დილით ვიმუშავებ ლიონში, მერე გუნდთან ერთად მექნება ხმაურიანი საუზმე. ლუმიერებისადმი მიძღვნილმა საღამომ ყველა გაგვაბედნიერა. ყოველი მხრიდან აქტიურობენ, პირველი ფილმის ქუჩაზე მდებარე ბაღში საფესტივალო სოფელი ეწყობა, ლუმიერის ქარხნის ძველი სახელოსნოები და ყველა თავისუფალი ოთახი კლასიკური ფილმის ბაზრობას დაეთმობა. ჩვენ უკვე დავასრულეთ ყველაფერი, რაც ეხება დაჯავშნას, სტუმრებს, ჩამოსასვლელ ფილმებს და იმ დარბაზებსა და ადგილებს, სადაც ფილმებს გაუშვებენ. ფესტივალს გახსნის ვენსან ლენდონი დიუვივიეს სევდიანი და უცნობი შედევრით „დღის ბოლო". ჩვენ პატივს დაგვდებს და გვესტუმრება ჯონ ლესიტერი, რომელიც იშვიათად ტოვებს გლენ ელენის ვენახებსა და თავის „პიქსარის სტუდიას"; ჩამოვა სოფია ლორენი ჟენევის გზით; დაგვიდასტურა, რომ

გვეწვევა ჟან-პოლ ბელმონდო – ის გამოჰყვება თავის შვილს, პოლს, რომელსაც ჩამოაქვს მამისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი; ბელმონდო აქ შეხვდება სოფია ლორენს, რომლის პარტნიორიც იყო დე სიკას ფილმში „ჩოჩარა“. ყველა ელოდება სკორსეზეს. დაძაბულობა მატულობს, ბილეთები აღარ არსებობს, საყოველთაო გუნება-განწყობა მშვენიერია, როგორც ამინდი ჩვენს ქვეყანაში.

ოქტომბერი

ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი

დოვილში, მეწარმეთა კონგრესზე „დისტრიბუტორთა დღეა“. ეს არის სიხარბის მომენტი, რასაც არ დავესწრები. გამიხარდებოდა, ვყოფილიყავი რიშარ პატრის გვერდით, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტია და 70 წლისთავს ზეიმობს. ფედერაციის 70 წლისთავს და არა საკუთარს. 9-იდან 19 საათამდე უდიდეს კონგრესთა სასახლეში დისტრიბუტორები აჩვენებენ თავიანთი ფილმების პირველ გამოსახულებებს, სარეკლამო რგოლებს, რომ ერთ დღეში დაგვიხატონ სეზონის სრული სურათი. დარბაზიდან მეგობრები მიგზავნიან ტექსტურ შეტყობინებებს, ზოგი აღტაცებული ჩანს, ზოგს კი დიდად არც სჯერა ნანახის: „ტარანტინოსა და ინიარიტუს ფილმები მაგრები ჩანს, მალიკის რეკლამაც უმაღლესია. სხვა დიდად გასაგიჟებელი არაფერია, მარველები ცოტა დამღლელია, ყოვლად აუტანელია ფრანგი დაფეხვილების რასიზმის ზღვარზე გადაღებული კომედიები“, – მწერს ერთი.

პარასკევი, 2 ოქტომბერი

7 სთ 30-იანი ტჟვ-თი ჩამოვედი 9 სთ 34-ზე. ლიონის სადგურიდან პირდაპირ „ფრანს ტელევიზიონის“ რეზიდენციისკენ მივდივარ პარიზის მეორე ბოლოში, 22’ 34’’; ქრონომეტრი საჭეზე მაქვს დამაგრებული, ზაფხულის ცაა, ნიავიც კი არ უბერავს, ჩემი თავი პიტერ საგანი მგონია, რომელმაც მსოფლიო ველორბოლა მოიგო.

საზოგადოებრივი ტელევიზიის დიდ შენობაში შევდივარ. მე და პიერს არ გვტოვებს ერთგვარი ცოლქმრული ღალატის მსგავსი განცდა, ერთი ხელის მოსმით ძნელია წაშალო ჩვენი ოცწლიანი ქორწინება „კანალ+“-თან, თან არასოდეს დაგვტყობია, რომ გავიყრებოდით. მაგრამ, გვიახლოვდება 2016 წლის კანის ფესტივალი, ყველაფერი ნელ-ნელა ლაგდება, მოსაგვარებელი დაგვრჩა მედიაპარტნიორის საკითხი. მიგვიღო კაროლინ გომ, რომელიც დელფინ ერნოტის ახალი ორგანიგრამის ახალი თანამშრომელია. მისაღები ოთახი მშვენიერია, ხედით სენაზე. კაროლინ გოს გვერდითაა დავიდ ჟაუი, რომელმაც გასულ წელს უკვე იმუშავა თანამშრომლობის პროექტზე.

ჩვენი პირველი შეხვედრა მორიდებულად იწყება: გვთხოვენ, დავაზუსტოთ „სინამდვილეში რა ხდება“, მერე გვიხსნიან, რომ ფესტივალის გახსნის საღამო განმეორებით გადაიცემა „ფრანს 5“-ით და მას გაუძღვება არხის წამყვანი იმგვარად, როგორც ხდება ხოლმე მუსიკალური კონკურსის გამარჯვებულთა გადაცემაში. მოკლედ რომ ითქვას, დიდი გზაა გასავლელი და დაგვენანება, რომ ვერ გავიგონებთ რენო ლე ვან კიმის მჭევრმეტყველებას. როგორც კი საკითხებს ჩავუღრმავდით, კაროლინმა და დავიდმა ისეთი სოლიდური არგუმენტები წარმოგვიდგინეს, რომ მაშინვე დავმშვიდდით.

შენობიდან რომ გამოვდიოდით, ტექსტური შეტყობინება მივიღე „ლე მონდის“ ჟურნალისტისგან. ამ ქალმა მაისში გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ამხელდა ვითომდა ფარულ თანამზრახველობას კანის ფესტივალსა და სამარკო ფირმებს შორის. პუბლიკაციას დართული ჰქონდა პიერის ფოტო, ვითომდა კომერციული წარმომადგენლის როლში. შუა ფესტივალის დროს გამოვხატე გაკვირვება ამ ფაქტთან დაკავშირებით (ეს ვთქვი ლიტოტას მოშველიებით, თორემ ძალიან განერვიულებული ვიყავი), რაც მივწერე კიდეც ამ ჟურნალისტს, მან კი არაფერი მიპასუხა; ფესტივალის მიმდინარეობისას ალბათ ჩემზე მეტად იყო დაკავებული. ოთხი თვის მერე კი, ვითომც არაფერი, მწერს: „გამარჯობა, ტიერი ფრემო, მე ვწერ სტატიას „კანალ+“-ზე და კინოზე. შეიძლება შეგხვდეთ? დიდი მადლობა. კლარის ფაბრი“.

პიერმა არ იცის, იცინოს თუ იტიროს ამ გზავნილზე, რომელიც ცუდ დროს მოვიდა, თუ მართლა იტიროს თავის პროფესიაზე, რომელიც ძალიან უყვარს. ზუსტად ერთი წუთის შემდეგ პიერის ტელეფონმა ვიბრაცია დაიწყო და მესიჯის მოსვლა ამცნო. „გამარჯობა, პიერ ლესკურ, მე ვწერ სტატიას „კანალ+"-ზე და კინოზე. შეიძლება შეგხვდეთ? დიდი მადლობა, კლარის ფაბრი".

შაბათი, 3 ოქტომბერი

მარტინ სკორსეზესთვის კარტ-ბლანში რომ მიგვეცა, ფილმების სათაურები ასს გადააჭარბებდა. ნეტავ ყოფილიყო იმის დრო და საშუალება, რომ მისთვის გასაქანი მიმეცა! ზოგი იშვიათი ფილმი მართლაც სასურველია: პეტერ ვეტკინსის „კულოდენი", ალეკსანდრ პეტროვიჩის „ჩემს სოფელში წვიმს", სეტ ჰოლტის „ქერა ქალი მე-6 სადგურიდან", ჰუგო ჰაასის „უცნაური მოჯადოება", ჰიროში შიმიზუს „ქალი და მისი მასაჟისტები", რიჩარდ ფლეიჩერის „ძალადობის შაბათი". სკორსეზე არ იქნებოდა სკორსეზე, რომ არ ეარსება ორ იტალიელს, ორ „ოქროს პალმის" მფლობელს: ერმანო ოლმის თავისი „იარაღების ცოდნით" და ფრანჩესკო როსის, რომელიც, სამწუხაროდ, ამ წლის დასაწყისში გარდაიცვალა. მისი ფილმებიდან მარტიმ შეარჩია „სალვატორე ჯულიანო" და უცნობი „ლაქი ლუჩანო", რომელიც მისმა „ფილმ ფაუნდეშენმა" აღადგინა.

როსის კარიერა მშობლიურ ნეაპოლში დაიწყო, თუმცა შეიძლებოდა ჰოლივუდში დაწყებულიყო, სადაც მას უნდოდა გადაეღო ფილმები. ერთხელ, ძველ ლიონში სეირნობისას, საოცარ ამბავს მომიყვა: წარმატების პიკზე მყოფი მიიწვიეს ლოს-ანჯელესში, სადაც პროდიუსერები ხელგაშლილები შეხვდნენ. პირველივე სადილზე ახსენეს მისი კარიერა, უთხრეს კომპლიმენტები და შეთავაზებებიც წამოვიდა. მერე ჰკითხეს, რომელი ინგლისურენოვანი პროექტი მოსწონდა ყველაზე მეტად: „რიჩარდ III-ის" გადაღება. – შეუძლებელიაო, – უპასუხეს. ფილმი ვერ გამოვა. – რატომ? – ამერიკული პუბლიკა არასოდეს წავა „რიჩარდ III"-ის სანახავად, რადგან ეგონება, რომ გამოტოვებული აქვს პირველი ორი რიჩარდი".

კვირა, 4 ოქტომბერი

სიჩუმის ბოლო მომენტებია. ერთ კვირაში ლუმიერის ფესტივალი დაიწყება, მერე ერთმანეთს მიეწყობა საზღვარგარეთ მოგზაურობები, არც ამოსუნთქვის საშუალება მექნება, არც უკან დახევის. ისე, უკან დახევის არანაირი სურვილი არ მაქვს.

უიკენდი ყოველთვის ფილმებს ეძღვნება: ზამთარში – სელექციაში მოხვედრილ ფილმებს, ხოლო წლის დარჩენილ მონაკვეთში – კლასიკურ კინოს. ზაფხულში უკვე ვნახე კუროსავას ფილმები, ტოჰოს მიერ აღდგენილი. ჩვენ მათ ლიონში გავუშვებთ, ისევე როგორც პატეს მიერ გაცოცხლებულ დიუვივიეს ფილმებს („ლამაზი გუნდი“ და „დღის ბოლო“), გომონს (გენიალური „ბლოკნოტი მეჯლისიდან“, და უცნობი „დავიდ გოლდერი“), ტფ1-ის ფილმს („პანიკა“, რომლის გამოც ნონს პაოლინი, ყოფილი პრეზიდენტი და გენერალური დირექტორი საავადმყოფოში აღმოჩნდა). კინოსამყაროში ასეთი ღრმა ჩაყვინთვა შესაძლებელი გახდა დივიდის წყალობით. ამას არაფერი აქვს საერთო იმ ავანტიურებთან, რასაც ნიკელისა და დეონის მოყვარულები ეძლეოდნენ ხოლმე 60-იან წლებში – ისინი მიდიოდნენ ბრიუსელის, ლუქსემბურგის ან ლოზანის დიდი, ევროპული სინემათეკების წმინდა ტერიტორიებზე და ნახულობდნენ 35-მილიმეტრიან ასლებს და განძებს. ახლა უკვე სახლში მოგზაურობ ინტერნეტის გამოყენებით. საკმარისია ინტერნეტში ბრძანება გასცე და კრეზის რომელიმე მცხოვრები შეიძლება მსოფლიოს ყველაზე დიდი სინეფილი გახდეს შინიდან გაუსვლელად. ცოტა ხნის წინ ვეძებდი აბელ განსის „ბორბალს“, რომელიც წლების განმავლობაში მიუწვდომელი იყო. ახლა ადვილად იპოვი ამ ფილმს იმპორტით.

„მოკლეა სიცოცხლე ყვავილების/ უსასრულოა მათი ტკივილი“ – ეს არის ჰაიკუ, რომელიც ფიგურირებს „მოტივტივე ღრუბლების“ ბოლოში. ფილმს ხელმეორედ ვუყურებ ამ დილას. დიდი იაპონელებიდან ნარუსი, რომელიც სკორსეზემ თავის სიაში შეიტანა უმშვენიერესი ფილმით „მთის ბუზღუნი“, ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ სინეფილებს (გამონაკლისია კრიტიკოსი ნარბონი, რომელიც შესანიშნავად ლაპარაკობდა ნარუსიზე) და ამიტომ ის უცნობია ფართო

მასებისთვის. ამ რეჟისორის შემოქმედება დიდხანს იყო მიუწვდომელი, რაც მას კიდევ უფრო მატებდა იდუმალებას – სინეფილიას კი უყვარს შეუძლებლის ძიება. მისი სახელი ცნობილი იყო იაპონური კინოს ისტორიიდან, მაგრამ არაფერი გვქონდა ნანახი. „მოტივტივე ღრუბლები“ არის შავ-თეთრი მშვენიერება, ის წარმოადგენს 1,37 ფორმატის ძალას, მოიცავს ერთმანეთში შერეულ მომთხოვნელობასა და კეთილშობილებას. ნარუზს ჩვენ წინაშე გამოაქვს ჩურჩულით ნათქვამი ფილმი, რომლის სცენარიც უხილავ ძაფზეა ჩამოკიდებული. მას ასხივოსნებს ამაღელვებელი იდეკო ტაკამინე, რომელიც იყო ნარუზის ფავორიტი მსახიობი, მისი პრინცესა, მუზა, სინათლე. ათზე მეტ ფილმში ჰყავს გადაღებული. „როცა ერთად დავდივართ, წყვილს ვგავართ“, – ამბობდა იდეკო, რომელიც ყოველთვის ეძებდა იმ სიყვარულის დასტურს, რომელიც ცხოვრებას მისთვის არ მიუცია.

ორშაბათი, 5 ოქტომბერი

საფრანგეთში შემოდგომაა. ტჟვ-ს სიჩქარე პეიზაჟს ქარიშხლის იერს სძენს. ამელის ქუჩაზე კრებაა პრესის წარმომადგენლებთან. მათზეა დამოკიდებული ფილმების სიცოცხლე. ისინი მოიაზრებიან კანის ფესტივალის კარგად ჩატარების უხილავ მესვეურებად. მათ გარეშე ობლად იგრძნობდა თავს ყველა – ფილმების კრიტიკის გამო დეპრესიაში ჩავარდნილი კინორეჟისორებიდან მოყოლებული პროდიუსერების ჩათვლით, რომლებიც კანკალით ანდობენ მათ თავიანთ ბედს; და კიდევ, მიშელ მირაბელათი დამთავრებული, რომელიც პასუხისმგებელია ხალიჩაზე გავლის პროტოკოლზე. მისი დახმარებით ჯგუფები წითელ ხალიჩაზე პუნქტუალურად ჩნდებიან. პრესატაშეები ჩემთვის ძვირფასი ხალხია, ისინი იძლევიან ყველაზე სანდო ინფორმაციას ფილმის კრიტიკაზე. არასოდეს ყვებიან ამბებს, ამბობენ მხოლოდ სიმართლეს, რასაც ყოველ წამს ეჯახებიან. აქ არიან ჟან-პიერ ვენსანი, ლორანს გრანეკი, ფრანსუა ფრე, ჟერომ ჟუნო და ალექსი დელაჟ ტორიელი. აქ შეიძლება ყოფილიყვნენ მარი-კრისტინ დამიენი, მატილდ ენსერტი, ასან გერარი და ანიეს შაბო.

ამგვარი კრების არსებობა, რაც პირველია ჟანრის თვალსაზრისით, მაჩვენებელია საერთო სურვილისა, საქმე წინ წავიდეს. ისეთ საკითხებსაც ვეხებით, რაც პრესატაშეების იურისდიქციის მიღმაა. მაგალითად, კანის ფესტივალისადმი დიდი სიყვარულის გამოხატვის სურვილი, რომელიც უნდათ, რომ უფრო უკეთესი იყოს, ნაკლებ მებრძოლი, არ იქცეს პრივილეგიების წაგლეჯის არენად, რაც ზოგჯერ მომხდარა, თავი შორს დაიჭიროს დაპირისპირებებისა და ყალბი ბრძოლებისგან. ვეთანხმები ამ მოსაზრებას.

ვახსენებ კიდევ ერთ პროექტს, რომელიც ბევრჯერ გადავდეთ. გვინდა, რომ კანში პრესის სეანსები და საზეიმო შეხვედრები გაიმართოს სინქრონულად. ასე ხელოვანი ხალხი აცდება ტანჯვას წითელ ხალიჩაზე გავლის წინ, თუკი კრიტიკა ცუდად შეაფასებს მას. ამას სულ იმეორებენ დისტრიბუტორები და პროდიუსერები, ეს უნდა მოხდეს მსოფლიო პრემიერის წინ, ყველასთვის ერთსა და იმავე დროს. კრებაზე მყოფები დაიღალნენ და ეთანხმებიან პრინციპს, მაგრამ ტექნიკურად შეუძლებლად მიიჩნევენ, რადგან ერთსა და იმავე დროს ფილმის გადამღები ჯგუფებით და ჟურნალისტებით ვერ დაკავდებიან. ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ მათ პრესის გაბრაზების ეშინიათ, ისინი ხომ მთელი წელი მუშაობენ ჟურნალისტებთან. არგუმენტები არ მჭირდება, ისედაც ვიცი, რომ ამის გაკეთება პოპულარული ვერ გახდება ჟურნალისტებში, რადგან მათ წაერთმევათ ისტორიული პრივილეგია.

„ზედმეტად ნუ გავანერვიულებთ, ისედაც სულ ნერვიულობენ“, – მეუბნება ერთ-ერთი დამსწრე, როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, მნიშვნელოვანი პირთაგანი. ეს მათი სფეროა და მე უკან მიმაქვს ჩემი ნათქვამი.

საღამოს „შატლეს“ თეატრში ვარ იზაბელა როსელინის სპექტაკლზე, ის აღნიშნავს დედამისის 100 წლისთავს. იზაბელა სცენაზე ადის ფანი არდანთან და ჟერარ დეპარდიესთან ერთად. როცა იზაბელას ვსტუმრობთ, ყოველთვის გვაკვირვებს მისგან ნათქვამი: „დედაჩემი და მამაჩემი...“ თხუთმეტწამიანი გაშტერების შემდეგ ვაცნობიერებთ, რომ

ის ინგრიდ ბერგმანსა და რობერტო როსელინიზე ლაპარაკობს. თეატრიდან გამოსულს ჯეინ ბირკინი შემხვდა. ის გასულ მაისს ჩამოსული იყო კანში და „საპატიო ოქროს პალმა“ ანიეს ვარდას მან გადასცა.

სამშაბათი, 6 ოქტომბერი

პირველი საშემოდგომო სამუშაო, რომელიც მომავალ ფესტივალს უკავშირდება, აფიშას ეხება. ერვე შიჟიონიმ დიდი წარმატებით შექმნა წინა ორი ფესტივალის აფიშა. ახლაც მას მივმართეთ, რომ რაიმე ახალი მოიფიქროს. ვიხსენებთ თემებს, პეიზაჟს, კინოდარბაზს, კოლექტიურ სცენას... არ გვინდა მსახიობი კაცი ან მსახიობი ქალი აფიშაზე. წყვილი ხომ არ დაგვეხატა? ამით თავიდან ავიცილებდით კაცისგამოსახულებიანი აფიშის გამო ერთსა და იმავე ფრაზებს: „კანი არ აფასებს ქალებს“ და ქალისგამოსახულებიანი აფიშის გამო კი იმას, რომ „კანი ქალს განიხილავს როგორც სამშვენისს, ან როგორც ნივთს“. წყვილს თუ გამოვსახავთ, შეიძლებოდა რიჩარდ ბარტონი და ლიზ ტეილორი ყოფილიყვნენ – უსაზღვროდ მიყვარს ელიზაბეტის ეპოქის მსახიობის დავიწყებული სახე, რომელსაც არასოდეს დაუტოვებია ლოთი და გენიალური მსახიობების პოდიუმი, ჯონ ბერიმორის მეთაურობით.

ფესტივალის პირველი აფიშა ჟან-გაბრიელ დომერგმა დახატა. მისი სახელი ეწოდა კანის შემაღლებაზე მდებარე ერთ ვილას, რომელიც დღეს ქალაქის საკუთრებაა და სადაც დიდხანს იკრიბებოდა ფესტივალის ჟიური. მისი დეკორატიული მოტივი ათამდე დახატულ აფიშაზეა, რომლებიც ქმნიდა ფესტივალის იმიჯს, ლაჟვარდოვან სანაპიროზე მობანავე კანს. 1960 წლის აფიშა ყვავილების გამოფენისას ჰგავდა. პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში აფიშებზე ხატავდნენ ხან კინოს ბილეთის გრაფიკულ მეტაფორას, ხან პროჟექტორისას, ხან კინოფირისას და ა.შ. 70-იან წლებში ფესტივალის აფიშები შეიძლებოდა აგრეოდათ ჟურნალ „ლუის“ ყდაში, რადგან აქაც საოცნებო ქალების სილუეტები იყო დახატული. როდესაც ფესტივალის დირექტორი ჟილ ჟაკობი გახდა, მოუვიდა იდეა მიემართა კინორეჟი-

სორებისთვის. მართლაც, ფელინიმ და კუროსავამ დაუვიწყარი აზრები გამოთქვეს. ახლახან, პიერ კოლიემ, 2008 წლის აფიშის ავტორმა, ამოარჩია დავიდ ლინჩის ფოტო, ხოლო კიტანომ, რომელიც მშვენიერი მხატვარია, მითხრა, რომ უნდოდა შემოეთავაზებინა ერთი ფოტო. ერთადერთი რისკი ამ შემთხვევაში ისაა, რომ შეიძლება არ მოგეწონოს: მაგრამ, როგორ გინდა უარი უთხრა ავტორს, რომელსაც პატივს სცემენ და უყვართ?

უნდა ითქვას, რომ კანის აფიშას გარკვეული მიზნები აქვს. 2012 წელს, ერთ-ერთი პოლემიკის დროს, რომელიც ფესტივალს ეხებოდა, კერძოდ კი იმას, რომ სელექციაში ქალები არ იყვნენ წარმოდგენილი, კამათი შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა და კვაზიკოსმოსური ინტერპრეტაციები წარმოშვა. მაგალითად, ერთმა კინორეჟისორმა ქალმა, აფიშა, რომელზეც მერილინ მონროს ტუჩები უახლოვდება ნამცხვარს, რომ სანთელი ჩააქროს, მიუღებელ სექსუალურ მინიშნებად მიიჩნია! ფლორანს გასტო მომიყვა ამ ამბავს და ორივემ ვიცინეთ, თუმცა გვეწყინა, რომ ჩვენ თვითონ ვერ მივხვდით ამას.

გუშინ დიდი ენინ მანკელი გარდაიცვალა, ეს ძალიან ცუდი ამბავია. „ლიბერასიონში“ ფილიპ ლანსონმა (რომელიც იანვარში „შარლი ებდოს“ მკვლელებს გადაურჩა და რომლის სიმამაცეზეც მატიე ლენდონმა დაწერა „თავისუფლების დღეებში“, რაც მე ამ ზაფხულს წავიკითხე), არაჩვეულებრივი სიტყვები თქვა: „მანკელს სოლიდარობა უყვარდა და დროის შიში ჰქონდა: ერთი ადამიანის გაქრობა აბრაზებდა, მეორის დაკარგვა აშეშებდა (...) მას ბევრი ფილმი ჰქონდა ნანახი თავის მამინაცვალ ინგმარ ბერგმანთან ერთად, ამ უკანასკნელის აკრძალულ კუნძულზე. მას უყვარდა ალბერ კამიუ და წითელი ღვინო სანსერი. სავსებით შესაძლებელია, ყოფილიყო ბრწყინვალე მთხრობელი, მოქეიფე კაცი, შეშფოთებული და მართალი ადამიანი“.

ამ სტატიის კითხვა რომ დავამთავრე, ნიკოლა მაზანტის მეილი მივიღე. ის არის ბელგიის სამეფო სინემათეკის მეპატრონე და მომავალ კვირას შანტალ ალერმანს მოჰყვება ლიონში. შანტალი ბედნიერია, რომ წარმოგვიდგენს თავის პირველ აღდგენილ ფილმს „მე, შენ, ის.“

მეილში წერია: „მწუხარებით გაცნობებ, რომ შანტალი გუშინ საღამოს გარდაიცვალა პარიზში. მე თვითონაც მიჭირს დაჯერება. დეტალები არ ვიცი. წლის დასაწყისში დედამისის გარდაცვალება მძიმე გადასატანი აღმოჩნდა მისთვის. ვფიქრობ, რომ გაძლო, სანამ ფილმს დაამთავრებდა. მერე კი... კარგად იყავი. ნიკოლა“.

ოთხშაბათი, 7 ოქტომბერი

მატარებელში თვალი გადავავლე ფილმების სიას, რაც მომავალ ზამთარს უნდა გვენახა. სია შედგენილია ფრანგული და უცხოური სპეციალური გაზეთების მიხედვით („ვარიეტი“, „ფრანგული ფილმი“), ინტერნეტსაიტების დახმარებით და, რა თქმა უნდა, პროდიუსერებთან და დისტრიბუტორებთან საუბრის შედეგად. კინორეჟისორებსაც შეაქვთ წვლილი, როცა ისინი პირდაპირ მაცნობებენ ხოლმე სიახლეებზე. ზოგი მათგანი ჩემი მეგობარია, მაგრამ ახლა მემალებიან. ნორმალურია, რადგან კანის თანმხლებმა ალიაქოთმა ხელი არ უნდა შეუშალოს კონცენტრაციაში. სექტემბრის ბოლოს ფრანგული კონტურები იკვეთება: ბრუნო დიუმონი (კომედია ჟულიეტ ბინოშისა და ფაბრის ლუკინის მონაწილეობით), ნოემი ლვოვსკი (თამაშობს თავისსავე ფილმში მატიე ამალრიკთან ერთად), დანიელა ტომპსონი (ფილმით „სეზანი და მე“, რომელიც ზოლასა და სეზანის მეგობრობაზე მოგვითხრობს), ემილი დელეზი (რომლის „ახალი ტყავი“ ნანახი მქონდა 1999-ში „განსხვავებულ ხედვაში“, მშვენიერია), ფილიპ ლიორე (არასოდეს მოსულა ოფიციალურ კონკურსზე), ბერტრან ბონელო (ფილმით „პარიზი ზეიმია“, რომელიც „სენ ლორანის“ შემდეგ გადაიღო), ჟილ მარშანი (რომელიც უკვე ორჯერ იყო კანში, მაგრამ კონკურსში – არც ერთხელ), სტეფან ბრიზე (რომელმაც „საბაზრო კანონის“ შემდეგ მიმართულება შეიცვალა და გადაიღო მოპასანის „წუთისოფელი“), ალენ გიროდი (რომელსაც მოუთმენლად ელოდებიან მას მერე, რაც გადაიღო „უცნობი ტბიდან“), ოლივიე ასაია (რომელიც იღებს ისევ კრისტენ სტიუარტთან ერთად). კანი 2016-ზე შეიძლება აღინიშნოს ფრანკოვიეტნამელი რეჟისორის, ტრან ან ჰუნგის დაბრუნება. კიდევ

ორმა აზიელმა რეჟისორმა კიოში კუროსავამ და ტსაი მინგ ლიანგმა გადაიღეს ფილმები, რომლებიც საფრანგეთმა გამოუშვა. ასევე მოხდა პოლ ვერჰოვენის შემთხვევაში, როცა მან გადაიღო „ის“ პარიზში იზაბელ იუპერის და ლორან ლაფიტის მონაწილეობით. ეს არის მცირე მიმოხილვა, რადგან შუა აპრილამდე 150-ზე მეტ ფრანგულ ფილმს ვნახავთ. ასეთ სიებში ზოგი დიდი რეჟისორი არ არის, რადგან ისინი უცნობები არიან, მათი სახელები არაფერს გვეუბნება და არ ვიცით, გახდებიან თუ არა ისინი 2016 წლის კანის ფესტივალის აღმოჩენა. შარშან, ზუსტად ამ დროს არ ვიცოდი, რომ არსებობდა ახალგაზრდა უნგრელი რეჟისორი, რომელიც იღებდა ფილმს „საულის ვაჟი“.

ერთი მეგობარი მწერს: „ჩავდივარ ლოს-ანჯელესში. თვითმფრინავში რიანა მეჯდა გვერდით. შეიყვანე რა რომელიმე ჟიურიში. – ჟიურიში? – ჰო, რომ კანში ჩამოვიდეს, რა. სადაც გინდა იქ დაპატიჟე, გინდა კონკურსის ჟიურიში, თუნდაც „განსხვავებულ ხედვაში“, ან „კან კლასიკში“, თუ გინდა კინოს გაკვეთილზე. – როგორია? – უმაღლესი. – ასე მაგარია? – გასაგიჟებელია. – უკვე ელაპარაკე? – არა, მძინარეს ვუყურებდი“.

ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი

ამ დილას „ლიბერასიონის“ მოწინავე სტატია ეძღვნება შანტალ ა-ს. მისი ლამაზი სახე ასხივოსნებს გაზეთის პირველ გვერდს, ცნობილ სახეთა მსგავსად, რომელთაც შექმნეს ყოველდღიური გაზეთის გრაფიკული ლეგენდა. გაზეთი ზოგჯერ პოულობს საკუთარი სტილის შესაბამის მისწრაფებებს, თუმცა, ტრადიციისამებრ, სვამს კითხვებს დღევანდელობაზე. „რანაირად შეიძლება აკერმანზე იყოს საუბარი „ლიბე“-ს პირველ გვერდზე 2015 წელს, როდესაც სამყარო აფეთქების პირასაა მისული? როგორ მოხდა, რომ კონფიდენციალური კინო, რომელიც სრულიად გარიყულია, ყველაზე უფრო აქტუალური აღმოჩნდა გაზეთისთვის, რომლის მოვალეობაა ახალი ამბების გაშუქება?“ – ბრაზობს ერთი მეგობარი. მაგრამ ქება, რომელიც გამოსჭვივის ნეკროლოგის სენტიმენტალურობიდან, ლეგიტიმურია ისეთი

გამორჩეული ხელოვანის მისამართით, რომლის ტვიტერზე გავრცელებულმა ლამაზმა აზრებმა ღრმა კვალი დააჩნია მათ, ვინც კინომ ჩაითრია. „ლიბე“ „ლიბედ“ რჩება, როდესაც აკერმანით აღფრთოვანებული სხვა სავარჯიშოები ჩნდება, როგორც კიდევ ერთი მცდელობა ამ მოაზროვნეთა ოჯახის თვითკმაყოფილი დესკრიპციისა, რომელიც მუდმივად ზეიმობს.

ისევ ტჟვ-თი (ნეტავ რამდენჯერ მაქვს დაწერილი ეს სამი ასო) მივისწრაფი ალბან კლერეს დაბადების დღეზე. ის ჩვენი წრის ულამაზესი პიროვნებაა. მხოლოდ მისი სახელიც კი უკვე მაღალი ხარისხის მაჩვენებელია ალბანის მიერ კანის სასტუმრო „მერიოტის“ ტერასაზე ან პარიზში წლის განმავლობაში მოწყობილი საღამოების მიხედვით. კინოს ნაღები საზოგადოება არის აქ, ხელოვანები, პროდიუსერები, პრესის ატაშეები. მე ვზივარ იზაბელ აჯანის გვერდით, ის არის მკვირცხლი და ნაზი. მეორე მხრიდან გვერდს მიმშვენებს როშდი ზემი, რომელიც ფილმ „შოკოლადის“ მონტაჟზე მუშაობს. ჩვენ ერთმანეთს სპრინგსტინზე ვესაუბრებით. ამ დროს ქარივით შემორბის ფრანსუა ბერლეანი და პსჟ-ზე და ფეხბურთზე ვიწყებთ საუბარს.

ზოგი სკუტერით, ზოგი მეტროთი ან ლამაზი მანქანით ბრუნდება შინ. მე ველოსიპედით მივდივარ და დიდ სიამოვნებას მანიჭებს ღამის პარიზი.

პარასკევი, 9 ოქტომბერი

„ის შეიქმნა პარიზში, ფილმის საერთაშორისო ფრანგული ფესტივალის სახელით, ეს არის ასოციაცია და მორგებულია 1901 წლის 1 ივლისის კანონს. (...) ამ ასოციაციის მიზანია, საფრანგეთის ტერიტორიაზე კინოს საერთაშორისო ფესტივალების ორგანიზება, ყველა აქტისა და ფორმალობის დაცვა, რაც კი საჭიროა და სასარგებლო ამ ორგანიზაციისთვის“. აი, პირველადი ტექსტი სტატიისა, რომელიც აღწერს, როგორი უნდა ყოფილიყო კანის ფესტივალი. ფესტივალის ადგილად შეიძლებოდა შერჩეულიყო ბიარიცი, ხმელთაშუა ზღვის პეიზაჟს საბოლოოდ რომ არ მოეხიბლა ჟან ზე 1939 წელს და ქალაქ კან-

საც თავისი მომხიბლავი განძი რომ არ გამოემზეურებინა. ამ დილით ეროვნული კინოცენტრი ატარებს კრებას იურიდიული სტატუსების განახლებასთან დაკავშირებით, რასაც 1948 წლის შემდეგ არ შეხებიან. თავიდანაა ეს საკითხი მოსაწესრიგებელი. ტექნიკურად, კრისტოფ ტარდიე, ცენტრის მეორე კაცი, არის ამით დაკავებული ფრანსუა დერუსოსთან ერთად, რომელიც უძღვება კომპლექსურ და აუცილებელ იურიდიულ დებატებს. წმინდად პოლიტიკურად, ფრედერიკ ბრედენი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ აუცილებელია ფესტივალის მომავლისკენ წარმართვა. ის ასევე გვახსენებს, რომ სახელმწიფოს და პროფესიულ ერთობას ფესტივალის მფარველობა 2015-ში აკისრია ისევე, როგორც იყო 1946-ში.

11 საათზე ვხვდები ვენსან ბოლორეს „პლაზა ათენეში“ ყავაზე. კინოს და აუდიოვიზუალის ახალი მაგნატი სტუმართმოყვარე, მომხიბლავი და კინოს მოყვარული ჩანს.

– ტყუილი ადვილად გამომჟღავნდებოდა ამ შემთხვევაში. დამთხვევა იყო და სხვა არაფერი – პიერი ზუსტად ამ დროს საზოგადოებრივი ტელევიზიის ხალხს შეხვდა. „ფრანს ტელევიზიონი“ აცნობიერებს საქმის მნიშვნელობას და შედარებით მეტს გვთავაზობს. პიერს ვეუბნები, რომ „ვივენდის“ პრეზიდენტმაც დამარწმუნებლად ილაპარაკა, თუმცა სხვანაირი რეაქცია მისგან არც წარმოგვედგინა: კანის დაკარგვა მათთვის მარცხის ტოლფასია და ამის გამოცხადება კატასტროფა იქნებოდა ხმაურიანი სამუშაო წლის დასაწყისში. „თუ მათ ჩვენ ვუნდივართ, მოლაპარაკებები გართულდება, მაგრამ ასე ჯობს“, – დაასკვნა პიერმა.

ამავე საღამოს, წვიმაში, ვხსნით ლუმიერის საფესტივალო სოფელს ლიონში, დაინტერესებული უამრავი ხალხის თანდასწრებით. ბერნარ პივო, რომელიც ლიონელია, გვიდასტურებს, რომ ჩამოვა, როგორც ათეულობით სხვა სტუმარი. ბერტრან ტავერნიე ვერ შეძლებს ჩამოსვლას, ის რეაბილიტაციის კურსს გადის. თუმცა, მიუხედავად ამისა, მიგზავნის თავის შენიშვნებს ჯესი ჰიბსის ორ ვესტერნზე. ეს არის „კაცი სან-კარლოდან“, რომელსაც ის ათარიღებს 1956 წლით და

„შავი ცხენის კანიონი“, რომელიც ორი წლით ადრეა გადაღებული, ხოლო სცენარი დიდმა დენიელ მაინვერინგმა დაწერა ფსევდონიმით, რადგან მაკარტიზმის ხანაში მოუწია ამის გაკეთება. ეს ფილმი ჯესი ჰიბსს თავის საუკეთესო ნამუშევრად მიაჩნია.

შაბათი, 10 ოქტომბერი

ოთხშაბათს ვუდი ალენის ახალი ფილმი გამოვიდა, „ირა-ციონალური კაცი“. ეს ფილმი კონკურსგარეშე ვაჩვენეთ, რადგან ვუდი პრინციპულად არ იზიარებს ხელოვნებისა და კონკურსების კავშირს. ეს ეხება არა მხოლოდ კანს, არამედ ოსკარებსაც, სადაც ის არ მივიდა „ანი ჰელის“ ჩვენებაზე. მას ერჩივნა კლარნეტზე დაეკრა ნიუიორკის ერთ-ერთ კლუბში თავის ჯგუფთან ერთად. ამ ახალ ფილმამდე ორმოცდაათი წლით ადრე, 1969-ში, ვუდიმ ქვეყნიერებას აჩუქა „აიღე მაყუთი და წადი“, ორი წლის შემდეგ კი – „ბანანები“. ბოლო ფილმში ერთი უბრალო რევოლუციონერი შეხვდება ერთ მგზნებარე მებრძოლ ქალს. ქალი უარს ეუბნება კაცს ურთიერთობაზე, რადგან მხოლოდ დიდი და ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერები იზიდავენ. „ყველა ჰიტლერი ვერ იქნება“, – პასუხობს ვუდი. ამავე ფილმშია ის ეპიზოდი, როცა ერთი ქალი ულოცავს, რა კარგად შეგძლებია ჟიმაობაო და ის პასუხად ეუბნება: „ბევრი მაქვს ნავარჯიშები მარტოს“

ჩვეულებრივ, პუბლიკა ჩქარობს და, ჩვეულებრივ, ყველანაირი აზრი გამოითქმება ხოლმე – ძალიან ცუდიც, საუკეთესოც, ობიექტური მსჯელობისას – ნაკლებად, უფრო მაშინ, როცა სიხარულით ელოდები და რჩები გულგატეხილი, ანუ, მოლოდინის მიხედვით ყალიბდება აზრი. თანდათან უფრო რთული ხდება, იპოვო საკუთარი თავი უკვე სრულიად გაუგებარი კინორეჟისორის შემოქმედებაში. უცნაურია, ორმოცი წელია, რაც ვუდი ალენის სახელი საყოველთაოდ ცნობილია, განსაკუთრებით საფრანგეთში, მაგრამ ის სათანადოდ დაფასებული მაინც არ არის. იქნებ მისდამი აღტაცება გაგვინელდა, თორემ იმდენი მშვენიერი წელი გვახსოვს, თუნდაც „მანჰეტენის“ ლეგენდარული ჩვენება კანში და უწყვეტი ოვაცია, რეჟისორის არყოფნის მიუხედა-

ვად. ალბათ აღარავის აღელვებს მისი შემოქმედების მნიშვნელობა და ადგილი ჩვენს ცხოვრებაში.

ვუდი ალენი აქ პირველად 2002 წელს ჩამოვიდა ფილმით „ჰოლივუდის დასასრული“. იმ საღამოს ფესტივალის გახსნაზე გამოსვლისას შეკრებილები გულიანად გააცინა: „ყველას ინტელექტუალი ვგონივარ, რადგან სათვალე მიკეთია. ყველას მწერალი ვგონივარ, რადგან ჩემი ფილმები კომერციულად წამგებიანია. არადა, არაფერი მსგავსი არ მჭირს!“ როგორც შექსპირი, კუროსავა ან პრუსტი („როლინგ სტოუნზები“ ან ბრასენსი), ვუდი ალენიც ის ხელოვანია, რომელმაც შექმნა ეპოქა და თვითონვეა მისი წარმომადგენელი. რანი ვიქნებოდით დასავლეთში, რომ არ ეარსება ფილმებს, წიგნებს და რომ არ ყოფილიყო ვუდი ალენის სულისკვეთება? რომ არ ყოფილიყო ვუდი ალენი – რეჟისორი, მწერალი, მსახიობი? ის ბობ დილანს ჰგავს, უშრეტი კრეატიულობით გამოირჩევა და მისი სულ უმნიშვნელო ნაწარმოებებიც კი ლამაზია. მას სიცოცხლეშივე დიდი ისტორიული ადგილი აქვს მინიჭებული. ერთხელაც, შვილიშვილებს მოვუყვებით, რომ ვცხოვრობდით ეპოქაში, როდესაც ერთ რომელიმე ოთხშაბათს ვუდი ალენის ფილმი გამოდიოდა ხოლმე.

კვირა, 11 ოქტომბერი

ძმები ლუმიერების ქალაქში არ არსებობდა კინოფესტივალი. ლიონის მერმა ჟერარ კოლომბმა გადაწყვიტა ამ პროექტის დაფინანსება მეტროპოლიასთან ერთად. 2009-ში უკვე მოქმედებაზე გადავიდა. რონ ალპის რეგიონი, რომელიც აქტიური იყო ანიმაციასა და მოკლემეტრაჟიან ფილმებში, მიიღებდა მონაწილეობას ეროვნულ კინოცენტრთან ერთად. ლუმიერის სახელობის ფესტივალის არსი და ღერძია კულტურული მემკვიდრეობის საკითხი, რასაც კონკურსი და პროტოკოლი არ სჭირდება. ადგილობრივად, ამ ჩანაფიქრმა ეჭვი გააჩინა, რადგან ეს ის ეპოქა იყო, როცა გარეგნული ბრწყინვალება ფასობდა. მაგრამ წარსულის გაცოცხლება ხელს არ უშლის გლამურს.

ლუი ლუმიერი იყო 1939 წელს გამართული პირველი კანის ფესტივალის, „ნამდვილის და არარსებულის“, პრეზიდენტი. ახლა მისი

სახელის მქონე ფესტივალი დაარსდებოდა და ეს მოხდებოდა იქ, სადაც მან სინემატოგრაფი გამოიგონა. წლების განმავლობაში ელოდა ლიონი ამ ამბავს, ზუსტად არავინ იცოდა, ეს ფესტივალი ლიონში ჩატარდებოდა თუ არა – მხოლოდ ის, რომ ლუმიერის „მშობლიური ქალაქი“ იყო, არაფერს წყვეტდა. სამაგიეროდ, ლიონს აუცილებლად მოუხდებოდა, თუკი კინოს ისტორიის ფესტივალს უმასპინძლებდა. ამით გაეცემოდა პასუხი მთავარ გამოწვევას, აღარ ილაპარაკებდნენ ძველ კინოზე, რადგან, არცერთი ფილმი არ იქნება მოლიერის რომელიმე პიესაზე ძველი! არათანამედროვე კინოზე ჯობს ითქვას „კლასიკური“, როგორც ეს ხდება ლიტერატურაში, მხატვრობასა და მუსიკაში. ხელშეწყობა სჭირდება იმას, რომ „მოგზაურობა ტოკიოში“ დიდ ეკრანზე ვნახოთ, აღდგენილი ასლების მეშვეობით, ისე როგორც „მარტინ იდენის“ ყიდვა შეიძლება წიგნის მაღაზიაში.

ორმოცდაათ წელიწადზე მეტი გავიდა დიდი სინემატოგრაფიული მოვლენებიდან და არ გვაქვს პრეტენზია, რომ „ერთით მეტ ფესტივალს“ ჩავუყრით საფუძველს ქვეყანაში, სადაც იმდენი ფესტივალია, რამდენიც ყველის სახეობა. ჩვენ გადავწყვიტეთ, ეს ყოფილიყო სრულიად სხვანაირი მოვლენა, რომლის პრეცედენტი არ არსებობდა. გვინდოდა, დიდი მასშტაბით შევბრძოლებოდით მავანთა ურყევ რწმენას, რის საპირისპიროდაც ლუმიერის ინსტიტუტს მომზადებული ჰქონდა საფუძველი: კინორეჟისორებთან შეხვედრები, დოგმების რღვევა, შუშის სინეფილური თამასის მსხვრევა, კოლექტიური ემოციების ღირსების წარმოჩენა. ტარდებოდა 371 სეანსი 43 დარბაზში. ადრე ეს ჩაფიქრებული იყო, როგორც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ინსტიტუტის ვიზუალური მხარე, შემდეგ კი იქცა მნიშვნელოვანი შეხვედრების მოვლენად, რომლის დროსაც ზრუნავდნენ ფილმებზე, ხელოვანებსა და პუბლიკაზე.

ამ მოვლენებში მხოლოდ ქალაქის ცენტრი არ მონაწილეობდა, ასეთ შემთხვევაში უფრო ადვილი იქნებოდა ჩვენი ძალისხმევა. ფესტივალმა ლიონის გარეუბანიც მოიცვა, ეგრეთ წოდებული „დიდი ლიონი“, სადაც არის კინოდარბაზები, არიან შესანიშნავი დარბაზების მეპატრონეები. ეს ადგილებია: ვილერბანი, ვენისიე, ბრონი, დე-

სინი, ვო ან ველენი, სენ ფუა ლე ლიონი და სხვ. იქ სტუმრები ყოველ-თვის დადიან, მაგალითად, კიანუ რივზის მისვლამ გააგიჟა დესინის მაყურებლები. იგივე მოხდა ჟან-პოლ გოტიეს ჩამოსვლის დროსაც, როცა მან ჩამოიტანა „ფალბალა“, ბეკერის ფილმი, რომელმაც მნიშ-ვნელოვანი როლი ითამაშა მის საქმიანობაში. ამ ყველაფერს დაემა-ტა საფესტივალო სოფელი, ყოველდღიური გაზეთი, ვებრადიო, გემი საღამოს ცეკვებისთვის. ამასთანავე, დავაწესეთ ლუმიერის სახელო-ბის პრიზი, რომელსაც პარასკევს მარტინ სკორსეზეს გადავცემთ. ჯერ კიდევ 2009-ში მითხრა სკორსეზემ: „ეს ფესტივალი ჩემთვისაა შექ-მნილი, ჩამოვალ!“ მას უნდოდა ეჩვენებინა ფილმები და თვითონაც დასწრებოდა ფესტივალს. მერე ყოველ წელს მწერდა მობოდიშების წერილებს, ვერ ჩამოვდივარო. ერთი წლის წინ, როცა იცოდა, რომ „სიჩუმის“ გადაღებას ზამთარში დაიწყებდა და 2015-ის შემოდგომა-ზე, ფილმის მონტაჟის დროს თავისუფალი იქნებოდა, მკითხა: – ისევ გინდა ჩემი ჩამოსვლა? – აბა რა!

ხვალ გრანდიოზული გახსნაა. ქალაქი საზეიმოდაა მორთული, მარტინ სკორსეზეს პორტრეტი გამოფენილია ყველგან: ქუჩებში, ავ-ტობუსების ტრასაზე, მეტროსადგურებში. კანში ფესტივალის გახსნამ-დე ერთი კვირით ადრე ვიწყებთ მზადებას. ლიონში ამას ერთ დღეს და ორ სადილს ვანდომებთ. შუადღისას, მე და მარი ვმასპინძლობთ ჯონ ლესიტერს, „პიქსარის“ ექსტრავაგანტურ გამომგონებელს და მის მეუღლეს „ფედერაციის კაფეში“. ეს ლეგენდარული სახელწოდების კვების ობიექტი ნახევარკუნძულის ერთ პატარა ქუჩაზეა. კოტ დიუ რონის ღვინო კარგად იმოქმედებს სხვა დროის სარტყლიდან ჩამო-სულ „სათამაშოს ისტორიის“ ავტორზე, რომელსაც ბევრნაირი ღვინო გაუსინჯავს. მას არ უყვარს გადაადგილება და ჩვენთვის დიდი პატივი და პრივილეგიაა მისი აქ ყოფნა. საღამოს, მარონიების ქუჩაზე ყველა აქ მყოფისთვის დიდ სადილს აწყობს ლორანს შურლო (რომელმაც კიდევ ერთი პროფესია დამიმატა, თუმცა თვითონვე ართმევს თავს ლიონსა და კანში... მოკლედ რომ ვთქვათ, ხელოვანებითა და სტუმ-რებით არის დაკავებული).

ორშაბათი, 12 ოქტომბერი

მზე, რომელიც სახლის ინტერიერს ანათებს, ქარს გვავიწყებს. ლუმიერის ფესტივალის დროს, როცა დღეში ათ ფილმს ვაჩვენებ, სამოძრაოდ ველოსიპედზე კარგი საშუალება არაფერია. სანამ გარეთ გავიდოდე, ბრიტანულ ველოსიპედისტის სამოსის კატალოგს ვათვალიერებ. ეს არის პატარა შავ-თეთრი ცნობარი, მარკეტინგული შედევრი, რომელიც ჩრდილოეთის სიცივის ღირსებებსა და ზღვისპირა ველობილიკებზე უამრავი ინფორმაციაა. შთამაგონებელი ფოტოა, უცნობი პეიზაჟი, მთები. ყველაფერი მოგანდომებს ველოსიპედით წასვლას და ყიდვას. ლამაზი კონცეპტია, ტანჯვა ელეგანტურობაში (დაცისფერი ანკეტილისა და კოპის მაისურების არაჩვეულებრივი მოგონება). ინგლისელებს არ დავლოდებივართ, ხევების გასწვრივ ველოსიპედით რომ გვევლო.

ვენსან ლენდონი შეხვედრაზეა. ის დიდებულად ლაპარაკობს ჟულიენ დიუვივიეზე დილით, როცა გაუშვეს ფილმი „მკვლელთა დრო“ და საღამოს „დღის ბოლოს“ ჩვენებისას. ის საკვირველი მჭევრმეტყველებით საუბრობს პირველი ფილმის სიშავეზე და მეორე ფილმის სინაზეზე. ხელოვანის სიტყვას ყოველთვის ექნება განსაკუთრებული და მოულოდნელი ფასი. ხუთი ათასი ადამიანის წინაშე გაშვებული „დღის ბოლო“ იშვიათი ფილმია, თან არც ისე ცნობილი და ამიტომ რადიკალური ჩანს. დიუვივიე კი ის მიივიწყეს და ისე ცუდად ექცეოდნენ, რომ პროგრამაში მისი შეყვანა გაბედული ნაბიჯია. იოლი გზით არ წავსულვართ, ავირჩიეთ 1937 წლის ფილმი (ძველი), შავ-თეთრი, 1,37-ის ფორმატის (თითქმის კვადრატი), რომელშიც მონაწილეობენ უკვე დავიწყებული მსახიობები (ლუი ჟუვე, მიშელ სიმონი და მიშელ ფრანსენი) და რომლის სცენარისტიც უცნობია (შარლ სპაკი). არავინ ტოვებს დარბაზს. არაჩვეულებრივი მაყურებელია. ფესტივალი ძალას იკრებს.

სამშაბათი, 13 ოქტომბერი

ბერტრანის არყოფნა იგრძნობა. ტრადიციულად, ის ხსნიდა ლუმიერის ინსტიტუტში დილის პირველ სეანსს, მას მუდმივად თან ახლდა მაელ არნო. მაყურებლები გიჟდებოდნენ მის მონოტონურ საუ-

ბარზე კინოს ისტორიის შესახებ. ის არასოდეს აზუსტებდა, ვინ იყვნენ უცნობი ადამიანები, რომლებსაც ხშირად ახსენებდა, თითქოს მათ დავიწყებას აპირებდა და იმიტომ. ოცდაათამდე ასეთ უცნობს მაინც ახსენებდა. თუ ტავერნიე მართავდა ფილმის პრეზენტაციას, ეს იმას ნიშნავდა, რომ კარგ დარბაზში მოხვდით, რომ აქ გადიოდა ყველაზე საინტერესო რამ. ის რომ აქ ყოფილიყო ახლა, ალბათ ილაპარაკებდა გაბენზე, ჟუვეზე და ოცდაათიანი წლების სცენარისტებზე. ათჯერ მაინც იტყოდა სიტყვას – „არაჩვეულებრივი“ და გაიმეორებდა ანრი ჟანსონის მახვილგონივრულ ნათქვამს ერთ პროდიუსერზე, „რომელსაც არაფერი მოუხდენია, გარდა ცუდი შთაბეჭდილებისა“.

აქ ბევრი სტუმარია, გუშინ საღამოს ორმოცამდე იყვნენ სცენაზე, მერე დარბაზებში გაიფანტნენ. ლუმიერის ფესტივალზე ხელოვანები, პროფესიონალები და ჟურნალისტები წარადგენენ ხოლმე ადრინდელ ფილმებს. ძალიან სასიამოვნოა სტეფან ფრეარის მოსმენა, როცა საუბრობს „ოქროს მუზარადის“ შესახებ; ანდა ბენისიო დელ ტოროსი, რომელიც არის დიდი სინეფილი, ენამწარე, ცნობისმოყვარე და რადიკალური (2010-ში კანის ჟიურიში იყო, მაშინ არ დაუმალავს აღტაცება აპიჩატპონგ ვირასეტაკულისა და მისი „ძია ბუნმის“ მიმართ). ის ამბობს: „ჩვეულებრივ, პუბლიკის წინაშე მაშინ გამოვდივარ, როცა ფილმის რეკლამა მინდა. ამჯერად კი, აქ იმიტომ ვარ, რომ ყოველგვარი კონტრაქტის გარეშე კანეტო შინდოს „შიშველ კუნძულზე“ ვისაუბრო. მინდა გითხრათ, რატომ მიყვარს ეს ფილმი“. ამ ხალხს უყვარს პუბლიკის წინაშე ლაპარაკი, პუბლიკას კი უყვარს მათი მოსმენა. სუფრასთან ყველა საუბრობს: „დარბაზი სავსე იყო, კი მეშინოდა, მაგრამ კმაყოფილი ვარ ჩემი პრეზენტაციით“; „ვერ გამომივიდა პრეზენტაცია, ზედმეტი მოვინდომე“. თავადაც უამრავ პრეზენტაციას ვმართავ. მე ასე მესმის ჩემი პროფესიის არსი: დილიდან საღამომდე სავსე დარბაზები, სადაც ელიან გამოსვლებს, ისტორიულ წიაღსვლებს, უცნობ ამბებს.

სადილი წმიდათაწმიდაა. ლუმიერის ინსტიტუტის წყალობით „პასაჟი“ ლიონის კინორესტორნად იქცა. ის 80-იანების დასაწყისში ვენ-

სან კარტერონმა დააარსა, ცოტა ხნის წინ კი გიიომ დიუვერმა ჩაიბარა. მის ფასს ისევ ქმნის უმაღლესი მენიუ, ოჯახური სასადილოს არსი და მთავარი შტაბის ფუნქცია. „პასაჟი“ ცოტათი გაფართოვდა და ორი პატარა ლიონური ქუჩა მიიერთა: პლატრის ქუჩა და ლონგი, საიდანაც გავდივართ სახალხო, ეროვნულ კინოთეატრ „ტეროსთა“. ეს ერთ-ერთია იმ კინოდარბაზებს შორის, რომელთა გადარჩენაც გვინდა. „ლე პასაჟ“ არის აგრეთვე სათაური ჟან რევერზის ყველაზე ცნობილი რომანისა – ამბავი კაცზე, რომელიც ბრუნდება დიდი ხნის წინ მიტოვებულ მშობლიურ ქალაქში, საიდანც კუნძულებზე წავიდა. მას, უკვე ავადმყოფს, ალბათ ყველაფერი ეპატიებოდა, სასჯელისა და ნეტარების სამყაროში რომ მოხვედრილიყო, რადგან უსაზღვროდ უყვარდა ზღვა. ის სამხრეთს, მზესა და კუნძულებს ისეთი სიზუსტით აღწერს, როგორითაც რონაზე გადებულ ხიდებზე ჩამოწოლილ ნისლს. რომანი „პასაჟი“ არის სიკვდილისკენ მიმავალი გზა, იქ აღწერილი ქალაქი ლიონია, ხოლო რომანი – შედევრი, რომლის თითოეული ფრაზა იმსახურებს ციტირებას.

საღამოს ბისტრო გველოდება. ვხვდებით ჟან-პოლ ბელმონდოს, ვის გარშემოც შემოკრებილია ფრანგული კინოს ახალი გვარდიის ნაწილი. ისინი აღფრთოვანებულები არიან ბელმონდოს აქ ყოფნით, მოხიბლულები მისი ქარიზმით. ეს ხომ ის კაცია, რომლის შარმსაც წლებმა ვერაფერი დააკლო. გუშინ მის შემოსვლას „ლა ალში“ ჩვენი მეგობრის, ჟორჟ ლოტნერის ფილმის, „პროფესიონალის“ მუსიკაზე (მორიკონეს მუსიკა), დიდი ეფექტი ჰქონდა: აღტაცებული და აღტკინებული ხალხი ფეხზე იდგა. სამი წლის წინაც ჩამოვიდა ჩვენთან, რომ ეჩვენებინა „მაიმუნი ზამთარში“. კიდევ უფრო არაჩვეულებრივი იყო და ჟერარ კოლომბმა ცრემლი ვერ შეიკავა. „ეს კარგია დაფინანსებისთვის“, – მითხრა ლორან ჟერამ მაშინ. დღეს კი ის ზის თავისი მეგობრის, ჟან-პოლის წინ, რომელიც რაღაცაზე ხუმრობს. სოფია ლორენს სასტუმროში ნაშუადღევს შეხვდა. მერე, მთლად წითლებში გამოწყობილმა სოფიამ აღაფრთოვანა 1800 ადამიანი აუდიტორიუმში. ის იუმორითა და სინაზით მოუყვა ხალხს თავისი ცხოვრების შესა-

ხებ. ამ საღამოს ის და ჟან-პოლი ერთად სადილობენ. მათ მსოფლიო კინოს მითოლოგიაში გამორჩეული ადგილი ეკუთვნით. ლორანს უნდა გაიგოს, ხომ არ მოხდა „რამე“ მათ შორის „ჩოჩარას“ გადაღების დროს: „ეს მნიშვნელოვანია კინოს ისტორიისთვის“, – ხუმრობს ის. მაგრამ პასუხს ვერ იღებს, ჟან-პოლი მხოლოდ იმანჭება. „ის აუღებელი იყო“, – ამბობს სოფია და მზერას არ აშორებს ჟან-პოლს. „სოფია ხომ გათხოვილი იყო“, – დასძენს ბელმონდო. ვერასოდეს გავიგებთ, იქ რა ხდებოდა.

ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი

ორი მდინარის გარდა (ადგილობრივები ხუმრობენ, რომ მესამეც არის, ბოჟოლეს სახით), ლიონში ორი პატარა მთაა – ფურვიერი, ან მონაზონი, რომელიც აღსარებას ამბობს, და კრუა რუსი, მშრომელი, რომელიც პროტესტს გამოთქვამს. კანუცებს ეძახდნენ კრუა რუსის აბრეშუმის ფაბრიკაში მომუშავეებს. ისინი მუშაობას იწყებდნენ დილის 4 საათზე და 8 საათზე უკვე შიოდათ, და კარგადაც ჭამდნენ, რასაც „მაშონი“ ეწოდებოდა. შემდგომ პერიოდში ეს დამკვიდრდა ლიონურ ტრადიციად, რომელსაც მზარეულები არ ღალატობენ. მათ შექმნეს ფრანკ-მაშონების ასოციაცია.

რამდენიმე წელია, რაც მაშონი ლუმიერის ფესტივალის რიტუალად იქცა, როგორც სტუმრებისთვის, ისე პუბლიკისთვის. ამ რიტუალს ეზიარნენ კვენტინ ტარანტინო, ნიკოლა უინდინგ რეფნი, რომელმაც პირველად დაისველა ტუჩები ბოჟოლეს ღვინით. აბა რა, ხომ უნდა გავამართლოთ სლოგანი – „Good film, good food, good friends”(კარგი ფილმი, კარგი საჭმელი, კარგი მეგობრები). ამ დილით, ეს სიამოვნება რომ განვაცდევინოთ ახალ გაუთვითცნობიერებელ ხალხს, ოცამდე კაცი შევკრიბეთ, რომლებიც მზად იქნებოდნენ ყველანაირი გასტრონომიული სითამამისთვის. წუხელ გვიან რომ დაწექი, ვერ გიშველის, ვერც ჟორჟის მორთმეული საკვები გარეტის ქუჩაზე მდებარე რესტორანში, რომელიც ჩვენთვის იღება. მომენტი უნიკალურია და სასიამოვნო: ყავას ვსვამთ დახლთან, მერე გეახლებით: ლიონურ ხორცის

კერძ „ტაბლიე დე საპერს“, ძეხვს, ფრინველის ღვიძლისგან მომზადებულ ღვეზელს, საქონლის შიგნეულის კერძს და სასმელს დამატებით (თეთრ მაკონს, კოტ დიუ რონს და ბოჟოლეს). ზოგიერთი უცნაური კონსისტენციის კერძზე ტარანტინომ იკითხა: „არაჩვეულებრივია, მაგრამ რა არის?“ 10 საათზე გატყვრომა დამთავრებულია და თავს კარგად გრძნობთ, ცოტა გამოშტერებული კი ხართ, მაგრამ უპირატესობის უზარმაზარ კომპლექსს გრძნობთ დანარჩენ სამყაროსთან შედარებით. როგორც ლიონელი ფრედერიკ დარი ამბობდა: „თუ ღმერთი არ არსებობს, ის თავს გვაჩვენებს ასეთად“.

როცა კანში საკონკურსო ჩვენება იწყება, მეგობრობა საპროექციო დარბაზის კართან რჩება და იწყება შრომა გემოვნებისა და მსჯელობის მიხედვით. ლიონში, კრიტიკული შეფასებები ჩავლილია, დრო გავიდა და ფილმებს მხოლოდ გულკეთილობის გამო ვუყურებთ. დღეები მიდის შეხვედრებში, პრეზენტაციებში, ჩვენებებში. კუროსავას პატივს მივაგებთ ფილმისთვის „ტოჰოს წლები“, ვიხსენებთ რუსული კინოს ტრაგიკულ ფიგურას ლარისა შეპიტკოს, საღამოს ვუმართავს ჯერალდინა ჩაპლინს, მუსიკოს ალექსანდრ დესპლას მისი „ოსკარის“ აღსანიშნავად, ვფენთ მექსიკურ იშვიათობებს და სხვადასხვა სინემათეკის მიერ შემოთავაზებულ განძეულობას. მოკლედ, ლიონში სხვა ტიპის ლხინი იმართება.

20 საათზე იქნება „ერთი საღამო გომონ პალასში“, კინოკონცერტი ფრანგული კინოს სათავეებთან მყოფთა შესრულებით. გომონის სტუდიაში ნიკოლა სედუ ყოველთვის ზრუნავდა „კატალოგზე“. ეს არის პროფესიული ტერმინი, რომელიც ნებისმიერი საზოგადოების უფლებათა ჩამონათვალს ნიშნავს. დიდი ხნით ადრე, სანამ ეს განზოგადდებოდა, მან აღადგინა, გააცოცხლა, გამოუშვა მივიწყებული ფილმები. ეს ღირდა ამად, „გომონი“ კინოსთან ერთად დაიბადა და თავისი საქმეები არასოდეს შეუწყვეტია. წელს ისიც ზეიმობს 120 წლისთავს ლუმიერთან ერთად. ჩვენ კი ვზეიმობთ ამ საღამოს, ლიონის აუდიტორიუმში. ნორმალურია ეს ამბავი. ლუი ლუმიერი იყო ლეონ გომონის დიდი მეგობარი. სცენიდან, სადაც მე ბატონი ლუაიალის როლში

ვარ ადრინდელი ფილმების პროგრამის განხილვისას, ვხედავ ნიკოლა სედუს, რომელიც პირველ იარუსზე ზის. მას მუდამ დაჰკრავს ბავშვური იერი, თითქოს თავის შვილ სიდონიასთვის ხელის გადახვევით შეუძლია უფრო გაბედული იყოს, მეტი იხუმროს და ყველანაირი სიამოვნებით დატკბეს. პარიზში, როცა მას უნდა ჩემთან ერთად ისაუზმოს, ვემორჩილები. მეგობრობის პატივისცემის ნიშნად და კიდევ იმ სიხარულის ხათრით, რაც მეუფლება ხოლმე, როცა მის უშრეტ და გამკენწლავ საუბარს ვისმენ. კარგად აღზრდილია და ყოველთვის ეპატიჟება ხალხს საუკეთესო რეპუტაციის დაწესებულებებში, სადაც წინასწარ აქვს ყოველთვის შესწავლილი ღვინოების ხარისხი და დონე. ასეთი მიპატიჟების შემდეგ არავინ რჩება იმედგაცრუებული. ნიკოლა სედუ პიროვნებაა. აშკარად ბედნიერია, რადგან ამ საღამოს ნახავს ონესიმის, ლუი ფეიადის, ბუ დე ზანის, ფელიქს მაიოლის, ლეონს პერესა და ალის გის ფილმებს. ეს უკანასკნელი პირველი ქალი რეჟისორია. ამ საღამოს, ფირმამ, რომელსაც ემბლემად ზიზილა აქვს, სავსებით გაამართლა თავისი ახალი სლოგანი: „გომონი, მას მერე რაც კინო არსებობს“...

ხუთშაბათი, 15 ოქტომბერი

ლუმიერის ფესტივალი კინოს ისტორიის ზეიმია, კინო კი უკვე მაღალ ტექნოლოგიებს დაუახლოვდა. აქაც და სხვაგანაც, ციფრულმა ტექნოლოგიამ ყველაფერს აჯობა (უსაფრთხო პროექცია, სინათლე, ზომა, ადამიანური შეცდომა მინიმუმამდეა შემცირებული) და 35-მილიმეტრიანი პროექციები (ადამიანის ხელის გამოყენებით, რომელმაც ბობინები უნდა ცვალოს) იშვიათობაა. მაგრამ ჩვენ არ გვინდა მივატოვოთ 35-მილიმეტრიანი ფირები და არც ის გვინდა, რომ შევესწროთ მათს დაპროგრამებულ სიკვდილს. გვსურს, კიდევ გვესმოდეს ხმაური ოპერატორის კაბინებიდან. დავიწყეთ საწყობებში სიარული და კოლექციებში ქექვა. აღმოვაჩინეთ 70-იანი წლებისშემდგომი დამოუკიდებელი კინოს ხუთი ფილმი, რომლებსაც რესტავრაცია ჯერ არ შეხებია. ესენია: ჟაკ როზიეს „მენ ოკეანე“, ჟან-ფრანსუა სტევნენის

„თბილი ქუდი“, ანდრე ტეშინეს „ამერიკის სასტუმრო“, კრისტინ პასკალის „ზანზიბარი“, ალენ ტანეს „თეთრ ქალაქში“. ალენ ტენე უკვე ხანდაზმულია, მაგრამ მებრძოლი, თუმცა გადაადგილება არ შეუძლია. მისი პროდიუსერი პაოლო ბრანკო წარმოადგენს მას (თეთრი ქალაქი ლისაბონია).

ამ ფილმებისა და კინორეჟისორების მიმართ უსაზღვრო სიყვარულს განვიცდი და მივხვდი, რომ ბობურის კარტ-ბლანშზე ისინი ფიგურირებდნენ. ასლები არ არის კარგად შენახული, ზოგი ბობინის ფირს უკვე ვარდისფერი დაჰკრავს ფერების შელახვის გამო, მაგრამ ვნება, თვალის და ტვინის სიამოვნება ხელუხლებელია – ვიცი, რომ დროში მოგზაურობის შეგრძნებები გამიჩნდება, კინოს იდეასაც დავინახავ, რომელიც გულისხმობდა მოაზროვნე ოჯახების გაერთიანებას უფრო მეტად, ვიდრე ახლა. 30-იანებიდან მოყოლებული და 60-იანი წლების ჩათვლით გადაღებული ფილმების რესტავრაცია საფრანგეთში დაწყებულია, ამიტომაც უნდა დავამტკიცოთ, რომ 70-იანების ფილმებიც აღსადგენია. თუმცა ამ პერიოდის კინოს „თანამედროვე კინოს“ უწოდებენ და არ ვიცი, მოხერხდება თუ არა ეს. ვნახოთ. ჩვენ ვტესტავთ 35-მილიმეტრიანის პროექციას, რომელიც მეორე დარბაზში გვქონდა შენახული. ეს არის ნაციონალურ-პოპულარული კინო „ბელკური“, რომელიც ფესტივალს მასპინძლობს.

არ არსებობს კინოს სიყვარული კინოზე წიგნების სიყვარულის გარეშე. მათ შორისაა ნიკოლა უაინდინგ რიეფენის წიგნი, რომელიც დროს გაუძლებს. იგი გამოიცა „აქტ სუდის“ გამომცემლობაში მანუელ შიშის მიერ, რომელიც არის დაუღალავი, შეუპოვარი სინეფილი-რაინდი. „ხედვის ხელოვნება“, სამასი აფიშითა და რამდენიმე ასეული გვერდით, გვიყვება ერთი კინორეჟისორის სინეფილურ გატაცებებზე, რომლის რადიკალური მხიარულება რეჟისურით არ ამოიწურება. ნიკოლა, რომელიც სასაცილო ინტერვიუებს იძლევა, დიდ ერთგულებას იჩენს და სტუმრობს უცნაურ კინოს, რომელიც ზეპირად იცის. „ნახე, გამოქვეყნდა მეტისმეტად მდიდრული წიგნი მცირებიუჯეტიან ფილმებზე!“ – ხუმრობს ის. იმ დროს ფილმის გადაღებისთვის უფულობა: 1.

არ ნიშნავდა იმას, რომ ფილმების საქმე კარგად ვერ მიდიოდა; მოყვარულები არსებობდნენ, მარგინალებს და ბნელებს ზოგჯერ ბევრი ფული შემოჰქონდათ; 2. ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ამ საქმეში ჩართული ხალხი არაკეთილსინდისიერად ეპყრობოდა საქმეს. ამას მოწმობს პოსტერების, ფურცლებისა და სხვა სარეკლამო მასალის გრაფიკის ხარისხი. თუ სარეკლამო „კეჩლაინებსაც“ მივაქცევთ ყურადღებას, მივხვდებით, რომ მარკეტინგის გამორჩეულ ფიგურებს მხოლოდ „კოკა-კოლასთან“ და IBM-თან (International Business Machines Corporation) არ აქვთ ნამუშევარი და ამაზე მეტყველებს „ამ ღამეს ოთხჯერ შევძელი, ან ქალად დავიბადე, ნება მომეცით კაცად მოვკვდე“, და მსგავსი რაღაცები; ან კიდევ ეს ფრაზები: „უმწიკვლო, აალებადი სილამაზის მქონე მონაზვნის აღსარება“, ან „ცუდი გოგოებიც ტირიან“, რასაც ქვესათაურად ჰქონდა – „გადაღებულია ჰოლივუდში, იქ, სადაც ასეთი ამბები ყოველდღე ხდება“ (ანუ ის, რომ ცუდი გოგოები ტირიან); ხოლო „ლუი და ელის, ანუ ქმრის და ცოლის“ აფიშაზე დაზუსტებული იყო: „სალაროსთან დაამტკიცეთ, რომ 18 წელზე მეტის ხართ, ან წარმოადგინეთ ქორწინების მოწმობა“. ჩემი საყვარელი სათაური მაინც ეს არის: „ქალმა თქვა, რომ მისგან ველური ტკბობა იყო მოსალოდნელი და დანაპირები შეასრულა“. რატომ თქვეს უარი ამ ყველაფერზე? უცებ გამახსენდა ლიონისა და პარიზის სახელგატეხილი დარბაზები: „პატარა გუგული“, „კლუბი“, „აბესე“, „არწივი“ და ის კინორეჟისორები, რომლებსაც გენიალური ფსევდონიმები ჰქონდათ: „სტენ ლი ლუბრიკი“ ან „მაქს ტარბე“.

ნაშუადღევის ბოლოსკენ მარტინ სკორსეზე ლიონში ჩამოვიდა. მანამდე პარიზში გახსნა ექსპოზიცია, რომელიც სინემათეკამ მას მიუძღვნა. სკორსეზეს ჩამოსვლას წლები ველოდით.

პარასკევი, 16 ოქტომბერი

ამ დილას ჩემმა ბიჭმა ჟიულმა მითხრა, ვიდეოთამაშების შემქმნელი მინდა გამოვიდეო. ამაში არაფერია გასაკვირი, ის ხომ მთელ დღეებს კომპიუტერთან ატარებს. გარდა ამისა, სკოლაში თურმე მა-

მის პროფესიაზეც უწევს საუბარი და არ იცის, რა თქვას. შემიძლია იმპროვიზაციით ვუპასუხო, მაგრამ სამუშაო დღე იწყება. თან ისეთი საქმიანობით ვარ დაკავებული, რომ ძნელი ასახსნელია ბავშვისთვის. შეიძლება, პროფესია ეწოდოს ამ საქმიანობას? გუშინ კუროსავას „იოჟიმბოს“, ოტან-ლარას „თეთრებში ჩაცმული ქალის დღიურის“, ვინტენბერგის „ნადირობის“ და სკორსეზესა და ტედეშის „50 წლის არგუმენტის“ პრეზენტაცია მქონდა; ამას გარდა, პატივი მივაგეთ ალექსანდრ დესპლას და ფილმს „დანა წყალში“ რომან პოლანსკის მონაწილეობით, სკორსეზეს დოკუმენტურ ფილმს ჯორჯ ჰარისონზე, მისი ქვრივის – ოლივიას თანდასწრებით, ლენის „დოქტორ ჟივაგოს“, როსის „ლაქი ლუჩიანოს“, პაბსტის „ოთხს ინფანტერიიდან“ და აკერმანის ფილმს „მე, შენ, ის“; კიდევ, წარმოვთქვი საქებარი სიტყვა მედს მიკელსონზე, სანამ ის მასტერკლასს ჩაატარებდა; „პასაჟში“ ვუძღვებოდი საუზმესა და სადილს, იქაც მომიწია ორიოდე სიტყვის თქმა, ვესაუბრე ახალგაზრდა სინეფილებსაც; კლასიკური ფილმის ბაზრობაზე გავხსენი მრგვალი მაგიდა, რაც „ობოლ ნაწარმოებებს“ ეხებოდა; პრეფექტურასთან და საფრანგეთის ელექტრო კომპანიასთან ერთად ვუმასპინძლე იმიგრანტებს – მათ ეძლევათ საშუალება, ფესტივალზე შეასრულონ გარკვეული მოვალეობები, რის შედეგადაც შეძლებენ პროფესიულ ინტეგრაციას. მივუყვები გამბეტას გზას ველოსიპედით, თავზე მახურავს შალის ქუდი, ხოლო ზემოდან ჩაფხუტი, რომ დავემსგავსო ედი მერკსს, რომელმაც 1969-ში მოიგო ფლანდრიის რბოლა. თან ვიაზრებ, ღამხელა პრივილეგიაა, მქონდეს ასეთი განუსაზღვრელი პროფესია. სწორედ ეს პროფესიაა, რომელიც მპარავს უამრავ დროს, რასაც ჩემს შვილებს უნდა ვახმარდე.

15 საათზე მარტინ სკორსეზე სელესტენების თეატრის სცენაზე ავიდა, რომ შეხვედროდა უამრავ ადამიანს, რომლებიც მესამე იარუსზეც კი ისხდნენ. ჩემს პირველ კითხვაზე: „შენ თავს გადარჩენილად თვლი?“ მიპასუხა: „მალე 73 წლის ვხდები. როცა თვალს გადავავლებ ხოლმე ჩემ მიერ განვლილ გზას, მახსენდება, რომ ადვილი არაფერი ყოფილა. გზადაგზა ბუმბულებს ვტოვებდი, მაგრამ ფილმების გადა-

ღებას ვაგრძელებდი, მქონია მწარე მომენტებიც, ნამდვილად მწარე, მაგრამ აქამდე მოვედი. დიახ, გადარჩენილი ვარ“. არცერთი დიდი კინორეჟისორი არ მიპასუხებდა სხვანაირად. შეხვედრა ღირსახსოვარი გამოვიდა. როცა მარტი კინოზე იწყებს საუბარს, ხელოვანის პოზიციიდან ლაპარაკობს. არ მახსოვს, ოდესმე უარყოფითი აზრი გამოეთქვას ვინმეს ფილმზე. დღესაც ასე მოიქცა. დაახლოებით ორი საათი ილაპარაკა. დრომ სწრაფად გაირბინა. ეს იყო არაჩვეულებრივი წამი, რომელიც მან მთლიანად მიუძღვნა მის მოსასმენად მოსულ რვაას ადამიანს. სკორსეზე წარმოშობით Little Italy-ის პროლეტარების შვილია, რომელმაც რამდენიმე კოლეგასთან ერთად გამოიგონა 70-იანი წლების ნიუიორკული კინო. ის არის ხელოვანი, რომლის სინეფილიას არც გეოგრაფიული და არც არტისტული საზღვრები არ გააჩნია. მან ასევე კარგად იცის ლიტერატურა, კლასიკური მუსიკა და როკის ისტორია.

სკორსეზემ საჩუქარიც ჩამოგვიტანა, „ვინილის“ სარეკლამო რგოლი. ეს არის სერიალი HBO-სათვის (Home Box Office), რომლის იდეაც მას ეკუთვნის და რომლის პროდიუსერიც თვითონვეა მიკ ჯაგერთან ერთად. სერიალის პირველი ეპიზოდი მისივე გადაღებულია. კარგი იყო ელექტროგიტარის ხმის გაგონება წითლად და ოქროსფრად გაწყობილი ლამაზი იტალიური თეატრის კედლებში სელესტენების მოედანზე. მასუმე ლაიჯიმ, როგორც ყოველთვის, უნაკლო თარგმანი შემოგვთავაზა, ლოგიკური და აზრით სავსე, რამაც პუბლიკა აღაფრთოვანა. მარტიმ ესეც თქვა: „კმაყოფილი ვარ აქ ყოფნით, რადგან ლუმიერის ფესტივალი საშუალებას მაძლევს, მოვინახულო ჩემთვის ძვირფასი ადამიანები“. ძვირფას ადამიანებს შორის არის აბას კიაროსტამი, მის აქ ყოფნას დიდი მნიშვნელობა აქვს სკორსეზესთვის. დილით, ჩინეთიდან ჩამოსულმა აბასმა, სადაც ის მალე გადაღებას იწყებს, თავისი კომპიუტერიდან სათითაოდ მაჩვენა მოკლემეტრაჟიანი ფილმები, არაჩვეულებრივად გამომგონებლური და მთხოვა მე გადამეწყვიტა, რომელი ფილმი გამეშვა მისი ამერიკელი მეგობრის პატივსაცემად და ლუმიერის პრიზის მოსაპოვებლად. ამ სამკაულე-

ბიდან ამოვარჩიე „ცხენი“, ფილმი, სადაც არის მანქანა, თოვლი და ცხენები. ეს არის ექსპერიმენტული ბალეტი, აბსტრაქტული და ამაღელვებელი. მართლაც დაუვიწყარი. არ ვიცი, შეძლებენ თუ არა ადამიანები, შეაფასონ რა ხდება. ეს ორი გიგანტი მეგობრობს და ერთმანეთს პატივს სცემს, და მათი ურთიერთობა, მეგობრობა შემორჩება კინოს ისტორიას. მარტის თავმდაბლობა, როდესაც ის აბასს მიმართავს, გამოგონილი არ არის. ლუმიერის პრიზი სამი ათასი მაყურებლის წინაშე გადაეცა, არც ტელევიზია ყოფილა აქ და არც ბრჭყვიალა ამბები. ფრანსუა კლუზემ გაიხსენა მსახიობი სკორსეზე, რომელიც თვალწინ ჰყავდა „ღამის სიყვარულში“. ამ ფილმიდან ფრაგმენტიც გავუშვით მისი სიმართლის დასადასტურებლად. ჯეინ ბირკინმა იმღერა კასაბლანკას „დროთა განმავლობაში“. მელანქოლიურმა სიმღერამ კინაღამ ცუდ ხასიათზე დაგვაყენა. კამელია ჟორდანამ „ნიუ-იორკ, ნიუ-იორკ“-ის დაუვიწყარი ვერსია შემოგვთავაზა. რობერტ დე ნირომ ვიდეომესიჯით მიულოცა თავის სისხლისმიერ ძმას. ჩვენ ასევე ვუჩვენეთ ამერიკაში XIX საუკუნის ბოლოს გადაღებული ლუმიერის რამდენიმე ფილმი, აგრეთვე ლორელისა და ჰარდის მუსიკალური ნაწყვეტი ალენ რენეს პატივსაცემად, რომელსაც სკორსეზე ძალიან აფასებდა. ერთხელ, ვენეციაში, ბერტრანს თვალზე რაღაც დაემართა და მარტისთან და რენესთან უჩვეულო საუბარი გამოგვივიდა: „თუ ხარ კინორეჟისორი და სინეფილი, რა უფრო საშინელება იქნება რომ დაგემართოს – ფილმები ვეღარ გადაიღო თუ ფილმები ვეღარ ნახო?“ რენემ მკაფიო პასუხი გაგვცა: „ვეღარ ვნახო ფილმები“.

ტრადიციულად, ფესტივალის ცერემონიალის ბოლოს ბერტრანი ამბობს ხოლმე სახოტბო სიტყვას. რადგან არ ესწრებოდა ფესტივალს, გამოგზავნა ტექსტი, სადაც ის ამბობდა, რომ „მარტინ სკორსეზე იმსახურებდა ხუთ, ათ ლუმიერის პრიზს“. ტექსტი მთავრდებოდა წმინდა ავგუსტინეს სიტყვებით: „ის ვინც თავის გატაცებაში იკარგება, კარგავს უფრო ნაკლებს, ვიდრე ის, ვინც გატაცებას კარგავს“. სცენა სავსე იყო მეგობრებით, თანამშრომლებით და მარტის ოჯახის წევრებით. ლუმიერის პრიზი კი მას სელმა ჰაიეკმა გადასცა. ეს იყო სინემა-

ტოგრაფით შთაგონებული ნივთი, რომელიც დავამზადებინეთ იმავე ხისა და მეტალისგან, რისგანაც ლუმიერის აპარატია დამზადებული. მარტიმ გრძელი სიტყვა თქვა, სერიოზული და ლამაზი. ჩანდა, რომ ტკბებოდა ამ მომენტით. ცხადია, მეც. მგონი, მისთვის იმედი არ გამიცრუებია. როდესაც დიდ ეკრანზე გავუშვით კარაოკე, რომ მის პატივსაცემად სამი ათას კაცს ერთად ემღერა „ნიუ-იორკ, ნიუ-იორკ“, მარტის სიცილი აუვარდა.

შაბათი, 17 ოქტომბერი

ლუი ლუმიერმა თავისი პირველი ფილმი სენ-ვიქტორის გზაზე გადაიღო. ფილმს ეწოდება „ქარხნიდან გამოსვლა“. გოდარმა ჩემზე ადრე თქვა, „როცა გვარად ხარ ლუმიერი, კინო უნდა გამოიგონო, აბა რა?“ (ფრანგულად ლუმიერი ნიშნავს სინათლეს და განათლებას). ამასთანავე, ამ უბანს ჰქვია „მონპლეზიღ“ (ჩემი სიამოვნება). ასეთი წარმომავლობის პატრონს მეტოქეობას ვერავინ გაუწევდა გამომგონებლობაში. „და კიდევ, ისინი ცხოვრობდნენ პირველი ფილმის ქუჩაზე!“ – მითხრა ერთხელ ერთმა ბავშვმა. არა, ასე არ ყოფილა, მოგვიანებით, 20 წლის შემდეგ დაერქვა ამ ქუჩას ეს სახელი. ლიონელები ყოველთვის არ ყოფილან ყველაზე ერუდირებულნი. ერთმა სხვა ბავშვმა კი ამაყად განმიცხადა: „ლიონში გადაღებული პირველი ფილმის სახელწოდებაა „მატარებლის შემოსვლა სიოტას სადგურში“!“

ჩვენ დიდი პროექტი გვაქვს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. გვინდა მოვიპოვოთ ისტორიულად ლუმიერების კუთვნილი ტერიტორია და მთლიანად მივუძღვნათ კინოს და ფოტოგრაფიას. ჟერარ კოლომბი დამპირდა, რომ დაინტერესდებოდა ამ საკითხით. ნაშუადღევს ისიც სწორედ აქ მხვდება, პირველი ფილმის ქუჩაზე, ძველი საბძლის წინ, ახალი „ქარხნიდან გამოსვლის“ გადაღებაზე, ამჯერად სკორსეზეს რჟისორობით. მანამდე ეს უკვე გადაღებული აქვთ ალმოდოვარს, ტარანტინოს, დოლანს, სორენტინოს, სიმინოს და შაცბერგს. მსახიობები, რეჟისორები, მეგობრები, მაყურებლები მიმოდიან პიერ ვილიამ გლენის კამერის წინ. ეს პროცესი ყველაზე დიდ შთაბეჭდი-

ლებას ახდენს, ჩემზეც, უპირველეს ყოვლისა, რადგან ნიუიორკელი მაესტროს გადაღებას ვესწრებით. მარტი ბედნიერია ამ ლამაზი ფანტაზიის წინაშე, რაზეც სიამოვნებით ყვება. ის იძლევა მითითებებს, აწყობენ ვითომ ველოსიპედის გადავარდნას, კიდევ ერთხელ იცინიან და სამი ეპიზოდით მთავრდება სცენა. იარსებებს კიდევ ერთი ახალი ლუმიერის ფილმი „Directed by Martin Scorsese"(გადაღებული მარტინ სკორსეზეს მიერ).

მივდივართ ფილმების საპრეზენტაციოდ დიდ და პატარა დარბაზებში. ფესტივალის დროს ყველა დარბაზს ვიყენებთ, როგორც ცენტრში, ისე გარეუბნებში. ყველგან ბევრი ხალხია – ახალგაზრდები, ხანდაზმულები, ოჯახები, სპეციალისტები, მოყვარულები, პროფესიონალები, შემთხვევითი ადამიანები. საფესტივალო სოფელში ხალხი თავმოყრილია წიგნებთან და DVD-ებთან. მე პაბლო ტრაპეროსთან ერთად ვარ, რომ ვისაუბრო ფილმ „ჩანერგილებზე". ოღონდ მანამდე უჩვენებენ ფილმს „გაუშვით... ეს ვალსია!" ჟან იანის პატივსაცემად – დადგა დრო, რომ ის გავიხსენოთ. იანი დილეტანტი კინორეჟისორია, მაგრამ სხვა ყველაფერში – გენიოსი. მასთან ძალიან გავერთეო, გამანდო ნიკოლ კალფანმა. ნიკოლს ძალიან უყვარდა ჟანი და აქ იმიტომ ჩამოვიდა, რომ მასზე ელაპარაკა. ნიკოლი იხსენებდა, როგორ მიმართავდა ჟანი მას ალერსით – „ჩემო პატარავ..." „უფრო ღამის ჩიტი იყო, ღამის კლუბებში უნდა გაჰყოლოდით, ყველა გოგო დავდიოდით იქ. მე მისნაირი ენერგია არ მქონდა, ღამის ხალხი ცოტა სხვანაირები არიან. ზოგჯერ, როცა გვიან ღამით კასტელის კლუბში მივდიოდით, ცალკე ვჯდებოდი და ვიძინებდი. ჟანი კი თეთრად ათენებდა ღამეებს და მერე ბრუნდებოდა შინ. მხოლოდ სახლში მისვლისას აცნობიერებდა, რომ იქ არ ვიყავი. „ამის დედაც, ჩემი პატარა!" დავიწყებული ვყავდი. ეს ძალიან ხშირად ხდებოდა". დღე მთავრდებოდა „საშიში" ღამით ტონი გარნიეს „ჰალში": ჯონი კარპენტერის „რაღაცით", ჟორჟ რომეროს „მკვდარ-ცოცხლების ღამით", ჯეიმს უენის „თვალთმაქცით" და სემ რეიმის „ცუდად მკვდარით." ეს იყო უმაღლესი დონის პროგრამა. საპრეზენტაციოდ

მოწვეული იყო არანაკლებ დიდი ალენ შაბა, რომელმაც უამრავი რამ იცის ამ ჟანრის ფილმებზე. ხუმრობითა და პროვოკაციით ის აღაფრთოვანებს დარბაზს, პიერ ლესკური მოხიბლული ჩანს, ის შაბას ნომერ პირველი ფანია. ძმებივით არიან, „დაშლილი ლიგის აღდგენის“ მსურველებს ჰგვანან. ღამით გიჟივით ვიარე ველოსიპედით, რომ ქალაქში დავბრუნებულიყავი. როცა რონაზე გადავდიოდი, ბედნიერებისგან ფეხზე დამდგარმა გავატარე ველოსიპედი.

როცა შემოქმედი იწყებს კარიერას, საკუთარი სიღრმიდან ამოაქვს შეკავებული შთაგონება და ბნელიდან სააშკარაოზე გამოაქვს მჩქეფარე ახალგაზრდობა, რითაც სურს მსოფლიოს დაპყრობა. სწორედ ეს ქნა მარტიმ თავისი პირველი ნიუიორკული ფილმებით, რობერტ დე ნიროსა და ჰარვი კეიტელთან ერთად, რომლებიც თამაშობდნენ ფილმებში „საშუალო ქუჩები“ და „ტაქსის მძღოლი“ და „ოქროს პალმით“, რომელიც აღნიშნავდა ცეცხლოვან ამერიკულ ათწლეულს. დღეს სკორსეზეს გაუნელდა ძველი მისწრაფებები, რაც 30 წლის ასაკში ჰქონდა, როცა თავისი თაობის სათქმელს გამოხატავდა. პიროვნულადაც შეიცვალა, ექსცესებისგან თავი შორს უჭირავს, მაგრამ ის კვლავ იპყრობს ყურადღებას თავისი უკვე განსხვავებული რეგისტრის თვალთახედვით. მას უკვე სიყვარულს უდასტურებენ ის სტუდიები, რომლებსაც დიდად არ უყვარდათ. ისტვუდთან და სპილბერგთან ერთად სკორსეზე დღეს განასახიერებს ამერიკელ შემოქმედ რეჟისორთა მარადიულ საქმეს და ისინი აგრძელებენ 30-იანი წლების კლასიკური კინოს ტრადიციებს.

ჩვენ ზეიმი მივუძღვენით კინორეჟისორ სკორსეზეს არა მხოლოდ შემოქმედებას, არამედ მის დაუღალავ საქმიანობას კლასიკური კინოს სამსახურში. მარტი ერთ-ერთია მათ შორის, ვინც ძალიან ადრე მიხვდა – საჭირო იყო ახალი საშუალებების გამოძებნა, რომ ფილმების შენახვას მეტი ყურადღება დასთმობოდა. ამ საქმეში შესანიშნავი ხალხიც აიყოლია, მაგალითად, ჩუმი სტენლი კუბრიკი. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისევე როგორც ჩვენთან, ფრანგულ სინემათეკასა და ლუმიერის ინსტიტუტში არის ბრწყინვალე არქივები („მომა“,

ოსკარების აკადემია, „უკლა“, „ჯორჯ ისტმენ ჰაუსი“, კონგრესის ბიბ-ლიოთეკა) და სკორსეზემ შექმნა ფილმის ფონდი (Film foundation), რამაც საშუალება მისცა მის მესვეურებს, მოეზიდათ მნიშვნელოვანი ფონდები. როცა მარტინ სკორსეზეს ველაპარაკები, არ ვიცი ვინ არის ის – ხელოვანი, სინეფილი, სინემათეკარი თუ მებრძოლი.

ალბათ სწორედ ამას აღნიშნავდნენ ჩვენი სტუმრები „პასაჟში“, როდესაც უყურებდნენ ამ გმირ კაცს და სთხოვდნენ მასთან ფოტოს გადაღებას ან გასაუბრებას. სკორსეზე იჯდა აბას კიაროსტამის გვერ-დით და იღიმებოდა, ყველასთვის ეცალა, დიდხანს ელაპარაკებოდა გასპარ ნოეს, რომელიც ფრანგული კინოს მოხეტიალე კატაა. რაღაც მომენტში, მარტი ფეხზე წამოდგა, რომ რაღაც ეთქვა: „მე მსგავსი არასდროს არაფერი მინახავს, ვერც წარმომედგინა თუ ეს შესაძ-ლებელი იყო. დიდებულია ერთად ყოფნა. ვწუხვარ, რომ ბობი და ლეო აქ არ არიან. სამაგიეროდ, ჩემი ცოლი და ქალიშვილი, ჰელენი და ფრანჩესკა ჩამოვიდნენ ლიონში და ჩემი ცხოვრების საუკეთესო მომენტს აქ ვატარებ“. ვიფიქრე, რომ მაელი, ლესლი, დენი, პოლინა, ფაბიენი და სხვები, ვინც კი ამ ფესტივალში იყო ჩართული, ალბათ ქვითინებდნენ.

კვირა, 18 ოქტომბერი

ფესტივალის წარმატებით ჩატარებაზე ზრუნავენ მოხალისეებიც, მშვენიერი სულის ადამიანები, რომელთაც ყოველწლიურად სესილ ბურჟა კრებს. სულ ხუთასი კაცია. ისინი სხვადასხვა საქმიანობაში ერ-თვებიან – ზოგი მიმღებში მუშაობს, ზოგი კონტროლზე დგას, ზოგი მან-ქანებითაა დაკავებული, ზოგი პრესით, რესტორნებით, ზოგიც სტუმ-რებს დაჰყვება... ერთ წელიწადს, ერთ მძღოლს შევთავაზე, კლინტ ისტვუდთან, პიერ რისიენთან და ჩემთან ერთად ესადილა. გაოგ-ნებული კარგა ხანს აზრზე ვერ მოვიდა (ვერც მე, როგორც ყოველ-თვის კლინტთან სადილის შემდეგ). მოხალისეები ყველგან გვყავს. ზოგი მათგანი, ფესტივალის გამო, ერთკვირიან შვებულებას იღებს, ზოგი სამუშაო დღის შემდეგ მოდის ჩვენთან, ზოგიც უმუშევარია და

მაინც მოდის ჩვენ დასახმარებლად, ისეც ხდება, რომ ამის შემდეგ სამსახურს შოულობენ. ამ ხალხის გარეშე ფესტივალს არ ექნებოდა ის სახე, რაც აქვს, არა მარტო ლიონში, არამედ კლერმონ ფერანშიც (მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი), ანსიში (ანიმაციის ფესტივალი) და კიდევ სხვაგან, სადაც მსგავსი ღონისძიებები იმართება. გამოთქმა – „ერთად ცხოვრება“ გაცვდა, მაგრამ მაინც გამოხატავს იმას, რასაც გამოხატავს. ჩემი უფროსი და მარი-პიერი ვილა ლუმიერის კინოსოფელში მუშაობს წიგნებისა და DVD-ის მაღაზიაში თავის ქმარ ალენთან ერთად, რომელიც კომპანია „საფრანგეთის ელექტროენერგიაში“ მუშაობს. მათ მთელი ცხოვრება საჯარო სამსახურში გაატარეს, სამი შვილი აღზარდეს, დროზე ადრე გავიდნენ პენსიაზე და განაგრძეს სხვა საქმეების ერთგულება წერა-კითხვის გამავრცელებელ კურსებზე, „გულითად რესტორნებზე“ და სოციალურ ქმედებათა კომუნალური ცენტრის (CCAS) საზაფხულო ბანაკებში ბავშვთა გადაყვანაზე. მარი-პიერი მომხიბლავი და გამაოგნებელი ქალია, ის ჩემი დაა, მაგრამ ამ ქვეყანაში ბევრია ასეთი ქალი.

კვირაობით, დაახლოებით ოცდაათი ჩვენება მრავალ ათას მაყურებელს უყრის თავს მთელ ქალაქში. 15 საათზე ფინალური შეხვედრაა. ამ დროს ლუმიერის ინსტიტუტის გუნდი და ყველა მოხალისე ადიან ტონი გარნიეს სახელობის „ლა ჰალის“ სცენაზე, ხუთი ათასი მაყურებლის წინაშე, რომლებიც სიამოვნებით უწყობენ მათ საზეიმო შეხვედრას. ტაშის ხმა, რომელიც დარბაზის ფოლადისა და მეტალისგან დამზადებულ სახურავამდე ადის, ექოდ ბრუნდება და მე სიამოვნების ჟრუანტელი მივლის. მარტინ სკორსეზეც დიდხანს გვიკრავდა ტაშს, შემდეგ ისიც ამოვიდა სცენაზე და ვიგრძენი, რომ შთაბეჭდილებები მასაც მოსძალებოდა. ტრადიციისამებრ, ჟერარ კოლომბმა განაახლა თავისი ფინანსური მოვალეობები მომავალი წლისთვის. მან სკორსეზეს საჩუქრად გადასცა კოტ როტის ჟერობოამი, ღვინო, რომელიც მე მას ნიუ-იორკში გავასინჯე. მარტიმ გულთბილი მადლობა გადაუხადა და წარადგინა ფილმი „მაგარი ბიჭები“, ახსენა რობერტ დე ნირო. კინოს ისტორია ხშირად ორ-ორ ადამიანზე დგას, ესენი არიან:

სტერნბერგი და მარლენი, ფელინი და ჯულიეტა მაზინა, კუროსავა და მიფუნე, ტრიუფო და ლეო, ხოლო მერილინი ბზინვარებას მატებდა ბილი უაილდერის ფილმებს. ამ უკანასკნელს მობეზრებული ჰქონდა მერილინის გაცდენები, დაგვიანებები, დავიწყებები. მაგრამ ის ამბობდა: „სან-დიეგოში მყავს დეიდა, რომელიც მერილინზე ბევრად უკეთ იტყვის ტექსტებს, მაგრამ მაყურებელი არ მივა ამ ფილმის სანახავად“. ეს არის საუკეთესო განმარტება სიტყვისა „კინოვარსკვლავი“.

უსაფრთხოების სამსახური გვირჩევდა, ლუმიერის ფესტივალზე მოსულ პუბლიკასთან დასამშვიდობებლად არ გავსულიყავით კულისებში. ჩვენ პირიქით მოვიქეცით. რა უნდა მომხდარიყო დარბაზში გარდა იმისა, რომ ფეხზე დამდგარი ხალხი ოვაციას გაუმართავდა ხელოვანს, ვისაც მათ ცხოვრებაში თავისი ადგილი ჰქონდა. „ჯამპინ ჯეკ ფლეშის“ ხმაზე გრანდიოზული ამბავი მოხდა, რაშიც კაპელდინერი ქალებიც მონაწილეობდნენ. მარტიმ ოვაციებსა და შეძახილებში გაიარა „ლა ჰალის“ დარბაზი, თან ავტოგრაფებს გასცემდა და ხელს ართმევდა ათეულობით ადამიანს. ელვის პრესლი გეგონებოდათ. ის არის ელვის პრესლი.

ორშაბათი, 19 ოქტომბერი

გვიან დავწექი. ცოტა მეძინა. ლამაზი ზეიმი გვქონდა გუშინ საღამოს ჯგუფებთან ერთად. ეს იყო ამ ფესტივალის ბოლო დღე, ფესტივალისა, რომელიც ამასობაში უკვე სიმწიფეში შევიდა. და ჩვენც დავრწმუნდით, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის.

სამშაბათი, 20 ოქტომბერი

დავწექი ადრე. მეძინა ბევრი. პირველი შემთხვევაა, რომ რკინიგზის მესვეურებმა სათავო ვაგონი მართლა თავში დააყენეს. მივუყვები ბაქანს. კაბელებისა და ელექტრობოძების მიღმა ახლად ამოსული მზე ლიონის მთაში წასვლის სურვილს აღვიძებს. საკმარისია, მზის შუქს გააყოლო თვალი. მე გამახსენდება ეს შუქი, როცა ჩრდილოეთისკენ, სენის სანაპიროებისა და ამელის ქუჩისკენ წავალ. ჰაერი გრილია.

ლუმიერის ფესტივალს ყოველთვის სეზონის შეცვლა ემთხვევა. გათენებას უკვე სიცივის სურნელი ახლავს.

სამსახურში დუღილის პერიოდია. შემოდგომის გუნდი ბოლომდე შევსებულია, თითოეული წევრი ააქტიურებს კონტაქტებს, ამზადებს დოსიეებს (აკრედიტაციისთვის, დარბაზების დასაქირავებლად, ადგილების გასაყიდად). „მეორე სუნთქვაა“ საჭირო: არ უნდა დაიბნე, მთავარი საქმე არ უნდა დაგავიწყდეს, საჭიროა გაიხსენო გასულ მაისის თვეში გამოთქმული შენიშვნები და მუდამ გვახსოვდეს, რასაც ერთმანეთს ამ ზაფხულს დავპირდით. ნოემბრის თვე წმიდათაწმიდაა: იარაღებზე ზრუნვა მთავრდება, თუმცა დიდი ბრძოლების დრო არ დამდგარა, ჯერ მხოლოდ სასაცილო, ყოველწლიური პოზიციური და დაზვერვითი ომის დასაწყისია. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი კულტურული მოვლენაა, კანი ყოველდღიურ ყურადღებას არ მოითხოვს, ყოველ შემთხვევაში, მთელი გუნდის მხრიდან. 1 ივნისიდან 1 ნოემბრამდე გუნდი ნელა მუშაობს, განიტვირთება შვებულების დღეებით, რადგან იანვრიდან ამას ვერევინ შეძლებს. კანის ფესტივალისთვის მუშაობა მოითხოვს უცნაური სოციალური წესრიგის მორჩილებას, ყალბ წლიურ რიტმთან შეგუებას, რომელიც გულისხმობს ჯერ მოდუნებას, მერე გაგიჟებას.

ლოს-ანჯელესში ვიყავი წასასვლელი, შემდეგ მორელიაში; ეს იქნებოდა პირველი სერიოზული მოგზაურობა 2016 წლის კანის ფესტივალისთვის. მაგრამ სკორსეზე ლიონში ერთი კვირით რჩება, მერე მაკაოში გაფრინდება, მეც ასე მოვიქცევი, მექსიკაში ხუთშაბათს გავემგზავრები. ახლა კი პარიზში წავალ და წამოვალ. 13 საათზე ჟერომ სედუსთან დავთქვი შეხვედრა გობელენების გამზირზე, რომ „გომონის“ ძველი კინოს, „ფოვეტის“, ჯერ დაუმთავრებელი რემონტი დავათვალიერო. მას უნდა კინოთეატრის გარემონტება კულტურულ მემკვიდრეობასა და აღდგენილ ფირებს მიუძღვნას. გახსნა ნოემბერშია ნავარაუდევი. ჟაკ გრანჟის მიერ მოპირკეთებული შენობა მდიდრულია, მის დარბაზებში წარმოდგენილია უბნის კინოების ისტორია, რომელიც მოიცავს კინოს ბაღს, თანამედროვე დეკორს და ციფრულ

ფასადსაც. კლასიკური კინოდარბაზი არასოდეს ყოფილა ასეთი ლამაზი. მოპირდაპირე მხარეს, ზუსტად მეორე ტროტუარზე, ჟერომ სედუს „პატეს“ ფონდია. შენობა რენცო პიანომ ააშენა, ხოლო ფონდს მისი მეუღლე სოფი ხელმძღვანელობს. ერთ წელიწადში ჟერომმა ორი სივრცე შექმნა მსოფლიო კინოდარბაზების დედაქალაქში და კინოს ისტორიას მიუძღვნა. სწრაფად ვსაუზმობთ და ერთმანეთს ვემშვიდობებით. კლოდ სოტესთანაც არაერთხელ მისაუზმია აქ, ამ უბნელი იყო და მისი ლამაზი აჩრდილი ამ ადგილას ყოველთვის მოდის.

საღამოს ლიონში ვბრუნდები „ვინილის“ პირველი ეპიზოდის სანახავად. მარტის უნდა, ლუმიერის ინსტიტუტის დარბაზში გაიმართოს ჩვენება. მისმა პროდიუსერმა ემა ტილინჯერმა მოაწყო ეს ყველაფერი მემონტაჟე დავიდ ტედეშისთან ერთად (რომელიც თანარეჟისორია ბრწყინვალე ფილმისა „50-წლიანი არგუმენტი“, რომელიც გვიყვება მწერლებისა და კრიტიკოსების ქალაქის, ნიუ იორკის, ლამაზი გადარჩენის შესახებ). როდესაც ტელევიზიისთვის იღებს ფილმს, სკორსეზე მაინც დიდ კინოს ქმნის, ამას „ვინილიც“ მოწმობს. ფილმი გვიჩვენებს, რომ რეჟისორი არ ღალატობს თავის სტილს, ის იწყება თვალისმომჭრელად და ჩვენ თვალწინ იშლება 70-იანი წლების ნიუიორკული როკის ბნელი მხარე, სიგიჟითა და სინაზით სავსე ისტორია ქალაქზე, მუსიკასა და ეპოქაზე, რომელსაც გვიზიარებს რეჟისორი, აღტყინებული მთხრობელი და ამბის გადმომცემი. ფილმის საპილოტო ვარიანტი უკვე ფილმია, მომხიბლავი და ამაფორიაქებელი, სიმშვიდის დამრღვევი. ფილმი აჩენს მისი გაგრძელების ნახვის დაუოკებელ სურვილს, რაც სერიალის მთავარი პრინციპია. შოურანერებს, ტელეპლანეტის ახალ ღმერთებს, დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რომ ამავე რიტმში გააგრძელონ.

ჩვენების შემდეგ ვხვდები მარტის და „ვილა ფლორანტინში“ მივდივართ სადილზე. ეს არის დიდებული სასტუმრო ფურვიერის უბნის შემაღლებულ ადგილზე. მარტისთვის ეს სასტუმრო საგანგებოდ დავიქირავეთ, რომ თავისუფლად შესძლებოდა მუშაობა და არცერთი დღე არ ჩაეგდო. ორი ოთახი მოვაწყვეთ თელმა შუნმეიკერისთვის.

იგი ნიუ-იორკიდან ჩამოვიდა, რომ წინ წაეგდო სკორსეზეს სრულმეტრაჟიანი ფილმის – „სიჩუმის“ მონტაჟი. „ყველაფერს ვაკეთებ, რომ ეს ფილმი მოესწროს კანის ფესტივალისთვის, მე მას ლიონშიც კი ვამუშავებ!“ ამ წუთში „ვინილზეა“ ყურადღება გადატანილი. მარტის აინტერესებს ჩემი აზრი და, როგორც ყოველთვის, ყურადღებით მისმენს. ნიუ-იორკში, თავისსავე დარბაზში, მან მიჩვენა პირველი ვერსია ბობ დილანზე გადაღებული დოკუმენტური ფილმისა „არა სახლის მიმართულებით“. მისმა გონებაგახსნილობამ გამაოგნა. ძალიან ბევრ რეჟისორს უჭირს ხოლმე ფილმის პირველი ვერსიის ჩვენება მათთვის, ვინც ფილმის აზრზე არ არის და ვერ ხვდება, რატომ არის ფილმი მოცემული რიტმის, ხანგრძლივობის თუ ხასიათის. მეტად დელიკატური საქმეა, კინორეჟისორს მიანიშნო რამე ხარვეზზე, ისე უნდა უთხრა, რომ გული არ ატკინო და იმაშიც უნდა დაარწმუნო, რომ ფილმის სიყვარული არ გამორიცხავს მის კეთილსინდისიერად შეფასებას.

ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი

„შანტალს ღრმა და ფაქიზი ურთიერთობა ჰქონდა დედასთან. ის შვილს გამუდმებით ებრაელთა გენოციდზე ესაუბრებოდა. ამ კოშმარით ჰკვებავდა მის მეხსიერებას და ამბოხს, რაც დედის გარდაცვალებამდეც საფრთხეს უქმნიდა შანტალის ისედაც სუსტ ჯანმრთელობას. ამის შესახებ ბევრის მთქმელია უსაზღვროდ ტკივილიანი ფილმი „No Home Movie”. იმ დღიდან ვიცი, რომ შანტალს სიცოცხლესთან აღარაფერი აკავშირებდა“. ეს ტექსტი მომაწოდა დომინიკ პაინიმ, ფრანგული სინემათეკის ყოფილმა დირექტორმა, დიდმა პიროვნებამ და ბრწყინვალე მწერალმა. სწორედ ამ სიტყვებით დაემშვიდობა ის შანტალ აკერმანს დასაფლავების ცერემონიალზე.

პარიზში დაბრუნებული პიერთან ერთად ვმსჯელობ მედიაპარტნიორზე. „ფრანს ტელევიზიონის“ წინადადებები მომხიბლავია, იძულებული ვართ არჩევანი გავაკეთოთ, მაგრამ ვერაფრით შევძლებთ უხეშად მოქცევას. პიერის იდეაა, შევთავაზოთ ლოტები, როგორც ფეხბურთში ხდება. სხვა გზა არ დაგვრჩა, ოფიციალური პარტნიორი

არ ნიშნავს ექსკლუზიურ პარტნიორს. „კანალ+“-ს და „ფრანს ტვ“-ს დავამატებდით „არტეს“, რომელიც სერიოზულად გააშუქებდა კინოს, დიდ კლასიკოსებს და ინოვაციურ აზრებს. ჩვენ უფრო მეტად ის კი არ გვაინტერესებს, რომ ფესტივალმა მოიცვას ტელევიზიები, არამედ ის, რომ კანის ფესტივალის წყალობით კინომ დაიბრუნოს საფრანგეთის სხვადასხვა ეთერში თავისი ადგილი, რაც სიმბოლურად დაკარგული აქვს.

ვილა ფლორანტინში თელმა შუნმეიკერი გაბატონებულა კომპიუტერების რაზმზე და ისე იქცევა, თითქოს მანჰეტენის კუნძულიდან ფურვიერის მთაზე გადმობარგება ბუნებრივი რამ იყოს. სასწაულია ციფრული მონტაჟი, მას თავისუფლად შეგვიძლია ადგილმდებარეობა შევუცვალოთ. ფესტივალის ბოლო საღამოს თელმამ მაჩვენა „სიჩუმის“ დიდებული ფრაგმენტები: კუროსავას სტილის კადრები და მასშტაბი, როდრიგო პრიეტოს ძლიერი ოპერატორული ნამუშევარი. დასანანია, რომ გაგრძელებას ვერ ვნახულობ, რომ მთლიანი ფილმის ნახვა არ შემიძლია. გადავეხვიე მარტის, ვაკოცე ლიზა ფრეშეტს, რომელიც ზრუნავს რეჟისორის ყოველდღიურ ცხოვრებაზე ნიუ-იორკში და მთელ მსოფლიოში. ფეხით ვბრუნდები სახლში. მივუყვები კიბეებს, რომელიც ჩადის ძველი ლიონისკენ. სენ-ჟანის სიჩუმეში ბეფის ქუჩის ქვაფენილი სიმენონის წიგნებში აღწერილი შუქით ბზინავს. ორ დღეში 2015 წლის ლუმიერის პრიზი გაფრინდება აზიისკენ. მე კი ხვალ, მექსიკისკენ.

ხუთშაბათი, 22 ოქტომბერი

ახლა, ინტერნეტის წყალობით, სასტუმროებში ჩვენთან არის ჩვენი სიმღერები, ჩვენი რადიოები, ჩვენი მუსიკა. როდესაც ნომერში შევდივარ, ყოველთვის ერთსა და იმავე ოთხ სიმღერას ვუსმენ, თითქოს ასე ვნათლავ ახალ ადგილს. პირველი სიმღერაა ასტორ პიაცოლას „ადიოს ნონინო“, 1987 წლის „ცენტრალ პარკის“ ვერსია, რომელსაც ახლავს ღვთის წყალობასავით მომენტი – ფორტეპიანოს საშუალებით ჩნდება ცენტრალური თემა, რომელიც მანამდე დამალული იყო რამდენიმე ჯაზურ-იმპროვიზაციული შემოტევით. მამასთან დამშვი-

დობების სიმღერა პიაცოლას გრანდიოზული ქმნილებაა, ეს არის ცენტრალური ევროპის მუსიკაც და გარეუბნების ჯაზიც, სადაც ერთმანეთს ხვდება ვიოლინოს და აკორდეონის ცრემლები, თავი ბუდაპეშტშიც გეგონება და ბუენოს-აირესშიც.

მეორე სიმღერაა ლეო ფერეს „ხსოვნა და ზღვა“, ფრანგული რეპერტუარის ნამდვილი სამკაული, რომლის იდუმალებასაც ვერ ჩასწვდები მეათასე მოსმენის შემდეგაც კი. ლავილიე ამბობს, რომ ყველაფერი მნიშვნელოვანია ამ ლექსად თქმულ გოდებაში:

„და ეს ეშმაკი გამარჯვებული საღამოობით,
დახმარებისას ფერისწასვლებით
და ეს ზვიგენი სამოთხეების
ხავსებით სავსე ნამიან დილით,
მოდი, ფიორთა მწვანე ქალწულო,
ვიოლინოთგან უპირველესო,
პორტში გაისმის საყვირების ხმა,
მოსულ მეგობრებს ეგებებიან“.

კიდევ ერთი სიმღერაა სპრინგსტინის „ეს მაგარი ქვეყანა“ (This hard Land), 1997 წლის 25 მაისს კონგრესის სასახლეში ჩატარებული აკუსტიკური კონცერტის ვერსია. მას მოკუნტული ვუსმენდი ბერლინის სასტუმრო „მერიოტის“ ოთახში, ძვირფასი უმბერ ბალსანის თვითმკვლელობიდან საათების შემდეგ. ის იყო პროდიუსერი, რომელიც ფილმების გამო სიცოცხლით რისკავდა. და იმიტომ ვუსმენდი ამ სიმღერას, რომ მისი ბოლო სტრიქონებიდან ისმოდა: „Stay hard; stay hungry, stay alive if you can” – „დარჩი მაგარი, დარჩი მშიერი, დარჩი ცოცხალი, თუ შეგიძლია“.

დაბოლოს, ვუსმენ ნინო ფერერის დისკოგრაფიის ფარულ ბრილიანტს – „შავ ხეს“. ბუნდოვანი და ლამაზი სიმღერაა, რომელიც ამ მეორე თვითმკვლელის დაწყევლილი ალბომის „ბლანას“ ბოლოშია. ის იყო იტალიის შვილი, ვინც გიჟდებოდა დედაზე და რომელიც დავ-

პატიჟეთ ლიონში, ერთ ცეცხლოვან საღამოზე რამოს დარბაზში. როგორც ამბობენ, „საქველმოქმედო კონცერტი“ თავისუფალი რადიოს, „რადიო კანუტის“ მხარდასჭერად გაიმართა. ნინო იჯდა სცენის სიღრმეში, უკრავდა თავის მუსიკას, თავის ნებაზე, ერთი ბოთლი ვისკი უკვე დალეული ჰქონდა, მან იმღერა „la rua madureira” და „შავი ხე“, რომლის ბოლო კუპლეტი დამშვიდობებასავით ჟღერდა: „იქნებ შენი არყოფნაა, გულო...“

ძველად, იშვიათად ვთანხმდებოდი ჩემთვის განკუთვნილ ოთახზე სასტუმროში. დავათვალიერებდი თუ არა, მაშინვე ვცვლიდი. ხან ლიფტის გვერდით იყო ოთახი და ხმაური შემოდიოდა, ხან რა იყო ჩემი უარის მიზეზი და ხან რა. მერე ამისგან განვიკურნე, ახლა უკეთ ვარ, წინასწარ ვინიშნავ იმ ოთახების ნომრებს, რომლებიც ჩემთვის მისაღებია და შემდგომი ჩამოსვლისა წინასწარ ვუთითებ ამ ნომრებს. როგორც ყოველთვის, ვიმყოფები „კასა გრანდეს“ მე-7 ოთახში, პორტალ მატამოროს ქუჩაზე. მორელიას ფესტივალზე ვარ ჩამოსული, ხოლო მორელია მექსიკის მიკოაკონ დე ოკამპოს შტატის დედაქალაქია.

პარასკევი, 23 ოქტომბერი

გამიკვირდა აქ რომ გავიღვიძე – ჩვენი ცხოვრება უსწრაფესად გადადის ერთი საგნიდან მეორეზე. დილის რაღაც მონაკვეთს წერილებზე პასუხებს ვუთმობ (ამას დიდ დროს ანდომებდნენ ძველად, დღესაც ვწერთ საპასუხო წერილებს, მაგრამ უსაზღვროდ მშრალი, ციფრული სისწრაფით. სადღაა სასტუმროსლოგოიან ქაღალდზე წერის რომანტიზმი). ვაგრძელებ ჩემი დღიურის წერასაც, რომლის ბოლო კვირეებიც ალბათ უკვე წაიკითხეთ. წერას ვაგრძელებ.

სამუშაო სეირნობებს ვაწყობთ მორელიას ქუჩებში მე და მაელ არნო. ვაჯამებთ ლუმიერის ფესტივალს, ვიხსენებთ ინსტიტუტის გეგმებს. ლუმიერის ფილმების წარმატების შემდეგ უკვე ვფიქრობთ, როგორი პირობები შევქმნათ, რომ წარმოებაში ჩავუშვათ ფილმები კინოდარბაზებისთვის. თან ვმსჯელობთ და თან დავდივართ ვიწრო ქუჩებში. ერთ მოსეირნე ტიპს აცვია მაისური წარწერით: „Jesus comes, look

busy". ამდენი სიარულით ქვაფენილიანი ქუჩებისა და პატარა ხიდების ლაბირინთში დავიკარგეთ, ცხელოდა და დიდი ხმაური იდგა, თავი კომერციული ცენტრებისა და მანქანების სასაფლაოს გარეუბანში ამოვყავით. ჩვენი პროფესიის ხალხი კარგად იმახსოვრებს ქალაქებს, განსაკუთრებით კი კინოს ქალაქებს. განცვიფრებული ვარ ფესტივალზე ჩამოსული უცხოელებით, რომლებმაც კანის ყველა ქუჩა, ლამაზი უბანი და სასახლე იციან. არ ავიწყდებათ არც იაფი რესტორნები, არც საეჭვო ბარები. მათ შესწევთ უნარი, თუკი დედამიწის ნებისმიერ კუთხეში გადაეყრებით, ზეპირად გითხრან სუკეს უბნის რესტორნის მეპატრონის გვარი ან ანტიბის ქუჩის მიმტანი ქალის სახელი.

ლოს-ანჯელესიდან ტარანტინოს მეილი მოვიდა. ის იწერება ჯონ კასვეტისადმი მიძღვნილი საღამოს შესახებ, რომელიც მის დარბაზში „ნიუ ბევერლში" გაიმართება. ღონისძიება ეძღვნება კასვეტს, როგორც მსახიობს და არა რეჟისორს. ტარანტინომ ამ ამბავს უწოდა „Tributo to John Cassavetes; the actor" – ღონისძიება მსახიობ ჯონ კასვეტის პატივსაცემად. ის ეძებს დონ სიეჟელის ფილმის – „დანაშაულის წინაშე" – 35-მილიმეტრიან ასლს. იცის, რომ ამ რეჟისორის ფილმები ლიონში უკვე ვაჩვენეთ, მაგრამ „დანაშაულის წინაშე" მათ შორის არ ყოფილა. ამ ფილმის ასლს ჯერჯერობით ვერ მივაგენით. ლუმიერის ინსტიტუტის წევრები ცდილობენ რომელიმე ასლის პოვნას, მაგრამ ამაოდ.

საღამოს, დანიელა და ალეხანდრო რამირესების თხოვნით, რომლებიც მორელიას ფესტივალის მთავარი პერსონები არიან, ვხსნი ფესტივალს ესპანურ ენაზე და ვიწყებ გილიერმო დელ ტორეს ქებას მისი შავბნელი და ლამაზი ფილმის „Crimson Peak"-ის ჩვენების წინ. გილიერმოს უნდოდა, რომ მასზე მის არყოფნისას მელაპარაკა, ვასრულებ ამ თხოვნას. ბედნიერი ვარ, რომ ლაპარაკი მიწევს იმაზე, თუ როგორ შემოიჭრა მისი კინო ჩვენს დალაგებულ სინეფილურ ტერიტორიებზე, თუ რა წარმატება ჰქონდა 2006-ში კანის ფესტივალზე მისი „პანის ლაბირინთის" ჩვენებას (ეს იყო სრული ტრიუმფი და ნამდვილი საშინელებათა ფილმის ჩართვა კონკურსში), თუ როგორ მოჯა-

დოვა ეს რეჟისორი მსოფლიო ლიტერატურამ (საათობით შეეძლო სიმენონზე ლაპარაკი), როგორი ჩანაწერები, ნახატები და 20 000-იანი DVD-კოლექცია ჰქონდა მას. ეს არის მონსტრების პოეზიის გამომხატველი კინორეჟისორი, რომელიც დამაკავშირებელი რგოლია 20-იან წლებსა და დღევანდელობას შორის, მურნოსა და არგენტოს შორის, „ფრიკსა“ და „უსახო თვალებს შორის“. და კიდევ ისიც ვთქვი, რომ ის ძალიან საყვარელი მეგობარია.

შაბათი, 24 ოქტომბერი

დილის საუზმე ტიმ როტთან ერთად. სად არ გადააწყდები მას – პარიზში პლას დე ვოჟზე, თუ ლოს-ანჯელესის იტალიურ რესტორანში. 2012 წელს, მან, როგორც „განსხვავებული ხედვის“ თავმჯდომარემ, დააჯილდოვა მიშელ ფრანკოს ფილმი „ლუსიას შემდეგ“. მათ მაშინვე გადაწყვიტეს ერთად ემუშავათ. შრომამ შედეგი გამოიღო და წელს კონკურსში ჩაერთო მათი ერთობლივი ფილმი „ქრონიკა“, რომელიც ანგლოსაქსონურ კრიტიკას უფრო მოსწონს, ვიდრე ფრანგულს. ფრანგებმა ამ ფილმს მოძალადის თვალით შეხედეს, ვერ აიტანეს მისი შეუღწევადი სიცივე და უხეში, გაუგებარი დასასრული. ჩვენც გვქონდა რაღაც შემაკავებელი ფაქტორი ფილმის მიმართ, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ, კონკურსში ჩართულიყო. კიდევ კარგი, რადგან ჟიურიმ ფილმი დააჯილდოვა. მიშელ ფრანკომ სხვა რამეც უნდა გვაჩვენოს, უნდა გადაიღოს ფილმი თავის ქვეყანაში, სწორედ ეს ვუთხარი მას ცოტა ხნის წინ.

კრება გვაქვს მექსიკელ პროდიუსერებთან. სკაიპით და ინტერნეტით მექსიკური სასმელ მესკალის გემოს ვერ შეიგრძნობ. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ არაფერია იმაზე უფრო ძვირფასი, ვიდრე პროფესიონალი და ხელოვანი ადამიანების ნახვა მათსავე ქვეყანაში, ქალაქში, ცხოვრებაში, სხვადასხვა გარემოში: სამსახურში, საყვარელ რესტორნებში, ღამის ბარებში. აქ მე უკვე აღარ ვარ რაღაც მაღალ საფეხურზე მდგომი ტიპი, რომელსაც აუდიენცია უნდა სთხოვო ფესტივალის დროს, გეგონება პაპი ვიყო. მე ვარ ის, ვისაც ისინი აინტე-

რესებს, ვინც ცდილობს გაიგოს, რა უცნაური მექანიზმი ამოძრავებს ზოგიერთ ქვეყანაში ადამიანებს, რომლებიც თავდახრილნი და რწმენით სავსენი აფინანსებენ კინოს და აცოცხლებენ მას. ჯერ ფილმებს ვერ ვნახავ, რადგან არაფერია მზად, რამდენიმე ტრეილერის გარდა, რომლებიც გამყიდველებისა და მომავალი ბაზრისთვის არის განკუთვნილი. დამთავრებული ფილმების ჩვენება გაიმართება ოთხი თვის შემდეგ, ამელის ქუჩის დარბაზში.

1896 წლის დამდეგ ზაფხულს, ლუმიერთან მომუშავე ახალგაზრდა ოპერატორი გაბრიელ ვერი, რომელიც საუკეთესო იყო თავის საქმეში, ლიონიდან ნიუ-იორკსა და მეხიკოში გაემგზავრა. იქ რამდენიმე კვირა გაატარა. 16 აგვისტოს დედას მისწერა: „გუშინწინ პირველი ჩვენება გვქონდა, ათას ხუთასზე მეტი სტუმარი გვყავდა, არ ვიცოდით, სად დაგვეტია ამდენი ხალხი. მათი ტაშითა და შეძახილებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დიდი წარმატება გველოდება. მოკლედ, გახსნის საღამო იყო ბრწყინვალე!“ გაბრიელ ვერმა ოცდათორმეტი „მექსიკური“ ფილმი გადაიღო. მათგან ჩვიდმეტი ლუი ლუმიერმა ამოარჩია 1897 წლის კატალოგისთვის. მან ფილმები გადაიღო მეხიკოსა და გვადალახარაში. ეს იყო პატრიოტული ზეიმი, ფერმები და გლეხები, ცხენების ბანაობა, მამლების ჩხუბი, ხარების მოვლა, ინდიელთა ბაზრები, ესპანური მეჯლისი, დამოუკიდებლობის ზარი, პრეზიდენტი პორფირიო დიასი და არაჩვეულებრივი „დუელი პისტოლეტებით ჩაპულტეპეკის ტყეში“ (ლუმიერის კატალოგის #35 ფილმი), სადაც სიკვდილი, ანუ მისი სიმულაცია პირველად გადაიღეს. სწორედ ამ ოპერატორის კვალდაკვალ ვაჩვენებ ფილმებს მორელიას სინეპოლისში დღეს ნაშუადღევს. ახლაც ისეთივე წარმატება აქვს მათ, როგორიც 120 წლის წინ ჰქონდა.

კვირა, 25 ოქტომბერი

„ჩიმბოროზო, პოპოკატეპეტელმა, როგორც კონსულის საყვარელ ლექსში ეწერა, მას გული მოსტაცა! ტრაგიკულ ინდიელთა ლეგენდაში, რაგინდ საკვირველიც უნდა იყოს, პოპოკატეპეტელი იყო მეოცნებე, მის

გულში არასოდეს ქრებოდა მებრძოლის სიყვარული. ეს სიყვარული იზტასიუატლის მიმართ მარადიულად ენთო. საყვარელი ქალი კი უფრო ადრე დაკარგა, ვიდრე იპოვა. ის მარადიული ძილით დაძინებული საყვარელი ქალის გვერით იყო". მექსიკაში ყოველთვის მიმაქვს მალკოლმ ლაურის წიგნი „ვულკანის ზემოთ" (ან, ამიერიდან „ვულკანის ქვემოთ") იმ იმედით, რომ ერთხელაც იქნება და როგორღაც დავამთავრებ. ოცდახუთი წელია ვკითხულობ, თითო-თითო გვერდს ვკენკავ, ზოგიერთ ადგილს თავიდან ვკითხულობ. ცოტა ხნის წინ ვეძებდი ჟოფრე ფირმენის მიერ უსასრულოდ გამეორებულ რეპლიკას: „No se puede vivir sin amar" („შეუძლებელია ცხოვრება სიყვარულის გარეშე"). ეს ფრაზა ვერასოდეს ვიპოვე წიგნში. იქნებ მხოლოდ ჰიუსტონის ფილმშია ეს რეპლიკა, რომრლსაც ალბერ ფინე ღრიალებს. ამ მსახიობზე ამბობენ, რომ ალკოჰოლმა ბოლო მოუღო არა მხოლოდ მის პერსონაჟს, არამედ მასაც. ამავე ფილმშია ჟაკლინ ბისე, რომელიც წვიმასა და ქარიშხალში, ტკივილისა და სიყვარულის ავდარში, გარბის ამ ლოთი პერსონაჟის საძებნელად.

მას მერე, რაც ამ ქალაქში ჩამოვდივარ, რომელიც დღესდღეობით გადარჩენილია კარტელების ძალადობას (ყოველთვის ასე არ ყოფილა), დავუახლოვდი ამ ქვეყანას. მართალია, აქ გვიან დავიწყე სიარული, მაგრამ სადღაც ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ამ ქვეყანას ვიცნობდი კინოს წყალობით, ბუნიუელის გადასახლებაში გადაღებული ფილმების მეშვეობით, 50-იანი წლების მელოდრამებით, გაბრიელ გიგუეროას შავ-თეთრი ფოტოებით, ნინონ სევილიას მიმართ გამოჩენილი პატივისცემის წყალობით, რაც რემონ ბორდმა გადმოსცა „პოზიტივში", ემილიოს ფილმებით „ელ ინდიო", ფერნანდესის წყალობით, რომელიც ყველგან აცხადებდა, რომ „ოსკარის" სტატუეტი მისი პოზირების შედეგად დაამზადეს, დოლორეს დელ რიოს თხოვნით (თუმცა ეს ვერასოდეს დაასაბუთეს), სამაგიეროდ, ყველას ახსოვს მის მიერ გათამაშებული სულისშემძვრელი სიკვდილის სცენა ფილმში „პატ გარეტი და ბავშვი ბილი". იმასაც ამბობენ, რომ ერთ კრიტიკოსს ესროლა, მაგრამ გაამართლესო, რადგან მოსამართლის

შეფასებით, ამით თავისი ღირსება გადაარჩინა – მექსიკაა, რა. მაგრამ, არც ეს დაუსაბუთებია ოდესმე ვინმეს.

კიდევ იმიტომ შემიყვარდა მექსიკა, რომ ბიგ ჯიმი სულ ამაზე ლაპარაკობდა, როგორც მის „შემოდგომის ლეგენდების“ პირველ ნოველაშია და კიდევ იმიტომ, რომ ამერიკულ კინოს მის გარეშე ყოფნა არ შეუძლია. იგულისხმება ყველა, ენტონი კუინით დაწყებული სელმა ჰაიეკით დამთავრებული. და კიდევ იმიტომ, რომ მორელიაში ვაჩვენე „ქედმაღლები“, რადგან ამ ქვეყანაში და მის კინოში არიან ფრანგები (ამას ემატება მარტენ ლასალი, ბრესონის ლეგენდარული ჯიბის ქურდი, რომელიც მშვიდად ცხოვრობს მექსიკაში პენსიონერის ცხოვრებით). ბერტრანმა სთხოვა დანიელას, გაეგრძელებინა უცხოური ფილმების პროგრამა, სადაც მექსიკაც არის. წელს იყო რობერტ პარიშის შესანიშნავი ფილმი „რიო გრანდელი ავანტურისტი“, წვერიანი მიჩუმის მონაწილეობით, 35-მილიმეტრიანი ფირით, რომელიც ცოტა შელახული იყო, მაგრამ ბრწყინვალე ფერები ჰქონდა აღბეჭდილი.

ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მექსიკაში გამოჩნდა არაჩვეულებრივ კინორეჟისორთა ახალი თაობა. 2011 წელს მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი კანში და მემასპინძლა გრიგალივით ხალხისთვის, რომელთა შორის იყო ოთხი გრანდი, ქარიშხალი რომ დაატრიალეს. ესენი არიან: ალფონსო კუარონი, კარლოს რეიგადასი, გილიერმო დელ ტორო და ალეხანდრო გონსალეს ინიარიტუ. ოთხი სრულიად განსხვავებული რეჟისორი, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. ელ ლოკო (ესპ. ლოკომოტივი), ელ ფლაკო (ესპ. გამხდარი), ელ გორდო (ესპ. მსუქანი) და ელ ნეგრო (ესპ. შავი) – მათი მეტსახელებია, რაც ასე უყვართ ლათინოსებს.

დღის მეორე ნახევარში დიდ სადილზე ვხვდები ბარბე შრედერს, კოსმოპოლიტს (ის დაიბადა ირანში, გაიზარდა კოლუმბიაში, ეროვნებით შვეიცარიელია და ცხოვრობს ლოს-ანჯელესსა და პარიზში) და ედგარ რამირესს, კარლოს ოლივიე ასაიას, მორელიას კიდევ ერთ ხშირ სტუმარს, ალფონსო კუარონს, რომელიც წარმოდგენილია როგორც თავისი შვილის, იონასის მეორე ფილმის პროდიუსერი და მოგ-

ზაურობის დიდ მოყვარულს იზაბელ იუპერს, რომელსაც აქ ბოლოჯერ ვნახულობ, რადგან ჩვენ უკვე მივდივართ.

ორშაბათი, 26 ოქტომბერი

ალეხანდროს თვითმფრინავით მექსიკის ყურეს შემოვუფრინეთ. ორ საათში ჰიუსტონის აეროდრომზე ვართ, ვსხდებით დიდ შავ ლიმუზინში, რომლის მძღოლსაც რეი ჰქვია. მხიარული ტიპია, რომელმაც ხალხის სიყვარულით სატრანსპორტო ოფისი შექმნა. ახალი ორლეანიდანაა და ამის დასადასტურებლად ფრანგულად რამდენიმე სიტყვას ამბობს. ის ბედნიერია იმით, რომ იქ დაბრუნდება, მე კი ბედნიერი ვარ, რომ რეალობას დავუბრუნდები და 2016 წლის კანის ფესტივალის სამზადისს გავაგრძელებ. ბერლინალემ უკვე გამოაცხადა, ვინ იქნება ჟიურის თავმჯდომარე. ის პირველივე შემხვედრი არ არის, მერილ სტრიპია. ჩვენმა მეგობარმა დიტერ კოსლიკმა კარგად იმუშავა და მშვენიერი დარტყმა მოგვაყენა – ბერლინალე თებერვალშია, წინ უსწრებს კანისას. თუ ორი თვის შემდეგ კანშიც ქალი გვეყოლება ჟიურის თავმჯდომარე, ჯეინ კემპიონი, რაც მე და პიერ ლესკურს გვინდოდა, ეფექტს დაუკარგავს ჩვენს ფესტივალს. თუ მაგარი კომენტარები გაკეთდებოდა კან/ბერლინზე, რომელი ქალიც არ უნდა აგვერჩია, ყვითელი პრესა გადაირეოდა, რადგან ვერავინ გაუწევდა მეტოქეობას დიდ ნიუიორკელ მსახიობს.

სამშაბათი, 27 ოქტომბერი

8 სთ 50 წთ-ზე უკვე რუასის აეროპორტში ვარ და სწრაფად გამოვდივარ იქიდან. მოტოტაქსის სლალომის წყალობით, შემოვლითი გზით ოცდაათ წუთში ლიონის სადგურთან ვართ, ამ დროს ზოგიერთ მგზავრს ჯერ ბარგი არ აუღია აეროპორტში. პარიზში დაბრუნება და საერთოდ, საფრანგეთში დაბრუნება გულს მიჩქროლებს. ჯერ არ მინახავს შემოდგომის ფერები. ნივთებს სახლში ვაწყობ და ველოსიპედით სამსახურისკენ მივდივარ, სადაც პიერთან ერთად მაქსიმ საადაც არის, „კანალ+“-ის მეპატრონე და დიდიე ლუპფერი, კინოს

ახალი დირექტორი. მათი შემოთავაზება ზედმიწევნით დახვეწილად არის შედგენილი და წარმოდგენილი. ის უკვე სრულყოფილია. უნდა დავფიქრდეთ და ყურადღებით განვიხილოთ „ფრანს ტვ“-ის წინადადებები, უკვე ვგრძნობთ, რომ ფინანსურად უკან დამხევები არ არიან, რაც გამოადგება ფესტივალს და მის შინაარსსაც, რადგან ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანდება ყველა სინერგია, მათ შორის „დეილიმოშენი“ და უფრო „იუნივერსალ მიუზიკი“, რაც კარგია – ჩვენ გვინდოდა, ბოლო უიკენდის დროს პლაჟზე კონცერტი მოგვეწყო. „ეგ ადვილია“, – გვეუბნებიან ისინი.

დღეს დიდი დღეა – ამელის ქუჩის პატარა დარბაზში უნდა გავუშვათ პირველი ფილმი, რომელიც 2016 წლის კონკურსისთვის გამოგვიგზავნეს. ეს არის „ფანტასტიკური კაპიტანი“, მეტ როსის გადაღებული ამერიკული ფილმი. ვიგო მორტენსენი ასრულებს ქვრივი კაცის და ჰიპი მამის როლს; ბევრი შვილი ჰყავს და უნდა ისინი თავის ჭკუაზე გაზარდოს. ფილმი ადრიანად მომზადდა. ვიგომ შემატყობინა, რომ ჩამოვიდოდა. ჩვენ სიამოვნებით ვნახულობთ მას. ის უკვე აირჩიეს სანდენსის ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მომავალი იანვრისთვის. ეს სულაც არ ნიშნავს მის დისკვალიფიკაციას ჩვენს თვალში, მაგრამ არ ვიჩქარებთ ამ ფილმის არჩევას, დაველოდებით, როგორ მიიღებენ მას სანდენსზე რობერტ რედფორდის დათოვლილ მთებში. კრისტიან ჟენი საზღვარგარეთაა წასული ვირჟინი აპიუსთან, პოლ გრანსართან და ლორან ჟაკობთან ერთად. ესენი არიან უცხოური ფილმის შერჩევის კომიტეტის წევრები. ვიცით, როდის დადგება ღირსშესანიშნავი თარიღი, ანუ ოფიციალური შერჩევა დაახლოებით 1800-ე ჩვენების შემდეგ... წინ დიდი გზაა გასავლელი.

საღამოს, ლუმიერის ინსტიტუტში ვხვდები ლასლო ნემეშს (მე უკვე მოვილიე ერთი ველორბოლა პარიზში, მეორე რბოლა ტჟვ-თი და პარიზიდან ლიონში ჩამოვედი). მას „საულის ვაჟის“ ავან-პრემიერა აქვს. ალექსანდრა ენოშბერგი, რომელიც არის დიდი დისტრიბუტორი და ტალანტების აღმომჩენი, თანაც შესანიშნავი მაყურებელი, თვალს არ აცილებს. ის აღფრთოვანებულია იმით, რომ პლანეტა კინო, ყო-

ველწლიურად ახალ რამეებს იგონებს. ამჯერად, ეს არის პირველი უნგრული ფილმი, რომელმაც გააოცა ჟიური, მსოფლიო და ფილოსოფოსი ჟორჟ დიდი-იუბერმანი, რომელმაც „მინუის“ გამომცემლობაში გამოუშვა ესეი „ბნელიდან გამოსვლა“. ესეი ლასლოსთვის გაგზავნილი წერილის ფორმითაა დაწერილი და როცა ფილოსოფოსი იხსენიებს ვალტერ ბენჟამენს, ის ამბობს: „საულის ვაჟი“ გვიყვება რაღაც მნიშვნელოვანს მომაკვდავის ავტორიტეტზე“.

ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი

ძლივს რამდენიმე საათი მეძინა სახლში. გათენებისას მივფრინავ რუმინეთში, კრისტიან მუნგიუს ორგანიზებულ ფესტივალზე, რომელსაც ეწოდება „ფილმები კანიდან ბუქარესტამდე“. კრისტიანს „ოქროს პალმა“ ერგო 2007 წელს ფილმისთვის „4 თვე, 3 კვირა, 2 დღე“. მან ფესტივალის იდეა გამიმხილა სადილებზე შეხვედრების დროს ბუენოს-აირესსა და ლიონში. მას უნდოდა თავის ქალაქში მიეღო მეგობრები, პროფესიონალები, ხელოვანები. ლორ კაზნევიც მახლავს ბუქარესტში, ჟაკ ოდიარიც აქაა, რომ დაზვეროს სიტუაცია თავისი მომავალი ფილმისთვის. ეს იქნება ვესტერნი. ოდიარი ბედნიერია, რომ იპოვა ის, რასაც ეძებდა ამ უფრო ველურ და გაუგონარ ქვეყანაში, ვიდრე მას ეგონა. მისი პროდიუსერი პასკალ კოშტეც აქვეა (ის არნო დეპლეშენის პროდიუსერიცაა), რაც დიდი იშვიათობაა, პასკალი ხომ იშვიათად მიდის პარიზიდან. გამონაკლისია, როდესაც მისი კერპი ბერნარ ინო მოდის პირველი ფილმის ქუჩაზე. მაშინ ვნახეთ პირველად, პსჟ-ს ამ აბსოლუტურ ფანს რომ უფრო მეტად უბრწყინავდა თვალები, ვიდრე უამრავი ცეზარის, პალმებისა და სხვა პრიზების მიღებისას, რითაც აჯილდოებდნენ რწმენითა და ავტორიტეტით აღსავსე კარიერის გამო.

საღამოს წარვადგენ კორნელიუ პორუმბოიუს ფილმით „განძი“, რომლის პროდიუსერებიც არიან ჟული გაიე და სილვი პიალა (ფრანგები ყოველთვის არიან იქ, სადაც ხელოვანი უნდა აღმოაჩინონ). ფილმი შეირჩა „განსხვავებული ხედვისთვის“. ეს არის გაბედული და სასაცი-

ლო ფილმი, რომელიც ცოტა ნელია, რამაც ზოგი მაყურებელი გააღიზიანა, მაგრამ სხვებს ალბათ მოეწონებათ კონკურსში მისი დაშვება. ასეთ რამეს ხშირად გაიგონებ: „რატომ არ გაუშვეს ფილმი კონკურსზე?“ – კითხულობენ ისინი, ვისაც მოსწონს ფილმი. იმიტომ.

ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი

მეორე დღეა ბუქარესტში ვართ. ეს ქალაქი არის პარიზის, მადრიდის და მოსკოვის ურბანული ნაზავი. სასტუმროში ცოტა ჟურნალისტი მხვდება. ისინი აღტაცებული არიან კანის ფესტივალის წარმომადგენლის ნახვით, მე კი აღტაცებული ვარ, რომ მათ კინოს ვაქებ და ამით ვაქეზებ ადგილობრივ პოლიტიკოსებს, რომ დაეხმარონ კინოს.

ვსაუზმობ კრისტიან მინგიუსა და კორნელიუ პორუმბოიუსთან, აგრეთვე რადუ მუნტიანთან ერთად. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი არ არის ცნობილი. მისი ნამუშევარი კი გვიხატავს თანამედროვე რუმინეთის შესანიშნავ პორტრეტს. სიამოვნებით ვხვდები ანდრეი უჟიკას, რომელმაც კანში გვიჩვენა დასამახსოვრებელი ფილმი „ნიკოლა ჩაუშესკუს ავტობიოგრაფია“. ის რაღაც ორიგინალურ პროექტს ამთავრებს, უკვე მონტაჟზე მუშაობს (მაგრამ წელს ვერ მოესწრებაო, წუწუნებს! მეც ვუერთდები წუწუნს): ეს არის „ბიტლსის“ ლეგენდარული კონცერტის ისტორია, რომელიც 1965 წლის 15 აგვისტოს ნიუ-იორკში გაიმართა. როკის ისტორიაში პირველად კონცერტი სტადიონზე ჩატარდა. რატომ მოუვიდა რუმინელ კაცს თავში აზრად ასეთ ამბავზე ფილმის გადაღება? მისტიკაა, მაგრამ ლამაზი მისტიკა. რაც შეეხება მუნგიუს, ის საოცრად მოკრძალებულია. ამთავრებს ფილმს, რომელსაც მარტში ვნახავთ. მეტს არაფერს ამბობს.

ამ ბიჭებს ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთს აღადავებენ და ხუმრობენ. კრისტი პუიუ აკლია აქაურობას. მისმა „დანტე ლაზარესკუს სიკვდილმა“ სენსაცია მოახდინა ლა კრუაზეტზე და მისი ავტორი მნიშვნელოვან რეჟისორთა სიაში ჩაწერა. განსაკუთრებით კი „თანამედროვე“ პრესაზე მოახდინა გავლენა („ლეზენროკე“, „ლე მონდ“, „ლიბერასიონ“, „კაიე“ და ა.შ.). კრისტი თავისი ახალი ფილმის მონ-

ტაჟს ამთავრებს. ფილმს ეწოდება „სიერანევადა“, რასაც სულ მალე ვნახავთ. მოუთმენლად ველი. ნეტავ, მომავალი წელი რუმინული ხომ არ იქნება?

როგორც მექსიკაში, აქაც არის სპონტანური თაობა, რომლის წარმოჩენაშიც კანმა თავისი როლი შეასრულა. ქვეყანა, რომელსაც აქვს კინოწარსული, კინოს ქვეყნად დარჩება (ვითომ მართლა ასეა? აბა, რუსეთს რატომ უჭირს დონის მიღწევა?), თითქოს წარსული იყოს მომავალზე პასუხისმგებელი. ზოგიერთმა ევროპულმა სახელმწიფომ, რომლებიც მომხმარებლებს უფრო ამხნევებენ, ვიდრე შემოქმედ ადამიანებს და ზოგჯერ კანონსც თვითონ ქმნიან ბრიუსელში, უნდა შეიგნოს ეს. ნიჭიერ კინორეჟისორებზე, სიტყვაუხვ სცენარისტებზე, ფანტაზიით სავსე პროდიუსერებზე (აქ ფილმი სამჯერ, ოთხჯერ იაფი ჯდება, ვიდრე საფრანგეთში) დგას უსაზღვრო რეპერტუარი. ყველაფერია იმისთვის, რომ კინოპროცესი გაგრძელდეს, მიუხედავად ხელისუფლებასთან დავიდარაბისა, ჩხუბისა; ხელისუფლებას არ ესმის, რატომ ხდება, რომ ხშირად მათი საავტორო კინო, დაჯილდოებული დიდ უცხოურ ფესტივალებზე, მათ ქვეყანაში პოპულარული არ არის. „როცა ჩემმა ფილმმა „ოქროს პალმა“ დაიმსახურა, – მეუბნება მუნჟიუ, – იმავე საღამოს ატყდა მანქანების საყვირების ხმაური ქუჩებში, ისეთი ამბავი იყო, თითქოს მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე თასი მოგვეგოს“. ასეთ ამბებსაც ქმნის კანის ფესტივალი.

პარასკევი, 30 ოქტომბერი

ლუმიერის გუშინდელი საღამოს შოუს ვამთავრებთ მე და მუნჟიუ. იგი ჩემს გამოსვლას რუმინულად უთარგმნის დაუდგრომელ ადამიანებს, რომლებიც ტაშს გვიკრავენ. სრული ტრიუმფია, ლუმიერის კინო ყველგან მოსწონთ. ბოლო არაჩვეულებრივი სადილი გვაქვს ყველა მეგობართან და ჩვენს ელჩ ფრანსუა სენ-პოლთან ერთად. მაგრამ ხანმოკლეა ჩვენი ღამე, 5 სთ და 30 წთ-ზე უნდა შევხვდე ლორს და მძღოლს ბუქარესტის სასტუმრო „მერკურის“ ჰოლში. ორი თვითმფრინავის და სამი აეროპორტის გამოცვლის შემდეგ, შუადღისას უკ-

ვე ვბრუნდები პირველი ფილმის ქუჩაზე. მოგზაურობის ციკლი დასრულდა, მხოლოდ ნოემბრის ბოლოს განვაახლებ მოგზაურობებს, როცა ბუენოს-აირესსა და ვენტანა სურში წავალ.

ლიონში ვარ. ნაშუადღევს ლუმიერის ინსტიტუტის გუნდთან ერთად ვმუშაობ, ორი კვირაა, ეს ხალხი არ მინახავს. საჭიროა, ფესტივალის შემდეგ ისევ ავმოქმედდეთ და ყოველდღიური მუშაობის რიტმი დავიბრუნოთ, დავკავდეთ მაყურებლებით, ბავშვებით, მუზეუმის სტუმრებით. სამსახურიდან გვიან გავდივარ. სახლში უნდა შევიარო წიგნებისა და DVD-ების ასაღებად და კატის წამოსაყვანად. როცა მანქანით სენ ლორან დე მურისა და ერიეს გზის დამაკავშირებელ ავტობანზე გავდივარ, ალპების მწვერვალების თავზე მთვარე ამოდის ლურჯი, მაგრამ უკვე ჩამუქებული ცის ფონზე. შეღამებისას ვბრუნდები და საშოვარზე გამოსულ ტახების კოლტს ვაფრთხობ. მოტორის თუხთუხსა და საყვირის ხმაზე ტახები გარბიან, რაღაცნაირად ხმაურით მიბაგუნობენ. ათამდე მაინც იქნება, მსხვილები, ქონიანები, დიდები, პატარები, მამლები და დედლები. შთამბეჭდავი სანახავია. საბედნიეროდ, ზოგჯერ ველური ბუნება თავს გვახსენებს ამ გაქანებული ეკოლოგიური უბედურების ჟამს.

შაბათი, 31 ოქტომბერი

გუშინ საღამოს თავი არ მქონდა ბოლომდე მეყურებინა რაგბის მსოფლიო ჩემპიონატისთვის. არგენტინელები უკვე აგებდნენ, როცა დასაძინებლად ავედი. მწყინდა მათი წაგება, სამაგიეროდ, ყოველთვის ბედნიერი ვარ, რაც არ უნდა დაემართოს სამხრეთ აფრიკას.

სახლის ქვემოთ ვხედავ 86 წლის ჟანო თომას და მის მეგობარს, უფრო ახალგაზრდა, 75 წლის კაცს. მათ მონადირის ტანსაცმელი აცვიათ, მხარზე გადაკიდებული აქვთ პატრონტაჟი და თოფები, ისინი ფერდობებისკენ ტახზე სანადიროდ მიდიან. ჩემი ინფორმაცია ტახებზე მსუნაგების ინტერესით მოისმინეს და მას მერე, რაც წაიკითხეს სამეცნიერო დისერტაცია მაჩვებსა და კანაფის დარგვაზე, წავიდნენ, უარი მითხრეს თეთრ ღვინოზე. ყველაწმინდის დღესასწაულია. სა-

საფლაო აქედან ახლოსაა. ხვალ წავალ და გავიხსენებ ჩემს მიცვალებულებს, ზოგიერთ მათგანზე უკვე დავწერე, ზოგზეც ახლა გეტყვით. მაიკლ ვილსონი იყო კრიტიკოსი, ისტორიკოსი და რეჟისორი (თანაავტორი სკორსეზეს ფილმისა „მოგზაურობა ამერიკულ კინოში“). უცბად წავიდა მისდა და ჩვენდა გასაკვირად. მიშელ მარშან დე მენგეტი, ფრედი აგუერა დესინის ძიუდოს კლუბიდან, ჟან-ფრანსუა გერენი ვენისიე პარილის კლუბიდან, რომელიც გემებით ვაჭრობდა და ვინც 80-იან წლებში ავადმყოფობამ შეიწირა, ჩემი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. წესით, ისევ ცოცხლები უნდა ყოფილიყვნენ. 93 წლის ასაკშიც. რემონი ადრე წავიდა ჩვენგან.

ნოემბერი

კვირა, 1 ნოემბერი

დღე იწყება ტავერნიეს იმეილით, რომელიც კურსოდონს გაუგზავნა, რაც გამოკვეთს მათ მუდმივ ღვაწლს პროგრესისთვის: „ჟან-პიერ, მოვისმინე საინტერესო გადაცემა თავისუფლების ქანდაკებაზე და სულ სხვანაირად დავინახე სცენა ჰიჩკოკის ფილმიდან „საბოტაჟის მონაწილე“. ეს ის სცენაა, როცა ქალის როლის შემსრულებელი მსახიობი კითხულობს სვეტზე ამოტვიფრულ ემა ლაზარუს მშვენიერ ლექსს. ტექსტი აღარავის ახსოვს, ყველამ დაივიწყა, წაშალა მეხსიერებიდან ათწლეულების განმავლობაში, პოპულისტური, დემაგოგიური და ქსენოფობიური კამპანიების დროს (ერთი ნახატი გვიჩვენებდა ცხვირზე ხელაფარებულ თავისუფლების ქანდაკებას მოზღვავებული უცხოელების წინაშე). ჰიჩკოკმა კი ტექსტს თავისი პირველადი შინაარსი დაუბრუნა, რაც სტუმართმოყვარეობისა და მხარდაჭერის იდეას გამოხატავდა. „ქანდაკების“ ავტორი ხაზს უსვამდა ღრმად დემოკრატიული და პროგრესული პოზიციის სიმბოლიკას. მე მგონი, ეს ისეთი რამაა, რაც აუცილებლად უნდა მივამატოთ ჩვენს ერთობლივ ტექსტს ჰიჩკოკზე. ეს იქნება გამოძახილი მაკგი-

ლანის წიგნისა, სადაც ის ნათლად გვიჩვენებს: 1. ჰიჩკოკის პოლიტიკურ და დემოკრატიულ ჩართულობას 1937-იდან 1950 წლამდე, მის ქმედებებს ამერიკული იზოლაციონიზმის წინააღმდეგ, მის ფინანსურ მხარდაჭერას დოკუმენტური ფილმებისთვის. წიგნში ნაჩვენებია, რომ მან დაარღვია კონტრაქტი სელზნიკთან, რათა გადაეღო „მადაგასკარული თავგადასავალი". ხოლო „მაშველი ნავი", ამ თვალსაზრისით, არის სამაგალითო, გაბედული ფილმი; 2. ჰიჩკოკის მონაწილეობას ყველა მისი ფილმის სცენარის შექმნაში. ამ შემთხვევაშიც გამოგვადგება „მაშველი ნავის" მაგალითი და აქ შეგვეძლება ჯო სვერლინგის სიტყვების ციტირებაც; 3. ჰიჩკოკის ბრძოლებს იმისთვის, რომ თვითონ ყოფილიყო საკუთარი ფილმების ბატონ-პატრონი. მაგალითად, მისი ბრძოლა სელზნიკის წინააღმდეგ: ძალისხმევა კონტრაქტის გაუქმებისთვის და არსებულ შუალედებში ფილმების გადაღება („ოდნავი ეჭვი", „საბოტაჟის მომწყობი", „კორესპონდენტი 17")".

უარს ვამბობ, დღიურებში შევიტანო ყველაფერი, რასაც მწერენ. გიგანტური შრომა გამოვა. ბერტრანი წლებია ამას აკეთებს, მთელ მსოფლიოში გზავნის წერილებსა და იმეილებს ფილმების კომენტარებით. ზოგჯერ რაიმე ტექსტის კომენტარიც შეიძლება იყოს ან ფილმის იმ მონაკვეთის, რომლის გაცოცხლებაც უნდება ხოლმე. ვეცადე გადმომეწერა მისი წერილები, მაგრამ სულ მალე ეს შეუძლებელი გახდა, ასე რომ, ტავერნიეს ასობით იმეილს სძინავს ჩემი კომპიუტერის მყარ დისკზე. ერთხელაც, უნდა მოვერიო თავბრუსხვევას, რასაც ჩვენი, ორივეს, სინეფილური ცხოვრების მემუარები იწვევს და ეს ყველაფერი მოვძებნო.

ორშაბათი, 2 ნოემბერი

ვსაუზმობ მარგერიტ მენეგოზთან ერთად – ის არის ფრანგული კინოს იმპერატრიცა, ერიკ რომერისა და მაიკლ ჰანეკეს პროდიუსერი; უფრო მეტიც, ის არის თანმხლები პირი, რომელიც ყოველდღე ამტკიცებს, რომ კინოს, თუ ის ინდუსტრიული ხელოვნებაა, სჭირდება ადამიანი, რომელსაც აქვს ხალხისა და საგნების შეგრძნების უნარი და

შეუძლია გულგრილი დარჩეს როგორც ეიფორიის, ისე საყოველთაო გულდაწყვეტის დროს. მარგარეტი პროფესიის ლეგენდაა, რომელსაც უყვარს ძლიერი ქალები და რომელიც ყოველთვის ეყრდნობა მათ – ცხონებული ფაბიენ ვონიეც ასეთი იყო. მარგარეტს არ აკლია რეალური სინაზე, რომელსაც ის ავსტროუნგრელის სერიოზული გამომეტყველებით მალავს. მაგრამ ეს სერიოზულობა მის სახეს მიმზიდველობასა და განუმეორებლობას სძენს. მარგარეტი თავის შარმს ვერაფრით მალავს, მასთან გატარებული დრო ყოველთვის კეთილ გრძნობებს ტოვებს. ჭკუას მოჰყვება მიმზიდველობა, ისე როგორც რწმენა – გრაციოზულობას. მარგარეტი ახლობლობს ჟილთანაც და ჩემთანაც. მან ფესტივალის პირველ წლებში, ჩრდილში მყოფმა ხელშემწყობი როლი ითამაშა („არტმედიის“ მეპატრონის, ბერტრან დე ლაბესის მსგავსად) ფესტივალის კარგად მართვისთვის. ჩვენ ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს. როგორც კი ვრცელდება რაიმე ინფორმაცი, ან ჭორი, ან აზრი, ის აუცილებლად მირეკავს. მეც მივირბენ ხოლმე მასთან არა მხოლოდ ამბებისთვის, მსიამოვნებს მისი ნახვა. ვიცი, რომ ვილაპარაკებთ კინოზე, კინოს ისტორიაზე და გარის კარ-მიდამოში მის მუხის ხეებზე, რომელთა ფესვებს შორის იზრდება სოკო ტრიუფელი.

სამშაბათი, 3 ნოემბერი

ტანში ჟრუანტელი მივლის იმის გაფიქრებაზე, რომ ჩვენებებს ვიწყებ. ჯერ არაფერია სანახავი, ჩავყურებ ჩანიშნულ ინფორმაციას. სამი, ოთხი კარგი ფრანგული ფილმი გვექნება, თუ შეერთებული შტატებიდან ხარისხიან ფილმებს გამოგვიგზავნიან და ამავე დროს საერთაშორისოდ ცნობილი ავტორებიც გვეყოლება, საკონკურსო ფილმების ჩამონათვალი უცებ შედგება. ცნობილ ავტორთა მიღმა ხდება რამე, თუ ხდება: სიურპრიზები და აღმოჩენები, რაც დიდი მიზნების მიღწევისა და წარმატებული სელექციის საწინდარი იქნება, ისევე როგორც ერთიორი შეცდომა შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს.

სიტყვას უნდა დაუბრუნდეს თავისი მნიშვნელობა ფესტივალის მსვლელობისას, იდეების ფასი უნდა გავიხსენოთ, დებატების აზრი

უნდა გვახსოვდეს, როგორც ამას აკეთებდა როსელინი, რომელიც კანის ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე იყო 1977 წელს. მან უამრავ კოლოკვიუმს შეუწყო ხელი. ამდენი შრომისგან სრულიად გამოიფიტა და ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ყველაფერ ამას ჟან-მიშელ ფროდონს ვუყვები, რომელიც მშვენივრად ერკვევა კოლოკვიუმების საქმეში. კოლოკვიუმის თემა უნდა იყოს კინოდარბაზი ინტერნეტის ეპოქაში. ერთადერთი კლასიკური ჭეშმარიტება სულაც არ არის ის, რომ ქალაქებსა და სოფლებში კინოს დიდი მიზნები აქვს (ტექნიკური, სოციოლოგიური და ეკონომიკური), არც ის, რომ კინოდარბაზები წინააღმდეგობას უწევენ ციფრულ ეპოქას, არამედ ის, რომ უნდა შევინარჩუნოთ პრაქტიკა, რომელიც 120 წელია არსებობს და რომელსაც ვერაფერი შეცვლის. ჩვენი შვილები დღეს კი არად აგდებენ კინოდარბაზებს, მაგრამ მოვა დრო და მადლობას გვეტყვიან, რომ უკან არ დაგვიხევია მათ გადასარჩენად. თავის „აპარატების ჩხუბში“ (რომელიც მთელ პროგრამას წარმოადგენს), რემონ ბელურმა შესანიშნავად თქვა: „შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს კინო მართლა გაქრეს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვ – იმის აღიარებას, რომ კინოს ეს ფორმა, რომელსაც ვიცნობთ, იყო და არის ერთადერთი; ის წარმოადგენს გამოცდილებას, რომელიც შექმნა სეანსის, დროის აღქმისა და დამახსოვრება-დავიწყების ერთიანობამ. ყოველივე ამას ქმნის კინოაპარატი, სიჩუმესა და სიბნელეში იძულებით უძრავად მდგარი. არც მეტი არც ნაკლები“.

ამასობაში (ჟან-მიშელთან საუზმის დროს) გონკურის პრემია მიანიჭეს მატიას ენარს, რომლის ნაწერებსაც ყოველთვის გამომცემლობა „აქტ სუდ“-ი ბეჭდავს. საღამოს ლათინურ უბანში ვატარებ (ვგიჟდები ამ სახელწოდებაზე, რომელსაც უკვე აღარსად ახსენებენ და რომელსაც ლეო ფერემ მშვენიერი სიმღერა მიუძღვნა), ვეგებები ფრანსუაზ ნისენს, ჟან-პოლ კაპიტანის და ბერნარ პის, რომლებიც არლიდან ჩამოვიდნენ გონკურის პრემიის აღსანიშნავად. მათი აზრით, ეს ჯილდო მეორეა ნობელის პრემიის შემდეგ, რომელიც არაჩვეულებრივმა სვეტლანა ალექსიევიჩმა მიიღო.

ოთხშაბათი, 4 ნოემბერი

კიდევ ერთი შეკრება „ფრანს ტელევიზიონში“. მათ საბოლოოდ ჩამოაყალიბეს შემოთავაზება. ნოემბერში ყველაფერი ჩქარა ხდება, ფესტივალის მოახლოება იგრძნობა. ერთი კითხვა გვაწუხებს, გონივრული იქნება კი ექვსი თვით ადრე ფესტივალამდე ახალი პარტნიორის არჩევა, თანაც ყველაფერ იმის გათვალისწინებით, რაც ამ ამბავს მოჰყვება? საჭირო იქნება ახალი გუნდების შექმნა და გეგმების შედგენა? გვეყოფა დრო?

მექსიკაში, თხუთმეტი დღის წინ, მონიკა ბელუჩის მივწერე. მას უნდა შექმნას ფილმი ფოტოგრაფ თინა მოდოტიზე. როგორც ყოველთვის, სრულიად ანთებული, მპასუხობს: „ტიერი... კი, ვაგრძელებ მასალების კითხვას თინაზე. ძალიან მნიშვნელოვანია მისი ცხოვრების ბოლო წლები, როცა ის მუშაობდა „საერთაშორისო წითელ დახმარებაში“. მას, ღარიბი, სოციალისტური ოჯახის შვილს, სჯეროდა კომუნისტური უტოპიის. ის იყო სტალინის ავტორიტარული მანიპულაციის მსხვერპლი. ეს ფილმი უნდა გადაიღოს ისეთმა რეჟისორმა, რომელსაც უყვარს ქალები და რომელიც მოგვიყვება ამბავს მისტიკურ ჩრდილში გახვეულ პერსონაჟზე, ეროტიკული აურისა და ხელოვანის სული მქონე ადამიანზე. ამავე დროს, ის უნდა იყოს რეალისტი და შეეძლოს თინას ცხოვრების მიღმა გვიამბოს მთელ ეპოქაზე, 1930-იანი წლების ინტელექტუალური წრის შესახებ, რომელიც პოლიტიკასთან ძლიერ იყო დაკავშირებული. გვყავს არაჩვეულებრივი კაცი პერსონაჟები: რობო – მისი პირველი ქმარი, ვესტონი – მისი მასწავლებელი, ქსავიე გერერო, ხუან ანტონიო მელა – მისი ცხოვრების საყვარელი მამაკაცები და ეს დამპალი ვიდალი, სტალინისტი ტერორისტი და მაფიოზი, მისი უკანასკნელი შეყვარებული... როგორც ხედავ, უქმად არ ვარ. უნდა ვიპოვო ვინმე რეალური!“

ხუთშაბათი, 5 ნოემბერი

გუშინ „საულის ვაჟი“ გამოვიდა. პრესა, ერთი მხრივ, აღფრთოვანებულია, მეორე მხრივ, ნეიტრალური. „ტელერამაში“ ერთი მხარდამჭერი

სტატიაა, მეორე – საწინააღმდეგო აზრის; „ლე მონდ“ პირველ გვერდზე და ერთ მთლიან შიდა გვერდზეც ამ ფილმზე საუბრობს. მოსწონებიათ, არ მოსწონებიათ. თუმცა წერენ, რომ „სანახავია“. ეს კიდევ უკეთესია, ვიდრე კატეგორიული შეფასება – „არ ნახოთ!“, რასაც ამ ბოლო დროს ხშირად იყენებენ კანში ნაჩვენები ფილმების მიმართ.

ლეტიცია კასტა მაჩვენებს თავის პირველ მოკლემეტრაჟიან ფილმს, რომელიც „ოპერა გარნიეში“ გადაიღო. ეს არის გაბედული და გულისამაჩუყებელი ნამუშევარი, აღწერს მანეკენთა ცხოვრებას, ლეტიციციასთვის ასე ნაცნობ ცხოვრებას. საუზმობისას, სამომავლო გეგმებზე კითხვა რომ დავუსვი, მითხრა: „მე კინო არასოდეს შემისწავლია, მაგრამ მინდოდა ეს ამბავი მომეყოლა და ასე გადმომეცა“. მსახიობები ყოველთვის უცნაურად იღებენ ფილმებს.

საღამოს კინოთეატრ „ლე ფოვეტს“ ვხსნით. უამრავი კინომოყვარული მოვიდა. მოულოდნელად მატიე კასოვიცის პირისპირ აღმოვჩნდი. ჩემ დანახვაზე ყურებამდე გაეღიმა. ამ ბოლო წლებში ეს ბიჭი ისეთი დამაბნეველია, იმდენი საერთო თავგადასავალი და არათავგადასავალი გადაგვხდა, რომ სრულებითაც არ იქნებოდა უცნაური, ჩემზე ნაწყენი ყოფილიყო. როცა გაბრაზებულია, ნაპერწკლებს ჰყრის. ამჯერად ასე არ იყო. მშვენივრად გამოიყურებოდა, გულღიად და მეგობრულად შემხვდა. ველოდები შემდეგ წლებში კანში.

გობელენების პროსპექტის დაღმართს აუსტერლიციდან პირდაპირ ლიონის სადგურისკენ და ტჟვ-ს #1 ვაგონისკენ მივყავარ. საფრანგეთში ღამეა და მე სიბნელეში ვმგზავრობ.

პარასკევი, 6 ნოემბერი

დღეს გამოვიდა ბობ დილანის „ბუთლიგ სერიის“ მე-12 ტომი, რომელიც შეიქმნა მისი ალბომების – „ყველაფრის მომტანი უკან სახლში“, „ხელმეორედ ნანახი ავტობანი 61“, „ქერა ქერაზე“ – საფუძველზე. „სამი სწორუპოვარი შედევრი, რომლებიც ერთ წელიწადსა და ორ თვეში გამოვიდა. საზრდო, ერთი მუსიკალური საუკუნისთვის“, – დაწერა გრეგუარ ლემენაჟემ „ნუველ ობსერვატორის“ ფურცლებზე. ჩე-

მი ლიონური სამსახურის ტერასაზე ვიმყოფები, აქედან ამბუაზ კურ-ტუას მოედანი ჩანს. დიდხანს ვესაუბრები ტელეფონით რენე შატოს, რომელიც თავის სახლშია, სენ-ტროპეში. იქ მემუარებს წერს. „მე ვიტ-ყვი ყველაფერს. ყველაზე მეტი კარგის თქმა ჟან-პოლ ბელმონდოზე შემიძლია, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს!“ ეს ალბათ მართლა გაუკ-ვირდება ყველას, რადგან მათ შორის კონფლიქტი იყო ისეთი ძალის, როგორიც მათი ურთიერთობაა. იმ დღიდან რენე თანამედროვე კი-ნოდან წავიდა და კულტურულ მემკვიდრეობას დაუბრუნდა. მან საქ-მე ლუმიერის ინსტიტუტიდან დაიწყო. ზუსტად მახსოვს ის დღე, როცა პირველი ფილმის ქუჩაზე მოვიდა. ვიცოდი, ვინც იყო ჟან-პოლამდე, ისიც ვიცოდი, რომ 60-იან წლებში გამოსცემდა ჟურნალ „მეთოდს“, რომ პირველმა გაუშვა ბრიუს ლის ფილმები პარიზის ერთ-ერთ დარ-ბაზში, „ჰოლივუდ ბულვარში“. სამაგიეროდ, არ ვიცოდი, რომ მასაც რემონ შირასავით უყვარდა ოკუპაციის პერიოდის ფილმები. მან რე-მონ შირა ინახულა ცოტა ხნის წინ. გადასახლებაში მყოფი პრინცივით, ახალი დაპყრობითი ომების მომლოდინე რენე მთლიანად კლასიკურ კინოს მიეცა, ინსტიტუციებისგან შორს, საკუთარი ფულით ყიდულობ-და მთლიან კატალოგებს მათგან, ვისაც საავტორო უფლებები ჰქონ-და, აფიშებსა და იშვიათ დოკუმენტებს, ძველ წიგნებს, ძველ გაზე-თებს და მრეწველისთვის გამოსაყენებელ მეთოდებს ჩვენს ჭკვიანურ ხელობას ახმარდა. მან შექმნა ზოგადი სათაური „ფრანგული კინოს გახსენება“ და დაიწყო „ახალ ტალღამდე“ გამოსული ფილმების გა-მოცემა ჯერ VHS-ზე, მერე DVD-ზე. გამოაქვეყნა ოდიარი, ჟანსონი და არაჩვეულებრივი ალბომი ოკუპაციისდროინდელ ფრანგულ კინოზე. ყველას ახსოვს მისი ლოგო – შავი პანტერა, რომელიც ამშვენებდა „მაჟესტიკის“ შესასვლელს. სწორედ ამ კოლექციაში შედის ლიონში გადაღებული მშვენიერი ფილმი, კრისტიან ჟაკის „მობრუნებული“, რომელშიც მონაწილეობს ჟუვე. მისი გმირი ბრუნდება, რომ შური იძიოს ქალაქზე, რომელმაც ის წლების წინ გააძევა.

შაბათი, 7 ნოემბერი

კლოდ ლანზმანისგან ვიღებ მეილს: „ძვირფასო ტიერი, მითხრეს, რომ სკორსეზესადმი მიძღვნილი ზეიმი ბრწყინვალედ ჩაატარე და რომ შენ არაჩვეულებრივ ფორმაში ხარ. უზომოდ გამახარე, რომ მეც დამპატიჟე გალებისა და რესტორნების ქალაქში. სამწუხაროდ, მაგ დროს ჩრდილოეთ კორეაში ვიყავი, ასეთი გამაოგნებელი მოგზაურობა არასოდეს მქონია. აქედან სრულიად განსხვავებულ ფილმს ჩამოვიტან. თუ გინდა, პირველი შენ შეაფასებ და გადაწყვეტ ყველაფერს. მეგობრული გრძნობით, გეხვევი, შენი კლოდი“. რაო, ფილმიო?

ბრიანტ მენდოზას მანილიდან უნდა მე და კრისტიან ჟენი ფილიპინებზე დაგვპატიჟოს. ის ბედნიერია, რომ მისი ფილმი „ტაკლუბი“ „განსხვავებულ ხედვაში“ აჩვენეს. ეს იყო ამბავი ტაიფუნ ჰეიანზე, რომელმაც გაანადგურა ქალაქი ტაკლობანი და ექვსი ათასი კაცი შეიწირა. მიპატიჟება მისი მხრიდან მადლიერების გამოვლინებაცაა და იმის სურვილიც, რომ ჩვენი მეგობრობა ფესტივალზე უფრო ხანგრძლივი იყოს. ბრიანტი დაახლოებით ორმოცდაათი წლისაა და ის კანის ფესტივალმა აღმოაჩინა თავის კინოიანად, რომელიც სამხრეთული ქვეყნის უდისციპლინო სილამაზეზე ყვება. როგორც მასზე ბევრად უფროსი ლინო ბროკა, რომელმაც ოც წელიწადში სამოცდაექვსი ფილმი გადაიღო. მას შეეძლო, თხუთმეტ დღეში გადაეღო ფილმი, ოთხ დღეში დაემონტაჟებინა და ფილმის მოფიქრებიდან ერთ თვეში უკვე ეკრანებზე გაეშვა, და თვითონ ახალი ფილმი დაეწყო. კომენტარები არასდროს დაჰკლებია კანის ფესტივალის „ხშირ სტუმრებს“, მაგრამ მთელ მსოფლიოში, ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ყველა კინორეჟისორის მთავარი აკვიატებაა, აჩვენოს თავისი ფილმი კანის ფესტივალზე.

კვირა, 8 ნოემბერი

ჭაბუკის უშფოთველი ძილით თერთმეტი საათი მეძინა. დილით იზერის ხეობა წებოვანი და გრილი ნისლით არის დაფარული. შემოდგომის ფერებს კიდევ უფრო მკვეთრს ხდის ამომავალი მზის სხი-

ვები. დღეს ისეთი პირი უჩანს, თითქოს შემთხვევითობამ, ლიტერატურამ და კინომ ერთად აკურთხესო, რადგან ყველაფერს სიჩუმე და სიმშვიდე ემატება. მზიანი სამუშაო დღეა, პაპანაქების ბოლო წუთებია დოფინეს გაგრძელებულ ზაფხულში. გადამაქვს შეშა, ვაწყობ, ვასწორებ, ვამზადებ. მერე მივდივარ ველობილიკებისკენ, თან პედალებს ვატრიალებ და თან ისევ ლეო ფერეს ვუსმენ: „ვიცი, რომ აქ ვარ, ისევ ავმწვანდები ტოსკანის მინდვრებში“.

საკვირაო საუბარი მაქვს პიერთან. გადავწყვიტეთ, „კანალ+“ დარჩეს ფესტივალის პარტნიორად აუდიოვიზუალის სფეროში. მნიშვნელოვანი მომენტი გვიდგას, ფაქტია, რომ მოლაპარაკებები დიდხანს გაგრძელდა და ფესტივალამდე რამდენიმე თვით ადრე პარტნიორს ვერ შევიცვლით. ამას გარდა, „კანალ+“-მა სარწმუნო გახადა ის არგუმენტები, რასაც მათგან ველოდებოდით – 2014-ის ბოლოს ამ არხთან ერთწლიანი ხელშეკრულება გვქონდა. თუ ჩვენ კიდევ ორ დამატებით წელზე დავუდებთ ხელშეკრულებას, ბუნებრივი სამწლიანი კონტრაქტი გამოგვივა. 2017-ში ფესტივალის 79-ე წელია. ლოგიკურია, რომ „კანალ+“, რომელიც დიდი ხანია კანის ფესტივალის გვერდითაა, უნდა მონაწილეობდეს ამ ზეიმში. ვგრძნობ, რომ პიერსაც გულზე მოეშვა და კმაყოფილია.

ლიონის „ოლიმპიკს“ ცუდი სეზონი აქვს. სრულიად განსხვავებული წინა სეზონისგან, როდესაც გუნდს არნახული წარმატებები ჰქონდა და ახლა ამ მოვლენის აღსანიშნავად იხსნება დიდი სტადიონი. მაგრამ სახელოვანი გუნდები არასოდეს კვდებიან: ამ საღამოს, ჟერლანის ძველ სტადიონზე უკანასკნელი თამაშია და „სენტ-ეტიენს“ ვამარცხებთ. ბუნებრივია, როცა დერბია, ყველა თავის თავს აჭარბებს. 3:0 და ალექსანდრ ლაკაზეტი ტრიუმფით ბრუნდება. მწვანეების დამარცხებას დიდი ჟინი ახლავს, მათთვისაც იგივე განცდაა, როცა გვჯობნიან ხოლმე. ყოველთვის ასე იყო, ამ ორი ქალაქის მოთამაშეები, მწვრთნელები და გუნდების პრეზიდენტები არ წყვეტენ ერთმანეთში მაისურების ჩხუბს, რაც ადრე მხოლოდ სპორტულ ხასიათს ატარებდა: ხალხი ებრძოდა ელიტას, მცირეწლოვანები – ბურჟუაზიას, მუშათა ქა-

ლაქი – კომერსანტთა ქალაქს. ბურჟუები ჩვენ ვიყავით და მოზარდებს ცოტა უჭირდათ ამის ატანა. ვგიჟდებოდი ლავილიეზე, რომელიც უმღეროდა თავის ქალაქს და ყველა ჩვენს ახალგაზრდულ ამბოხს თან ახლდა („უტოპია“ დაიწერა 1978 წელს, სიმღერის ტექსტი საფრანგეთის მომავალს ეხებოდა, პოლიტიკოსებს პოეტებისთვის რომ დაეთმოთ დრო, დღეს ამ მდგომარეობაში არ ვიქნებოდით). ამასთანავე, „სენტ-ეტიენი“ ქმნიდა ფრანგული ფეხბურთის ლეგენდას, ლიონი კი მიჩანჩალებდა ლიგაში და მარცხდებოდა შინ ისეთ გუნდთან, რომელიც საფრანგეთის კერპიც იყო და ჩემიც. ხომ მაქვს უფლება ვაღიარო ეს მას მერე, რაც ვუყურებ ვენსან დულუკის გამოსვლას, ჟურნალ „ეკიპის“ და საერთოდ საფრანგეთის ყველაზე ძლიერ ჟურნალისტს (ფილიპ ბრუნელთან და ფლორანს ობენასთან ერთად). ვენსანი თითქმის ლიონელია, „ოლის“ („ოლიმპიკ დე ლიონ“) გულშემატკივარია და ამზადებს წიგნს 1976 წლის გაზაფხულის შესახებ, როდესაც „სენტ-ეტიენის“ ეპოპეამ უმაღლეს დონეს მიაღწია. ეს გაზაფხული ჩვენც გვეკუთვნოდა და ვეთანხმებოდი ყველა იმ სტატიას, რომლებსაც ვენსანი მიგზავნიდა. მერე ყველაფერი შეიცვალა. „ლიონი“ და „სენტ-ეტიენი“ მეორე დივიზიონში გადავიდნენ, შემდეგ ისევ პირველში ამოვიდნენ, ჟან-მიშელ ოლასა და ჟერომ სედუსთან ერთად. მათ აიყვანეს „ლიონი“ ფრანგული ფეხბურთის სიმაღლეზე, რის გარეშეც სენტეტიენელები უარს ვერ იტყოდნენ რეგიონალური უპირატესობისთვის ბრძოლაზე. მათ ეს აქვთ, ოღონდ ჩვენ მერე (მე მყავს ბევრი მეგობარი „სენტ-ეტიენში“, ძიუდოს კლუბ „ლუარის“ ძიუდოისტები ლავილიესთან ერთად, პიერ განიერი, ყველაზე დიდი ფრანგი მწვრთნელი... მაინც თავისუფლად ვამბობ იმას, რაც უკვე ვთქვი. პროდიუსერ-დისტრიბუტორი მიშელ სენ-ჟანიც ჩემი მეგობარია, ერთად დავიწყეთ მუშაობა ლუმიერის ინსტიტუტში). ყოველი მატჩის 42-ე წუთზე ლიონელი გულშემატკივრები მღერიან „სენტ-ეტიენის“ მხარდამჭერებისადმი მიძღვნილ სიმღერას, რომელიც იწყება აზნავურის მელოდიით, „წამიყვანეთ ჟოფრუა გიშარში“. ზრდილობა მოითხოვს, რომ დანარჩენი ტექსტი აღარ განვიხილო. ჟერლანის სტადიონზე ყოველთვის ნახავთ

ასეთ პლაკატს: „სენტ-ეტიენს“ ერთადერთი რადიო აქვს, რადიო ნოსტალგია!“ ხოლო 14 ივლისს, ბელკურის მოედანზე, როცა ფეიერვერკის მწვანე შუქი იქაურობას ანათებს, ხალხი უსტვენს! მიყვარს ეს ფოლკლორი, რომელიც ჩემი ბავშვობის დროიდან არსებობს. ამ საღამოს ტრიბუნაზე დომინიკ როშტოს შევხვდი და გული ამიჩუყდა.

ორშაბათი, 9 ნოემბერი

პატრიკ ვაშბერგერმა დამირეკა. დიდხანს მელაპარაკა. პატრიკი ფრანგია და ათწლეულებია, რაც კალიფორნიაში ცხოვრობს. მას საზოგადოება „სამიტ ინტერტეინმენტმა“, რომელიც უშვებდა საგას „ბინდი“ (“Twilight”), ფილმებს დიდი სიმდიდრე მოუტანა და დღეს არის მინისტუდია „ლაიონსგეიტის“ ხელმძღვანელი, რომელთანაც კანი ყოველთვის კარგად თანამშრომლობს. მე და პატრიკი ხშირად ვხვდებით ერთმანეთს ლოს-ანჯელესში, ამჯერად ის მადრიდიდან მირეკავს. ახსენებს შონ პენის ფილმს, რომელიც „ინტერნაციონალს“ მიჰყიდა და მერე დამიენ შაზელზეც მელაპარაკება, ახალგაზრდა რეჟისორზე, რომელმაც „ჯახი“ (“Whiplash”) გადაიღო. დამიენი, რომლის ფეხებთანაც მთელი ჰოლივუდია დაჩოქილი, ახლა თავის მეორე ფილმს „ლა ლა ლენდს“ ამონტაჟებს. პატრიკი მეუბნება, კარგი იქნება, გახსნაზე ამ ფილმს თუ გაუშვებთო. სერიოზულ საუბარზე გადავედით. პატრიკის შემდეგ სტეფან სელერიემ დამირეკა ლოს-ანჯელესიდან. ჯერ თავის ამბებზე მელაპარაკა, შემდეგ კი მითხრა: „შაზელის ფილმი მაგრად გამოიყურება, ფანტასტიკური გამოსახულებები ვნახე, ამას გეუბნები როგორც მაყურებელი, რადგან მე კი არა, SND (Simulation Numérique Direct) გაუშვებს ამ ფილმს საფრანგეთში“. თუ ფილმი წარმატებულია და ის ოფიციალურ კონკურსში შეიძლება დაიშვას, ანუ გახსნის ფილმად შევარჩიოთ, ვიმედოვნებ, რომ SND, რომელიც არის M6-ის სადისტრიბუციო ფილიალი და რომელსაც ტიერი დემიშელი ხელმძღვანელობს, კვლავ მოხიბლულია კანით, მიუხედავად იმისა, რომ გასულ მაისს, გას ვან სენტის ფილმი ცუდად მიიღეს ფესტივალზე. მაშასადამე, დამიენ შაზელი შევა სიაში.

სამშაბათი, 10 ნოემბერი

ლიონში ვბრუნდები. საუზმის დროა და პირდაპირ შაბერთან მივდივარ, „ქსავ“-ის რესტორანში, იაროლ პუპოსთან შესახვედრად. იაროლი ნიჭიერი მუსიკოსია, როკის ისტორიის კარგი მცოდნე, დილანის დიდი ფანი, როგორც მისი ძმა მელვილი. ის არის ჯონი ალიდეს მთავარი გიტარისტი, ჯონის მოქნილი და ენერგიული პარტნიორი სცენაზე. საფრანგეთში უსასრულოდ გრძელი ტრიუმფალური გასტროლების დროს, ჯონი რამდენიმე დღით ლიონში დარჩა. საღამოს, ტონი გარნიეს „ლა ალში“, გაიმართება ჟან-პიერ პომიესა და ტიერი ტეოდორის მიერ ორგანიზებული ბოლო, მესამე კონცერტი. ჯერ ისევ მატარებელში ვიყავი, როცა იაროლმა მაცნობა, რომ ჯონისაც სურდა ჩვენთან ერთად ყოფნა, არ უნდოდა ხელიდან გაეშვა შანსი, გაესინჯა ღვიძლის ღვეზელი, რაც თურმე ძალიან უყვარს. მეც გახარებული ვარ, მიყვარს ჯონი, ყოველთვის მიყვარდა, მაშინაც კი, როცა ის მოდაში არ თუ აღარ იყო. მიყვარს მისი საუბარი, მაშინაც კი, როცა უამრავ სასაცილო ამბავს ურევს, რაც მერე ინტერნეტსაც მოივლის ხოლმე. ორ პირად საკითხს შორის, რომლებიც ეხება ადამიანებს და ზოგადად სხვებს, რასაც ის დიდი ყურადღებით უდგება, უცებ გვიყვება არაჩვეულებრივ ისტორიებს ფრანგულ შანსონზე. მაგალითად, ბრასენსზე, რომელმაც გიტარის სიმები მისცა, როცა ის კონცერტის დასაწყისში უკრავდა; იხსენებს იმასაც, თუ როგორ დაეხმარა აზნავური კარიერის დასაწყისში. „მთელი ჩემი ცხოვრება ვმღერი, – მეუბნება ის. – ზოგჯერ, იანვარში რომ ერთ ალბომს ვუშვებდით, ნოემბერში უკვე მეორე გვქონდა მზად“. მაგრამ მისი დიდი ოცნება კინო იყო. ვიცი, რომ მე 1930-1960 წლების ამერიკულ ფილმებზე დამელაპარაკება, რომელთა დიდი მოყვარულია თვითონაც. სადაც არ უნდა იყოს, სახლში, სასტუმროში თუ სადმე არდადეგებზე, სულ თავის ფილმებს უყურებს. გოდარმა ამის ლეგიტიმური უფლება მისცა ფილმით „დეტექტივი“, ისევე როგორც ტარანტინომ, რომელიც აღტაცებულია მისით კორბუჩის „სპეციალისტში“, და ლუმიერის ფესტივალზეც დიდხანს ილაპარაკა ჯონიზე. კანის ფესტივალზე ჯონი მივიღეთ ჯონი ტოს

ფილმით „შურისძიება“. მას ზოგჯერ ლოს-ანჯელესში ვხვდები, ის იქ ცხოვრობს. სამი წლის წინ, მაიკლ ჰანეკეს „ოსკარით“ დაჯილდოების მეორე დღეს, სანტა მონიკას იაპონურ რესტორანში შემხვდა. ჩემთან ერთად იყო ალექსანდრ პეინი. ის გაოგნებული უსმენდა ჯონის, რომელიც თავის ფილმებზე ლაპარაკობდა.

მარონიეს ქუჩაზე უკვე ყველამ იცოდა ჯონის აქ ყოფნა და ფანების ჯგუფი უკვე უცდიდა ავტოგრაფისთვის ბლოკნოტებით, პოსტერებით თუ ფოტოებით. ჯონი მოთმინებით აკეთებს საქმეს, მას თან ახლავს მეუღლე ლეტიცია და მენეჯერი სებასტიან ფარანი. ბოლოს, გულმხურვალედ მეხვევა მე. რესტორნის კედლებზე ლიონური სამზარეულოს გაფეტიშებული კერძების სურათებია გაკრული. ჩვენ ჩავდივართ შუა სართულზე და ვსხდებით უკვე გაწყობილ მაგიდასთან. თეფშებზე აწყვია ნაირნაირი სალათი ქაშაყით, ხბოს ფეხებით, მუხუდოთი, პაშტეტით, ლორით და სოსისით. „მშია“, – ამბობს ჯონი. სამი წლის წინ ის კინაღამ დავკარგეთ. ჯონი ძალიან მეგობრულია, ლამაზი ცისფერი თვალები აქვს, აცვია როკერივით, უამრავი ძეწკვი და ბეჭედი უკეთია, ბევრი აქვს ტატუც; ეს არის არამონანიე კაცი, სიგარეტს სიგარეტზე უკიდებს. ის ყველას უყვარს. საღამოს ისევ შევხვდებით. იმედი მაქვს, რომ იმღერებს: „თუ ამ ღამით დამტოვებთ, დილით ჩემს სიცოცხლეს გაახლებთ...“

ოთხშაბათი, 11 ნოემბერი

ლორენცო კოდელი არის იტალიელი კინომოყვარული, სამოციოდე წლის. მომხიბლავი ადამიანია და ჩვევად აქვს, სანამ სიტყვას იტყვის, ხელი პირისკენ მიაქვს. მოგზაური სინეფილია, დადის მოკრძალებულად კინოპლანეტის ყველა ფესტივალზე და შემდეგ თავის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს ზოგიერთი ფრანგული და იტალიური ჟურნალის ფურცლებიდან. როცა ფილმების სანახავად არ არის პარიზში, რომში, კანში ან ბერლინში, მაშინ ლონდონშია საუკეთესო სპექტაკლის სანახავად. ეს არის კეთილსინდისიერი ადამიანი ენციკლოპედიური ცოდნით, რომელსაც არასდროს ეშლება თავაზიანობა. წლებმა ვერაფერი

დააკლო და ეს ბედნიერებაა. სამყარო ამგვარ პერსონებზე დგას, მისი ყოფნა დედამიწაზე არის გარანტია ჩვენი არსებობისა, დამამშვიდებელი იმით, რომ ასეთი ადამიანები ყოველთვის არსებობდნენ და ეს გარანტია მანამ გაგრძელდება, სანამ ისინი ამქვეყნად არიან. არის ფრიულის სინემათეკის სულისჩამდგმელი და პორდენონეში გამართული მუნჯი კინოს არაჩვეულებრივი დღეების წამყვანი. წარმოშობით ტრიესტელი ჩრდილოეთ იტალიიდან, როგორც მისი მეგობარი, დიდი მწერალი კლაუდიო მაგრი, რომელიც ამბობდა: „ენის კორექცია არის მაუწყებელი ზნეობრივი მკაფიოობისა და პატიოსნებისა“, რაც ზუსტად შეესაბამება ამ მსოფლიო მოქალაქესა და პოლიგლოტს. ტელეფონში ლორენცოს მხიარული ხმა ისმის. ის მთხოვს, დავინტერესდე რუსი კინორეჟისორით ივან პირიევით: „წარმოგიდგენია, მის პირველ ორ ფილმს ჰქვია „სახელმწიფო მოხელე“ და „პარტიული ბილეთი“. 1948 წელს სახალხო არტისტი გახდა, სამჯერ ლენინური პრემია მიიღო, ოთხჯერ, 1944, 1950, 1951 და 1961 წლებში, წითელი დროშის ორდენის კავალრად დასახელდა, ექვსჯერ იყო სტალინური პრემიის ლაურეატი. ის არის პროპაგანდის გენერალური ხელმძღვანელი. ეს ყველაფერი აღძრავს მისი ნახვის სურვილს, არა?“

ხუთშაბათი, 12 ნოემბერი

ნონსტოპ რეჟიმში ვაგვარებ კანის საქმეებს, მაქვს შეხვედრები, კრებები, ვპასუხობ იმეილებს და ტელეფონს. საერთო ობიექტივში მოქცეულია ფილმის ბაზრის ადგილი. ეს არის ინტერნეტსაიტი, რომელსაც ვენკა ვან იკი ძირეულად განაახლებს, ფესტივალის ტელევიზია (ვინც იქნება მოსარგებლე ჩვენი აუდიოვიზუალური მოლაპარაკებების დროს), სტუმრების მიღების პროექტები მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში, და „მარკის განვითარება“, როგორც კომერციულ სასწავლებლებში ამბობენ. ველოდებით კვლავ ოფიციალურ კონკურსს, ჩვენებების დღეებს, როცა ყველანაირი კონტაქტი გარე სამყაროსთან აკრძალულია, მონასტრულ კვირებს... ამქვეყნად მხოლოდ გვიან საღამოს ვბრუნდებით, როცა პარიზში ამოვყვინთავთ ხოლმე საჭმლისა

და ძილის ძიებაში. სპილბერგის ამბავი წინ მიდის. ის ბერლინშია და შაბათს პარიზში გამოივლის, მასთან საუზმე უკვე დაგეგმილია. ხვალ დილას ვნახავ მის ფილმს „ჯაშუშთა ხიდი“.

ვალდოსთან მე და ჯონ ლანდისი ვსაუზმობთ, ისიც გავლითაა პარიზში, სადაც თავიდან გამოვიდა ფილმი „ლურჯი ძმები“ ახალ ასლზე დაბეჭდილი. მისი აქ ყოფნა ამიენის ფესტივალის პატივისცემითაც აიხსნება. ძვირფასი მაიკლ ვილსონიც აქ არის, მისი ცოლი დებორაც, რომელიც ფილმებისა და თეატრის კოსტიუმების მხატვარია. ისინი სულ ერთად არიან.

მიხარია ჯონთან შეხვედრა, მასთან საუბარი. ალბათ ბევრია სათქმელი იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავს ლანდისს 80-იანი და 90-იანი წლების ამერიკულ კინოში. მე მას ვეკითხები ტრილერზე და მაიკლ ჯეკსონთან თანამშრომლობაზე, იმაზეც, თუ რა ბედი ეწია 35-მილიმეტრიან მაშინდელ კლიპებს... ალბათ სინემათეკებში ინახება. ვიხსენებთ, რომ ტრილერის აღდგენილი ვარიანტის ჩვენება გვინდა კანში.

პარასკევი, 13 ნოემბერი

ლოგინიდან წამოვხტი. „ფრანს ინტერზე“ პატრიკ კოენის ხმა მესმის. ის პატივს მიაგებს ჟან-ჟაკ ბერნარის ხსოვნას, გაოგნებული ვისმენ, რომ ჩვენი მეგობარი ჟან-ჟაკი გარდაიცვალა. მეხის დაცემასავითაა. რადიოსა და კინოში მოღვაწე ჩვენი მეგობარი ცოტა ხნის წინ რადიო „ლუმიერშიც“ უძღვებოდა გადაცემას ივ ბონგარსონთან ერთად. ჩვენ მალე უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, რომ გადაცემის მომავალზე გვემსჯელა. მეგობრები ერთმანეთს ურეკავენ, ამოწმებენ ინფორმაციას, ემოცია ხელშესახებია ჩვენს პატარა წრეში. ლორან ჟერას, რომელიც ჟან-ჟაკივით ბრესიდანაა და მას კარგად იცნობდა (თავის მხრივ, ჟან-ჟაკმაც მისი საქებარი სიტყვა წარმოთქვა, როცა ის წლის ბრესანელად აირჩიეს), არ სჯერა ეს ამბავი. ჟან-ჟაკი ჩვენზე უფროსი იყო. ყველას გვიჩნდებოდა განცდა, რომ მას ყოველთვის ვიცნობდით – განათლებულ, ნიჭიერ, საყვარელ, გულკეთილ ადამიანს. ამბობდა, რომ წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ჯონ ფორდმა გადაიღო „ლე ბუჟე“ და

„ენის ხიდი“. „პრემიერის“ მკითხველები, „ფრანს ინტერის“ მსმენელები, „სინე+“-ის ტელემაყურებლები იცნობდნენ მის ხმას და გონებას. სინამდვილეში კიდევ უფრო აღმატებული იყო. ის სარლას ფესტივალზე, შემოდგომის ერთ-ერთ შეხვედრაზე გულის შეტევით გარდაიცვალა. ჩემი დღიური ნეკროლოგების კალენდრად იქცა. საუზმის დროს პრესას უჩვენებენ სპილბერგს, ფილმი დეკემბერში უნდა გამოვიდეს. „ჯაშუშთა ხიდი“ არის ბრძნული ნაწარმოები, როგორიც უკვე იყო მისი შედევრი „ლინკოლნი“. 70 წლის ასაკშიც სპილბერგი აგრძელებს ამერიკის ისტორიის მიმოხილვას და ახალ ადგილს იკავებს ჰოლივუდურ კინოში. ვინ წარმოიდგენდა, რომ ახალგაზრდა ზენიჭიერი ავტორი ფილმებისა „დუელი“ და „ზღვის კბილები“ შეძლებდა პოლიტიკური მედიტაციისა და კოლექტიური ინტროსპექციის ამსახველი კინოს გადაღებას?

წყნარი დღე დაიწყო. არც შეხვედრები მაქვს, არც კრებები. ამ უიკენდზე პარიზში ვრჩები. არც ტჟვ მჭირდება ამ წვიმაში. გარემოება მცვლის. ნაშუადღევის მიწურულს „გრან პალეში“ გავრბივარ ფოტოგამოფენის სანახავად. ეს არის ჩემთვის, როგორც მოყვარულისთვის, ყოველწლიური თვალისმომჭრელი ექსპოზიცია. ერთი სიამოვნებაა დიდი საერთაშორისო გალერეების ნახვა, რომლებშიც უახლესი განძია გამოფენილი. 2014-ში სუჟიმოტოს კინოდარბაზების გამოფენა იმ წელს ყველაზე ლამაზი იყო; ვერასოდეს მოახერხებ ამ ფოტოების ერთბაშად ნახვას, თითოეული 25 000 დოლარი ღირს და მათი შეძენაც არ არის ადვილი.

ვხვდები აგრეთვე კატრინ დერიოზს და ჟაკ დამეზს რევერბერიდან და მარიონ პრანალსა და ფილიპ ჟაკიეს ვარდების ლუმიერიდან. ფილიპი არის გაბრიელ ვერის, ლუმიერის ოპერატორის შვილთაშვილი. მერე იყო კინოპროდიუსერი (ის კრისტოფ ონორეს გვერდით იყო ფილმის „17-ჯერ სესილ კასარის“ გადაღებისას), შემდეგ ძველი ფოტოების ექსპერტი და გალერისტი გახდა. ამ საღამოს ძალიან გახარებულია, ერთ დიდ ამერიკულ მუზეუმს გვარიან ფასად მიჰყიდა ფოტო, რომელიც იაფად ჰქონდა შეძენილი ერთ-ერთ საიდუმლო ტერიტორიაზე. მისი სალონი უკვე მიღწევაა.

ველოსიპედით ვრუნდები ლიონის ქუჩაზე. გადავწყვიტე, აღარ წავიდე მეგობართან საფრანგეთ-გერმანიის მატჩის სანახავად. სახლში ვრჩები. მარი და ბავშვები ხვალ შემომიერთდებიან, საღამო წყნარი მექნება. მატჩს ვუყურებ, მაგრამ ზაპინგი მიყვარს და არხიდან არხზე დავრბივარ, და უცებ ვხედავ, რომ რაღაც არანორმალური ხდება. ტვიტერითა და საინფორმაციო არხებით შევიტყვე, რომ ტრაგედია აქ, პარიზში დატრიალებულა. აქედან ახლოს, შარონის ქუჩასა და ვოლტერის ბულვარს შორის (ეს ის გზაა, რომლითაც ჩემს მეგობართან დავდივარ ხოლმე) ორგანიზებული თავდასხმების შედეგად ხალხი დახოცილა.

შაბათი 14 ნოემბერი

...

ამ დილით ლიონში უნდა წავიდე. მე და მარიმ გადავწყვიტეთ, რომ არ იქნებოდა კარგი იდეა, ბავშვებს დავხვედროდით ქალაქში, სადაც დრამა დატრიალდა, და სიკვდილი და საფრთხე იყო ჩასაფრებული. სადგურის ბაქანზე უცნაური სიტუაცია დამხვდა. ქუჩებში გამეფებული სიჩუმე იყო პასუხი დიდ კითხვის ნიშანზე. გუშინ საღამოს, შიშმა და გაფრთხილებებმა ვერ შემაჩერეს და გარეთ გავედი, მაგრამ სწრაფადვე მოვბრუნდი. ის რაც მოხდა, სახელი არ აქვს.

კვირა, 15 ნოემბერი

...

ძნელია, გავაგრძელო დღიურების წერა, გავაგრძელო მუშაობა, მოვუსმინო მუსიკას, რადგან ბევრი ადამიანი მხოლოდ იმიტომ დაიხოცა, რომ ლუდის დალევა მოუნდა ან კონცერტზე წავიდა. ვერაფერი გადაწონის დრამას, რომელმაც ჩვენი გონება მოიცვა, და არა მარტო ჩვენი – მთელ ქვეყანას მოედო. როგორ ვიფიქრო იმაზე, თუ რა მოხდება მაისში ზღვისპირა ფესტივალზე? ლორანი მირეკავს ჩრდილოეთ საფრანგეთიდან, სადაც ის გასტროლებზეა. სრულიად უმწეო მდგომარეობაშია. ხელოვანები აუქმებენ სპექტაკლებს. ისმის

კითხვა, რა უნდა ვქნათ: „უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება და სიცილი, არა?“

ორშაბათი, 16 ნოემბერი

ბედის ირონიით თავდასხმა მზადდებოდა საფეხბურთო მატჩზე, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდებოდა XX საუკუნეში ორი მტერი ქვეყანა, საფრანგეთი და გერმანია, რომლებიც 1945 წლის მერე მხოლოდ ურთიერთმეგობრობის, ურთიერთკავშირის და ევროპის სათავეში საერთო გეგმის შესახებ იუწყებოდნენ. ძველებურ ომებში, რის შესახებაც ყვებოდა მაიკლ პოუელი თავის „პოლკოვნიკ ბლიმპში“ (ამ წიგნის მიხედვით 1943 წელს გადაღებულ ფილმში მხილებული იყო „მოქალაქეობრიობის“ ნაკლებობა და XX საუკუნის კონფლიქტები), ურთიერთდაპირისპირებები რაღაც წესებსა და „კანონებს“ ემორჩილებოდა, მტრები ერთმანეთს პატივს სცემდნენ. „ჯაშუშთა ხიდში“ სტივენ სპილბერგი (ვისთან ერთადაც შაბათს უნდა მესაუზმა, მაგრამ ჩვენი შეხვედრა გადაიდო პარიზში მომხდარი ტერორისტული თავდასხმების გამო, ხოლო სპილბერგი ბერლინიდან პირდაპირ ნიუ-იორკში წავიდა) ლაპარაკობს ცივ ომზე, რომელმაც კინაღამ მთელი პლანეტა ააფეთქა; მაგრამ ფილმი გვიჩვენებს, რომ ომის გამჩაღებლების ქცევას იწვევს მინიმალური ჰუმანურობა, XXI საუკუნის დასაწყისში ბრძოლის ახალი ფორმაა აღზევებული, მის წინაშე კი ჩვენ უძლურნი ვართ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის პასუხი დასავლეთის აღმასვლაზე მსოფლიო მასშტაბით. ცხადია, იგი იკვებება საზოგადოებიდან გარიყული ადამიანების სასოწარკვეთით საფრანგეთში, რომელმაც სათანადო ყურადღება არ მიაქცია თავის შვილებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩადენილი ტერორისტული თავდასხმები ახალი ტიპის ბარბაროსობაა. ხშირად ვფიქრობ, რომ 2015 წელი 1945 წლად უნდა წარმოვიდგინოთ, ომის შემდგომ ომის გარეშე პერიოდად, რომლის დროსაც კინოსა და კულტურას ექნება სათქმელი, როგორც ეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა. სხვა ვერაფერი დაამყარებს წესრიგს მსოფლიოში. ამ დილით პირიქით მგონია, რომ

ომისწინა პერიოდია, ომისა, რომელსაც არ ვიცნობთ და რომელიც მკაფიოდ არ იკვეთება. ახალგაზრდები ითვისებენ „მარსელიეზას“, რაც ჩვენ წარსულის გამომხატველ ჰიმნად მიგვაჩნდა. ჩვენი პაპების თაობა ნაცისტებს აუმხედრდა. მქონდა პატივი მემასპინძლა დანიელ კორდიესთვის ლუმიერის ინსტიტუტში. ის მოგვიყვა, როგორ მყისიერად მიიღო გადაწყვეტილება მან, შარლ მორას მიმდევარმა ახალგაზრდამ, და 1940 წლის ივნისში უცებ შეუერთდა წინააღმდეგობის მოძრაობას. ანალიზი ვერ ხერხდება, ტელევიზიები ისვრიან ინფორმაციას, პოლიტიკოსი კავდება ამ საკითხით, რადგან მწარედ გააკრიტიკებენ, თუ ამას არ იზამს. უქმად ყოფნა არ შეიძლება, თუმცა ახლა სწორედ ასეა. პარიზში დრამატული ატმოსფეროა, ითვლიან მკვდრებს, პირდაპირი გაგებით, ცდილობენ მათი ვინაობის დადგენას. პროვინციაში სხვანაირი ატმოსფეროა, მაგრამ ჩვენი ქვეყანა აღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო.

სამშაბათი, 17 ნოემბერი

ამელის ქუჩაზე უჩვენებენ ოლივერ სტოუნის ახალ ფილმს „სნოუდენს“, რომელიც არცთუ წარუმატებლად მოჰყვება „ველურებს“. მიყვარს ეს გამოთქმა – „არცთუ წარუმატებლად“, რადგან ბევრ ფილმს შეიძლება მივუსადაგოთ, ახსნა-განმარტების გარეშე. ეს დაბრძენებული სტოუნია (ყველას არ შეიძლება მოსწონდეს, რასაც ის აკეთებს და ამბობს, მაგრამ მისი ფილმები გულგრილს ვერავის ტოვებს. მე ყველაზე მეტად მომწონს „სალვადორი“ და „კვირის ჯოჯოხეთი“), რომელიც თავმდაბლურად შრომობს, რომ შექმნას ედვარდ სნოუდენის ბიოგრაფიული პორტრეტი; ბრწყინვალე ახალგაზრდა კაცის პორტრეტი, რომელიც საიდუმლო სამსახურებში შეაღწევს 11 სექტემბრის შემდეგ. ის ამჩნევს, რომ რაღაც ვერ არის კარგად იმ საზოგადოებაში, რომელმაც ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო უკონტროლოდ დატოვა. ფილმი ავსებს ლორა პუატრას შესანიშნავ დოკუმენტურ ფილმს „Citizenfour” და იხსნება ჰონკონგის იმავე სასტუმროს ოთახით – ვხედავთ განგაშის ამტეხს, რომელიც ფიქრობს, როგორ მოიქცეს, რომ ეფექტურად წარმოაჩინოს ზედამხედველო-

ბის საზოგადოების აკვიატებითი გადახრები. მორიც ბორმანი და მისი კომპანიონები (ამ შემოდგომაზე უშვებენ ფილმს „Spotlight“ / „პროჟექტორი“/) ფილმის ამერიკელი პროდიუსერები არიან, ხოლო ჟერომ სედუ და პოლ რასამი – კოპროდიუსერები და დისტრიბუტორები საფრანგეთის მხრიდან. ჟერომს ძალიან უნდა კანი, პოლს ნაკლებად: „თუ ფილმს შემოდგომაზე გამოვუშვებთ, კანისთვის ძალიან ადრე იქნება“. „თუ გინდათ, ფილმი თქვენი იქნება“, – გვეუბნება ერთ-ერთი გამყიდველი. ძნელია საბოლოო აზრის გამოტანა ჯერ კიდევ დაუსრულებელი ვერსიიდან, რომელსაც სუბტიტრები არ ახლავს, მაგრამ მეც და კომიტეტის წევრებსაც ფილმი მოგვწონს. გადაჭრით ვიცით მხოლოდ ის, რომ ბერლინში არ წავლენ. არ არის იმის საჭიროება, რომ ახლავე გადავწყვიტოთ. ჩვენთვის ეს ჯერ კიდევ ცხელი ამბავია, მოტორი ცივია და საბურავები უხეში. აჯობებს, დასრულებული ფილმი თავიდან ვნახოთ, მომავალი წლის დადგომისთანავე. მაშინ შევძლებთ გადაწყვეტილების მიღებას.

ოთხშაბათი, 18 ნოემბერი

თავდასხმა: კინორეჟისორები, მსახიობები, კოლეგები, კაცები, ქალები, ახალგაზრდები, ხნიერები, მთელი მსოფლიოდან, გვიგზავნიან მხარდამჭერ მესიჯებს. ემოციები და სინდისის ქენჯნა ერთდროულად მიპყრობს. რატომ ჩვენც არ მივწერეთ ყველას, ყველა მეგობარს, როცა მათ ქვეყანასაც დაატყდა თავს ასეთი უბედურება? არ მივწერეთ აშშ-ში, ესპანეთში, აზიაში, აფრიკაში? რაღაც არის ამაში, 11 სექტემბერი სათანადოდ არ მოვიხსენიეთ. ამერიკელთა თანაგრძნობა გვახსენებს, როგორ აუღელვებლად და ქედმაღლურად ვაკეთებდით (ან არ ვაკეთებდით) იმავეს 2001-ში. ფრანგებს აქვთ ერთი გასამართლებელი საბუთი – მათ ყველა სძულთ და თავის თავიც ყველაზე მეტად. ახლა ვაცნობიერებთ, რომ თურმე ჩვენს ქვეყანას ყველგან პატივს სცემენ და გული გვიჩუყდება, როცა გვესმის როგორ მღერიან „მარსელიეზას“ მთელი მსოფლიოს დარბაზებსა და რესტორნებში, ანდა როცა ვხედავთ, როგორ ტირის გიტარაზე მადონა, როცა სულისშემ-

ძვრელად ასრულებს „ვარდისფერ ცხოვრებას“, როგორც ამ შაბათს სტოკჰოლმში იმღერა.

სენ-დომინიკის ქუჩაზე ვსაუზმობ პატრიკ ბრუიესთან, მხატვრული და საცდელი ფილმების ფრანგული ასოციაციის ყოფილ პრეზიდენტთან, და ჟან-ჟაკ ჟენესთან ერთად. პატრიკი არის დირექტორი მარლი ლე რუას, ნანტერისა და ანიერის კინოდარბაზებისა, რომლებიც ტრადიციულად ეთმობა ხოლმე წინასაპრემიერო ჩვენებებს. ჟან-ჟაკი ფლობს „სინესპასს“ ბოვეში, სადაც ის ინახავს ორმოცწლიანი შრომის შედეგად დაგროვებულ ნივთებს, დოკუმენტებსა და აფიშებს. ჟან-ჟაკი წიგნებსაც წერს კინოდარბაზებზე, მოკლედ რომ ვთქვათ, კარგი კაცია. ჩვენი ქვეყანა სავსეა ასეთი მეწარმეებით, რომლებიც არიან მამაცები, აქტიურები, უდისციპლინები, მაგრამ საერთო ინტერესისთვის მებრძოლები. პატრიკი ყველა ფილმს ნახულობს და ამიტომ სასიამოვნო კომპანიონია. მას შეუძლია სწრაფი დაშვება თხლამურებით ვალ დიზერში, ახლად დადებულ თოვლზე. მას აქვს სინდიკატის გრძნობა და გლეხური შფოთვა, შეუვალია ფასებისა და ბრძოლების მიმართ: „ჩვენი დარბაზებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ფილმებზე წვდომა!“ – სცრის კბილებიდან ჟან-ჟაკი. მართალია, ყოველთვის ასე იყო, მაგრამ მათ თვალწინ პეიზაჟი იცვლება. როცა ალმოდოვარი, გედიგიანი და დეპლეშენი პირველ ნაბიჯებს დგამდნენ, სწორედ ამათ გაამხნევეს თავის დროზე. ახლაც უნდათ უკვე ამ ცნობილი რეჟისორების ფილმების ჩვენება და თან ახალგაზრდა, თანამედროვე ავტორებზე ყურადღების გადატანა, მაგრამ წარმატებულ კინომოღვაწეებს თვალი უკვე სხვაგან გაურბით.

დღის ბოლოს ვიგებთ ჟონა ლომუს გარდაცვალების ამბავს. ის არა მარტო რაგბის დიდი მოთამაშე, არამედ ნოვატორიც იყო, ბავშვი კუნძულებიდან და ბიჭი ზონიდან.

ხუთშაბათი, 19 ნოემბერი

ყოველ წელს, ყველაწმინდის ზეიმთან დაკავშირებული შვებულების დროს, როცა უკან გვაქვს მოტოვებული 11 ნოემბრის უქმე დღე, ჟიურის

თავმჯდომარეს ვირჩევთ. ეს არის პირველი კონკრეტული ამბავი და დიდი მოგზაურობის სიმბოლური დაწყება. უფრო ადრე ამას არ ვაკეთებთ, რადგან აჩქარებას აზრი არ აქვს. ზოგი კინოხელოვანი ფილმს იღებს ან გადაიღებს, ან ისვენებს, რადგან უკვე გადაიღო. რაც არ უნდა კანის ფესტივალი იყო, კინოვარსკვლავებს თავიანთი განრიგი აქვთ. ჩვენი ვალია ახალი ამბები არ გამოგვრჩეს, რადგან არტისტი, რომელიც იდეალურ მდგომარეობაში იყო ზაფხულში, შეიძლება ასე აღარ იყოს მომავალი წლის გაზაფხულზე. გამოუსწორებელი მედღეხვალიე ვარ, მირჩევნია დავიცადო, ვიგრძნო მომენტი, ვიტრიალო რაც შეიძლება დიდხანს ძელის გარშემო. გამონაკლისი იყო სტივენ სპილბერგი. მასთან საუბრები სამი წლით ადრე წამოვიწყე (ვხვდებოდით, ვლაპარაკობდით, ხან ლოს-ანჯელესში, ხან პარიზში, მას ძალიან უნდოდა ჟიურის თავმჯდომარეობა და როგორც კი გათავისუფლდა, ჩამოვიდა). აზრი არა აქვს ვინმეს ამორჩევას, თუ მისი განრიგი არ იცი, არ უნდა იოცნებო, რომ მას ეს საქმე აინტერესებს. კანის ჟიურიში ყოფნა, ნიშნავს ორკვირიან მუშაობას, იმ ადამიანების ბეჯით და ნებაყოფლობით შრომას, რომელთაგან ზოგი მიჩვეულია დიდი თანხების მიღებას, ზოგისთვის ეს გადაღების რამდენიმე დღეა; ამ წინადადებაზე დათანხმება არ გულისხმობს შესვენებას და მხოლოდ დიდი სურვილი უნდა გამოძრავებდეს, რომ ეს გააკეთო. თუ განრიგის საქმე მოგვარებულია, წესით, არ გვიჭირს ხოლმე მათი დაყოლიება.

უკვე მაქვს თხუთმეტამდე სავარაუდო ადამიანის სია, რასაც წელიწადში ერთხელ ვაახლებ და რაზეც ადმინისტრაციულ საბჭოზე ვმსჯელობთ. ისეთ ხალხს ვირჩევთ, ვისაც შეეძლება თავისი ფუნქციის შესრულება. ჟიურის თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს ურთიერთობებისა და ჯგუფის ხელმძღვანელობის უნარი, უნდა შეეძლოს მოყვასის ფილმები ისევე უყვარდეს, როგორც თავისი.

ყველაზე მეტად ლეგიტიმური უნდა იყოს კანის ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარის ტიტული. მან ჟიურის წევრებთან ერთად უნდა შეაფასოს მსოფლიო კინოს ელიტა და პლანეტის საუკეთესო რეჟისორების ბოლო ნამუშევრები. მას უნდა შეეძლოს გამოიწვიოს პატივის-

ცემა, შექმნას სიცხადე, გაუჩინოს სხვებს აზრის გამოთქმის სურვილი, პუბლიკას, ჟურნალისტებს, მომავალ რჩეულებს. ჩვენი არჩევანი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

პიერთან იმავე მეთოდს ვიყენებ, რასაც ჟილ ჟაკობთან ვიყენებდი. ჯერ ვსაუბრობთ, პატარა აქცენტებით, სწრაფი მინიშნებებით, ღრმა დისკუსიის ფონზე და ყველას საქმის კარგად კეთების სურვილი გვამოძრავებს. ...და იმის შიში, რომ ხალხს გული არ გავუტეხოთ. მარტივი კითხვებია: ვინ არის თავისუფალი, ვინ არა, გვჭირდება ევროპელი, ამერიკელი, აზიელი, კაცი, ქალი, რეჟისორი, თუ მსახიობი? ამის მერე უკვე ერთვება დრო, მეგობრობა, სურვილი და მოულოდნელობა, როგორც 2015-ში, როცა ჟიურის თავმჯდომარეობაზე ხმა მივეცით ორ ადამიანს. მანამდე ძმები კოენები უარს ამბობდნენ კანის ჟიურიში მონაწილეობაზე, ცხოვრებაში არასოდეს ჰქონიათ მსგავსი გამოცდილება. მესიჯით დავუკავშირდი ჯოელს, უფროს ძმას, რომელმაც დამირეკა ნიუ-იორკიდან. რამდენიმე იმეილიც გავუგზავნეთ ერთმანეთს (მგონი, ზუსტად არ მახსოვს!), ბოლოს, ტელეფონით ვილაპარაკეთ 27 დეკემბერს (ეს კარგად მახსოვს, მარსელში ვიყავი მაშინ, წყნარად ვიჯექი ამ ბრწყინვალე ქალაქის ძველ პორტში). ჯოელმა გამიმხილა, რომ მას და ეტანს ძალიან უნდოდათ კანის ფესტივალის ჟიურიში მონაწილეობა, მაგრამ დასამონტაჟებელი ჰქონდათ ახალი ფილმი „გამარჯობა კეისარო“ სტუდიაში, რომელიც ალბათ არ დათანხმდებოდა ჩვენს წინადადებას (ეს იყო სტუდია „უნივერსალი“). არანაირი შანსი აღარ იყო. შემდეგ ჯოელმა იხუმრა, რაღაც სასაცილო ამბავი გამოახტუნა, რამაც კიდევ უფრო მომანდომა, რომ კოენები ჩვენ გვერდით ყოფილიყვნენ. როცა მითხრა, მალე დავრეკავო, ილუზია არ მქონია, მეგონა, რომ უარს გვეტყოდა. მაგრამ, არა – „კი! „. პიერი ბედნიერი იყო იმით, რომ მისი უფლებამოსილება ასეთ კინორეჟისორებთან მუშაობას დაუკავშირდებოდა.

2016-შიც გვინდოდა ჟიურის თავმჯდომარედ ქალი, შარშან ჯეინ კემპიონის და 2009-ში იზაბელ იუპერის მერე. ფესტივალი, ისე როგორც კინო, არასოდეს ყოფილა სამაგალითო ქალთა საკითხში –

ფესტივალის დაბადების წლიდან, 1946-იდან, ოცი წლის შემდეგ, 1965 წელს დასახელდა ქალი ჟიურის თავმჯდომარედ – ოლივია დე ავიანი, შესანიშნავი მსახიობი, გულით პარიზელი და მებრძოლი (მან დაუსვა წერტილი ჰოლივუდის სტუდიებზე მსახიობების დაქვემდებარებას). მანამდე მხოლოდ კაცები იყვნენ თავმჯდომარეები. პარადოქსია, რომ ოლივიას შემდეგ სოფია ლორენი იყო თავმჯდომარე. ორმოცდაათი წლის წინ! მან ორი „ოქროს პალმა“ გასცა, ერთი კლოდ ლელუშს მიაკუთვნა, მეორე – პიეტრო ჯერმის. ზედიზედ ორჯერ ქალი თავმჯდომარე აღარასოდეს ყოფილა. თუმცა 70-იანი წლები ფემინისტური იყო: მიშელ მორგანი – 1971, ინგრიდ ბერგმანი – 1973, ჟანა მორო – 1975, ფრანსუაზ საგანი – 1979... სამი მსახიობი და ერთი მწერალი. ამის მერე თხუთმეტწლიანი ლოდინი გახდა საჭირო, რომ ჟანა მორო გამხდარიყო ჟიურის თავმჯდომარე. ეს იყო კინოს ასი წლისთავის წელს, 1995-ში, ორი წლის მერე იყო იზაბელ აჯანი, ხოლო ლივ ულმანი – 2001-ში, ჩემი მოსვლის წელს. მაშინ ჯუდი ფოსტერი უნდა ყოფილიყო თავმჯდომარე, მაგრამ გადაღებაზე ყოფნის გამო იძულებით თქვა უარი. ლივმა ჩაანაცვლა ის. ლივ ულმანი იყო მომთხოვნი ჟიურის თავმჯდომარე. იქ კიდევ ორი პროფესიონალი იმყოფებოდა: ტერი ჯილიამი და მატიე კასოვიცი. ჟიურის წევრებში ყოველთვის არის დაცული პარიტეტი, რაც შეეხება თავმჯდომარეობას, ეს ნაკლებადაა გამოხატული, თუმცა არანაირი დაწერილი კანონი არავის არაფერს აიძულებს. რადგან ქალი რეჟისორები ბევრად ნაკლებნი არიან (თუ იმავე კრიტერიუმებს მივუყენებთ, რასაც კაც კანდიდატებს), ამიტომ თავმჯდომარეებად ავირჩიეთ მსახიობი ქალები, გარდა ჯეინ კემპიონისა. ჟილმა გვითხრა, რომ ცდილობდა მერილ სტრიპის დათანხმებას, მაგრამ არ გამოუვიდა. მერილ სტრიპი იქნება ბერლინში, ამიტომ წარმოუდგენელია, რომ ხვალ კანში ჩავიდეს. ქეთრინ ბიგლოუ, რომელმაც გადაიღო „Zero, Dark, Thirty” (ამ ფილმს ფრანგულად ეწოდება „ოპერაცია გათენებამდე“) და „Point Break” („განხეთქილების წერტილი“), ერთ-ერთი იმ ხელოვანთაგანია, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებზე ნაკლებად ცნობილები არიან (ჯოზეფ მანკიევიჩიც ასე-

ვე), მაგრამ ის ჟიურის თავმჯდომარეობის კანდიდატია. ჟულიეტ ბინოშმა იცის, რომ ჩვენ შეხვედრა გველის ამ თემაზე, მაგრამ არა 2016-ში, რადგან ის თამაშობს ბრუნო დუმონის ფილმში, რომელიც მალე განაცხადს გააკეთებს ფილმის კონკურსში ჩართვაზე. ჩვენ გვინდოდა ქალი, მაგრამ ეს არც ისე ადვილია.

პარასკევი, 20 ნოემბერი

პატარა სასაფლაოზე ვართ. ცივი წვიმა გვასველებს, როგორც „ფეხშიშველ კონტესაშია". ამ დილას, შენეში, ივლინების მხარის სოფელში, რომელსაც რენუარისებური სახელი აქვს, ვასაფლავებთ ჟან-ჟაკ ბერნარს, რომელიც ტერორისტული თავდასხმების წინა დღეს გარდაიცვალა. აქ არიან მისი ახლობლები და მეგობრები. ამ ბოლო სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, ზოგი მისი მშობლიური ბრესიდან ჩამოვიდა, ზოგი ლიონიდან, ზოგიც პარიზიდან, მოკლედ, საიდან აღარ. პროფესიის წარმომადგენლებიც აქ იყვნენ, მათ შორის ემანუელა ბერკო, რომელსაც უნდა ეთამაშა მის პირველ ფილმში. ერთ მშვენიერ დღეს ჟან-ჟაკმა მიიღო გადაწყვეტილება თავი დაენებებინა კრიტიკოსობისთვის, რადგან სასაცილოდ მიაჩნდა ეფემერული მოსაზრებების გამოთქმა, რომელიც მის თვალში სწრაფად კარგავდა მნშვნელობას. ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო მათ შორის, ვისაც სხვათა ღირსების წარმოჩენა შეუძლია, მაგრამ მან გადაწყვიტა, რომ დადგა დრო, საკუთარ თავზეც ეფიქრა. „წარმოგიდგენია? – აღტაცებით მითხრა ერთხელ, – ჩემს ასაკში რომ აღმოაჩენ სცენარის წერის ბედნიერებას, შიშის განცდას, სხვა რას იტყვის, რომ წაიკითხავსო; რომ აღტაცებას მოგგვრის ახალი სამყაროს შექმნა, შეხვდები ტექნიკოსებს, მსახიობებს და მათთან ერთად წაიკითხავ ტექსტს. ამდენ ხანს რას ველოდებოდი?"

ჟან-ჟაკის უდიდესი პორტრეტი იმზირება ეკლესიიდან, ის თავის უკანასკნელ კეთილ მზერას უგზავნის მეგობრებს. ჩვენი გლოვის დღე გადაეჯაჭვა მეორე გლოვას, მთელი ხალხის ტრაგედიას, ჟან-ჟაკი დავასაფლავეთ „13 ნოემბრის უბედურებიდან" შვიდი დღის

შემდეგ. მან ვერ მოასწრო ამ საშინელების განცდა, გააზრება და შედეგების ნახვა. ერთი კვირაა გასული ამ ტრაგედიიდან. ამ საღამოს ხალხი იკრიბება პარიზში ტრაგედიის ადგილზე, შარონის ქუჩაზე, ავტომატებით დაცხრილული ბარების ტერასებთან.

მანქანით წავედი პიერთან შესახვედრად ისი-ლე მულინოში, „კანალ+"-ის რეზიდენციაში, იქვე არიან მაქსიმ საადა და დიდიე ლუპფერი. ისინი ხელს აწერენ დოკუმენტს და კმაყოფილები ჩანან. ჩვენც ასევე. ვბრუნდები ლიონში, მეც ისე ვარ, როგორც ყველა ამ ქვეყანაში – სახლში ყოფნა მინდა. ამ უიკენდზე ლორანიც ლიონში იქნება, ორ კონცერტს ჩაატარებს ტონი გარნიეს „ლა ალში". არაერთი სადილი მელის წინ.

შაბათი, 21 ნოემბერი

მთელი კვირაა პიერს ვაკვირდები. ჟიურის შესახებ მეორე რაუნდში პიერი მონაწილეობს. ამას დიდ გონიერებას ატანს, როგორც ჟურნალისტი, რომელიც იცნობს ხალხის აზრს. მაინტერესებს კრისტიან ჟენის აზრიც, რომელსაც, საკმარისია შეხედო და სახეზე აღბეჭდვია პასუხი. მინდა ვიცოდე, რას ფიქრობს ლორ კაზნევიც, რომელიც ფესტივალის დროს ჟიურისთან მუშაობს, გრძნობს საგნებსა და მოვლენებს. მსგავსი მეთოდით ვმოქმედებთ ოფიციალური კონკურსის დროსაც, როცა საბოლოო მონტაჟი ჩვენ გვეკუთვნის, ფართო კონსულტაციები არ არის პრობლემა და თან ასეთი მიდგომა ილუზიებს აქრობს. პირველი გადაწყვეტილება, რომელიც მე და პიერმა მივიღეთ – ჟიურის თავმჯდომარე არ იქნება ამერიკელი, რადგან ამ ბოლო დროს ხშირად გვყავდა იქაურები. კანი კი არის საერთაშორისო კინოფესტივალი. ანუ ამერიკელებს ექნებათ პაუზა. მერე მათი რიგიც მოვა.

კვირა, 22 ნოემბერი

დიდი ხანია, ყოველწლიურად ერთი გვარი მიტრიალებს თავში ჟიურის თავმჯდომარედ, გოდარი. ის კანის გამოც მახსენდება და კიდევ ბევრი სხვა რამის გამოისობითაც, რადგან ჟან-ლუკს მეტად

თვალშისაცემი ჩრდილი ახლავს. რივეტი მძიმედაა ავად, გოდარიღა დარჩა ერთადერთი მოქმედი კინორეჟისორი იმ ხუთი მუშკეტერიდან, ყოფილი ახალგაზრდა თურქებიდან, რომელთაც შექმნეს ახალი ტალღა. არ მინდა ნეკროლოგიურ მეტაფიზიკაში გადავვარდე, მაგრამ უზომოდ ამაღელვებელია დაკვირვება ამ ჯგუფის სახეებზე, ორ მნიშვნელოვან წარმომადგენელზე, რომლებიც იყვნენ ძმები, მეგობრები, მტრები. ესენი არიან ტრიუფო და გოდარი: ტრიუფო ადრე გარდაიცვალა 1984 წელს (მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ის ასაკოვანი მეგონა, თუმცა ახლა მე მასზე მეტის ვარ), გოდარი ჯერ კიდევ ჩვენ გვერდითაა. ახალი ტალღა ასე შემოფარგლეს მათ.

არასდროს მიკითხავს ჟილ ჟაკობისთვის, შეუთავაზებიათ თუ არა გოდარისთვის 80-იან ან 90-იან წლებში ჟიურის თავმჯდომარეობა, ან უარი ხომ არ უთქვამს ასეთ შეთავაზებაზე. მარტო გოდარი არ არის დარჩენილი იმ დიდ კინორეჟისორთაგან, ვინც არასოდეს ყოფილა ჟიურის თავმჯდომარე. არც ბერგმანი, არც ტარკოვსკი და არც ფელინი... როგორც ტარანტინო ამბობს: „ოქროს პალმის მომპოვებელთა სია მშვენიერია, მაგრამ კიდევ უფრო მშვენიერია იმ ხალხის სია, ვისაც ეს ჯილდო არ მოუპოვებია!“ იგივე შეიძლება ვთქვათ ჟიურის თავმჯდომარეებზე. ის, რომ ეპოქალური მნიშვნელობის ხელოვანები გამოგვრჩა, აკვიატებად მექცა. ტოსკანმა მითხრა, რომ თურმე მორის პიალაც ოცნებობდა ამაზე, სილვიმაც დამიდასტურა. ფესტივალს ალბათ შეეშინდებოდა, რომ ასეთი პერსონაჟი ემართა. „ჟილის ადგილზე ვარ მე, – მითხრა ადრე ტოსკანმა. – მორისს შეეძლო ყველაფრისა და ყველასთვის ცეცხლი წაეკიდებინა, ყოველ წამს. მის დროს ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, უარესიც და უკეთესიც“. სილვი ამბობს, მორისი ანგელოზივით მოიქცეოდა და მასზე საპირისპიროს რომ ფიქრობდნენ, ეს მაწუხებსო.

რამდენიმე წლის წინ, ზემოხსენებულ თემაზე ჟან-ლუკს დაველაპარაკე თავის პარიზის ბიუროში, სერბეთის პეტრე პირველის ქუჩაზე. „კარგი იქნება, თუ ერთხელაც დათანხმდებით ჟიურის თავმჯდომარეობას“. „დიახ, კარგი იქნებოდა. ჟიურიში ყოველთვის არიან სხვა ქვეყ-

ნებიდან ჩამოსულები, ვისაც ვერასოდეს შევხვდებოდი სხვანაირად, მაგალითად, ბულგარელი უფროსი ოპერატორივით ტიპები“. „ბულგარელი უფროსი ოპერატორი“ სამუდამოდ დამამახსოვრდა. საკუთარ თავს ვუთხარი: უფრო ხშირად უნდა ვიყვანდეთ ჟიურიში ბულგარელი უფროსი ოპერატორივით ხალხს! ორი წლის წინ მას „განსხვავებული ხედვის“ ჟიურის თავმჯდომარეობაც შევთავაზე, რადგან ძალიან უყვარს დებიუსის სახელობის დარბაზი, სადაც ფილმებს უშვებენ. ყველაზე მეტად სწორედ აქ გადის ფილმები, რომლებსაც, ჩვენი აზრით, ის სიამოვნებით ნახავდა. მან უარი თქვა. მე და პიერმა გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ გვეთხოვა მისთვის ჟიურის თავმჯდომარეობა.

ორშაბათი, 23 ნოემბერი

კრისტიანი ოქტომბერში კორეაში იყო, მერე ტურნე გააგრძელა მისთვის საინტერესო ქვეყნებში და ახლა უკვე გოას ფესტივალიდან ბრუნდება, როგორც ამბობენ, რამდენიმე სიით. გაგვიზიარებს ზოგად შთაბეჭდილებას იმაზე, თუ რა ჩამოგვივა წელს აზიიდან. მან ნახა სინგაპურული ფილმის, „შეგირდის“ ნახევარსაათიანი ფრაგმენტი, რომლის სრული ვერსიაც ამ დილას მივიღეთ DVD-ით. ფილმის დასაწყისში დაუდევარი თხრობაა, მერე კი ფილმი ცაში იჭრება. დამეუფლა ნაცნობი შეგრძნება, სურვილი იმისა, რომ გაგრძელდეს ფილმი, შენარჩუნდეს დაძაბულობა, რომ რეჟისორმა ბოლომდე მიაღწიოს მიზნებს. ასეთია ეს ფილმი. „განსხვავებული მზერა“ ზედგამოჭრილია მისთვის, რადგან ის შეიქმნა შორეულ ქვეყანაში და მსოფლიო ეკრანებზე მორიდებულად, მაგრამ მძლავრად შემოვიდა. ვნახავთ, რას ფიქრობს ამაზე საკონკურსო კომიტეტი, რომელსაც გადაწყვეტილების მიღებამდე ყოველთვის ვუსმენ. საჩქარო კი არაფერია, მაგრამ დიტერ კოსლიკი აქტიურობს, ბერლინალემდე ორ თვეზე ნაკლები დარჩა, ამიტომ, ჩვენ არ უნდა დავაგვიანოთ. ისეთი პირი უჩანს, რომ ბუ ჯანფენგის „შეგირდი“ იქნება 2016 წლის პირველი საკონკურსო ფილმი.

ლუმიერის ინსტიტუტში დიდი ფუსფუსია: ბილი უაილდერის რეტროსპექტივას აწყობენ და აქეთ მოისწრაფვის ყველა, ახალგაზრდა

თუ ხანში შესული კინომოყვარული; ამასთანავე, მთლიანად უშვებენ ფილმს „Out 1: Noli me tangere" („არ შემეხოთ"). ასზე მეტმა გადარეულმა შეიძინა ბილეთი თორმეტსაათნახევრიანი ფილმის სანახავად (აჰ, რივეტ!); ამას გარდა, ტომა ვალეტთან ერთად მონტაჟდება მოკლემეტრაჟიანი ფილმი ლუმიერზე. მეწარმეთა ფედერაციას სურს, რომ კინოდარბაზებში გაუშვან 28 დეკემბერს, ლუმიერის კინემატოგრაფის პირველი სეანსის საჯარო ჩვენების დღეს; გამოტანილი გვაქვს აგრეთვე წიგნები კინოს შესახებ. „აქტ სუდ"-ის გამომცემლობაში მე და ბერტრან ტავერნიე ვუძღვებით ამ სერიას მას მერე, რაც ჟურნალისტმა პიერ სორგმა ბრწყინვალება შესძინა ამ საქმეს; დაბოლოს, ვემზადებით სპორტის, ლიტერატურისა და კინოს ფესტივალისთვის, რომელიც იანვარში უკვე მესამედ ზედიზედ გაიმართება. ლუმიერის ინსტიტუტი ჰგავს სკას, რომელიც არასდროს წყნარდება. ასეც უნდა იყოს, რადგან ბიუჯეტიდან ბევრად ნაკლები დაფინანსება გვაქვს, ვიდრე პარიზის ინსტიტუტებს („პარიზი და ფრანგული უდაბნო" – ასე უწოდებდნენ ათეული წლების წინ გეოგრაფები ჩვენს ქვეყანას, ახლაც ასეა). უნდა ვიმოქმედოთ, მოვიძიოთ სხვა რესურსები, კერძო პარტნიორები, უნდა მოვიზიდოთ დიდი ავტორები იმ ადგილას, სადაც დაიბადა მათი ხელოვნება. შეუცვლელ სესილ ბურჟას აქვს ყველა ის თვისება, რაც საჯარო დაწესებულების ადმინისტრატორს უნდა ჰქონდეს: მკაცრია და ფრთხილი, მაგრამ არც გამბედაობა აკლია, როცა საჭიროება მოითხოვს – კერძო პარტნიორებთან, ბანკებთან და მეცენატებთან ურთიერთობების დამყარება ფინანსების მოზიდვის მიზნით. აბა, სხვა რა გზა აქვს?!

ფრანგულ სინემათეკაში კოსტა გავრა თავმჯდომარის როლშია და ყოველმხრივ უსწრებს სერჟ ტუბიანას მემკვიდრის არჩევნებში. მე ამ დაწესებულების შუაგულში ვტრიალებ, მაგრამ არავინ მეკითხება აზრს, რაც ნამდვილად კარგია. გარკვეული ინფორმაცია მაქვს, მაგრამ არც ისე ბევრი. ისმის სხვადასხვა გვარ-სახელი, ზოგი თვითონ ამბობს, პირველ რიგებში ვარო. ზუსტად ვიცი, რომ ოთხი ადამიანი შეირჩა, მათ შორის მარკ ნიკოლა, რომელმაც საუკეთესოდ იმუშავა Fémis-ში

(Fondation européenne des métiers de l'image et du son, გამოსახულებისა და ბგერის პროფესიათა ევროპული ფონდი) და ფრედერიკ ბონო „les Inrocks"-ის მეპატრონე (ფრანგული ყოველკვირეული გაზეთი, რომელიც ეძღვნება როკს). ორივემ დამირეკა.

სამშაბათი, 24 ნოემბერი

პარიზის ნაცრისფერს კანის მზე შეერია. ჟან-პიერ ვიდალი კატალონიური წარმოშობისაა, „ბარსას" ერთგული გულშემატკივარია, 80-იან წლებში დიდხანს ხელმძღვანელობდა კანის ფესტივალის სასახლის ტექნიკურ სამსახურს. ერთხელაც, ის ანგარიშგასაწევი გახდა და ფრანსუა ერლენბაკმა, რომელიც ადრე თვითონ იყო ამ სასახლის ბატონ-პატრონი და ხელმძღვანელობდა ფესტივალს 90-იან წლებში, ყველა ტექნიკური საქმე მას გადააბარა. მას მოღიმარი სახე და გამჭოლი მზერა აქვ, გამოკვეთილი სამხრეთული აქცენტით ლაპარაკობს, რაც სრულიად ამაღლებულს ხდის მის ყოველთვის ხისტ და კონკრეტულ არგუმენტაციას. ჟან-პიერი ღონისძიებათა ტექნიკური მეხსიერებაა, მისი ავტორიტეტი სასწაულებს ახდენს, როცა საჭირო ხდება სრულიად ფანტასმაგორიული, პარიზში ფორმულირებული პროექტების განხორცილება კანში. ის პირდაპირ ორლის აეროპორტიდან მოდის ხოლმე, რომ მომავალი ფესტივალის მაჯისცემა იგრძნოს და ფრანსუა დერუსოსთან ერთად შეადგინოს 2016 წლის ფესტივალის პირველი ბიუჯეტი. როცა ჩვენი გუნდის წევრები მას დერეფნებში ხვდებიან, ეს იმის მომასწავებელია, რომ სერიოზული ამბები ახლოვდება.

შუადღისას, მას მერე რაც ვნახე „Good Luck, Algeria", ფარიდ ბენტუმის პირველი ფილმი (რეკომენდაცია გაუწია ალექსანდრა ჰენოშბერგმა – გამოდგება იანვარში გასამართ სპორტის, ლიტერატურისა და კინოს ფესტივალზეო), დავინახე ვენსან კასელი, სკუტერიდან მიზანმიმართულად გადმოსული ქარისგან დაგვილ ლა მოტ პიკეს ერთ-ერთ ავენიუზე. ამ ვნებიან და წარმოშობით რიოელს უნდა კინოსა და მუსიკის ფესტივალი დააარსოს კოპაკაბანაში, სადაც ის ამჟამად ცხოვრობს. რჩევას მთხოვოს, მაგრამ არ სჭირდება – ყველაფერზე

ნაფიქრი აქვს: პროგრამაზე, ადგილებზე, პუბლიკაზე, ხელოვანებზე, პარტნიორებზე, მეცენატებზე. უნდა, რომ კანი ასოცირდებოდეს ამ ფესტივალთან, როგორც ეს არის ბუქარესტთან და ბუენოს-აირესთან დაკავშირებით. ამას შევისწავლით, მომხიბლავი პროექტია, კანის გაფართოების იდეა ხომ ჩვენი ინტერესიცაა.

ოთხშაბათი, 25 ნოემბერი

წინა ცხოვრებაში პოლიტიკაში იყო, მინისტრის კაბინეტში მუშაობდა, მეორე ცხოვრებაში კერძო სექტორში გადაინაცვლა (ლაგარდერის ჯგუფში), ხოლო ორი წლის წინ ფრედერიკა ბრედენმა ენერგიული ერიკ გარანდო შეცვალა ეროვნული კინოცენტრის პრეზიდენტის პოსტზე. ეს თანამდებობა ბევრისთვის საოცნებოა, მაგრამ საშიშიც არის, რადგან კინოსაზოგადოება არ არის ქვეყნის ყველაზე წყნარი ხალხის ერთობლიობა. ფრედერიკა შესანიშნავად მოერგო ამ პოსტს. ხანდახან თანამდებობის პირები საყვედურობენ დისკრეციის გამო, მაგრამ მისი ასეთი ქცევა ამართლებს – მჟღავნდება საგნებისა და ადამიანებისადმი მგრძნობიარე დამოკიდებულება, რაც ასე ძვირფასია.

ცა საწვიმარი ღრუბლებითაა დაფარული. ფრედერიკა მელოდება ალმას ხიდის ერთ რესტორანში. მშვიდი, მოღიმარი, წრფელი გულით არის მოსული. ზოგიერთივით წარამარა მობილურში არ იყურება, არ იგონებს არანაირ სასწრაფო საქმეს, რომ თავიდან აიცილოს დესერტი და პირდაპირ ყავაზე გადავიდეს. ისევ იმეორებს, რომ სურს იხილოს საფრანგეთი ღირსეულად წარმოდგენილი ოსკარებზე, იხსენებს რაღაცებს და დიდი სინაზით ახსენებს ყოფილ პრეზიდენტს, პიერ ვიოს. კიდევ ბევრ სხვა რამეზე ვლაპარაკობთ, დიდ და პატარა ამბებზე, მაგრამ არანაირი პრობლემა არ ჩანს ჰორიზონტზე, კანი არ არის და არც უნდა იყოს კონფლიქტის საგანი.

ნაშუადღევის მიწურულს მატარებელში შევვარდი, რომ მალე მენახა პირველი ფილმის ქუჩის პუბლიკა. ბევრი დიდი ფილმი იწყება კადრს მიღმა ხმით. ეს ხმაც მსგავსია და არანაკლებ ენიგმატური: „კინომსახიობი ქალის აუზში იპოვეს მოტივტივე კაცის გვამი, რომელსაც სამი

ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ორი ტყვია ზურგში და ერთი მუცელში. ერთი ჩვეულებრივი სცენარისტი იყო, რომელსაც „ბ“ ტიპის ორიოდე სერია ჰქონდა გადაღებული. საწყალი კაცი! მას ყოველთვის უნდოდა აუზი“. გამოიცანით, ხომ? ლუმიერის ქარხნის ანგარის დარბაზის ეკრანზე გადის უმაღლესი დონის ფირზე გადატანილი უმაღლესი დონის ფილმი „Sunset Boulevard”, (სანსეტ ბულვარი) რომელიც დაუვიწყარ შესავალ სიტყვასთან ერთად („მას ყოველთვის უნდოდა აუზი“ და აი, მართლა განაწყენებული ჰოლივუდური ქიმერები) გვთავაზობს არაჩვეულებრივ დასაწყისს პოლიციის სირენებისა და გარიჟრაჟის ფონზე.

უამრავი ხალხია დარბაზში, ბევრის თქმა შეიძლება ამ ფილმზე (მაგრამ კარგი პრეზენტაცია 12 წთ-ზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს). ვიხსენებ ხელოვანებს, რომლებიც თავიანთი პროფესიის მეისტორიეებად იქცნენ, მაგალითად, ბილი ვაილდერს, რომელმაც გააცოცხლა მუნჯი კინო იმით, რომ ერთად მოუყარა თავი სტროჰაიმს, კიტონს, დემილს და გლორია სვენსონს (რომლის ბიოგრაფიაც აუცილებლად წასაკითხია). საუბარს ვამთავრებ ცნობილი ხუმრობით ვაილდერზე. ერთხელ ერთმა პროდიუსერმა მას უთხრა: „ძნელია თქვენი გვარი არ აგვერიოს უილიამ ვაილერის გვარში. მართლაც – ბილი ვაილდერ, უილიამ ვაილერ“. ვაილდერმა უპასუხა: „იცით, ისევეა როგორც „მონე, მანე“.

ყოველთვის დიდი სიამოვნებითა და სიამაყით წარვადგენ ხოლმე ფილმებს კინოდარბაზებში, არასოდეს ვიღლები, არც კანში, არც ლიონში. პუბლიკის მხრიდან გამოჩენილი ყურადღება, მეტის გაგების სურვილი და კეთილგანწყობა ფასს სძენს ჩვენს სამუშაოს. გამოსვლის ბოლოს დარბაზს ვეკითხები, ვის აქვს ნანახი „სანსეტ ბულვარი“, დარბაზის მეოთხედზე ნაკლები იწევს ხელს. კლასიკური კინოს პოტენციალი უსაზღვროა.

ხუთშაბათი, 26 ნოემბერი

2017 წლის ზაფხულისთვის კანის ფესტივალი დატოვებს ამელის ქუჩას და პარიზის მე-7 კვარტალს, მარეს უბანში გადავდივართ. სევდა

გვიპყრობს, რადგან ყველა მიჩვეულია აქაურობას, მეც. მენანება კაფე „მაქსთან“ განშორება, სამაგიეროდ, ახალი შენობა უფრო შესაფერისი იქნება ჩვენი საქმიანობისთვის. პარიზში რომ ჩამოვედი, კანის ფესტივალის ოფისი ბულვარ მალზერბზე მდებარეობდა, „ხოლო უფრო ადრე, – მეუბნება ჩვენი ძვირფასი ნიკოლ პეტი, პიერის ასისტენტი, რომელიც პიერამდე ჟილ ჟაკობის ასისტენტი იყო, – ფობურ სენტ-ონორეს ქუჩაზე ვიყავით, კიდევ უფრო ადრე კი – ასტორგის ქუჩაზე“. რეზინის ჩექმებსა და დამცავ ჩაფხუტებში გამოწყობილები, პიერი, ჟერომი, კრისტიანი, ფრანსუა და მე, ვათვალიერებთ შენობას. პატარა გართობის მომენტი დაგვიდგა დეკემბრის მძიმე შრომის დაწყებამდე.

ჟერომ სედუ: „ტიერი, ალმოდოვარი ფილმს ამონტაჟებს, კმაყოფილი ჩანს. დროა, ნიშანი მისცე“. „ელაპარაკე მას“ – ამ ფილმის შემდეგ, რომელიც კანის ფესტივალისთვის არ შემოუთავაზებიათ (ეს იყო 2002 წელს, რაც ძალიან მეწყინა), პედროს დიდი ყურადღებით ვეკიდები. ჩვენ ასე ვიქცევით: ალმოდოვარი ზაფხულში იღებს ფილმს, შემოდგომაზე მუშაობს მონტაჟზე, და თუ კმაყოფილი იქნება, შეგვატყობინებს. ასეთ შემთხვევაში, შუა ზამთარში მივდივარ მადრიდში. „პატე არის კოპროდიუსერი და დისტრიბუტორი ფილმისა, რომელსაც ეწოდება „ხულიეტა“. ვამატებ ალმოდოვარის გვარს ჩემს სიას. ზუსტად სამი თვე უნდა ველოდოთ.

ამ საღამოს არგენტინისკენ მივფრინავ. რუასის აეროპორტში ჩასხდომა 22 სთ 30 წთ-ზეა გამოცხადებული, „ერ ფრანსის“ თვითმფრინავი 23 სთ 20 წთ-ზე აფრინდება და გეზს ბუენოს-აირესისკენ აიღებს.

პარასკევი, 27 ნოემბერი

ცამეტი საათი დასჭირდა გადაფრენას, თავიდან სიმშვიდეში ვიფრინეთ, შუაში – ისე რა, ბოლოსკენ იყო ნჯღრევა, ხოლო როდესაც მივუახლოვდით „უდიდესსა და უბედნიერეს ყურეს“, რომელსაც სენტ-ეგზიუპერი ახსენებს, მსუბუქი წვიმა შეგვეგება. ღირდა პარიზული ზამთრის დატოვება. ექვსი საათი მეძინა, ვნახე „შეუძლებელი მისია“ და ფანტასტიკის ჟანრის ოთხი ფილმი ბავშვების გამო, რომ ამ ფილმებზე მათ ვე-

ლაპარაკო. უთენია ჩავფრინდით, მაგრამ ჩემ დასახვედრად მოსულია დელფინა პენია, ადგილობრივი ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთი მშვენიერი არსება, თავის მძღოლთან ერთად, რომელიც ახლაც, ისევე როგორც ყოველ წელს, სასწრაფოდ იწერს ჩემი აიფონიდან თავისი მანქანის ბლუთუზზე სპრინგსტინისა და აზნავურის სიმღერებს, რომ გზაში მოვისმინოთ. ბედნიერი ვარ აქ ყოფნით. ბუენოს-აირესი გულით მიყვარს, ეს არის მსოფლიოს განსაკუთრებული ადგილი, რომელიც მე მეკუთვნის, ადგილი, სადაც ყოველთვის ვბრუნდები... ძველად აქეთ ვმოგზაურობდი, ჩემი თავი ბლეზ სანდრარი მეგონა, შემდეგ უკვე სიყვარულს მოვყავდი, მერე კი კანის ფესტივალს.

ერთბაშად ინტერვიუების ქარიშხალი მატყდება თავს. აქ არიან ლუსიანო მონტეაგუდო „პახინა 12“-იდან (ადგილობრივი გაზეთია, „ლიბერასიონს“ ჰგავს), პაბლო შოლცი „კლარინიდან“ (დაახლოებით „ლე მონდის“ მსგავსი გაზეთი) და დიეგო ბატლე „ნასიონიდან“ (თითქმის „ლე ფიგარო“). აქვეა კლაუდიო მინგეტი სააგენტო „ტელამიდან“. მიხარია ამ ხალხის ნახვა აქ, ბედნიერი ვარ, როცა მათ კანშიც ვხვდები. მათი კრიტიკული შეფასებები დ გამოხმაურებები კანის ფესტივალზე, რასაც ყოველთვის მიგზავნიან, ჩემთვის უაღრესად საგულისხმო და ძვირფასია. მთელ მსოფლიოში, ყველგან ვნახულობ მომთხოვნ ჟურნალისტებს, რომლებსაც კანის ფესტივალზე ლაპარაკის დაწყებისას თვალებში სიყვარული გაუკრთებათ ხოლმე. წელს ტერორისტულ თავდასხმებზეც მისვამენ კითხვებს, ვერავინ ხვდება, რა მოხდა პარიზში.

ყოველწლიური საზეიმო დახვედრის საუზმე იმართება „ლას ლილასში“, პუერტო მადეროს რესტორანში. საუზმის შემდეგ ვხვდები ჟერომ პაიარს, რომელიც ჩემამდე რამდენიმე დღით ადრეა ჩამოსული. ბაზრის მეპატრონე აქ არის ფილმ „ბენტანა სური“-ს სანახავად („ფანჯარა სამხრეთზე“). ეს არის ლათინოამერიკულ კინოსთან კოპროდუქციის აღსანიშნავი მოვლენა, რასაც აქაურ კინოცენტრთან ერთად ვაწყობთ და რასაც ავსებს კანის ფილმების მე-7 კვირეული. ორშაბათს გაიხსნება „ბაზრის კანონით“, ჩვენებას დაესწრება ვენსან ლენდონი.

შაბათი, 28 ნოემბერი

ამ ქალაქში არის ხალხი, ვინც მიყვარდა, ვისი კვალიც დამეკარგა, მაგრამ მოგონება ცოცხლობს... ჩვენ მივდიოდით ერთად სამხრეთის სამხრეთში. რიო-გალიეგოში, პატაგონიის სანაპიროზე პატრულმა დაგვიჭირა საღამოს, როცა დროსტარებაში ვიყავით პლაჟზე. პასპორტები შეგვიმოწმეს და პოლიციაში წაგვიყვანეს. ჩვენს თვალში, ყველა, ვინც არგენტინულ უნიფორმას ატარებდა, ჯალათი და თანამზრახველი იყო საზღვაო მექანიკის სკოლის ტიპებისა, კაპიტან ასტიზისა, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ორი ფრანგი მონაზონის გატაცებაში, რომელთა გვამები ცოტა ხნის წინ იპოვეს. დიქტატურის წლებში გამქრალ ოცდაათი ათას ადამიანში ოცდაორი ფრანგი იყო, ზუსტად ოცდაორი ფეხბურთელი გააგზავნა საფრანგეთმა მუნდიალზე ბუენოს-აირესში 1978 წელს. ჩვენ ვიბრძოდით, რომ ბოიკოტი გამოგვეცხადებინა მსოფლიო თასისთვის. ეს იყო პირველი აქტი მასშტაბური გამოსვლებისა ჩვენი პირველი გაფიცვების შემდეგ პოლ ელუარის სახელობის კოლეჯში, მენგეტში. ეს იყო წმინდა არჩევანი, გვებრძოლა იმისთვის, რომ სისულელე გვეთქვა სპორტზე მაშინ, როცა დიდი პრინციპები უპირისპირდებოდა ერთმანეთს, ჩვენ კი ფეხბურთზე ვგიჟდებოდით. არგენტინელმა მწვრთნელმა სესარ ლუის მენოტიმ ერთგვარად გამიადვილა საქმე, რადგან დიეგო მარადონა, ახალი კერპი (ჩემსავით 1960 წელს დაბადებული), არ აიყვანა ნაკრებში და ჩვენ ამის წინააღმდეგაც გავილაშქრეთ. მე დღესაც მტკიცედ მჯერა, რომ ის მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გაუქმებულიყო. ამდაგვარი ფანდები, როგორიცაა „სპორტი არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში“, ნამდვილი ქაჯობაა. იგივე ითქმის კანის ფესტივალზეც, სხვათა შორის.

ლიონში მსოფლიო ჩემპიონატის გახსნა დიდი მანიფესტაციით აღინიშნა, „ძაღლებმაც“ გადააჭარბეს და ვინც კი მოხვდათ ხელში, ყველა დაიჭირეს, მათ შორის ჩემი საუკეთესო მეგობარი პაკიტო ესპოზიტო. წარმოშობით ესპანელს დაემუქრნენ, მადრიდში გადაგასახლებთო, სადაც მას არასოდეს უცხოვრია. მამამისი გამოიძახეს პოლიციაში, მამაჩემიც გაჰყვა დასახმარებლად და ყველაფერი მოგვარ-

და. ეს იყო ჩემი ერთადერთი მისვლა კომისარიატში, თვითონ არასოდეს მქონია პრობლემა. გარეთ გველოდებოდა გადასახლებაში მყოფი არგენტინელების წყვილი ორი მცირეწლოვანი ბავშვით. ისინი რამდენიმე წელი ცხოვრობდნენ საფრანგეთში. როდესაც არგენტინაში ვმოგზაურობდი, მათს სამშობლოზე ვუყვებოდი. 80-იანი წლების ბოლოს კაცმა გადაწყვიტა, ცოტა ხნით წასულიყო არგენტინაში და მთხოვა, გავყოლოდი. ერთად შემოვირბინეთ ბუენოს-აირესის ქუჩები, სადაც აჩრდილები და მტკივნეული მოგონებები არ გვანებებდნენ თავს. ხანგრძლივი სიჩუმის დროს მივხვდი, რომ რთულია ცხოვრება, როცა ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა ირგვლივ. და ამ სიჩუმეში ადამიანმა გადახედა თავის რწმენას, ოცნებებს და შეცდომებს. ერთხელ, როცა სან მიგელ დე ტუკუმანის მხარეს ვიყავით, იმ ადგილზე, სადაც ის მემარცხენე პერონისტულ გამოსვლებში მონაწილეობდა, კინაღამ ვკითხე, იარაღი ხომ არ გქონდა-მეთქი. ვიგრძენი, რომ ამ კითხვას ელოდა და პასუხის გაცემის ეშინოდა. მეც გავჩუმდი და აღარაფერი მიკითხავს. რამდენიმე წლის წინ, ის და მისი ცოლი საბოლოოდ დაბრუნდნენ არგენტინაში. ჩვენ ერთმანეთი არ დაგვიკარგავს. ხვალ „კანის კვირეულის“ გახსნაზე მოვლენ.

დაძინებამდე, ოთახში, საიდანაც ნაცნობი ხედი მოჩანს, ინტერნეტით ვუყურებ ინვალიდების სასახლეში ტერორისტული თავდასხმის დროს დაღუპულთა პატივსაცემად გამართულ ცერემონიას. ცრემლებს ვიკავებ. არა, ცრემლებს არ ვიკავებ.

კვირა, 29 ნოემბერი

ისევ კარგი ამინდი გამოვიდა. სასტუმრო „მადეროდან“ სან-ტელმოსკენ გავეშურე. ჩემს საყვარელ ბისტროში შევედი. მახსენდება, როგორ განვითარდა დე ნიროს ჟიურის თავმჯდომარედ დანიშვნის პროცესი. მან გამანდო, რომ ჟიურის თავმჯდომარეობა აინტერესებდა, თუ შევთავაზებდით და თუ სამუშაო განრიგი ამის საშუალებას მისცემდა. მაშინაც აქ ვიყავი, ბუენოს-აირესში, მქონდა მისი ტელეფონის ნომერი. როდესაც დე ნირომ ეს ნომერი მომცა, გამაფრთხი-

ლა: „თითქმის არასოდეს ვპასუხობ, მაგრამ დამიტოვე მესიჯი და თვითონ დაგირეკავ“. ჩემდა გასაკვირად, ტელეფონს ვიღაცამ უპასუხა: „ბობ? – ვინ ხართ? ვინ?“. ის იყო, მის ხმას და აქცენტს ათასში გამოვარჩევ. ამ ხმის გაგონებაზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფილმ „ცუდ ბიჭებში“ ხარ. დიახ, ჟიურიში ყოფნა აინტერესებდა. „ორი კვირით მაისში, ხომ?“ – იკითხა. მას უნდოდა ჩამოყალიბებულიყო, რადგან გადაღებები ჰქონდა. ბოლომდე ნათელი არ იყო, რა მოხდებოდა, მაგრამ რაღაცნაირად მივხვდი, რომ ეს საქმე გამოვიდოდა. და გამოვიდა, იმედები არ გაგვიცრუვდა. რობერტ დე ნირო გახდა კანის 64-ე ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე. 2011 წლისთვის კარგი დებიუტი გამოდგა. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო კანის ფესტივალი, თავისი პალმარესით („ოქროს პალმა“ – „სიცოცხლის ხეს“, დანარჩენი პრიზები ფილმებს: „ერთხელ ანატოლიაში“, „მელანქოლია“, „არტისტი“).

შეხვედრა მაქვს ფერნანდო სოლანასთან. უამრავ ხალხში გამოვარჩიე ამ კაცის დიდებული სახე, რომლისთვისაც წლებს ვერაფერი დაეკლო. სიბრძნე მომატებოდა, მაგრამ მრისხანება მისი სახიდან ვერ გაექრო. ფერნანდო, რომელსაც ბუენოს-აირესში ყველა პინოს ეძახის, მსოფლიო კინოს და არგენტინის პოლიტიკური ცხოვრების ცოცხალი განძია. რეჟისორია ფილმებისა „ხანძრების დრო“, „ტანგო“, „გარდელის გადასახლება“ (და კიდევ რამდენიმე ნაკლებად ცნობილი შედევრისა: „სამხრეთი“, „Los hijos de Fierro” („ფიეროს ბიჭები“); ჰგავს 30-იანი წლების რიო დე ლა პლატას მწერლებს, რომლებიც თავიანთ მხარეში აზანზარებდნენ ევროპულ ლიტერატურულ ჟურნალებს, თვითონ კი არასოდეს დაცილებიან სამხრეთის ჯვარს.

არ არსებობს, ბუენოს-აირესში ჩავიდე და არ მოვინახულო. ფერნანდო პოლიტიკურად ანგაჟირებული, ხალხის მიერ არჩეული სენატორია, რომელსაც შესწევს უნარი, თავისი მომხრეები დიდ მიტინგზე შეკრიბოს. მას უნდა საუზმეზე ან სადილზე შევხვდეთ. მიმტანები პატივისცემით ეგებებიან, ქუჩაში ხელს უქნევენ. ის მიყვება

გადასახლების წლებზე, საფრანგეთზე, რომელსაც თავი შეაფარა და ფრანგულ კინოზე, როცა მის ქვეყანაში, 70-იანი წლების ბოლოს სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. ემოციურად იხსენებს ბერტრან ტავერნიეს, ვინც საშუალება მისცა კინოში ემუშავა, ჟილ ჟაკობს, რომელმაც მისი ფილმები აჩვენა კანის ფესტივალზე და ჟან ლაბადის, მისი ფილმების აქტიურ დისტრიბუტორს. 79 წლისამ დაამთავრა მუშაობა დოკუმენტურ ფილმზე „პერონი“, პოლიტიკა ისევ ისე მისი აკვიატებაა, თუმცა სურს დაუბრუნდეს მხატვრულ კინოს. „კერიდო (ძვირფასო), ჯერ კიდევ გადასაღები მაქვს ფილმები სიყვარულზე!“ – მეუბნება ის.

ოთხ საათზე მეტი მოთმინებით ვიარე კონსტიტუსიონ დე ონსედან და რეკოლეტადან მაიოს მოედნამდე. შევამოწმე წიგნის მაღაზიები, მაინტერესებდა, შემორჩნენ თუ არა აქაურობას (სამწუხაროდ, ყველა არ დამხვდა), ვნახე, რა დისკები იყიდებოდა (მერსედეს სოზას ზოგიერთი უცნობი დისკი, ჟან-მიშელ ჟარის ახალი ალბომი), გავიგე, რა ფილმებს უჩვენებდნენ (აქ ბოლო კინოსეანსი ღამის 12 საათზე იწყება). მარტოობამ და ფიქრმა შემომიტია. „ღმერთმა დაგიფაროთ“, – ამბობს მეფე, – მე მხოლოდ მისი უღირსი ბეღურა ვარ“, – პასუხობს ჩარლზ ლოუტონი (როულენდ ლი, „კაპიტანი კიდი“). ხვალიდან, სამი დღის განმავლობაში, ერთი წუთიც კი ვერ მოვიცლი ჩემთვის.

ორშაბათი, 30 ნოემბერი

ამ დილით ვენსან ლენდონი ჩამოდის, კანის ფილმების კვირეულის საპატიო სტუმარი. კვირეულს საღამოს ვხსნით. უნდა ვაჩვენოთ „ბაზრის კანონი“, „დიპანი“, „სიყვარული“, „კიბორჩხალა“, „ქეროლი“. ვენსანი მოჰყვა აბდელ კეშიშს, დარდენებს, მიშელ ჰაზანავიჩიუსს და ბერენის ბეჟოს, რომელიც წარმოშობით არგენტინელია, გასპარ ნოესავით. მას ხვალ ველოდებით, თუმცა არასდროს ვიცი წინასწარ, რას იზამს. მივდივართ საჭმელად „ლას ლილასში“. ვენსანი აქ პირველადაა, მას ახლა დაუხვავებენ მთავარ კულინარიულ ღირშესანიშნაობებს, ლა პამპას ხორცს, მენდოზას ღვინო მალბეკს. ის ბევრ კითხვას

სვამს ქვეყანაზე, მის პოლიტიკაზე, წარმომავლობაზე და ეს საშუალებას აძლევს ბერნარდო ბერჟერეს, მოუყვეს მას ცნობილი არგენტინული ხუმრობა არგენტინის წარმოშობაზე: „ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა, არგენტინა – გემისგან“. კი, აქ იყვნენ ინდიელებიც, თეთრების მოსვლამდე.

სასტუმროში დაბრუნებულს მახსენდება, რომ კანი თითქოს ცოტათი მივატოვე ამ უიკენდზე, ამიტომ ყურადღებას მივაპყრობ ამ მომენტის მთავარ საკითხს, 2016 წლის ჟიურის თავმჯდომარის შერჩევას. საჭიროა რამე მოვიმოქმედო. ვურეკავ პიერს და ორივე მივდივართ გადაწყვეტილებამდე, თავმჯდომარეობა ჟან-ლუკ გოდარს შევთავაზოთ. სასწაული იქნება, თუ დათანხმდება. წერილს ვუგზავნი ჟან-პოლ ბატალიას, მის ასისტენტს. დელიკატურობა უნდა გამოიჩინო, ადვილი არ არის აღტაცება გამოუხატო ამ მასშტაბის ადამიანს ისე, რომ მლიქვნელობაში არ გადაგეზარდოს ლაპარაკი... და ჟან-ლიუკს ვეუბნები, რომ „მის ყოფნას კანში, თორმეტი დღის განმავლობაში, უდიდესი მნიშვნელობა ექნება მსოფლიო კინოსთვის, კინომოყვარულებისა და არტისტებისთვის, პროფესიისა და კრიტიკისთვის. მის ყოფნას მოულოდნელობის ეფექტი რომც ჰქონდეს და დაისვას საფუძვლიანი კითხვები ფესტივალისა და ფესტივალების შესახებ, მზად ვართ ასეთი გამოწვევისთვის. „დიახ, ჟან ლუკ-გოდარის კანში ყოფნა არასოდეს ყოფილა ბანალური და მის ჩამოსვლას კანში გარანტირებულად მოჰყვება მოულოდნელობა.

19 სთ-ზე გომონის სახელობის დარბაზში მივყავართ, კონგრესოს მხრიდან. ბერნარდო ბერჟერემ, აქაური კინოცენტრის აღმასრულებელმა ხელმძღვანელმა მოიფიქრა კანის ფილმების კვირეულის ფორმატი. ბერნარდო არის ურუგვაელი, მრავალი ცხოვრებით მცხოვრები, მაგრამ მარადიული ახალგაზრდა. მისი გადაწყვეტილებით, კვირეულზე ნაჩვენები იქნება კანის ფესტივალის საკონკურსო ფილმები. ბუენოს-აირესი ხარბად ისრუტავს ყველაფერს, რაც სხვაგან ხდება, განსაკუთრებით კი ევროპული ამბები აინტერესებს და მოუთმენლად ელოდება ხოლმე. და ამ დილას, როგორც ეს ყოველ წელს ხდება და

ამჯერად პარასკევს მიცემულ ინტერვიუებს მოჰყვა შედეგად, აქაური გაზეთების პირველ გვერდზე აღმოვჩნდი.

„საბაზრო კანონი“ უნდა წარვადგინო, დარბაზი პირთამდე სავსეა (ათასი კაცი მაინც იქნება), პუბლიკა ყურადღებიანია და მომთხოვნი. ხალხი ტაშს უკრავს ვენსანს ფილმისთვის, და არა მარტო ფილმისთვის. მოსწონთ მისი ლაპარაკი. ვენსანი ამბობს, რომ ცხოვრებაში ცდილობს იყოს ჰარმონიაში თავის პერსონაჟებთან. მის არსებობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველაფერი მოვალეობაზე, გონებასა და რწმენაზეა დაფუძნებული. არ ურთიერთობს პრესასთან, თუ საქმე არ ეხება ფილმის გაშვებას. კატეგორიულად არ იღებს ფოტოებს ყოველკვირეული ჟურნალებისთვის, არასოდეს მიუღია მონაწილეობა რეკლამაში. მას ურჩევნია არ შეეპუოს ეპოქას, დაფიქრდეს მოდის სხვადასხვა ტენდენციაზე, ნერვიულობს, როცა მიმტანებს მისთვის ფოტოს გადაღება უნდათ. საფრანგეთში ზოგჯერ თავს ვერ იკავებს, ბევრჯერ გამიგონია მისგან: „გინდათ სურათი გადამიღოთ, რომ თქვენს ტაბლოზე გყავდეთ? წამოდით ჩემთან, ვილაპარაკოთ, ეს უფრო კარგად გაგახსენდებათ, ვიდრე ეს ფოტოები, რომლებიც თქვენი ნადავლივითაა“. უნდა ნახოთ, მიმტანებს რა სახე აქვთ ხოლმე. აქ ვენსანი მშვიდი და ბედნიერია. ის პირველად არის ბუენოს-აირესში და აქ ყოფნის პირველი საათები და საღამოს ლამაზი დებატები სიხარულით ავსებს. ფილმის ჩვენების მერე სადილზე მივდივართ „ლა ბრიგადაში“, სან ტელმოს რესტორანში. რესტორნის კედლები ბრწყინავს მსოფლიოს ყველა გუნდის ფეხბურთელთა მაისურებით (მათ შორისაა ლიონის „ოლიმპიკი“). აქვეა ერთი დიდი პოსტერი დიეგო მარადონას ხელმოწერით. „აქ მხოლოდ მაშინ მოვიდეთ, როცა მე დაგპატიჟებთ, კარგით?“ – მეუბნება ვენსანი.

დეკემბერი

სამშაბათი, 1 დეკემბერი

დილით ყავას ვსვამ არგენტინელ პროდიუსერ გვიდო რუდთან ერთად. ჩვენთანაა ერთი კინორეჟისორიც, რომელიც ფილმს ამთავრებს და ალბათ მალე გვაჩვენებს. სასტუმროში მთლად კანის სიტუაციაა. აქ არიან უცხოელი გამყიდველები და ფრანგი დისტრიბუტორები : ეს არგენტინული შეხვედრა, ოფიციალური კონკურსის მოახლოების ჟამს, ხელს გვიწყობს, წერტილი დაესვას სიმშვიდეს, უფრო სწრაფად გადავიდეთ საქმეზე, ვიდრე ეს პარიზში ხდება.

ვენსანი და გასპარ ნოე პრესკონფერენციას ატარებენ. გასპარი ამ დილას ჩამოვიდა. მერე საუზმეზე მივდივართ საფრანგეთის ელჩთან, ჟან-მიშელ კაზასთან, რომელმაც თავი მოგვიყარა ყველას არა მარტო დიპლომატიური ეტიკეტის გამო. ის დამაჯერებლად ლაპარაკობს „საბაზრო კანონზე“ თავის გამოსვლისას საუზმის ბოლოს. პატარა ნოსტალგია მიპყრობს ამ შენობაში, სადაც ძველად მოვდიოდი ხოლმე 14 ივლისს, რომ საფრანგეთის დღე მეზეიმა. საფრანგეთი ყოველთვის მაკლდა მაშინ, მარტომყოფს, სევდიანსა და უსარგებლოს („აქ რას ვაკეთებ?“ – ბრიუს შატუინის რეპლიკა) – რიო დე ლა პლატას ღამეში სწორედ სიმარტოვეს, სევდას და უსარგებლობის შეგრძნებას ვეძებდი.

მთელი ჯგუფი ფეხით მივდივართ, რომ დავათვალიეროთ ლუის ფელიპე ნოეს საკვირველი გამოფენა, რომელსაც აქ ყველა იუიო-ს ეძახის. ეს არის ცნობილი მხატვარი და, სამწუხაროდ, პენსიაში მყოფი პროფესორი, რომლის სანახავადაც გასპარს ყოველ წელს დავყავარ სან-ტელმოს ძველ სახლში, ან მის ბარაკას სახელოსნოებში პლასა დე კონსტიტუსიონთან ახლოს. ბუენოს-აირესიდან მამა და პარიზიდან შვილი ყოველდღე ურეკავენ ერთმანეთს, ისინი ერთმანეთს ჰგვანან, ორივე თვითნასწავლი თეორეტიკოსია და ორივე ველური ერუდიტია. მხატვარ ნოეს შეხედავ და კინორეჟორ ნოეს მიუხვდები, რა უნდა, გაიგებ მის მეთოდს, მონტაჟის სტილს,

წყნარ ავტორიტარულობას, რითაც ყველა პროდიუსერს განაიარაღებს ხოლმე.

ვბრუნდები კინო „გომონში“. პაბლო ტრაპერო ერთი საათია კითხვებს უსვამს სცენაზე მყოფ ვენსან ლინდონს. მაღალი დონის დებატებია. შემდეგ, პუბლიკას ვაცნობთ ფილმს „პეპე მოკო“. მე და ვენსანი პირველ რიგში ვსხედვართ და კიდევ ერთხელ ვუყურებთ ფილმს. ფრანგული კლასიკური კინოს ნიმუშის ნახვა, პარიზიდან ათი ათასი კილომეტრით შორს, გასაოცარ შეგრძნებას იწვევს. 21 სთ 30 წთ-ზე გადატენილ დარბაზში, სადაც ტევა არაა, ვუშვებთ ფილმს „love”. ამას ჩვეული სიფრთხილით ვაკეთებ, რადგან ეს ფილმი სექსუალურ სიყვარულზეა. ეს უკვე ფილმის გაშვებამდე იყო ცნობილი. გასპარი ბარში ეპატიჟება ოცდაათამდე ახალგაზრდას, რომლებიც ფილმზე ვერ მოხვდნენ და... ლუდს და დისკუსიას სთავაზობს. ლენდონი ცოტა ხანს ფეხზე მდგარი უყურებს ფილმს, თვალს ვერ სწყვეტს ეკრანს. როცა მის წამოსაყვანად დარბაზში შევდივარ, მეუბნება: „რა სერიოზულად უყურებს კინოს გასპარი, არა?“.

ოთხშაბათი, 2 დეკემბერი

მთელ დღეს გემზე და ტიგრის დელტის კუნძულებზე ვატარებთ: ეს არის ტბისპირა ქალაქი, ოციოდე კილომეტრით დაშორებული ბუენოს-აირესიდან, აქ ჩაედინება მდინარე პარანა, თავისი წითელი წყლით, რომელსაც კორდილიერებიდან და ჩრდილოეთ ჯუნგლებიდან იკრებს. კუნძულ ელ დესკანსოზე საუზმის შემდეგ, ჩვენი მასპინძლები – ფელიპე დურანი და კლაუდიო სტამატო გვთავაზობენ კუნძულის ბაღების დათვალიერებას. ვენსანი ეუბნება მათ: „ბავშვობიდან მოვახერხე და თავი დავაღწიე მუზეუმის, პარკის, ნებისმიერი რამის დათვალიერებას. არასოდეს არაფერი დამითვალიერებია და ვერასოდეს ვერავინ მაიძულა ეს. ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ აქ, აუზთან დავრჩები, აქ მირჩევნია. თქვენ კი გამოიყენეთ დრო ისე, როგორც გენებოთ“. მისი ნათქვამი ცუდად მივიღეთ კი არა და სამივე აუზში ჩავხტით. მერე იყო შხეფები, ტალღები,

წყლის მორევი, გემი და ბუენოს-აირესის პორტში არაჩვეულებრივი სინემასკოპი. როცა დავბრუნდით, ვენსანმა გვიამბო მის ურთიერთობაზე რენოსთან, რომელიც ახლა ბრიუსელის სტუდიაშია. როცა ის წერს ან მღერის, ყოველთვის დიდი სენსაციაა. მაგრამ ვენსანი ამაზე წყნარად გვიყვება და დიდი სინაზით საუბრობს მასზე. მერე აიფონიდან გვიკითხავს მისი ალბომის ერთი სიმღერის სიტყვებს. „სიცოცხლე უშნოა და ძალიან მოკლე“. აშკარად ანგელოზმა ჩაგვიარა. მეორე სიმღერის სათაურია „გადავკოცნე პოლიციელი“. ეს არის სიმღერა „შარლი ებდოზე“ თავდასხმის შემდეგ გამართულ მანიფესტაციებზე. 11 იანვრის საფრანგეთის ამბავი ჩატეულია ერთ სათაურში. რენო ბრუნდება.

საღამოს, გასპარის მასტერკლასისა და „დიპენის“ პრეზენტაციის შემდეგ, ტრადიციული, გამოსამშვიდობებელი სადილი იმართება სანტელმოში, „გრან პარილია დელ პლატაში“, პერუსა და ჩილეს ქუჩებს შორის. აქ ყოველთვის ვნახულობ დამიან სიფრონს, „ახალი ველურების“ რეჟისორს, ლისანდრო ალონსოს, დანიელ ბურმანს, ხუან კამპანელას, რომელმაც მიიღო „ოსკარი“ ფილმისთვის „მის თვალებში“, პაბლო ფენდრიკს და პაბლო ტრაპეროს, რომელმაც დასამშვიდობებლად შემოიარა კუბაში წასვლამდე. მხიარული სადილი იყო, ყოველი მხრიდან ისმოდა ხუმრობები. მე ადრე ვახსენე რუმინეთი და მექსიკა, როგორც მსოფლიო კინოს სასიცოცხლო ძალების მქონე ქვეყნები, მაგრამ არსებობს აგრეთვე არგენტინა.

ხუთშაბათი, 3 დეკემბერი

ვსხდებით „ერ ფრანსის“ ახალ, ინდივიდუალურ კაბინებში, თორმეტსაათიანი ფრენა გვიწევს, თერთმეტი ათასი კილომეტრია გასავლელი და ფილმების უხვი არჩევანია. დავიწყე „შაბათის ციებ-ცხელებით“, რაც კარგა ხანია აღარ მინახავს. ვენსანი მეუბნება: „აფრინდეს თვითმფრინავი და მერე რამე დავლიოთ. თორმეტი საათი ხმის ამოუღებლად ხომ არ ვისხდებით“. თვითმფრინავი მიფრინავს ეზეიზადან დასავლეთისკენ ლა პამპას მიმართულებით, მერე წრეს დაარტყამს და გეზს ევროპისკენ

აიღებს. თვითმფრინავმა შემოუფრინა ბუენოს-აირესს და ატლანტიკის-კენ წავიდა. ქალაქის უბნები თანდათან უჩინარდება და ბოლოს რიო დე ლა პლატა და ურუგვაიც ჩნდება. დღის ბოლოა, ყველაფერი ქრება სიმაღლეზე, ზღვის თავზე ვართ და ღამდება.

პარასკევი, 4 დეკემბერი

„კიდევ ერთ რაღაცას გეტყვი, – მეუბნება უშრეტი ენერგიით აღსავსე ვენსან ლინდონი, – შენ ალბათ იტყვი: „წლევანდელი წელი ფრანგული კინოს წელი იქნება, ერთ ფილმს გავუშვებ გახსნაზე, სამი სხვა ფრანგული ფილმი კი სამ მნიშვნელოვან პრიზს მოიპოვებს“. შენზე იტყვიან, ფრემო დარტყმულიაო... შენ დრტყმული ხარ“. ხელის დაქნევით დავემშვიდობეთ ერთმანეთს, ჩვენ ჩვენს მოტოტაქსიზე დავსხედით და შემოვლით გზაზე გავუჩინარდით ცივი და მზიანი დღის თანხლებით.

სწრაფად შევირბინე სახლში და მაშინვე გავიქეცი შან ზელიზეზე, „გომონ მარინიანის“ კინოში, ტარანტინოს ფილმის სანახავად, რომელიც გენიალურია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ეს არის უნიკალური, მართლაც გენიოსის ნაწარმოები. ფილმით „The Hateful Eight” (საფრანგეთში ფილმი გამოვა სათაურით „რვა ნაძირალა“) ტარანტინოს ჩვეული შანსონ დე ჟესტი – შუა საუკუნეების საფრანგეთში გავრცელებული ჟანრი, ლექსად მოთხრობილი საქმენი საგმირონი – შემკობილია ახალი კუპლეტით, რომელიც გადარევს თაყვანისმცემლებს და თავიდან გააღიზიანებს მაგინებლებს. ეს ჩვეულებრივი მიწიერი რყევებია თავისი რეპლიკებით. ფილმის რეჟისურა ბრწყინვალეა, თხრობა ბოროტი და თან მხიარული, ხოლო ექსტრავაგანტური და ნიჭიერი მსახიობები ფილმში ერთობიან. ამ დროს მაყურებელი იხრჩობა, წარმომიდგენია, როგორ გადაიხარხარებს ტარანტინო და დატკბება თავის წარმატებით. გარეგნული გადაჭარბებების მიღმა, ტარანტინო მიიწევს წინ კარიერაში და ავლენს რწმენას. ეს გაკვირვებას იწვევს ადამიანისგან, რომელიც ადრე მიჩნეული იყო კალი-

ფორნიელ მონომანიაკ კინომოყვარულად, რომელსაც არც ზნეობა გააჩნდა და არც პოლიტიკური ხედვა. ის, რაც ოდნავ ჩანდა მის ადრინდელ ფილმებში ("Inglourius Basterds", „Django Unchained") უკვე ზუსტად გამოიკვეთა: არაჩვეულებრივად პერსონალური და მაქსიმალისტური ენის ბრწყინვალების საფარველქვეშ მოქცეული გარკვეული სიმწიფე, რასაც ის და მისი მაყურებელი სხვაგან მიჰყავს ყოველი ახალი ფილმით. ტარანტინო ამას სხვა ტონით აღწევს და თანდათან კლასიკურ სტილში გადადის. უკვე ყურში მესმის მათი არგუმენტები, ვისაც არ მოეწონება ეს უტრირებული თეატრალური ნაწარმოები, რომელიც ექსტრავაგანტურობისკენ გვიწვევს. ისინი სიამოვნებას ვერ მიიღებენ (საამისო საბაბს მათ ვერ მისცემს ნაკლებად ზრდილობიანი ფილმი), მაგრამ არ ეცოდინებათ, რომ სხვები ამ ფილმში აღმოაჩენენ პატივისცემისა და მამაცობის სცენებს, ყველაფერ ამაში კინოს დაინახავენ, მხოლოდ და მხოლოდ კინოს და სიხარულის ბედნიერებას იგრძნობენ. მეც მათ ვეკუთვნი. ეს ფილმი არის კარგად დადგმული პიესა, რომლის მსგავსი დიდი ხანია ეკრანზე არ გვინახავს. ტარანტინოს რეალობა არ ადარდებს, მისი სცენარები ყველაზე მეტად მხატვრულია, დიალოგის არაჩვეულებრივი შეგრძნებით, რომანტიკასთან და ისტორიასთან დამოკიდებულებით... და მაინც, მისი ფილმები ულტრათანამედროვეა. „რვა ნაძირალა" აჩვენეს 70-მილიმეტრიანი განსაკუთრებული ფორმატით. ფილმი იწყება ძველებურად, როგორც ყველა პეპლუმი – ფილმი ანტიკური ეპოქის სიუჟეტით, ერთი ფიქსირებული პანოთი და მუსიკით (მორიკონეს მუსიკა, სადა და ძლიერი) და პირველი ნაწილი დამთავრებულია. სულ ხუთი ასეთი ნაწილია ფილმში, სამი პლუს ორი, რომელთა შორისაც არის თორმეტწუთიანი ანტრაქტი მუსიკით, რომ ყურადღება მოვიკრიბოთ ამბის გასაგრძელებლად. მოგზაურობაც ასეთი უნდა! ამაზე კიდევ რამდენიმე წელს ილაპარაკებენ. ეს არის ფილმი, რომლის ძალას, რწმენას და ბრწყინვალებას კარგი სიბერე ელის. ის დაიკავებს ადგილს იდუმალებით სავსე ფილმოგრაფიაში. ტარანტინო მიუყვება შემოქმედებას, რომელშიც ის თავის კი-

ნოსიყვარულს სტუმრობს და კინორეჟისორთა ღამეს აღმოაჩენს. ის კინოს ბორხესია, მისი კინო კინოს გარეშე არ იარსებებდა.

სრულ ეიფორიაში მყოფი და სრულიად შეძრული, სამსახურში მივდივარ. მოგზაურობა პროფესიული ცხოვრების დესტაბილიზაციას იწვევს, რაც არ უნდა პროფესიის ნაწილი იყოს მოგზაურობა. საჭიროა დაბრუნება, თავის იძულება, რომ ყოველდღიურობას დაუბრუნდე და იძულებებსა და მოვალეობებს შეეგებო. ერთ კვირაზე მეტი ვიყავი წასული და კოლეგებს სჭირდებათ ჩემი გვერდით ყოფნა. ამ ნაშუადღევს შემაჯამებელ შეხვედრაზე შევიკრიბებით მიშელ მირაბელა, ფრანსუა დერუსო, კრისტიან ჟენი, ბრუნო მუნო, რომელიც დაუბრუნდა თავის თანამდებობას და დაუღალავ მარი კაროლინი, რომელსაც თავისი პოსტი არასოდეს დაუტოვებია. საღამომდე ვმუშაობ, ვწერ, ვრეკავ და სამსახურიდან ტჟვ-სკენ მივიჩქარი. ფეხებს უჭირთ პედლების ტრიალი, მაგრამ როცა სენ ლუის კუნძულთან სენას ვუახლოვდები და სახეში ქარი მცემს, ვგრძნობ, როგორ მსიამოვნებს პარიზში დაბრუნება.

შაბათი, 5 დეკემბერი

ექვსი თვეა დღიურებს ვწერ და ჯერ არ მომიყოლია, როგორი იქნება 2016 წლის კანის ფესტივალი. სიმართლე გითხრათ, არც არაფერი ვიცი, არავის წარმოდგენა არა აქვს მომავალი ფესტივალის კონტურებზეც კი. გაუთავებლად რაღაცას ვინიშნავ, ვაგროვებ, ხელის ცეცებით დავდივარ, ვცდილობ, ყველაფერი გავიხსენო და ვიცდი. ოქტომბერ-ნოემბერში, ჩემს ორ მოგზაურობასა და მოსამზადებელ კრებებს შორის, თხუთმეტამდე უცხოური ფილმი შემოგვთავაზეს პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, ავსტრიიდან, ჩილედან, საბერძნეთიდან, ლატვიიდან, სინგაპურიდან, ესპანეთიდან, სერბეთიდან და ხუთი ფილმი ამერიკიდან. ხუთიდან ორს სანდენსის ფესტივალზე უჩვენებენ. ესენია „ფანტასტიური კაპიტანი“, რომელზეც მე უკვე ვილაპარაკე და „კრისტინ“, ანტონიო კამპოსის ფილმი, რომელიც 2008 წელს ნამყოფია ჩვენთან „განსაკუთრებულ ხედვაში“ სრულმეტრაჟიანი ფილმით

„სკოლის შემდეგ“. გუშინ ბერლინში დიტერ კოსლიკმა გამოაცხადა ფილმი, რომელიც ფესტივალს გახსნიდა, ძმები კოენების „ჰაილ, ცეზარ!“. ადრე ითქვა, რომ ის ორ ფრანგულ ფილმს გაუშვებდა კონკურსში. ოდნავ ვიეჭვიანე. მაგრამ, როცა ფილმი დამთავრებულია, ჯობს გარანტირებული ფესტივალი გელოდებოდეს თებერვალში, ვიდრე სათუო იყოს მაისის ფესტივალზე მოხვედრა. ნორმალურია სეზონების გათვალისწინებაც. როცა ფილმები მზადაა, მათ კინოდარბაზებში უჩვენებენ. კრისტიანს თავისი სია აქვს, მე ჩემი. ჩვენი დასკვნები მსგავსია: კანის ფესტივალს კარგი პირი უჩანს, თუმცა დეკემბერში ჩვენი რიტმი ჯერ კიდევ არ არის ბუნებრივი, ზოგიერთი საკითხი ჰაერშია გამოკიდებული. არ გვყავს ჟიურის თავმჯდომარე, არ გვაქვს აფიშა. პირველი მცდელობა (რიჩარდ ბარტონი და ა.შ.) არ არის საბოლოო. ფორიაქის საბაბს ეს არ იძლევა, მაგრამ ასეთად შეიძლება გახდეს. რაც შეეხება ჟიურის, ვერ წარმოგვედგინა, რომ გოდარი დაგვთანხმდებოდა, რაც არ უნდა გვეოცნება ამაზე. ბოლო წლებში საერთოდ აღარ ჩამოდიოდა კანში, ბოლოს არაჩვეულებრივი ვიდეო გამოგვიგზავნა. ის, რომ მას ჟიურის თავმჯდომარეობა შევთავაზეთ, ჩვენთვის უკვე არის სიამაყის საბაბი. ნაშუადღევის მიწურულს ვურეკავ ჟან-პოლ ბატალიას, გოდარის ასისტენტს (გადასაღებ მოედანზე, კინოწარმოებაში, გადაღებისას, ცხოვრებაში). ეს არის ძვირფასი ადამიანი, ეფექტურად მომუშავე და ზრდილობიანი. მან დამიდასტურა, რომ ჟან-ლუკი უარს ამბობდა მიპატიჟებაზე. „ახალ ფილმზე ვმუშაობთ. მას უნდა მთელი ძალებით ფილმზე კონცენტრირდეს. თქვენმა განზრახვამ და წერილმა მას გული აუჩუყა. ის უარს გეუბნებათ, მაგრამ გიგზავნით იმეილს“.

კვირა, 6 დეკემბერი

გუშინ ჟერლანდის სტადიონზე ორმაგად წავაგეთ ანჟერთან: მატჩი მატჩად და დავკარგეთ შესაძლებლობა, კლასიფიკაციაში ზევით ავწეულიყავით. „ოლიმპიკ დე ლიონს“ მძიმე დღეები უდგას. ამ დილას ლიონურ ნისლში მზის სხივი გამოჩნდა – ჟან-მიშელ ოლა,

ჟილბერ ჟიორჟისთან და ჟან-პოლ რევიონთან ერთად. კლუბის ორ ხელმძღვანელს მივყავარ დესინის სტადიონის მშენებლობაზე. ამ მდიდრული სტადიონის გახსნისთვის, იანვარში გუნდი საუკეთესო ფორმაში უნდა იყოს. ვხედავ, რომ ჟან-მიშელი მხოლოდ ამით ცხოვრობს, ის შეშფოთებულია. მაგრამ დიდებული ინსტალაციების წინაშე, რომლებიც გვაგონებენ ბარსელონას, არსენალსა და მიუნჰენს, ის ბედნიერი ჩანს, რომ ბოლომდე მიიყვანა საქმე როგორც ანტრეპრენიორმა. მიუხედავად ამისა, ამ ფასადაც ვერ გადაურჩება გულშემატკივრების რისხვას და კრიტიკოსების კრიტიკას. ჯერჯეროობით, ახალ სტადიონს ლუმიერების სტადიონი ჰქვია, მერე, ალბათ, რომელიმე დიდი საზოგადოება დაკავდება სტადიონის სახელის შერჩევით, რამდენიმე მილიონის ფასად. გასაცინებლად, ვთავაზობ ასო „ს“ წაშალონ ლუმიერების ბოლოში, რაც საშუალებას მისცემდა ლუმიერის ინსტიტუტს მომენტალურად 10 000 ევროს ინვესტიცია ჩაედო ამ საქმეში. რომ დამთანხმებოდნენ, ხომ გავგიჟდებოდი.

ნაშუადღევს კრისტი პუიუს ფილმის „სიერანევადას“, რაც ადრე ინტერნეტით ვნახე ბუენოს-აირესში და ძალიან მომეწონა, მსგავსად უცხოური კომიტეტისა, რომელიც ერთსულოვანი იყო, თუმცა ერთმა კაცმა თავი შეიკავა (ანუ, კომიტეტი არ იყო ერთსულოვანი – კოლუში დასცინოდა ხოლმე დოღის კომენტატორებს, რომლებიც ამ ჟანრში გამოთქვამდნენ აზრებს: „ყველა ცხენი გაიქცა რვის გარდა“). კომიტეტის წევრები სისტემატურად წერენ შენიშვნებს, რასაც კრისტიანი და მე საგულდაგულოდ ვინახავთ – ეს შენიშვნები შეუცვლელია, როცა აპრილში შემოდგომით ნანახ ფილმებს ვუბრუნდებით და რამე არგუმენტი გვჭირდება. ლორან ჟაკობის ჩანაწერი „სიერანევადაზე“ შესანიშნავია: „პუიუმ გადაიღო „ავრორა“, რომელიც სპილოს ძვლის კოშკისმაგვარ, აუტისტურ ჩაკეტილობას ჰგავდა. მერე ეწვია შთაგონება, რომ „ლაზარესკუ“ გადაეღო და ფილმში ახალი სიმწიფით წარმოადგინა ადამიანური ტრაგიკომედია. შეიმუშავა ზედახვეწილი მიზანსცენა, რაც ხელს არ უშლის ბუნებრიობას. ერთ გა-

მორჩეულ დღეს იღებს გადამდები სიამოვნების განცდით, რაც ყველა მიმართულებით იჩენს თავს. ოჯახური ფსიქოდრამების შესაბამისად, ის საშუალებას აძლევს თავის არაჩვეულებრივ მსახიობებს, გამოიყენონ ტემპერამენტი სულისშემძვრელ დიალოგებში. ფილმი ცოტა გრძელია, მაგრამ დამუხტულია მომეტებული ვიტალურობით, ფილოსოფიური სიღრმითა და იუმორით. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რას შესძენდა კუნდერა კინოს, ლიტერატურისკენ რომ არ წასულიყო მას მერე, რაც პირველი ნაბიჯები გადადგა კინოაკადემიისკენ. ჯანსაღი სიცილი ფილმის ფინალში ხანგრძლივ ემოციას იწვევს. ეს ფილმი, მგონი, იმსახურებს კონკურსში ჩართვას". მართალია ლორანი, საკონკურსო ფილმია. საჩქაროდ ვწერ კრისტის, მას ბერლინიდანაც ეხმაურებიან. ახლა ზოზინი არ შეიძლება. საღამოს ჟერომ სედუ მირეკავს: – ხვალისთვის უკვე დაგეგმილი გაქვთ საუზმე? – დიახ. – თქვენი ნახვა მინდა სასწრაფოდ. – თუ გნებავთ სამსახურში გამოგივლით. – კარგი იქნება. – დილის ბოლოსკენ? – ძალიან კარგი. – შესანიშნავია, აბა, ხვალამდე.."

ორშაბათი, 7 დეკემბერი

რეგიონალური არჩევნების პირველი ტურის შედეგი ასეთია: მემარცხენეები დამარცხდნენ, მემარჯვენეებმა მოიგეს და ნაციონალურმა ფრონტმა გაიმარჯვა რამდენიმე რეგიონში, მათ შორის სამხრეთ საფრანგეთის ლაჟვარდოვანი სანაპიროს მხარეს. ბერტრან ტავერნიე მეუბნება: „მემარცხენეებმა ისეთი კამპანია ჩაატარეს, თითქოს იცოდნენ, რომ აგებდნენ. არადა, ისე უნდა ელაპარაკათ, როგორც ჟორესს, და ისე უნდა ემხიარულათ, როგორც კოლუშს! კანში ალბათ გაგიჭირდებათ მარიონ მარეშალ ლეპენთან ურთიერთობა, რომელიც ახლა რეგიონის ხელმძღვანელია". პიერს და მე ჟურნალისტები გვთხოვენ, გამოვხატოთ რეაქცია: „როგორ მოიქცევით, როცა ის წითელ ხალიჩაზე იდგება?". დაველოდოთ მეორე ტურს, მაგრამ თუ მას რეგიონის პრეზიდენტად აირჩევენ, მივიღებთ

კიბის ზედა საფეხურზე და ვეტყვით: „გამარჯობა, ქალბატონო პრეზიდენტო!“ თუ რამე პრობლემაა, მანამდე უნდა მიეხედათ, რომ აქამდე არ მოსულიყვნენ. ასევე ფიქრობს დავიდ ლინარიც, კანის მერი, რომელსაც ინვალიდების უბნის ერთ კაფეში ვხვდები. ის კრისტიან ესტროზის შტაბშია და არ არის ოპტიმისტურად განწყობილი. ახალგაზრდა და მოუსვენარი დავიდი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ამბობს სათქმელს, ორატორული სიფრთხილეები არ აღელვებს. ის ძალიან სასაცილოა, მისთვის ყველაფერი ხდება ინტერნეტტელევიზიაში და ტვიტერზე, საითკენაც მეც მიბიძგა და დამაინტერესა, მაშინ ის ბერნარ ბროშანის პირველი მოადგილე იყო. ჩვენ ბევრ საკითხს ვეხებით, მათ შორის, ფესტივალის სასახლეში ხუთასადგილიანი დარბაზის აშენებას, რაც ნაწილობრივ გადაწყვეტდა სტუმართა მიღების პრობლემას. შუადღისას ჟერომ სედუს ვხვდები. ამელისა და ლამენეს ქუჩებს შორის მოკლე გზას მივუყვები და ვფიქრობ, რა უნდა იყოს ჩემი სასწრაფო გამოძახების მიზეზი: ოლივერ სტოუნი? ალმოდოვარი? ფოვეტების კინოდარბაზი, რომლის ფილიალის გახსნაც უნდა „პატეს“ ლიონში? არ ვიცი. ჟერომი გულთბილად მიღებს, ლიონის „ოლიმპიკზე“ ერთ-ორ სიტყვას მეუბნება და პირდაპირ საქმეზე გადადის: „მთელი ცხოვრება კანის ფესტივალის საქმეებს უნდა მიუძღვნათ?“ უცებ მივხვდი ყველაფერს. „საქმე ეხება „პატეს“, რომლის მომავალზეც ვფიქრობ. თქვენ გამახსენდით. გთავაზობთ, შემცვალოთ მე და „პატეს“ საზოგადოების პრეზიდენტი გახდეთ“.

სამშაბათი, 8 დეკემბერი

8 დეკემბერი ლიონელებისთვის მნიშვნელოვანი დღეა: ილუმინაციები, რასაც „ლუმიერების ზეიმს“ უწოდებენ. ძველი ხალხი ამ ზეიმს ისევ „8 დეკემბერს“ უწოდებს, რადგან ამ დღეს იმართებოდა ტრაპეზობა. დასაწყისში ღვთისმშობელ მარიამის დღესასწაულს აღნიშნავდნენ, რომლის სახელიც დიდი ასოებით არის გამოსახული ფურვიერის მთაზე, ისე როგორც ჰოლივუდი – ლოს-ანჯელესის მთაზე. ჩვენი

გაცნობის წელს მინდოდა, ჩემი მარი დამერწმუნებინა, რომ მთაზე სახელი მარიამი მე დავამაგრებინე. სწორედ წმინდა მარიამის დღეს იმართება დიდი ტრაპეზობა, ხალხი ნათურებს ანთებს ფანჯრებზე და ყველა, ხნიერი თუ ახალგაზრდა, ოჯახებით საღამოს გარეთ გამოდიან, სეირნობენ ქუჩებში, მოედნებზე, გასასვლელებში და მიდიან რესტორნებში, მიირთმევენ სოსისებს, ბლინებს და თბილ ღვინოსაც სვამენ. ეს ტრადიციული ზეიმი ზაფხულში რომ იმართებოდეს, ყველას ეცოდინებოდა, რომ ლიონელები მოზეიმე ხალხია – ეს ზეიმი მართლაც ფანტასტიკურია... თუმცა ზამთარი კარზეა მომდგარი და დიდი სიცივეებიც წინაა. არასოდეს გამიცდენია 8 დეკემბერი. მსოფლიოს რომელ ქვეყანაშიც არ უნდა ვიყო, ამ დღეს ყოველთვის ჩამოვდივარ. გამონაკლისია დღევანდელი საღამო, ლიონში არ ვარ. ამ საღამოს პიერ ლესკურთან ერთად ვსადილობ. გუშინ, როგორც ჟან-პოლ ბატალიამ მაცნობა, გოდარმა მოგვწერა: „ძვირფასო მეგობრებო, ფრემო და ლესკურ! აი, დადგა ბნელი დრო, რომელიც ხელს მიშლის ორ მამაც მხედართან ერთად ვიყო. ათას ერთი მადლობა, მაინც. ჟლგ“. მან ინება და მოგვწერა, მართალია ვწუხვართ, რომ ჩვენთან ერთად არ არის, მაგრამ გვიხარია, რომ ვიცით მისი ამბები. ჟერომ სედუსთან შეხვედრამ სწრაფად ჩაიარა, მისი სტილი არ არის უსასრულო ლაპარაკი, სწრაფად გავუგეთ ერთმანეთს და შევთანხმდით, რომ დეტალებზე ვილაპარაკებდით სულ მალე. არც მე ვითხოვ სასწრაფო პასუხს, არც ჩემი სტილი არ არის ვინმეს აჩქარება. მე ამ ამბავს სერიოზულად ვუყურებ, რადგან ვაცნობიერებ, რა მასშტაბია, თანაც სიამაყეც მეუფლება, რომ ამ გაქანების ადამიანი ამხელა ნდობას მიცხადებს. გუშინ ვამბობდი, რომ მივხვდი ამ ადამიანის განზრახვას. არანაირი ქედმაღლობა არ არის ჩემგან, მაგრამ ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქოს რაღაც მიბრძანესო,– მალე მის კაბინეტში უნდა შევხვდეთ (თუმცა ისედაც ხშირად ვხვდებით ერთმანეთს სხვაგან), არაჩვეულებრივი ურთიერთგაგება გვაქვს და წინასწარ ცოდნა მისი კითხვებისა, რომლებიც „პატეს“ მომავალს ეხება, განსაკუთრე-

ბით პატეს საკითხი, – მაფიქრებინებს, რომ მისთვის ეს მნიშვნელოვანი მომენტია.

აღელვებული და შეშფოთებული ვარ. თუ დავთანხმდები, შევიცვლი პროფესიას, ცხოვრებას, დავტოვებ კანის ფესტივალს, ლუმიერის ინსტიტუტს, შესაძლოა ლიონსაც და, მიუხედავად იმისა, რომ კინოში ვრჩები, ვიცვლი სამყაროს. მივატოვებ სიმბოლოებს და ეკონომიკაში გადავინაცვლებ, ლირიკულიდან რეალურში გადავალ, კულტურიდან ინდუსტრიაში, ხოლო წითელი ხალიჩის ნაცვლად ფინანსური ურთიერთობები მექნება. და ეს ყველაფერი კინოსთვის. რა ვქნა, ფიქრით ვერ ვიძუნწებ. გუშინდელი დღის მერე ეს ფეთქებადი წინადადება იკავებს ჩემს ფიქრებს. დრო მაქვს, მაგრამ არ უნდა შემეშალოს. 2016 წლის კანის ფესტივალი ახლოვდება.

ოთხშაბათი, 9 დეკემბერი

დილით ფაბრის ალარს ვხვდები. ის აკრედიტაციების სერვისით არის დაკავებული, ეს არის კაცი, რომელიც ანაწილებს საშვებს, რაც კინოჩვენებებზე დასწრების საშუალებას იძლევა. დისკუსია ათასჯერ განხილულ საკითხს ეხება, როგორ მოვიქცეთ, თანდათან უფრო მეტ ხალხს უნდა ფესტივალზე დასწრება, ხოლო დარბაზებში ერთით მეტი სავარძელიც კი არ არის. როგორ მივიღოთ უფრო მეტი უცხოელი, მზარდი რაოდენობით ჩინელები, რომელთათვისაც კანი აბსოლუტური მითია, როცა ფრანგებსაც და ევროპელებსაც უნდათ ამ ზეიმში მონაწილეობის მიღება? ვერ წარმოგვიდგენია კითხვები, რომლებსაც ფესტივალი უნდა შეეჯახოს, მოვლენა წარმატებულია, თუ ტექნიკურადაც წარმატებულია. საბოლოოდ, მთავარ მოსაზრებას ახლავს კითხვები: კანის ფესტივალი ისევ ისეთი უნდა იყოს, როგორიც არის? („უპირველეს ყოვლისა, პროფესიონალთა ფესტივალი?“) თუ გაიხსნას მათთვისაც, ვისაც ესმის, რომ ეს ფესტივალი მარტო პროფესიონალთათვის განკუთვნილი არასოდეს ყოფილა? კანს არ შეუძლია მიიღოს ხალხის უსაზღვრო რაოდენობა და ამ სამყაროში, სადაც

ხალხის მატება სრული სიმართლეა, აუცილებელია, რომ კანის ფესტივალი განვითარდეს ფესტივალის იდენტობის დაზიანების ფასად? კანის გენეტიკური კოდი ასეთია: „ჩვენ ვართ პროფესიონალთა ფესტივალი“. ეს მოდის 1946 წლიდან, მაგრამ, 80-იან წლებში ყველაფერი შეიცვალა, ძველი სასახლე დაინგრა, ახალი სტრუქტურა დამკვიდრდა, რასაც თან მოჰყვა აუდიოვიზუალური პრესის შემოსევა. შენობა, რომელშიც ვიმყოფებით 1983 წლიდან, რომლის მეტსახელი „ბუნკერი“ ყოველთვის მძულდა (რადგან მიყვარს ფესტივალის სასახლე), მას „ახალ სასახლესაც“ უწოდებენ, თუმცა უკვე 35 წელიწადია არსებობს. კანი გადაიქცა კონგრესების ქალაქად, მერიამ იფიქრა ქალაქის განვითარებაზე მრავალი მიმართულებით და ბევრი ინვესტიციაც ჩადო ამ საქმეში. „სასახლე უნდა დაინგრეს“, – განუცხადა ჟილ ჟაკობმა თავისი წასვლის წელს გაზეთ „ნის მატენს“, გულწრფელი ლაპარაკის ჟამს, რაც ავანტიურისტული იყო. ეს ჩვენი დაწესებულების სტილი არ არის. მას სამი ათეული წელი დასჭირდა ამის მოსაფიქრებლად, ჩვენ კი ისევ დღევანდელი სასახლე გვრჩება ჩვენს განკარგულებაში. ჟილი არაფერს აკეთებს შემთხვევით, ის მუდამ ფესტივალის ინტერესებს იცავს. მისი მედიაგამოსვლა იმსახურებს მარტივ დებატებს: ამ მსოფლიო მასშტაბის მოვლენისთვის მთავარი საკითხია ფინანსური შესაძლებლობები და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

განვაგრძობთ ჩვენებებს კომიტეტის სრულ შემადგენლობასთან ერთად. რამდენიმე კვირაში უკვე ვნახეთ ფილმები კანადიდან, ესტონეთიდან, ნორვეგიიდან, ყაზახეთიდან, იტალიიდან... მათ შორის იყო რობერტო ანდოს ფილმი, რომელმაც ადრე ძალიან კარგი „გაუმარჯოს თავისუფლებას“ გადაიღო; პაოლო ვირსის ფილმიც „La Pazza Gioia”, რომელიც პროდიუსერებმა ისე წარმოგვიდგინეს, როგორც ახალი მსოფლიო საოცრება. ეს დაუშვებელია, მაგრამ ეს კინომოღვაწეები ხომ ოფიციალური კონკურსის კარზე აკაკუნებენ. ვნახეთ ასევე კელი რაიშარდის ფილმი, რომლის „ვენდი და ლუსი“ ადრე „განსხვავებულ ხედვაში“ ვაჩვენეთ და ვინც შემდეგ ვენეციის კონკურსში

მონაწილეობდა ფილმით „ბოლო ნაკვალევი“. ეს არის არაჩვეულებრივი „საავტორო ვესტერნი“. აქ წარმოდგენილ ფილმს ჰქვია „ლივინგსტონი“, რომელზეც ყველაზე კარგად ვირჟინი აპიუ ამბობს: „მცირე საშუალებების გამოყენებით, ფილმი იგებს ფარული ენერგიით, რაც მას ბოლომდე ავსებს. ვიზუალურად განზრახ დეპრესიული გარემოა, პეიზაჟები ორ არასტუმართმოყვარე სეზონს შორისაა მოქცეული და ამ ფონზე კელი რაიშარდი საუკეთესოდ ახერხებს ადამიანის სულიერ მდგომარეობათა გამოხატვას, ცოტა არეულად და იუმორით“. ყველა ფილმი მოგვწონს, მაგრამ კელი კანში თუ ჩამოვა, ოფიციალურ კონკურსზე უნდა ჩამოვიდეს. მაგრამ წელიწადის ამ დროს ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ტოდ ჰაინსმა ფილმის საქებარი მესიჯი გამომიგზავნა. ფილმი აირჩიეს სანდენსზე. გავუშვებთ იქ და მერე ვნახავთ. სამაგიეროდ, ორშაბათს, კრისტი პუიუს დავუდასტურე, რომ მის „სიერანევადას“ ვეპატიჟებოდით კონკურსზე. „ეს ჩემთვის დიდი პატივია“, – მითხრა მან. „განსხვავებული მზერის“ შემდეგ, ეს იქნება ჩვენი პირველი ერთად ყოფნა წითელ ხალიჩაზე, და ეს იქნება 2016 წელს საჩვენებელი პირველი ფილმი, ორიგინალური ნაწარმოები, ნამდვილი საავტორო ნამუშევარი. ეს კინორეჟისორი იმსახურებს, რომ მის ფილმს უყურონ, თავისი თაობის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია. ჩვენთვის კი კარგის მომტანი ნიშანია, რომ ასეთი ფილმი შევარჩიეთ შობამდე.

სადილზე ვარ ბრაზილიელ კინორეჟისორ ვალტერ სალთან ერთად. მან დაამთავრა დოკუმენტური ფილმი „მთების გადაღმა“, ჩინელ კინორეჟისორ ჯია ზანგკეზე, რომელიც მალე გამოვა და წარმოდგენილია საკონკურსოდ. მასში გადმოცემულია ორი სამყაროს ბედნიერი შეხვედრა, რის ფონზეც ერთი ხელოვანი მეორე ხელოვანის სასარგებლოდ მოქმედებს, ამავე დროს, ეს ფილმი გვისახავს ახალ მიზნებს იმ დიდი სივრცის მიმართ, რასაც ჩინეთი წარმოადგენს.

ხუთშაბათი, 10 დეკემბერი

ტუვ-თი პარიზში ვბრუნდები. ვზივარ მე-12 ვაგონში, მე-14 ადგილზე. ერთ-ერთი ჩემი რჩეული ვაგონია. ლიონური განთიადია, ზამთრის ნისლი ნელ-ნელა ადის მდინარე რონას ზემოთ. მგზავრის დილის საუზმით ვკმაყოფილდები, სადგურში გაზეთებს ვყიდულობ, მთელ საფრანგეთს ავივლი, ეს ჩემი ზუსტი რწმენაა. ვუსმენ დიუკ ელინგტონის „Take the „A" train"-ის სამ ვერსიას. ამას მაშინ ვაკეთებ, როცა მოწყენილი ვარ. ახლა კი ყველა მოწყენილია. მახსენდება გოდარის სიტყვები ინტერვიუდან, რომელიც „კაიე"-ში გამოქვეყნდა: „დრო და დრო ჩვენ გვჭირდება არა გაუთავებელი ალერსი, არამედ ზიზღში ნაკლებად ცხოვრება". ვიწყებ ჩემი ჩანიშნული ამბების კითხვას. ოლივიე ნორას, ჩემს გამომცემელს, უნდა რომ ყველაფერი შობამდე გაარკვიოს. კვენტინ ტარანტინოს მსოფლიო პრემიერა აქვს ფილმისა „რვა ნაძირალა", ის იქნება კინოთეატრ „გრან რექსში" ფრანგული პრემიერის დღეს. ფირი 70-მილიმეტრიანია, როგორც ყოველთვის, ჩვენება გაიმართება რიშარ პატრის ხელმძღვანელობით და მისი ნორმანდიელი გუნდის წევრების დახმარებით. უმაღლესი დონის კინოდარბაზის ფასადიც დეკორატიული ხელოვნების ნიმუშია და ჩანს დიდი ბულვარებიდან. დარბაზი გატენილია მაყურებლებით, პარტერი და იარუსი დიდი მოვლენისთვის მზადაა. ბეატრის ვაშბერგერი სათითაოდ იძახებს სტუმრებს სცენაზე. ესენი არიან: კურტ რასელი, ტიმ როტი, ახალბედა ველტონ გოგინსი, რომელიც ბრწყინვალედ თამაშობს შერიფ კრის მანიქსის როლს. ბოლოს ადის ტარანტინო და სპექტაკლს მართავს, ის ძალიან პოპულარულია. ილაპარაკა ფილმის დაბადებაზე, თქვა, რომ ჯერ უნდოდა ეს ფილმი „ჯანგოს" გაგრძელება ყოფილიყო, მაგრამ მერე აზრი შეიცვალა... ლიონში ყოფნის წელს. „ლიონში, სადაც ლუმიერის სახელობის პრიზი მივიღე", – აცხადებს ის ამაყად. ლიონში თვითონაც წარუშლელი კვალი დატოვა.

ვსადილობთ ლიონელებთან. პარიზში მყოფი გილიერმო დელ ტოროც გვიერთდება. საოცრად ცოცხალი ატმოსფეროა. კვენტინი კონ-

კურსგარეშეა, ტიმი, კურტი და გილიერმოც ენამჭევრები არიან (დიდი მთხრობელები და დიდი კინომოყვარულები) და ვხედავთ, რომ არც ველტონს აქვს ლაპარაკის პრობლემა. ტარანტინო საუბარი გადამდებია. ხვალ საღამოს ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

შაბათი, 12 დეკემბერი

ბასტილიის უბნის პატარა კაფეში ვამთავრებ პარიზულ დღეს და სწრაფად ვბრუნდები უკან, ლიონში. იქ უკვე აცხადებენ, რომ იანვრის ბოლოს გაიმართება მესამე ფესტივალი, მიძღვნილი სპორტის, ლიტერატურისა და კინოსადმი. პროგრამა დაგზავნილია და ბილეთების დაჯავშნა შესაძლებელი. რემონ პულიდორი მონაწილეობს პატრიკ ჟედის დოკუმენტური ფილმით, სადაც ვხედავთ, „მარადიული მომდევნო კაცი“ (მაგრამ ჭკვიანი, მოხერხებული და პრინციპული) როგორ აქრობს მისთვის ხელისშემშლელ ლეგენდას, არაჩვეულებრივი ნათქვამით: „ვინც მეორეა, ის მირბის, ვინც პირველია, ბანკში მიდის!“ ჩვენ გამოვფენთ ასევე ჟაკ ანრი ლარტიგის, საუკუნის დასაწყისის სპორტის ამსახველ ფოტოებს, როცა მთელ მსოფლიოს, ან ნებისმიერი ადამიანის მსოფლიოს, სწამდა ნაშუადღევის, პლაჟის, ოჯახური ველორბოლის და ელეგანტური ჩოგბურთის კორტების. ტრანსატლანტიკური დროითი სხვაობა ვერაფერს მაკლებს, პარიზული კი მკლავს. ამ ბოლო დროს გვიან ვწვები. ლორანი „ოლემპიაშია“ და სპექტაკლების შემდეგ მასთან დავდივარ. ამ დღიურებში ყველა დეტალზე არ ვწერ. ახლაღა აღმოვაჩინე: როცა დღიურების წერას ვიწყებდი, მეგონა, თავისუფლად დავწერდი, დავიმახსოვრებდი დღეების მიმდინარეობას, ფაქტებს, ფიქრებს, შეხვედრებს, ფილმებს, DVD-ებს, სიმღერებს, ტელეგრაფულ სტილში, აბზაცებს, ორ წერტილს, ტირეს ხაზის წინ, სერიოზულ აზრს, იდიოტურ აზრს, ორ ხუმრობას და აი, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ზოგი რამ უნდა შევამცირო, ზოგს უპირატესობა მივანიჭო.

ნაშუადღევს ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრაა (ლოტოსი არა, სა-

ფეხბურთო ჩემპიონატის). მივდივარ მაიოს კარიბჭესთან, სადაც ჯერ ერთ პოლიციელს ვეჩხუბე, რომელიც ცუდად დამელაპარაკა, ხოლო მერე დავესწარი დიდი მონდომებით გააზრებულ სანახაობას, რომელიც სცენას უთმობს მომავალი ივნისის დიდ შეხვედრას. რამდენიმე წარგზავნილი იმყოფება დარბაზში: ბაზილ ბოლი (მარსელის), დიდი ავადმყოფი სხეული, ანუ პოეტი ფაბიენ მარსო (სენ-დენის მხრივ), დანიელ ბრავო (ნიცის მხრიდან). კენჭისყრით ლიონს გაუმართლა, რომლის სტადიონიც ოთხ საინტერესო შესარჩევ მატჩს უმასპინძლებს (ბელგია-იტალია, უკრაინა-ჩრდილოეთ ირლანდია, რუმინეთი-ალბანეთი და პორტუგალია-უნგრეთი). მერვედფინალური მატჩიც აქ გაიმართება, სადაც საფრანგეთი ითამაშებს, თუ თავისი ქვეჯგუფიდან პირველ ადგილზე გავა და ნახევარფინალიც ლიონში გათამაშდება. ცერემონია მეგობრულ ატმოსფეროში ტარდება, ძველი მოთამაშეები მონაწილეობენ კენჭისყრის ჩატარებაში, მათ შორისაა ანტონენ პანენკა, რომელმაც პენალტის ახლებური დარტყმა მოიფიქრა. დავიდ გეტა დაწერს ოფიციალურ სიმღერას, ხოლო ან იდალგო (რომლის ტემპერამენტიც მაგიჟებს, და არა მარტო ტემპერამენტი), რადგან ის ლიონელი იყო, სანამ პარიზის მერი გახდებოდა, სწორედ ის იქნება ეფექტური და თავმდაბალი ელჩი თავისი ქალაქისა ოლიმპიურ თამაშებზე კანდიდატად წარდგენისას. ეს სასიამოვნო მოვლენა მიშელ პლატინის გარეშე ხდება, რომელსაც შეჩერებული აქვს უფლებამოსილება – ფიფას შიდა საქმეებში რაღაც ხდება, რომლის პრეზიდენტობაზეც ის კენჭს იყრის. ეს კი იმის ნიშანია, რომ მისი იმიჯი არ შეიბღალება. მის ახალგაზრდულ მგზნებარებას დიდხანს უკრავენ ტაშს, როდესაც საზეიმოდ ჩაცმული მიშელ პლატინი დიდ ეკრანზე ჩნდება და რამდენიმე წამის განმავლობაში თითქოს ისმის იმ დიდი ცეცხლის ტკაცუნი, რომელიც პლატინიმ 1984 წელს დაანთო.

საღამოს ისევ ვხვდები ტარანტინოს სადილზე რისიენთან ერთად, რომელიც ძალიან უყვარს კვენტინს. ბერტრანმა ვერ შეძლო მოსვლა, ის სარასთან ერთად სამხრეთშია წასული დასასვენებლად. ამ კვირას

მან თავის ორ კოპროდიუსერს, „პატეს“ და „გომონს“ უჩვენა პირველი მონტაჟი იმისა, რასაც სახელად ერქმევა „მოგზაურობა ფრანგულ კინოში“. ეს იქნება სრულიად გაცხადებული საყრდენი სკორსეზესა და მაიკლ ვილსონის სამუშაოსთვის. – დათვს უკვე მოვუსინჯეთ კბილი, – ამბობს ის. ფილმი ჯერ არ დამთავრებულა და უკვე სამ საათზე მეტხანს მიდის მასალა. არ ვიცი უფრო მოკლედ როგორ გავაკეთო, თან სხვა მასალაც მაქვს მისამატებელი. უკვე შევეხე რენუარს, ბეკერს, კარნეს, მორის ჟობერს, ედმონ ტ. გრევილს და ედი კონსტანტინს. დავამთავრებთ სამსაათიანი ორი ფილმით. არავის მოუნდება ამის ნახვა! „ კინორეჟისორი თუ ეჭვებშია, ის რეალურად ფიქრობს.

კვენტინი ბედნიერია მიღებით, რომელიც „ლე გრან რექსში“ მოუწყვეს მის ფილმს. რისიენი ზედ ამატებს კომპლიმენტებს, განსაკუთრებით უქებს მონტაჟის ხარისხს. ტარანტინოს გაცნობიერებული აქვს, რომ ის იძლევა ძნელ რამეს, მომთხოვნსა და კომპლექსურს და, ერთი შეხედვით, არათავაზიანს. მაგრამ ის კარგად იცნობს თავის ისტორიას, ისიც კარგად იცის, რა წინააღმდეგობები ხვდება ავტორს ამერიკაში და რა ფილმები უნდა გადაიღოს კინორეჟისორმა, მიუხედავად ყველაფრისა. არავინ ვიცი სხვა, ვინც ასე პატივს სცემდეს თავის საქმეს. ის თავის საჯარო გამოსვლებსაც კი ამზადებს. ასე იყო მაშინაც, როცა ლუმიერის ფესტივალის გახსნაზე ბელმონდოს შესახებ არაჩვეულებრივი საქებარი სიტყვით გამოვიდა, არადა, სულ ბოლო მომენტში ვთხოვეთ მონაწილეობის მიღება. მან ასე დაამთავრა თავის გამოსვლა: „ეს გვარი, ბელ-მონ-დო (თითოეულ მარცვალზე მახვილი დასვა), ეს არ არის კინოვარსკვლავის გვარი, ეს არ არის კაცის გვარი, ბელმონდო არის დიდი სიტყვა!“ ადამიანი ტარანტინოს არსებობა განუყოფელია მისი არტისტული ბიოგრაფიისგან, მან ზუსტად იცის, როგორ განვითარდება მისი კარიერა, რომელიც ყოველი ახალი ფილმის გადაღების შემდეგ უფრო მიმზიდველი ჩანს. მე ვერ მოვიხიბლე მისი „Reservoir Dogs”-ის ზოგი ასპექტით (ბევრი ძალადობა, იუმორი აროგანტულობის ზღვარზე და ა.შ.). არ ვიყავი მზად ამ ფილმისთვის,

არ ვიცოდი, გულის სიღრმეში ყველაფრის განახლება რომ უნდოდა და ვერ აღვიქვამდი მის ესთეტურ გენეალოგიას, რომელშიც ის თავის კარიერას წერდა. ერთ დღესაც, როცა „Pulp Fiction"-მა ყველა ერთ აზრზე მოაქცია და მეც უპირველეს ყოვლისა, ისევ ვნახე ეს ფილმი და სხვებიც, რომლებიც ტარანტინომ ამის შემდეგ გადაიღო. მას მერე ბოლომდე ვენდობი. კინოსადმი მისი სიყვარული მუდმივად მოძრავია, მართალია, ყველამ იცის მისი ზოგიერთი აკვიატების შესახებ, მაგრამ წარმოუდგენელი პირველაღმომჩენია. ცოტა ხნის წინ ნახა 1970 წელს გამოსული ყველა ფილმი... „ერთი წელი ავიღე და ყველაფერი ვნახე: ამერიკული ფილმები, ფრანგული ფილმები, იაპონური, იტალიური". თითქოს ეს ადვილი და უბრალო საქმეა, ყველა კვდება, ისე უნდა ამის გაკეთება. ის კი პირდაპირ საქმეზე გადადის. ამას გარდა, ყველაფერს ინიშნავს, მაჩვენა ბლოკნოტები, და სულ მეუბნება, რომ წიგნს ამზადებს. თუ მის უნიკალურ მეტყველების სტილს მიემატება ლიტერატურული ეკვივალენტი, ეს ხმაურს გამოიწვევს.

სადილი ძალიან სასიამოვნოა. კვენტინი აფასებს სამზარეულოს და ეს „კოკა კოლას" მსმელი კალიფორნიელი ბიჭი სულ რამდენიმე წელიწადში ღვინის მოყვარული გახდა. სადილის ბოლოს პიერს უცებ დაღლილობა მოეძალა,, კედელს მიეყუდა, თითქოს აქ აღარ იყო, თვალები სიცარიელეს გაუშტერა, რეაქცია არ ჰქონდა... ვიფიქრე, რომ კვდებოდა. კვენტინი მის წინ იჯდა და პირველმა შეამჩნია ეს, მერე მისი ხელი აიღო, რომ გაეთბო და მე შეწუხებულმა შემომხედა. გაუთავებელი წუთების შემდეგ, ჩვენ რომ გაუთავებლად მოგვეჩვენა, პიერი გონს მოვიდა, ჩვენც მოვეგეთ გონს, გაოგნებულები იმით, რაც ვნახეთ და გახარებულები იმით, რომ უარესი თავიდან ავიცილეთ.

კვირა, 13 დეკემბერი

გათენებისას ტჟვ კვეთს უთოვლო საფრანგეთს. გუშინ ბერლინში გაიმართა ევროპული პრემირებული ფილმების ჩვენება. ეს იყო პრიზების სეზონის პირველი ეტაპი, რომელიც თებერვლის ბოლოს დამ-

თავრდება ოსკარებით. კანის ფილმებიც იყო წარმოდგენილი ნომინაციებში. გარდა ფილმებისა „ახალგაზრდობა“, „ამი“, „კიბორჩხალა“, რომლებმაც მოიპოვეს პრიზები შესაბამის კატეგორიებში და გარდა „მუსტანგისა“, რომლის სახელიც თანდათან უფრო ცნობილი ხდება, წარმოდგენილი იყო ისლანდიური „ცხვრები“, შვედური „თოვლის თერაპია“, უნგრული „თეთრი ღმერთი“ – ბოლო ორი წლის „განსხვავებული ხედვის“ ლაურეატები და ანდრეი ზვიაგინცევის მშვენიერი ფილმი „ლევიათანი“, რომელიც კონკურსში 2014 წელს მონაწილეობდა. ამგვარი ამბები უმნიშვნელოვანესია.

რეგიონალური არჩევნების მეორე ტურია: მე ხმას ვაძლევ ვენისიეში, მენგეტის გარეუბნის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე, ლუი პერგოს სახელობის დაწყებით სკოლაში, სადაც ჩემი უმცროსი და მაშა დამყავდა ადრე. მართალია, სწრაფად შევირბინე იქ, მაგრამ ბავშვობის გზებზე გავლამ გული ამიფანცქალა. რესპუბლიკელების კანდიდატი კრისტიან ესტროზი აირჩიეს პროვანს-ალპ-კოტ დაზურში, ლორან ვოკიე კი გავიდა ოვერნ-რონ-ალპის ახალ რეგიონში. სასწორი, რომელიც მოძრაობდა მარცხნიდან მარჯვნივ, მიმართულება შეიცვალა. შეგვეძლო დაგვესათაურებინა ასეც, როგორც „შარლიმ“ გააკეთა (მემარჯვენეებისთვის): „მემარცხენეებში წაგების მანქანა შეაკეთეს“.

ორშაბათი, 14 დეკემბერი

შამონი. სასტუმრო „ალბერ პირველი“. ლუმიერის ინსტიტუტის თანამშრომლები იმავე „შალეში“ არიან, სადაც იმყოფებოდა კლინტ ისტვუდი 2009 წელს, მას მერე, რაც მიიღო ლუმიერის პირველი პრიზი. ის აქ ჩამოვიდა, რათა სესილ დე ფრანსთან ერთად გადაეღო პირველი სცენები ფილმისა, სახელწოდებით „მიღმა“. ჩვენ აქ ვიკრიბებით ორ ან სამ წელიწადში ერთხელ, ორდღიან სემინარზე და კიდევ იმისთვის, რომ ვიგემოთ ზამთარი, ზამთრის დადგომამდე.

ნოყიერი დილის საუზმის შემდეგ, ვიხსენებთ სინემატოგრაფის დაბადების 120 წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმს, რამდენიმე დღით

ადრე „28 დეკემბრამდე“. ლუმიერის მემკვიდრეობა ჩემი საქმიანობების ცენტრშია მოქცეული, ალბათ მიხვდით, რომ სწორედ ამიტომ არასოდეს მდომებია ლიონიდან წასვლა. სინემათეკები და სინემატოგრაფიული კულტურის ინსტიტუტები უამრავია და ჩვენზე მდიდრულიც, მაგრამ „პირველი ფილმის ქუჩა“ ერთადერთია მსოფლიოში. საჭიროა მასზე ზრუნვა. ლუმიერის ინსტიტუტი დაიბადა1982-1983 წლებში. უბანში, სადაც დაიბადა კინო, არაფერი იყო, გარდა გაურკვეველი ეპოქის ციხე-კოშკისა და ძველი საბძლისა, რომელიც ქარს უკვე მოერყია. ეს იყო ერთადერთი რამ, რაც ქარხნისგან იყო შემორჩენილი. ყველაფერი წინ იყო: ინსტიტუტის აშენება, მუზეუმის დაფუძნება, გამოსახულების შექმნა, პროგრამის შემუშავება და ხალხის მოზიდვა. უნდა გვეთქვა კინორეჟისორებისა და მთელი მსოფლიოს, რომ დედამიწაზე არის ადგილი, სადაც „ფილმის შექმნის“ პირველადი რიტუალი შესრულდა. ნელ-ნელა ჩვენ აქ ვუმასპინძლეთ კინორეჟისორებს: მარსელ კარნეს, ელია კაზანს, ჟოზეფ მანკევიჩს, ჯერი შაცბერგს და სხვებს. ანდრე ტოტი ლიონს კინოს ბეთლემს უწოდებდა, მას უნდოდა, რომ მისი ფერფლი მოეფრქვიათ სამ ადგილას: ბუდაპეშტში, სადაც ის დაიბადა, ლოს-ანჯელესში, სადაც ცხოვრობდა და ლუმიერის შატოს ბაღში, სადაც მას უზარმაზარ სიამოვნებას ანიჭებდა დიდი ხეები, ოგუსტისა და ლუის აჩრდილები.

1995 წლის შემდეგ, როცა ვიზეიმეთ ასი წლისთავი, ჩვენ გავხსენით კინოდარბაზი ლუმიერის საბძელში. ჩვენ გვამოძრავებდა იდეა, რომ საიდანაც გადაიღეს პირველი „მსახიობები“, როცა ისინი ქარხნიდან გამოდიოდნენ, იქიდან უნდა დაბრუნებოდნენ მაყურებლები კინოს. ორი წლის განმავლობაში ლუმიერის ფილმების გამოყენებას შევუდექით ეროვნული კინოცენტრისა და ლუმიერების ოჯახის თანხმობით, მაქს ლეფრან-ლუმიერისა და ჟაკ ტრერიე-ლუმიერის მხარდაჭერით. შედეგმაც არ დააყოვნა: მოეწყო საერთაშორისო ექსპოზიცია პარიზის „გრან პალეში“, აღვადგინეთ ლუმიერის 120 ფილმი, აღვნიშნეთ 19 მარტი – კინოაპარატის ამოქმედების პირვე-

ლი დღე. გარდა ამისა, პედაგოგიური სამუშაოები ჩაატარეს ფაბრის კალზეტონმა და მისმა გუნდმა.

2016 წლიდან გამოფენა „ლუმიერი! კინოს გამოგონება“, წავა ალბათ ბოლონიაში, შემდეგ კი ბუენოს-აირესში, ევიანში, ლიონში, სრულიად ახალ კონფლუანსის მუზეუმში და შეიძლება სხვა ქალაქებშიც. კარგი იქნება ლუმიერის ფილმების ჩვენება დარბაზებში, პიტერ ბეკერი და ფუმიკო ტაკაჟი აპირებენ ამ ფილმების ბეჭდვას კრიტერიონში (The Criterion Collection), რომელიც DVD-ის წარმოებაში ამერიკელებისთვის არის ის, რაც ჩვენთვის პლეიადის (Bibliothèque de la Pléiade) გამოცემები. სპექტაკლი ლუმიერი მუდმივ ტურნეში იქნება, როგორც ახალგაზრდა სინემატოგრაფის ოპერატორები, ახალგაზრდა ლიონელები, რომლებიც ლუი ლუმიერმა დაასაქმა და მთელ მსოფლიოში მიავლინა. დრო მოვა და ლუმიერის ფილმების მეორე სერიაც გამოვა. მერე, მესამე, მეოთხე და ა.შ. საქმე ულევად გვაქვს.

ჩვენი შეხვედრა დებატებსა და დისკუსიას მიეძღვნა, რომელსაც მოჰყვა გასეირნება მონბლანის ძირში. ლამაზი დღე იყო, ლუმიერის ინსტიტუტზე ოცნებამ გამიტაცა. გუნდური მუშაობა მართლაც ყველაფერზე კარგი რამ არის. შამონის ცენტრალურ ქუჩაზე კაფე „კალეშში“ შევედით. გლეხური დეკორი და ადამიანური სითბო დაგვხვდა. ფონდიუ მივირთვით. შემდეგ კი ყველამ ჩვენ ჩვენს ოთახს მივაშურეთ სასტუმროში. ხვალ გავაგრძელებთ საქმეს. მთელი დღე არ მომასვენა „პატეს“ ამბავმა, არც ჩემმა ტანჯვამ, რომ არაფერს ვეუბნებოდი ამ მნიშვნელოვან ამბავზე თანამშრომლებს, რომლებსაც მომავალზე ვესაუბრები და ეს მომავალი შეიძლება ჩემი აღარ იყოს.

სამშაბათი, 15 დეკემბერი

დილით ადრე მინდოდა ადგომა, რომ გრანდ ჟორასის ძირში გამესეირნა, მაგრამ მძიმე ღამე მქონდა და ვერ შევძელი. დავმარცხდი. ერთბაშად ორი მარცხი განვიცადე: არ წავედი დილით სასეირნოდ, თუმცა საკუთარ თავს ვარწმუნებდი, რომ ამას შევძლებდი. ასეთი გა-

დაწყვეტილება უბედურების მომტანია. პარიზში რაც უნდა ხდებოდეს, შევახტები ხოლმე ველოსიპედს და ოცდახუთი წუთი დავდივარ. ჰოდა, დავრჩი ოთახში დილის საუზმემდე, გადავხედე იმეილებს, მოვაგვარე ორი თუ სამი საქმე, მადლობა გადავუხადე ჟოზე კოვოს, „ფოქსის“ მეპატრონეს, რომელმაც საშუალება მომცა, ვნახო ინიარიტუს ფილმი დაბრუნებისთანავე. გავაგრძელე ამ ჩემი დღიურების წერა, რომელსაც ინტენსიურ დღეებში მივატოვებ ხოლმე.

დღე იწყება ფრანგულ სინემათეკასა და ფრედერიკ ბონოზე საუბრით, რომელიც კოსტა გავრამ დირექტორად დანიშნა. ის მედიათეკიდან მოდის და ლუკმაპური ყოველთვის ექნება, მაგრამ მისი ორიგინალობა და თავაზიანობა (თუ არ ჩავთვლით მის მძაფრ კრიტიკოსობას, როცა „ლიბერასიონსა“ და „ინროკში“ მუშაობდა) სასწაულს მოახდენს იმ წრეში, სადაც ადამიანები თვალებით ჭამენ ერთმანეთს. ის სინემათეკის შვილია, აქ აიდგა ფეხი, სანამ ჟურნალისტიკაში გადაეშვებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ადვილად იპოვნის აქ თავის ადგილს და ამ ძველ დაწესებულებასაც შეუნარჩუნებს თავის პოზიციას. როცა სერჟ ტუბიანა იყო დირექტორი, ის სინემათეკის იმიჯზე, საქმიანობასა და ხალხზე ზრუნავდა (და თანაც შესანიშნავად). ფრედმა მომავალი უნდა მოუფიქროს ამ დაწესებულებას. ციფრული ტექნოლოგიის ფონზე მიზნები ვეღარ იქნება იგივე, რაც ადრე იყო, სინემათეკებმა უნდა გადახედონ თავიანთ საქმეს, არსებობის საფუძველს და საქმის კეთების მანერას. მოსაფიქრებელია ახალი პროგრამები, უნდა დავუბრუნდეთ საგანმანათლებლო მისიებს, შევქმნათ ახალი პუბლიკა, მოვლენა და ისტორია და გავაგრძელოთ შენარჩუნებაზე ფიქრი, როცა მედიათეკა მარტო აღარ იქნება ფილმების ჩვენების საკითხში. წარსულის დიდი ბრძოლები მოგებულია, კლასიკური კინო ყველგან გავავრცელეთ. და რადგან კლასიკა ყველგანაა, სინემათეკებმა განახლებული ადგილი უნდა დაიკავონ ხალხის გულსა და გონებაში. თორემ წარმატება მარცხში გადაეზრდებათ.

ვტკბები მონბლანით, მაგრამ კანიც სულ მხედველობის არეშია. რამდენიმე დღის წინ ალექსანდრ მალე-გიმ გამოაცხადა, რომ გამოდიოდა ბრუნო დუმონის ახალი ფილმი „ჩემო პატარა“, 2016 წლის 11 მაისს, ოთხშაბათს, ანუ... კანის ფესტივალის გახსნის დღეს! ალექსანდრ მალე-გი არის „მემენტოს“ დისტრიბუტორი. ამ კაცს შეუძლია მილიონი მაყურებელი შეკრიბოს ირანული ფილმების სანახავად (როგორ ახერხებთ ამას საფრანგეთშიო, მკითხა ერთხელ ნანი მორეტიმ). ამ ფილმის გამოსვლა მაისში ნიშნავს, რომ: 1. ის კმაყოფილია ფილმით; 2. მას უნდა წასვლა კანში; 3. თუ ფილმს არ ჩართავენ საკონკურსო ჩვენებაში, კინორეჟისორთა „კენზენი“ მაინც აჩვენებს მას. მაშასადამე, მალე-გის შეუძლია ფილმის გამოსვლაზე ამცნოს ყველას კანის პერიოდში. აქედან კი გამომდინარეობს, რომ 4. ფილმი, რომელიც გადაიღო პრესისთვის საყვარელმა რეჟისორმა ბრუნო დუმონმა და მაგარი კასტინგიც შემოგვთავაზა, ზემოქმედებას მოახდენს ჩვენზე. თუმცა, რა ზემოქმედებაზეა ლაპარაკი: 1. თუ ისინი მოგვაწვებიან, ალბათ ფილმი კარგი გამოვიდა, რაც შესანიშნავია; 2) კასტინგი მართლაც ბრწყინვალე აქვთ: ფაბრის ლუკინი (რომელიც იშვიათად ჩნდება კანში), ჟულიეტ ბინოში და ვალერია ბრუნი ტედეში; 3) „პტი კენკენში“ ნათქვამია, რომ ეს არის კომედია ყველასთვის, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს საკმარისია ამ ფილმის წინ წამოსაწევად, რადგან ის „კაცობრიობისა“ და „ფლანდრიების“ ავტორის ფილმად რჩება. თანაც, ფესტივალის გახსნაზე კანდიდატობა, სულაც არ არის ფუფუნება. ვიღაც მეუბნება: „უნდათ გაიძულონ, რომ პოზიცია გამოხატო, ამიტომ უარი უნდა თქვა ფილმის ნახვაზე, თუნდაც იმიტომ, რომ შენს ავტორიტეტს გაუსვა ხაზი“. მე კი მიყვარს, როცა ჩემზე ზემოქმედებას ახდენენ ასეთი წამქეზებლური პროექტებით. თან, სულაც არ მინდა გამოვხატო ჩემი ავტორიტეტი იმ ხალხის წინაშე, ვისაც კანში წამოსვლა უნდა.

ოთხშაბათი, 16 დეკემბერი

შამონიდან დილით დავბრუნდი. ნაშუადღევს სამსახურში ვარ, შემდეგ პიერ ლესკურს ვხვდები სადილზე „სარდენია ა ტავოლაში“. ის მესაუბრება ახალ ამბებზე, რაც არასოდეს მღლის. მასთან ერთად სამი საკითხი მინდა განვიხილო: ვინ იქნება ჟიურის თავმჯდომარე, რა ფილმი გავა გახსნაზე და როგორი იქნება აფიშა. წესით, ფესტივალი პირველ განცხადებებს იანვარ-თებერვალში აკეთებს. ჩვენ უკვე გვიახლოვდება ეს პერიოდი და იდეალურია ასეთი განრიგი, მაგრამ ჩვენ არ გავჯიუტდებით. აფიშა თითქმის ხელთა გვაქვს, რამდენიმე პროექტი უკვე მივიღეთ, გახსნის ფილმი ჩვენზე არ არის დამოკიდებული, თან ჩემი პრინციპია, ზედმეტად არ ვინერვიულო. ყველაზე გვიან, შუა აპრილში გვეცოდინება გახსნის ფილმი, საკონკურსო ფილმებიდან შევარჩევთ რომელიმეს, თანაც ფილმ „ქედმაღალის“ გამოცდილება გვამშვიდებს. ჟიურის თავმჯდომარის ძებნა უნდა დავაჩქაროთ, რადგან ამის გაგებას უკვე ყველა ელოდება. დილის რადიოებს უყვართ წელიწადის დაწყება ამგვარი ამბებით. სხვათა შორის, ჩვენც გვიყვარს, როცა კანი გვამცნობს თავის ამბებს იანვრის პირველ დღეებში. ჟიურის თავმჯდომარის არჩევა კი სულ უფრო და უფრო რთულდება. ამ სირთულეს მაშინვე მიხვდებით, როცა გადახედავთ ბრწყინვალე სიას იმ ადამიანებისა, რომლებმაც ეს საქმე იტვირთეს ბოლო წლებში: კვენტინ ტარანტინო (2004), ემირ კუსტურიცა (2005), ვონგ კარ ვეი (2006), სტეფენ ფრირი (2007), შონ პენი (2008), იზაბელ უპერი (2009), ტიმ ბარტონი (2010), რობერტ დე ნირო (2011), ნანი მორეტი (2012), სტივენ სპილბერგი (2013), ჯეინ კემპიონი (2014) და კოენები ბოლო წელს. ამ რიტმში თუ ვეძებეთ და თუ ამერიკელებს გამოვაკლებთ, ამ დონის პრეტენდენტები იშვიათად შეგვხვდება. ალფონსო კუარონმა, ზანგ იიმუმ და კიდევ სხვებმა ცოტა ხნის წინ ასეთი ფუნქცია უკვე შეასრულეს ვენეციასა და ბერლინში. ცოტა დავზვერე ფრანსუა სამუელსონი, რომელიც მაიკლ ჰანეკეს აგენტია. მაიკლი ფილმს მომავალ ზაფხულში იღებს, ანუ კანის პერიოდში თავისუფალია, თუმცა მას უნდა, მხოლოდ თავის ფილმზე იყოს კონცენტრირებული. „მე არ შემიძლია ორი რამის

ერთდროულად კეთება“, – თქვა მან. ოკ, ოკ. ხომ არ უნდა ვიფიქროთ ვინმე ისეთზე, რომელიც არ იქნება კინოდან? მაგალითად, მწერალზე, ფოტოგრაფზე, მომღერალზე? მიკ ჯაგერზე? ის ხომ სულ დადის კანის ფესტივალზე და ჩუმად შედის ხოლმე დარბაზში ფილმის სანახავად (რინგო სტარს და დავიდ ბოუის გამოუთქვამთ სურვილი ჟიურიში ყოფნის). პიერი და მე ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი კარგი იქნება, მაგრამ იმასაც აღვნიშნავთ, რომ როკისადმი ჩვენი სიყვარული გვაბნევს, რომ მიკ ჯაგერზე არც კი უნდა ვიოცნებოთ. სადილის ბოლოს კიდევ ვიხსენებთ გვარებს და ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ კაფეს მეპატრონის, ტონინოს შემოთავაზებული ლიმონჩელო. ვიწყებთ ლაპარაკს ჯორჯ მილერის „მად მაქს ფური როუდზე“, რომელსაც ერგო ყველანაირი პატივი, როგორც კრიტიკის, ისე ხალხის მხრიდან. უცებ, ცხადად დავინახეთ: ჯორჯ მილერი ჟიურის თავმჯდომარედ, რაც ძალიან მაღალი დონის მაჩვენებელი იქნება.

ხუთშაბათი, 17 დეკემბერი

დღეს გამოდის „ვარსკვლავური ომის“ მე-7 ეპიზოდი: „ძალის გამოღვიძება“. „ლე ალის კინოთეატრ უჟესე-ში დილის 9-საათიანი სეანსიდანვე, ოთხშაბათობით, იგრძნობა ფრანგული ბოქს-ოფისის რეალობა – ჯ. ჯ. აბრამსის ფილმი ყველა რეკორდს ხსნის. მთელ მსოფლიოში ასე იქნება. ფილმის პირველი ეპიზოდიდანვე ასეა. მახსენდება არაჩვეულებრივი ისტორია, რომელიც მოთხრობილია დოკუმენტურ ფილმში „Easy riders, raging buls”. ეს ფილმი მანუელ შიშმა გამოუშვა. 1977 წლის დასაწყისია, ჯორჯ ლუკასმა დაამთავრა თავისი ახალი ფილმი ფანტასტიკის შესახებ, რომელსაც დაარქვა „სტარ ვორსი“. ისიც მახსოვს, რომ ჯორჯმა გამანდო, რომ სასტუმრო „კარლტონში“ ჰქონდა კონტრაქტზე ხელი მოწერილი კანში. ამის შემდეგ, მართალია ის უკვე მილიარდერი იყო, მაგრამ კანში ყოველთვის „კარლტონში“ ჩერდებოდა ცრუმორწმუნეობის გამო და არა რომელიმე მდიდრულ სასტუმროში, რაც უამრავია კანის ყურეში. მოკ-

ლედ, ტრადიციის თანახმად, თუმცა გაცნობიერებული აქვს, რომ ეს უჩვეულოა, ლუკასი ფილმის პირველ მონტაჟს აჩვენებს მეგობარ კინორეჟისორებს, მაშინ ყველაფერი ჯგუფურად ხდებოდა. მეგობრებში იყვნენ კოპოლა, მასზე ბევრად უფროსი, სპილბერგი – ახალგაზრდა ვუნდერკინდი, სკორსეზე ნიუიორკელი, დე პალმა ცუდი ბიჭი და სხვები. ჩვენების შემდეგ სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ ბრაიან დე პალმამ ამოიღო ხმა: „ჯორჯ, რას ნიშნავს ეს იდიოტობები? იმას, რომ ძალა შენკენაა და სხვა ყველაფერიც?“. ამ დროს, ახალგაზრდა სპილბერგი, რომელსაც ჯერ კიდევ ადგას „ზღვის კბილების“ წარმატების შარავანდედი (და ამონტაჟებს „მესამე ტიპის შეხვედრებს“) ფეხზე დგება და ამბობს: „ჰმ, შენი ფილმის საქმე კარგად წავა, ჯორჯ“.

ვსაუბრობ „ლე მონდის“ ორ მეპატრონესთან ერთად, ლუი დრეიფუსსა და ჟერომ ფენოლიოსთან, რომელიც რედაქციის სულ ახალი დირექტორია. კინო უყვარს, დანე-ტუბიანას დროინდელი „კაიე“-ებიც აქვს წაკითხული, მაგრამ არ სძულს „სოტე“. ლუისთან ერთად მას სურს აღადგინოს პარტნიორობის სულისკვეთება, რაც წელს არ გამოვიდა. ვეუბნები, რომ გაღიზიანებამ გაგვიარა, ისინი კი მეუბნებიან, რომ კანი „ლე მონდისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ არ გვჭირდება ერთმანეთისთვის იმის გამეორება, რომ პარტნიორობა არ გულისხმობს ორმხრივ მორჩილებას და არც ფესტივალის მხრიდან პრივილეგიის მოპოვების მოთხოვნას.

საღამოს ლიონში ვბრუნდები. იხსნება გამოფენა, რომლის მესვეურიც მე ვარ მინიატურისა და კინოს მუზეუმში. დან ოლმანმა (თვითონაც არაჩვეულებრივმა მინიატურისტმა) თავი მოუყარა ვეს ანდერსონის ფილმების („ბუდაპეშტის გრანდ ოტელი“, „ფანტასტიკური მისტერ ფოქსი“, „მთვარის ამოსვლის სამეფო“, რომლითაც გაიხსნა კანის ფესტივალი) დეკორაციების მაკეტებს, რაც პატივს მიაგებს ვესის კრეატიულობას, აგრეთვე ჯერემი დაუსა და სიმონ ვეისის გენიას, რომლებიც მისი თანარეჟისორები არიან გადასაღებ მოედანზე. დიდ დეკორატორებს თუ მოვუსმენთ (რომლებზედაც

უფრო ცოტას ლაპარაკობენ, ვიდრე მთავარ ოპერატორებზე, სცენარისტებსა და მუსიკოსებზე), მივხვდებით, რომ კინო არაჩვეულებრივი გუნდური სპორტია.

პარასკევი, 18 დეკემბერი

ღამით მესიჯი მივიღე ქსავიე დოლანისგან, რომელიც დაუბრუნდა რეჟისურას: „გამარჯობა, ტიერი. როგორ ხარ? დიდი ხანია არ მინახიხარ. ყველაფერი კარგად აეწყო მაისის მერე. მშვენიერი გამოცდილება იყო, რომელიც ჩემს მეხსიერებაში ილექება. ლოს-ანჯელესში ვარ, ფილმის მონტაჟს ვამთავრებ. იმედი მაქვს, წლის დასაწყისში რაიმე ნაწყვეტს გაჩვენებ. მითხარი, ხომ არ აპირებ მონრეალში ჩამოსვლას. თუ კვებეკის ზამთართან შებმას აპირებ, მაგ დროს სადმე სხვაგან რომ ვიყო, ჩემი მხრიდან დიდი სისულელე იქნება. თუმცა წელს კატასტროფას არ ელიან, Canada Goose-ის მარკის თბილი ტანსაცმელი შეგიძლია ლიონში დატოვო. ქსავიე“

კრისტიანთან ერთად ვაჯამებ ამერიკულ ფილმებს... რომელთაც ვერ ვნახავთ, მოკლედ, ოცნებებს თავს ვანებებთ: ჯეიმს კემერუნი, მაგალითად, ვერ ასწრებს დამთავრებას, მან გამოაცხადა, რომ „ავატარს“ ოთხი გაგრძელება ექნებოდა, რომელთაგან პირველი 2018-მდე არ გამოვა. იგივე ხდება ბენ აფლეკის „ღამის ცხოვრებასთან“ დაკავშირებით, ფილმის გადაღება არ არის დაწყებული. კარგი რეჟისორია აფლეკი, ძარღვებში კარგი სისხლი უჩქეფს, მისი ძმა კეიზი არაჩვეულებრივი არტისტია. ზაკ სნაიდერის „ბეტმენი სუპერმენის წინააღმდეგ“, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს მიმზიდველი, კანის ფესტივალამდე გამოდის. ენ ლი მუშაობს კრისტენ სტიუარტთან ერთად რაღაც ფილმზე (რასაც პოტენციურად ვნახავთ სხვა ორ ფილმში, ვუდი ალენის ნამუშევარსა და ასაიას ნაწარმოებში), მაგრამ ის 2016-ის ბოლოს გამოვა. ასე რომ არ ყოფილიყო, ის აუცილებლად გამაგებინებდა. დამიენ შაზელის „ლა ლა ლენდზე“ უკვე ვილაპარაკე, მაგრამ ცუდი ამბავი გვაქვს – ფრანგ დისტრიბუტორებს გადაეწურათ იმედი,

რომ კანის ფესტივალისთვის მოესწრება. სამაგიეროდ, დენი ვილნევის ფილმი „ამბავი თქვენი ცხოვრებისა“ მოესწრება. ამ რეჟისორის ფილმმა „სიკარიო“ ყველაზე დაბალი შეფასება მიღო 2015 წლის კონკურსზე. ჯერ არაფერია ბოლომდე გადაწყვეტილი, რა თქმა უნდა. არც დავიდ მიშოს „მის მანქანაზე“ ჩამოგვყალიბებია საბოლოო აზრი. ის უკვე აჩვენეს ავღანეთში სათაურით „MASH”. ფილმის ამოცანა მშვენიერია, მაგრამ არ ვიცი, როგორ შეიძლება გაიცინო ამგვარ თემებზე. 1970 წელს ალტმანის ფილმი იყო ყველაზე დამანგრეველი ძალის მქონე კომიკური ფილმი. დღეს რომ ვუყურებ, მიკვირს, რანაირად გადაიღეს („ფოქსის“ სტუდიაში) ასეთი ფილმი ნიქსონის ამერიკაში.

ორი რიმეიკი მზადდება: ერთია ტიმურ ბეკმამბეტოვის „ბენ-ჰური“ (რაც არ არის ის, რის იმედსაც იძლეოდა რეჟისორი) და „შესანიშნავი შვიდეული“, რომელიც თავადაც „შვიდი სამურაის“ რიმეიკია. დღეს რიმეიკები რიმეიკებიდან კეთდება.

ეს ის ფილმებია, რომლებიც მოვიძიეთ, ასე ვთქვათ „ღლავები“, მალე მსოფლიო კინოს ბადეში რომ აღმოჩნდებიან. ალბათ ჩვენი ფილმები ვერ მოხვდებიან ამ ბადეში. ბლოკბასტერებზე არც კი ვლაპარაკობ, რომელსაც კანური ბეჭედი იმიჯს შეულახავდა მსოფლიო პუბლიკის წინაშე და მაყურებლებს დააკარგვინებდა. როგორც კლინტ ისტვუდი ამბობს, ზოგიერთი ამ ფილმის ბიუჯეტით ამერიკა რომელიმე ქვეყანას დაიპყრობდა. მაშინაც კი, როცა ასეთი დიდბიუჯეტიანი ფილმები წარმატებას აღწევენ, თუ მათი გამოსვლა მაისში ან ივნისში არ იგეგმება, მათ მოსახვედრად კანის ფესტივალზე კალენდრის შეცვლა თითქმის ვერ ხერხდება.

შაბათი, 19 დეკემბერი

ღვინის მარაგი თითქმის დამიმთავრდა. განსაკუთრებული ერუდიციით არ გამოვირჩევი ამ საქმეში, მაგრამ კარგი გემოვნება მაქვს და კარგი რაც არის, ეტიკეტის მიხედვით ვხვდები. პორტუგალიური ერთ-ერთი ჩემი საყვარელი ღვინოა. ის ქვეყნის სამხრეთში მზადდება,

ალენტეჟოში და „ინკოგნიტო“ ჰქვია, შეიძლება იმიტომაც, რომ იშვიათი ღვინოა. მე ის ჯიმ ჰარისონთან ერთად აღმოვაჩინე. წლის ბოლოს ყოველთვის ასეთი რამეები გვახსენდება. ვბრუნდები სოფელში, ორ კვირას დავრჩები აქ და ვიმუშავებ. იქნება წვიმა, ხმელი ტოტები მოსაჭრელი, ერთი წაქცეული ხე, მწვანე ველი, რომელიც ნისლად ქცევამდე მოჩანს. ეს ყველაფერი კარგ ხასიათზე მაყენებს. მსიამოვნებს ახალგაზრდა და მწვანე მუხის ხეების დანახვა, რომლებიც ბოლო შემოდგომას გადაურჩნენ, სინათლის შუქი მისცემს ძალას, რომ გაზაფხულისთვის უკვე ასხლეტილ ხეებად იქცნენ. ვამთავრებ ნარუზის ფილმების ყურებას: ფილმი „საჭმელი“ იწყება ჰაიაში ფუმიკოს არაჩვეულებრივი და ძალიან იაპონური ციტატით:

„სიგიჟემდე მიყვარს არსება ადამიანი,
და მისი ამაო ფუსფუსი უდიდეს სამყაროში“.

კვირა, 20 დეკემბერი

რაც შეეხება აფიშას, მე და პიერმა ვიცით, რომ დიდი კინოვარსკვლავების ფოტოების ძებნა ჩიხში შეგვიყვანს. ჩვენ ახალი შეგრძნებები გვჭირდება. გიზელა ბლანმა (სააგენტო „ბრონქსი“), რომელიც არის ავტორი 2012 წლის აფიშისა მერილინ მონროს სურათით, აღმოაჩინა უმაღლესი დონის ფოტოები „პიერო ლე ფუს“ გადაღებებიდან, ჟან-პოლ ბელმონდოსა და ანა კარინას სახეებით. ბელმონდოს აცვია ცისფერი კოსტიუმი, ანა კარინას კი წითელი, აფრიალებული კაბა. ისინი არიან პორკეროლის კუნძულზე შუაგულ ხმელთაშუა ზღვაში. ხმელთაშუა ზღვის წინა პლანზე წამოწევა ისედაც გვინდოდა. ერვემ შემოგვთავაზა არაჩვეულებრივი ფოტო „ზიზღიდან“. ორივე გოდარის ფილმია, რა თქმა უნდა. აფიშის შერჩევა ხანგრძლივი პროცესია. მე და პიერი ყველას ვთხოვთ მონაწილეობას, თითოეულის აზრი ყურადსაღებია. საბოლოო გადაწყვეტილება იანვარში იქნება.

რისიენი მირეკავს: „არაფერი ისეთი არ ხდება, უბრალოდ მინდა დაგელაპარაკო. იცი, ადრე უფრო ბევრი კარგი ფილმი იყო. იცი ხომ?

ხალხი ბევრს ითვლის, ხოლო ჰოლივუდში ბევრი შუამავალია და ბევრის გავლენა. ფილმებს იღებენ ფესტივალებისთვის ან დიდი შემოსავლისთვის. უკვე ვეღარ წყვეტენ უბრალოდ „ფილმის გადაღებას“. ძველად, კინორეჟისორებს რაღაც კავშირი ჰქონდათ თავგადასავლებით სავსე ცხოვრებასთან ან თვითონ იყვნენ თავგადასავლებში, ან ადრე ჰქონდათ ასეთი ცხოვრება. წარმოგიდგენია, საიდან მოდიოდა სტროჰაიმი? დღეს ყველაფერს აკადემიურობის იერი დაჰკრავს. საფრანგეთშიც ასეა. „ვარსკვლავების ომი“ ძლიერია, მაგრამ ასეთი ფილმები ყოველთვის არსებობდა, რადგან უამრავ ადამიანს უყვარს ეს ჟანრი. ამ კატეგორიის ფილმი აკეთებს იმას, რაც მისი ვალია. პრესამ არ იცის, რა წყალში ჩავარდეს, რომ გადარჩეს, ჟურნალისტები ნებისმიერ სისულელეს გვიყვებიან, გაზეთების მეპატრონეები წარმატების ძიებაში არიან, მაგრამ გემოვნება ღალატობთ. კრიტიკოსების როლი გაქრა, სხვადასხვა სახის მსახურება მათ ხელს უშლის თავისუფლებაში. დიდი ნაწილი არ მუშაობს, აღარ კითხულობს, ზოგი მათგანი უდავოდ ნიჭიერია და მათთან საუბარს არაფერი ჯობს, უფრო საინტერესოა, ვიდრე მათი ნაწერები. ზოგიერთებს „კაიე“ ზე მიუწვდებათ ხელი და ჰგონიათ, რომ სავსებით საკმარისია. ვერ ერთობა ხალხი. ჰო, ისე დაგირეკე. მინდოდა მეთქვა აგრეთვე, რომ გუშინ შემძრა როჟე ვაიანისა და ლუი დაკენის ფილმმა „მაღაროელთა დიდი ბრძოლა“. ალბათ დაგაინტერესებს კან კლასიკისთვის. დღესასწაულებზე რას აკეთებ?“

ორშაბათი, 21 დეკემბერი

ჟიურის შემადგენლობა არ შეიძლება იყოს იმპროვიზაციის შედეგი. თუმცა, კანი ხომ მუდმივგანახლებადი თავგადასავალია, სადაც შემთხვევითობა, იღბალი, მეგობრობა, სიყვარული, დამთხვევები, ინტუიცია და იმპროვიზაციაც კი თავის ადგილს იკავებს. შეიძლება კარგიც კია, ასე რომ არის. თუ ყველაფერს თვეებით ადრე გაითვალისწინებ, ყველაფერი ერთ ადგილზე გაიყინება, სულაც არ ვარ მომხრე მეთო-

დის, რომელიც უწინარესად საკუთარი თავის დაწყნარებას ნიშნავს. 2014-ში, 2013-ში, უფრო ადრეც, ამ დროისთვის ჟიურის დადასტურებული თავმჯდომარე არასდროს გვყოლია. ე.ი. ყველაფერი კარგადაა. ჟიურის ისტორიას რომ გადავხედე (მაინც მაწუხებს ეს ამბავი), უცნაური რამ აღმოვაჩინე. 1956 წელს არჩეული მორის ლემანის გარდა, რომელიც მაინც უფრო თეატრალი იყო, ვიდრე კინომუშაკი, თითქმის ოცი წლის განმავლობაში, კანის ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე ყოველთვის იყო ეროვნებით ფრანგი და აუცილებლად მწერალი: ჟორჟ უისმანი პირველ სამ წელიწადს, მერე ანდრე მორუა, მორის ჟენევუა, ჟან კოკტო (ეს პოეტთა პრინცი ფილმებსაც იღებდა), მარსელ პანიოლი, ანდრე მორუა (მეორედ), ჟან ჟიონო (რომელიც შესანიშნავი კინომუშაკიც იყო), ტეცურო ფურუკაკო (იაპონელი ელჩი, თითქმის ფრანგი, მწერალი და პოეტი) და არმან სალაკრუ 1963 წელს. ამის მერე პირველი თავმჯდომარე იყო კინორეჟისორი ფრიც ლანგი. ეს იყო ლამაზი დასაწყისი რეჟისორების მწკრივისა. მარჯვენათვალახვეული 73 წლის ლანგი წინა წელს ვნახეთ „ზიზღში“. ნეტავ თუ იცოდა, რომ ფილმებში ვეღარ გადაიღებდნენ? მის მერე, თავმჯდომარეებად უკვე კინოში მომუშავეებს ირჩევდნენ, თუმცა საპატიო გამონაკლისებიც იყო ანდრე შამსონის (1968), მიგელ ანხელ ასტურიასის (1970), ტენესი უილიამსის (1976), ფრანსუაზ საგანის (1979) და უილიამ სტირონის (1983) სახით, რომელმაც შეცვალა თეატრის რეჟოსორი ჯორჯო სტრელერი. მას მერე ჟიურის თავმჯდომარედ მწერალი აღარ ყოფილა. აი, თურმე რატომ ცდილობდა რეჟი დებრე ჩემზე გავლენის მოხდენას ორი თვის წინ, კოსტასთან ერთად პასაჟში სადილის დროს. იგი ფიქრობს, რომ მწერლების წილი ფესტივალის ჟიურიში მეტისმეტად შემცირდა. ვიღებ მის „კანდიდს ფანჯარაში“ და ვკითხულობ: „ჟიურის შემადგენლობა მოწმობს, რომ ლიტერატურის დომინანტობა შეცვალა „გამოსახულების“ დომინანტობამ 1968 წელს. მანამდე „ოქროს პალმის“ ჟიურის თავმჯდომარეები რიტუალურად მწერლები იყვნენ (უმეტესად ადგილობრივები)“. 1963-მდე და არა 1968-მდე. ისე, მისი ეს

დაკვირვება სწორია. „ვერაფრით მიიზიდავ „ლოს-ანჯელეს ტაიმს“ და ვერ წააქეზებ ბრედ პიტსა და ანჯელინა ჯოლის, რომ თვითმფრინავში ჩასხდნენ“. აქ რეჟი უკვე სამი ათეული წლით გადაახტა მოვლენებს, მაგრამ როგორც დიდი მწერალი დასძენს: „საუკუნეებია, რაც სილამაზე და ფული ერთმანეთს იზიდავს, მაგრამ კანს ის ღირსება აქვს, რომ შეუძლია უხსოვარი დროის მიმზიდველობას თანამედროვე ოცნების ბრწყინვალება შესძინოს ტელეობიექტივის საშუალებით“.

ჟიურის თავმჯდომარე მწერლის უპირატესობა ისაა, რომ ის... წერს. ჟან კოკტოს დღიურს ვკითხულობ. „განსაზღვრული წარსული“ „გალიმარმა“ გამოსცა, მე კი რამდენიმე წლის წინ ლიონში, ბუკინისტ დიოგენთან ვიყიდე. ეს ძვირფასი წიგნია, თან კანის ამბებსაც გვახსენებს. კოკტოს ხომ ძალიან უყვარდა ლაჟვარდოვანი ნაპირი და კანის ფესტივალი. გაგიჟდება კაცი, წიგნის მიხედვით არაფერი შეცვლილა მაშინდელი საერთო განწყობიდან, რომელიც ეგზალტაციასა და დეპრესიას შორის მერყეობს. თითქოს ფესტივალი ყოველთვის ხელს უშლიდა მოპატიჟებულ სტუმრებს ბოლომდე ტკბობაში. თვითონ განსაჯეთ, 1953 წლის კანის ფესტივალის ჟიურის წევრები ფილმებს ნახულობენ ფესტივალის დაწყებამდე, მერე მეორედაც ნახულობენ მაყურებლებთან ერთად. „1953 წლის 8 აპრილია. უცნაური ჟიურია. შოვემ უნდა აუხსნას ფილმები (რომლებიც ცუდად ესმის) სპააკს, რომელსაც ისინი არ ესმის. გუშინ ამერიკული ფილმიდან რომ გამოვედით, მორუა მოვიდა ორმოცდაათიოდე კაცის თანხლებით, რომ კონფერენცია ჩაეტარებინა საკმაოდ ცივ დარბაზში. ეს იყო მცირე პუბლიკა. 10 აპრილი. ახლა უკვე ვიცი, როგორ იქცევა ჟიური და როგორ მოისვრის ხოლმე შემთხვევით სილამაზეს, თუ არავინ არის იქ გამომსარჩლებელი და ჟიურის აზრზე მომყვანი. ცუდი ფილმების ნახვა ცუდად მხდის. ცუდი ფილმის ნახვის შემდეგ დარბაზიდან გამოდიხარ დაპატარავებული და შერცხვენილი. 11 აპრილი. რას ვაკეთებ ამ ფესტივალზე? – ვეკითხები ჩემს თავს. აქ ყველაზე ნაკლებად მეკუთვნის ყოფნა. ...ნელ-ნელა ერთმანეთი შევისწავლეთ.

მაგალითად, სპააკი, რომელიც ზანტ ტიპს თამაშობდა, ნათელი გონების ადამიანი ყოფილა. თუ რამე ფეერიული ამბავი გამორჩება ხოლმე, მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ დარწმუნდა მის ფეერიულობაში. მას გული აერია „ელენ ბუშეს“ გროტესკულ სენტიმენტალიზმზე, ვულგარულ დიალოგებზე, ხოლო ლანგი, რომელიც უფრო დახვეწილი მეგონა, წამოეგო ფილმზე. მეშინია საღამოს სეანსის. გვიჩვენებენ კლუზოს ფილმს „შიშის ხელფასი“, რომელიც ათასი ლიეთი უფრო მაღლა დგას სხვა პრიზების მაძიებელ ნაწარმოებებზე. მაგრამ ჩემს კოლეგებს დიდად არ აინტერესებთ წონასწორობა და ძალა; მეტიც, ისეთებიც არიან, რომლებსაც ჩემი სურვილი ამ ფილმის დაჯილდოებისა, პირიქით განაწყობს. ისინი სულ საპირისპიროს ამბობენ (ლანგი). ...ზუსტად ისე, როგორც ჩვენი ჟიურის წევრებს „ფიფქია“ ურჩევნიათ „პიტერ პენს“. ჯუჯები და სოკოები მოსწონთ. ყველაზე საწყენია სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს წაეჩხუბო უმიზეზოდ. ჭეშმარიტ ავსტრიელს არ მოსწონს ავსტრიული ფარსი, მაგრამ ფესტივალზე მყოფი ავსტრიელები ამ ფარსში მონაწილეობენ, დიდ ზეიმებს ამზადებენ, სადაც ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რადგან ერთხმად უარი ვთქვით ავსტრიულ ფილმზე. უხერხულ მდგომარეობაში ვართ ინგლისის მიმართაც, რომელსაც სძულს თავისი კარგი ფილმები (როგორც იტალიელებს) და ჩვენ გვიგზავნის საშინელ ფილმს, რაც გვიკვირს გრემ გრინისგან ისეთი ფილმების შემდეგ, როგორებიცაა „ბრაიტონის კლდე“ და „ბიჭი...“ (დამავიწყდა სათაური). ...ამ ფესტივალიდან გამომდინარე ვადგენ (და ეს აუცილებელია), რომ ჭეშმარიტი სილამაზე ენახვება ძალიან ცოტა ადამიანს, რომელთაგან არცერთი არ ცხოვრობს კანში. რამდენმა ადამიანმა მსოფლიოში არ იცის სილამაზის გაბედულებისა და იდუმალების შესახებ. სინემატოგრაფი ვიღაც ქაჯების ხელშია, მათ არანაირი შეხება არ აქვთ ეპოქასთან. ის, რამაც სახელი მოუტანა ფილმებს „გაუმაძღრები“, „პოეტის სისხლი“, „ოქროს ხანა“, „საშინელი შვილები“, „ორფეოსი“, მათთვის სრულიად უცხოა. მათ

უყვართ გაპრიალებული ფილმები, რბილი ყდით, ნაზი ფერებით, ზერელე პრობლემებით და სასიამოვნო მსახიობებით.

ადგილების პრობლემაა. სულ ერთსა და იმავე ადგილზე ვსხდებით. მე ჩემი მე-17 ადგილი მაქვს იქ, სადაც იარუსის რიგი იწყება. თუ უკვე ნანახი ფილმის საყურებლად არ მოვალ, იტყვიან, რომ მე-17 სკამი ცარიელი იყო, გინდაც ეს ადგილი დავუთმო ვინმეს, ვისაც ძალიან ენდომება ამ ფილმის ნახვა (ამას კი არ ვიზამ, რადგან გამოვტოვებ მხოლოდ სუსტ ფილმებს). ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ფილმს წინასწარ გამოვუტან განაჩენს. 14 აპრილი. ამ დილით განზრახული მაქვს წარვადგინო იდეალური პალმარესი (ჩემი აზრით) – ყველასგან გაგონილი აზრის გათვალისწინებით შევიმუშავე. მე სხვებს ვთხოვ ვიმსჯელოთ ამ პალმარესის მიხედვით. (ფილიპ) ერლანჟე მთავაზობს, ჟან კოკტოს სახელობის პრიზი მივცეთ ამერიკას, რომელსაც ცუდად შეხვდნენ. 16 აპრილი. კლუზოს ფილმი ჰგავდა ჭედილას, რომელმაც კედელი გაანგრია და ღრიჭო სეანსების საყურებლად დატოვა. უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. პიკასო ვერ აგნებს თავის ადგილს. მე მას ჩემსას ვუთმობ, ხოლო ერლანჟე – ფრანსუაზას. ჩვენ თვითონ დამატებით სკამებზე ვსხდებით. ფილმ „ხელფასის“ შემდეგ ვახშამია „ამბასადორში“. ძალიან მდიდრული და მოსაწყენი ადგილია. ბოლომდე ვერ ვრჩები და ჩემ გვერდით მჯდომ არლეტისთან ერთად ადრე მივდივარ. 20 აპრილი. ნულოვანი მექსიკური ფილმი („სამი ქალი“). ნაშუადღევს დრეგილის ფილმია „უსასრულო ჰორიზონტები“ („ელენ ბუშე“). პუბლიკა უკეთესია, ვიდრე საღამოს. დრეგილმა კლაკერები დასვა დარბაზში, რომლებმაც არ იცოდნენ ტაში რა ადგილზე დაეკრათ. თვითმფრინავის ჰაერში ტრიალს დაუკრეს ტაში. იყო წარმატება, ყვავილები, ხვევნა-კოცნა. უამრავი ხალხი გასასვლელთან. ვულგარულობა ხალხს მოსწონს. 23 აპრილი. ფესტივალის სიურპრიზი: მოკლემეტრაჟიანი ფილმი: „თეთრი ფაფარი“. ეს ერთადერთი ფილმია, რომლის გამოც ღირდა ეს მოგზაურობა და ჩვენი დაღლა. ესპანური ფილმი „გამარჯობა, ბა-

ტონო მარშალ!“ მომხიბლავია. რამდენჯერაც დასცინებდნენ ამერიკას, დარბაზი ტაშს უკრავდა.

1 მაისი. მთლიანობაში ფესტივალი წარმატებულია. ბოლო საღამოს, „ამბასადორში“ მთელმა დარბაზმა მიხაკები მესროლა. მიკროფონში ვთქვი, რომ მინდოდა ფესტივალს ნამდვილი აზრი მისცემოდა, გონებათა და გულთა შეხვედრის ადგილად ქცეულიყო. მერე რობინსონმა და გარი კუპერმა ილაპარაკეს. გუშინ სასტუმრომ წარმომიდგინა დამატებითი ხარჯები ორმოცდაათი ათასი ფრანკის ოდენობით. აი როგორ იხდის საფრანგეთი გაწეული სამსახურისთვის“. კოკტო დღიურს ამთავრებს დიდი გულწრფელი ფრაზით: „ამ როლს დავთანხმდი იმიტომ, რომ კლუზოს და შარლ ვანელს პრიზები მოეპოვებინათ. პრიზების მოსაპოვებლად სიმძიმეები მოვიშორე.“

სამშაბათი, 22 დეკემბერი

დილით ადრე ვიღვიძებ. მინდა ვნახო მზის ამოსვლა, მინდა ვნახო როგორ აქრობს მზის სხივები რიჟრაჟის თრთვილს. ღამით შონ პენმა მომწერა: „ფილმის პირველი მონტაჟი დავამთავრე ზუსტად ხუთი წუთის წინ და მინდოდა შენთვის მეთქვა. ერთი სული მაქვს გაჩვენო. ჯერ ასე არასოდეს მიწვალია, მაგრამ ვამაყობ იმით, რაც გავაკეთე. შარლიზ და ჯავიე სუნთქვაშეკრული ელოდებიან. ბედნიერ შობას გისურვებ“. გუშინ ხანგრძლივად ვესაუბრე პედრო ალმოდოვარს, რომელიც შეეცადა მეტი რამ გაეგო ჟიურის თავმჯდომარეზე. ეს მგონი კარგის ნიშანია: გონებაში უკვე შეჯიბრებაზე ფიქრობს. მან ალბათ არ დამიჯერა, როცა ვუთხარი, თავმჯდომარე ჯერ არ შეგვირჩევია-მეთქი, თუმცა იცის, რომ სხვა შემთხვევაში ასეთ პასუხს არ გავცემდი. კანში საიდუმლოს ინახავენ. ამასობაში, ჟიურის თავმჯდომარე ჯერ კიდევ არ გვყავს.

ნაშუადღევს მარისთან და ჩვენს ვიქტორთან ვარ, რომელიც ბრუნდება ბრონის საავადმყოფოში – „ქალი, დედა, ბავშვი“. ის მთელ ზამთარს იქ გაატარებს, რადგან ხერხემალზე უნდა გაუკეთონ მეტად ფა-

ქიზი ოპერაცია. ექიმი პედაგოგივითაა, საყვარელია და ბავშვთან უკვე დაახლოებული, რომელსაც აშკარად სიამოვნებს მასთან ურთიერთობა. საფრანგეთის საჯარო საავადმყოფოებისა და თავშესაფრების უმაღლესი ხარისხიც სწორედ ესაა, რომ აქ გამშვიდებენ, გიხსნიან და გთავაზობენ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიას და ჰუმანურ მოპყრობას, რაც არასოდეს ეშლებათ.

უზარმაზარ ჰოლში მშობლები და სწრაფად მოსიარულე ექიმები ხვდებიან ერთმანეთს, მე ისევ ტელეფოზე ვკიდივარ, მიშელ ჰაზანავიჩიუსს ველაპარაკები. მან თავი გამოიჩინა პარიზის ტერაქტების შემდეგ და თავის ფეისბუკგვერდზე სასაცილო პოლიტიკური ტექსტი გამოაქვეყნა, რომელიც „დაეშელებისთვის“ იყო განკუთვნილი. ჯამბაზივით მოიქცა. დაწერა, რომ საფრანგეთი აჯანყდება, როცა გაიგებს, რა ხდება. ცოტა დაიქადნა კიდეც: „ასე ბრმად თუ ხოცეთ ხალხი ერთადერთი მიზნით, შეიძლება საფრანგეთის ყველაზე წარმომადგენლობითი ფრანგებიც კი შემოგაკვდეთ. ბოლოს და ბოლოს, თუ მხოლოდ ებრაელებს ხოცავთ ან მხოლოდ გრაფიკოსებს, არაებრაელებმა, რომლებმაც ხატვა არ იციან, შეიძლება მოგიძებნონ გასამართლებელი საბუთი და ამ ომიდან განზე გადგნენ... მაგრამ ეს ამბავი თანდათან უფრო გართულდება, რადგან თუ საფრანგეთის წარმომადგელობით მხარეს შეეხებით, თქვენ იმას მოკლავთ, რაც ნამდვილად ჩვენ ვართ“.

მიშელმა კანზე ყველაფერი იცის, კარგი, ცუდი, სადიდებელი და დასაგმობი. თავისი ფილმით „არტისტი“კვალი დააჩნია ფესტივალის ისტორიას, სანამ წავიდოდა და ოსკარების ისტორიასაც შეარყევდა. მომდევნო ფილმით „ძებნა“ ცოტა დამძიმდა მისი მიღება როგორც კრუაზეტზე, ისე სხვაგან. ეს იყო ფილმისადმი გულგრილობასა და უარყოფას შორის მოქცეული დამოკიდებულება. მიშელმა თავი ძლივს დაიმშვიდა ერთი საზეიმო სეანსით, მაგრამ ფილმის გამოსვლა ბოქს-ოფისში დიდი მარცხით აღინიშნა. ამ ამბიდან ორი წლის შემდეგ, მას სჭირდება ფორმის დაბრუნება, წერის დაწყება და კამერის უკან დადგომა. „ორი შემოთავაზება მაქვს ამერიკიდან, მაგრამ

ეს იმდენ დროს წაიღებს, გადავწყვიტე მარტომ დავწერო, პროდიუსერის პოვნამდე. – მაინც რას წერ? – შევისყიდე ან ვიაზემსკის წიგნის საავტორო უფლებები. წიგნში ლაპარაკია გოდართან გატარებულ წლებზე. ამ მომენტში საქმე აეწყო და ვნახოთ“.

საღამოს სამუშაო და მეგობრულ სადილზე ჯან ლუკა ფარინელის ვხვდები პასაჟში, სადაც ლუმიერის ფესტივალის შემდეგ არც ვყოფილვარ. ჯან ლუკა მიდასტურებს, რომ „გრან პალეს“ გამოფენას უმასპინძლებს ბოლონიაში 2016-ის ზაფხულში. ლუმიერის თავგადასავალი გრძელდება.

ოთხშაბათი, 23 დეკემბერი

შვებულების დღეებშიც დაკავებული ვარ, ათეულობით ადამიანთან მაქვს დასარეკი კონტაქტების გასააქტიურებლად, ზამთრისთვის მოსამზადებლად და იმის შესამოწმებლად, იქნება თუ არა მზად ესა თუ ის ფილმი, რომ ვნახოთ. კრისტიანს თავისი სიები აქვს და მალე შევუდარებ ჩემსას. რამდენიმე ფილმი უნდა ვნახო დღესასწაულების პერიოდში, ზოგი DVD-ზე, ზოგიც ინტერნეტში. ამ ბოლო დროს უფრო ხშირად ინტერნეტს ვიყენებ. გაგიჟდება კაცი, როგორ შეიცვალა ყველაფერი: ძველ დროში საკონკურსო შერჩევა ნიშნავდა 35-მილიმეტრიანი ასლების ყურებას კაბინაში, პარიზში, ან ფილმების სანახავად უცხოეთში წასვლას. მერე გამოჩნდა VHS და DVD ფირები, რითაც საშინლად მოიმატა წარმოდგენილ ნაწარმოებთა რაოდენობამ. ერთხელაც, ასლებმა საგრძნობლად იკლო ამელის ქუჩის კაბინაში პატრიკ ლამის სავალალოდ, რომელიც ჩვენი საყვარელი პროექციონისტია. სამაგიეროდ გამოჩნდა DSP, რომელიც დღეს მაღალი დონის საპროექციო სტანდარტად იქცა (ციფრული კინოფირები დანერგილია კომერციულ დარბაზებში). ეს არის პატარა შავი ყუთი, სმარტფონზე ოდნავ დიდი, საიდანაც გამოდის მზა, ფერადი ფილმები, იმავე ხარისხის, როგორებიცაა ვერცხლის ფირზე დაბეჭდილი ასლი. ლუი ლუმიერი და თომას ედისონი ალბათ გადაირეოდნენ, ეს რომ ენახათ. მაგრამ ხშირად DVD-საც გვიგ-

ზავნიან ტესტად, რამდენიმე ეგზემპლარად, რომლებსაც ერთმანეთში ვინაწილებთ და შეგვიძლია სახლშიც ვნახოთ. თებერვალში, როცა სელექცია კულმინაციას მიაღწევს, თითოეული ჩვენგანი საღამოს ათეულობით ფილმით დაბრუნდება სახლში. მოგვიწევს მათი ნახვა და ამავე რაოდენობის შენიშვნების დაწერა.

ხანგრძლივი ლაპარაკი მიწევს ალენ ატალთან, პარიზის ერთ-ერთ აქტიურ პროდიუსერთან. ის წარმოგვიდგენს პირველ ფრანგულ ფილმს მოცეკვავე ქალზე, ლოი ფულერზე და იტალიურ ფილმს „შავი პერიკლე“ რიკარდო სკამარჩიოს მონაწილეობით, რომელიც მისი, ვალერია გოლინოსა და დარდენების კოპროდუქციას წარმოადგენს. „და ნიკოლ გარსიას ფილმი რას შვრება? – წარმოებაშია, 2016-ის შემოდგომაზე გამოვა. -ჩვენ ხომ გვაჩვენებ? -უკვე ყველგან გაიყიდა. – რას აპირებთ? – არა მგონია, რომ მათი სტრატეგია კანის ფესტივალს გულისხმობდეს. – მაინც ხომ შეიძლება გვაჩვენო ფილმი? – მაშინ ნიკოლს უნდა დაველაპარაკო და „სტუდიოკანალს“. – კიდევ რა ხდება? – საშენო არაფერი. დავძარით კანესა და სედრიკ ანჟეს გადაღებები. ასევე ჟილ ლელუშისაც, რომელიც პირველ ფილმს იღებს. – შენი გზა უკვე მონიშნული გაქვს. – კი, მაგრამ, ზოგჯერ თავს ძალიან მარტოდ ვგრძნობ. მინდა ხმის გამცემი პარტნიორი მყავდეს“.

ვპოულობ ხუთ ღია ბარათს. სტუდენტობისას კედელზე მქონდა გაკრული სამსახურში. ეს არის კოლუშის ფოტო, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ „ლიბერასიონმა“ პირველ გვერდზე გამოაქვეყნა. მაქვს კლინტ ისტვუდისა და პოლ ნიუმენის იშვიათი კლიშე, რომელიც ასახავს მომენტს, როცა ისინი მოულოდნელად შეხვდნენ ერთმანეთს ტაკსონის მოტელში 1972 წელს; კიდევ ჰენრი მილერის ფოტო მოხუცი, მშვიდი და დამცინავი მწერლის იერით, ორივე ხელით ჯოხზე დაყრდნობილი, მუხლებზე „სექსუსის“ ერთი ეგზემპლარით; ანრი კარტიე ბრესონის გადაღებული სარტრის ფოტო, რადგან იმ დროს სარტრის „გულისრევა“ ჩემი სამაგიდო წიგნი იყო. დაბოლოს, აქვეა გადაღებაზე მყოფი ტრიუფოს ფოტო, რომელსაც ტყავის პალტო აცვია. ეს ღია ბარა-

თები ჩემი ახალგაზრდობაა. მაშინ წიგნების ყიდვის ფული არ მქონდა, ამიტომ ჩემს ქონებას ეს ღია ბარათები წარმოადგენდა. ახლაც ესაა ჩემი ქონება და ახალ კაბინეტშიც ამ ღია ბარათებს ვაკრავ კედელზე.

პარასკევი, 25 დეკემბერი

შობაა. ბედნიერად ტრაპეზობს ოჯახი: მშობლები (ვიქტორი, ჟენევიევი), შვილები (ჩემი ძმები და დები, ორი გოგო და ორი ბიჭი ჩემი ჩათვლით), მეუღლეები, შვილიშვილები, ერთი შვილთაშვილი. სახლში ვბრუნდები ნაშუადღევს და ცეცხლთან ვითენთები. თხუთმეტი დღე დიდი არაფერი შემეძლება და მადაც არ მექნება. ვალაგებ DVD-ებს, რომლებიც შემოდგომაზე დამიგროვდა. ამ დროს სურვილებიც მიჩნდება. ვხსნი მონტეროს ფილმების კოლოფს (და კადრს მიღმა ხმა „ყვითელი სახლის მოგონებებიდან“, რომელიც არის „ლუზიტანიური“(იგივე პორტუგალიური) კომედია: „ჩემს ქვეყანაში ამბობდნენ ყვითელ სახლს, გულისხმობდნენ ციხეს“). თვალი გამირბის დევიდ ლინ ინგლისელის ფილმებისკენ („დიდი იმედები“ ბავშვობაში ვნახე და სამუდამოდ დამამახსოვრდა), „მაკკაბე და მისის მილერის“ ნახვით ვამოწმებ, არის თუ არა ისევ ჩამთრევი ალტმანის ფილმის პირველი წუთები. ვგიჟდები ფილმების დასაწყისებზე: პლანი, დიალოგი, ყვირილი ღამეში, ხმა, რომელიც ტექსტს კითხულობს, მუსიკა, მონაწილეთა გვარების ტიპოგრაფია და ეს ყველაფერი განსაზღვრავს ფილმის ტემპსა და რიტმს. სცადეთ: ალდრიქის „მეოთხე სიჩქარის“ შესავალი არაჩვეულებრივია (პანიკაში ჩავარდნილი ქალი მირბის გზაზე ღამით, რომელსაც მხოლოდ მანქანის ფარები ანათებენ, არავინ ჩერდება), ასეთივე გამორჩეულია ვენდერსის „ყალბი მოძრაობის“, ტავერნიეს „მსაჯულისა და მკვლელის“ დასაწყისი... ჯონ მაკკაბე გვიჩვენებს ცხენზე ამხედრებული ვარენ ბიტის მისვლას მთის თოვლიან სოფელში, ამავე დროს ეკრანზე მიდის მონაწილეთა გვარები და ისმის ლეონარ კოენის სიმღერა The Stranger Song-ს პოკერის მოთამაშეზე, რომელიც აგებს („შენ უკვე ნახე ეს კაცი, რომელიც ოქროს

მკლავით ბანქოს ბარათებს ჩამოდის“). გამიკვირდა, რომ „ვარნერის“ გამოცემულ DVD-ის ფრანგულ ვერსიაში ამ სიმღერას ასრულებს გრემ ოლრაიტი, რომელიც კოენის სიმღერების თავისსავე ადაპტაციებსაც მღეროდა და და „უცხოსაც“, რომელიც 70-იანი წლების ჰიტი იყო და ჩვენი ბავშვობის საზაფხულო ბანაკებში სულ ისმოდა.

რობერტ ალტმანს კანთან დაკავშირებული მოგზაურობების დროს გადავეყარე. ის ნიუ-იორკში ვნახე პოლ ტომა ანდერსონთან ერთად, რომელიც მისი განუყრელი მეგობარი იყო (შარშან გამოვიდა მისი „განუყოფელი ცოდვა“, შეიძლება ითქვას, დიდი უცნაურობა, რომელიც „ხანგრძლივ დამშვიდობებას“ ჰგავს). ალტმანმა ერთ-ერთი თავისი ფილმი გვიჩვენა. მერე სადილად წავედით „აილინში“. ეს ის რესტორანია, რითაც იწყება ვუდი ალენის „მანჰეტენი“. ფილმი, აგრეთვე არაჩვეულებრივი დასაწყისით, გერშვინის „ცისფერი რაფსოდიით“, კადრს იქით კი ვუდის ხმით („თავი პირველი“, „თავი მეორე“), გორდონ უილისის „შავი და თეთრი“, ნიუ-იორკი თოვლში და ა.შ. ალტმანი ბევრს იღებდა, მისი ფილმოგრაფია ითვლის 89 ფილმს, დოკუმენტურ ფილმებს და სერიალებს, მათ შორის რამდენიმე შედევრიცაა. მასზე ბევრს არ ლაპარაკობენ, მაგრამ დავიწყებას მაინც არ მიეცემა, რადგან უდიდესი რეჟისორია. ჩვენ მის პატივსაცემად ღონისძიებას გავმართავთ პირველი ფილმის ქუჩაზე. რეჟისორი, რომელმაც „სამი ქალი“ გადაიღო, არასოდეს მოკვდება. ის გარდაიცვალა, თუმცა ყველას უკვდავი ეგონა. ამ დილას შევამოწმე, 80-ზე მეტის ყოფილა. ვნახე, რომ გაუმარჯვია სამ ფესტივალზე: 1970-ში მიიღო „ოქროს პალმა“ (“M*A*S*H*”), 1976-ში – „ოქროს დათვი“ ბერლინში („ბუფალო ბილი და „ინდიელები“), 1993 წელს – „ოქროს ლომი“ ვენეციაში („პატარ-პატარა ამბები“). გარდაიცვალა 2006-ში, ზუსტად იმ წელს, როცა ჰოლივუდისგან საპატიო ოსკარი მიიღო. მინდოდა მისთვის რამდენიმე სტრიქონი მეც მიმეძღვნა.

შაბათი, 26 დეკემბერი

ჩემი ფიქრები მუდმივად „პატეს“ დასტრიალებს. მე და ჟერომ სედუ შევთანხმდით, რომ იანვრის პირველ დღეებში შევხვდებოდით სალაპარაკოდ. ამჯერად მხოლოდ მესიჯებით ვურთიერთობთ. სერიოზულად ვფიქრობ ვარიანტებზე. მარისაც გავუზიარე ჩემი ფიქრები. ის არასოდეს ერევა ფესტივალის საქმეებში, არასოდეს შეუფასებია ჟიური, ფილმი, სტატია. ახლა კი ზუსტად ასე მითხრა: „ძალიან მიყვარს ჟერომი და სოფი. ისინი ასეთ პოსტს ტყუილად არ შემოგთავაზებდნენ. თუ სერიოზულად ლაპარაკს ჟერომთან დათანხმდები, თუ რამ სათქმელი გაქვს, უთხარი“. ცდუნება დიდია, თანაც მარი ასკვნის: „წარმოიდგინე, დარჩები პოსტზე ფესტივალის სამოცდამეათე წლისთავამდე, 2017-მდე, მერე დატოვებ კანს. ყველას ექნება დრო რამის მოფიქრების. შენ შენი დრო ამოწურე, ხომ არ ჩაიჭედები იქ, წახვალ მანამდე, სანამ შენით ვინმე დაიღლება“. ასე თუ შევხედავთ, ცხადზე ცხადია.

კვირა, 27 დეკემბერი

დღეს დედაჩემის დაბადების დღეა. დედაჩემის დედა იყო შვეიცარიელი ბერნიდან, მამა კი – ლალუვესკიდან, არდეშის მთებიდან. დედა დაიბადა ვუარონში და ტულენელ ბიჭზე დაქორწინდა, ათი კილომეტრის მოშორებით. ჟენევიევი და ვიქტორი ისევ ერთად არიან და დოფინეში ცხოვრობენ, რომელსაც მსოფლიოს გარშემო მრავალჯერ მოგზაურობის შემდეგ დაუბრუნდნენ. ნაშუადღევის ბოლოს ველოსიპედით სეირნობას ვაპირებ. კარგი ამინდია, მზემ კიდევ უფრო ასწია სეზონისთვის ისედაც უჩვეულო ტემპერატურა. „საღამოს, მაღალი წნევები დაიდებს ბინას ცაზე“, – ამბობს ერთი პოეტი-მეტეოროლოგი. კარგ ამინდს ვარაუდობენ წლის ბოლომდე, ხოლო კანში ხალხი ზღვაში ბანაობს. თან ზამთარია, თან არა. მე მინდოდა თოვლიანი რიჟრაჟები, ცივი მიწა, ყინვა, ღამით წვიმა. მივქრივარ იზერის ველზე ნიგვზიანსა და დამუშავებულ მიწებს შუა. კარგად მივდივარ და მიკ-

ვირს. ვერკორის მთები თავდაჯერებულობას მიქრობენ და მე გზიდან ვუხვევ, მონტოსკენ და მორტიეს უღელტეხილისკენ, საიდანაც, ძველად, შესაძლებელი იყო ოცი კილომეტრის დაშორებით ვერკორის პლატოზე და კურორტ ოტრანში მისვლა. იმედი მქონდა, რომ მთის წვერზე სიცივე იქნებოდა, გზა კი ბლოკირებული, ხოლო მე დავიღლებოდი და რამდენიმე კილომეტრის მერე უკან მოვბრუნდებოდი. მაგრამ მთაზე ასვლა ადვილი მომეჩვენა, ზემოთ დათოვლილმა ტყეებმა კი უფრო მიბიძგა გზის გაგრძელებისკენ. დღის ბოლო შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე და მაჯადოებს. მესმის ჩანჩქერების ხმა, ყინულებს შორის რომ მიიკვლევენ გზას. დავინახე, თოვლის გროვა როგორ მოსწყდა ფერდობს. შუაზე მისულმა, გადავწყვიტე მწვერვალისკენ წავსულიყავი. როცა ვბრუნდებოდი, უკვე ღამდებოდა, 8-პროცენტიან დაღმართზე მოვდიოდი, გაყინულ ნიადაგზე ყინულის ფენები იდო, გზა ცუდად ჩანდა, თვალები მეცრემლებოდა, ყველგან ხიფათი იყო ჩასაფრებული.

ორშაბათი, 28 დეკემბერი

ბოლოჯერ ვიტყვი ლუმიერზე და ეს არ იქნება უმნიშვნელო რამ. ხელოვნებაში მე ვგულისხმობ მხატვრობას, ცეკვას, მუსიკას, სკულპტურას, პოეზიას, არქიტექტურას. არავინ იცის, სად გაჩნდა ხელოვნების ეს ექვსი სახეობა და არც ეცოდინებათ. მაგრამ, მეშვიდე ხელოვნება, კინო, ლიონსა და პარიზში დაიბადა. ლიონში 1895 წლის 19 მარტს, როდესაც ლუი ლუმიერმა თავისი აპარატი ქარხნის კარიბჭესთან დადგა და მუშები გადაიღო, ხოლო პარიზში 22 მარტსა და 28 დეკემბერს. მოკლედ, დღევანდელი დღე იყო, როდესაც მან ეს „ხედი“ აჩვენა, კოლეგა-მეცნიერებს, ეროვნული ინდუსტრიის წახალისების საზოგადოების წარმომადგენლებს სენ-ჟერმენის ბულვარში, მერე კი ხალხსაც.

ივნისიდან აგვისტომდე ლუიმ დახვეწა თავისი სინემატოგრაფი და სხვა სიუჟეტებიც გადაიღო ლიონსა და სიოტაში. მერე ეს ყველაფერი

ახლობლებს უჩვენა გასართობად. სეანსები უკვე რაღაცას ემსგავსება, ეს ხალხზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და ყველას აოცებს. 1895 წლის ზაფხულში ლუი ლუმიერი დაფიქრდა. მან და მისმა ძმა ოგუსტმა ჯერ არ იციან, როგორ გააგრძელებენ საქმეს. ვერ გადაუწყვეტიათ, ხალხს უნდა აჩვენონ თუ არა. ხომ არ აჯობებს მეცნიერების სფეროში გამოკეტონ სინემატოგრაფი? მამას, ანტუანსაც ეკითხებიან რჩევას ერთი წლით ადრე. „ამას მე მივხედავ", – ამბობს ის. და მაშინვე იღებს გადაწყვეტილებას ამ ახალი გამოგონების კომერციალიზაციის შესახებ. თავს პარიზელად მიიჩნევს, ამიტომაც ვერ წარმოუდგენია, რამე მოვლენა მშობლიური ქალაქის გარეთ მოხდეს. დიდ ბულვარებში პოულობს ადგილს, სადაც მაღალი საზოგადოება დადის. ეს არის დიდი კაფეს სარდაფი კაპუცინების ბულვარზე. მეპატრონე, მ. ბორგონი ინდიელთა სალონს უწოდებს ამ სარდაფს. ის თანხმდება სარდაფის გაქირავებაზე. პირველ სეანსზე დაპატიჟებულია ოცდაცამეტი სტუმარი, ერთი ოცდაათიოდე წლის კაცი პირველ რიგში ჯდება. სეანსის ბოლოს, 50-წამიანი ათი ფილმის ჩვენების შემდეგ, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით უჩვენეს, ეს ახალგაზრდა კაცი ანტუან ლუმიერისკენ გაიქცა და უთხრა: „ვყიდულობ!". ანტუანმა უპასუხა: „არა, ახალგაზრდავ, ეს გამოგონება არ იყიდება. მადლობა მითხარით, რადგან ამას მომავალი არა აქვს და თქვენ გაგაკოტრებთ". ახალგაზრდა კაცი იყო ჟორჟ მელიესი, რომელმაც მალევე გადაწყვიტა, „კინო თვითონაც ეკეთებინა".

ლუმიერებთან კი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც „Liberty Valence"-შია: ლეგენდა დარჩა, რადგან უფრო ლამაზი აღმოჩნდა, ვიდრე რეალობა. მართლაც ასეა, ჩვენ წინაშეა ლეგენდა, მაგია, სასწაულქმედება, ოცნება, ილუზია, მოჯადოება, უტოპია. დღესაც ასეა! 1895-ში, სხვათა შორის, ჟურნალისტებმა რამდენიმე კომიკური მოსაზრება გამოთქვეს, მაგალითად, ასეთი: „სინემატოგრაფის წყალობით სიკვდილი აღარ არის მარადიული".

პირველ საღამოს ბატონ ბორგონის არ უნანია, რომ იაფად გაა-

ქირავა თავისი დარბაზი, ხალხი თითქმის არ მოსულა; მაგრამ მომდევნო დღეებსა და კვირებში უამრავი ხალხი გამოიქცა აქეთ. ეს მეპატრონე ალბათ დღევანდელ მეწარმესავით უნდა მოქცეულიყო, ბილეთების წილი მოეთხოვა. ბერნარ შარდერი ეშმაკურად შენიშნავს: ამ პარიზელ იტალიელს ყველაზე ცუდად წაუვიდა თავისი პირველი საქმე კინოს მთელ ისტორიაში. პარიზში, დიდი კაფეს ინდურ სალონში (დღეს სასტუმრო „სკრიბის“ სარდაფი) გაიმართა ლუმიერის სინემატოგრაფის პირველი ფასიანი საჯარო სეანსი. შეიქმნა „სინემატოგრაფიული სპექტაკლი“ თავისი დარბაზით, პროექტორით, ფილმებით და პუბლიკით. სახელოვანი წინამორბედების (ედისონი, მარეი, მუიბრიჯი, რეინო) შრომებით შთაგონებულმა ლუმიერმა მიაგნო იდეას და ხელიდან არ გაუშვა კოლექტიური სანახაობის სინამდვილე. ამისთვის ადამიანებს დასჭირდათ XIX საუკუნის დადგომა, ჩვენ კი დღესაც გვჭირდება კინოდარბაზში ერთად ყოფნა, რომ გავინაწილოთ ცხოვრება, სიხარული, ცრემლები და მსოფლიო ემოცია.

სამშაბათი, 29 დეკემბერი

კრისტიან ჟენს ველაპარაკები ტელეფონით. ის დარწმუნებულია, რომ 2016 წელი კარგი იქნება კორეისთვის. ამ ქვეყანამ 90-იანი წლების ბოლოს ამოყვინთა, მაგრამ ყოველთვის კინოს დიდი ქვეყანა იყო, იმ კვონ ტაეკმა დევიდ ლინჩის ხელიდან მიიღო პრიზი რეჟისურისთვის ფილმისა „ქალებითა და მხატვრობით მთვრალი“. მას კვალდაკვალ მიჰყვნენ არაჩვეულებრივი ტალანტის მქონე რეჟისორები. ყოველთვის მართობდა მათი ჩამოთვლა თანამოსაუბრეების წინაშე, მინდოდა ჰგონებოდათ, რომ კორეულ ენას ნაწილობრივ ვფლობდი: პარკ შან ვოკ, შინ სანგოკ, კიმ ჯი ვუნ, იმ, სანგ სო, ლი ჩანგ დონგ, ბონგ ჯუნ ჰო, ჰონგ სანგ სუ, ნა ჰონგ ჯინ, კიმ კი დუკ და ა.შ. დავამატებ კიმ დონგ ჰოს სახელს, რომელიც პრეზიდენტია ბუზანის ფესტივალისა, სადაც ჩვეულებისამებრ ოქტომბერში დავდივარ ხოლმე, გამონაკლისი იყო წლევანდელი წელი. ეს არის პრეზი-

დენტი, რომელიც თვითონ იხდის ბარის, სადილების და კარაოკეს ფულს. დილიდან წყნარი ქვეყანა ყოველთვის ასეთი არ არის, აქ ისტერიულად უყვართ კინო – ახალგაზრდა სინეფილების ურდოები, სმარტფონით ხელში, მზად არიან კინოვარსკვლავების დასახვედრად, რომელთა გვერდითაც ჩვენი მსახიობები პროვინციელ ვარსკვლავებს ჰგვანან. აქაური ჟურნალისტები საოცარი გონებამახვილები და მცოდნეები არიან, მათ შეუძლიათ ინტერვიუ ჩამოართვან კლერ დევისს და „ლეზ ენროკსაც“. ბუზანი საპორტო ქალაქია ქვეყნის სამხრეთში. აქ არის დიდი ყურე და ბევრი სასტუმრო, კანის მსგავსად და სწორედ ისეთივე წარმატებულია, როგორც კანი. სულ რამდენიმე წელიწადის დასჭირდა კორეული კინოს ექსპორტს მთელ მსოფლიოში. თავისი ბაზრითა და ინსტალაციებით, ეს ფესტივალი გახდა აზიის ყველაზე დიდი თავშეყრის ადგილი. ხელოვანები პატივს სცემენ ადგილობრივ ტრადიციებს, ლუდით ავსებენ სოჟუს ჭიქებს, სვამენ და ცარიელ ჭიქებს თავზე იპირქვავებენ (კორეული წესით, ამით არწმუნებენ სხვებს, რომ ჭიქები გამოსცალეს, რის შემდეგაც უკვე შეუვსებენ ჭიქას სასმლით და ასე გრძელდება ლამის დაუსრულებლად). მე კი არ გამაჩნია უფრო ლამაზი მოგონება, ვიდრე მეთევზეთა უბნის ტერასებია, სადაც, აფორიაქებულები, ერთმანეთს ვხვდებოდით ღამით, „ტიგერ კლუბიდან“ გამოსვლის შემდეგ, ჩვენ, „მსმელების ჯგუფი“, რომელიც ერთად დავაარსეთ მისტერ კიმმა, პეტერ ვან ბუერენმა, სიმონ ფიელდმა და ჰუ ჰსიაო ჰსიენმა, რომელიც ჩინურ ვარიეტეს მღეროდა ელეგანტური რწმენით (სიმღერის შემდეგ კი მაშინვე იძინებდა).

დადასტურებით ვიცი, რომ პარკ შან ვუკი, ჰონგ სანგ სუ, კიმ კი დუკი და ნა ჰონგ ჯი მუშაობენ. ასევე იეონ სანგ ჰუც, რომელიც თურმე იღებს საშინელებათა, მაგრამ იმედის მომცემ ფილმს სახელწოდებით „ბუზანში მიმავალი მატარებელი“. კარგი ინფორმაციაა, კარგი კანის ფესტივალი წარმოუდგენელია აზიელი წარმომადგენლის გარეშე.

ოთხშაბათი, 30 დეკემბერი

ყოველ საღამოს ცა იწმინდება იმისთვის, რომ სავსე მთვარემ გაანათოს ხეობები. მაინცდამაინც არ ცივა. დღეს ვიყავით მთაში და დღიურისთვის დრო არ მქონდა. ჟურნალისტი კარლოს გომესი, რომელიც „რეალის“ გულშემატკივარი და გემოვნებიანი კაცია, მიგზავნის „პრუსტის კითხვარს“, რომელიც ადრე უნდა მოეცა და ახლა იპოვა. აი ისიც! ეს იქნება დღევანდელი დღის მონაგარი.

თქვენი პირველი მოგონება კანის ფესტივალზე?

ბავშვი ვიყავი, როცა ტელევიზიით ვნახე სკანდალი, რაც ფილმის „დიდი სმა-ჭამის“ ჩვენებას მოჰყვა. 1979 წელს, ჯიბეში უკვე მედო მართვის მოწმობა და ლიონიდან კრუაზეტზე აღმოვჩნდი. არანაირი ფილმი არ მინახავს, ისიც კი არ ვიცოდი, საიდან შევსულიყავი კინოდარბაზში. მაგრამ კანში ვიყავი. ღამით მანქანაში მეძინა, საგზაო სადგომებზე.

საუკეთესო მოგონება?

„ჩემი“ პირველი ავლა წითელ ხალიჩაზე „მულენ რუჟით“, ბაზ ლურმანთან და ნიკოლ კიდმანთან ერთად 2001 წელს. ან, U2-ს იმპროვიზებული კონცერტი კიბის საფეხურებზე, კანის ფესტივალის 60 წლისთავთან დაკავშირებით.

ყველაზე ცუდი მოგონება?

არ მაქვს. ვუდი ალენს დავესესხები, კანი სექსივითაა, როცა კარგად არ მიდის, მაინც კარგია.

რომელია იდეალური „ოქროს პალმა“?

საავტორო ფილმი კინოვარსკვლავთა მონაწილეობით, რომელიც წარმატებულია. ამას გარდა, ისინი ყველა იდეალურია, თუ კარგად შევხედავთ.

რა აკლია ფესტივალს?

ვიცი, რაც აკლია, მაგრამ არ გაგიმხელთ.

რა ფილმს გადაიღებდით სიხარულით?

ჟან ლუკ გოდარის „გიჟი პიერო“, ან ბერგმანის „ფანი და ალექსანდრე“.

რომელ ფილმში გაგიხარდებოდათ გამოჩენა?

მარიო მონიჩელის „ამხანაგებში“.

რომელი ფილმი ვერ გაიგეთ ჯერ კიდევ?

დავიდ ლინჩის „მულოლენდ დრაივი“. არც მინდა რომ ვინმემ ამიხსნას.

ბობინა (გარეგნულად), რომელიც არ გახსენდებათ?

არ მახსენდება ასეთი.

თქვენი საყვარელი გმირი დიდ ეკრანზე?

რობერტ მიჩუმი, ნიკოლას რეის „დაუმორჩილებლებში“

ცხოვრებაში?

მუჰამედ ალი.

სამი მიზეზი, რის გამოც ლიონში ცხოვრობთ?

ძველი ლიონი, რესტორნები, ლიონის „ოლიმპიკი“, და ფურვიერის მთა, საიდანაც მოჩანს ხმელთაშუა ზღვა.

სამი მისამართი ლიონში, რომლებსაც გვერდს ვერ აუვლით?

რესტორანი „პასაჟი“, ენეს სააბატო და წიგნის მაღაზია „დესიტრი“, ბელკურის მოედანზე.

რომ ყოფილიყავით „ოლიმპიკ დე ლიონის“ პრეზიდენტი, რომელ სამ მოთამაშეს აიყვანდით გუნდში?

მხოლოდ ორს, კარიმ ბენზემას, რომელიც მშობლიურ კერას დაუბრუნდებოდა და ჟუნინიოს, რომელიც ისე წავიდა, რომ არავინ დაემშვიდობა.

ყველაზე მოულოდნელი შეხვედრა?

ედი მერქსთან, ჩემს კერპთან, „კამპ ნოუს“ ტრიბუნებზე ბარსელონაში.

ყველაზე დაუვიწყარი?

მაიკლ ჯეკსონთან, ლუმიერის ინსტიტუტში, ტარაკ ბენ ამარის ხელშეწყობით. მაიკლს ვაჩვენე ლუმიერის ფილმები და მან თავისი შავი სათვალე მოიხსნა.

რა არ გიყვართ დღევანდელ სამყაროში?

ის, რომ დღევანდელ სამყაროს არ უყვარს ძველი სამყარო.

ვის დაპატიჟებდით იდეალურ სადილზე? ექვსი სტუმრის უფლება გაქვთ ცოცხლებიდან და მკვდრებიდან...

ბარბარა სტენვიკს, ასტორ პიაცოლას, ბლეზ სანდრარს, ლეო ფერეს და რუს პოეტ ანა ახმატოვას, და კიდევ ჯონ ფორდას, ირლანდიური ვისკის გამო. რამდენი მკვდარი დავასახელე? აბა, ცოცხლები აქ არიან და მათ შევხვდები ისედაც.

რისი გეშინიათ?

მე არაფრის, მაგრამ ჩემი, ჩვენი შვილების გამო – ყველაფრის.

თქვენი მთავარი ნაკლი?

რომ არ ვიცი უარის თქმა.

თქვენი მთავარი თვისება?

კანის ფესტივალთან დაკავშირებულ თხოვნებზე, უარის თქმა.

რომელია თქვენი სოციალური ქსელი?

არ მაქვს.

თარიღი, რომელიც არ დაგავიწყდებათ?

1990 წლის 11 თებერვალი, მანდელას განთავისუფლების დღე.

რაზე თქვით უარი?

ფილმის გადაღებაზე. სიმენონი ამბობდა: „თითოეული ადამიანი თავის თავში ატარებს დაუწერელ რომანს“. ან ფილმს. მაგრამ ცხოვრება ისე ამეწყო, რომ სხვების ფილმებს ვაჩვენებ, რაც ძალიან მაბედნიერებს.

მემარჯვენეობის რა არის თქვენში ?

კლინტ ისტვუდი, მეგობარი.

მემარცხენეობის?

კენ ლოუკი, მეგობარი.

რას ეტყვით ღმერთს, როცა ცაში ახვალთ?

არის აქ კინოდარბაზი?

თქვენთვის საყვარელი რეპლიკა ფილმიდან?

იერემია ჯონსონში ვიღაც ეუბნება რედფორდს: „რას იტყვი, ხომ ღირდა მოგზაურობა?“

ხუთშაბათი, 31 დეკემბერი

წლის ბოლო დღეა, ერთი სული გვაქვს დავემშვიდობოთ. ქვეყანაში უცნაური ატმოსფეროა. ყველას უნდა უკან მოიტოვოს 2015 წელი, თუმცა იციან, რომ 2016 შეიძლება უარესი იყოს. როგორც ყოველ 31 დეკემბერს, ჩვენ ყველანი ოჯახში ვათენებთ ღამეს. მარი და მე ფილმს ვუყურებთ. ეს ტრადიცია მარტინ სკორსეზესგან გადმოვიღეთ, რომელიც მეგობრებს ფილმის სანახავად ეპატიჟება თავის დარბაზში წლის ბოლო დღეს: ეს არის ან მელვილის, ან ვოლშის, ან რენუარის ფილმი. მისი ქალიშვილი ფრანჩესკა ნამდვილი კინომოყვარული გახდება, რადგან მარტის რაც კი უყვარს, ყველაფერს ფრანჩესკას აჩვენებს. ჩვენთან კი, შარშან იყო „ცეზარი და როზალია“ კლოდ სოტეს ფილმი, რომელსაც ვერ შეელევი. ერთი წლის წინ კი „თამაშის წესი“ ვნახეთ. ამ საღამოს კი ვირჩევთ (უფრო სწორად, მე ვირჩევ, მარისთვის სულერთია) გავუშვათ საბძლის დიდ ეკრანზე ნანი მორეტის „ძვირფასი დღიური“. მინდა გავიხსენო მორეტი და თან ვნახო, გაუძლო თუ არა მისმა ფილმმა დროს. გაუძლო. ნანი ბევრჯერ იყო კანში. ის ერთ-ერთია, ვისაც პრესა შინაურულად „კანის აბონენტს“ უწოდებს. ნეტავ, ბევრი გვყავდეს მისნაირი აბონენტი. ის ჟიურის შესანიშნავი თავმჯდომარეც იყო. ლეგიტიმური, თავდაჯერებული, სანდო. და „ძალიან იტალიელი“. კონკურსში მონაწილე კინორეჟისორებს უნდათ, რომ მათი ფილმი განსაჯოს ხელოვანმა და მასშტაბურმა ადამიანმა. ნანი არის კინორეჟისორი, კინომოყვარული, მეპატრონე (მას აქვს რომში კინოდარბაზი „ნუოვო საკერ“), პროდიუსერი, დისტრიბუტორი, ავტორი, პოლიტიკოსი, მოქმედი სპორტსმენი, მას უყვარს მერსედეს სოზა, არგენტინელი ედიტ პიაფი და ბრიუს სპრინგსტინი. ის ერთ-ერთი იშვიათი კინორეჟისორია დარენ არონოფსკისთან, როშდი ზემთან, კემერონ კროუსთან ერთად, რომელსაც აქვს უფლება, გამოიყენოს სპრინგსტინის სიმღერა „I'm on fire” „პალომბელა როსადან“. ნანი არის მომთხოვნი და ეგზალტირებული ადამიანი, რომელიც თავიდანვე გახდა კანის ფესტივალის ისტორიის ნაწილი, თავისი ფილმით

„Ecce Bombo" ლა კრუაზეტზე, რომელიც 16-მილიმეტრიან ფირზე გადაიღო 1978 წელს, ხოლო ჟილმა გაბედულად შეიტანა საკონკურსო ფილმებში. 2001-ში, კანის ფესტივალზე ჩემი გამოჩენის წელს, „ოქროს პალმა" მიიღო ფილმისთვის „ვაჟიშვილის ოთახი". რამოენიმე კვირით ადრე, როდესაც ფილმს ვუყურებდით, იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა სეანსი, იმდენად შეგვძრა.

1994 წელს, მე, როგორც ფესტივალზე მოსიარულე კაცმა, ლუმიერის დიდ დარბაზში პირველად ვნახე მისი „ძვირფასი დღიური". ეს არის ბრწყინვალე ფილმი, რომელმაც ალბათ საფუძველი უნდა დაუდოს „კინორეჟისორის დღიურს", როგორც ჟანრს, თანამედროვე კინოში, ეს რომ ადვილი იყოს (სესარ მონტეიროსაც ძალიან კარგად გამოსდიოდა ასეთი კინო). ეს იყო სამეპიზოდიანი ფილმი. ეპიზოდი 1: ერთი კაცი (თვითონ მორეტი) რომის ქუჩებში დაქრის თავის მოტოციკლეტ „ვესპათი", თითქოს პირველად ხედავდეს მშობლიურ ქალაქს (უმაღლესი დონის პლანებია, ლეონარ კოენის სიმღერის ფონზე, მოულოდნელი შეხვედრით „ფლეშდენსის" მსახიობთან „ჯენიფერ ბილსთან?"). ეპიზოდი 2: ის ნაოსნობს ლიპარის კუნძულებთან სიმშვიდის, დასვენების და შთაგონების მოსაპოვებლად. ეპიზოდი 3: გვიჩვენებს მის დაბრუნებას ავადმყოფობის ჯოჯოხეთიდან და იმას, როგორ ყოველწუთიერად შეიგრძნობს სიცოცხლის ფასს. ისტერიული ადამიანების სიმშვიდე ძვირფასია, რადგან ის რადიკალურია. „ძვირფას დღიურში" მორეტის სიჩუმის მომენტები იგივე ქარიშხლებია, რომლებიც სიძლიერით აჭარბებს მის ადრინდელ კრიზისებს, როცა ის ღრიალით გორაობდა მიწაზე. ამ ფილმში ის ტკბება მზითა და ქარით, როცა მიცურავს ზღვაზე, დადის სოფელში ძველ მეგობართან ერთად, საუბრობს უმნიშვნელო ამბებზე, მარტო თამაშობს ფეხბურთს, ცისკენ გზავნის პასებს, ათვალიერებს კინოს ისტორიისთვის მნიშვნელოვან ადგილს – ოსტის სანაპიროს, სადაც პაზოლინი მოკლეს. დაუვიწყარი კადრია, რომელსაც კეიტ ჯარეტის კიოლნის კონცერტის ჩანაწერი უჩვეულოდ ანათებს. ეს არის რობერტო როსელინისთვის ვულკანური

ძალის კონცერტი, რომლის ენერგიაც ინგრიდ ბერგმანსაც მისწვდა. ამ ფილმით მორეტიმ მიატოვა მიქელე, ტყუპისცალი პერსონაჟი წინა ფილმებიდან; ამ ფილმში ის უყურებს საგნებს (ქალაქი), სამყაროს (კუნძულები), საკუთარ თავს (ავადმყოფობა), რომლებიც ახალი იტალიის ძიებაში არიან, იტალიისა, რომელსაც ჯერ არ აურჩევია ბერლუსკონი. მას შემდეგ მორეტი დამშვიდდა, სრულიად მოიშორა თავდაპირველი სიბრაზე, მაგრამ დარჩა რწმენა, რომ პესიმისტებმა ერთმანეთი თავიდან უნდა მოიშორონ. ამ ფილმიდან რამდენიმე წლის შემდეგ ის პოლიტიკაში წავიდა, რომ ქვეყანა გამოეღვიძებინა. მან შემოიღო საპროტესტო სვლა, რომელსაც თვითონ მიუძღვებოდა, რომ ემხილებინა ადამიანი, რომელსაც „კაიმანს“ (ნიანგს) უწოდებდა. როსელინი ასე აფასებდა ჩვენს შანსებს უკეთეს მომავალზე: ეს დამოკიდებულია ინტელექტუალთა უნარზე, იყვნენ პედაგოგები და არ შეეშინდეთ სახის დაკარგვის.

2016
იანვარი

პარასკევი, 1 იანვარი

ამ დილას, ვონგ კარვაი, რომლის დღეც ჰონგკონგში უფრო ადრე იწყება, ვიდრე ჩვენთან, პირველი იყო, ვინც მოლოცვა გამომიგზავნა. ახალი წელი იწყება მაშინ, როცა არდადეგები მთავრდება. ხვალ პარიზში მივდივარ. საღამოს, დაძინებამდე, სახლს გარშემო ვუვლი. სავსე მთვარე ანათებს ვერკორს, ხოლო იზერის ველს ამერიკული ღამის მუქ ლურჯ ელვარებას სძენს. უკანა ხეობიდან ძაღლების ყეფა ისმის, მათ მეზობლების ვირი ეხმიანება. ხელს ვკიდებ ჩემი ტრაქტორის ჯერ კიდევ თბილ მოტორს, რომელიც დღეს ავამუშავე, რომ მისი ხმა გამეგონა და თან დიდი სიცივეების დროს არ დადუმდეს. ეს არის „მასეი ფერგიუსონის“ მარკის ტრაქტორი MF 65. ამ აგრეგატის არსე-

ბობა ზუსტად ისეთ ემოციას მგვრის, რასაც ბერტოლუჩის „1900“, რომ-ლითაც გვიამბობს, როგორი იყო გლეხების საუკუნე. სხვებს პორშეები აქვთ, მე კი ეს ტრაქტორი, რომელსაც უნდა ვუმადლოდე სიმშვიდის წუთს, რაც ასე მჭირდება პარიზის ორომტრიალში.

შაბათი, 2 იანვარი

ჟერომის წინადადება და მასთან დაკავშირებული ცხოვრებისეული ცვლილებები კანის გენერალურ დელეგატად ჩემი დანიშვნის პირობებს მახსენებს. ეს იყო 2000 წლის ზაფხულის დასაწყისი, ცოტა ხნით ადრე უარი ვთქვი ფრანგული სინემათეკის დირექტორობაზე. დომინიკ პაინის, რომელსაც ამ თანამდებობაზე ვუნდოდი, ავუხსენი, მხოლოდ ლუმიერის ინსტიტუტის ბედი მაინტერესებს-მეთქი. ამ დროს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი მიმდინარეობდა და ბერტრან ტავერნიემ გამოაცხადა, რომ მე „ტრანსფერი“ ვერ შემეხებოდა. აი, მაშინ დამელაპარაკა პროდიუსერი და დისტრიბუტორი, ქალბატონი ფაბიენ ვონიე კანზე: „ჟილ ჟაკობი ეძებს მემკვიდრეს. მაძლევ უფლებას, რომ შენზე დაველაპარაკო?“. დიახ, მივეცი უფლება, რადგან მისი ნათქვამი სერიოზულად არ მიმიღია. როგორ შემეძლო წარმომედგინა, რომ კანის გენერალური დელეგატი, ლეგენდარული ჟილ ჟაკობი და ამიერიდან ახალი პრეზიდენტი, დაინტერესდებოდა ახალგაზრდა პროვინციელი მამლაყინწათი? 2000 წლის კანის ფესტივალი დამთავრდა ნატ კინგ კოლის არიით („ალუბლები, ალუბლები, ალუბლები...“), რომელიც ვონგ კარ ვაიმ ამოირჩია თავისი ფილმისთვის „სიყვარულის გარემო“ და „ოქროს პალმა“ ერგო ლარს ფონ ტრიეს ლუკ ბესონის ჟიურისგან ფილმისთვის „მოცეკვავე ღამეში“. ეს იყო ტრიუმფი. ეს ის დროა, როცა ჟილი თავისი პრესტიჟის, ძალაუფლებისა და იდუმალების უმაღლეს საფეხურზეა და მისი მემკვიდრეობის საკითხი საკმაოდ დელიკატური ჩანს. ვინმეს რომ გამოეთქვა პრეტენზია მის ადგილზე, სასაცილოდ აიგდებდნენ. ერთგულმა ფაბიენმა სიტყვა შეასრულა და მაცნობა, რომ ჟილს ჩემთან შეხვედრა უნდოდა.

ივნისის ერთ მშვენიერ დღეს, 28-ში, ეს იყო საფრანგეთ-ესპანეთის ნახევარფინალური შეხვედრის დღე, ფაბიენმა მოგვიწყო საიდუმლო შეხვედრა თავის ბინაში მონსოს პარკთან, სადაც ის ფრანსის ბეს-პლუგთან ერთად ცხოვრობდა. ტუვ-მ დააგვიანა, მეტროში ცუდად ვერკვეოდი, მოკლედ, დამაგვიანდა. ერთი საათით გადაიწია შეხვედ-რამ. ჟილი ჩემდამი ყურადღებას იჩენდა, ხოლო ფაბიანის მიმართ გულთბილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. „თქვენ არ მოინდო-მეთ ფრანგულ სინემათეკაში მუშაობა, – მითხრა პირდაპირ. – კანზე რას იტყვით?“ ზრდილობიანად და თავშეკავებულად დაინტერესდა კინოსთან ჩემი დამოკიდებულებით, ჩემი აზრით ფესტივალზე და იმ ფილმებზე, რომლებიც ერთი თვის წინ მქონდა ნანახი. ვილაპარაკეთ ძმებ კოენებზე, ედუარდ იანგზე და ოლივიე ასაიაზე. კლასიკოსებზეც და თანამედროვეებზეც, კულტურულ მემკვიდრეობაზე, რეჟისურაზე... რატომ დათანხმდა ჩემთან შეხვედრას? ალბათ ფაბიენს ენდობოდა და თან ეჩქარებოდა. ზამთარში პირველი გადაწყვეტილება ბოლომ-დე ვერ მიიყვანა, 1999 წელს პრეზიდენტი გახდა და აღარ შეეძლო ფილმების კონკურსზეც ეზრუნა. საჭირო იყო ვინმე ენახა.

ჟილი დაინტერესდა ჩვენი საქმიანობით ლუმიერის ინსტიტუტში. ის კარგად იცნობდა ბერტრანს, ხოლო კლოდ მილერს და პიერ რისიენს უკვე ნალაპარაკები ჰქონდათ ჩემზე. საერთო მეგობრებიც გვყავდა: ბენარ შარდერი, რომელმაც 60-იანი წლების დასაწყისში ლიონში გამოაქვეყნა თავისი პირველი წიგნი „თანამედროვე კინო“, რემონ შირაც, რომლის გამომცემელიც თვითონ იყო 80-იან წლებში. სხვა-თა შორის, ჟილთან რაღაც კონტაქტებიც მქონდა. 1997 წელს, კანის 50 წლისთავთან დაკავშირებით, როცა ლიონში ტონი გარნიეს „ლა ალში“ „ოქროს პალმების ღამე“ მოვაწყვე, დაგვეხმარა. ერთხელ, როცა ფესტივალზე შევხვდი, მომილოცა „აქტ სუდ“-ში წიგნების გა-მოქვეყნება. როგორც ყველა, მეც მოხიბლული ვიყავი მისით, ოღონდ შორიდან, რადგან მაშინ კრუაზეტის კიბეებზე არ ავდიოდი ხოლმე. ჟილი იყო დიდი, ეფემერული, ბრწყინვალე, ჯადოსნური, შეუდარებე-

ლი სამეფოს პატრონი... გამომცემელი, მწერალი და ჟურნალისტიც. მე ჩახედული ვიყავი კინომაყვარულთა ისტორიაში და ვიცოდი, რომ მისი დაარსებულია ჟურნალი „რაკორდი“, რომელმაც საფრანგეთი კიდევ უფრო პოპულარული გახადა. ეს იყო 1950 წელს, ერთი წლით ადრე „კაიე დუ სინემას“ დაარსებამდე. როცა ლიონში ვმუშაობდი ჟურნალ „პოზიტივის“ დაარსების ისტორიაზე (დაარსდა 1952 წელს), მას დავუკავშირდი. მასთან ერთად იყვნენ კირუ, ბენაიუნი, ტაიერი, ტრიუფო, შაბროლი და სხვები. ის იყო ცოცხალი მოწმე ფრანგული სინეფილიის ოქროს ხანისა. მაშინ უარი მითხრა სტუმრობაზე, მაგრამ ამის შესახებ მომწერა. 22 წლის ვიყავი და მისი წერილის მიღებამ სიამაყე მაგრძნობინა. მეორე უარიც მივიღე ჟერომ ლინდონისგან, რომელსაც ჟილი ბევრი რამით ჰგავს, ჟან ეშნოზის წიგნში კარგად წერია ამის შესახებ: ის არის იდუმალი, იანსენისტი, მარტოსული. ამავე დროს, დიდი გატაცებით მომუშავე და საქმეში მეტისმეტად აკურატული. ფაბიენის დიდი ბინიდან რომ გამოვედი, ლამის წყალზე გავიარე: მართლა შევხვდი ჟილ ჟაკობს, ყველაზე ენიგმატურ კაცს ფრანგულ კინოში. ტჟვ-ში ჩამჯდარი უკვე ვფიქრობდი, რომ მისი შემცვლელი ერთ-ერთი კანდიდატი ვიყავი. მაშინ, კინოწრეში დადიოდა ხმები, ზოგჯერ მეც ვესწრებოდი სადილებს, სადაც ამბობდნენ, რომ იციან, ვისზე შეაჩერა ჟილმა არჩევანი. ცხადია, არასოდეს უთქვამთ, რომ ეს მე ვიყავი. ვინმე წარმოიდგენდა, რომ ჟილი შეხვდა ლიონელ კინომოყვარულს, სინემათეკის ვირთხას? ვფიქრობ, რომ მას უნდოდა ხალხი გაეკვირვებინა მოულოდნელი გადაწყვეტილებით, უცნობი ადამიანის შერჩევით. მთელი ზაფხული ვურთიერთობდით. დრო გვჭირდებოდა ერთმანეთის გასაცნობად. ალბათ უფრო მას, რომ შევეფასებინე და განვესაჯე. მე უბრალოდ მსიამოვნებდა, რომ ის ჩემდამი ყურადღებას იჩენდა, არც პატივმოყვარეობა ამოძრავებდა და არც მოუთმენლობა არ. ის ძალიან რისკავდა. არ მგონია, რომ სხვა კანდიდატსაც აკვირდებოდა. რაღაც იდუმალების სურნელი ახლდა ჩვენს შეხვედრებს, რომლის ადგილსაც ბოლო მომენტში ვიგებდი.

ივლისის მიწურულს სამხრეთ-დასავლეთის მხარეში დამპატიჟა, სადაც შვებულებას ატარებდა. საუზმის შემდეგ, სეირნობისას, რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგით, სელექციონერის პროფესიის მისეულ ხედვაზე დამელაპარაკა, დეტალები მოიყვანა, მის საუბარს საზეიმო იერი დაჰკრავდა. მივხვდი, რომ თუ დავთანხმდებოდი მის შემოთავაზებას, თვითონაც კმაყოფილი დარჩებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ლუბერონში ვსეირნობდი, ჩემი ამბავი კინოს ისტორიკოსსა და კრიტიკოსს, პასკალ მერინიოს გავუმხილე. ის იყო სასელექციო კომიტეტის წევრი და კარგად იცნობდა ჟილს. მან მიბიძგა, რომ დავთანხმებულიყავი წინადადებას ან სერიოზულად მაინც დავფიქრებულიყავი ამაზე. ფაბიენსაც ვესაუბრებოდი. ჩვენ ხშირად ვურეკავდით ერთმანეთს. ეს ამბავი გამოიწვევდა ჩემი ცხოვრების რადიკალურ ცვლილებას და ფაბიენი გრძნობდა, რომ ეს მაწუხებდა. რამოდენიმე წლის წინ, უარი ვუთხარი მას და ფრანსისს საზოგადოება „პირამიდაში“ გაწევრიანებაზე. ფაბიენმა იცოდა პარიზული მირაჟების მიმართ ჩემი ჯიუტი დამოკიდებულების ამბავი. ის არ ცდებოდა. ზაფხულის ბოლოს ჟილმა მაგრძნობინა, რომ პასუხს ელოდებოდა. შვებულება ამოიწურა ისე, როგორც ორმხრივი თავის მოწონების პერიოდი. გავიდა თავაზიანი საუბრის დრო, დადგა გადაწყვეტილების მიღების დრო. ჟილს იმედი ჰქონდა, რომ ეს გადაწყვეტილება პოზიტიური იქნებოდა. კედელთან ვიყავი მიყენებული. მაგრამ სექტემბრის დასაწყისში ახალი ელემენტი გაჩნდა ჩვენს საუბარში, ჟილმა გამაფრთხილა, რომ ჩემთან ერთად ვერონიკ კაილა უერთდებოდა კანის გუნდს გენერალური დირექტორის სტატუსით. მისი დაჟინებული იდეა იყო, კანის ფესტივალი ემართა წყვილს მისი წასვლის მერე. ლიონში უკვე ვინაწილებდი დირექტორობას სხვასთან ერთად და არანაირი სურვილი არ მქონდა, იგივე მექნა სხვაგანაც. მეგონა, დუეტს ვქმნიდი ჟილთან ერთად და აღმოჩნდა, რომ ტრიო ვიქნებოდით. ეს უკვე სცილდებოდა ადრე ნაფიქრალ კონფიგურაციას. ვერონიკას არ ვიცნობდი, მაგრამ ჩვენი პირველი შეხვედ-

რისთანავე მომეჩვენა, რომ კანის ფესტივალის ყოვლად უჩვეულო მართვა მასაც საგონებელში აგდებდა.

ჟილის წინადადებაზე უარის სათქმელად საბაბი გამომიჩნდა. ყველა ამტკიცებდა, რომ მას არ უნდოდა ძალაუფლების დაკარგვა. მოკლედ, ეს პოსტი ძალიან სახიფათო იყო, რადგან ჟილის მემკვიდრე ვერ იქნებოდა მასავით წარმატებული. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ეს პოსტი თავისი შვილისთვის, ლორანისთვის უნდაო (ეს არ იყო სიმართლე, მალევე გავიგე). ბოლოს, ყველამ იცოდა, რომ ფესტივალის ადმინისტრაციის საბჭოს სხდომა ოქტომბრის დასაწყისში უნდა გამართულიყო და ვინმეს გვარი უკვე უნდა ეთქვათ სხდომაზე. შეთქმულებასავით ჩუმი შეფასებები ჩემ მიღმა რჩებოდა. ჟილმა და მე სასიამოვნო კვირები გავატარეთ საუბრებში, შეხვედრებში, ერთმანეთის გაცნობაში. მის მიმართ დიდ სიმპათიას ვგრძნობდი. მისი წყალობით მშვენიერი მოგზაურობა მოვუწყვე საკუთარ თავს გონებაში, წარმოვიდგინე, რომ ერთ მშვენიერ დღეს მის ადგილზე ვიქნებოდი. არანაირი ამბიცია არ მამოძრავებდა. არის ხოლმე ცხოვრებაში ასეთი მომენტები: არაფერს ითხოვ, მაგრამ ყველაფერს გთავაზობენ. არ ვუკადრისობდი, რადგან დიდი სიყვარულით მიყვარდა კანის ფესტივალი და მინდოდა არაფერი შეცვლილიყო, მენახა დღეში ხუთი ფილმი, მეჭამა ძმაკაცებთან ერთად, მერე გვენახა ჩემპიონთა ლიგის ფინალები მეგობარ იტალიელებთან ერთად სასტუმროს ოთახში. არ მინდოდა ცხოვრების შეცვლა. არ მინდოდა ლუმიერის ინსტიტუტის მიტოვება, არ მინდოდა ბერტრან ტავერნიესთვის მეღალატა, არ მინდოდა ლუმიერის სინემათეკებს, არქივებს და სინემატოგრაფს ჩამოვშორებულიყავი. არ მინდოდა ლიონის პუბლიკას და მთებს მოვწყვეტილიყავი. თუმცა ჟილი მთავაზობდა ერთადერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო კულტურული ღონისძიების ცენტრში ყოფნას. მთავაზობდნენ ყველაზე სასურველ და პრესტიჟულ თანამდებობას. ეს იგივე იყო, რომ „ტურ დე ფრანსის“ პატრონი ვყოფილიყავი, კოლეჟ დე ფრანსში მესწავლებინა, კინოს

მსოფლიო ელჩი გავმხდარიყავი (კი, კი, სწორედ ამაზეა ლაპარაკი). მაგრამ, მე მეგონა, რომ ამის დრო არ იყო. 40 წლის ვიყავი, მინდოდა დისერტაციაზე მუშაობა გამეგრძელებინა ისტორიაში, მომეპოვებინა მეხუთე დანი ძიუ-დოში და მენახა, როგორც ჟილს სახალისოდ ვუთხარი, ბილი ვაილდერის ყველა ფილმი რამდენიმეჯერ. ჟილს გაუკვირდა. ფაბიენსაც, მაგრამ საერთოდ არ უსაყვედურია ჩემთვის. მას აქვს დიდი ემპათია და სინაზე, და არაფერში მადანაშაულებდა. ისიც ჩემსავით უმწეოდ გრძნობდა თავს. ჟილთან თხუთმეტიოდე დღე არანაირი ურთიერთობა აღარ მქონია. ჩემს თავზე ვბრაზობდი, რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდე. ვიცი, რომ ეს პოსტი პასკალ მერიჟოს შესთავაზა, რომელმაც დამირეკა და მითხრა, უარს ვამბობო: „შენ უნდა დათანხმდე, ეს საქმე შენთვის ზედგამოჭრილია“ (არასოდეს მეყოფა მადლობები ამ ადამიანის მიმართ). 2000 წლის სექტემბრის ბოლო კვირას მთაში ვიყავი, ლა გრავში. დავინახე, რომ ფაბიენი ცდილობდა ჩემამდე მოსვლას. „დაურეკე ჟილს, მას ისევ უნდა შენთან ლაპარაკი“. ჟილ ჟაკობი ამჯერად მტკიცე გადაწყვეტილებით შემხვდა: „მივხვდი, თქვენი პრობლემა ლიონია, მე გთავაზობთ, შემომიერთდეთ კანის ფესტივალზე სამუშაოდ, მაგრამ დაიტოვოთ თქვენი ფუნქციები ლუმიერის ინსტიტუტში. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ იგივე ხელმძღვანელები გვყავს და კულტურის მინისტრი კატერინ ტასკა თანახმაა, თუ ბერტრანიც, რომელსაც დავურეკავ, თანახმა იქნება. მოგიწევთ მხოლოდ დროის განრიგის შეცვლა: იანვრიდან მაისამდე ოთხი დღე პარიზში იქნებით, ერთი დღე ლიონში; ივნისიდან დეკემბრამდე ოთხი დღე ლიონში იქნებით, ერთი დღე პარიზში. ამას დაემატება მოგზაურობები“. და დასძინა: „ვერონიკ კაილა იქნება გენერალური დირექტორი, თქვენ კი დელეგატი ხელოვნების განხრით. რას იტყვით?“ ეს მე ხელს მაძლევდა და არ მაწუხებდა, რომ გენერალურ დელეგატად არ დამნიშნეს, რადგან ლუმიერის ინსტიტუტში იგივე ფუნქციები მრჩებოდა. ამას გარდა, ვერონიკა, რომელსაც მე ვაფასებდი, ხდებოდა სრულუფლებიანი

დირექტორი. ამ კვირა საღამოს, 23 სთ-ზე ფაბიენ ვონიესა და პასკალ მერიჟოს გავანდე ეს საიდუმლო. დავურეკე ოლივიე ბაროს, ნ. ტ. ბენს („პოზიტივის“ ჟურნალისტი და შესარჩევი კომიტეტის წევრი) და მიშელ სიმანს, რომელიც კარგად იცნობდა ჟილს (ის ერთ-ერთია მათ შორის, ვინც შენობით ელაპარაკება ჟილს). ყველამ გამამხნევა, ოლივიე ბარომაც, რომელიც რამდენიმე თვით ადრე გამოეთიშა ამ ამბავს. ორი დღის შემდეგ, ვერონიკა და მე ადმინისტრაციულმა საბჭომ უკვე დაგვნიშნა თანამდებობებზე.

კვირა, 3 იანვარი

იშვიათი სიამოვნებაა კვირა დღის პარიზში გატარება. ფოტოგრაფიის ევროპულ სახლში ბრუნო ბარბეს გამოფენაზე წავედი, ხოლო საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ანსელმ კიფერის გამოფენა დავათვალიერე. ერთი გამოფენიდან მეორეზე ფეხით წავედი, პარიზის უმშვენიერესი ცის ქვეშ ვიარე, რომ ტოქსინებისგან გავთავისუფლებულიყავი, რომელიც გუშინდელი გაგრძელებული საღამოდან გამომყვა. ვალერი ფინიონი, ჩემი ქვედა სართულის მეზობელი, უსმენს მიშელ დელპეშის სიმღერას „რა ლამაზი იყო მარიანა“. ბოლოს, გუშინ „ოლიმპიაში“ მოვისმინეთ ეს სიმღერა, ხოლო სადილისობისას გავიგეთ მომღერლის სიკვდილი. ყველა თავ-თავის მოგონებებში ჩაიძირა. გამახსენდა, როგორ დაატყო თავისი კვალი ჩვენს ცხოვრებას ამ მოსიყვარულე ადამიანმა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ლა კრუაზეტის კიბეზე ავიყვანეთ. მოულოდნელად სერჟ ლამამ წაიღიღინა დელპეშის ზოგიერთი სიმღერა მისი „ვარიეტედან“, რაც ჩვენი კოლექტიური მეხსიერების ნაწილია და მთელი მაგიდა აჰყვა.

ორშაბათი, 4 იანვარი

ზამთრის რეჟიმზე ვარ გადასული. ჟილის მიერ შემოთავაზებული განრიგი, რომელიც გულისხმობდა კვირაში ერთ დღეს ლიონში ზამთრის პერიოდში, ხოლო სხვა პერიოდში ოთხ დღეს ლიონში, ვერა-

სოდეს დავიცავი. დეკემბრიდან მაისამდე, თხუთმეტი წელია, მთელ კვირებს პარიზში ვატარებ და თითქმის ასე გამომდის სექტემბრიდან დეკემბრამდეც. სადაც უნდა ვიყო, ყოველთვის ყველას შეუძლია დამიკავშირდეს დღე-ღამის განმავლობაში ფიქსირებულ ტელეფონზე, მობილურზე, მეილით, პირდაპირი მესიჯებით ტვიტერზე, დილით, დღის განმავლობაში, საღამოს, ღამით. ყოველდღიურად ვუმკლავდები მესიჯების ქარიშხლისებრ შემოტევას. ყველამ იცის, რომ სწრაფად ვპასუხობ მესიჯებს, წამიერად. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ არაფერი გამომრჩეს, არავინ დამავიწყდეს. დაგვიანებული პასუხი, თითქმის გაუგებრობა, როყიო სიტყვა, ჭრილობაზე ცეცხლის წაკიდებას ჰგავს. ზერელეობა მხოლოდ აპრილში მეპატიება, როცა ფესტივალის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას ვიღებთ; ამ დროს ჩემი სიჩუმე წინასწარ არის გაანგარიშებული, რასაც ყველა მპატიობს, ყველა ითვალისწინებს ჩემ მდგომარეობას.

საუზმეზე ვენსან პომარედმა და სტეფან მალფეტმა მომაკითხეს კაფე „მაქსში“. ლუვრის მუზეუმი, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, დაინტერესებულია მცირე კინოფესტივალის ჩატარებით და რჩევისთვის მომაკითხეს. ნაშუადღევს შემხვდნენ ხელოვნებისა და საცდელი წარმოდგენების დარბაზთა წარმომადგენლები, რომელთაც განზრახული ჰქონდათ AFCAF-ში (Air Force Central Adjudication Facility) „კანის დღეების ჩატარება“. ეს იქნებოდა საუკეთესო რამ მთელი საფრანგეთის დარბაზთა მფლობელებისა და დისტრიბუტორებისთვის. დღე მქონდა ძალიან საქმიანი და თან სასიამოვნო, ისევე როგორც საღამოს სადილი პასკალ მერიჟოსა და მის ცოლ კრისტინთან ერთად.

წყნარად დავუბრუნდი საქმეებს, არანაირ საჯარო განცხადებას არ ვაპირებ ჟურნალისტებთან 2016-ის შრომითი წლის დასაწყისში. ეს არის მხოლოდ, ზოგიერთ მოუთმენელ ჟურნალისტს დავუდასტურე, რომ განაცხადი ფილმების შერჩევის შესახებ იგეგმებოოდა 14 აპრილს, 103 დღის შემდეგ.

სამშაბათი, 5 იანვარი

იანვარში ოცდაათამდე კაცია სამსახურში. გასული ზაფხულის შემდეგ ზოგი დაუბრუნდა პირად, ოჯახურ ცხოვრებას, ზოგი კი ჩაეფლო საფესტივალო თავგადასავალში (ტორონტო, მორელია, დუბაი და ა.შ.). შემოდგომიდან ნელ-ნელა ყველა ბრუნდება, გააჩნია, ვის რა საქმე ავალია, მომდევნო თვეებში თანამშრომელთა რიცხვი კიდევ უფრო მოიმატებს, ხოლო ღონისძიების დროს მათი რიცხვი ათასს გადააჭარბებს. კრისტიან ჟენმა ისევ შეკრიბა თავისი ახალგაზრდა გუნდი ფილმის დეპარტამენტიდან, ჟენვიევ პონსი „განსხვავებული ხედვის“ ფილმებისთვის ემზადება, ხოლო ჟერალდ დიუშოსუა „კან კლასიკის“ ფილმებს მიიღებს. ბეჯების სერვისში, რომელსაც ფაბრის ალარი ხელმძღვანელობს, ყველა თანამშრომელი ადგილზეა. აკრედიტაციების დაწყება ფესტივალის ცხოვრებაში და ფესტივალის მონაწილეთათვის წმიდათაწმიდა მომენტია... ვინკა ვან იკი შრომობს ინტერნეტში, ის მუხლჩაუხრელად მუშაობს ოქტომბრიდან სრულიად განახლებულ საიტზე, რომელიც მაისისთვის იქნება მზად, კაროლინ ვოტროსთვის პირველი წელი იქნება კომუნიკაციის სფეროში, მან მარი პიერ ოვილი შეცვალა ამ თანამდებობაზე, რადგან „ისტორიული კანელი ქალი“ წლის ბოლოს სამსახურიდან წავიდა. ამ ხალხს ემატება პრესის ჯგუფები და ფილმის ბაზრის ხალხი. ვერ დავივიწყებ მიშელ მირაბელას, რომელიც მთელი წელი ადგილზეა და პროფესიონალთა შორის მთავარ როლშია. გამიხარდებოდა, რომ ყველა ის ადამიანი ჩამომეთვალა, ვინც 2016 წლის კანის ფესტივალის შექმნაში მონაწილეობს, მაგრამ ეს ჩემს გამომცემელს გააბრაზებდა. როდესაც ჩვენი პატარა გაერთიანება სრულად არის შეკრებილი, ეს იმას ნიშნავს, რომ სერიოზული ამბები იწყება. მაშინ, როცა აქ მოვედი, კრისტიანმა მითხრა: „არ გაგიკვირდეს, მალე შეამჩნევ, რომ ფესტივალი ყველაზე უფრო ხელოსნების საწარმოს ჰგავს“. მართალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალს უამრავი სამომავლო გეგმა აქვს და ძალიან მასშტაბურია, ის ასეთად უნდა დარჩეს.

ოთხშაბათი, 6 იანვარი

დისკუსიები გრძელდება: ჟიურიზე, გახსნის ფილმზე, გახსნისა და დახურვის ცერემონიალების მომზადებაზე. გუშინ საღამოს, პიერმა და მე გადავწყვიტეთ, რომ ჟიურის თავმჯდომარეობა ჯორჯ მილერს შევთავაზოთ. როცა ამ თემაზე ვსაუბრობდით, დღესასწაულის დღეები იყო და სულ მისი გვარი გვახსენდებოდა. თუ დაგვთანხმდება, ყველას გავაკვირვებთ, ეს იქნება პატივის მიგება ავსტრალიური კინოსადმი, ჟანრობრივი კინოსა და გამორჩეული ავტორისადმი. მომავალ კვირას ის ჩაერთვება „ოქროს გლობუსის“ ყველაზე პრესტიჟულ ორ კონკურსში, საუკეთესო რეჟისურისა და საუკეთესო ფილმისთვის. ველოდებით, რომ იგივე იქნება ოსკარებზეც. ჯორჯი ის კინორეჟისორია, რომლის ნამუშევარიც ხშირად მოულოდნელია (მისი შესანიშნავი სკეტჩი „მეოთხე განზომილებაში“) და მასთან ვერ მოვა თუნდაც ოთხი „მად მაქსი“: „ლორენცო“ შესანიშნავი ფილმია, ისე, როგორც „ისტვიკელი ჯადოქრები“. ეს ორი პროექტი ძნელად შეიძლება მას მიაკუთვნო. იგივე ითქმის ანიმაციურ ფილმზე „ფეხბედნიერი“. ჯორჯ მილერი არის ყოფილი ექიმი, რომელიც ძველ საქმეს ჩამოშორდა გამოსახულების სიყვარულის გამო. ყველაზე მეტად კი, ეს არის სიმპათიური ადამიანი, მხიარული და მიმზიდველი, რომელსაც მთელი მსოფლიოს კინო აინტერესებს. თანაც, ეს იქნება ავსტრალიისთვის პრემიერა, ორი წლის შემდეგ ახალზელანდიური პრემიერისა, როცა ჟიურის თავმჯდომარედ ავირჩიეთ ჯეინ კემპიონი. რაც უფრო მეტს ვფიქრობთ მასზე, მით უფრო გვინდა, რომ უარი არ გვითხრას. მე დამევალა მასთან დაკავშირება.

ვსადილობ ნათანაელ კარმიცთან. ჩვენ ვსაუბრობთ MK2-ის მიერ დაბრუნებულ დარბაზებზე ესპანეთში, რასაც ძალიან კარგი შედეგი მოჰყვა. კინო არ კვდება, თუ მიხედავ, ავადაც კი არ ხდება. ნათანაელი მიყვება ქსავიე დოლანზე, ასევე აბას კიაროსტამიზე, რომელიც კარმიცის ოჯახის ერთგულია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ახალი ფილმის პროდიუსერი შარლ ჟილიბერია. მე მას რეგულარულად

ვხვდებოდი ირანში, აფრიკაში, იტალიაში, იაპონიაში. აბასი მუშაობს ჩინურ პროექტზე, რომელზეც ოქტომბერში, ლიონში ყოფნისას დამელაპარაკა. ნათანაელმა მითხრა, ის დაღლილია და თავის სახლშია თეირანში, ისვენებსო.

ხუთშაბათი, 7 იანვარი

მოუთმენლად ველოდით პოლ ვერჰოვენის ფილმს „ის ქალი“, რომელიც საფრნგეთში გადაიღეს ფრანგი მსახიობების მონაწილეობით. თითქმის დამთავრებულია. ჩვენ მოგვწონს ფილმი, რომელიც თან ძალიან პიროვნულია, თან შაბროლისა და ჰანეკეს მოულოდნელი ნაზავის შედეგია. ჩვენ შორის არავის წაუკითხავს ფილიპ ჯიანის რომანი, რომლის მიხედვითაც ეს ფილმია გადაღებული (და რომელსაც ლარიეებმა ლამაზი საჩუქარი უძღვნეს თავიანთი სტატიით „სიყვარული უმაღლესი დონის დანაშაულია“, მას კინო უხდება). ამით გაკვირვებამ კიდევ უფრო იმატა. ფილმის გაშვების შემდეგ მისი პროდიუსერი საიდ ბენ საიდი მირეკავს, ვერ ვხვდები რა მიზნით. მეუბნება, რომ უნდა ამ ფილმის ჩქარა გაშვება დარბაზებში, თუ ის არ შეირჩევა საფესტივალოდ. ხოლო თუ შეირჩევა, მაშინ გაუშვებს კანის კინოდარბაზებში ფესტივალის მსვლელობის პერიოდში. ან შეიძლება, სულაც 2016-ის შემოდგომაზე გამოუშვას. სამაგიეროდ, ბოლომდე არ არის დარწმუნებული, რომ ბერლინალეზე შეძლებს წასვლას, რომლისთვისაც ფილმი არ უჩვენებია. ჩვენი პირველი რეფლექსი გვიბიძგებს, რომ ფილმი „კონკურსს გარეშე“, საზეიმოდ გავუშვათ და არა კონკურსში. ჩვენი აზრით, ეს უფრო მოუხდება ფილმს, რომლის კომიკურობაც ყოველი პლანის შემდეგ ფეთქდება იზაბელ იუპერის მიერ ნათამაშევი გიჟი პერსონაჟის წყალობით. მსახიობი ხელოვნების მწვერვალზეა, მას ლუმიერის ამფითეატრში ვუყურებთ. ჩვენმა რეაქციამ საიდი დაამშვიდა. „ეს იყო პირველი ჩვენება, სრულიად უცნობ მხარეში აღმოვჩნდი. კანის შესახებ რამდენიმე კვირაში დავილაპარაკებთ,

გადაწყვეტილების მისაღებად დრო გვაქვს.“ ორჯერ ერთსა და იმავეს თქმას აზრი არა აქვს.

7 იანვარს ერთი წელი შესრულდა მას მერე, რაც ცა თავზე ჩამოგვემხო, „შარლი ებდოს“ კარიკატურისტები, „ჰიპერ კაშერის“ ებრაელები და ჩვენი მცველი თავგანწირული პოლიციელები ტყვიებით დაცხრილეს. ამ ყველაფრით დაიწყო ზიზღის ახალი ციკლი, რომელშიც ამიერიდან ჩვენ ვცხოვრობთ. ერთი წელი გავიდა იმ დილიდან, როცა პიერ ლესკურმა დამირეკა ცრემლიანი ხმით და მომიყვა, რაც მოხდა.

პარასკევი, 8 იანვარი

ამ კვირას დღიური დავწერე, როგორც შემეძლო. არ ვიცი, როგორ გავაგრძელებ წიგნის წერას, როცა ჩემი დროის თითოეული წუთი ფესტივალის მომზადებას ეკუთვნის. ახალი დღიური მეწყება, 2016 წლის კანის ფესტივალის დღიური.

უკვე რამდენიმე მეილი მივიღე გუშინ და ამ დილით. ერთ-ერთი პიერ ფილმონისგანაა, რომელიც მამცნობს დიდი ოპერატორის, ვილმოს სიგმუნდის გარდაცვალებას. მან დოკუმენტური ფილმი გადაიღო ამ დიდ ოპერატორზე და უნდა რომ 2016-ის „კან კლასიკზე“ გავუშვათ. ვილმოსი ფესტივალზე 2014 წელს მოვიდა. ის იყო ერთ-ერთი აღმოსავლეთ ევროპიდან, ამ შემთხვევაში უნგრეთიდან ემიგრირებულთა შორის, რომლებმაც შეცვალეს ჰოლივუდის ვიზუალური გამომსახველობა 70-იან წლებში (იყვნენ სხვებიც, ნესტორ ალმენდროსი, გორდონ უილისი, ჰესკელ ვექსლერი, ბრიუს სარტისი), სპილბერგის „მესამე ტიპის შეხვედრებიდან“ და დე პალმას „აკვიატებიდან“ მოყოლებული, შაცბერგის „საფრთხობელით“ და მაიკლ სიმინოს „სამოთხის კარით“ დამთავრებული. მოკლედ, გიგანტი იყო.

მეილი მივიღე აგრეთვე ბარბარა პეიროსგან, პედრო ალმოდოვარის ერთგული ასისტენტისგან, რომელიც მთავაზობს „ხულიეტას“ ნახვას მადრიდში, 10 თებერვალს. მომწერა კრისტი მაკოსკომაც, სტი-

ვენ სპილბერგის პროდიუსერმა, რომელსაც უნდა, მაჩვენოს თავის ფილმი „მაღალი, სიმპათიური გიგანტი“ ერთ თვეში, ლოს-ანჯელესში. აქვეა ამერიკელი რეჟისორის, ჯეფ ნიკოლსის მეილიც. მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფილმით „ტალახი“, 2012-ში, კონკურსის დროს. მას ეპატიჟებიან კრიტიკის კვირეულის ჟიურიში, რომელმაც მიიღო ფილმი „თავშესაფარში“, მაგრამ ურჩევნია ყველა ღონე მოახმაროს ფილმს „სიყვარულით“, რომელსაც, როგორც ირწმუნება, დროულად დაამთავრებს. ბოლოს და ბოლოს, მივიღე სალ ლადესტროს მეილიც „სონი კოლუმბიადან“, რადგან ჩვენკენ წამოსულ ფილმებს შორის არის „ფულის ურჩხული“, ჯუდი ფოსტერის ფილმი. სალმა ამაზე ჯერ კიდევ დეკემბერში მიმანიშნა, მაგრამ დღის წესრიგი შეიცვალა: ფილმის გამოსვლა დანიშნულია... 11 მაისს, კანის ფესტივალის გახსნის დღეს. ქაღალდზე მადის აღმძვრელად მოჩანს, კასტინგი იმედისმომცემია (ჯულია რობერტსი, ჯორჯ კლუნი) და სიუჟეტიც წამქეზებლური, ეხება დანაშაულებრივ ქმედებებს მედიასა და ფინანსებში. ჯუდი კარგი რეჟისორია.

აი, ასეთი კარგი ამბებით იწყება წელიწადი. ეს ყველაფერი ემატება სიამოვნებას, რასაც სენ-ჟერმენ დე პრეს გავლით განვიცდი ლიონის სადგურისკენ მიმავალი. ახალი წლის პირველი კვირის დასასრულს, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარმა მუხლები დამიძაბუნა.

შაბათი, 9 იანვარი

დილაუთენია ვესაუბრები ჯორჯ მილერს, რომელმაც მოუხშირა სიდნეიდან ლოს-ანჯელესში სიარულს, სადაც ამჟამადაც იმყოფება. სანამ დაწვებოდა, დამირეკა. სწრაფად ჩამოვუყალიბე ჩემი წინადადება. „ჟიურის თავმჯდომარე? მე? დარწმუნებული ხარ? „ ის ორჯერ იყო ფესტივალზე ჟიურის წევრად. მერე მეკითხება, უხერხული ხომ არ არისო. ჯორჯი ძალიან ახლოს იყო ჯონი ფრიდკინთან, „ვარნერის“ ძველი გვარდიის წარმომადგენელთან, ტატიანა ფრიდკინის ქმართან, რომელიც ჯერ ჟილ ჟაკობთან მუშაობდა, მერე – ჩემთან, ლოს-ანჯე-

ლესში. ჟილმაც ამ გზით გაიცნო, მაინც უნდა ვკითხო. ჯორჯს ვეუბნები, რომ ეს არ იქნება ხელის შემშლელი ფაქტორი. „კარგი, მაშინ მომეცი დრო, რომ ჩემს განრიგს გადავხედო, დავურეკო პროდიუსერებს და ვნახო, მაქვს თუ არა ამის საშუალება და გიპასუხებ სწრაფად. ორი კვირა შეგიძლია მომცე?“. ოჰ, ორი კვირა ძალიან ბევრია. თუ უარს გვეტყვის, იანვრის ბოლოს არავინ გვეყოლება შერჩეული, ეს კი სარისკოა.

დღეს ლიონში ვატარებ, ოჯახში. თვალისმომჭრელი მზეა, მშრალი და თბილი ამინდი. წიგნის მაღაზიები და კინო ერთად მოვიარეთ მარიმ, ბავშვებმა და მე. გავისეირნეთ კიდეც. ჩვევად მაქვს იქ ველოსიპედით სიარული, მიუხედავად იმისა, რომ დესინიდან კუნძულამდე ორმოცი წუთის სავალი გზაა. ეს ბევრად მეტია ათ წუთზე, რაც ჟერლანდს მაშორებს. ჟან მიშელ ოლა, რომელიც კრიტიკოსებმა არ დაინდეს, ყველაზე ზრუნავს და როგორც ნამდვილი გულშემატკივარი „ტრუასთან“ მატჩზე შფოთავს. მატჩი ადვილად მოვიგეთ ახალი მწვრთნელის, ბრუნო ჟენეზიოს მეთაურობით, რომელიც ლიონში ჩამოყალიბდა სპორტსმენად. მატჩის გმირი იყო ალექსანდრ ლაკაზეტი, როგორც პირველი გოლეადორი, რომელსაც ოთხ-ოთხი გოლი გაჰქონდა თამაშებზე. მასზე ამბობდნენ, რომ ყოველი ოთხი ბურთის გატანის შემდეგ საკმაოდ ხმაურობდა მოედანზე, რომ გულშემატკივარს თავი კარგად ეგრძნო.

ჟერომ სედუც აქაა. მას თან ახლავს სოფი. შვებულებიდან უკვე დაბრუნდნენ. ერთმანეთს წვრილ-წვრილ ამბებზე არ ვესაუბრებით, უბრალოდ დავთქვით, რომ ორშაბათს ერთად ვისაუზმებდით, დეტალებზე სალაპარაკოდ.

კვირა, 10 იანვარი

ფილმების სელექციის პირველ საფეხურზე ვართ. ჩვენებათა რიტმი ჯერ მშვიდია, ამ კვირას ოთხი ან ხუთი იქნება. როცა უფრო ინტენსიურად შევუდგებით ამ საქმეს, სხვა არაფრის დრო აღარ გვექნება. ნოემბრიდან

მოყოლებული ოცდაცხრა ფილმი ვნახეთ. უფრო სწორად, ოცდაათი, თუ იმ ფილმსაც მივათვლით, რომელიც ივნისის ბოლოს ვნახეთ და რომელიც მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებდა. „კანი თერთმეტ თვეშია," – ვუთხარი ფილმის პროდიუსერს და ვიფიქრე, რომ ელეგანტურად შევძელი მისი თავიდან მოშორება. „არ არის პრობლემა, დავიცდი!" – მიპასუხა მშვიდად. ყოველთვის მაგიჟებენ ასეთი ადამიანები.

ჩვენ პირველი მკაცრი შერჩევა გვაქვს (რუმინელი კრისტი პუიუ), ხოლო „განსხვავებული ხედვის" მიმართულებით მეტ როსის „ფანტასტიკური კაპიტანი", ვიგო მორტენსენის მონაწილეობით, და კელი რაიქარის „ლივინგსტონი", მაგრამ მოგვიწევს, სანდენსიდან წამოსული ორი ფილმის შერჩევა. გვაქვს პოლ ვერჰოვენის ფილმი, რომლის დროშის ფერებიც ჯერ არ არის დადგენილი. წარმოების სტილის მიხედვით იქნებ ფრანგული ფილმია? იქნებ ჰოლანდიური, რეჟისორის ეროვნების გათვალისწინებით? პირველ შემთხვევაში, კანონის მიხედვით, შეუძლებელია 14 აპრილამდე ფრანგულ ფილმზე აზრის გამოთქმა. ეს შესაძლებელი იქნება მას მერე, რაც ყველა ნახავს ფილმს, დასაცავია თანასწორობის პრინციპი. მეორე შემთხვევაში, თუ საქმე ეხება „უცხოურ ფილმს", პასუხის გაცემა ნებისმიერ დროს შეიძლება. ასე ესმით ეს საკითხი ვერჰოვენსა და საიდ ბენ საიდს. რაც შეეხება ჯორჯ მილერს, სანამ თანხმობა არ შემოუთვლია, მანამდე ვერ მივწერ კოკტოს ამ სასოწარკვეთილ ფრაზებს: „ალბათ წარმოგიდგენიათ ჩემი უხერხული მდგომარეობა, რადგან მსაჯული ვარ. არ მინდა, რომ ბედისწერა შევუქმნა სხვებს, მაგრამ ფილმების რაოდენობა და შერჩევის აუცილებლობა მაიძულებს, შევასრულო ეს ფუნქცია. თანაც, ჟიურის თავმჯდომარეს არ გააჩნია ჟიურის წევრებისგან განსხვავებული ხმა, რომლებიც თუ ჩემკენ გადმოიხრებიან, ბუნებრივია, რომ მეც მათკენ გადავიხრები. მოკლედ, ფესტივალით გამოწვეული დიდი დაღლილობა უხერხული მდგომარეობით და ცუდ ხასიათზე ყოფნით მთავრდება. ძალიან ვწუხვარ. მომეწონებოდა, რომ ფესტივალზე არ ხდებოდეს პრიზების გადაცემა, რომ ფესტივალი მხოლოდ შეხვედრე-

ბის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის ადგილი იყოს. კანის ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარეობა ის გამოცდილებაა, რომლის განახლებაც აღარ მსურს“. ეს ფუნქცია არცთუ ისე ცუდი აღმოჩნდა, რადგან მომდევნო წელს ის ისევ დათანხმდა თავმჯდომარეობას, ხოლო შემდგომ ის ჟიურის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს. ფესტივალი მან საკუთარ ბაღად და სიამოვნებად აქცია. ის თან ახლდა ფილმის „400 დარტყმის“ გამოჩენას ლა კრუაზეტზე, 1959 წელს, ამით ის დაესწრო ტრიუფოსა და ლეოს სინემატოგრაფიულ დაბადებას.

ორშაბათი, 11 იანვარი

ლიონი-პარიზის დილის ტჟვ-ში ვზივარ. ძილი ვერ შევიბრუნე, ზოგჯერ ასეც მემართება. ვაგონ-ბარში შევედი, მერე გავხსენი ჩემი კომპიუტერი, რომ ამ დღიურის რამდენიმე გვერდი გადამეკითხა, თან Pink Floyd-ს ვუსმენდი, რომ ბოლომდე გამოვფხიზლებულიყავი: „Shine on you crazy diamond” (ბზინავს თქვენი გიჟური ბრილიანტი). ვაგონი სავსეა ხალხით, მაგრამ სიწყნარეა. გარეთ სქელი ნისლი ფარავს ველს. ბუნება მშვენიერია, ზამთარი მოდის. დილაობით იგრძნობა სიცივის სუნი. ბურგუნდიაში, 320 კილომეტრზე აქედან, მზე ამოდის. ცა მჭახე ლურჯი ფერია, მის ფონზე ტყეები იკვეთება.

ფეხით მივდივარ ჟერომ სედუს სახლისკენ. შაბათის მატჩზე რამდენიმე სიტყვა ვთქვით და მერე მთავარ საკითხზე გადავედით. მე მარტივი კითხვით დავიწყე: „რატომ მე?“, ის მპასუხობს: „იმიტომ რომ, საქმეში საღი აზრია საჭირო და, ვფიქრობ, რომ თქვენ ხართ საღი აზრის მქონე ადამიანი“. მეუბნება, რომ „პატე“ კარგი საწარმოა და როგორც კი საქმეებში ჩავებმები, შემეძლება გავაკეთო რაც მინდა. მერე დასძენს, რომ საწარმოს საქმე ძალიან კარგად მიდის, რომ დისტრიბუცია უფრო პრობლემატურია, რომ პროდიუსინგში მხოლოდ კომედიებს შეუძლია დაგიცვას. მერე თქვა: „პასუხი იანვრის ბოლოს მჭირდება“.

ვიცი გულს დავწყვეტ, მაგრამ ვრისკავ და ცოტა კითხვას ვუსვამ, იმის შიშით, რომ შორს არ წავიდეთ. დღესასწაულის დღეებში აზრი

ყოველდღიურად მეცვლებოდა. მაგრამ, ბოლოს, მივედი დასკვნამდე, რომ თუ ჟერომი მომცემდა საშუალებას კანის ფესტივალის 70 წლისთავამდე მივსულიყავი და ასე თუ ისე მიმეხედა ლუმიერის ინსტიტუტისთვის, მაშინ შემეძლო წარმომედგინა ჩემი გადაადგილება. ჟერომმა ამ პოსტის კონტურები მოხაზა: თუ მისი მემკვიდრე გავხდებოდი, ვიქნებოდი მსოფლიოს ერთ-ერთი პრესტიჟული სტუდიის პრეზიდენტი, ფართოდ გაღებული კარიდან შევიდოდი საწარმოში, სადაც იქმნება ფილმები, მიმდინარეობს მათი დისტრიბუცია და გამოყენება მეტად ეფექტურ დარბაზთა ქსელში, რომელიც პოპულარულია მთელ საფრანგეთში. „ეს გულისხმობს ჩემს საქმიანობასაც ლიონის „ოლიმპიკში“!“ – დასძენს ის და კიდევ უფრო მანცვიფრებს.

ჩვენი საუბრით ჯერ ისევ შეძრული, ინვალიდების მოედანზე გადავდივარ. სინანული მიპყრობს. ალბათ უფრო მეტი უნდა მეთქვა მისთვის, რადგან ერთი პროექტი მოვიფიქრე, რომელიც თან უწყინარია, თან ანგაჟირებული, არ გულისხმობს რაიმე სახის იძულებას. ეს ჩემი მუშაობის სტილია. რეალობა ყოველთვის შეძლებს დაგვეწიოს. მახსენდება „სიბი“ 2000, ფრანსის ბუიგის მიერ მოფიქრებული ხერხი კინოში და ... ფულში გადაშვებისა. რასაკვირველია,

ყველაფერი გაჩერდა ამ ნეო-მოგულის გაქრობის შემდეგ, რადგან ვერავინ მისცემდა თავს ამგვარი ფინანსური ფლანგვის უფლებას. მაგრამ ეს ამბავი უსარმაზარი მასშტაბის აღმოჩნდა. ალბათ ვეღარასოდეს ვნახავთ ერთად შეკრებილ დავიდ ლინჩს, აბას კიაროსტამის, ჯეინ კემპიონს, ბერნარდო ბერტოლუჩის თუ ემირ კუსტურიცას, რომლებმაც შემოგვთავაზეს ლამაზი ფილმები და ექვს წელიწადში ოთხი „ოქროს პალმა“ აიღეს.

როცა მოვბრუნდი, სიტუაცია დეტალურად აღვუწერე პიერ ლესკურს. დეკემბრიდან მოყოლებული მისთვის არაფერი გამიმხელია, აზრი არ ჰქონდა, რადგან თვითონაც არ ვიყავი გარკვეული საკუთარ თავში. ნორმალურად მეჩვენება, რომ ახლა ვუთხრა ეს ყველაფერი პიერს. როგორც ყოველთვის, ინტერესითა და ყურადღებით მისმენს.

„შენ უნდა გეამაყებოდეს, რომ ასეთი რამ შემოგთავაზა ასეთმა ადამიანმა?“ – მეუბნება ჩვეული გულკეთილობით, რადგან არცერთი წუთით არ ფიქრობს, თავად რა მდგომარეობაში აღმოჩნდება, თუ მას მივატოვებ. „რა გადაწყვიტე?“. არ ვიცი, და ესაა ჩემი პრობლემა.

სამშაბათი, 12 იანვარი

ვსაუზმობ სამუელ ბლუმენფილდთან ერთად. ორივეს გვიყვარს 70-იანი წლების ამერიკული კინო. სამუელი არის კრიტიკოსი, მას ვერანაირი დოქტრინული იძულება ვერ აგდებს უხერხულ მდგომარეობაში, ზოგჯერ დაუნდობელი მოსაუბრეა, პოლიტიკურ ცხოვრებას ირონიულად აკვირდება, რეგულარულად წერს მშვენიერ რეპორტაჟებს ყოველკვირეული „ლე მონდისთვის“. ის მალე გამოაქვეყნებს ჩვენს გამომცემლობაში („ლუმიერ/აქტ სუდი“, რისიენთან ინტერვიუების წიგნს. „პიერმა იმდენი გააკეთა ჟურნალისტებისთვის, რომ სავსებით ბუნებრივია, ერთ-ერთმა მათგანმა წიგნი მიუძღვნას“. „მისტერ ყველგანმყოფი“ სექტემბერში გამოვა. კლინტ ისტვუდმა შესავალი დაწერა, ხოლო ბერტრან ტავერნიემ ბოლოსიტყვაობა. ამ ორ კაცს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პიერის ცხოვრებაში.

ვბრუნდები ჩვენებაზე. არაფერი სენსაციური, როგორც ამბობდნენ 60-იან წლებში. დღესასწაულის დღეებში ვნახეთ ფილიპინელი ლავ დიასის ფილმი. ამ რეჟისორის პერსონალური შემოქმედება ოთხ და მეტსაათიან ფილმებს მოიცავს. ასეთია, მაგალითად, ფილმი „Mula sa kung ano ang noon“, გრძელდება 5 სთ და 38 წთ, ხოლო ბოლო ფილმი „ძილისპირული მტკივნეული საიდუმლოსთვის“ – დაახლოებით 8 საათს (მისი რეკორდია სამი 9-საათიანი ფილმი, რომელთაგან „ერთი ფილიპინური ოჯახის ევოლუცია“ ძველმა კრიტიკოსმა სკოტ ფაუნდასმა არაჩვეულებრივად მიიჩნია). „ძილისპირული“ ინტერნეტით ჩამოგვივიდა და კომპიუტერის ეკრანი კარგად ვერ წარმოაჩენს მის ვერც ვიზუალურ მხარეს და ვერც ნარატივს: არაჩვეულებრივად გადაღებულ სცენებს, ფილიპინელი ხალხის იდუმალ ისტორიას. ეს ყველაფერი შავ-

-თეთრადაა მოცემული, რაც ტრაგიკულ და ბნელ ამბებს ესადაგება. აქ არის ფიქსირებული პლანების ერთობლიობა, რომლის შექმნის ინტიმური საიდუმლო ლუმიერის ხედებს გვახსენებს. მიუხედავად ნიჭიერი რეჟისურისა, ძნელია, ფილმი საკონკურსოდ გავუშვათ. „ნორტე, ისტორიის დასასრული", რომელიც 2013-ში „განსხვავებულ ხედვაში" ვაჩვენეთ, 4 სთ და 10 წთ გრძელდება. ამ ფილმმა ენთუზიაზმი მოგვგვარა და დიასსაც მეტი ცნობადობა შესძინა. ძნელია ფილმი მაღალ საფეხურზე ავწიოთ, რადგან ჯერ მხოლოდ იანვარია და არ ვიცით ოფიციალური კონკურსის საბოლოო ბალანსი. ჩვენ ამ ფილმს ვუშვებთ ბერლინალეზე დიტერ კოსლიკთან. ლავ დიასი პროდუქტიული ავტორია, ჩვენ მას კიდევ შევხვდებით.

ოთხშაბათი, 13 იანვარი

გავუყევი სენის სანაპიროს. მდინარეს ზღვის შუქი ჰქონდა. პიერ ლესკური, სამუელ ფორი და მე ერთად „კმ" ჯგუფს ვხვდებით, რომელიც, როგორც ყოველთვის, გახსნისა და დახურვის ცერემონიალებს ამზადებს. რენო ლე ვან კიმი, რომელიც წლების განმავლობაში ამ პროექტზე მუშაობდა, სამსახურიდან წავიდა და თავიდანაა გასააზრებელი დეკორი, რეჟისურა, მუსიკალური მომენტები. საჭიროა დაინიშნოს ცერემონიის ხელმძღვანელიც. „აჯობებს კაცი იყოს", – ამბობენ ჩვენი თანამოსაუბრეები, რომლებსაც, ჩანს, რომ უკვე ნაფიქრი აქვთ ამ საკითხზე. გვარიც დაგვისახელეს – ლორან ლაფიტი, კინოსა და თეატრის მსახიობი, საყვარელი ტიპი, „კომედი ფრანსეზის" სოსიეტერი, რომელიც ბრწყინვალედ ლაპარაკობს ინგლისურად. ის ძალიან კარგია პოლ ვერჰოვენის ფილმში, რომელშიც იზაბელ იუპერის ამაღელვებელი მეზობლის როლს თამაშობს. ეს კი მათ არ იციან, რადგან ფილმი ნანახი არ აქვთ.

17 საათზე პატეს დარბაზში ვარ, შან ზელიზესთან ახლოს, ლამენეს ქუჩაზე. უჩვენებენ საფრანგეთის კინოზე ბერტრან ტავერნიეს დოკუმენტური ფილმის თითქმის დასრულებულ მონტაჟს. ხანგრძლივი

მოგზაურობა სამ საათზე მეტ ხანს გრძელდება, მაგრამ მოჯადოებას ჰგავს. აქ არიან პიერ რისიენი, ფრედერიკ ბურბულონი – ბერტრანის პროდიუსერი; ჩვენებას ესწრებიან ასევე ჟან ოლე ლაპრუნი, სტეფან ლერუჟი და ემანუელ სტერპენი, რომლებმაც ფილმზე იმუშავეს. აქვე არიან კოპროდიუსერები: რომენ ლე გრანი „პატედან“ და ჟერომ სულე „გომონიდან“. შედეგი უმაღლესია, ბერტრანი გვთავაზობს ხსოვნას, მემკვიდრეობასა და ისტორიას უაღრესად მშვიდად, გულუხვად და თითქმის მხიარულად. საქმის მხიარულად შეძლება – უნაკლო ერუდიციისა და არჩევანის მქონე ადამიანისთვის სწორედ ის არის, რომ თავს უყრის მოსალოდნელსა და მოულოდნელს, სადაც აუტსაიდერებს (ედმონ ტ. გრევილი, ჟან საშა, ედი კონსტანტინი) ისე ექცევიან, როგორც დიდ პერსონაჟებს (ბეკერს, გაბენს, პრევერს, რენუარს და ა.შ.). პირადი მიდგომა უნივერსალურობისკენ იხრება და პედაგოგიურ აზრს იძენს: საკმარისია გიყვარდეს და გინდოდეს გასცე, რომ შეძლო გადაცემა. ბერტრანი ქმნის კინოს კინოს საშუალებით, როგორც მწერლები ქმნიან ლიტერატურას ლიტერატურის მეშვეობით, როცა ლიტერატურის ისტორიას წერენ. ცოტა მონტაჟის ჭუჭყი მოშორდება, ტექნიკური პროცესები მოგვარდება, ჟღერადობა ჰარმონიიული გახდება, ბრუნე კულე მუსიკალურად დახვეწს, რაღაც ნაწყვეტებზე მოილაპარაკებენ და უმაღლესი ფილმი გამოვა.

ბერტრან ტავერნიე დე მონშა ლამაზ საჩუქარს უმზადებს ლიონელებს, შამბოვეს ქუჩიდან დაწყებული, თეთრი საბძლის მხრიდან, სადაც თვითონ გაიზარდა, დამთავრებული პირველი ფილმის ქუჩით, სადაც ჩვენ ორივეს ხშირად გვხედავენ. დიდი ხანია, რაც აქ ერთმანეთს კინოზე ვესაუბრებით.

ორი რიგით მაღლა ზის ფრედერიკ ბურბულონი, რომლის მზერასაც ვგრძნობ. ნებისმიერი სელექციონერი მსოფლიოში ასეთ ნამუშევარს ხელიდან არ გაუშვებდა, მაგრამ მე მოსაწყენი თვითანალიზი მიპყრობს, მეშინია, მიკერძოებულობაში არ ჩამომართვან ფილმის არჩევა, რადგან საქმე ეხება ჩემთვის ძვირფას კინორეჟისორს, ლუმიერის

ინსტიტუტის პრეზიდენტს, რომელსაც ბევრს ვუმადლი და, ამავე დროს, ეს ადამიანი ჩემი ახლო მეგობარია. დისკუსიები გადავდე, კანზე სიტყვაც არ დამცდენია, ბერტრანისკენ გავიქეცი და გადავეხვიე.

ხუთშაბათი, 14 იანვარი

„წელს შვიდ ფილმს გაჩვენებ!“ – მეუბნება რიხიანად პაოლო ბრანკო, დამოუკიდებელ პროდიუსერთა მეფე, პროფესიაში ყველაზე დიდი მეკობრე, მსოფლიო ჩემპიონი გამძლეობაში, პარიზში პორტუგალიელი, ლისაბონში პარიზელი, კაცი, რომელიც ყველგან კარგად არის. ხშირად ვეკამათები, რადგან არასოდეს მასვენებს, უნდა მისი ფილმები ავირჩიო. ამბობს, რომ სამასამდე ფილმი აქვს შეგროვებული, რაც სიმართლე უნდა იყოს. მისგან პატარა სხივი მოდის, რაც არ უნდა დაფარული იყოს ბოროტი ქმედებებითა და კომერციული მოგზაურის ტყუილებით, ეს არის კინოს დიდი სიყვარული. ოლივეირას, მონტეიროსა და რუისის დიდ ფილმები მისი პროდიუსერობითაა გამოსული. როცა ჰგონიათ, რომ მოკვდა, ის დაუყოვნებლივ ცოცხლდება. როცა ჰგონიათ, რომ საქმეებს ჩამოშორდა და მისი კავალერის ტიტული საფრთხეშია, უცებ გამოჩნდება ხოლმე, როგორც ამ დილით, და ყოველთვის მზადაა საბრძოლველად. ყავაზე ვპატიჟებ, საუბარში მანოელ დე ოლივეირას ვიხსენებთ: „ყველაფერი სხვანაირად მოხდა. „ფრანსისკა“ მნიშვნელოვანი ფილმია და ყველას ეგონა, რომ ამიტომ გახდა წარმატებული. სულაც არა. პირველ კვირას 800-ჯერ უჩვენეს, მაგრამ ეს არ გახმაურებულა, ჟურნალები ბოქს-ოფისის შედეგებზე არაფერს წერდნენ. მერე ტრიუფომ ნახა ფილმი დარბაზში და დაწერა სტატია, რომლითაც თავის აღფრთოვანება გამოხატა. ეს უკვე საკმარისი აღმოჩნდა წარმატებისთვის“. ვაცლი ლაპარაკს მსუნაგ პაულოს, რომელიც დეტალურად მაცნობს ფილმების ჩამონათვალს, რაც თავისუფლად შეავსებდა ლათინური უბნის ორთვიან ზამთრის პროგრამას. ვუსმენ მას და პირდაპირ თვალებში ვუყურებ, რადგან მინდა გავარკვიო, მის მონაყოლში რა არის მართალი და რა ტყუილი,

რა რეალური და რა ნაოცნებარი. „დიდ იმედებს ვამყარებ გრეგუარ ლეპრენს რენგეს პირველ ფილმზე. გაუშვი, რა, გეთაყვა, ცოტა იცუროს ფრანგული ფილმების ოკეანეში, რომელიც შენ უნდა ნახო“.

ლორანს შურლოს ვხვდები. მისი ფუნქცია მზარდია კანში არტისტებისა და სტუმრების მიღების ორგანიზებაში. ლორანსი ეფექტიანად მუშაობს, მისი სტილი მოგვწონს, ის ნახევრად ოჯახის ქალია, ნახევრად მოდური ამორძალი, თან ჩრდილში დგას, თან პასიონარიას როლი აქვს ლტოლვილთა საკითხში. ეს ქალბატონი ძალიან გვჭირდება. მარტინ ოფრუამ, რომელიც მასთან ერთად მოწინავე ადგილს იკავებდა პროტოკოლში, ერთხელ მითხრა: „ეს საყვარელი ქალი კარგი ვინმეა“. ეს ბევრს ნიშნავდა და ღირდა მისი აყვანა. ლორანსს და მე უნდა გვემუშავა და სხვათა შორის ვუთხარი, რომ „პატეში“ გადავდიოდი სამუშაოდ. იმან, რაც ლორანსმა გამანდო, შემარყია. „ოცი წელია ფესტივალზე ვარ. ბრუნო ბარდის დროს სტაჟიორი ვიყავი. ვიცი, ახლა რასაც აკეთებენ. ახლა შენი წასვლა არ შეიძლება“. ნივთის ფასს მაშინ იგებ, როცა ის ხელიდან გისხლტებაო, განაგრძო მან. ზუსტი სიტყვები მოძებნა, რომ ეთქვა რა იქნებოდა კანის მომავალი.

პარასკევი, 15 იანვარი

ამ წამს ვუმეორებ ჩემს თავს: ცოტა ფილმი გვაქვს, როგორც თვისებრივად, ისე რაოდენობრივად. მალე გაიხსნება წლის დასაწყისის ფესტივალები: სანდენსი, მთის კალთაზე, იუტის შტატის პარკ სიტიში, მომავალ ხუთშაბათს იწყება. იქ ძირითადად წარმოდგენილი იქნება დამოუკიდებელი ამერიკული ნამუშევრები. მათ შორის ყველაზე კარგზე, სტუდიები ეცდებიან მოახერხონ თავიანთი სახელის მიწერა. მერე იქნება როტერდამის ფესტივალი, ერთი კვირის შემდეგ. ეს არის საერთაშორისო ფესტივალი, სადაც ასობით ფილმია წარმოდგენილი ალტერნატიული ხელოვნების მოყვარულთათვის, საავტორი და სადებიუტო ფილმებით დაინტერესებულთათვის. მექსიკელი რეიგარდასი იქ აღმოაჩინეს ფილმით „იაპონია“. კულმინაციაა ბერლინალე. ამ

ყველაფრის შუაში იმართება „ოქროს გლობუსი“ (ლოს-ანჯელესში), „ბაფტა“ (ლონდონში), ცეზარები და ოსკარები, რომლებიც ამთავრებენ ცეკვას. პროდიუსერების, დისტრიბუტორებისა და გამყიდველების გონება დაკავებული იქნება ამ ფესტივალებით და ამასობაში თებერვლის ბოლოც დადგება. ეს ჩვენ მოგვცემს ამოსუნთქვის საშუალებას ჯორჯ მილერის პასუხის მოლოდინში. შეგვეძლება ვიფიქროთ ორ, „განსხვავებული ხედვისა“ და „ოქროს კამერის“ ჟიურიზე. მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა და სინეფონდაციების ჟიურიზე ჟილი იფიქრებს. მას არ უყვარს დაგვიანება და ვეჭვობ, უკვე ჰყავს გუნდი ჟიურისთვის.

კვირის ბოლოა. ტჟვ-თი ლიონში მივდივარ, მერე მანქანით – ალპდუეზში, კომედიური კინოს ფესტივალზე, რომელსაც ფრედ კასოლი და კლემან ლემუანი ხელმძღვანელობენ. ორივე კანის ფესტივალზე მუშაობს და ისინი ალპში ამ ჟანრისათვის მნიშვნელოვან კინოშეხვედრას აწყობენ. თანაც ეს ფესტივალი სიმპათიურია და შინაურული. საღამო გაიხსნება ლუმიერის რამდენიმე სასაცილო ფილმით, რომლებიც მე უნდა ვაჩვენო. ჯამელ დებუზიც იქ იქნება, მას ძალიან უნდა ლუმიერის ფილმების ნახვა. არასოდეს მინახავს, ვინმეს ამდენი ეცინოს, როგორც მას ლუმიერის ინსტიტუტში ამ ფილმების ჩვენებისას. სწრაფად მივდივარ, არ მინდა დამაგვიანდეს. გზა გრენობლი- ბურ დუაზანი-ლალპ დუეზი, რითაც სულ დავდივარ, ზეპირად ვიცი თავისი ოცდაერთი მოსახვევით, რომლებსაც კურორტზე მივყავარ. იქ, ბოლოს და ბოლოს, თოვს.

შაბათი, 16 იანვარი

ვბრუნდები ლიონში, შუნიისკენ გადავუხვიე. ზამთარმა სიჩუმეში გაახვია ეს ადგილები. ვამოწმებ საყინულეს, ღვინის სარდაფს და რამდენიმე DVD-ის თვალს ვავლებ (შესანიშნავი დასაწყისი მაიკლ პოუელის „სიკვდილ-სიცოცხლის საკითხისა“), ბეჯითად ვცდილობ რამდენიმე სტრიქონის დაწერას, მაგრამ სიცივე ხელს მიშლის, სამაგიეროდ იდეას მაძლევს – მივდივარ ტყეში და გზებზე სასეირნოდ.

წვიმა ცრის, ქარია და სახე და ფიქრები მეწმინდება. როცა ვბრუნ-დები, ავამუშაო ყველა აგრეგატი, რაც ფარდულში მაქვს: ჯიპი, სამი ელექტროხერხი, ერთი ბუჩქის ცელი, ერთი ტრაქტორი, ერთიც საკ-რეჭი. ყველაფერი მუშაობს. პატარა ცეცხლი დავანთე, შეღამებისას ლიონის გზას გავუყევი. როცა ლიონში შევედი, ჩავუარე სენ-ფონი-სა და ლა მულატიერის ქიმიურ ქარხნებს, მათი შუქი ავტობანიდანაც შეიმჩნევა. გამახსენდა, დილით რომ გამეღვიძა, მეჟისა და ეკრენების მთები დავინახე. საღამოს სახლში ვრჩებით, უკვე ვიცი, რომ ბავშვები ფილმის არჩევაზე იჩხუბებენ.

კვირა, 17 იანვარი

ჟაკ დემი ნანტელი მანქანის ხელოსნის შვილი იყო. თვითონ კინო-რეჟისორი გახდა, როგორც მისი ცოლი, ანიეს ვარდა. ამ ორმა ადა-მიანმა, უფროს ძმა რენესთან ერთად (ანიეს ვარდას პირველი ფილ-მის „მოკლე წვეტის“ მონტაჟის ავტორი), „ახალი ტალღის“ ჰუსართა მსგავსად, ფრანგული კინო სხვანაირი გახადეს. ჟაკი ახალგაზრდა მოკვდა, ანიესი, რომელმაც გააგრძელა თავისუფლებითა და სილა-მაზით, სინაზითა და სიბრაზით სავსე შემოქმედება, მეგობრებთან ერთად პატრონობს ფილმებს, რომლებიც მსოფლიო კინოს კვება-ვენ. მეუბნებიან, რომ დანიელ შაზელი „ამერიკელი დემია“. ამ ბოლო დროს, ანიესმა ესტაფეტა მატიე დემის გადასცა, რომელიც საკვირვე-ლი მსახიობია და ასევე როზალი ვარდასაც, რომელიც არის მებრძო-ლი და მომთხოვნი. როზალიმ გადაწყვიტა დემის გვარისთვის მეტი ბრწყინვალება მიენიჭებინა, რაშიც ყველა დაეხმარა: ლაბორატო-რიები, ფრანგული სინემათეკა გამოფენით, კანის ფესტივალი, რო-მელმაც გამოყო ფინანსები „შერბურის ქოლგების“ სარესტავრაციოდ, ამ იშვიათი ფრანგულ ფილმისთვის, რომელსაც „ოქროს პალმა“ ერ-გო (1964 წელს), ლუმიერის ინსტიტუტი კი დაეხმარა უცნობი შედევრის აღდგენაში, ეს არის „ოთახი ქალაქში“.

ფესტივალზე მომუშავეებს როზალი უყვართ. იგი აფრქვევს იმგვარ

უცნაურ სიკეთეს, რითაც დედამიწაზე არსებულ ყველა დაწყევლილ ადამიანს ნუგეშს სცემს. ეს მრავალწახნაგიანი ხელოვანი ყველგან პოულობს სათამაშო მოედანს აზრის გამოსათქმელად, სადაც არ უნდა იყოს. ამ დილასაც, ტელეფონით საუბრისას შევთანხმდით კანის სასახლეში ამბასადორთა სალონის ორგანიზებაზე; უკვე 2017 წლის და ფესტივალის 70-ე წლისთავის კონტურებიც მოვხაზეთ, რაზეც მე და პიერი უკვე ვიწყებთ ფიქრს.

ორშაბათი, 18 იანვარი

ტჟვ-თი პარიზისკენ მივდივარ. იქ ველოსიპედით ვივლი, რუტინაა, ოღონდ ზამთრის შესაბამისად ჩათბუნებული, შარფით და ნაქსოვი ქუდით. კრისტიანთან ერთად მომავალ ფილმებზე ვლაპარაკობთ და სიებში ვიყურებით, რომლებსაც თითქმის ყოველდღე ემატება ახალი ფილმები. ყოველთვის სასაცილოა სათაურების გროვაში ჩახედვა, რომელიც მსოფლიო კინოს უხვ რუკას წარმოადგენს, ყველა ფილმი არაჩვეულებრივი ჩანს, გამომწვევი და ჩამთრევი. მაგრამ, როცა ყურებას ვიწყებთ, მაშინ ყველაფერი ფუჭდება.

ვსაუზმობ კაფე „მაქსში“ ოდრი აზულესთან ერთად, რომელიც ფრანსუა ოლანდის მრჩეველია კულტურის დარგში. ის დიდხანს მუშაობდა ეროვნული კინოცენტრის დირექტორად. როგორც ყველას ჩვენს პროფესიაში, მეც გამიხარდა, რომ ასეთ მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა. ჩვენთვისაც კარგია და მისთვისაც. ის სასწაულებრივად გამოიყურება ამ ამპლუაში. გავიხსენეთ „პატეს“ საკითხი. ის კი მეუბნება: „თუ დარჩები კანში, ეს კარგი ამბავი იქნება ფესტივალისთვის და მე ვალდებული ვარ, გითხრა. თუ ჟერომ სედუს ჯგუფში გადახვალ, რადგან მისი წინადადება ძალიან ჭკვიანურია, ეს კარგი იქნება „პატესთვის“, ანუ ფრანგული კინოსთვის“. დისკუსია მეხმარება ფიქრში. „ცხადია, ვერ გეტყვი, რა გადაწყვიტო, ეს ისედაც მეტად რთულია გადასაწყვეტად“, – ასკვნის ოდრი. ნამდვილად ასეა.

საღამოს, ალეხანდრო გონსალეს ინიარიტუს ფილმის „უკან დაბ-

რუნებულის“ წინასაპრემიერო ჩვენებაა ლეო დიკაპრიოს მონაწილეობით, რომელსაც ამჯერად „ოსკარი“ ალბათ განაღდებული ექნება. ჟოზე კოვო, „ფოქს ფრანსის“ მეპატრონე ოსტატურად აწყობს საღამოს ჟან პიერ ვენსანის დახმარებით, რომელიც არის პრესის ატაშე და რომელსაც დიდი ამერიკელი ავტორები იზიდავს (სკორსეზე, კოენები, ტარანტინო, ჯეიმს გრეი და სხვ.). მას კარგი გემოვნება აქვს და უცხოელი კინორეჟისორები ყოველთვის ითხოვენ მათ გვერდით ამ ადამიანის ყოფნას. ჟან პიერ ვენსანმა რომ მოინდომოს და მოყვეს ყველაფერი, რაც ოცდაათი წლის განმავლობაში ნახა, მდიდარი, შინაარსიანი მემუარები გამოუვიდოდა. სადილზე ალეხანდროს ვხვდები, რომელიც ბედნიერია პარიზული შესვენებით – მსოფლიოში მოგზაურობს, ძალიან მოსწონს, მაგრამ ქანცსაც აცლის.

მისი ფილმი სანახაობრივია, გიჟური ამბიცია აქვს, ფორმალურად წარმატებულია, მაგრამ სიღრმისეულად სევდიანი. „უკან დაბრუნებული“ ჰოლივუდური კინოსადმი აღტაცებას მგვრის, რადგან შეუძლია ამ მასშტაბის ფილმების შექმნა. აღტაცებული ვარ ალეხანდროთიც, რომელიც დიდი ხანია ამ პროექტზე მელაპარაკებოდა. ამერიკული ბოქს-ოფისისთვის გამაოგნებელი დასაწყისია. ეს საავტორო ფილმისთვის იქნებოდა საკმარისი... 135 მილიონი დოლარი. ვინ თქვა, რომ ამერიკელებს მხოლოდ ბლოკბასტერები უყვართ? „უკან დაბრუნებულმა“ უკვე მოხვეტა რამდენიმე ოქროს გლობუსი და აკადემიის ბუკმეკერებთან (ასე უწოდებენ ოსკარებს აშშ.-ში) მისმა ფასმა მაღალ ნიშნულზე აიწია. ალეხანდროს ჯერ ყველა არ იცნობს მსოფლიოში, მაგრამ მას პატივს სცემენ. მან დააჯერა კრიტიკა თავისი „ადამიანი ჩიტით“ და ორი „ოსკარი“ აიღო. ამ ავტორის ნამუშევრები, მისი პირველი ფილმები მაყურებელს უყვარდა, ხოლო „გიყვარდეს ძაღლებმა“ მისი ღირსებები კიდევ უფრო წარმოაჩინა. მისი ბოლო წარმატება გვირგვინია მექსიკელთა თაობისა, რომელზეც მე უკვე დავწერე. კინორეჟისორის მიერ გამოწვეული ემოცია ადამიანურ სიმაღლეზეა. ვალტერ სალესმა ერთმანეთი ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ

რესტორანში გაგვაცნო. ეს კაცი კინოში მოღვაწე ლათინოსების უფროს ძმასავითაა. ინიარიტუ ორჯერ მონაწილეობდა კონკურსში ფილმებით „ბაბილონი“ და „ლამაზი“. მე წელსაც ვეპატიჟები ფესტივალზე, რადგან სასიამოვნოა მასთან ერთად ყოფნა. ის მპასუხობს, რომ ამ წამს იმყოფება გრძელ გვირაბში სხვადასხვა კამპანიის გამო (მედია, ლობი, კოქტეილი, ფართი და სხვ.), რომლებიც ალბათ უმაღლეს ჯილდოებამდე მიიყვანს. ჯერ მაისის თვეზე ფიქრიც კი არ შეუძლია. მაისში კინო, წითელი ხალიჩა და პრესა შეიძლება აღარც უნდოდეს, ზედიზედ ორი ფილმის გადაღებისა და ოთხი წელი მუხლჩაუხრელი მუშობის შემდეგ. ამ დროს, მეორე ალეხანდროს, ალეხანდრო რამირესს, დიდხანს ველაპარაკები ჩვენს საერთო პროექტზე – გვინდა მეხიკოში გავხსნათ ხელოვნების ექსპერიმენტული კინო, რომელსაც შეეძლება მიიღოს ფილმები და ავტორები მთელი მსოფლიოდან. ერთმანეთს ვემშვიდობებით ბოლო ჭიქა ბორდოს შემდეგ. ალეხანდრო გიჟდება ფრანგულ ღვინოზე.

სამშაბათი, 19 იანვარი

ფესტივალის ადმინისტრაციის საბჭო გვაქვს კინოს ეროვნული ცენტრის რეზიდენციაში, ლუბეკის ქუჩაზე. ჩვეულებრივ, ამ დროს უკვე გვყავს ხოლმე ჟიურის თავმჯდომარე და გვაქვს აფიშა. ჟილ ჟაკობი ესწრება საბჭოს, ის კარგ ფორმაშია. როცა თანამდებობიდან წავიდა, ფესტივალის საპატიო პრეზიდენტი გახდა და ისევ არის სინეფონდაციის პრეზიდენტი. იგი ავსებს ფესტივალს მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსითა და „short film corner“-ით, რაც ფესტივალის მხრიდან ერთგვარი ჟესტია ახალგაზრდული კინოს მიმართ. სინეფონდაცია მასპინძლობს სასკოლო ფილმების ფესტივალს, კოპროდუქციის სახელოსნოს ფესტივალის განმავლობაში და ხელოვანთა რეზიდენციას პარიზში. უამრავმა ხელოვანმა გაიარა ამ გზით, სანამ ოფიციალურ კონკურსში მოხვდებოდა. ეს არის ერთადერთი ჟიური, რომელიც მოიცავს სინეფონდაციას და მოკლემეტრაჟიან ფილმებს, ხოლო

ჟილს ევალება ამ ჟიურის შედგენა. გუშინ, ნაშუადღევის ბოლოს, მან გამოგვიცხადა, რომ ამ ჟიურის თავმჯდომარე იქნებოდა იაპონელი კინორეჟისორი ნაომი კავასე. მოკლედ, გადასაწყვეტი გვაქვს ჟიურის საკითხი ოფიციალური კონკურსისთვის, „განსხვავებული ხედვისთვის“ და „ოქროს კამერისთვის“. მთლიანად, ოთხი ჟიური და ოთხი თავმჯდომარე გვჭირდება.

ნაშუადღევს, ქსავიე დოლანს ვხვდები, რომელსაც თვითონ მოაქვს თავისი ფილმის ციფრული ვერსია. „ჯერ ბოლომდე დამთავრებული არ არის. უკვე ვბრუნდები მონრეალში. ხომ დამირეკავ, როცა ფილმს ნახავ?“

ჟურნალისტ ვანესა შნაიდერთან ერთად ვისადილე, მას სურს წინასწარ მოიფიქროს რეპორტაჟების ფორმა კანის ფესტივალიდან გაზეთ „მონდის ყოველკვირეული დამატებისთვის. მასვე აინტერესებს კარაოკეს გამართვა მოკრივე ძმების ლუი და მიშელ აკარიესებისთვის, რომლებიც ძალიან მიყვარს. სადილის შემდეგ ეტორე სკოლას გარდაცვალების შესახებ ვიგებთ. ჩემი მობილური გადაბმულად რეკავს. ხშირად მეძახიან ხოლმე ტელევიზიებსა და რადიოებში ჩვენს გარდაცვლილებზე სალაპარაკოდ, მაგრამ უარს ვამბობ – სულაც არ მინდა მსოფლიო კინოს მენეკროლოგედ ვიქცე, თუმცა გამონაკლისიც არსებობს მათთვის, ვისაც მართლა ვიცნობდი, და ასეთია ეტორე სკოლა. მე ხელოვანსა და ადამიანს ერთმანეთისგან ვერ ვყოფ. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო მისი, როგორც სცენარისტის ბრწყინვალე კარიერა, რაც შემდეგ რეჟისორის დიდმა აღიარებამ მთლიანად გადაფარა, მისი ესთეტიკა და ჰუმანისტური პროექტის ნაზავი, რითაც მისი ფილმები გვეხმარება მსოფლაღქმის სრულყოფაში. 1977 წელს, მისმა „განსაკუთრებულმა დღემ“ კინაღამ „ოქროს პალმა“ მოიპოვა. კანის ლეგენდის მიხედვით, რობერტ ფავრ ლე ბრეტი მისი გულმხურვალე მომხრე იყო, მაგრამ რობერტო როსელინიმ და მისმა ჟიურიმ სხვანაირი გადაწყვეტილება მიიღეს (მისი სახელი წარმოითქმის ბოლო „ე“-ზე მახვილით, ზემოხსენებულმა ფავრ ლე ბრეტმა მას სცე-

ნაზე მოუხმო, როგორც „ეტეროს“. რისიენმა ამაზე ბევრი იცინა, როცა ანეკდოტი გაიხსენა). ეტორე სკოლა კი იმან ანუგეშა, რომ მისმა ფილმმა, რომელიც ახლახან აღადგინეს, დროს გაუძლო, ყველაზე დიდ მსაჯულს.

ოთხშაბათი, 20 იანვარი

კაფე „მაქსში“ ედუარ ვენტროპთან ერთად ვსაუზმობ. სამი წელია, რაც ის რეჟისორთა „კენზენის“ მეპატრონეა. ადრე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, მერე სულ ვწუწუნებდით, რომ ამას ვერ ვახერხებდით. ამიტომაც დამირეკა, რომ სიჩუმისთვის ბოლო მოეღო. როცა ის „ლიბერასიონის“ ჟურნალისტი იყო, ედუარი გულთბილად აღწერდა ჩემს პირველ ნაბიჯებს ინსტიტუტში, ლამაზ სტატიებს წერდა, როცა ჯოზეფ მანკიევიჩს, ანდრე დე ტოტის და სტენლი დონენს ვეპატიჟებოდით. ჩვენი გზები არასოდეს გაყრილა. ის დიდი კინომოყვარული და ისტორიკოსია, შეუძლია ესპანეთის ომზე დაწვრილებით ილაპარაკოს, და არა მარტო ამაზე. კაპრასა და ლუბიჩზეც არ გაუჭირდება რამის თქმა. მერე, მან მიატოვა ჟურნალისტიკა და ფრიბურის ფესტივალის ლამაზ დღეებს აწყობდა, ამიერიდან კი კენზენის ფესტივალს წარმართავს. კაპიტანივით მართავს, რომელიც აფრებს ასწორებს, რომ უკეთესი გზით იაროს ქარიშხლიან გზებზე. 2015 წელს მშვენიერი სელექცია მოახდინა, მაგრამ თქვა, რომ მაინც ვერ მოიხადა ვალი ახალგაზრდული კინოს წინაშე, თუმცა მიწვეული ჰყავდა ცნობილი, მაგრამ ჩვენგან მიტოვებული რეჟისორები. მგონი, მისი როლია იყოს სხვების საყრდენი. მახსენებს, როგორ არ ავირჩიეთ პაბლო ლარენის „არა“ მისი მუშაობის პირველ წელს. „როცა გავიგე, რომ ეს ფილმი შეიძლებოდა გვქონოდა, აღარ მეძინა, სულ ვიმეორებდი: „ტიერი ნახავს და წამართმევს“. ჩემი კანში ჩამოსვლის დღიდან, არასოდეს მიფიქრია, რომ კანის ფესტივალი სუსტდებოდა პარალელური სექციების გაძლიერებით. – სხვანაირად უვიც დამკვირვებლებს ჰგონიათ. „ზუსტად, მეუბნება ედუარდი, არასოდეს ვმუშაობთ თქვენ წინააღ-

მდეგ, სულ მინდოდა შენთვის მეთქვა. გვინდა, რომ ოფიციალური კონკურსი ძლიერი იყოს, ჩვენც ხომ კანის ფესტივალს ვეკუთვნით?“ მან ვერ დააფასა ზოგიერთი პოლემიკა, ნუთუ ამ ტემპერამენტიან ადამიანს ეყოფა პატიოსნება, აღიაროს თავისი ზოგიერთი რეაქცია და ის საზიზღარი როლიც, რასაც სისტემატურად აკუთვნებდნენ კანის ფესტივალს. მართალია, ჩვენ ცუდადაც გვეპყრობოდნენ და პარალელურ სექციებს უკეთესად მოიხსენიებდნენ. ხშირად გვეუბნებიან: „ისედაც ყველაზე მაგრები ხართ, დაფნის გვირგვინები რაღად გინდათ?“ დიახ, გვინდა. ვიცით, რომ ისეთი ეპოქაა, როცა სიდიადე არ ხიბლავთ, მეტადრე, თუ ის დამძიმებულია სხვებზე ბატონობით, მაგრამ ჩვენი იმიჯი ჩვენზე არ არის დამოკიდებული, მას პრესა ქმნის. გული მიჩუყდება ედუარდის დამოკიდებულებაზე, რომელიც უარს არ ამბობს თავისი სფეროს პატრონობაზე, მაგრამ სულაც არ უნდა, რომ ჩვენი მეგობრობა ხელოვნური მეტოქეობით დაზარალდეს. საუზმე სასიამოვნოა, ზოგჯერ ვალდო ჩაგვეჭრება ხოლმე, აქაურობის მეპატრონე. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ახლობელს შევხვდი და საკუთარ თავს ვსაყვედურობ, რომ ამის ინიციატორი მე არ ვარ. ალბათ გულში მქონდა ჩარჩენილი, გასული წლის ფესტივალიდან მისი წილი შეურაცხყოფა. დამშვიდობებისას ერთმანეთს გადავეხვიეთ. ვიცით, რომ მომდევნო სამი თვე ფილმებზე ვიჩხუბებთ, ედუარდი ჩაუსაფრდება ჩემს შეცდომებს, მე კი არანაირ საჩუქარს არ მივართმევ, მაგრამ ორივეს გვეცოდინება, რომ ამ ყველაფერს მნიშვნელობა არ აქვს, თუ საქმე ეხება იმას, რასაც გულმხურვალედ ვიცავთ.

ხუთშაბათი, 21 იანვარი

ამ დილას ჯორჯ მილერისგან მესიჯი მივიღე. გვწერს, რომ ყველაფერი წაშალა თავის გრაფიკში და თანახმაა ჟიურის თავმჯდომარე იყოს. ეს კარგი ამბავი პიერ ლესკურს და სხვა კოლეგებს გადავეცი. ეს უკანასკნელნი აზრზე არ იყვნენ, რა ხდებოდა, რადგან კანის პრინციპი გულისხმობს საიდუმლოს შენახვას თვით ადმინისტრაციაშიც.

ყველას რეაქცია დადებითია და ჩვენი არჩევანით კმაყოფილი ვარ. ჯორჯი გვპირდება ორიდ სიტყვის თქმას პრესის კომუნიკესთვის. ამის გამოსაცხადებლად იანვრის ბოლომდე გვაქვს დრო, უხეშად თუ ვიტყვით, ჟიურის შესადგენად კიდევ ორი თვე დაგვრჩა.

საღამოს, ლუმიერის ინსტიტუტში სპორტის, ლიტერატურისა და კინოს მესამე გამოშვებას ვხსნი, რაც არ უნდა მოხდეს. კინომ სხვადასხვა პერიოდი გამოიარა: ილუზიონიზმის, ცირკის, ლიტერატურული ფელეტონის, თეატრის, ჯაზის და როკის. ახლა სპორტის პერიოდი უდგას. მე მაქვს შანსი, ამ მხრივ ბერტრანს ვაჯობო, რომელიც მოსიარულე ენციკლოპედიაა, მაგრამ... მაინც ადვილად დავამარცხე, 1973 წლის „აიაქსის“ შემადგენლობა არ იცოდა. რემონ პოლიდორი მოვიწვიეთ საპატიო სტუმრად. მისდამი მიძღვნილ პატრიკ ჟედის დოკუმენტურ ფილმსაც ვაჩვენებთ. დარბაზი სავსე და სცენაზე, სადაც ყველაზე ხშირად ხელოვანი ხალხი ადის ხოლმე, იმყოფება თითქმის 80 წელს მიღწეული ჩემპიონი, რომელსაც ლაღად უჭირავს თავი და იუმორით გვიყვება, როგორ უწოდებდნენ მას „მარადიულ მეორეს“, თუმცა მრავალი რბოლა ჰქონდა მოგებული.

პარასკევი, 22 იანვარი

2016-ის სპორტის, ლიტერატურის, კინოს დღეები გრძელდება. კოლოკვიუმის დღეა. იმართება დებატები სპორტზე, ლიტერატურაზე, ტელევიზიაზე, ფოტოგრაფიასა და კინოზე. ვარიაცია სოციალურ საქმიანობასა (სპორტი) და ხელოვნების სამ დისციპლინას შორის, გააჩინა ბინძურმა იდეამ, რომელიც გულისხმობს სპორტის შეყვანას კულტურაში. ძველად სრულ ჯადოქრობასთან გვქონდა საქმე, როდესაც ინტელექტუალები სპორტს ხალხის ოპიუმად მიიჩნევდნენ. 60-იან და 70-იან წლებში, როცა მსოფლიო ასეთი კორუმპირებული არ იყო, დაიბადა იდეა, რომლის თანახმადაც, სპორტის მოყვარულები საეჭვოდ უხეში ხალხია. ამ იდეასთან დაპირისპირება ყოველთვის სახალისოა, რადგან სპორტში არის ხელოვნება და შეიძლება

ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოებებიც შეიქმნას. ამისთვის შორს წასვლა ნამდვილად არ დაგვჭირდება. პოეტური შემადგენელი სპორტშიც არის. თანამედროვე სპორტი და კინო ჩვენზე ამბობენ, ვინ ვართ. ისინი ერთდროულად დაიბადნენ, ორივე პოპულარულია, ორივე ქმნის ოცნებასა და დრამას და ორივეგან დომინირებს ფული. მაგრამ „ტურ დე ფრანსშიც“ და კანის ფესტივალზეც ჩნდებიან დიდი ოსტატები, ხელოსნები, მოძრავი ვარსკვლავები, მივიწყებული ხალხი, იმედისმომცემი ახალგაზრდები... ჩნდება ყალბი ფასეულობებიც არისტოკრატიულ იერარქიაში, რომელიც ყველას მიერაა აღიარებული. ორივეგან ხდება სასწაულები. აუტსაიდერის გამარჯვება „პარი რუბეში“ ისეთივე ლეგენდაა, როგორც „ადელის ცხოვრებისთვის“ „ოქროს პალმის“ მინიჭება. ამ საღამოს, გუშინდელი პულიდორის შემდეგ (სხვა წლებში კი გვყავდა ედი მერკსი და ერიკ კანტონა 2014-ში, ჟან კლოდ კილი და ჰუგ ჰუდსონი 2015-ში), ჟერომ ლაპერუზასის ფილმის „Continental Circus”-ის ჩვენების შემდეგ, გვეყოლება მოტორბოლის იმპერატორი ჯაკომო აგოსტინი, რომელიც დღეს დაუმსახურებლად მივიწყებულია. ეს ადამიანი დარბაზს აჯადოებს თავისი ლეგენდითა და შარმით: „ყოველ უიკენდზე მოტორბოლებს ვაწყობდით და ვიცოდით, რომ ჩვენგან რომელიღაც მოკვდებოდა“. ხვალ იქნება ლუი აკარიესი, რომელიც წარმოგვიდგენს „ჯენტლმენ ჯიმს“, ჟერარ ულიე კი ფილმს „The damned United”, გაიმართება აგრეთვე წინასაპრემიერო ჩვენება შესანიშნავი დოკუმენტური ფილმისა „Free to Run”, რომელიც პიერ მორამ გადაიღო. გვეყოლება აგრეთვე ანტუან ბაეკიც, რომელიც ისტორიკოსიდან მოჯოგინგე სპორტსმენად იქცა. დღეები დამთავრდება ტიერი რეისთან შეხვედრით, რომელიც პირველი ფრანგი ჩემპიონია ძიუდოში. და გავუშვებთ აკირა კუროსავას პირველ ფილმს „დიდი ძიუდოს ლეგენდა“, რომელიც 35-მილიმეტრიან ფირზეა აღბეჭდილი.

შაბათი, 23 იანვარი

გამოვიდა დავიდ პაბლოს ფილმი „ლას ელეხიდას“. ჟურნალ „ინროკიდან“ ერთი ტიპი ფილმის შესახებ წერს, „საზიზღარი მექსიკური კინოო“. უაზრო კრიტიკით და ჩვენს თანამედროვეებში სხვის მიმართ ზიზღის ჩანერგვით, ეს ოდესღაც არაჩვეულებრივი ჟურნალი, ეტყობა, აზრზე არ არის, რას აკეთებს.

ძველად სპორტი სულ მიჩუმათებული იყო. მოგვიანებით კარგ ტონად მიიჩნიეს სპორტის ზოგიერთ სახეობაზე, მაგალითად ჩოგბურთზე ლაპარაკი. გოდარმა და დანემ შეძლეს კინოკრიტიკოსების აყოლიება, ბიორგის და მაკინროის თამაშებზე მათი სიარულის უზრუნველყოფა. კრიტიკოსებს, როგორც ჩანს, სპორტშიც სჭირდებათ დიდი მოაზროვნეები, რომლებსაც მიბაძავენ. ეს ყველაფერი შორიდან მოდის. კამიუს უყვარდა ფეხბურთი. სარტრი კი მაგალითი იყო ინტელექტუალისა, რომლისთვისაც უცხო იყო სხეულის ფიზიკური ვარჯიში, მაგრამ მისი ბრძანებითი ტონი ასუსტებდა კამიუს ხმას. დღეს, აღიარებულია, რომ ბევრი სპორტული ჟურნალისტი კვალიფიციურად წერს. ჟურნალი „ეკიპი“ პირველად თორმეტი წლისამ ვიყიდე, როცა ედი მერკსი ჩავარდა პარიზი-ნიცის მონაკვეთზე, სენტ-ეტიენთან. მიყვარს სპორტსმენების კომპანია, ბენუა ჰაიმერმანის, ვენსან დულუკის და ფილიპ ბრუნელის, რომლებიც ყოველ წელს მოდიან ჩვენს ფესტივალზე. აქვე ახლოს არის დიდიე რუსტანიც, რომელიც უკვე ოცდაათი წელია, სრულიად განსხვავებულად ლაპარაკობს ფეხბურთზე ტელევიზიით,

კვირა, 24 იანვარი

შეხვედრების ლამაზად დამთავრების მიზნით, ბევრნი მივდივართ ლუმიერების სახელობის სტადიონზე ორი „ოლიმპიკის“, ლიონისა და მარსელის, მატჩზე დასასწრებად. აქ არის ჯამელ დებუზი თავის ვაჟთან ერთად, ჩემი თანამშრომლები, მაელ არნო ძმასთან ერთად, ფაბრის კალცეტონი ოჯახთან ერთად, ჩემი ძმისშვილები, უამრავი

მეგობარი... თითქმის ყველგან არიან ამ ახალ სტადიონზე, რომელიც მათ სიბრაზისგან აღრიალებდა, მაგრამ რომლის ერთგულებიც უკვე გახდნენ, როგორც ჟერლანის სტადიონს ერთგულებდნენ ათწლეულების მანძილზე.

„პატე“ მიღრღნის ტვინს. ამ უიკენდმა ენერგია მომცა. ადრე, ევროპული სინემათეკების მეპატრონეები არსად მიდიოდნენ: ფრედი ბუაში (ლოზანა), ენო პატალას (მიუნხენი), ფრედ ჯანკი (ლუქსემბურგი), ისინი ყოველთვის ადგილზე არიან, საქმეში თავჩარგულები. აჩვენებენ გადარჩენილ ფილმებს, არაჩვეულებრივი ასლებით, რომლებიც ზეპირად იციან, როგორც ანრი ლანგლუამ, ან ჟაკ ლედუმ ბრიუსელში, რომელთაც არ ვიცნობ. ისინი მთელი ცხოვრება ერთ ადგილზე რჩებიან, როგორც გლეხები და რესტორნების მეპატრონეები. ასაკით ჩემზე უფროსების მაგალითმა შთაგონება მომცა. ჩემა პრადო, რომელიც „ლა ფილმოთეკა ესპანიოლას“ ხელმძღვანელობდა მადრიდში დემოკრატიის მობრუნების შემდეგ, აღარ მუშაობს და უკვე მე ვიქნები სინემათეკის ყველაზე ძველი ხელმძღვანელი (მუშაობა ძალზე ახალგაზრდამ დავიწყე). უზომოდ კმაყოფილი ვიქნებოდი მხოლოდ ამ ფუნქციის შესრულებითაც, რომ ჟილს არ მოენდომებინა ჩემი იქ დანიშვნა, სადაც ვარ. მე უკვე ვთქვი, კანის ფესტივალი შეუცვლელია ჩემთვის. ეს ორი პროფესია ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთს კვებავს. მე ვარ პარიზშიც, ლა კრუაზეტზეც, პირველი ფილმის ქუჩაზეც: ვხელმძღვანელობ გუნდს, წარვადგენ ფილმებს, ვმასპინძლობ მაყურებლებს, ვუვლი კინოს მარადიულ ისტორიას. ერთხელ, ბერნარ შარდერმა მითხრა, რომ ამისთვის ვიყავი გაჩენილი. როგორც სანდრარი ამბობდა, „უძღები შვილი ვარ“.

ორშაბათი, 25 იანვარი

ტჟვ ოცდახუთი წუთით აგვიანებს, როგორც გვამცნობს სამხრეთული აქცენტით კაცის ხმა. ეს უეცარი საჩუქარია ჩემთვის. მეტხანს ვიჯდები N2 ვაგონში, წავიკითხავ, დავწერ, მოვუსმენ „ჩემს საფრან-

გეთს“ და ჟან ფერას სხვა სიმღერებსაც. „ჩემი საფრანგეთი, ჩემი, რომელსაც თეთრად გათენებული ღამეები შემორჩა განძად, რომ შეუპოვრად შეებრძოლოს ყოველდღიურად ყოველდღიურობას მისი გაზეთი, რომელსაც კვირა დილით ყიდიან, აფიშაზეა საფრანგეთი, ხვალის კედელზე რომ აკრავენ“. ჩემს დნმ-ს შემორჩა სკოლაში მიღებული ცოდნის ნარჩენები, 70-იან წლებში ვსწავლობდი მენგეტში, მერე ვენისიეში, რომელიც „კომუნისტური“ ქალაქი იყო. მაშინდელი აღზრდა დიდხანს გამყვა, ალბათ რომანტიკულობის ან ბავშვობის ნოსტალგიის გამო. ალბათ არ მინდოდა ქარისთვის გამეტანებინა ის, რაც ვისწავლე: ხალხის თანაგრძნობა, ბერლიეს მუშები და საბჭოთა კავშირის თავგანწირვა ნაცისტების წინააღმდეგ, რასაც ყველაფერი გვახსენებდა: აფიშები, სლოგანები, ქუჩების სახელები (ლენინის ბულვარი, რეზისტანსის მარტვილთა ქუჩა), სკოლების სახელწოდებები (ლუი არაგონის, პოლ ელუარის, ელზა ტრიოლეს სახელობის სკოლები). 70-იან წლებში შემოიღეს საერთაშორისო ზუპი (პრიორიტეტული ურბანიზაციის ზონა). ყოველ ზაფხულს აწყობდნენ ეგრეთ წოდებულ „ზუპიადებს“, იყო პეტანკისა და ბელოტის თამაში, ვჭამდით კუსკუსსა და პაელას. მოკლედ, ეს ყველაფერი სისხლში შემიყვანეს ნელ-ნელა, ძალდაუტანებლად, ექსცესების გარეშე. ბრეჟნევისა და გენერალ-პოლკოვნიკ ჟდანოვისგან შორს, არასოდეს ვყოფილვარ არც კომუნისტი, არც აქტივისტი. ეს ხდებოდა 80-იან წლებამდე. ყველგან იყო ფული, რეკლამა და საყოველთაო გამოთაყვანება. მსოფლიოს და ხალხის მნიშვნელობა, მისი ისტორია და ტკივილები ძალიან პატარა ასაკშივე გაგვაგებინეს მშობლებმა, მასწავლებლებმა, ძიუდოს მწვრთნელებმა და ხალხში ყოფნის გრძნობამ, რაც კოლექტიური ოჯახის გაგებიდან მომდინარეობდა. ტჟვ-ს დაგვიანებამ ძვირფასი საჩუქარი მიბოძა.

მატარებელი დაიძრა, ნახევრად აანაზღაურა დაგვიანება და ლიონის სადგურში შევიდა. პარიზული კვირა მეწყება. ნადინ ფამიენი, რომელიც ბატონობს ჩვენი შენობის შესასვლელში, ამ დილით

სიამოვნებით იღებს ხალხის მომატებულ ნაკადს. „კარგად იარე ველოსიპედით?“ – მეკითხება ყოველდღე. 13 სთ-ზე ველოსიპედით შევხვდები პიერს, რომ ერთად ვისაუზმოთ პარიზის მერიაში მერთან და მის თანაშემწესთან კულტურის დარგში, ბრუნო ჟულიართან. როცა ანა იდალგო გესალმებათ, მისგან რაღაც ჭკვიანური და ადამიანური მოდის, რაც იშვიათია ჩვენს დროში. პროგრამაშია კულტურა და სპორტი. განსაკუთრებით კი 2024 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ქალაქის კანდიდატურის დასახელება. შეუძლია კანის ფესტივალს რამეში დახმარება? როგორ? შეიძლება კი, მაგრამ რანაირად?

სამშაბათი, 26 იანვარი

არდეშელი ჟან მარი ბარბი, დამფუძნებელი და დირექტორი ლუსასის დოკუმენტური ფილმის გენერალური შტატებისა, ჩვენს სამსახურში მოდის ყავის დასალევად. ვმსჯელობთ მის პროექტებზე, ავანტიურაზე, რომელიც მან არდეშის პლატოზე წამოიწყო სხვანაირი კინოს შექმნით. ამას ადრე „თანამონაწილეობის“ კინოს ეძახდნენ, რომლის განშტოებებმაც ჟან მარი აფრიკამდე მიიყვანა. გვსიამოვნებს ერთმანეთის ნახვა, რადგან ეს უფრო იშვიათად ხდება ახლა, ვიდრე მაშინ, როცა ლუსასი მხოლოდ იწყებოდა და მე მდინარე რონას მანქანით გადავკვეთავდი ხოლმე იქ მისასვლელად. ჟან მარი მაძლევს DVD-ვერსიას ფილმისა, რომელიც საბოლოოდ არ არის დამონტაჟებული. ფილმი კრის მარკერზეა. როცა ჟან მარი წავიდა, მაშინვე გადავწყვიტე ფილმის ნაწყვეტების ნახვა, გახმოვანების შემოწმება და პირველი სიტყვების მოსმენა: „ეს არის ამბავი კაცისა, რომელზეც ბავშვობამ ღრმა კვალი დააჩნია“.

სანდენსიდან საჭირო კაცი, დიდიე ალუში მეხმაურება: „ჩემი დღის შეჯამება. ვნახე „Southside with you”, ფილმი მიშელ და ბარაკ ობამას შეხვედრაზე, პირველ პაემანზე, რომელიც მთელ დღეს გაგრძელდა. ბარაკს მიშელი მიჰყავს პარკში, მერე საუბნო კრებაზე. სანახავი მაქვს

„Do the right thing" . მათ ერთმანეთი შეუყვარდებათ. ეს პირველი ფილმია ობამებზე. ცხადია, უკვე იქნება 24 987 სხვაც. ვნახე აგრეთვე კევინ სმიტის „Yoga Hosers", უმნიშვნელო რაღაც, სასაცილო იდეებით და ერთი აღმოჩენით – ეს არის ლილი როზ დეპი. რაღაც აქვს ამ გოგონას. აშკარაა. აქ ნანახი ფილმებიდან ყველაზე კარგია „Manchester by the Sea". „Captain Fantastic"-იც კარგად მიიღეს, მაგრამ „Birth of a Nation" ნამდვილი უბედურებაა". ვენსან მარაველი პირველადაა იქ და აღტაცებულია პუბლიკის გულკეთილობით, მაგრამ სძულს ერთსულოვნება, რომელიც ყველგანაა: „ნებისმიერი კარგი ფილმი შეიძლება სულ ნაწილებად დაშალონ კანში, აქ კიდევ ხალხს ყველაფერი მოსწონს, უმნიშვნელო რაღაცაზეც კი გული მისდით და ექსტაზში ვარდებიან."

ოთხშაბათი, 27 იანვარი

ერთი მარტო კაცი ადის ხმელთაშუაზღვისპირული ვილის მზით განათებულ კიბეებზე. გრაფისტებმა მზის შუქი უფრო ინტენსიური გახადეს ამბრისა და ყვითელი ფერის დამატებით. ამან ცნობილ გამოსახულებას მოულოდნელი ელფერი შესძინა. ეს არის ფოტოგრამა ფილმისა „ზიზღი" მიშელ პიკოლის სილუეტით და მწერალ კურზიო მალაპარტეს ლეგენდარული ვილით კაპრიზე... ჩვენ წლების წინ აღმოვაჩინეთ ეს ვიზუალი, მაგრამ ბოლომდე ვერ მივიყვანეთ საქმე, რადგან ადმინისტრაციის საბჭომ უარი თქვა. გრაფისტების, ერვე შიჟიანისა და ჟილ ფრაპიეს წყალობით ფოტოგრამამ ახალი ძალა შეიძინა. გვახსენდება რიჩარდ ფლეშერის ფილმი „მწვანე მზე", რომელიც გვიყვებოდა მომაკვდავ პლანეტაზე და კიდევ მახსენდება ჟორჟ მუსტაკის სიმღერა „ხმელთაშუა ზღვაში", რომელიც ორმოცი წლის წინ დაიწერა ცივილიზაციის აკვნის პატივსაცემად – ქვეყანას მაშინ ძალადობის ლაქა აჩნდა, მაგრამ სიმღერამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა 2016 წელს. საკმარისია დავამატოთ მონაკვეთი მიგრანტებზე:

ზღვის ამ აუზში, სადაც შავთვალა ბავშვები რბიან
სამ კონტინენტზე, სადაც ძველი ისტორია და ერთი მესია,

პროფეტები და ყველა ღმერთი მრავლად არიან,
ძლიერ ლამაზი ზაფხული იცის და ის არ უფრთხის
შემოდგომის სუსხს მედიტერანეს წყალობით ალბათ ...

ესეც ჩვენი აფიშა: კანი 2016.

ხუთშაბათი, 28 იანვარი

ღამით ჯორჯ მილერისგან მივიღე წერილი იმის შესახებ, რაც სურს რომ იყოს პრესისთვის განკუთვნილ კომუნიკეში. ის დაგვთანხმდა გამოგვექვეყნებინა მისი ის ფოტო, რომელიც ძალიან მოგვწონს. ეს არის „აჟანს ფრანს პრესის“, კარლ კურტის მიერ გადაღებული ფოტო.

ვერასოდეს იფიქრებ ჟიურის შემადგენლობაზე, თუ არ იცი, ვინ იქნება თავმჯდომარე. ახლა უკვე შეგვიძლია ამაზე ვიფიქროთ. ამ კვირას უკვე გავუგზავნე წერილი პენელოპე კრუსს, რომელმაც დილით დამირეკა. ნიკოლ კიდმანივით, ესეც ბევრი თხოვნის შემდეგ თანხმდება (ხანგრძლივი განმარტებითი პროცესისა და მოფერების შემდეგ, რაც მას არ უნანია და არც ჩვენ). პენელოპეს ეგონა, რომ არ შეეძლო ამ ფუნქციის შესრულება. მორცხვი ხასიათი ხელს უშლიდა სერიოზულად შეეხედა ამ წინადადებისთვის. ტელეფონით კი ლამაზმა და ნაზმა ესპანელმა დამიდასტურა, რომ მზად იყო ამ ფუნქციის შესასრულებლად. გადასახედი აქვს მხოლოდ დროის განრიგი. არ იცის, როგორი იქნება ის.

ვნახე დოლანის ფილმი. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ოფიციალური კონკურსისთვის შესარჩევი ფილმის ჩვენება, ახლაც ისე, გულის ფრიალით გავუშვით, გვეშინოდა, იმედი არ გაგვცრუებოდა. დასაწყისში, ნახევარი საათის განმავლობაში ფილმმა ოდნავ შეგვირყია რწმენა ფორიაქით, თუმცა მშვიდად დაიწყო და ვიზუალურად შთამბეჭდავიც იყო. ამ ფონზე ჩნდება ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავისიანებთან ბრუნდება, რომ უთხრას, ვკვდებიო. მაგრამ ეს არ მოხდება, რადგან ანგარიშს გაუწევს ოჯახურ ურთიერთობებს, რასაც

გამოხატავს ჩხუბის შეკავებული სურვილის ამოფრქვევით. დაფარული ამბები, ნევროზი, ყველაფერი უბოდიშოდაა ნაჩვენები. მთელი ეს ისტერია თავგზას გვიბნევს, რასაც ხელს უწყობს მსხვილი პლანი და ანათემასავით დიალოგები. საშინელი შეგრძნება გვეუფლება. შემდეგ დედა-შვილს შორის აღსარების მოწმენი ვხდებით, რაც უსაზღვრო ემოციას ბადებს და ეს ემოცია მიგვყვება ფინალამდე, სევდიანად ჰალუცინაციურ და კოლექტიურ სცენამდე. ეს არის სამყაროს ნამდვილი აღსასრული, გადაღებული ჟან ლუკ ლაგარსის პიესის მიხედვით და როლების ძალიან კარგი განაწილებით ფრანგ მსახიობებს შორის (ვენსან კასელი, ნატალი ბე, გასპარ ულიელი, მარიონ კოტიარი, ლეა სედუ). ფილმმა გამოგვფიტა. ეს არის მათრობელა ნარევი ახალგაზრდობის, სიყვარულის, ბრაზის, დანაშაულის გრძნობის, ძმობის, ნოსტალგიის... დოლანს არ ეშინია დისკომფორტის, რაც ფილმ „Mommy"-იდან გადახვევამ შეიძლება გამოიწვიოს. ის გვიჩვენებს, რომ სტილის შეცვლა მას გამოსდის, თუმცა შეეძლო უფრო ადვილ გზას გაჰყოლოდა და ნაპოვნი სულისკვეთება შეენარჩუნებინა. ამ მიზეზთა გამო ფილმი ზოგს შეაწუხებს, ზოგს მოეწონება. ეს სხვანაირი ფილმია.

პარასკევი, 29 იანვარი

დილას, ვიგებთ, რომ გარდაიცვალა ჟაკ რივეტი, რომელსაც მაშინვე მიაგეს დიდი პატივი. ეს მართებულია და ზოგჯერ გადაჭარბებული. როგორც ამბობს გოდარი, ხალხი ჩვენზე საუბრობს, მაგრამ აქვთ კი მათ ნანახი ჩვენი ფილმები? რა იციან მათ სინამდვილეში რივეტის შემოქმედებაზე? მის მთავარ ფილმებზე, მის იშვიათ ფილმებზე, მის ჩავარდნილ ფილმებზე? ერთ-ერთი ჩემი ფავორიტი ფილმია „ჩრდილოეთის ხიდი", ჯეფ სტევენინთან და პასკალ ოჟიესთან ერთად, რომელიც სცენარის თანაავტორი იყო. პიაცოლას მუსიკა, რომელიც რივეტს, მგონი, ძალზე უყვარდა. არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ მუსიკის DVD არსებობს. რივეტს მხოლოდ ერთხელ შევხვედრივარ, ჩემი პირველი სელექციის პერიოდში, 2001 წელს, ფილმს ერქვა „ეცოდინება", ჟან ბალიბარის, სერჟიო კასტელიტოს და ელენ დე ფუჟეროლის

მონაწილეობით. მრჩება მოგონება კაცისა, რომელიც იყო საოცრად კეთილგანწყობილი, მოღიმარი... რეჟისორი, რომელსაც ადარდებდა კინოჩვენების ხარისხი და შეპყრობილი იყო ხმით. ფილმი, ეს იყო თეატრალური კომედია, რომელმაც წარმოშვა არაჩვეულებრივი სიცილის ტალღები „პალეს“ დიდ დარბაზში. წინა ნოემბერს, კარლოტამ გამოუშვა „Out 1: noli me tangere”, რომელიც გრძელდება 12 საათი და 30 წუთი. ლუმიერის ინსტიტუტში ამის დაგეგმვა იყო საოცარი მომენტი, მაყურებლებს ამის სურვილი ჰქონდათ, უხაროდათ, სხვები შემთხვევით აღმოჩნდნენ ასეთი ფიზიკური გამოცდილებით კინოში, რაც დღეს მაგონებს იმ გრანდიოზულ ქმნილებებს, როგორიცაა ჯონათან ფრანზენის ან რობერტო ბოლანოს რომანები.

სტეფან სელერიე, „მარს დისტრიბუციიდან“, მირეკავს ნიუ-იორკის პარკ ავენიუდან. ახალი ვუდი ალენის ჩვენება ახლა დასრულდა. „სუპერ ფილმია“. სტეფანი საკუთარი ფილმების ნომერ პირველი გულშემატკივარია და არასდროს აქვს განცდა, რომ ზედმეტი მოსდის. „ამ მომენტში მას ჰქვია უსათაურო ვუდი ალენის პროექტი. ეს-ესაა ველაპარაკე ლეტის, ვუდი არაა წინააღმდეგი კანში დაბრუნების. ამიტომაც გირეკავ“. ლეტი არონსონი ვუდის დაა, და მისი პროდიუსერიც. „ორი წელი მიყოლებით კანში, ეს მეტისმეტი არაა?“ – გააჩნია ფილმს. ვუდი ყოველთვის სასურველი სტუმარია. – მელანქოლიური და მსუბუქი კომედიაა 30-იანი წლების ჰოლივუდზე. – მეორე კვირეულში ვაჩვენოთ, მრავალფეროვნებისთვის. – შენ კარგად იცი, რომ ვუდის უიკენდი ურჩევნია. – შარშან, „Vice Versa” ორშაბათს ჩავსვით. კომედია კარგია მასშტაბური დასაწყისის მქონე ფილმების შემდეგ. – მითხარი თუ გაინტერესებს, არ მინდა ვალოდინო ვუდის და ლეტის. – რა თქმა უნდა, გვაინტერესებს, მართალია ამერიკული წელი ძლიერი ჩანს. – ჩემები განსაკუთრებით... – და რომლებია შენები, გამახსენე?“ ვიცოდი ეს დაამწუხრებდა. „შემაწუხებელი ხარ, ძალით აკეთებ, ვითომ არ გახსოვს, ათასჯერ მითქვამს. მაქვს შონ პენი, ჯეფ ნიკოლსი და ვიგო მორტენსენთან ერთად, რომელსაც დიდი ოვაციები ხვდა სანდენსში. – თურმე ყველას ყველაფერი მოსწონს სანდენსში. – სისულელეა! ფილმი უბრალოდ ერთ-ერთი

ისეთი ფილმია, რომელსაც ყველაზე მეტი ოვაცია ერგო. კარგი, ჩქარა მითხარი, რა წინასწარგანწყობა გაქვს ვუდიზე. – უნდა ვნახოთ ფილმი. – ნიუ-იორკში? – მოვაწყოთ ჩვენება პარიზში, ასე აჯობებს. როდის გამოდის ფილმი? – მომავალ შემოდგომამდე არა“.

საღამოს მირეკავს ლეა სედუ, აინტერესებს, დოლანი თუ მომეწონა. გუშინ ქსავიემ მითხრა, რომ სურს დაამატოს და მიუთითოს დრო და ადგილი, ეპოქა, რომელშიც ახალგაზრდები რომ იხოცებოდნენ სიყვარულისა და სისხლის დაავადებებით. ამ კვირაში ფრანგულ კომისიასთან ერთად კიდევ ერთხელ გადავხედე და მეორე ჩვენება კიდევ უფრო ძლიერია. მაშინ, როცა ღამეში დავაბიჯებ აბე დ’ენეს გარშემო ხალხმრავალ ქუჩებში, ლეა იხსენებს გადაღებებს, პარტნიორებზე ამბობს ორიოდ კომპლიმენტს, როგორც ყოველთვის, ღელავს საკუთარ გამომსახველობაზე.

შაბათი, 30 იანვარი

ერთი მეგობარი თამაშობს, ვითომ გაკვირვებულია: „ვინ არის ეს რივეტი, რომელსაც „ლიბე“ და „ლე მონდი“ თავს ევლებიან და მასზე ამდენს ბეჭდავენ? საფრანგეთი გადაარჩინა? რაიმე მნიშვნელოვანი ვაქცინა აღმოაჩინა? მდიდრები გაძარცვა და ღარიბებს დაურიგა?“ ეს მეგობარი მარსელში ცხოვრობს და კინომოყვარულია, როგორც ჩანს, არც მთლად ისეთი, რომ აიტანოს ხოტბა-დიდება (მას ეზიზღება აზრი, რომ ხელოვანს არ შეუძლია შეცდეს ხანდახან), მაგრამ ისეთი მაინც არის, რომ დასცინოს ფრანგულ კრიტიკულ აზროვნებას, რომელიც ჩაისახება ხოლმე მხოლოდ ერთხმად მიღებულ აზრებში. მეტიც, ეს გამოუსწორებელი მეამბოხე, 80-იანი წლებიდან მოყოლებული, ხმალამოღებული იბრძვის პოსტმოდერნისტული აკადემიზმების წინააღმდეგ, რომელთა შესახებ ამბობს, რომ ყველაზე უარესია, რადგან გარკვეულ ღალატად მიიჩნევს, როდესაც ხედავს, რომ ოდესღაც ისტებლიშმენტის მიმართ დაპირისპირებულ ადამიანებს, შემდეგ წმინდანებად შერაცხავენ ხოლმე სხვის დაკრულზე ბეჯითად მოხტუნავეები და ლეგენდად აქცევენ ამბავს.

რივეტის შესახებ ბერტრანი ბევრ კარგს მეუბნება, მან ის გაიცნო „კაიეში“, როცა მისი რეჟისორი იყო. „მასთან კინოზე საუბარი შთამაგონებელი იყო და მაძლევდა საშუალებას, დამეწერა რაც მინდოდა“. „კაიეში“ რივეტი რომერის შემდეგ მივიდა, მათ შორის რაღც კარგად ვერ აეწყო, მაგრამ სიტყვასაც არ წერენ სასახლის ამ რევოლუციაზე, რამაც რომერი და ჟან დუშე გაანადგურა. კარგი იქნებოდა, ერთხელ „ახალი ტალღის“ ხალხის პოლიტიკურ მისწრაფებებზე შეჩერება: 50-იანი წლების მემარჯვენე პოზიცია, 60-იანი წლების მემარცხენეობა, შაბროლი, რომელიც ამით ერთობა და რომერი, რომელიც თავისი ცხოვრების მიმწუხრზე იღებს ფილმს „ინგლისელი ქალი და თავადი“.

თუმცა რივეტი, რომელმაც თავისი ისტორია იცოდა, გიჟდებოდა ჰოუკზე, რეჟისორზე, რომელიც ყველაზე მეტ ინდიფერენტულობას იჩენდა, რას ამბობდნენ სხვები; რივეტი, რომელიც კბილს გაჰკრავდა ყველას და ყველაფერს, თუ რამ არ მოეწონებოდა, თავს დაესხა ზოგიერთ რეჟისორს ad hominem, შეძლო კი, მისგან გურუ დაეხატათ და გამხდარიყო პრესის მიერ მეტისმეტად ნაქები რეჟისორი? მარტო დარჩენის შიში ჰქონდა? უნდოდა გამოეყენებინა კრიტიკის უნაკლო მექანიზმი, რათა დაეცვა საზოგადოება, რომელიც ხალხმა თვითონ ჩამოაყალიბა? ადამიანური წინააღმდეგობები ყოველთვის უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე რელიეფის არმქონე არსებობა. კინო მისი გატაცება იყო: წერა ომის შემდეგ დაიწყო და მთელი მისი სიცოცხლე, ბოლო წუთამდე, დადიოდა დარბაზებში ფილმების სანახავად, დღის განმავლობაში უამრავჯერ.

ახლობლებში „პატესთან“ დაკავშირებული ამბავი გავავრცელე. უკვე დრო იყო. ფესტივალზე კრისტიან ჟონმა მითხრა, რომ ვერ წარმოედგინა ჩემი წასვლა, ჟერომ პაიარმაც. ისიც მართალია, რომ არც მე გამიხარდება მათი წასვლა. ფრანსუა დერუსო მისთვის დამახასიათებელ თავშეკავებულობას ინარჩუნებს, მაგრამ ვგრძნობ ღელავს, წასვლის შორეული, 2017 წლის პერსპექტივის შემთხვევაშიც კი. პიერ ლესკური გამოხატავს ფლეგმატურ კეთილგანწყობას. ფრედერიკ ბრედენმა, კინოცენტრის პრეზიდენტმა, დამირეკა, მაგრამ არ უნდო-

და ჩემზე რაიმე გავლენის მოხდენა, თითქოს ცდილობდა დამხმარებოდა გადაწყვეტილების მიღებაში, ნებისმიერ შემთხვევაში. ლიონში, სადაც უფრო სენტიმენტალური ატმოსფეროა გამეფებული, სესილ ბურჟა, ლესლი პიშო ან ფაბრის კალცეტონი დაუფარავად გამოხატავენ, რომ ვერ შეძლებენ პროექტების განხორციელებას ჩემი და მაელ არნოს გარეშე. ეს უკანასკნელი, რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია, ამ თემამ მგონი დაზაფრა...

ლიონის კულტურის ატაშე, ჟორჟ კეპენეკიანი მირეკავს და ვერ გადაუწყვეტია, დაიჯეროს ეს თუ არა. ბერტრანმა არაფერი იცის ამაზე. მას ავარიდე ეს ამბავი: მისი ბოლო ფილმი „კე დ'ორსე" გამოვა 2016-ში, „მოგზაურობა ფრანგულ კინოში" „პატემ უკვე გაავრცელა და არ მინდა ვაიძულო რაიმეს თქმა. ამ კვირაში, მგონი ხუთშაბათს, გავიღვიძე დილით და ჩემს თავს ვუთხარი: „მე იქ არ წავალ". ან უფრო ზუსტად: ვრჩები. ჟერომის შეთავაზებაზე დათანხმება თავისთავად როდია პრობლემა – ეს ოცნების სფეროდანაა, ასეთი შეთავაზების მიღება, მაგრამ სხვა ცხოვრებაში. ერთ-ერთი შეთავაზება გულისხმობს კანის დატოვებას. შემდეგ გადავიფიქრე, იდიოტი უნდა ვყოფილიყავი, უარი მეთქვა ასეთ შესაძლებლობაზე, რომელიც აღარ განმეორდება ადვილად. შეპირებული 24 საათის შემდეგ, პასუხის გაცემასთან დაკავშირებით, ისევ ვყოყმანობ. როგორც მარი მეუბნება: „აღმავალი ტყუპები" ყველაზე უარესები არიან".

თებერვალი

ორშაბათი, 1 თებერვალი

მარგრიეტი ნიდერლანდელია, მაღალი და ქერა. ახალმოსახლეა ლიონში, ან თითქმის. ცხოვრობს პატარა სოფელში ქალაქის დასავლეთით, „ბურგუან ჟაიეს" მორაგბეზეა გათხოვილი. ოდესღაც, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე სწავლობდა პარიზში, ფრანსის მარმანდის ლექციებს ესწრებოდა და დღემდე კუნდერას დიდი

დამფასებელია. უკვე თითქმის 20 წელია, რაც ჩემი ასისტენტია. წინა ზაფხულს, როდესაც ლორან ჟერასთან ერთად ვიყავით გენუის პორტში და მივდიოდით ქალაქის შემაღლებულ მხარეს პატარა იტალიურ რესტორანში, მან გამომიგზავნა მესიჯი, მთხოვდა დამერეკა მისთვის. „პიცა მიდევს ქურაში გამოსაცხობად. საჩქაროა?“ – ხუმრობით ვკითხე. „ჰო“. ამ ერთი სიტყვით მიპასუხა. მაშინვე ვიფიქრე, რომ რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა და ხუმრობა შევწყვიტე. ავადმყოფობის გამო მრავალი თვის განმავლობაში არ უმუშავია და აი, ამ დილას ის ჩვენ გვიბრუნდება. ლუმიერის ინსტიტუტში იტირეს, მისი ავადმყოფობის შესახებ რომ გაიგეს და ახლაც ტირიან, როდესაც შეიტყვეს, რომ განიკურნა. ამ დილას, პარიზისკენ მიმავალ პირველივე მატარებელში არ ჩავჯექი, რადგან მინდოდა ლუმიერის შატოში მას დავხვედროდი.

ვსარგებლობ ამით და ინსტიტუტის მმართველობას ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ვატყობინებ. ამელის ქუჩაზე მისულიც ასევე ვიქცევი კანის ინსტიტუტის მმართველობასთან. კრისტიანი, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრებაში არაა ისეთი ტიპი, გამოხატოს თავისი კმაყოფილება, მოულოდნელად გულთბილად მიღიმის: „კარგი დამთხვევაა, ფილმები გვაქვს სანახავი!“ ნაშუადღევს ვინკა ვან ეკესთან, კრისტინ ემესთან და კაროლინ ვოტროსთან ერთად ვამზადებთ ჟიურის თავმჯდომარის წერილობით მიმართვას პრესის წარმომადგენლებისთვის. შევასწორეთ, გადავიკითხეთ, კიდევ შევასწორეთ, მერე ვთარგმნეთ. გავუგზავნით ამ ემბარგოდადებულ მიმართვას „ფრანს პრესის“ სააგენტოს, ხვალ 6 საათზე კი – მთელ დედამიწას.

ნაშუადღევის მიწურულს ქსავიე დოლანს ვატყობინებ, რომ მისი „სამყაროს დასასრული“ შერჩეულია საკონკურსოდ. სპონტანურ და ღრმა სიხარულს გამოხატავს: ეს ბიჭი უფრო ხშირად დაეჭვებულია, ვიდრე ჩანს, და ამპარტავნობის ანტიპოდია. არადა, საპირისპიროს ფიქრობენ მასზე. ასეთი მცდარი რეპუტაცია გასდევს მის მგზნებარე ახალგაზრდობას. მაშასადამე, ორი ფილმია საკონკურსოდ, რუმინელ კრისტი პუიუსთან ერთად. საბოლოო ჯამში, თვრამეტზე მეტი! საიდ ბენ საიდი მალე გაიგებს (პრესაში არაფერი ჟონავს, მაგრამ პრო-

ფესიონალებმა ყველაფერი იციან) და მოინდომებს მკაფიო პასუხს ვერჰოვენზე. საღამოს შევამჩნიე, რომ ჯორჯ მილერის სახელი ჟონავს „ლე პარიზიენის“ ვებგვერდზე. ყოველდღიურობის კერძო დეტექტივ-ჟურნალისტს, ალენ გრასეს მშვენიერი დარტყმა გამოუვიდა. სოფი ლობი „ფრანს პრესის“ სააგენტოდან მესიჯებით მიკლებს: „ემბარგო დარღვეულია? შეგვიძლია გავუშვათ ინფორმაცია?“ გვიანია, არ ვპასუხობ. ჭორი ვრცელდება სოციალურ ქსელებში და უკეთესიცაა ასე: რეაქციები ენთუზიაზმით სავსეა.

სამშაბათი, 2 თებერვალი

„აბსოლუტური სიამოვნებაა, იყო ასეთი დიდი ისტორიის მქონე ფესტივალის გულში იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიოდან გამოგზავნილი კინომარგალიტები უნდა აღმოაჩინო! დრო მიუძღვნა მათ განხილვას ჟიურის სხვა წევრებთან ერთად, დიდი პატივია. ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ“. ამ დილას, 6 საათსა და 27 წუთზე, კრისტინ ემემ ოფიციალური წერილობითი მიმართვა გაუგზავნა პრესის წარმომადგენლებს ჟიურის თავმჯდომარის შესახებ, რომელშიც ჩართული იყო ჯორჯ მილერის ეს ციტატა. მთელი დილა რეაქციები ერთმანეთს ებმის, ყოველგვარი დისონანსის გარეშე. 9 საათსა და 45 წუთზე რუასიში ვარ და ავდივარ „ერ ფრანსის“ თვითმფრინავში – პირველად ვესტუმრები ათენს. როდესაც თვითმფრინავი დაჯდა, შევიტყვე, რომ საინფორმაციო ვებგვერდი, „სალად ლიონეზ“ ამტკიცებს, რომ მე თითქმის მიღებული მაქვს გადაწყვეტილება დავტოვო კანის ფესტივალი, რათა შევუერთდე რაღაც კერძო ორგანიზაციას, „ორანჟის“ თუ „კანალ+“-ის მსგავსს. ხელს აწერს ვინმე მზაკვარი ლუკ ჰერნანდესი. მესიჯებით ვიბომბები, „ფრანს პრესის“ სააგენტოს შეუპოვარი თანამშრომლის, სოფი ლობის მეთაურობით.

შევიარე სასტუმრო „გრანდ ბრეტანში“ ორი ინტერვიუსთვის და ვხვდები სიმპათიურ პიროვნებას, პანოს კუტრას, „გიგანტური მუსაკას შეტევის“ რეჟისორს, რომელიც შარშან „განსხვავებულ ხედვაზე“ მოვიდა ნამუშევრით „ქსენია“, ლამაზი, ნაზი და უწესო ფილმით. როგორც

კრისტიან მუნჟიუ ბუქარესტში, ის მომყვება ლუმიერის ფილმების ჩვენებაზე, რომლებსაც წარვუდგენ ონასისის ფონდს საკმაოდ ბევრი ხალხის წინაშე. დარბაზში, რომელიც წამის მეათასედში გარდაიქმნება ლამაზ ვიტრინად, ეს სანახაობები ისევ გვაოცებს. პანოსმა გადახედა ტექსტს, რომელიც მე გავუგზავნე და ჩემს ახსნა-განმარტებებს, რაც დაწვრილებით გავანაწილე დროში. ის სასიამოვნო ხმით ამატებს კომენტარებს ბერძნულად, რაც დამსწრეთა სიცილს აორმაგებს.

ბერძნული კინოს პასუხისმგებელ პირებთან და აკადემიის დირექტორთან ერთად ვესწრები დიდ და ლამაზ სადილს სასტუმროს ტერასაზე. აქედან მოჩანს ქალაქის ხედი, რომელიც ჩემი მრავალდღიანი ვიზიტის ღონისძიებებს და დაპირებებს მახსენებს. ქუჩაში გავდივარ. ერთ დღეში, მითქმა-მოთქმა ჩემი წასვლის შესახებ, გაიზარდა. ვიქტორ ჰადიდა (თავის ძმა სამუელთან ერთად „მეტროპოლიტენ ფილმ ექსპორტის“ ანიმატორია) საფრანგეთის დისტრიბუტორთა პროფკავშირების თავმჯდომარე და აქედან გამომდინარე, კანის ადმინისტრაციის საბჭოს წევრი, აღელდა ამ უცნაური შემოთავაზების გამო; არ აინტერესებს ამასთან დაკავშირებული არავითარი დამატებითი დეტალები, მაგრამ დაუფარავად და ჩემთვის გულშიჩამწვდომად მეუბნება, რომ ჩემი წასვლა არ განიხილება.

ოთხშაბათი, 3 თებერვალი

ოლივიე გლუზმანის, პროდიუსერის, აგენტისა და იმპრესარიოს (ხმარებიდან ამ სიტყვის ოსტატურად ამოღება მაჯადოებს) ბერძენი მეგობარი, რომელიც აქაურობას კარგად იცნობს, გვიადვილებს ქალაქში მოგზაურობას. მასთან, პოლიდოროსთან და მელ არნოსთან ერთად, რომელიც თან მახლავს, ქალაქში ცოტას დავდივარ. გული მიჩუყდება, როდესაც ზოგიერთი რესტორნის კედლებზე მელინა მერკურის ფოტოებს ვხედავ; მეტიც, მის ქმართან, ჟიულ დასენთან გადაღებული ფოტოებიც გაუკრავთ. ჟიულმა სამ წელიწადში (1947-იდან 1950-მდე) სამი დიდი ფილმი გადაიღო: „თავისუფლების დემონები“, „ქალაქი აფრების გარეშე“ და „ფრისკოს სანაოსნო წყლები“. მომდევ-

ნო წელს, მაკარტიზმის დროს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტა-ტებიდან გააძევეს, თავი შეაფარა ლონდონს, სადაც გადაიღო „ღამის მეკობრეები“, კიდევ ერთი შედევრი. ერთხელ ცოტა ხნით ჩამოვიდა საფრანგეთში, გვაჩვენა არაჩვეულებრივი ფილმი „შეხლა-შემოხლა ადამიანებში“, მერე საბერძნეთში გადავიდა საცხოვრებლად. ჩემს თავს ვსაყვედურობ, რომ ვეღარ დავპატიჟე ლიონში, როდესაც ეს შე-საძლებელი იყო.

მანამ, სანამ აკროპოლისს დავლაშქრავთ, უკვე ვხვდები მიზეზებს, თუ რატომ ფასობს ათენი უხსოვარი დროიდან. როგორც გოდარმა თქვა ერთხელ, ქვეყნის ფინანსური ვალის შესახებ დასმული კითხვის პასუხად: „ეს ჩვენ ვართ ვალში საბერძნეთის წინაშე, ცივილიზაციის მხრივ“.

საფრანგეთის ელჩთან, კრისტოფ შანტეპისთან (არაჩვეულებრივი) საუზმის შემდეგ, მივდივარ „ალიანს ფრანსეზში“, რათა შევხვდე ადგი-ლობრივ პროფესიონალებს და რამდენიმე ჟურნალისტს, როგორიც არის, მაგალითად, მამაცი ალექსის გრივასი ყავარჯნებით. ჩემ წინაშეა ყურადღებიანი ხალხი, ყველას აინტერესებს კანის ისტორია, მისიები, ვალდებულებები. აქ არიან პროდიუსერები, ფილმების ავტორები, ზო-გიერთი მათგანი დიდ თავმდაბლობას იჩენს, როდესაც ვთხოვ გამაც-ნონ მათი ნამუშევრები – კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ კინოს-თან დაკავშირებული ნებისმიერი ადამიანისთვის კანი მსოფლიო მას-შტაბის გრაალია. ამ შეხვედრის დამთავრებისთანავე, გავდივარ სხვა ოთახში, სადაც კონფერენცია იმართება. დისკუსიას უძღვება მიშელ დემოპულოსი, თესალონიკის ფესტივალის ყოფილი კოლეგა, რომელიც ამჟამად ტელევიზიაში მუშაობს. „ანუ იქ, რაც მისგან დარჩა!“ – მეუბნე-ბა ის. ბერძნები, ამ მუდმივად ქარიშხლიანი ამინდის რეჟიმში, რომელიც უკვე 5 წელია მათ თავს ტრიალებს, ინარჩუნებენ ცივ გონებას პოლიტი-კის მხრივ და თავშეკავებული იუმორის გრძნობას.

საღამოს დიდხანს დავყავით ტერასაზე, ადგილობრივი წითელი ღვინით გაგვიმასპინძლდნენ. აკროპოლისის შემდეგ, ყველაზე გა-მოკვეთილად პართენონი დაჰყურებდა ქალაქს და ანათებდა. უფრო

შორს, პირეუსის და ხმელთაშუა ზღვისკენ, ცა ნელ-ნელა ჩამუქდა. ხვალ ამ სილამაზეს ვერაფერი შეცვლის, ვერც ბერძენი ხალხის ბრწყინვალე უდისციპლინობას.

ხუთშაბათი, 4 თებერვალი

პარიზში ვბრუნდები. საბერძნეთში კინოს შესახებ საუბარმა დამაბრუნა თეო ანგელოპულოსის კანის საფესტივალო წლებში... „მარადისობა და ერთი დღე“ – ამ ფილმის ნათლობა თარიღდება 1998 წლით. სამი წლით ადრე, მან მიიღო გრან-პრი ფილმისთვის „ულისეს მზერა“ და ამის გამო უსამართლოდ მოექცნენ, სურდათ წარმოეჩინათ ცუდ მოთამაშედ, რადგან „ოქროს პალმა“ ვერ მიიღო. არ ჰქონდა მას უფლება, რომ იმედგაცრუებული ყოფილიყო? ეს ფილმი, რომელიც ბალკანეთის კინოს პრიმიტიულ ისტორიას მიმოიხილავდა კინოში მომუშავე ძმების, იანაკის და მილტონ მანაკისების თვალთახედვით, იყო შესანიშნავი. ბოლოს, თეოს შევხვდი კანის „კარე დორში“, როცა ის, „მერ ბესონიდან“, საფესტივალო კულინარიული დაწესებულებიდან გამოდიოდა. მას თან ახლდა ერიც ჰემანი, მისი პროდიუსერი და დისტრიბუტორი. თეო კარგად გამოიყურებოდა, კარგ განწყობაზე იყო და გამუდმებით ხუმრობდა. მომდევნო წელს, ათენში ახალი ფილმის კასტინგზე ყოფნისას, მოტოციკლეტი დაეჯახა... ასეთი სიკვდილი აბსურდულიც იყო და სამწუხაროც. ამ უეცარმა დანაკარგმა ყველას თვალები აუხილა, უკეთ შეაფასეს მისი მნიშვნელობა და ღვაწლი, უკეთ ჩასწვდნენ მის მომთხოვნ ხასიათს... მაგრამ მეტისმეტად გვიანი იყო.

ჩავედი ჟენევის აეროპორტში, დავბრუნდი ლიონში, შემდეგ პარიზში. ლიონის მერი ჟერარ კოლომბი მეუბნება: „მე არ ვყვები ჭორებს, მაგრამ დამამშვიდეთ – ხომ არსად მიდიხართ?“

პარასკევი, 5 თებერვალი

შერჩეული ფილმების დაანონსება იგეგმება ხუთშაბათს, 14 აპრილს. სხვა დროს „გრანდ ოტელში“ ტარდებოდა ხოლმე, კაპუცინე-

ბის ბულვარზე, ამიერიდან „უჟესე ნორმანდიში„ გაიმართება, შანზ-ელიზეს კინოთეატრში. იქ იქნება მსოფლიო პრესა, ტელევიზიები და ა.შ., დიდი ამბებია მოსალოდნელი. მე და პიერი ვყოყმანობთ, არ ვიცით, რამდენად აუცილებელია ამ შეკრებაზე დასწრება. ბევრი ჟურ-ნალისტი სიბნელეში დგას, ჩვენ მათ ფარულ მტრებად შევიგრძნობთ. დარბაზი კი სავსეა მეგობრებით. კითხვა-პასუხი არასდროსაა ჩამთრე-ვი და „ლიბე“ ყოველ წელს წერს, რა გადაქანცულები, დაღლილები, გამოფიტულები, აჩაჩულები ვართ – რაც, ძირითადად, მართალია. იქ-ნებ ეს იმით აიხსნება, რომ 70-ე დაბადების დღე გვიახლოვდება, მაგ-რამ ჩვენს ზოგიერთ საფესტივალო ტრადიციაზე კითხვები გვიჩნდება.

ამერიკელი მსახიობი კრისტენ დანსტი ფესტივალის ისტორიაში შევიდა ჯილდოთი „ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის“ (ლარს ფონ ტრიერის „მელანქოლია“) და მის ფილმოგრაფიაზე თვა-ლის შევლებითაც ჩანს, რომ აქვს საავტორო კინოს დაფასების უნარი. ჩვენი დიდი სურვილია, კრისტენ დანსტი ჟიურიში ვიხილოთ. ამ ღა-მით შეგვატყობინა, რომ სიხარულით გვთანხმდებოდა. ესეც ჩვენი 2016 წლის ჟიურის პირველი წევრი.

საღამოს დასასრულს, ბერნარ ბროშანის მეტად გულთბილი სატე-ლეფონო საუბარი მოვისმინეთ. ეს არის კაცი, რომელმაც წარმატე-ბას მიაღწია, ქონება შეიძინა (რეკლამის სფეროდან) და დაბრუნდა მშობლიურ მხარეში, რათა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, გამ-ხდარიყო კანის მერი და დეპუტატი, სანამ დავიდ ლისნარს გადასცემ-და უფლება-მოვალეობებს. ღელავს ჩემს შესაძლო წასვლაზე. მისი სიყვარული ფესტივალის მიმართ არასდროს განელებულა, ერთად არაერთი ლამაზი წელი გავატარეთ, მაშინაც, როდესაც ნერვიულობ-და იქაურ „ბუა“-ზე, რომ „ამერიკელები არ ჩამოვლენ“. მიყვარდა მისი დანახვა წითელი ხალიჩის ზემოთ, მესამე რესპუბლიკის ეპო-ქის აღნაგობითა და სტილით, და არა თანამედროვე გარეგნობით. ვსაუბრობდით ფეხბურთზე, პოლიტიკაზე და ვუყურებდით გოგოე-ბის ამოსვლას. ყოველი საღამოს დაწყებისას ბევრად მეტ ადამიანს ესალმებოდა და ხელს ართმევდა, ვიდრე მე. ისინი მისი ქალაქის

მცხოვრებლები იყვნენ – კანელები ხომ კინოჩვენებების დაუღალავი მაყურებლები არიან. შემდეგ ლოჟაში ვხედავდი და, სიბნელის მიუხედავად, მაინც ვამჩნევდი, როგორ აღფრთოვანდებოდა ან იტანჯებოდა ზოგიერთი ფილმით. მას თავისი პრინციპული, ჯიუტი დამოკიდებულება ჰქონდა საავტორო ფილმების მიმართ, მაგრამ იცოდა – სწორედ საავტორო კინოა მარილი ქვეყნისა. წლები თვალსა და ხელს შუა გაგვექცა. ბერნარი აქ იყო, სულ ახლახან, გუშინ. მისი სიტყვები გულს მიჩუყებს, ასეთ საუბრებს ისეთივე ფასი აქვს ჩემთვის, როგორიც საჯარო გამოსვლებს.

შაბათი, 6 თებერვალი

მალე დადგება ფილმების შერჩევის დასკვნითი ფაზა. უნდა განვმარტო, როგორ ფუნქციონირებს კანი. უნდა დავარქვა სახელები მოვლენებს და მაგალითად, ავხსნა, რომ კინოჩვენებები, რომლებიც ტარდება კანში, ყოველწლიურად, მაისის თვეში, არ არის „კანის ფესტივალი“. ეს არის „ფილმის საერთაშორისო ფესტივალი“. „კანის ფესტივალი“ ბოლო წლებში დამკვიდრდა, ძველი თანამშრომლები ჯერ ისევ ამბობენ: „FIF” (ფესტივალ ენტერნასიონალ დე ფილმ), სამხრეთული აქცენტით.

კანის ფესტივალი შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან: ოფიციალური შერჩევა და ფილმების ბაზრობა. ერთი მხრივ, ხელოვნების ნიმუშებს პრემიერამდე ვუჩვენებთ ხალხს და პრესას, პრესტიჟულ გარემოში, რასაც ქმნიან ავტორები თავისებური ხიბლითა და წითელი ხალიჩით; მეორე მხრივ, მთელი მსოფლიოს მყიდველებს ვთავაზობთ წარმოებაში მყოფ და დასრულებულ ფილმებს, რომლებსაც შერჩევაში არ მიუღიათ მონაწილეობა.

1946 წლის სექტემბერში, როდესაც ფესტივალი პირველად ჩატარდა, მხოლოდ ოფიციალური შერჩევა ხდებოდა (ბაზარი მხოლოდ 1959 წლიდან იწყება), რომელიც გულისხმობდა კონკურსს და რამდენიმე ადგილობრივ ფილმს. „ოქროს პალმა“, ყველაზე კარგი სიმბოლო, გაჩნდა 1955 წელს და გადაეცა დელბერტ მანს

ფილმისთვის „მარტი“. მანამდე ფესტივალი მხოლოდ გრან-პრის გასცემდა. კონკურსის თანამდევ ღონისძიებებს არქმევდნენ სხვადასხვა სახელს, სანამ 1978 წელს ჟილ ჟაკობმა ეს ყველაფერი არ გააერთიანა „განსხვავებული ხედვის“ სახით, რომელსაც ასევე ჰყავს ჟიური და გასცემს პრიზებს.

როდესაც საუბრობენ „ოფიციალურ კონკურსზე“, ეს არასწორია. მთელი შერჩევის პროცესი ოფიციალურია. „განსხვავებული ხედვაც“ მისი ნაწილია, ისევე როგორც შუაღამის კინოჩვენებები, კონკურსგარეშე ფილმები და სპეციალური კინოსეანსები. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, კონკურსის ჩათვლით, არის ოფიციალური შერჩევა. მე და ჩემი კოლეგები ყოველწლიურად ვმუშაობთ სელექციაზე, ფილმებს ვარჩევთ, წარვადგენთ, აღვწერთ, ვაქებთ, ვიცავთ და ამ ყველფრისთვის მზად ვართ მოვკვდეთ.

სულ ოცამდე საკონკურსო ფილმია, დაახლოებით ამდენივეა „განსხვავებულ ხედვაში“, ათამდე სპეციალური ან კონკურსგარეშე ჩვენებაა, სამი შუაღამის სეანსი, ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს გახსნისა და დახურვის ცერემონიები. ეს ნიშნავს 60 სრულმეტრაჟიან ფილმს, რომლებიც შერჩეულია ჩვენთვის გადმოცემული 1800-იდან. 2015 წელს 1854 იყო! ცხადია, ყველა არ არის კარგი, ზოგიერთს ნახევარ საათზე მეტს ვერც უყურებ, მაგრამ ყველა სათვალავში ჩასაგდებია. ეს არის კანის დემოკრატიის დიდი კანონი: ვინც არ უნდა გადაიღოს ფილმი, თუნდაც ერთსაათიანი, მას აქვს უფლება, გამოგზავნოს და შეუძლია იყოს დარწმუნებული, რომ ფილმს ნახავენ.

ფესტივალზე ორი პარალელური სექციაა: კრიტიკის კვირეული და რეჟისორების „კენზენი“. პირველი სექცია, რომელიც ძალიან სასურველი იყო და უყვარდა რობერ ფავრ ლე ბრეს (ის იყო გენერალური დირექტორი და ფესტივალის პრეზიდენტი 30 წლის განმავლობაში, თავისი ეპოქის ჟილი, დიახ), 1962 წელს კრიტიკის პროფკავშირმა დააარსა. კრიტიკის კვირეულის პროგრამაში შედის პირველი და მეორე ფილმები, აღმოჩენა და დაცვა ახალგაზრდული ნაწარმოებებისა, 7 ფილმის კონკურსი და ასევე რამდენიმე გემრიელი ლუკმაც. გასპარ

ნოემ, ლეო კარამ აქ გადადგეს პირველი ნაბიჯები, სანამ დიდ კინოში შეაბიჯებდნენ.

მეორე, 1969 წელს კინორეჟისორთა ასოციაციამ დააფუძნა, იშვა მაისისა და კანის ცეცხლოვანებისგან, რასაც გოდარისა და ზოგიერთი სხვა რეჟისორის იქ ყოფნა განაპირობებდა, რადგან ისინი მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ ფესტივალის შეჩერებას და სორას ფილმის „Peppermint frappé“ (ათქვეფილი პიტნა წიწაკით) ჩვენების ჩაშლას. კვირეულისგან განსხვავებით, „კენზენს“ არ შეჰგებებიან გაშლილი ხელებით. ფავრ ლე ბრე გულნატკენი დარჩა ფესტივალის 1968 წლის გამოშვებით. მას არ უყვარდა მემარცხენე იდეოლოგია, ჩაი კი – ძალიან. მართალია, „კენზენი“ ფესტივალმა შეიკედლა, ფინანსურად მხარი დაუჭირა და თავისი პრესტიჟიც არ დაამადლა, მაინც, თავიდანვე, კონტრფესტივალად შერაცხეს. კინორეჟისორთა ასოციაციის წარმომადგენლები ასეთად განიხილავდნენ „კენზენს“ (კოსტა გავრასი, ალბიკოკო, კასტი, მალი და დერე, ვინც მე ამის შესახებ მიამბო).

რას ერჩოდნენ ისინი „ოფიციალურ შერჩევას“? ზუსტად ამას, ზედმეტ ოფიციალურობას, გადაპრანჭულობას, სმოკინგებს, ფულს, აგენტებს, ტყუილ სკანდალებს, ცენზურას (გავიხსენოთ 1966 წლის ეპიზოდი, რივეტის „მონაზონის“ ჩვენებისას მომხდარი გაუგებრობა, თუმცა, საბოლოოდ ფილმი გაუშვეს).

რადგან კინოპლანეტაზე მეტი ფილმია, ვიდრე ადგილი ოფიციალურ შერჩევაში, სადაც შეღწევა ძნელზე ძნელია, ახალი სექციის შექმნა კარგი იდეა იყო. ამგვარად, პიერ ანრი დელომ დაიკავა „კენზენის“ მმართველის ადგილი. 20 წელი იყო ამ თანამდებობაზე, ახალი იდეებითა და მტკიცე ხასიათით, ჟილთან ერთად. მათ შორის დიდი სიყვარული არ ყოფილა, მაგრამ სამშვიდობო შეთანხმება ჰქონდათ დადებული, საერთო ინტერესების ხათრით.

რადგან ფესტივალს მაინც არ შეეძლო ყველა ფილმის მიღება, „კენზენი“ თან ახლავს მსოფლიო დამოუკიდებელ კინოს 70-იანი წლებიდან მოყოლებული – თავისი სტილით, სათაურებსა და კლიშეებზე დაყრდნობით, ლამაზი ფილმებით. კვირეულთან ერთად, რო-

მელიც მისი დაა პარალელური სამყაროდან, აქ მიიღება პირველი ნამუშევრები ახალი დამოუკიდებელი ქვეყნებიდან, იმ რეჟისორებისა, რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ მოწიფულობამდე, მაგრამ მათი მომავალი ბევრს გვპირდება. მომავალ გრანდს, რომელიც ფესტივალის „რიგითი“ მონაწილეა, ყოველთვის როდი ეძლევა საშუალება, პირველივე ნამუშევრით დაიკავოს შესაბამისი ადგილი. ასეთ დროს მეტად სასარგებლოა სექციების არსებობა. აქედან გამომდინარე, მე, ფესტივალის ანონიმ მონაწილეს, მიჭირდა გაგება, რატომ წარმოიშვა მათ შორის კონკურენცია, მაშინ როდესაც ეს სექციები ფესტივალის იდეალური დამატება იყო. სწორედ ასე აღმოჩნდა მიშელ ჰანეკეს პირველი სამი ფილმი „კენზენზე“. სამი კონტინენტის ფესტივალმა, ნანტში, სწორედ ასეთივე შეხვედრა მოაწყო კიაროსტამისთან, რომლისთვისაც ეს მსოფლიო დებიუტი იყო. ესეც მშვენიერი კონტრდარბაზია კანის ფესტივალისთვის.

ერთი სიტყვით, ოფიციალური სელექციის ამოცანა იყო წარმოჩენა, კვირეულისა – აღმოჩენა, ხოლო „კენზენის“ – გაკვირვება. მიუხედავად ამისა, ფესტივალის შედარება მოხუც ქალთან, რომელიც ეწინააღმდეგება ეპოქის ახლებურ ფორმებს, არ შეიძლება. საერთოდ არასწორია. ეს, პიერ რისიენის აზრით, მორის ბესის დამსახურებაა, რომელიც რობერ ფავრ ლე ბრეს შემდეგ მოვიდა. გაიხსენეთ 70-იანი წლების ოქროს პალმები: „M*A*S*H“ დასაწყისისთვის და ბოლოს „მთელი ეს ჯაზი“ და „კაგემუშა“; შუალედებში: „საფრთხობელა“, „ტაქსის მძღოლი“, „მატეის საქმე“, „საიდუმლო საუბარი“, „მაცნე,“ „ხე საბოებით“, „პადრე პადრონე“, „აპოკალიფსი ახლა“, „ტამბური“ და ა.შ. ეს ნიშნავს სკორსეზეს, კოპოლას, სატსბერგს, ტავიანებს, როსის, ლოზეს, კუროსავას, ფოსეს, პეტრის, შლენდორფს და ა.შ. კანის კონკურსი ჰგავს „პარი რუბექსს“ – ლატარიაა, მაგრამ ვინც იგებს, ყოველთვის დიდი ჩემპიონია. და ფესტივალი, რომელმაც აღმოაჩინა ბერგმანი, ანტონიონი, ფელინი ან ტარკოვსკი 1968 წლამდე კარგა ხნით ადრე, იფარგლებოდა შემდეგი რეჟისორებითა და მათი ფილმებით: უიმ უენდერსის „დროის დინებასთან ერთად“, ანტონიონის „პროფესია: რეპორტიორი“ ან კინგ ჰუს „ძენთან შეხება“. რო-

გორც ხედავთ, არც მთლად აკადემიურია, მაგრამ კლიშეებს დიდი ძალა აქვს და უძლებს კიდეც დროს.

პარალელური სექციები სასარგებლო აღმოჩნდა კანის ფესტივალის დიდი მექანიზმისთვის – კვირეული, კენ ლოაში, გილერმო დელ ტორო ანდაც ბერნარდო ბერტოლუჩი, 90-იანი წლების „კენზენი“: დარდენები, ბრუნო დიუმონი, ბელა ტარი და ა.შ. ამას არასდროს დაუყენებია ეჭვქვეშ ოფიციალური სელექცია და მისი უპირატესობა. 1998-2000 წლებისკენ, მარი პიერ მასიასგან, რომელიც ხელმძღვანელობდა „კენზენს“ (მას ხშირად ვხედავდი ჟაკ ჟერბერის და რეჟინ ატშონდოს წყალობით), მესმოდა, რომ მძიმე კონკურენცია არსებობდა ოფიციალურ სელექციასთან. როცა აქ მოვედი, ჟილმა ეს ყველაფერი ამიხსნა. იგი ეჭვით უყურებდა ჩემს მონდომებას, ჩემს მცდელობას, ურთიერთობა დამელაგებინა პარალელურ სექციებთან – „კენზენისთვის“ რაღაც ფილმიც კი მივიტანე და წარდგენისას სცენაზე ვიხუმრე: „მოვედი, რადგან მჭირდება თქვენი სახელები“. ამაზე მხოლოდ მე გამეცინა და ჩემი გულუბრყვილო მისწრაფებებიც დაცხრა. ცივი ომი დიდი ხნის დაწყებული იყო, მე ვერ შევაჩერებდი მას ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით.

ფესტივალს 80-იანი წლებიდან ვესწრებოდი და 2001 წლამდე მასთან საკმაოდ სენტიმენტალური დამოკდებულება მქონდა. არაფერი იყო ისეთი მნიშვნელობის, როგორიც ეს შეხვედრა კინოსთან და ერთადერთი რამ მსურდა, ლა კრუაზეტის დროს მაქსიმალურად ბევრი ფილმი მენახა და ფესტივალის ათასობით მონაწილეს შევხვედროდი. დავდიოდი ერთი დარბაზიდან მეორეში, კინომოყვარულის ნებაყოფლობითი გულუბრყვილო ეკუმენიზმით მართული, და აზრადაც არ მომდიოდა თანამოსანგრე დაპირისპირებულ მხარეთა შესახებ კითხვის დასმა ან, საერთოდაც, რომ არსებობდა ასეთი დაპირისპირება. არადა, ასე იყო, თანაც საკმაოდ მძაფრად. ჟილს გამოტირებული ჰქონდა ეს მდგომარეობა და დაასკვნა, ვერც მე ვახერხებდი მასზე უკეთ, რომ პრესას შეეწყვიტა ასეთი ხელოვნური დაპირისპირებების შექმნა. აქედან გამომდინარე, ვბრაზობდი, როცა კონფლიქტის არსებობაში დასარწმუნებლად მიმდინარე მანიპულაციებს ვეჩეხებოდი. პროფესიონალებისთვის კანის ფეს-

ტივალზე დასწრება დოგმაა. სულ მალე, ანტიბის ქუჩაზე, კინო სტარში ფილმის ჩვენება, სექსშოპისა და ტანსაცმლის მაღაზიების შორიახლოს, ძალიან მოდური გახდება. მართალია, „კენზენი“ არსებობს ოფიციალური შერჩევის წყალობით, ის მაინც დაპირისპირებულია მასთან და შეფერებული აქვს უარყოფილთა სალონის როლი. არადა, მხოლოდ ის ევალება, რომ ფეხზე წამოაყენოს ფესტივალით იმედგაცრუებულები და გაფართოვდეს,რომ მეტი ხელოვანის მიღება შეძლოს.

„კენზენი“ რომ ტარდებოდეს რუბექსში, იანვარში, ცხადია, მას ნაკლები არჩევანი ექნებოდა (რუბექსს ვამბობ, რადგან ჩრდილოური ქალაქის დასახელება მინდა, თორემ, საერთოდ არ ვესხმი თავს, ბაბუაჩემი იყო რუბექსიდან, მეტიც, ვატრელოსიდან).

მაგრამ უცხოელებისა და პროფანებისთვის, რომლებიც ვერ ხედავენ სხვაობას ამდენ წარმოდგენილ სექციას შორის, „ყველაფერი კანის ფესტივალია“ და მათ ისღა დარჩენიათ, ეფემერული დაპირისპირებები გააზვიადონ.

კვირა, 7 თებერვალი

ამერიკელ პროდიუსერ ალექს ვალტონთან დისკუსია იმართება „კაი ბიჭების“ ირგვლივ, რომელიც ამ ბოლო დღეებში ვნახეთ. ეს არის 70-იანების ყაიდის დეტექტიური კომედია, რომელშიც მონაწილეობენ რასელ ქროუ და რაიან გოსლინგი (მათთვის უჩვეულო სასაცილო როლებს ასრულებენ), აგრეთვე არაჩვეულებრივი ახალგაზრდა მსახიობი ქალი და მკვდრეთით აღმდგარი კიმ ბესინჯერი. ფილმი გადაიღო შეინ ბლექმა, რომლის სადებიუტო ფილმი „Kiss Kiss, Bang Bang“ (კოცნა, კოცნა, დარტყმა, დარტყმა) 2005 წელს შუაღამის სამახსოვრო სეანსზე აჩვენეს. „კაი ბიჭების“ პროდიუსერები არიან ალექს ვალტონი და ექსცენტრიკული ჟოელ სილვერი (ექსცენტრიკული და კეთილგანწყობილი, მაგრამ ვიცი, რომ ჩემდამი ყველა კეთილგანწყობილია), რომლის გამოჩენა კანში არასდროსაა ბანალური. ჟოელ სილვერი, ესაა ვალტერ ჰილის ფილმები, ოთხივე: „მომაკვდინებელი იარაღი“, „ბროლის მახე“ გაგრძელებებით,

„მტაცებელი“, „მატრიცა“ . ჟოელ სილვერი ის კაცია, ვისთანაც შეგიძლია კუბრიკზე ისაუბრო.

ის აღიარებს, რომ თვითონ ფილმი ბევრს არ იგებს კონკურსში მონაწილეობით (ზედმეტად გასართობია, საკმარისად არ წარმოაჩენს „ავტორს“, პრესისთვის არაა და ა.შ.) მაგრამ არ მთანხმდება, როდესაც ვთავაზობ შუაღამის სეანსს. უნდა გავუძლო მის თავდასხმებს. საფრანგეთში ფილმებს ავრცელებს „ევროპაკორპი“, ლუკ ბესონის საზოგადოება, საიდანაც ასევე სულ მალე დამირეკავენ ალბათ.

გუშინ საღამოს, ლიონის „ოლიმპიკმა“ მოუგო „ანჟერს“ – 3:0. ამ გუნდის საქმე უკეთ მიდის.

ორშაბათი, 8 თებერვალი

ყოველ წელს გვიყვარს კრისტიან ჟენის გაბრაზება: „უფრო ნაკლები ფილმია სანახავი, არა?“ – არა, გვპასუხობს ის. მოკრძალებული გამარჯვება უკვე მიღწეულია, გადავაჭარბეთ 100 კინოჩვენებას და უამრავი ფილმია კიდევ დასარეგისტრირებელი. ფილმების დეპარტამენტის გუნდი სრულ მზადყოფნაშია, მიიღოს და გადასცეს სხვებს დახარისხებული DVD-დისკები.

დატვირთული კვირაა. ფილმები ჯგუფ-ჯგუფად შემოდის, იმდენი, რომ მალე ყელამდე ჩავეფლობით ჩვენების დარბაზში. ვღებულობთ სხვადასხვა მოთხოვნას: ვალერი მურუ ფრანგული ინსტიტუტიდან გვთავაზობს ჟია ზანგ-კე-ს მსოფლიო კინოს წარმომადგენელი ახალბედა რეჟისორების ხელმძღვანელად, რომლებიც საერთაშორისო სოფელში იმყოფებიან. როგორ ვუთხრა უარი? პიერ ასულინს და მორის საფრანს სურთ, ლიტერატურული გაზეთის სპეციალური გამოშვება მიუძღვნან თემას: „მწერლები, კინო და კანი“. როგორ ვთქვა უარი? ფრანგი პროდიუსერი კრისტინა ლარსენი გვთხოვს რჩევებს, როგორ დააარსოს ფესტივალი ომანის სასულთნოში. როგორ გავუძლო ცდუნებას და არ დავეხმარო მათ, ვისაც სურს კინოს გავრცელება ყველგან?

15 საათზე კრისტიანთან ერთად გადავჭრი სენას, რომ „უნივერსალში“ ვნახოთ კოენების „ავე ცეზარი“. ეს არ არის კანის ფილმი,

რადგან ბერლინალე უნდა გახსნას. მხოლოდ სიამოვნების და უფრო მეტის მისაღებადაც წავედით. განვიხილავთ ზოგიერთ დეტალს, ალბათ უფრო რიტმის პრობლემას, ან, მათი გაგებით, კომუნიზმის აღზევების ზოგიერთ მხარეს 40-იანი წლების ჰოლივუდში, რაც სიცილს გვგვრის, ხოლო პროფანებისთვის ალბათ გაუგებარს ხდის ფილმს, რომელიც არის ბრწყინვალე.

მე მიყვარს დიდი ამერიკელი ავტორები, მათი ძლიერი და ამაღელვებელი რეჟისურა, რაც საშუალებას აძლევს დიდ მსახიობებს შეგვახსენონ, თუ რატომ არიან დიდები.

საღამოს ვბრუნდები მიშელ სენ-ჟანთან. მისი ოფისი ლიონის სადგურთანაა. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ლუმიერის ინსტიტუტში, 80-იან წლებში. ის იქ დადიოდა სამხედრო სამსახურის ნაცვლად, ხოლო მე მოხალისედ ვმუშაობდი. მოგვიანებით გადავიდა პარიზში, დააარსა საპროდიუსერო კომპანია „დიაფანა“ და დაიმკვიდრა საკუთარი სტილი 90-იანი წლების კენ ლოჩის ფილმებით და დომინიკ მოლის ფილმის – „ჰარი, მეგობარი, ვისაც თქვენთვის კარგი უნდა“ – ტრიუმფის შემდეგ. მას შემდეგ არ ყოფილა ფესტივალი, სადაც მის ფილმს არ მიეღო მონაწილეობა კონკურსში.

„წელს წარგიდგენთ დარდენს, სტეფან ბრიზეს, ანდრეა არნოლდს და რამდენიმე ახალბედა ფრანგ კინორეჟისორს“. ის მოქნილი მებრძოლია მათ შორის, ვინც იცის კინოზე საუბარი. თან სენტ-ეტიენელიც არის, რაც იმის მაჩვენებელია, რომ „სენტ ეტიენისა“ და ლიონის „ოლიმპიკის“ მომხრეები ხანდახან ერთადაც სადილობენ.

სამშაბათი, 9 თებერვალი

ამ დილით იმართება მეორე შეკრება ერთ-ერთ გუნდსა (ჟერარ დე შავანაკი, ფრანსუა ჟუნიო, კლემან შოვენი) და სტეფან კურბს შორის. ისინი ამზადებენ გახსნას და დახურვას, სადაც ლორან ლაფიტი დათანხმდა იყოს ცერემონიის ხელმძღვანელი. გაჩნდა იდეა, რომ დაიდგას შარლ ტრენეს სიმღერა „პარიზის მონახულება“, რომ მოკრძალებით გავიხსენოთ ქალაქის ჭრილობები.

ტრისტან კარნე, ვისაც დაევალა სასცენო დადგმის განხორციელება, გვიჩვენებს ახალი სასცენო დეკორაციებისა და ორი-სამი ვიზუალური იდეის მაკეტს. პიერ ლესკურს ეტყობა, რომ კმაყოფილია, ტელევიზია რომ უყვარს, იგრძნობა.

კაფე „კოსტში“, ფობურ სენტ-ონორეს ქუჩაზე, პარიზის ერთ-ერთ ყველაზე მჩქეფარე ადგილას, ვსაუზმობ ჟან-კლოდ დარმონთან ერთად. ეს არის „ფეხბურთის ფინანსისტი“, რეკლამების ყოფილი ავტორი, მსახიობი. ის არის კინოთი გატაცებული და საინტერესოდ მოსაუბრე მეგობრული ადამიანი. ამავე დროს, წერს მოგონებებს და მაძლევს საშუალებას აქვე გავეცნო რამდენიმე კარგ პასაჟს მისი წიგნიდან. საუზმე მეგობართან ერთად... ასეთი მომენტები ცოტა ხანში აღარ იარსებებს ჩემთვის. თებერვლის ბოლოდან საუზმეზე იქნება მხოლოდ სენდვიჩი და მწვანე სალათი.

ოთხშაბათი, 10 თებერვალი

კანმა დიდხანს ალოდინა პედრო ალმოდოვარი, სანამ კონკურსში მონაწილეობას აღირსებდა. „ყველაფერი დედაჩემის შესახებ“ მისი მე-14 სრულმეტრაჟიანი ფილმი იყო, როდესაც ის ლა კრუაზეტზე გამოჩნდა, შაბათს, 1999 წლის 15 მაისს. ამ დილით, 8 საათსა და 30 წუთზე ლუმიერის დიდ დარბაზში ხმაურით შევიდა თანამედროვე დიდი ავტორების პანთეონში. ამავდროულად, ესპანეთის კინოსაც აჩუქა მსოფლიო რენესანსი, 20 წელზე მეტი ხნის შემდეგ ესპანური „ლა მოვიდას“ მოძრაობიდან, სადაც ის ერთ-ერთი მთავარი გმირი იყო.

„მოგზაურობა მადრიდში ახალი ალმოდოვარის აღმოსაჩენად“ სელექციონერის ერთ-ერთი რიტუალია, ისევე როგორც კოპენჰაგენში წასვლა ახალი ლარს ფონ ტრიერის აღმოსაჩენად. ეს პრივილეგია არაა ურისკო, თუ მიზანს ააცდენ. მაგრამ, როგორც ჩანს, არავითარი საშიშროება არ გვემუქრება. „ჯულიეტა“ უკვე წარმატებული და აღიარებულია, თანაც, პედროს ბოლო ფილმებიდან, ყველაზე ნაკლებად სევდისმომგვრელიც. ტიტრების დროს თვალები ამიწყლიანდა, გული მომეწურა. მართალია, კინორეჟისორისთვის დამახასიათე-

ბელი ძირითადი ნიშნები მთელ ფილმს გასდევს – ხან აშკარად, ხან დაფარულად, მაგრამ ამ ნამუშევრის ახლებურმა ხასიათმა მაინც შემძრა. შეიძლება იმიტომ, რომ სცენარი ეყრდნობა ვიღაც სხვის წარმოსახვით სამყაროს, – ამ შემთხვევაში, კანადელ მწერალს, ალის მურნოს. მაგრამ ჩემი რეაქცია გამოიწვია ასევე ფილმის ზოგადმა მელანქოლიურობამ და დროის დინებაზე, დედობრივ სიყვარულსა თუ ახალგაზრდობაზე ჩაფიქრებამ. „ჯულიეტა“ მაშინვე აჩენს განცდას, რომ ეს არის ნაბიჯი ასაკოვანი პერიოდის ხელოვნებისკენ იმ გამოუსწორებელი ონავარი მადრიდელი ბიჭისა, რომელიც 80-იან წლეში დაიბადა. ამავდროულად, ფილმის პლანი, სახე, მუსიკა, გვახსენებს, რომ ალმოდოვარის ფილმში ვართ. აი, ამას ნიშნავს ავტორი. სხვათა შორის, მის ტიტრებში ვერსად ნახავთ: „პედრო ალმოდოვარის ფილმი“, არამედ: „ალმოდოვარის ფილმი“. 30-იანების ფრანგული კინოს მსგავსად, როდესაც იწერებოდა: „რენუარის ფილმი“, „ვიგოს ფილმი“... ალმოდოვარმა, როგორც იშვიათმა ხელოვანმა, გამოძერწა ჩვენი ესთეტიკური და სოციალური მსოფლმხედველობა, და მისი საქმის მნიშვნელობა მტკიცდება წლიდან წლამდე. ალმოდოვარის დაბრუნება კონკურსში შესანიშნავი იქნება.

ესპანური დროის მიხედვით აღმოვჩნდით რესტორანში, რომელიც ძმებ ალმოდოვარებს ძალიან უყვართ: „ელ ლანდო“ (გაბრიელ მიროს მოედანი 8, საწყალმა ჟან პიერ ფუჟამ მითხრა ერთხელ, რომ კარგი იქნებოდა, კინოს ხალხის საყვარელი რესტორნების მიხედვით კულინარიული გიდი შემედგინაო). პედრო და ოგუსტენი აქ არიან, სურვილის დედოფლებით გარშემორტყმულნი (ესთერი, ლოლა, ბარბარა), ასევე ჟერომი და სოფი სეიდუ – პატედან რომელიც არის „ჯულიეტას“ ფრანგი კოპროდიუსერი და დისტრიბუტორი. ამ ხალხს მოლოდინის მდგომარეობაში ვერ დავტოვებ და ვამბობ, რომ ფილმს ვიწვევ კონკურსში. სადილობა ისედაც მხიარული იყო, ახლა კიდევ უფრო გავმხიარულდით, პედრო საუკეთესო ხასიათზეა, ცდილობს მათქმევინოს ჟიურის წევრების სახელები. დაბრუნებისას სეიდუებმა ჩამომსვეს თავიანთ სასტუმროსთან, რადგან მინდა ჩემს

სასტუმრომდე ფეხით მივიდე. ლამაზი ღამეა, თბილა. ეს მოგზაურობა ხანმოკლეა, ჩემს ერთ-ერთ საყვარელ ღვინოს, რიოჟას თითქმის არ მივკარებივარ. ხვალ გამთენიისას ვდგები.

ხუთშაბათი, 11 თებერვალი

როდესაც ვიცით, რომ ღამე ხანმოკლე იქნება, ის კიდევ უფრო მოკლდება, რადგან დაძინებას ვერ ვახერხებთ. სასტუმრო „ნჰ პლასა სანტა ანას“ ღამის მორიგემ 301-ე ოთახში ყავა მომართვა, რის მერეც დიდი სიჩქარით აეროპორტისკენ წავედი (ჩვეულებრივ, ტაქსები ყოველთვის ზედმეტად ნელა მოძრაობენ, ახლა კი ნორმალურად მიდის). ლაპარაკის საღერღელაშლილი მძღოლი, დილაუთენია, წუწუნებს მთავრობის პოლიტიკურ შეუთანხმებლობაზე, რაც ხალხს მმართველების გარეშე ტოვებს. ასევე წუწუნებს ეკონომიკური კრიზისის გამო, საიდანაც ესპანეთი ვერაფრით გამოდის, წუხს ყველაზე ღარიბების ბედზე, რომელთა რაოდენობაც მატულობს.

„ცხოვრება რთულია, და კაი ხანია უკვე, რაც ასეა. ხალხი მაინც რაღაცას ცდილობს, ოჯახურ სადილებს მართავს, ახალგაზრდები ბრუნდებიან მშობლებთან საცხოვრებლად. ჩვენ, ესპანელები, საღამოს, ქუჩაში ვდგავართ ერთი ჭიქა ღვინითა და სიგარეტით. მეგობრებთან ერთად ვსხდებით გრძელ სკამზე, ვსაუბრობთ. ეს რესტორნის მაგივრობას სწევს. ფრანგებსაც შეგიძლიათ ასე, არა?“ არა, ნაკლებ სავარაუდოა.

ავიარეისმა იბერია 3676-მა პირდაპირი რეისით ჩამიყვანა ბერლინში. ბერლინალე დიდი ფესტივალია და დიტერ კოსლიკი უნაკლოდ იცავს საკუთარ ტერიტორიას. ის სტუმართმოყვარე და მხიარული კაცია, ჰუმანისტი და კინომოყვარული, ყურადღებას არ აკლებს მისთვის მნიშვნელოვან საკითხებს: დევნილების საკითხი, ნელი კვება, მხიარულება. აქ კანისგან განსხვავებული მიზნებია, თითოეული დეტალი განისჯება. ბერლინის ფესტივალი ძირითადად პუბლიკისთვისაა.

ინსტალაციები ფანტასტიკურია, გერმანიის დედაქალაქი სავსეა

მომხიბვლელი კინოთეატრებით, რომლებსაც დიდი ისტორია აქვთ.

პროგრამას რაც შეეხება, მას ქმნის ფილმების რაოდენობა, გარანტია, რომ პატარა სექციები, როგორებიცაა „პანორამა“ ან „ფორუმი“, შეიფარებენ რამდენიმე გამორჩეულ ქმნილებას, კონკურსი, რომელიც ფასდება დიდი სიზუსტით, რასაც ხელს უწყობს: დიდი სარგებლის მომტანი ბაზარი და ამაყი იერის მქონე ჟიური. ასევე დიდი და ნაკლებად ძვირი ქალაქი, სადაც ყველა უბრუნდება თავის ჩვეულებებს.

დიტერ კოსლიკი, რომელიც რაც მეტი დრო გადის, სულ უფრო და უფრო ემსგავსება გრუშო მარქსს, ყველაზე თბილი ადამიანია, ვინც კი შემხვედრია. ორი დღის წინ მან გამომიგზავნა შეტყობინება: „მოხარული ვარ, რომ ჩვენს ველურ წითელ ხალიჩაზე რჩებით“. ის ემსახურება საკუთარ წითელ ხალიჩას მხიარული ავტორიტეტულობითა და ულიმიტო იუმორით: „ვენეციაში თუ ცუდ ფილმს ნახავ, გამოდიხარ და შენს თავს ეუბნები, კარგი, ვენეციაში მაინც ვარ, არა უშავს. კანში თუ ცუდ ფილმს ნახავ, მიმოიხედავ გარშემო და იტყვი, კანში მაინც ვარ. ბერლინში, როდესაც ცუდი ფილმის ჩვენებიდან გამოდიხარ, თავს ეუბნები: „ჯანდაბა, ბერლინში ვარ თან!“ თუმცა დიტერი უფრო ჭკვიანია, ვიდრე ჩანს და მის ხელში ბერლინალეს არაფერი ემუქრება. განსაკუთრებით წელს: გახსნაზე კოენები, მერილ სტრიპი ჟიურის თავმჯდომარედ, მაგიდაზე ნამდვილად კარგი კარტია. „ავე ცეზარის“ ჩვენებამდე, ოდნავ სევდიანად ვესალმები კოენებს, სანამ მივალ ყოველწლიურ სადილზე, რომელსაც ვმართავ ხოლმე Sale e Tabacchi-ში, რუდი დუტშკე შტრასეს იტალიურ რესტორანში, სადაც ერთგული პიერო კიარა გვხვდება. ეს არის მეგობრული სადილი, სადაც ერთმანეთს ვუზიარებთ სიახლეებს. აქ არის ალბერტო ბარბერა, ვენეციისა და ტურინის მუზეუმის მეპატრონე, სკოტ ფოუნდასი, ჯან ლუკა ფარინელი დე ბოლონია, პაულო ბრანკო, მაიკლ ბარკერი „სონის“ ესპანური ფილმოთეკიდან, ვინც აქაურობა დამათვალიერებინა, ასევე კრისტიან ჟენი, ვინც პირველადაა... გერმანიაში! შუაღამისკენ მარავალი გვიერთდება გრაპას დასაგემოვნებლად და ყოველწლიუ-

რი შეჯიბრების წამოსაწყებად: „ჩამოთვალე 5 იტალიური ფილმი ზომბებზე“, „1967 წლის რომელი ფრანგული ფილმია საუკეთესო?“, „როგორია თქვენთვის ყველაზე დიდი იაპონური შავ-თეთრი ფილმების კლასიფიკაცია“ და ა.შ. საღამო მთავრდება მომეტებული სიხარულის შეძახილებით.

პარასკევი, 12 თებერვალი

ევროპა, რომელიც ასე თუ ისე მოქმედებს, მაგრამ რომლისაც გვინდა გვჯეროდეს, როდესაც ჩვენს მეზობლებს ვსტუმრობთ, მახსენებს ერთ სასაცილო ამბავს, რომელიც კალიფორნიულ ბარში წავიკითხე (მიდი და გაიგე, რატომ კალიფორნიულში): „სამოთხე ესაა: ინგლისური პოლიცია, იტალიური სამზარეულო, გერმანელი მექანიკოსები, ფრანგი საყვარლები და... ყველაფერი იყოს ორგანიზებული შვეიცარიელების მიერ. ჯოჯოხეთი: ინგლისელი მზარეულები, ფრანგი მექანიკოსები, გერმანელი პოლიციელები, შვეიცარიელი საყვარლები და... ყველაფერი ორგანიზებული იტალიელების მიერ“.

წლეულს ტრადიციას ვუხვევ და არც რომში წავალ, არც ლონდონში, არც კატოვიცეში, კარლოვი ვარიში, ლუქსემბურგში ან გოტენბერგში, სადაც მშვენიერი ფესტივალები ტარდება, არც ამსტერდამში ან ბრიუსელში, სადაც მშვენიერი კინოთეკებია. არ წავედი კუსტენდორფშიც, მუსიკისა და კინოს ფესტივალზე, რომელსაც აწყობენ ემირ კუსტურიცა და მისი ქალიშვილი დუნჟა და რომელსაც იშვიათად ვაცდენ. ემირი თავისი ფილმის მონტაჟზეა და ფიქრობს რამდენიმე ახალი ვერსიის გადაღებას, მეუბნება მისი ჯარისკაცი მონიკა ბელუჩი.

კვირას, წერილების ფეიერვერკი გაგრძელდება ლოს-ანჯელესთან, მომდევნო კვირას – ბუენოს აირესთან. ოდრი აზულემ მთხოვა დავესწრო რესპუბლიკის პრეზიდენტის ოფიციალურ ჩამოსვლას ლათინურ ამერიკაში.

იქ მე მას შევხვდები უკვე როგორც კულტურის მინისტრს, რადგან ოდრი უკვე დასახელდა ფლერ პელრენის შემცვლელად გუშინ.

ჩემს არყოფნაში, ფილიპენ ბრიანტ მენდოზას ფილმი სხვებმა ნახეს და პოლ გრანსარის შენიშვნა მოწმობს, რომ მოეწონათ: „მენდოზა აღწევს სრულყოფილებას პატარა ადამიანების ცხოვრების გადაღებით, გვიჩვენებს მათ სიმრავლესა და სიღატაკეს ქუჩებში, აღწერს ფულზე დამყარებულ ურთიერთობებს, ძალადობასა და კორუფციას. ძალიან ლამაზი დასასრული აქვს. ჩემი აზრით, მისი ერთ-ერთი საუკეთესო ფილმია“. ვნახულობ ფილმს და ვეთანხმები მას და ლორან ჟაკობს: „ნაკლებად სკრუპულოზურ კინორეჟისორს თავისუფლად შეეძლო მეტი პათოსის ჩვენება და ძალადობაზე აქცენტირება“. ეს, რა თქმა უნდა, ოფიციალური შერჩევაა. საკონკურსოა? ყველაფერი წინაა.

შაბათი, 13 თებერვალი

ჟაკ დერეს პრიზით მერვე დაჯილდოება იმართება. პრიზი დაარსდა კინორეჟისორის გასახსენებლად, რომელიც ლიონში დაიბადა და ლუმიერის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი იყო, და იღებდა ფრანგულ დეტექტიურ ფილმებს. პრიზი გადაეცემა... ფრანგულ დეტექტივს. წინა წელს დაჯილდოვდა ფრედერიკ ტელიეს „საქმე სკი“, წელს პრიზი გადაეცა ვენსან გარენკის „გამოძიებას“ ჟილ ლელუშის მონაწილეობით. ორივე აქ არის მთავარი გმირის შემსრულებელ დენი რობერთან ერთად, რომელიც ყვება კლერსტრიმის საქმის დროს თავს გადახდენილ ამბებს. ჟაკ ტუბონიც აქ იმყოფება. მას ახლავს ჟაკ დერეს ქვრივი, ანიეს ვენსანი, ბევრი სხვა მეგობარიც. ეს არაა უმნიშვნელო ამბავი: სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ლუმიერის ქარხნის საწყობი ისტორიულ ძეგლად არის აღიარებული (ანუ ვერსალის სასახლის კატეგორიაში გაიყვანა – მაგრამ სულ სხვა მიზნით!) და შეუძლებელი გახადა მისი დანგრევა 1995 წელს, როდესაც კულტურის მინისტრი იყო.

ლამაზი საღამო გამოვიდა, ხელშეუხებელია მოგონება, რომელიც ჟაკ დერემ დაგვიტოვა. უკვე მეორე წელია, რაც ცერემონიას ვეღარ ესწრება მისი მეგობარი ბერნარ მარი, რომელიც ერთი წლის წინ „შარლი ებდოზე“ თავდასხმისას მოკლეს. „ვგიჟდები წელიწადში ერ-

თხელ აქ მოსვლაზე და კინოს შესახებ საუბარზე“, – -მეუბნებოდა ის, როდესაც სუფრასთან ვსხდებოდით.

წესით, ოქტომბრის ლიონური რანდე-ვუ მხოლოდ კანის შემდეგ ამოტივტივდება ხოლმე ზედაპირზე, მაგრამ ლუმიერის პრიზის მინიჭება ისეთი რამაა, რაც კარგა ხანს მოსვენებას არ მაძლევს. დიდი ხანია, რაც კატრინ დენევის დაჯილდოება გვინდა. თავიდან, ეს პრიზი კინორეჟისორებისთვის დაარსდა (და პირველად ჯილდოს იდეა გაჩნდა 1991 წელს, ბილი ვაილდერის და ინგმარ ბერგმანის დასაჯილდოებლად, რომლებიც მაშინ მიივიწყეს), მსახიობი ქალი გამონაკლისი იქნებოდა, მაგრამ კატრინ დენევი ისედაც გამონაკლისი არაა? მსახიობი, რომელიც ბოლომდე იხარჯება, ქალი, რომელიც მოუხელთებელია. გუშინ კლერ ბლონდელმა, მისმა აგენტმა მითხრა, რომ ეს კარგი აზრია და კატრინ დენევს უნდა შევთავაზოთ, რაც ნიშნავს: სასწრაფოდ დაურეკე კატრინს. მიუხედავად იმისა, დასძინა მან, რომ „კატრინს არ უყვარს ზარ-ზეიმები, თან როცა ეს მას ეხება. იცი, ეს ისეთი ქალია, ვინც მუდამ წინ იყურება“. ჩვენების დროს კატრინს რამდენიმე მესიჯი გავუგზავნე... „დამირეკეთ, როცა გინდათ!“ მაშინვე ვურეკავ: „კატრინ, ისეთ რამეს შემოგთავაზებთ, რაც მაინცდამაინც არ გიყვართ. გვინდა თქვენ პატივსაცემად ცერემონია გავმართოთ ლიონში“. თითქმის არ მაცდის ლიონის ფესტივალის ღირსებების ჩამოთვლას: „მსმენია თქვენს ფესტივალზე. კარგით, თანახმა ვარ“.

კვირა, 14 თებერვალი

და აი, მე ისევ მივემგზავრები. სელექციონერი ხომ მოგზაურია. დილის სწრაფი მატარებელი, ლიონ-პარ-დიე, 5:51 სთ. რუასიში მივდივარ: 7:59 სთ . ლოს-ანჯელესის მიმართულებით ფრენაა: 10:50 სთ. თვითმფრინავი ჯდება ტომ ბრედლის საერთაშორისო ტერმინალზე: 13:25 სთ. „ერ ფრანსის“ ავიარეისის ნომერია 066. ჩემი ასისტენტი მარი კაროლინ ლერუა სამოგზაურო სააგენტოს მაგივრობას მიწევს. თვითმფრინავში ცოტა ხანს ჩამეძინა და გამეღვიძა იმ დროს, როცა თვითმფრინავის პერსონალი კაბინას აბნელებდა

– ეს ხდება მაშინ, როდესაც გარეთ თენდება. ყოველთვის სარკმელთან ვჯდები, გარეთ გახედვა რომ შემეძლოს. როდესაც უყურებ ამ მშვენიერებას, რთულია წარმოიდგინო, რომ დედამიწა დაბინძურებულია ოკეანეების ფსკერამდე. როდესაც კანადის მყინვარები გამოჩნდა, ჯეკ ლონდონის დიდ თეთრ სიჩუმეზე დავიწყე ფიქრი, თან ვცდილობდი მივმხვდარიყავი, როგორ მოხდა, რომ ამ წერტილამდე მოვედით, საუკუნე რომელიც ეს-ესაა დაიწყო, შეიძლება კატასტროფით დასრულდეს. დიდი ხეობები თოვლითაა დაფარული, ვინიპეგის, თენდერ ბეის, ფორტ ჯორჯის, სიუ ლუკაუტიდან, ვინისკიდან ფარგომდე (ასეც უნდა იყოს...), ყველა ეს მითიური ადგილი ერთმანეთის მიყოლებით მოჩანს ეკრანზე.

ეს თეთრი დიუნები, გზები, რომლებიც შეგვიძლია ამოვიცნოთ, როგორც უხილავი ძაფები, ფართო ველები, რომლებსაც დასასრული არ აქვთ, შემდეგ ვეგასის უდაბნო და ნისლიანი ლოს ანჯელესი, ეს ყველაფერი ჩემთვის ახლობელია. არასდროს დამავიწყდება ჩემი პირველი ვიზიტი ლოს-ანჯელესში, გრძელი რიგები საბაჟოზე, მარტოობის განცდა, მანქანის გამქირავებელი კომპანიის პოვნასთან დაკავშირებული სირთულეები, ავღანელი ტაქსის მძღოლი, რომელმაც მიამბო დევნილობაში თავისი ცხოვრების შესახებ... ეს 2001 წლამდე ბევრად ადრე იყო. 90-იან წლებში ხშირად ჩამოვდიოდი, ვსტუმრობდი ანდრე ტოთს, რომელიც ავტორია ფილმისა „გაძევებულთა დოღი“ (ლამაზი თოვლიანი ვესტერნი ბურლ ივის და რობერტ რაიანის მონაწილეობით, რომელთა აღმოჩენასაც ედი მიტჩელს ვუმადლით). ანდრე ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადამიანია. ჩემმა ვაჟმა პირველივე ნახვისას ვიკტორ ანდრე დაუძახა, რამაც ის სიხარულისგან გააგიჟა. სასტუმრო „რუზველტში“ დამაბინავებდა ხოლმე, ჰოლივუდის ბულვარზე, ჩინური თეატრიდან ორ ნაბიჯზე. ფილიპ გარნიემ, რომელიც ჩემი მეორე კალიფორნიელი კონსულია, იცოდა საუკეთესო ბარები, უცნობი ძველი კერძები და ვარსკვლავების ადგილსამყოფელი. მე ასევე მქონდა ჩემი უბნები და ჩემი ჩვეულებები „ჰაილანდ გარდენსში“, სადაც ჯენის ჯოპლინმა მისი უკანასკნელი საათები გაატარა.

შესაბამისად, 2001 წელს მე ჩემთვის ნაცნობ გარემოში „ოფიციალური მოგზაურობა“ დავიწყე. ჟილ ჟაკობმა მთხოვა, როგორმე მეწამლა კრუაზეტის მიმართ ჰოლივუდის უსიყვარულობისთვის. უსიყვარულობისთვის, რომლითაც ბერლინის ფესტივალი სარგებლობდა, იდეალურ ადგილას მყოფი თებერვლის თვეში, რათა მიეღო ახლად გამოსული ევროპული „ოსკაროსანი ფილმები“. 2000 წელს, ბერლინალემ, რომელსაც მაშინ მართავდა მორიც დე ალდენი, კონკურსში მიიღო ოლივერ სტოუნის „კვირა დღის ჯოჯოხეთი“, ნორმან ჯიუისონის „ქარიშხალი კარტერი“, მილოშ ფორმანის „ადამიანი მთვარეზე“ და პოლ ტომას ანდერსონის „მაგნოლია“, რომელმაც „ოქროს დათვი“ მოიპოვა. ბოდიში ასე ცოტასთვის. ამერიკის კომერციული საავტორო კინოს საუკეთესო ნაწილი კონკურსში იყო ჩართული ოსკარებისთვის და ბერლინისგან ქმნიდა საუკეთესო პლატფორმას ევროპულ ბაზარზე ფილმების გასატანად. კანისთვის მძიმე კონკურენცია იყო და მე ჩვევად მექცა წელიწადში ორჯერ ან სამჯერ შტატებში ჩამოსვლა, პროდიუსერებთან და კინორეჟისორებთან კონტაქტი. 2000-იან წლებში ციფრულმა ტექნიკამ და ინტერნეტმეკობრეობამ შემოდგომის პერიოდის ამერიკულ ფილმებს სტიმული მისცა, აღარ დალოდებოდნენ ბერლინს ფილმების კინოეკრანებზე გასაშვებად. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ჰოლივუდი კანში დაგვებრუნებინა.

დიდიე ალუში მცოდნე და პატივცემული კინოჟურნალისტია. ის ფესტივალის ახალი კორესპონდენტია, რომელმაც ტატიანა ფრიდკინი შეცვალა. ამ უკანასკნელმა ათწლეულების განმავლობაში მუხლჩაუხრელად იღვაწა და ფუნდამენტური როლი შეასრულა ამერიკული კინოს ღირსშესანიშნავ დაბრუნებაში, რომელზედაც უკვე ვისაუბრე. დიდიე მხვდება აეროპორტში, ჩემს დატვირთულ გრაფიკს მაცნობს, შემდეგ „ფორ სიზენსში“ მტოვებს, დოჰენი დრაივზე. ერთსა და იმავე ლოგინში ოთხ ღამეს იშვიათად ვატარებ, ახლა სწორედ ასეთი შემთხვევაა.

ორშაბათი, 15 თებერვალი

როგორც ყველა საათობრივი სხვაობის მსხვერპლი, მეც უთენია ავდექი, დილის 5 საათზე მთის გადადგმის ძალას ვგრძნობდი, შემეძლო, მთელი სასტუმრო ახალ ფერებში გადამეღება პატარა ფუნჯით, ან გრაფიტი პარკამდე სირბილით მივსულიყავი. დღის პირველ ნახევარს პარიზთან და ლონდონთან ლაპარაკში ვატარებ. ლონდონში ცხოვრობს პოლ რასამი, რომელთან ერთადაც აქ ასე ხშირად მიმოგზაურია. შემდეგ დილის საუზმე სასტუმროში სად ბენ საიდთან ერთად, რომელიც ვალტერ ჰილის ახალი ფილმის პროდიუსერია. არაჩვეულებრივი ამინდია. დილის დასასრულს, პაოლო სორენტინოსთან ერთად წავიხემსე. იგი ლოს-ანჯელესში ამთავრებს სერიალ „ახალგაზრდა პაპის“ რამდენიმე მონაკვეთის გადაღებას „ჰოუმ ბოქს ოფისისთვის“. ულამაზესი ჯეინ ფონდა გვიერთდება შატო მარმონის ტერასაზე, რათა ისაუზმოს პაოლოსთან ერთად.

დიდიესთან ერთად ვსაუზმობთ ლაკმაში, ქალაქის დიდ მუზეუმში და ვათვალიერებთ ოსკარების აკადემიის სამუშაო სივრცეს. 17 საათზე ოლიმპოს მთის დრაივის მაღლობებზე მივყავარ, სახლში, რომლიდანაც არაჩვეულებრივი ხედი იშლება. შონ პენი მმასპინძლობს. „კეთილი იყოს შენი მობრძანება!“ – დაიძახა მან მთელ სახეზე დაფენილი ღიმილით. წლებთან ერთად უფრო და უფრო მოდუნებულია. შევყავარ უზარმაზარ კინოჩვენების აუდიტორიუმში, სადაც ვიღაც ტექნიკოსი ფუსფუსებს მიქსინგის მოწყობილობასთან, რომელიც ორი პინგ-პონგის მაგიდის ხელა იქნება. „გტოვებ მარტოს ფილმთან“, – მეუბნება შონი და გადის.

„უკანასკნელი სახე“ სიყვარულის ისტორიაა ჰუმანიტარული დახმარების მისიონერულ ეპოქაში. კინოს ლამაზი ამბიცია: აქ ჩანს, თუ როგორ იჟღინთება შონის კამერა ომებით განადგურებული აფრიკის სისხლში, რაც გვახსენებს მის ყოფნას ჰაიტიში და სხვაგანაც. მიზანსცენაში ვხედავთ მიკერძოებულ კადრებს, კამერის მძლავრ გამოყენებას და ზოგჯერ უდროო შენელებებს. ფილმს აქვს შარმი და ხანდახან გამოანათებს ხოლმე ძალა. ნაცადი ნარატიული კომპლექსურობა

ჯერ არაა მიღწეული და ზოგიერთი სცენა უფუნქციოა, მაგრამ შონმა ეს იცის: „მე შენ გაჩვენე ის ისეთი, როგორიც არის“, – მეუბნება, როდესაც ვხვდებით სადილზე სანსეტ ტაუერში, სტრიპის ქვევით. ის დეტალურად მიხსნის ცვლილებებს, რაც ფილმშია შესატანი. ყოველთვის დელიკატური დავალებაა შეაფასო რეჟისორის ნამუშევარი: მეგობრული ურთიერთობა ვერ ეგუება მოდის მოთხოვნებს, რეჟისორს არც უნდა ასიამოვნო, არც გული ატკინო. რაც მაჩვენა, იმედისმომცემია, მაგრამ დროულად დაასრულებს? „ბევრი დამრჩა სამუშაო. მე ვარ მთავარი პრობლემა“. როგორც ყველა რეჟისორი, ისიც არაჩვეულებრივად იცავს თავის ნამუშევარს.

მასთან სასაუბრო თემები ამოუწურავია, მარლონ ბრანდოდან დაწყებული (რომელსაც არაჩვეულებრივად ბაძავს) ამერიკელი მწერლით, დავიდ ფოსტერ უოლასით დამთავრებული. მესაუბრება ასევე ჯეკ ნიკოლსონზე, რომელზეც კარგ ახალ ამბებს მაწვდის – ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ფილმში „პირობა“ ნიკოლსონი ასახიერებდა ჯიმ ჰარისონს, რომლის მეცენატიც იყო, რათა მას შეძლებოდა გამხდარიყო მწერალი. ვეკითხები შონს ელ შაპოს შესახებ, რომელზეც მან ხმაურიანი სტატია გამოაქვეყნა „როლინგ სტოუნზში“. ეს კონსერვატორების აღშფოთებისა და მასზე უცნაური ჭორების გავრცელების ფასად დაუჯდა. თურმე ის სადაზვერვო სამსახურისთვის მუშაობს და მასთან კონტაქტით ხელი შეუწყვია ნარკომოვაჭრის დაკავებისთვის. „პრესას ალაპარაკებენ, თითქოს რაღაც მაკავშირებს ამ ყველაფერთან. მექსიკელები ამას ამბობენ, რადგან მისი ექსტრადირება უნდათ. არადა, ამ ტიპს ისეთი არმია ჰყავს, როცა უნდა მაშინ გაიქცევა, მაგრამ არ უნდათ სახელის გატეხვა, თუ ეს ასე მოხდა. ამავდროულად, შტატებში მისი ყოფნა შეიძლება შემაფერხებელი აღმოჩნდეს: პოლიტიკური კლასის კორუმპირებულობაზე მან ბევრი იცის“. და მაინც, ამერიკის პოლიციამ ურჩია თავის დაცვა. „მე აქ ვნახე ტიპები, რათა მათთვის მეთქვა, რომ არ ვარ სახელმწიფო სამსახურში. მაგრამ პოლიციელებმა გამაფრთხილეს, იმდენად ბევრი მექსიკელი განგსტერია ირგვლივ, რომ ყოველთვის გამოჩნდება

ვინმე ახალგაზრდა უტვინო, ვისაც მოუნდება დამცხრილოს მარტო იმიტომ, რომ გმირად იქცეს“. ჯანდაბა.

რესტორნიდან გასვლისას შონს შორიდან დაუძახა ლიონელ რიჩიმ, რომელიც მეგობრებთან ერთად სადილობდა. შემდეგ მიმიყვანა სასტუმროში. შევთანხმდით, რომ მარტის ბოლოს მაჩვენებს ფილმის საბოლოო ვერსიას, მაგრამ ვგრძნობ – მოუთმენლობა იპყრობს. ნაცვლად იმისა, ჩემს ოთახში ავსულიყავი, სასუმროს გარს ვუვლი და ვურეკავ სტეფან სელერიეს, ფილმების დისტრიბუტორს, რომელიც უკვე ფეხზეა პარიზში. მასაც ნანახი აქვს პირველი ვერსია და კანისკენ ეწევა. „შონ პენი, შარლიზ ტერონი და ხავიერ ბარდემი, – ამბობს მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით, – წარმოგიდგენია საფეხურების ავლის მომენტი?!“

სამშაბათი, 16 თებერვალი

ფესტივალებისთვის მთავარ როლს ასრულებენ გაყიდვების მუშაკები და აგენტები, განსაკუთრებით კანსა და ამერიკულ კინოს შორის დიალოგის დროს. ისეთებსაც შეხვდები, ვინც ვარსკვლავის როლს ირგებს და საკუთარ თავს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ასე რომ, ველით დღეს, როცა აგენტებსაც ეყოლებათ აგენტები. პრესლის აგენტი, რომელსაც პოლკოვნიკ პარკერს ვეძახდით, ზუსტად ასე იქცეოდა. პარიზში, 60-იან წლებში, ბრუნო კოკატრი ტყავიდან ძვრებოდა, რომ ელვისს „ოლიმპიაში“ ემღერა. ერთ დღესაც ზღაპრული თანხა შესთავაზეს აგენტს: „ერთი მილიონი ფრანკი, რას იტყვით?“ პოლკოვნიკმა მიუგო: „ჩემთვის კარგია. და ელვისისთვის რამდენს გადაიხდით?“

მაგრამ ბევრია ისეთი აგენტი, რომლებთანაც ისე საუბრობ კინოზე, როგორც ძველ კინომოყვარულ მეგობრებთან. მხოლოდ მათ იციან ხელოვანებთან მიმავალი გზების შესახებ. მაშინაც კი, როდესაც ამა თუ იმ ვარსკვლავთან პირდაპირი საუბარი ხერხდება (ჩემ შემთხვევაში ეს ხშირად ხდება) მნიშვნელოვანია, ნდობის მოსაპოვებლად, რომ არ გადავახტეთ აგენტებს. დღეს ჩემი პირველი რანდე-ვუ არის უტკბილეს ელიზ შრეცთან და გრაჰამ ტეილორთან, უილიამ მორისის

სააგენტოდან. მენიუშია: სიახლეები მათი ფილმების შესახებ და შეთავაზებები ჟიურისთან დაკავშირებით („პოლ მაკარტნი იქნებოდა გადასარევი ჟიურიში!“... აჰ, რა თქმა უნდა, როცა კი ისურვებს).

დიდიესთან ერთად მივდივართ კულვერ სითიში, „სონი-კოლუმბიაში“, რომლის ჯადოსნურ კედლებს ამშვენებს მისი ვარსკვლავების, ფრანკ კაპრასა და ჯეიმს სტიუარტის ფოტოები და რომელსაც აჩრდილად დაჰყვება ჰარი კოჰნის, ამ სტუდიის დარტყმული, ექსცენტრიკული დამაარსებლის ფიგურა. ვსაუზმობთ ტომ როტმანთან, „სონი ფიქჩერზის“ მეპატრონესთან, ასევე სიუზან ვან დერ ვერფთან, სალ ლადესტროსთან და ჯოშ გრინსტაინთან ერთად. არაჩვეულებრივი სიტუაციაა – ტომს უკვე 15 წელია ვიცნობ, მაგრამ ამერიკულ ყაიდაზე, მაშინვე მთავარ სათქმელზე გადავდივართ: მაისის დასაწყისში ჯუდი ფოსტერის ფილმის გამოსვლაა დანიშნული. უნდა წავიდეს კანში თუ არა? დამთანხმდნენ, ხვალ მაჩვენონ ფილმი.

15:30 სთ: პროდიუსერი კრისტი მაკოსკო მიღებს სტივენ სპილბერგთან (არა, არ ვიტყვი ეს სადაა), „Big Friendly Giant“-ის ჩვენებაზე. ეს ფილმი გადაღებულია როლან დალის საბავშვო რომანის მიხედვით, რომელიც მთელ მსოფლიოშია ცნობილი (მაგრამ საფრანგეთში, არც ისე), სცენარი ეკუთვნის მელისა მეთისონს, რომელიც ნოემბრის თვეში გარდაიცვალა. ფილმს ჯერ არ ადევს სპეცეფექტები, რაც საბოლოოდ სრულყოფს მას, მაგრამ სპილბერგის გენია, ანუ, ბავშვების აყოლიებისა და ზრდასრულთა სამყაროსთან შეჯახების სცენები ხელუხლებლად დარჩება. ფილმი ძირეულად განსხვავდება ადრეული ნამუშევრებისგან, როგორიცაა „ჯაშუშთა ხიდი“ და „ლინკოლნი“, მაგრამ კანის კონკურსისთვის გამოდგება. „The BFG“ უიკენდის გალა სეანსს დაამშვენებდა. სტივენი, რომელიც არაა ლოს-ანჯელესში, მირეკავს ამ საკითხზე სასაუბროდ. ის მხიარული და გულგახსნილია, როგორც ყოველთვის.

ჯიმ ჯიანოპულოსი მადეოსთანაა. ეს არის ბევერლი ჰილზის მაღალი დონის იტალიური სამზარეულო. ჯიმი, ბერძნული წარმომავლობის ამერიკელი, არც მეტი არც ნაკლები, Twentieth Century Fox-ის

პრეზიდენტია. წლებია, რაც ის ჩემი ერთგული მეგობარია, მას ყოველთვის ვნახულობ შტატებში მოგზაურობისას. ჯიმი არანაირ ფილმს არ მთავაზობს, მაგრამ სალაპარაკოდ სხვა საერთო თემებიც გვაქვს: ველოსიპედები (რეგულარულად დადის ველოთი), სტივ ჯობსი (ვის გვერდითაც იყო და ვისაც ლამაზი მოსაგონარი სიტყვა მიუძღვნა), ევროპა, ძველი მანქანები, მსოფლიო პოლიტიკური მდგომარეობა და, რა თქმა უნდა, კინო. მას შეუძლია გაფილტროს თავისი კრიტიკული საუბარი ჰოლივუდის მიმართ, რომლის უნაკლო მემატიანეც არის: „ერთ დღეს სამუელ გოდვინი არკვევდა სტუდიის პროექტებს თავის პროდიუსერებთან. ერთ-ერთმა თქვა: „გვაქვს არაჩვეულებრივი სცენარი ვან გოგზე, რომლის განსახიერებაც კირკ დუგლას შეუძლია. – ვინ არის ვან გოგი? – იკითხა გოლდვინმა. – მხატვარია. – ცნობილია? – ო, დიახ, ძალიან ცნობილი, მსოფლიოში სახელოვანი, მეტისმეტად პოპულარული. – ძალიან კარგი. გადავიღოთ ფილმი: უკვე ვიცით, რომ ვისაც ვან გოგის ნახატი აქვს, ყველა მოვა“. 2001 წლის ერთ დილას მე და ჟილ ჟაკობს სწორედ ჯიმმა გვაჩვენა მისთვის უძვირფასესი ფილმი „მულენ რუჟი“. „თქვენ უკან ვიჯექი სეანსის დროს და ძარღვებში სისხლი მეყინებოდა“. ძალიან მოგვეწონა და ამ ფილმით ერთ-ერთი საუკეთესო გახსნის ცერემონია იყო კანში – 54 -ე ფესტივალი „მულენ რუჟით“ გაიხსნა.

ოთხშაბათი, 17 თებერვალი

უკვე ზედმეტად ასაკოვანი ვარ, რომ სასტუმროს ბუფეტისკენ გავიქცე. სავარჯიშო დარბაზში შესვლას ვერ მოვასწრებ. 9 სთზე, საუზმე ნიკ კროულისა და დორა კანდელარიასთან, რომელიც „პარამაუნთის“ მარკეტინგის უფროსია. მაწამებენ, ორი ფილმი დამისახელეს... რომლებიც ვერ მოესწრება: დარენ არონოვსკის და დენის ვილნევის, რომელსაც უკვე მეტისმეტად აქებენ. ასევე ვსაუბრობთ სტუდიის უსაყვარლეს შვილზე, ჯ.ჯ. აბრამსზე, მაგრამ ეს კაცი, რომლის მიღებაც გამიხარდებოდა კანში, არის: სცენარის ავტორი, პროდიუსერი, რეჟისორი და ასევე ნახულობს უამრავ ფილმს...

მოკლედ, ზედმეტად ბევრს მუშაობს, რომ კანში წელს შემოგვიაროს.

ბოლოს, ჩვენება იმართება „სონის“ სტუდიაში, ვუყურებთ ჯუდი ფოსტერის „ფულის მონსტრს“. ფილმი გათვლილი მოულოდნელობებით გვიყვება, თუ როგორ ეხმარება სატელევიზიო გადაცემის შემთხვევითი რჩევები ერთ ახალგაზრდა ცხოვრებადანგრეულ ტიპს, ნიღაბი ჩამოგლიჯოს ბირჟისა და მაღალი ფინანსების მეკობრეს. მიზანსცენა ეფექტურია, მსახიობები ზუსტად თამაშობენ (ჯორჯ კლუნი, ჯეკ ო'კონელი და დომინიკ ვესტი) და ჯულია რობერტსი, რომელსაც ბრწყინვალება არ დაუკარგავს. არაჩვეულებრივი დასაწყისი და წინასწარ მოსალოდნელი ფინალი, კონკურსგარეშე ჩვენებისთვის საუკეთესო იქნება. წარმომიდგენია ულამაზესი საფეხურების ავლა და დარბაზების სიხარული, რადგან ფილმი ერთდროულად გამოვიდოდა საფრანგეთში, შტატებში და მთელ მსოფლიოში. „მაგრამ სამსახიობო შემადგენლობის მიხედვით, გახსნისთვის არ იქნება ეს ფილმი საუკეთესო?“ – თავის თავს ეკითხება დიდიე. მე თითქმის დამავიწყდა, რომ ჩვენ კიდევ არ გვაქვს შერჩეული ფილმი გახსნის ცერემონიისთვის.

ელვისებური სოსწრაფით გავრბივართ გლენდეილში, ხეობაში, რათა მივიდეთ ჯეფრი კატზენბერგთან „დრიმვერკ ანიმეიშენში“. ბურბანკში გავლისას მახსენდება სუ კროლი „უორნერიდან“, რომელმაც ამდენი გააკეთა 15 წლის განმავლობაში ჰოლივუდისა და კანის დასაახლოებლად. ჯეფრისთან ერთად ვუყურებ „ტროლების“ რამდენიმეწუთიან ფრაგმენტს. ყავას ვსვამთ და ერთმანეთს ვემშვიდობებით კვლავ ნახვის სურვილით. ხშირად მაქებენ გამბედაობის გამო, რომელიც „შრეკის“ და ანიმაციური ჟანრის კანის ფესტივალზე ჩატანით გამოვიჩინე, რაც შემდგომ ბევრმა სხვა ფესტივალმა გაიმეორა. სწორედ ჯეფრიმ შესთავაზა კანის ფესტივალს ეს ანიმაციური ფილმი, ხოლო ჟილმა მომცა საშუალება, ფილმი გვეჩენებინა ფესტივალზე. „ტროლები“ ვერ მოესწრება, – მეუბნება ჯეფრი, – მაგრამ შევძლებთ კანში ჩამოსვლას ჯასტინ ტიმბერლეიკთან და ანა კენდრიკთან ერთად. წინააღმდეგი ხომ არ ხარ?“ არა, რა თქმა უნდა, არა.

„ფორ სიზენსის“ ბარი შეხვედრებისთვის ერთ-ერთი საუკეთე-

სო ადგილია ბევერლი ჰილზში. 2010 წელს „სიცოცხლის ხის“ პირველი ჩვენების შემდეგ, აქ გადავეყარე ჯესიკა ჩესტეინს, მაშინ უცნობს, მაგრამ ვერ გავბედე მიახლოება – იმან, რასაც ჯესიკა აკეთებდა მალიკის ფილმში, გამაოგნა. რამდენიმე წლით ადრე, მიშელ სიმინო, რომელსაც კარგა ხანია შეტყობინებებით ვახრჩობდი, როგორც იქნა, გამომეხმაურა: „არა, არ მინდა ლიონში ჩამოსვლა „სამოთხის კარიბჭისადმი“ მიძღვნილ საღამოზე – ეს ფილმი ჩემთვის ცუდი მოგონებაა! მოდი, დავლიოთ“ (საბედნიეროდ, 2012-ში აზრი შეიცვალა). გუშინ ფოტოგრაფი მარსელ ჰარტმანი ლუდს სვამდა აქ, უეცრად შევხვდი ლუკ ბესონს, რომელიც მეგონა სენ დენიში „ვალერიანის“ გადაღებაზე („აქ მხოლოდ რამდენიმე საათით ვარ, ოჯახის გამო, პარიზში მალე ვბრუნდები“). და აი ვხვდები უილიამ ფრიდკინს, რომელიც თანხმდება ჩაატაროს კინოს გაკვეთილი კანში. „ფრანგული კავშირის“, „ეგზორცისტის“, „ჯადოქარის“ ავტორს ბევრი რამ ექნება სათქმელი. სხვათა შორის, ერუდიტ ბილს სჩვევია სხვადასხვა თემაზე გადახვევა, ეს შეიძლება იყოს ლიტერატურა („პრუსტით ვარ გატაცებული!“), ოპერა, მუსიკა. კინოს ისტორიაზე საუბრისას უსასრულოდ შეუძლია ისაუბროს „მოქალაქე კეინის“ შესახებ, „ახალ ტალღაზე“ და თავის მეგობარ ლინო ვენტურაზე. „როდესაც ის ლოსანჯელესში ჩამოდიოდა, სპეციალურად ჩავივლიდი ხოლმე ვენტურას ბულვარზე, ამაზე ლინო ბევრს იცინოდა“.

20 სთ: ოჯახური შეხვედრები ტიმ და ნიკი როთთან უესტ ჰოლივუდში. „ლითლ დორი“ მშვენიერი ადგილია, რომელსაც არ აქვს ამერიკის ზოგიერთი რესტორნისთვის დამახასიათებელი ნაკლი, რაც პარიზშიც კი იციან – ისეთი სუსტი განათება, რომ ძლივს არჩევ, რას ჭამ და მაქსიმუმ ხმაზე აწეული მუსიკა, რაც ხელს უშლის ნორმალურ საუბარს. დავიშალეთ და უკვე ვიცით, რომ ადრე თუ გვიან ევროპაში შევხვდებით. სასტუმროში დაბრუნებისას გადმოვტვირთე ჟურნალები „ლე მონდი“ და „ლეკიპი“, განვაახლე ჩემი ჩანაწერები დღიურში, რომლისგანაც ძალიან დაშორებული ვარ და ჯერ კიდევ არ ვიცი, გავალ თუ არა ბოლოში. ვრეკავ სახლში და ლოგინზე ვეცემი.

ხუთშაბათი, 18 თებერვალი

ბოლო საათებს და ბოლო შეხვედრებს ვატარებ. 8:30 საათიდან: რენა რონსონთან და რიჩარდ კლუბეკთან, UTA-ს აგენტებთან ვარ, ყავას ვსვამ საიდ ბენ საიდთან და უოლტერ ჰილთან, მას აქვს საკუთარი ამბები ბილი უაილდერზე: „ვენაში, ეს ძაან მაგარი ამბავია, – ყვებოდა ბილი, – თანამემამულეებზე საუბრისას, მათ მოახერხეს დაეჯერებინათ სხვები, რომ ჰიტლერი იყო გერმანელი და მოცარტი ავსტრიელი“. შემდეგ საუზმეზე ვარ ვენსან პოლ-ბონკურთან, რომელიც არის არაჩვეულებრივი დისტრიბუტორი კულტურულ-მემკვიდრეობითი ფილმებისა, როგორც კინოდარბაზებში, ისე DVD-ზე. მან საკუთარი ოჯახი და წრე დაასახლა კარლოტაში, შტატებში, თვითონ კი რეგულარულად დადის პარიზში და ცალი თვალით კონკურენციას აკვირდება. მრავალნაცადი მებრძოლი ხასიათი მას საშუალებას აძლევს განაგრძოს მოღვაწეობა ატლანტიკის ორივე მხარეს. მიყვება ახალ ცხოვრებაზე კალიფორნიაში, ახსენებს თავის სამუშაოს ჯერი შატზბერგის იშვიათ წიგნზე, „პანიკა ნიდლ პარკში“. რეჟისორები სულ უნდა გახსოვდეს. გუშინ გავიგეთ ანჟეი ძულავსკის გარდაცვალების შესახებ. გვიხარია, რომ მას მივუძღვენით საღამო ლიონში, მაშინ, როდესაც ფილმებს აღარ იღებდა და რომ პირველი ფილმის ქუჩაზე მისი სამახსოვრო მემორიალური დაფაა.

14 სთ: დიდიეს, რომელმაც არაჩვეულებრივად აითვისა მისი ახალი როლი (და ასევე წააწყდა რამდენიმე სპრინგსტინის იშვიათობას), აეროპორტში მივყავარ. ათსაათიანი ფრენა, 5659 მილი, ჩრდილოეთის გზის გავლით, სოლთ ლეიკ სითი, შემდეგ კანადა, გრენლანდიის პატარა ნაწილს ოდნავ შევეხებით რათა, დავბრუნდეთ ირლანდიისა და ინგლისის გავლით. გასვლა დაგვაგვიანდა – თვითმფრინავის პილოტი გვპირდება, რომ დროულად ჩავალთ. თვითმფრინავით მგზავრობა გაძლევს საშუალებას, დარჩე საკუთარ თავთან მარტო, სიწყნარეში. ვფიქრობ შერჩევაზე, რომელიც მალე საბოლოო სახეს მიიღებს და ჟიურიზე, რომელიც ჯერ ბოლომდე არ შეგვიდგენია. მე არასდროს ვმუშაობ სრული დაზღვევით, რადგან ეს იქნებოდა მხოლოდ ჩემი,

პირადი სტრესის მართვა და არა სამუშაოს ხარისხისა, რომელსაც ჩვენგან მოითხოვენ. მაგრამ სიმართლე ისაა, რომ ვაგვიანებთ. ამ დილით ოლივერ სტოუნისგან მივიღე ახალი ამბები. მის პროდიუსერებს, რომლებიც „შუქფარანის“ პროდიუსერებიც არიან, ამ ფილმის გაგანია საოსკარო კამპანია ჰქონიათ და უნდათ შემოდგომამდე გადადონ სხვა ყველაფერი. ჯეიმს გრეიც არ იქნება მზად. ორი ცუდი ახალი ამბავია. ვცდილობ, სხვა რამეზე ვიფიქრო, უბრალოდ მინდა დავბრუნდე, რათა ნორმალურ არსებობას დავუბრუნდე, ვიყო ოჯახთან ერთად, წავიკითხო გაზეთები, დავუბრუნდე მეგობრებს, პოლიტიკაზე ვესაუბრო მამაჩემს, რომელიც უიმედობას არის მიცემული, იმდენად დეგრადირებულია ყველაფერი. ამ დილით, მან გამომიგზავნა მეილი, რომლიც მთავრდებოდა კონფუცის ციტატით: „არაფერი ძალმიძს მისთვის, ვინც არ სვამს კითხვებს“. კარგია, მამა, რომელიც შვილებს კონფუცის ნათქვამს უგზავნის.. აქ ჩამეძინა, თოვლისა და ღრუბლების სითეთრეში.

პარასკევი, 19 თებერვალი

საათობრივი სხვაობა, ყელის ტკივილი, პატარა სიცხე, ევროპულ ზამთარში დაბრუნება გეგმას მიჰყვება და საშუალო სიმძიმისაა. რატომ ვკვეთ პარიზს ჩემს ველოზე ამხედრებული ნაცვლად იმისა, რომ უიკენდზე ჩამოვსულიყავი? შეჯამება კრისტიან ჟენთან ერთად სწრაფად გაიგზავნა: არაფერი მნიშვნელოვანი 40-იოდე ფილმიდან, რომლებიც ნახეს ჩემს არყოფნაში. წინა წელს, ამავე დროს, ჩვენ უვე გვქონდა უზარმაზარი სიურპრიზი: „საულის ვაჟი“. გვექნება კი 2016-ში მსგავსი საოცრება? ლორ კაზნევი, ვისთანაც პირველი კონკრეტული შეკრება მაქვს ჟიურის თემაზე, მეუბნება: „ლამაზი წელი იქნება“. ამას მეუბნება, რომ დამამშვიდოს. და დასძენს: „ჟიურის რაც შეეხება, არ გვაგვიანდება“. ეს მაიმედებს. „მაგრამ ახლავე უნდა ჩავუჯდეთ ამ საქმეს“. მით უმეტეს მაშინ, როცა ერთმა დიდმა ვარსკვლავმა გვაცნობა, რომ მოხარული იქნებოდა ჩამოსულიყო.

2015 წლის კანის რემინისცენციები ტივტივებს ჩემში: საღამოა, ჰოუ

სიაოსიანი ლუმიერის ინსტიტუტშია „მკვლელის“ წინასაპრემიერო ჩვენებაზე. დიდი ტაივანელი ოსტატი, რომელზეც არ იციან, რომ მან კომედიების გადაღებით დაიწყო თავისი შემოქმედება, ესაუბრება და აცინებს ხალხს. მათ, სანამ დამშვიდდებიან, სთავაზობს ამოუცნობ ფილმს, რომელშიც შუქი მთელი თავისი სილამაზით ბრწყინავს კოსტიუმებსა და მოჩურჩულე ხმლებს შორის. ვუ ქსუ პიანის ჟანრში შესეირნება, რომელიც ჩინური კინოს საუკეთესო ჟანრია, მას აძლევს ახალი შთაგონების მასალას, ისევე როგორც საშუალებას, საკუთარი შემოქმედება კიდევ უფრო მოუხელთებელი გახადოს.

შაბათი, 20 თებერვალი

ამერიკიდან დაბრუნების პირველი ღამე ყოველთვის ფანტასტიკურია. ათსაათიანი უძლეველი ძილი და ყველაფერი აღდგენილია, სხეული, სული და მოხსნილია მღელვარება. თანაც ლუსიენ ლოჟეტს, რომელსაც უნდოდა შენიშვნების სერიის განხილვა მოეწყო ჩემთვის, არ შეეძლო ამაზე უფრო მხიარულად გავეღვიძებინე: „ეს არის პირველი ცუდი ფილმი წელს, საოცრად უბადრუკი. აგებული დადაისტური მეთოდით, რაც გულისხმობს ფილმის სხვადასხვა ნაწილის ყოველგვარი კავშირის გარეშე ერთმანეთში არევ-დარევას. მუსიკალური ინტერმეცოები ჩნდება სრულიად მოულოდნელ მომენტებში, ნამდვილი კაიფია. დიალოგებიც ასინქრონულია, მაგრამ არ ვიცი რატომ. ბუნებრივია, ჩვენ ეს ყველაფერი ძალიან სერიოზულად უნდა მივიღოთ. მოკლედ ისეთი ფილმია, ნონსენსის ანთოლოგიაშია შესატანი. მოთხოვნადია“. მიუხედავად ამისა, ლუსიენმა ფილმი სრულად ნახა: ჩვენ შერჩევას სერიოზულად ვუდგებით.

ლიონი ზამთარში უიკენდების გასატარებლად იდეალური ქალაქია. აქ არის კინოთეატრები, ბიბლიოთეკები, ბარები, აქ შეიძლება სენტ-ანტუანის სანაპიროზე გასეირნება, ერთი ჭიქა შატო-ნეფ-დიუ-პაპის დალევა კურ დე ლოჟის ბარში, ძველ ლიონში, ვოლკს-ან-ველენის ძველმანების ბაზრის მონახულება კვირა დილას, საუზმე გარეტში, ჟან მულენის რესტორანში, სადილი მერ ბრაზიესთან... ყველაფერი სიცოც-

ხლით გავსებთ, ეს ისაა, რაც მჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიოდან ჩამოსული DVD-ები მიმძიმებს ჩანთას და დროს მიმოკლებს. ნაშუადღევს შეიძლება ხანგრძლივი ძუნძული შაქრის საწყობის ლიანდაგების გასწვრივ, რასაც მივყავარ პერაშის მხარეს, იქ, სადაც ნახევარკუნძულის ბოლო ჩანს სენტ-ფუას გორაკის პირდაპირ, ლა მულატიერისკენ და კონფლუანსის ახალი მუზეუმისკენ, იქ, სადაც მდინარეები რონა და სონა ერთდებიან – გრან პალეს ლუმიერის გამოფენა გაიმართება 2017 წლის ზაფხულში. დაბრუნება შესაძლებელია რონის მარცხენა სანაპიროთი, რომელიც მოედინება თავისი ცივი და ნაცრისფერი წყლით, ამავე დროს, ათასობით მანქანა ადის სამხრეთის გზატკეცილზე და ფურვიერის გვირაბის შესასვლელს ანათებს. მივრბივარ და ვუსმენ მაქსიმ ლე ფროსტიეს, რომელიც მღერის ბრასანსის აქამდე უცნობ სიმღერებს. პოეტი-მომღერლები მარტოობის შეუფასებელი თანამგზავრები არიან. უმბერტო ეკო გარდაიცვალა ახლახან: ჩვენ მის სახელს ყოველ წელს ვლუღლუღებდით ჟიურის წევრად. იდიოტები ვართ, რომ არასდროს შევთავაზეთ ჟიურის წევრობა.

კვირა, 21 თებერვალი

ეტყობა, გონებით ჯერ კიდევ კალიფორნიაში ვგრძნობ თავს. ამის გამო ვიღვიძებ შუაღამისას, ვანთებ შუქს, ცოტას ვკითხულობ, ინტერნეტში შევდივარ და მიმოწერას ვიწყებ შონ პენთან:

„მე უკვე გითხარი და ნუ მიიღებ ამას როგორც ამპარტავნობას, არ მინდა კანში წასვლა მხოლოდ სილამაზისთვის, მე მინდა კონკურსს შევეჯიდო“. ეს დიალოგი საბოლოოდ მაღვიძებს, ვუყურებ ორ ფილმს. უფრო სწორად ორ ფილმის მონაკვეთს. კრისტიან ჟენმა მითხრა, ცალი თვალით მაინც გადახედეო. ოთხი დღით უცხოეთში ყოფნა, პარიზთან ჩამორჩენას ნიშნავს. ყველაფერს ვერ დავეწევი, მაგრამ შევპირდი, რომ ფხიზლად ვიქნებოდი. თითოეული უბრუნდება თავის როლს და უძღვება კორესპონდენციებს საკუთარ ტერიტორიაზე. მე ჩემს ტერიტორიებზე ვმოქმედებ, მათ შორისაა სენტიმენტალური ფრანგული კინო. ირანიდან ალექსანდრ მალე-გი მატყობინებს, რომ

ბრუნო დუმონს ფილმი მარტის შუა რიცხვებისთვის ექნება მზად, ხოლო თეირანში ასგარ ფარადი, „გაყრის“ რეჟისორი, აქტიურობს, რომ მოასწროს ფილმი. ნელ-ნელა იკვეთება შერჩევის შედეგები, იმედია, აღმოვაჩენთ უცნობ რეჟისორებს, ახალგაზრდა ავტორებს, უცნაურ ამბებს... რაც წონასწორობას დააკარგვინებს, შეარყევს და შეაჯანჯღარებს სელექციის პროცესს და მომავალ 14 აპრილს შერჩევა მიიღებს იმ სახეს, რომელსაც ველით, მაგრამ არასოდეს გვინახავს. შერჩევა არის ერთგვარი მოგზაურობა, რომლის მიზნები და მონაპოვრები განუჭვრეტელია.

გუშინ საღამოს ბერლინში მერილ სტრიპმა და მისმა ჟიურიმ დააჯილდოვეს იტალიელი ჯანფრანკო როსი დოკუმენტური ფილმისთვის „ცეცხლმოკიდებული ზღვა“, რომელიც მიგრანტების შესახებაა. ფილმი აშკარა ფავორიტი იყო. როსი ნელ-ნელა სახელს იხვეჭს: „ოქროს დათვი“ 2016 წელს, 2013 წლის „ოქროს ლომის“ შემდეგ. მია ჰანსენ-ლოვი ბრუნდება პარიზში პრიზით საუკეთესო მიზანსცენისთვის. ტეშინემ, ისევე როგორც ნიკლუმ ყურადღება მიიქციეს, ფრანგული კინო მსოფლიოში ყველას უყვარს. ეს შედეგია პოლიტიკისა, რომელიც გულისხმობს ხალხის ჩართულობას და აქტიური პროფესიონალების საზოგადოებას. საფრანგეთი უფრთხილდება საკუთარ კინოს და ეს კეთილად უბრუნდება.

საღამოს ლიონის „ოლიმპიკმა“ დათმო მატჩი „ლილთან“. ხვალ „ეკიპს“ არ წავიკითხავ. ასი თავით ჩამოვრჩებით „მონაკოს“და ათასით „პარი სენ ჟერმენს“, რომელსაც მომდევნო კვირას ვხვდებით.

ორშაბათი, 22 თებერვალი

ზამთრის დასასრულის მოახლოებას ყოველთვის მოაქვს მელანქოლიისა და სისავსის დამაბნეველი განცდა. 7:21-საათიან სწრაფ მატარებელში, რომელიც კვეთს დილის ბურუსს, წერის სურვილი მიპყრობს. ჩემი ჩანაწერები სელექციის შესახებ ამიერიდან ამ დღიურს შეერევა. ერთ კვირაში შეხვედრები გაიშვიათდება: იციან, რომ ვმუშაობთ და აღარ შეგვაწუხებენ. ორი ფილმი მაქვს სანახავი

ამ ნაშუადღევს და საღამოს ბუენოს აირესში გავფრინდები. ეს ჩემი ბოლო მოგზაურობა იქნება.

შონს დავუდასტურე, რომ მისი ფილმი კონკურსში ჩაერთო. ხელმეორედ აღარაფერი მინახავს, მაგრამ ვენდობი რეჟისორს, რომლის გადაღებულია ფილმები „ინდიელი მორბენალი“ და „ველურ ბუნებაში“. მაშასადამე, პირველი ამერიკული ფილმი შერჩეულია.

ეიფორიამ დიდხანს არ გასტანა. 17:51 სთ: სალ ლადესტროსაგან ვიღებ მეილს, რომელიც მატყობინებს, რომ „კოლამბია“ აღარ წარმოგვიდგენს ჯუდი ფოსტერის ფილმს. დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე. 20:30 სთ: ტოსკან დუ პლანტიეს პრიზის აღსანიშნავი კოკტეილის დროს, რომელსაც აწყობს ცეზარის აკადემია, ტიერი დემიშელისგან ვიგებ, რომ ვერც დამიენ შაზელს ვიხილავთ, ანუ „ლა ლა ლენდს“. ესეც მეორე ცუდი ახალი ამბავი. „დამიენმა მშვიდად უნდა გაანაწილოს დრო და თავი აარიდოს ზემოქმედებას“, ეს კი ორ რამეს შეიძლება ნიშნავდეს: ან ფილმი შედევრია და პატარა ტყუილს გვეუბნებიან, რადგან პროდიუსერებს უნდათ მოიცადონ 2017 წლის შემოდგომამდე და ოსკარებზე წარადგინონ; ან მონტაჟი უფრო გაგრძელდა, ვიდრე იგეგმებოდა, რაც იმის ნიშანია, რომ ფილმი საბოლოო სახის მისაღებად სირთულეს აწყდება. მეტიც, ირის კნობლოშმა და ოლივიე სნანუჯმა, ფრანგული „უერნერიდან“, შემატყობინეს, რომ ისტვუდი გადაიწევს საშემოდგომოდ. და რიკ იორნი, მარტინ სკორსეზეს აგენტი, მიდასტურებს ჩემს წინათგრძნობას, რომ „სიჩუმე“ ვერ ესწრება, ბევრი აკლია დასრულებამდე. მარტისგან ცნობა არ მქონდა მიღებული, რაც იშვიათად შეიძლება იყოს კარგის ნიშანი.

დღეს არ მიმართლებს: ჯუდი ფოსტერი, მარტინ სკორსეზე, კლინტ ისტვუდი, დამიენ შაზელი, ისევე როგორც ჯეიმს გრეი და ოლივერ სტოუნი – 6 ამერიკელი რეჟისორი, რომლებიც შემოდგომაზე კვებავდნენ ვირტუალურ სელექციას, შარშანდელი თოვლივით გაქრა. უეცრად, ისე უნდა დავიჭიროთ თავი, თითქოს ეს ფილმები არც არსებულა, არადა, ისევ ეწერა ყველა სიაში და ინტერნეტშიც იძებნება. ნათელია, ეს არის ეპოქა, როდესაც თავს ვიწამებთ რაღაც წარმოსახ-

ვითი ტანჯვით, მაგრამ როდესაც 23:20 სთ-ზე თვითმფრინავში ავედი, მღელვარება ვიგრძენი.

სამშაბათი, 23 თებერვალი

თვითმფრინავში მოსაწყენია, ფანჯრიდან ვიყურებით იმდენ ხანს, რამდენიც შეგვიძლია, წიგნს ვკითხულობთ, ვდგებით, ვლაპარაკობთ სტიუარდესებთან. რაღაც ჟურნალი იძლევა რეკომენდაციებს, როგორ ვჭამოთ და ვსვათ უკეთ და ავირიდოთ კიბო. საჩქაროდ ვიქცევი პირიქით და ვითვისებ ყველაფერს, რასაც მთავაზობენ იძულებით, რომელსაც მხოლოდ ერთი იძულება თუ შეედრება, „ერ ფრანსის“ რჩეული ფილმების ნაგლეჯების ყურება. სიკვდილის გადავადებაზე სხვა დროს ვიზრუნებ.

ადრიანი დილაა, ცრის და წვიმა ცხელ ჰაერს აგრილებს. ვხვდები კრისტიანს, ჩემს ყველაზე საყვარელ მძღოლს და დელფინა პენიას, კინოსა და აუდიოვიზუალური ხელოვნების ნაციონალური ინსტიტუტიდან. მათ მივყავარ სასტუმრო მადეროში. მაშინვე ვაგრძელებ DVD-ების ყურებას, რაც დღეს დილას ბრაზილიის თავზე დავიწყე. მათ შორის არის ერთი კარგი დოკუმენტური ფილმი „ოჯახური სასტვენი“ – კოპოლას ოჯახის იმიგრაციაზე ბერნალდის პატარა სოფლიდან იტალიის სამხრეთით, შემდეგ კი ამერიკაში. აქ სიამოვნებით ვხვდებით კოპოლას დას, ტალია შაირს. თუ ფრენსისი თანახმაა, ეს ფილმი პირდაპირ „კან კლასიკისკენ“ წავა.

დანიელ ბურმანი, არაჩვეულებრივი არგენტინელი რეჟისორი და ასევე პროდიუსერი, გამომცემელი, ტელერეჟისორი და ფერმერი, მიჩვენებს ადგილობრივ არაჩვეულებრივ კინოთეატრს, „პლაზა კონსტიტუსიონს“, რომელიც მან გადაარჩინა. შემდეგ მივყავარ საუზმეზე ბერნარდო ბერგერეტთან. ვახსენებთ კინოპროექტს, რომლის განხორციელებაც უნდა ლენ ბლავატნიკს, „უერნერ მიუზიქის“ მეპატრონეს, მაიამიში. ნაშუადღევს, ჰერნან ლომბარდიმ მიმიღო, ძველი კულტურის მინისტრმა. ვათვალიერებთ ნესტორ კიშნერის სახელობის ახალ კულტურულ ცენტრს, სადაც გაიმართება ვენტანა სურის მომდევნო დღეები.

საღამოს პაბლო ტრაპერო და მარტინა გუზმანი მმასპინძლობენ საკუთარ სახლში, კოლეხიალესში, ბუენოს-აირესის გარეუბანში, რომელიც წლებთან ერთად გაუარესდა. მარტინა არაჩვეულებრივი მსახიობია, 2007 წელს ლამის მოიპოვა პრიზი საუკეთესო როლის შესრულებისთვის ფილმში „ლეონორა“, შემდეგ, 2011-ში, რობერტ დე ნიროს ჟიურის წევრი იყო. პაბლო ბევრჯერ ჩამოვიდა ოფიციალური სელექციისთვის და ერთ წელიწადს „განსხვავებული ხედვის“ პრეზიდენტიც იყო. ის კანის შვილია (და ბუენოს-აირესის საერთაშორისო დამოუკიდებელი კინოს ფესტივალისაც, რომელიც ლათინოამერიკული კინოს ინკუბატორია). მას მეტისმეტი მოუვიდა, წინა წელს გადმოგვცა ნაჩქარევად გაკეთებული „ელ კლანის“ ვერსია, მე ვურჩიე ოფიციალური სელექციით არ დაავადებულიყო და ცოტა შეესვენა. მაგალითად, წასულიყო ვენეციაში, რათა თავი დაემკვიდრებინა სხვაგან, არა კანში. „იმედგაცრუებამ რომ გამიარა, – მითხრა პაბლომ, – დავუბრუნდი მონტაჟს და გავითვალისწინე ყველა შენიშვნა, რაც შენ მომეცი. საბოლოოდ, ვენეციაში პრიზი ავიღე და არგენტინაში ორ მილიონ მაყურებელს გადავაჭარბეთ“. „ეს სულ სხვა ფილმია“, – დამამშვიდა მიშელ სენ-ჟანმა, რომელიც მას ავრცელებს საფრანგეთში.

თავის ქვეყანაში პაბლო იმ სიმბოლური და რეალური სივრცის ავტორია, რომელიც ფართო პუბლიკას ესაუბრება. უკანასკნელი საფეხური არაა შორს, რადგან ძალიან ცოტა აკლია, რომ მოიპოვოს დიდი საერთაშორისო აღიარება. ამის დროც მოვა.

ვბრუნდები ღამით, ნახევარსაათიანი მგზავრობა მიწევს მანქანით, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში, ნაცნობი შეგრძნებები მეუფლება. ყველგან მარტინ სკორსეზეს „ვინილის“ რეკლამებია – ლუმიერის ფესტივალი თითქოს შორსაა. ქარი დაგუბებული სიცხის ოხშივარს ფანტავს. ყველაფერს მივცემდი ბუენოს-აირესის ერთ ზაფხულის ღამეში.

ოთხშაბათი, 24 თებერვალი

მაღვიძებს პიერ რისიენი, რომელიც ცდილობს გადალახოს ფიზიკური დეპრესიის ეპიზოდი, რაც ზოგჯერ ემართება ხოლმე – მომა-

ვალ აგვისტოს 80 წლის გახდება, რაც არ უნდა იყოს. ვეუბნები, რომ წიგნს ვწერ. – ცნობისმოყვარეობას მიღვივებ. და ჩემი წიგნი როდის გამოდის? – სექტემბერში. ტომ ლუდიმ შენი ნახატი პორტრეტი ტელურიდის ფესტივალიდან გამოგზავნა. – რა წიგნს წერ? – დღიურს. – მიფრთხილდი, არ მაჩვენო, თორემ ხომ იცი: კარდინალ დე რეცის დღიურის დიდი მკითხველი გახლავარ". კიდევ რა გინდა! საუბარი გადამაქვს კლინტზე. პიერმა იცის, რომ ის არ მოდის კანზე და შეწუხებულია. „და აზიაზე, რას ფიქრობ?" – მეუბნება, რომ შეცვალოს თემა და რაღაც ინფორმაცია გამომტყუოს, მერე სასწრაფოდ გაიქცეს მიშელ სიმანთან და ზემოდან გადახედოს.

ნაშუადღევის ბოლოს ვუერთდები ფრანსუა ოლანდის ოფიციალურ ვიზიტს მაურისიო მაკრისთან, მის არგენტინელ ჰომოლოგთან, რომელიც ცოტა ხანია, რაც აირჩიეს. საპრეზიდენტო სადილი კასა როსადას ორასწლიან მუზეუმში იმართება, არგენტინის „ელიზე"-ში. კირხნერის კულტურული ცენტრი აქვე ახლოს ლურჯ-თეთრ-წითლადაა განათებული და მთელ ქალაქში სარეკლამო ბილბორდებია, რომლებითაც საფრანგეთის პრეზიდენტს ესალმებიან. ოლანდი წარმოთქვამს არაჩვეულებრივ სიტყვას, რომელიც სავსეა მარტივი კეთილშობილებით, რაც კარგი იქნებოდა უფრო ხშირად გამოეყენებინა საკუთარ ქვეყანაში, პარიზული საზოგადოებრივი ცხოვრების თანმხლები ძალადობის წინააღმდეგ. „გაუმარჯოს ფრანგულ რევოლუციას", – მეუბნება ჩემი ერთ-ერთი თანამესუფრე მდიდარი ზღვისპირეთიდან, რომელმაც გადაწყვიტა საკუთარი ქონება ღარიბების განათლებას მოახმაროს. ახალი პრეზიდენტი პარტიზანების სიმპათიას აღძრავს, რომელთა პოლიტიკური მიმართულების გარკვევა რთული საქმეა და რომლებსაც, როგორც ჩანს, ქვეყნის წელში გამართვა თავიანთ მისიად დაუსახავთ. კლასიკური პოლიტიკური სქემაა, მაგრამ დემოკრატია ფუნქციონირებს და ბედნიერი ვარ, რომ ამ ხალხში აღმოვჩნდი, რომ ვსაუბრობ ესპანურად, რომ ვპასუხობ მათს ყველა შეკითხვას კანზე, კოტ დ'აზურზე და მსოფლიო კინოზე.

დამშვიდობების ჟამს ვხვდები ოდრი აზულეს, ვისი პორტრეტე-

ბითაც აჭრელდა ჟურნალ-გაზეთების ფურცლები საფრანგეთში. მათ აინტერესებდათ ფართო საზოგადოების წინაშე უცნობი ქალის ენიგმატური გამოჩენა, რომელიც არ აურჩევიათ და კულტურულ წრეებში ასე კარგად მიიღეს. ფრანსუა ოლანდი ჩვენი პროგრამით ინტერესდება, ამ დროს არგენტინელი პრეზიდენტი მიდის. „მინდოდა ქალბატონი მინისტრი წამეყვანა სან ტელმოში". კრისტიანის, ჩვენი მძღოლის გაკვირვებული მზერა, და ჩვენ ყველა მივემართებით ტანგოს ისტორიული აკვნისკენ, შემდეგ, დელეგაციის სასტუმროში სულ ახალი დაბრუნებულები, ისევ მივდივართ დონ ხულიოსთან. ესაა რესტორანი პალერმო ვიეხოში, რომელიც გვირჩია მზარეულმა მაურო კოლაგრეკომ (მენტონის ორვარსკვლავიანმა), რომელიც აქაა რამდენიმე პარიზელი არგენტინელის გვერდით, მათ შორის არიან ალფრედო არია და ომარ და ფონსეკა. დავსხედით და ცოტას ვსაუბრობ ფრანსუა ოლანდთან, რომელიც ბედნიერია ამ ლათინოამერიკული მოგზაურობით. აშკარაა, რომ არ ჩქარობს პარიზულ სიცივეში დაბრუნებას. დაწესებულება გადაჭედილია, კლიენტები ერთმანეთს ცნობენ, ის იწყებს ავტოგრაფების წერას, მაშინ, როდესაც ტიერი ბრაილარი, სპორტის მინისტრი ყურთასმენის წამღებ ხმაურში მამაცურად იწყებს „მარსელიეზას", რომელსაც გუნდურად აყვება მთელი დელეგაცია, და ბოლოს მთელი დაწესებულება უკრავს ტაშს, რასაც თან სდევს მიმტანების გაოცებული მზერა.

ხუთშაბათი, 25 თებერვალი

დილას, როდესაც ჩემს ოთახში, მე-7 სართულზე, ვუყურებდი ფილმს, გავიგე, რომ გარდაიცვალა ფრანსუა დუპეირონი, ვიცოდით, რომ ავად იყო. ის კონკურსზე ჩამოვიდა 2001 წელს ფილმით „ოფიცრების პალატა," ეს იყო პირველი რეჟისორი, ვისთანაც მონტაჟზე ვისაუბრე – თუ სწორად მახსოვს, მას რაღაც პრობლემები ჰქონდა დასასრულთან დაკავშირებით. მის პროდიუსერს ვურეკავ, მიშელ ალბერსტადტს, რომელიც დიდხანს მელაპარაკება. უკვე ბევრი ხალხი კვდება. პარიზში მინდა დაბრუნება.

ვფიქრობ ჩვენს გახსნაზე. ამ მომენტში ორი გამოსავალი გვაქვს: ბრუნო დუმონის ფილმი, კომედიად გამოცხადებული. ერთადერთი რეზერვი. წინა წლის ემანუელ ბერკოს შემდეგ, ეს იქნებოდა ფრანგული კინოს კიდევ ერთხელ წინ წამოწევა. მეორე ვარიანტი: ვუდი ალენი. ის უკვე ორჯერ ჩამოვიდა გახსნაზე საჩვენებელი ფილმით. თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, მისი ფილმი ზაფხულში გამოვა, მაგრამ ეს მაინც შესაძლო ჰიპოთეზაა ყოველთვის. ვუდი აშკარად ჩვენს გემოვნებას ესადაგება. კიდევ რა? ამჟამად მეტი არაფერი.

ვბრუნდებით კირხნერის კულტურულ ცენტრში. დედაქალაქის ძველ საფოსტო შენობაში მოწყობილი ეს უზარმაზარი ცენტრი მე-19 საუკუნეში ფრანგმა ააშენა. მას აქვს საუკეთესო ხარისხის აუდიტორიები, დიდი საგამოფენო დარბაზები და დიდებული ტერასები, რომლებიც გადაჰყურებს ქალაქის ცენტრს და თვალი ურუგვაის საზღვრებსაც კი სწვდება. მას აქვს პოტენციალი, თავისი „ლურჯი ვეშაპით“, რომელიც 1700-ადგილიანია, გახდეს კულტურის უდიდესი ადგილი, ლათინური ამერიკის ერთგვარი ბობური. ფრანსუა ოლანდი ყველა მიმართულების უამრავ შეთანხმებაზე აწერს ხელს. საფრანგეთი ყიდის „კულტურის კეთების უნარს“ და თუ ის გამონახავს სახსრებს, შეუძლია შექმნას რაიმე ძალიან მნიშვნელოვანი. ფრანგული კინოსთვის საუკეთესო კარტი არსებობს სათამაშოდ სამხრეთ ამერიკაში. კანი ყოველ წელს დაბრუნდება ვენტანა სურთან ერთად; აქტიურ ბერნარდო ბერჟერეს გაუხარდებოდა ლუმიერის გამოფენის მიღება და ლუმიერის ფესტივალის ადგილობრივი ვერსიის მოფიქრება. კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ბევრი რამ არის გასკეთებელი არგენტინაში, ჩილეში და სხვაგან. მცირე დრო გვაქვს სამხრისთვის, ტანგოს მინისპექტაკლზე ვართ, ისმის პიაცოლას პიესები, რომელთა შესახებაც პრეზიდენტს პატარ-პატარა კომენტარებს ვეუბნები. ამასობაში, უცებ დგება დრო, რომ გავიქცეთ ეზეიზას აეროპორტში, მივუსწროთ დღის ფრენას და ხვალისთვის პარიზში ჩავიდეთ.

პარასკევი, 26 თებერვალი

„კანი, ეს იყო ოლიმპიური თამაშები, ახლა, აქ საფრანგეთის ჩემპიონატია! თუ ვერ მოვიგებ, არა უშავს“, – მეუბნება ვენსან ლინდონი „ცეზარის“ დაჯილდოებს შესახებ, რომელიც იმართება შატლეს თეატრში. მოვკალათდით პიერ ლესკურთან ერთად და გვაინტერესებს, რა იქნება „ჩვენს“ ფილმებთან დაკავშირებით. დაბოლოს, პიერი იღებს ჯილდოს და ძალიან ლამაზადაც. ისევე როგორც მელანი ლორანი, რომელიც ჩემ გვერდით ზის და იმარჯვებს, როგორც საუკეთესო დოკუმენტური ფილმის ავტორი, ფილმით „ხვალ“. „შენ კარგი ფეხი გაქვს ჩემთვის“, – მეუბნება ის. კარგი საღამო იყო, რომელსაც უძღვებოდა ფლორანს ფორესტი, სტილის და იუმორის მწვერვალზე მყოფი ლიონელი ქალი (თავის სპექტაკლში – „მადამ ფორესტი“ – განაცხადა, რომ 50 წელი – ესაა მოზარდობის ასაკი ლურჯი საბანკო ბარათით“ – მხიარული ცხოვრების ათი წელი მაჩუქა).

ჩვენი გუნდისა და ალენ ტერზიანის, აკადემიის პრეზიდენტის, არაჩვეულებრივი მუშაობის წყალობით, ასევე ალენ როკას დამსახურებით, ნაკლებდ მოწონებული „კანალ+“ ამიერიდან უმჯობესდება და ემორჩილება ზუსტ წესებს: აკვირდება რიტმს, ცვლის მიზანსცენას, ამოკლებს მადლობებს. შეიძლება კინოს ოდნავი ნაკლებობაა საჯარო საუბრებისას, კლოდ ლელუშის და მიშელ დუგლასის საპატიო ცერემონიებზე, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი: არ ხდება არავითარი პარიზული თვითციტირება, ნაკლებია ტელევიზიით შთაგონებული ხუმრობა, არ არსებობს „გრან ჟურნალის“ საზეიმო გაგრძელება, ცერემონია იმართება სავალდებულო პასაჟებით, ემოციითა და გონიერებით.

„ცეზარის“ ჯილდოები აგვირგვინებს 2015 წელს. პრიზები კარგად განაწილდა და ყველა გახარებულია, ფილიპ ფოკონის „ფატიმას“ რომ გადაეცა ჯილდო, მათ შორისა ვენსან მარავალი, რომელიც გაგიჟდა, ისე მოეწონა, მაგრამ რომელიც მწერს: „ფატიმას რომ მარტინა რქმეოდა, ნაკლებს ილაპარაკებდნენ მასზე. სხვათა შორის, ზოგადად ფატიმებზე არ ლაპარაკობენ, ამ საღამოს გარდა...“ ტრადიციუ-

ლი ზედაფასება, მინიჭებული „პატარა ფილმებისთვის“, კლასიკური სქემა და არაფერი ჟაკ ოდიარისთვის, რომელსაც არ ეკუთვნოდა „ოქროს პალმა“ და მიდის ხელცარიელი, მაგრამ არა გაბრაზებული, სოფლელივით მშვიდი. არნო დეპლეშენს სამართლიანად მიენიჭა საუკეთესო რეჟისორის ჯილდო, იმდენი ხანია, ამას იმსახურებდა. ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო რეჟისორია.

შაბათი, 27 თებერვალი

სტეფან სელერიე: „ნიუ იორკში ვუდის ოფისში დავრეკე. თუ შენც თანახმა ხარ, ისინი არ არიან გახსნის წინააღმდეგები. მოგიმზადებ ჩვენებას შემდეგი კვირისთვის“. ამ ტიპებს კანი ისევე უყვართ, როგორც ჩვენ.

ნიუ-იორკიდან მარგარეტ ბოდი, „ფილმ ფაუნდეიშენიდან“, „კან კლასიკისთვის“ გვთავაზობს ფილმს „ორსახოვანი შურისძიება“, მარლონ ბრანდოს გადაღებულ ერთადერთ ფილმს. ყოველთვის მიყვარდა მისი თავშეუკავებელი ნარატივი და გადაღებისას მიღებული დაზიანებები, რაც მას დაუვიწყარ იერს სძენს, როგორც ჩარლზ ლანგის ღამეული ფოტო. მან ასევე მითხრა, რომ მარტის გაუხარდებოდა ეჩვენებინა დაკარგული ძვირფასი მეგობრის, ედვარდ იანგის იშვიათი ნამუშევარი „ტაიპეის ამბავი“, რომელსაც ჰოუ სიასიანის მეთვალყურეობით აღადგენდნენ.

კვირა, 28 თებერვალი

ერთი უმაქნისი ვინმე ვარ. ათამდე ფილმით უკან ვარ, მაგრამ არ მინდა ნახვა. თუ აქ ვარ, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაფერზე მეტად ფილმების ყურება და წიგნების კითხვა მიყვარდა. მაგრამ წესიერად არ შემიძლია დავტკბე ამით. ასეთი ეგზისტენცია საკუთარ საზღვრებს აწესებს. ეს კინომოყვარულებისთვის ნაცნობი კლასიკაა: როდესაც კინოში იწყებ მუშაობას, უფრო იშვიათად დადიხარ იქ. კინოდარბაზში აჩქარებით შესვლა, რათა იქ გაატარო 2 საათი და დაივიწყო საკუთარი ცხოვრება, მოდის ისეთი ქცევიდან, რისი საშუალებაც ჩვენ

აღარ გვეძლევა. სამსახური სიამოვნებაა, მაგრამ ჩემ შემთხვევაში სიამოვნება სამსახურად იქცა.

დღის ერთ ნაწილს ვაჯანჯლებ და ვყოყმანობ ყველაფერზე, თან არაფერს ვაკეთებ – მარი და ბავშვები წავიდნენ კევ ადამსის ახალი ფილმის – „ოფიციალური მეგობრების“ სანახავად – ნაცვლად იმისა, რომ მივვარდნოდი ფილმებს, რომელთა შესახებაც გაყიდვების აგენტები და პროდიუსერები ამბებს ელოდებიან. ვუყურებ მიშელ კურტიზის „უჩინარ გემს“.

– ჯეკ ლონდონი ბევრს ნიშნავს ჩემს ცხოვრებაში. „უორნერის“ 1941 წლის მშვენიერ შავ-თეთრ ფილმში, ედვარდ გ. რობინსონი თამაშობს ლუ ლარსენს, ლამაზი, შავგვრემანი იდა ლუპინო ცოტა მოაფერისტო ქალს ასახიერებს და ალექსანდრ კნოქსი სრულიად საპირისპიროა პერსონაჟის, რომელსაც თამაშობს დე ტოთის ფილმში „ვერავინ დააღწევს თავს“, რომელთანაც მისი სამუდამო იდენტიფიცირება მოვახდინე. სინდისი მქენჯნის, ვჩერდები. რამდენიმე აუცილებელი სატელეფონი ზარი და... ვირჩევ ველოსიპედს, ყურში სასმენები მიკეთია, ქარი სახეში მირტყამს, სიცივე ძვალ-რბილში ატანს... ვცდილობ დავივიწყო ეს დღე, რომელიც რეალურად არც დამდგარა. საღამოს სტადიონზეც კი არ მივდივარ, არადა, ლიონის „ოლემპიკმა“ „პარი სენ ჟერმენს“ პირველი წაგება აგემა. უკომენტაროდ.

ორშაბათი, 29 თებერვალი

ყველაფერი უკეთ მიდის – კარგად გამოძინებული, ამ დილით ვიგებ, რომ საუკეთესო უცხოური ფილმისთვის „ოსკარი“ გადაეცა ლასლო ნემეშს, ლოს-ანჯელესის დოლბი თეატრის სცენაზე. ეს 2015 წლის სელექციის ფილმი, რომელიც იყო ფესტივალის ძლიერი მომენტი, არაჩვეულებრივ განწყობაზე მაყენებს და მზად ვარ დედამიწის ყველა კუთხიდან უცნობი ფილმები მივიღო. მიყვარს ასეთი მომენტები, როდესაც ცხოვრება იცვლება, ნელდება კინოჩვენებების რიტმით და ჩქარდება დროის უკუღმა ათვლით. 7 კვირა გვრჩება.

ოფისში დიდი დღეების განწყობა ბრუნდება: ყველგან ხალ-

ხი ტრიალებს, ახალგაზრდები ზემოტივირებული არიან, ვხვდებით თანამშრომლებს, ვხედავთ უცნობ სახეებს, ისმის სიცილი, ყვირილი და დერეფნებსა და კიბეებზე მისვლა-მოსვლა, ერთი კვადრატული მეტრიც აღარაა თავისუფალი... ამ დილით ვერსად ვახერხებ ველოსიპედის დაყენებას, ჩემი ოფისის გარდა, სადაც მარი-კაროლინი მხვდება. ვსვამ ზედიზედ სამ ფინჯან ყავას. კრება იმართება პიერ ლესკურთან (სტატუსების გადახედვა, მომდევნო ადმინისტრაციული საბჭოს ბიურო), ჟერომ პაილართან („ბაზარს კარგი პირი უჩანს"), ფაბრის ალართან („აკრედიტაციები მატულობს 15 პროცენტით, წლის ამ დროს ნორმალურია") და ფრანსუა დერუსოსთან (სხვა დანარჩენი საკითხები). თავს ისე ვგრძნობ, თითქოს სწავლა დამეწყო, აღარ წავალ საზღვარგარეთ, უკანასკნელი წამის აუცილებლობის გარდა. ვაგემოვნებ ჩემს ბოლო ყავას და ვათვალიერებ პარიზის მე-7 ოლქის სახურავებს ჩვენი ტერასიდან. ამოიწურა მთელი დამცავი არსენალი, რაც კლავს მოგზაურობის სიყვარულს, მორჩა აეროპორტებში სირბილი, რიგებში ცდა, ქამრების მოხსნა, ფეხსაცმლის გახდა, კომპიუტერების გატანა, პასპორტების ჩვენება, ტრაპების შემოწმება, მოპირდაპირე კარის შემოწმება. „კმაყოფილი უნდა იყო სახლში დაბრუნებით", – მეუბნება კრისტიანი და რეალობაში მაბრუნებს. ამიერიდან, მასთან ერთად ვიქნები დღის ძირითად მონაკვეთში. მისი ოთახი ჩემს ოთახთანაა მოტყუპებული და ჩვენი დიალოგი მაისის ბოლომდე არ შეწყდება. ის ჩვეულებისამებრ გულჩთხრობილია (მობილური ტელეფონიც კი არ აქვს), დაჰფოფინებს თავის დღის განრიგს, სანაცნობო წრეს, წასაკითხ წიგნებს, უკვე მთლიანად მოიცლის. ის კინოჩვენებების ჩატარების მეტრია, ძალიან ეფექტური ანტურაჟი ჰყავს: ბრუნო მუნოსი, ფანი ბოვილი და ზოე კლეინი, აგრეთვე ახალგაზრდა სტაჟიორი სემ ჰიუსონი, რომელმაც შეცვალა თავისი ძმა ჩარლი, ორივენი ჯეიმს ჰიუსონის ვაჟები არიან, რომელიც არის ავსტრალიელი დისტრიბუტორი, პროდიუსერი, შემსყიდველი და მეწარმე. ასევე მოყვარულია ლუდის. ის გავიცანი ტელურიდში 25 წლის წინ. ამ ხალხთან მიმდინარეობს რეგისტრაცია, მათვე გადაეცემათ ფილმები.

უკვე ვწერდი გახსნისა და დახურვისთვის საჭირო ფილმებთან დაკავშირებით – მარტივი სიტუაციაა, არც ერთი გვაქვს, არც მეორე. მაგრამ გახსნისთვის ხვალ უნდა ვნახოთ ვუდი ალენის ფილმი, მარტის შუა რიცხვებში კი – ბრუნო დუმონის ფილმი. ორივე ჩვენთან იქნება.

საღამოს ვსადილობ რეჟის უარნიერთან, რომელსაც არასდროს ელევა ანეგდოტები - მისი გამოგონილი ანეგდოტები სასაცილოა, უმაღლესი დონისაა, მაგრამ ვერ მოვყვები – ყველა ცნობილ ადამიანებზეა. გასაცინებლად, „მუსტანგს“ უწოდებს „პონის“. მისი საუბარი შემეცნებითი ხასიათისაა, რადგან რეჟისორის თვალთახედვა კინოზე – ეს არის პრაქტიკოსის და არა ისტორიკოსის ან კრიტიკოსის საუბარი. ფრანსის ჟირო, რომელიც იყო რეჟისის მენტორი, აღიარებდა, რომ უკეთესი მაყურებელი იყო, ვიდრე ავტორი. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ საკუთარ თავს გადაუვლიდა ხოლმე: „რომ შევაჯამოთ, ჩვენ ყველაფერზე ვთანხმდებით ჩემი ფილმების გარდა!“ – ჰქონდა ნათქვამი კრიტიკოს პასკალ მერიჟოსთვის. რეჟისი, რომელმაც ყოველთვის ყველაზე ყველაფერი იცის, შეგვიძლია გადავრთოთ მიზოგუჩის ფილმზე, ჩვენ კი შევაჯამოთ წლის ცეზარები და ოსკარები. ერთ რამეში ვართ დარწმუნებულები: „კანი ყველაზე მაღლა დგას“. დღეისთვის, „ინდოჩინეთი“ უკანასკნელი ოსკაროსანი ფრანგული ფილმია, რომელსაც ეს ჯილდო მიენიჭა საუკეთესო უცხოური ფილმის კატეგორიაში. მასში თამაშობს კატრინ დენევი, რომელზეც ახლა ვფიქრობ.

მარტი

სამშაბათი, პირველი მარტი

ვუდი ალენის ფილმის ჩვენებაა. სანამ ულონში, „ტექნიკოლორის“ დარბაზში შევიდოდი, კაროლ ბუვიემ, „მარს ფილმზიდან“, ვუდის შეტყობინება გადმომცა: „ეს სამუშაო ვერსიაა, ფერები ჯერ არ ჩასწორებულა, ხმების მიქსი ჯერ არ გაკეთებულა. რამდენიმე ვიზუალუ-

რი ეფექტი დასამატებელია, ძირითადი ტიტრების მუსიკა დროებითია და დასასრულის ტიტრებს ჯერ არ ადევს მუსიკა“. მაშასადამე, ეს არის სამუშაო ასლის ჩვენება, ანუ სუბტიტრების გარეშე, დარბაზში კინოჩვენებისთვის აუცილებელი კომფორტის გარეშე, შაბათ საღამოს ქალაქში.

ფილმმა მოგვხიბლა, კრისტენ სტიუარტი აბსოლუტურად გამაოგნებელ პარტიტურას გვთავაზობს: ამ გოგოს ყველაფერი შეუძლია, ყველაფრის განსახიერება. ფრანგები მართლები იყვნენ, „ცეზარი“ რომ მიანიჭეს. მასთან, ჯეს ეიზენბერგთან და სტივ კორელთან ერთად ვუდი 90-იანი წლების შთაგონებას პოულობს. პატარა ისტორიული ფილმია, სადაც ახალგაზრდა ნიუიორკელი ებრაელი არივისტი ბედს კალიფორნიაში მიჰყავს, „რადიოს დღეების“ ლავ სთორის ჰოლივუდური ვერსიაა. „რას ფიქრობ, გახსნაზე კარგად ჩაჯდება?“ – მეკითხება სტეფან სელერიე. კი, ნამდვილად. მაგრამ ვერ ვუპასუხებ, ვიდრე არ ვნახავთ ბრუნო დუმონის ფილმს. ბრუნოსაც შევპირდით, რომ მის კანდიდატურასაც განვიხილავდით. ისევ იწყება მოლოდინი, თუმცა ამიერიდან უფრო მშვიდი. ყოველ შემთხვევაში, ვუდის ფილმს ვეპატიჟები ოფიციალური სელექციაზე.

ცრის, და ეს პარიზული წვიმა ჩემს დაღლას ამსუბუქებს (ვგიჟდები წვიმაში ველოსიპედით სიარულზე). პიერ ლესკურთან მივდივარ და შემდეგ, „ტელერამას“ საუზმეზე, სადაც ფაბიენ პასკოს, ბრუნო იშერისა და პიერ მურას კომპანიაში ვხვდები. ისინი უკვე ფიქრობენ კანის შესახებ დასაწერ სტატიებზე და სურთ ინტერვიუ ჯორჯ მილერთან. პირველები არიან, ვინც ოფიციალურად ითხოვენ ამას. ჩვენც ვუცხადებთ ოფიციალურ თანხმობას – ჯორჯი დაგვპირდა, რომ შეასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებებს, როგორც ჟიურის პრეზიდენტი; ინტერვიუს ორელიენ ფერენკზი გაუძღვება, სკაიპით. გაჩაღებული საუბრისას დიდი გზნებით ვახსენებ პიერს (მიურას) და წინა წლის კონკურსზე მისთვის დამახასიათებელ გამოხტომებს. მიყვარს კამათი, მაგრამ პიერი (ლესკური) კოპებს კრავს. მართალია, არ უნდა მეთქვა.

ოთხშაბათი, 2 მარტი

გუშინ საღამოს შევიარე ლუმიერის ინსტიტუტში ჟაკ ლანგის დასახვედრად. სამართლის პროფესორი ჟაკ ლანგი ფესტივალს ხსნის თემით „კანონები, სამართალი და კინო“. ეს „ლიონში ცალი ფეხით დარჩენას“ ნიშნავდა, რაზეც ჟილ ჟაკობმა თანხმობა მომცა. მას მხარი აუბა კატრინ ტასკამ, რომელმაც შატო ლუმიერში გზად შემოიარა. „მესმის, აქ დარჩენა რატომ გინდათ“, – ამბობს აქაურობით მოხიბლული. ეს მაძლევს საშუალებას, პირველი ფილმის ქუჩაზე კვლავ ვიარო, ვიგრძნო პუბლიკა, დავუბრუნდე ჩემს თანაგუნდელებს... ლორა პუატრას „მოქალაქე ოთხის“ ჩვენების შემდეგ, ჟაკ ლანგმა აუდიტორიას შესთავაზა ბრწყინვალე მიმოხილვა ედვარდ სნოუდენსა და „განგაშის ამტეხებზე“. საინტერესოა კიდევ ერთხელ ნახვა ფილმის, რომელმაც წინა წელს „ოსკარი“ აიღო, როგორც საუკეთესო დოკუმენტურმა ფილმმა. ამავე თემაზე ჰქონდა ოლივერ სტოუნს უფრო ინტიმური და რომანული ვერსია, რის შემდეგაც დოკუმენტური ფილმი უფრო სრულყოფილი ჩანს. ამიტომ, კიდევ უფრო დასანანია, რომ მისი ნამუშევარი დაიკარგა. საღამოს, რაღაც დროით, განვმარტოვდი შატო ლუმიერის ეზოში ტომ როტმანთან სალაპარაკოდ. ის „სონი კოლამბიადანაა“. მან ლოს-ანჯელესიდან გამაგებინა, რომ ჯოდი ფოსტერი თამაშში ბრუნდებოდა. შევთავაზე პირველი ხუთშაბათი, საღამოს 7 საათი, „შეშლილი მაქსის ადგილი“, გლამურული, კონკურსგარეშე, ფესტივალის დასაწყისში. თანახმანი არიან. ჩემი ერთადერთი მოთხოვნაა, მსახიობები სრული შემადგენლობით იყვნენ კიბის საფეხურებზე. „ჯოდი და ჯორჯი იქ იქნებიან“, – მპირდება ტომი. და ჯულია რობერტსი? ის იშვიათად ჩნდება საერთოდ და კანში ჯერ არასდროს ჩამოსულა. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი ჩამოყვანა, მაგრამ ისეთი განცდა მაქვს, ეს ამბავი ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

დილას ვატარებ რამდენიმე პროდიუსერთან საუბარში, ვამშვიდებ მათ, ვეუბნები, რომ შემოთავაზებულ ფილმებს სიამოვნებით ვნახავთ. ვინც პირადად მიკავშირდება, პირადად ვეუბნები (ტელეფონით, მეილით, მესიჯით), რომ საწყის ეტაპზე ყველას ეძლევა შანსი; რომ კანის

ფესტივალის ოფიციალურ წარმომადგენელს არ აქვს სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმე, გარდა იმისა, რომ ესაუბროს ფილმის შემქმნელებს. ამ დილით შარლ ჟილბერმა დამიდასტურა, რომ ოლივიე ასაიას ფილმი იქნება წარმოდგენილი. ეს ნამდვილად კარგი ინფორმაციაა. ინტონაციითაც უნდა მიხვდე ფილმის მნიშვნელობას.

ვუდი ალენის ფილმი, ჯუდი ფოსტერის ფილმი, ფილმები შემოდის. კრისტიანის აზრით, ყველაფერი თავის რიტმში ზის. ხვალ დარდენის ფილმს ვუყურებთ, რასაც ადასტურებს დენის ფრეიდის პროდიუსერი.

ხუთშაბათი, 3 მარტი

დილის 4 საათზე გამეღვიძა. საათობრივი სხვაობის კვალიც აღარ მეტყობა, უბრალოდ პატარა უძილობა მჭირს, „სიფხიზლე, რომელიც სამოთხეს სატანჯველ ადგილად აქცევს“, – ამბობდა სიორანი. უძილობისა რაღაც გამეგება, ხშირად მახსენებს თავს რაიმე სამზადისის დროს, რადგან ტვინი არასდროს წყვეტს მუშაობას. ამ დროს ყველაფერს ზედმეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ბნელა და ეჭვები გავსებს. შუქი ავანთე, რომ ცოტა წამეკითხა (ამჯერად დავიდ კრონენბერგის რომანი) და რამდენიმე ხერხის საშუალებით (ჩემი ფიქრებიდან სელექციის განდევნა, კიმე-ნო-კატას ხელმეორედ გაკეთება, ძიუდოს მოძრაობების სერია, გალიბიეს უღელტეხილის კონტურის გახსენება) ძილი შევიბრუნე. მაგრამ 5 საათს თუ დავიძინებ: სელექციის დღეები უბრალო დღეები არაა, დიდ ყურადღებას მოითხოვს და ზოგჯერ დაუსრულებლად გრძელდება.

„დარდენები“. ორი ძმის აღმნიშვნელი ერთი სიტყვაა, რომელიც მარკად იქცა. მათ აღმოაჩინეს არაჩვეულებრივი ტალანტები: ჟერემი რენიე, დებორა ფრანსუა, ოლივიე გურმე, ემილი დეკენი... აგრეთვე ბოლო ორ ფილმში მიწვეული მსახიობები სესილ დე ფრანსი („ბიჭუნა ველოსიპედით“) და მარიონ კოტიარი („ორი დღე, ერთი ღამე“), რომლებიც მათი სამყაროს ნაწილად იქცნენ. „უცნობ გოგონაში,“ რომელსაც დღეს ვუყურეთ, ადელ ჰანელი თამაშობს, ულამაზესი და შემაშინებლად ცივი. განასახიერებს ახალგაზრდა ექიმს, რომელიც აფ-

რიკელი ქალის უკანასკნელ საათებს იხსენებს, ფიქრობს იმ „უცნობ გოგონაზე“, რომელსაც არ დაეხმარა.

თუ ავტორი ფასდება თემების მუდმივობით, აქ ასეთი რამდენიმე თემაა: ყოველწამიერი სოციალური აქტივობა, ინდუსტრიულ საზოგადოებაში მარტოობა, უმცირესობების ბედი, პრინციპულობა, რასაც ერთვის მკაცრი მიზანსცენა, უარყოფილია სასცენარო კომპრომისები. მეტისმეტია ალბათ ერთგვაროვანი მანერით გადაღება, სტილსაც აქვს თავისი ზღვარი და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორი თავის თავს იმეორებს (რასაც მე, პირადად ვერ ვხედავ) და ისეთ წინასწარ ჩაფიქრებულ დრამატურგიულ ხერხს მიმართავს, რომელიც ატონალურია, მაგრამ გამაოგნებელი.

კომიტეტის წევრები თითქოს ყოყმანობენ, მაგრამ ფილმი უეჭველად მიიღებს მონაწილეობას კონკურსში. ვიცით, რომ სალაპარაკოს მივცემთ მათ, ვინც დარდენების ხელახალ გამოჩენას გააკრიტიკებს. როდესაც პრესა ახსენებს „კანის აბონენტებს“, ხშირად სწორედ დარდენებს გულისხმობს. ფეხებზე გვკიდია. ეს კინო რჩება აუცილებლობად. 2016 წლის კონკურსისთვის უკვე 5 ფილმი უკვე გვაქვს.

შემთხვევითობა კარგ ოინს გვიწყობს ხოლმე. ხანდახან, ორი ფილმის ნახვა გაიძულებს ერთგვარ ფრთხილ შეფასებას. ფილმში „ზარმაცი მოსწავლე“ პოლ ვეკიალი (რეჟისორი და მსახიობი ფილმისა „ქალები, ქალები“) თავს უყრის თავისი ცხოვრების ქალებს, ან მათ, რომლებსაც ეს უკანასკნელნი მის თვალში ქმნიან. ესენი არიან: ფრანსუაზ არნული, ანი კორდი, ფრანსუაზ ლებრენი, მარიან ბასლერი, ედით სკობი და კატრინ დენევი. ეს არის ფრანგი რეჟისორის ფილმი, ინტიმური, ძლიერი სცენებითა და დაუდევრობის მომენტებით, გულში ჩამწვდომი ფინალით. თან პოლ ვეკიალი აქამდე არასდროს ყოფილა კანში. ეს გასათვალისწინებელია.

ჩვენებას ვაგრძელებთ ჟან-ფრანსუა რიშეს ფილმით „ბიოლოგიური მამა“. ეს არის ამერიკული კრიმინალური კომედია, რომელშიც მოთხრობილია ლოთი მამის ხელმეორედ დაბადების ამბავი, თუ როგორ გადაარჩენს იგი ქალიშვილს ბოროტი მექსიკელი განგსტერე-

ბისგან. მთავარ როლებში არიან: მელ გიბსონი დამაჯერებელი თამაშით, ერინ მორიარტი, რომლის გვარიც ეს-ესაა დაემატა ახალგაზრდა კარგი მსახიობების სიას შტატებში, დიეგო ლუნა, რომელიც ერთობა ბოროტი პერსონაჟის თამაშით და უილიამ ჰ. მარსი, მსახიობი, რომელიც ერთიანად გიპყრობს (სხვათა შორის, იგი უაღრესად პირადული ფილმის, „უმართავის" რეჟისორიცაა). ფილმის პროდიუსერია პასკალ კოშეტე, დეპლეშენისა და ოდიარის პროდიუსერი. პასკალი კმაყოფილია, რომ მოგვეწონა. ამ ფილმს შეუძლია შუაღამის სეანსზე გავიდეს.

დასრულდა კინოს ერთი ლამაზი დღე. გავიქეცი შეხვედრაზე. „კვარტეტი კარტე" რესპუბლიკის მოედანზე მდებარე ერთ-ერთი რესტორნის სახელიც არის და ჯგუფისაც. მის ოთხ წევრს შორის – სილვი პიალა, სერჟ კაგანსკი, რეჟინ აშონდო – მეც ვარ და ჩვენ ხშირად ვსადილობთ აქ. მოფუთფუთე ადგილია, რომელსაც ჩვენი სიმღერებით ვამხიარულებთ. დღესაც გველოდება სასიამოვნო საღამო, ღმერთებისგან დალოცვილი და სულების აღმადგენელი თბილი მომენტი, ოთხი ადამიანის პატარა ზეიმი ჟამთა სვლაზე ან ეგზისტენციაზე სასაუბროდ, ან ხუმრობისთვის, მომენტი, როდესაც განვაგდებთ სიცარიელეს და ბრძოლის ხალისს დავიბრუნებთ.

პარასკევი, 4 მარტი

ლუდის ბარ „ევროპელში" დილის შეხვედრა მაქვს იზაბელ დანელთან, ფრანგული კინოსა და ტელეფილმების კრიტიკოსთა პროფკავშირების პრეზიდენტთან, ვინც, შესაბამისად, ფესტივალის ადმინისტრაციის წევრია. მან უნდა წარადგინოს კრიტიკის კვირეული. უცნაურია, რომ კანის ფესტივალს არ ჰყავს თავისი წარმომადგენელი პროფკავშირებში, არც კინორეჟისორთა საზოგადოებაში, რომელიც ჩვენს კომიტეტშიც არის და „კენზენსაც" უწევს ორგანიზებას. იზაბელს სურს მესაუბროს მათი სასელექციო კომიტეტის აკრედიტაციის წესზე (ვრცელი საკითხია აკრედიტაცია), მისი წევრების დაფინანსებაზე და „ფიპრესისთვის" (კინოპრესის საერთაშორისო ფედერაცია) მიძღვნილი ღონისძიების გამართვაზე. პრესის საერთაშორისო პროფკავშირი

კანში ყოველ წელს გასცემს საკმაოდ სასურველ პრიზს.

შემდეგ ისევ ველოსიპედი, წვიმა, ოფისი, კაფეები. გუშინ, დღის განმავლობაში, 6 ფილმი ვნახე: ჩინური, ინგლისური, ორი ამერიკული, ერთი ეკვატორიდან და დარდენების. დღეს არაფერი. მხოლოდ კრებები. პროვინციაში ვბრუნდები უიკენდზე.

„გრან კაფე დე ნეგოსიანში" ვსადილობ ალენ გიროდისთან ერთად, რომელიც ლიონში გავლითაა, „ეკრან მიქსტის" ფესტივალზე. გიროდიმ 2013 წელს სენსაცია მოახდინა თავისი ფილმით „უცნობი ტბიდან" და ამით ის მნიშვნელოვანი ფრანგი რეჟისორების რანგში ამაღლდა. მის ნამუშევრებზე ვგიჟდები, „გაქცევის მეფე" იყო ექსტრავაგანტურად თავისუფალი და ორიგინალური ნაწარმოები. წარმოშობით სამხრეთ-დასავლეთიდანაა. ველოსიპედისტია, სხარტი მოსაუბრე, მოულოდნელი ციტატების მოყვარული (ხალხის წინაშე ბუასეს და კოსტა გრავას სასარგებლოდ ისაუბრა), პროვინციელების რეჟისორია, გლეხების, მუშების, მოხუცების, ახალგაზრდებისა და ჰომოსექსუალების: „ჩემს ფილმებში, – ამბობს მჭახე აქცენტით, – უფრო მეტი ჰომოსექსუალი გლეხია, ვიდრე საზოგადოებაში, მაგრამ სხვა ვინ ილაპარაკებდა მათზე?" ახლა ამონტაჟებს თავის ახალ ფილმს, რომელსაც სილვი პიალა (მისი პროდიუსერია, რომელსაც გუშინ საღამოს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია იგი) წარმოგვიდგენს აპრილის დასაწყისში. ალენი ამ ყველაფერზე მელაპარაკება იმიტომ, რომ მეც იმავეზე ველაპარაკები. – „ლიონში ამის გამო არ ჩამოვსულვარ, კარგი?"

შაბათი, 5 მარტი

მივიღე მეილი ფილიპ გარნიესგან, ის ახლა ბუდაპეშტშია ევა გარდოსთან ერთად გადაღებაზე. წარმოშობით ჰავრიდანაა, მაგრამ საბოლოოდ ლოსანჯელესელი გახდა. მწერალი, ჟურნალისტი, ისტორიკოსი, მთარგმნელი... პირველი დღეებიდანვე ლუმიერის ინსტიტუტის ერთგულია. ის არის ანდრე ტოთის მეგობარი, შანდლერისა და ჯონ ფანტის საუკეთესო მცოდნე. პროგრამისტიცაა, რომელიც იდეების ნაკლებობას იშვიათად განიცდის: „შენ ახლა ამაზე საფიქრალად

სად გცალია, მაგრამ კარგი იქნებოდა სტერლინგ ჰაიდენისთვის მიგ-ვეძღვნა ერთი ღონისძიება, გვეჩვენებინა მისი მონაწილეობით 5-6 ფილმი, რომლებიც ნაკლებად პოპულარულია, აქედან ორი სტიუარტ ჰაისლერის და ერთიც შავ-თეთრი, „მოგზაურობა სინათლისკენ“ (ჰაისლერი, 1950 წ.). ჰაიდენის გმირი აღმოსავლეთ სანაპიროს (!) პასტორია, რომელიც თავის საქმიანობას მიატოვებს, როდესაც მისი ალკოჰოლიკი ცოლი თავს მოიკლავს (ბოთლის ნამტვრევით). მერე თვითონაც გალოთდება, გარე-გარე დაწანწალებს და ბოლოს ლოს--ანჯელესში, Skid row-ზე აღმოჩნდება. შემდეგ უსახლკაროთათვის განკუთვნილ მისიაში დაიწყებს მუშაობას და ნელ-ნელა თითქოს ისევ სარწმუნოებისკენ დაბრუნებას ცდილობს ვივეკა ლინდფორდის (მა-დამ დონ სიგელი) და უსახლკარო მაწანწალების ბანდის დახმარე-ბით. ვიჯი იყო ფილმის კონსულტანტი, რომელსაც ევალებოდა სცენე-ბის, უსახლკაროთა უბნის და ლოთების საკნის ავთენტურობა. არაა კარგი ფილმი, მაგრამ უცნაური კია.

ასევე იქნება ალბათ „ვარსკვლავი“, ისევ ჰაისლერის ფილმი (1952 წ.), ისევ ჰაიდენის მონაწილეობით, მაგრამ ამჯერად ისეთ როლში, რომელიც ძალიან ახლოა მის ნამდვილ სახესთან, როგორიც იყო 1952-ში და ადრე. ის განასახიერებს ყოფილ მსახიობს, რომელსაც სძულს თავისი თავი პროფესიის გამო. ყოფილი ცოლი კი (ბეტ დე-ვისი) აუტანელი ვარსკვლავია, რომელიც მას უბრუნდება. უცნაურია.

შემდეგ: „შიშველი ალიბი“. „ღატაკის წყურვილი ბოროტებისა“. აქ ჰაიდენი საოცრად კარგია, გლორია გრეჰემი – კიდევ უკეთესი, ისევ თავის ყავის მადუღარით. რა თქმა უნდა, ტოთის „დანაშაულის ტალ-ღა“. ჰო, აბა რა. და „ასფალტის ჯუნგლი“, უნაკლო ფილმი და ის ძა-ლიან კარგია აქ.

უმჯობესია, შევჩერდეთ ამ პერიოდზე, როდესაც ის ჯერ კიდევ ლამაზია და ალკოჰოლს არ გაუნადგურებია (როგორც 1900-იანებში ხდებოდა).

კარგი. შენ მითხარი. არადა, დამირეკე, სასიამოვნო იქნება. ფილიპი“.

P.S.: ლიონში ყოველთვის დაცულია წონასწორობა „აღმოჩენებსა“, მთლად პიონერებსა (ედი მულერი, შარლ ბრაბენი, იაპონელები საიქიოდან) და სანახაობრივს, ანუ სტუმართმოყვარეობას შორის. აქ ცოტა ორივე იქნებოდა. თუ წლეულს მეტისმეტად ბევრი ამერიკელია, სხვა დროსაც შეიძლება ამის ჩატარება. წელს ვის გადაეცემა ლუმიერის პრიზი? აჰ აჰ. გკოცნი“.

ყოველთვის გადასარევია ასეთი წერილები, უკვე თითქმის ლეგენდარული სტატიის დასაწყისივითაა. ამას გარდა, აზრზე არ ვარ, რას ნიშნავს Skid row.

კვირა, 6 მარტი

სკოტ ფაუნდასს, დაბადებულს ტამპაში, ფლორიდაში, მცხოვრებს ლოს-ანჯელესში, დაუსრულებლად შეუძლია ისაუბროს ჰოლივუდურ კლასიკაზე ან პორტუგალიელ მანოელ ოლივეირაზე, ან რუს ანდრეი ზვიაგინცევზე. საერთაშორისო კინოს მოქალაქეა, რომელმაც მოიარა მთელი პლანეტის ფესტივალები და რომელსაც თანაბრად უყვარს სტრაუბი და ლელუში. შარშანდლამდე კინოკრიტიკოსი იყო: თავისუფალი, ენციკლოპედიური და ღრმა. მისი რიდი ჰქონდათ, რაც ნორმალურია, მაგრამ ვერასოდეს განჭვრეტდი, რას მოიმოქმედებდა. ეს არც ისე კარგი სკოტს ყოველთვის იზიდავდა მოძრაობა, თუმცა, როგორც ნამდვილი ინტელექტუალი, ველოსიპედზე თავს ძლივს იმაგრებდა, ყოველ შემთხვევაში, ლიონში, კარნოსა და ტეროს მოედნებს შორის მონაკვეთში. 5 წლის წინ პირველად უღალატა „ვარიეტეს“, რათა „ლინკოლნ ცენტრის“ ფილმის საზოგადოებაში შესულიყო. სწორედ იქ მოაწყო კლოდ სოტესადმი მიძღვნილი პირველი სერიოზული ნიუიორკული რეტროსპექტივა, რის შემდეგაც დაწერა „სოფლის ხმა“ და დაუბრუნდა „ვარიეტეს“. გადამწყვეტი ნაბიჯი წინა ზაფხულს გადადგა, როდესაც გადავიდა „ამაზონ სტუდიოში“, კინოგაერთიანებაში, რომელიც „უორლდ კომპანიმ“ დააარსა. მას მერე, რაც საავტორო ფილმებით დაკავდა, ბარიერის მეორე მხარეს აღმოჩნდა და მაშინვე შეამჩნია, რომ „სულ სხვა ოპერაშია“. რამდენიმე დღის წინ გადმომ-

ცა დამაინტრიგებელი პროგრამა 2016 წლისთვის: „ჯიმ ჯარმუშის ორი ფილმი: „პატერსონი“ და „მომე ხიფათი“ (რაც ალბათ გახდება მისი პირველი მსოფლიო მასშტაბის ფილმი ოსტინის ფესტივალზე, არ გაბრაზდე!) (კი, მე ვბრაზდები). ჩვენ ასევე ვიყიდეთ ნიკოლას უინდინგ რეფნის „დემონი ნეონი“ და პარკ ჩან-ვუკის „ხელნაკეთი“. გვექნება ალბათ ვუდი ალენის ნამუშევარიც, მაგრამ არ ვიცი, უნდათ თუ არა მათ კანში ჩამოსვლა“. „ჩვენ ვიცით, ყოველ შემთხვევაში, ეს ყველაფერი რადარით კონტროლდება“. სკოტი დიდხანს მიხსნის მიდგომებს, რასაც მათი პირველი რამდენიმე არჩევანი ადასტურებს. მან იმუშავა ბობ ბერნისთან, რომელიც მოწინავეა მარკეტინგში და ტედ ჰოუპთან ერთად, რომელიც „გუდ მაშინის“ ეპოქაში, სამხრეთ სანაპიროზე მდებარე პროდიუსინგის სახლში კომპანიონობას უწევდა ჯარმუშს, ჰალ ჰარტლის, სოლონდზის, ინიარიტუს, ან ანგ ლის. „ამაზონი“ იცავს დამოუკიდებელ იდეას საერთაშორისო საავტორო კინოს შესახებ, სურს იყიდოს მასზე საავტორო უფლებები, მათ შორის დარბაზებში გაშვებისა და პროდიუსინგის. ეს „ნეტფლიქსი“ არაა, რომელიც უპირატესობას ანიჭებს თავის საყრდენს, მიგაწებოთ თქვენი სასტუმრო ოთახის სავარძელს; „ამაზონს“ უნდა, შტატებში უფრო ფართოდ გაიღოს კარი იმისთვის, რასაც ჩვენ საფრანგეთში, 50-იანი წლებიდან მოყოლებული, „ხელოვნებისა და ცდების“ კინოს ვეძახით.

ორშაბათი, 7 მარტი

ბურუსი და ყინვაა, საფრანგეთი თეთრია და ლამაზი. კვირა იწყება კრება-სემინარით ფესტივალთან დაახლოებულ გუნდთან, რომელსაც შეუერთდნენ „კანელები“. მთელი დილა გვაქვს სხვადასხვა საკითხის განსახილველად, შესაჯამებლად, გარკვეული მოსაზრებების გასაზიარებლად, განსაკუთრებით ფესტივალის სანახავად (რომელიც ნამდვილად არ გამოდგება სიმარტივის სიმბოლოდ), სიმპათიის, სიყვარულის გამოსახატავად, უშუალო ურთიერთობისთვის. შარშან, წითელ ხალიჩაზე შესვლის მომწესრიგებლის გადაჭარბებულმა მონდომებამ (რომელსაც არ მოსწონდა დაბალქუსლიანი ფეხსაცმლით

მოსიარულე ქალები) გამოიწვია საინფორმაციო ქარიშხალი, რომელიც წამოიწყო ჟურნალმა „სკრინ“, აიტაცა „ლიბემ“... დაგვადანაშაულეს, რომ ვაფასებდით ადამიანებს ჩვენი სიმპათიის მიხედვით (რაღაც ასეთი, ვარსკვლავები აკეთებენ იმას, რაც მოეპრიანებათ მაშინ, როდესაც საწყალი უშნო ქალები უხეში მოპყრობის მსხვერპლნი ხდებიან). ამერიკულმა პრესამ, უზომოდ გახარებულმა, რომ ფრანგებისთვის თითის დაქნევის საშუალება მიეცა, ამ ამბავს „talon-gate“ უწოდა, მათდა სამწუხაროდ, ვინც მასპინძლობს 30 000 ადამიანს, რომლებიც ყოველდღიურად სტუმრობენ „პალეს“. ყოველ შემთხვევაში, ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს და ეს კრება სასარგებლოა იმისთვის, რომ ჩვენივე ქცევები კრიტიკულად შევაფასოთ. ვეხებით ასევე ზეიმების ფაქიზ საკითხს, ვაზუსტებთ გარემოს, სურვილებს, რაოდენობას... ზეიმების გარეშე რა იქნებოდა კანის ფესტივალი? ეს კითხვა ფუნდამენტურია.

პიერმა, რომელსაც არ უყვარს ხანგრძლივი დისკუსიები, ნაშუადღევს სასწრაფოდ შეკრიბა ფესტივალის ადმინისტრაცია არაერთი საკითხის განსახილველად. ესენია: სტატუსების შემოწმება, ერთმანეთთან იერარქიულად დაკავშირებულებს შორის ურთიერთობის განხილვა, მიღება ოფიციალური აფიშისა, რომელიც იქნება ჩვენი მომდევნო განცხადების ობიექტი. ყველაფერი რიგზეა.

კრისტიანი: „ხვალ სერიოზული საქმეები იწყება, პრესკონფერენციამდე ყოველდღე გვექნება ჩვენებები“. არც ჩვენ გვაქვს დახურვის ფილმი. ეს საკითხი ყოველ წელს უფრო და უფრო დელიკატური გადასაწყვეტია: რაც შემოდის, განგიზიდავს, მათი მსახიობები გადასცემენ პრიზებს სხვა ფილმებს, ყველა ძალაგამოცლილია, პრესის რაღაც ნაწილი აქ აღარ არის, ფესტივალი დასრულებულია. წავიდა ის დრო, როდესაც დახურვა იყო აუცილებლობა და კანს ახსოვს კიდეც რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ჩვენება: სპილბერგის „E.T.“, რომლის მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ ძველი სასახლე ემოციების ქარიშხალმა მოიცვა, ან „თელმა და ლუიზი“ 1991-ში, ფილმისა, რომლის ტრიუმფით დაიწყო მისი კულტი და ეს თაყვანისცემა დღემდე

გრძელდება. ერთი საინტერესო ფაქტი: 1975 წელს დახურვის ფილმი იყო... კენ რასელის „ტომი“, რომელსაც ესწრებოდნენ მაიკლ ჯეკსონი, მადონა, ანუ U2, რომლებმაც მოგვიანებით კიბის საფეხურებს ცეცხლი წაუკიდეს. მათ ჰყავდათ ღირსეული წინამორბედები. ბოლო დროს გვქონია ლამაზი დახურვები (კრისტოფ ონორეს „ძალიან საყვარლები,“ ჟერომ სალის „ზულუ“ ან ლეონეს ფილმის „ერთი მუჭა დოლარებისთვის“ რესტავრირებული ასლი, ტარანტინოს გაკეთებული)... ყველაზე ამაღელვებელი იყო „ტერეზ დესკერუ“, კლოდ მილერის ბოლო ფილმი. საერთოდ, ვერ ვიტან, რომ ამბობენ, ამა და ამ რეჟისორის ბოლო ფილმიო. უნდა ითქვას – ახალი ფილმი. ცრურწმენის ამბავია ალბათ, ერთგვარი მანერა, რომ შეწყდეს ხელოვანთა გაქრობა, პატარა ფეხის გადაბრუნების გამო. სამწუხაროდ, ეს ფილმი მართლა ბოლო აღმოჩნდა კლოდ მილერისთვის, რომელიც ფესტივალამდე ერთი თვით ადრე სიმსივნით გარდაიცვალა და რომელმაც მოასწრო დროის გამონახვა და კანამდე დაამთავრა მონტაჟი, დაამტკიცა აფიშა და სარეკლამო კამპანიას მწვანე შუქი აუნთო. თითქოს უნდოდა დაავადების დამარცხება: გადაღება და დროულად დასრულება ფილმისა, რომელიც იქნებოდა ისეთი, როგორიც მას სურდა. რამდენიმე კვირით ადრე, პარიზის მე-12 უბნის საავადმყოფოს პალატაში, სადაც მისი მეგობრები მიმოდიოდნენ უკვე ბევრი კვირის განმავლობაში, ღელავდნენ და უკვე საკუთარ თავში იკეტებოდნენ, მე მოვასწარი მისთვის მეთქვა, მისთვის, ვისაც ასე უყვარდა ფესტივალი, რომ „ტერეზ დესკერუს“ ვეპატიჟებოდი ოფიციალურ სელექციაზე. მის გამხდარ, ტანჯვისგან შეცვლილ სახეზე ღიმილმა გადაირბინა.

ხელოვანთა დაკრძალვაზე კუბოებს ეკლესიებიდან გამოასვენებენ ხოლმე და შეკრებილები ტაშს უკრავენ. ამ საღამოს კლოდის სახე ლუმიერის უზარმაზარი დარბაზის ეკრანზე გამოჩნდა, რასაც ხანგრძლივი ოვაცია თითქოს იმის გამოსახატად მოჰყვა, თუ როგორი გამორჩეული ადგილი ეკავა მას ფრანგულ კინოში და რომ კლოდ სოტემ და ფრანსუა ტრიუფომ ის ძალიან ადრე აღიარეს.

დისკუსიას ვასრულებთ იდეით: რატომ არ შეიძლება გადავწყვი-

ტოთ, რომ დახურვაზე... არ იყოს ფილმის ჩვენება? ნაცვლად ამისა, შეგვიძლია ეკრანზე გამოვსახოთ ის, ვინც რამდენიმე წუთში „ოქროს პალმის“ მფლობელი გახდება. „მომწონს“, – თქვა პიერმა, – როცა საღამოს დავურეკე. კვირიდან კვირამდე მისი მზერა უფრო და უფრო მახვილი ხდება. ფესტივალზე მას აქვს მაყურებლის, ჟურნალისტის, ძველი პარტნიორის გამოცდილება და არაჩვეულებრივად ასრულებს პრეზიდენტის როლს.

საღამოს ვნახეთ ორი კარგი ფრანგული ფილმი, „განსხვავებული მზერის“ შესაძლო კანდიდატები: საშა ვოლფის „დაქირავებული“ და დები კულენების „ქვეყნის ნახვა“, სოკოსა და საოცარი არიან ლაბედის მონაწილეობით.

სამშაბათი, 8 მარტი

სასიამოვნოა დილის საუზმე „კაფე დე ფლორში“ დიდიე დუვერჟესთან ერთად. ის არის პროდიუსერების ბანკირი, დაფინანსების ფოსფორული ნათება, ფულიანი კაცი; ყურადღებით აკვირდება სამყაროს, რომელიც მას არჩენს (საუკეთესო გარიგებებს დებს), თან მფარველობს მას ჩაუმქრალი სიკეთით. ყოველთვის ყველაფრის საქმის კურსშია. ადამიანები, ფილმები, ჭორები... ერთი მონასმით, ორიოდ სიტყვით აღწერს საზოგადოებას და მისი მოსმენა მართლაც სიამოვნებაა: საზოგადოება ან ჯანსაღია, ან საფრთხე ემუქრება, ვიღაც წერს, ვიღაც ფილმს იღებს, რაღაც მალე გამოიცემა... „პატეს შესახებ სწორი გადაწყვეტილება მიიღე. მაგრამ რომ გადაგეწყვიტა იქ წასვლა, ესეც კარგი არჩევანი იქნებოდა“. ჰო, გმადლობ, დიდიე.

გუშინ საღამოს დონალდ საზერლენდისგან მივიღეთ პრინციპული თანხმობა, რომ ჟიურის წევრი იქნება. ის ადრეც გვყავდა მოწვეული. ამ წელიწადს კარგი პირი უჩანს. აქაც, როგორც სელექციისთვის, ინფორმაციები უნდა დამუშავდეს სიმშვიდით. მეორე „მსხვილ ვარსკვლავს“ არ შეუძლია. სამწუხაროა. ეს იქნებოდა დიდი ძალა, უდიდესი მსახიობი, სიმპათიური კაცი, პირველი რანგის რეპერი. „ერთ დღეს აუცილებლად მინდა ეს“, – გვპირდება იგი. ვარსკვლავების მი-

ღება ყოველ წელს კამათელივით არის: მათ უნდა მოიცალონ ორი კვირით, შესაბამისად, გადაღებებით იჟონგლიორონ. ისინი ხშირად არ შეესაბამებიან ამ ფუნქციას. უნდა აუხსნა, დაარწმუნო, და ამ დროს შეუცვლელები არიან აგენტები. დონალდის აგენტი მისივე ვაჟი როეგია. ასე ბევრად უფრო ადვილია.

ჟიური შედგება ოთხი ქალისა და ოთხი კაცისგან, ძირითადად მსახიობებისა და რეჟისორებისგან. მიშელ სიმანი და კიდევ ერთი-ორი წუწუნებენ ჟიურის ერთგვარ ტაბლოიდურ გაყვითლებაზე. მიშელი ეჭვით უყურებს ხელოვანთა შეფასებით უნარებს. მის თვალში, გამოიცანით, კრიტიკოსები უფრო უკეთესი შემფასებლები არიან. მაგრამ ასევე ითხოვენ, რომ ჟიურიში იყვნენ სცენარისტები, მუსიკოსები, მწერლები, ფესტივალების დირექტორები, ტექნიკოსები, ისტორიკოსები, მთავარი ოპერატორები ან პროდიუსერები. ყოველ წელს არა და უკეთ უნდა გაკეთდეს ეს ყველაფერი, – ვეუბნები ლორს, ვისთანაც ნაშუადღევს ამ ყველაფერზე ვსაუბრობ.

სანამ დავიწყებთ, უნდა ვიცოდეთ, ვისთვის როგორი წელია; და, მაგალითად, არ ვთხოვოთ ვალერია ბრუნი ტედესკის, როდესაც ვიცით, რომ დუმონშია, და არ ვიცით, სცალია თუ არა. რომელიმე წლის იდეები არ ემთხვევა მომდევნო წლისას, რაც მართებულია. კარგი იდეები ეფემერულია. ამ დავალების შესრულებაზე მუშაობა შემოდგომაზე უაზროა, მოცლილი მსახიობებიც კი გაურბიან დიდი ხნით ადრე შეთანხმებას, უცდიან მოულოდნელ როლს. კანი იქნება თუ სხვა რამ, არ დაუჯეროთ მათს ნაჩქარევ რეაქციას – სამუშაო მათთვის პრიორიტეტად რჩება. და ბოლო მომენტში ამის კეთება (როგორც ხედავთ, მე ეს მიყვარს) გვაახლოებს თავხედობასთან: ვარსკვლავი, რომელსაც სთავაზობთ ადგილს ჟიურიში აპრილის თვეში, ავტომატურად ფიქრობს, რომ მას ეძახიან, რათა დაიჭიროს ის ადგილი, რომელზეც სხვამ უარი თქვა. იმ სხვამ, ვისზეც თქვენ უფრო ადრე იფიქრეთ... რაც ყოველთვის ასე არაა.

ჟიურის შემადგენლობა უნდა იცავდეს გარკვეულ წონასწორობას: თაობები, ხელობები, ქვეყნები, კონტინენტები, სტილები და ა.შ. ოს-

კარებზე შავკანიანების საკითხმა სიმძაფრე შეიძინა და ამან ჩვენში შეშფოთება გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყოველთვის ვფხიზლობდით, რომ აფრიკა უყურადღებოდ არ დარჩენილიყო. სამი წლის წინ კანს თავს დაესხნენ ბრალდებით, რომ კონკურსში რეჟისორი ქალები მცირერიცხოვანნი იყვნენ. მაშინ ფრანსუა სამუელსონმა ადმინისტრაციულ საბჭოზე მოიყვანა მარგარეტ იურსენარის ციტატა, რომ ჩვენ არა გვგონია შეიძლებოდეს „რაიმეს შექმნა სასქესო ორგანოთი“, რომ პატივს ვცემთ პარიტეტს ჟიურიში, რადგან ეს არცერთ სხვა კრიტერიუმზე არაა დამოკიდებული.

ცდუნება დიდია, რომ დავპატიჟოთ მეგობრები, მაგრამ ჯობს დისტანცია: კარგი ურთიერთობა შეიძლება დასრულდეს ცუდი მიზეზების გამო, ერთ-ერთი ჟიურის წევრი გისაყვედურებთ საძულველი ნაწარმოების სელექციას, სხვა – მძიმე დღეების გატარებას, მესამე შეამჩნევს, თითქოს თავს მოახვიეს ჩვენება ზედმეტად ხანგრძლივი ფილმისა ან ზედმეტად რადიკალური კინოაქტისა.

ჟიურის ისტორიაში კანს აქვს მისი წილი ინტერესების კონფლიქტი, პირადი მტრობა, ხმამაღალი განცხადებები („თუ ესა და ეს მიიღებს ჯილდოს, ვტოვებ ჟიურის“, „თუ არ მოგვცემთ უფლებას, რომ ამ ფილმს გადავცეთ რამდენიმე პრიზი, ჩაგაბარებთ ნაკლულ პალმარესს“ და ა.შ.) და დიდი შეცდომები. ეს არის საქმის იმგვარი მოულოდნელი შემოტრიალებები, რაზეც გამუდმებით ვფიქრობთ. ამას წინათ, სანდრინ კიბერლენმა და შარლოტ გენსბურმა, ერთმანეთისგან შეუთანხმებლად, ერთი და იგივე რამ მითხრეს: „ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როცა ჟიურიში მოვედი. ახლა უფრო გამიხარდებოდა ამის კეთება“.

15 წლის გამოცდილებით, არაფერი მინახავს იმის მსგავსი, რა ხმებსაც ყრიან, რასაც ეჭვობენ და ამტკიცებენ, სული გაყიდესო, ჟიურის წევრებსა და თავმჯდომარეს შორის კავშირები არსებობსო... კარგი თავმჯდომარე ის არის, ვინც თავისი ავტორიტეტით უძღვება საქმეს და ვისაც არავინ ავიწყდება ჯგუფის შეკრებისას. არ მინახავს, ვინმეს ბოროტად გამოეყენებინოს თავისი ხმა და გადაჭარბებულად შეეფასებინოს მისი მნიშვნელობა მოლაპარაკების დროს.

ბოლოს, ვფხიზლობთ, რომ საფრანგეთს არ ჰქონდეს პრივილეგია: მსოფლიო სტუმართმოყვარეობის ტრადიცია გვავალდებულებს და, დროსთან ერთად, აზრი, რომ ფრანგი ჟიურის წევრი არ არის ყოველთვის გულკეთილი... ფრანგების მიმართ. ფაქტობრივად, ჟიურის წევრის ქცევა ყოველთვის წარმოგვიჩენს მისი ხასიათის გარკვეულ შტრიხს, მის ამბავს, მის კულტურას, მის ქვეყანას. ჟილ ჟაკობი ამტკიცებდა: „როდესაც ჟიურიში გყავთ იტალიელი, ის არ შეწყვეტს დისკუსიას მანამ, სანამ იტალია არ მიიღებს რაიმე ჯილდოს და როდესაც გყავთ ფრანგი, ის მანამდე არ გაჩერდება, სანამ საფრანგეთს არ წააგებინებს."

ოთხშაბათი, 9 მარტი

„ასეთი საღამოების დამსახურებაა, რომ მინდა და ვაგრძელებ ამ საქმეს! სულ უფრო რთული ხდება გარისკვა და, საბედნიეროდ, ზოგჯერ ბოლოში გვხვდება ისეთი მოულოდნელი სიხარული, როგორიცაა ჩვენი გოგოებისთვის მიძღვნილი ღონისძიება! მადლობა, რომ მოიცალე ამ მწვავე პერიოდში, რომ ჩვენთვის მხნეობა და სურვილის გრძნობა დაგებრუნებინა. წარმატებას გისურვებ და ათას კოცნას გიგზავნი. მარი". თითქმის ორი წლის დაგვიანებით, გუშინ საღამოს კლერ ბურჟეს, სამუელ თეისს და მარი ამაშუკელს გადავეცით „ოქროს კამერის" სამი ჯილდო, რაც მათ 2014 წლის დახურვაზე მხოლოდ ერთ ეგზემპლარად მიიღეს. Ce message de Marie Masmonteil, la coproductrice avec Denis Carot, Sandrine Brauer et Éric Lagesse, à moi aussi me fait un bien fou. მარი მამონტეის წერილი, რომელიც არის თანაპროდიუსერი დენი კაროსთან, სანდრინ ბრაუერთან და ერიკ ლაჟესთან ერთად, წარმოუდგენლად მახარებს.

საიდ ბენ საიდს უნდოდა ზამთარში გამოეშვა პოლ ვერჰოვენის ფილმი, შემდეგ გაზაფხულზე, ახლა სურს ფილმი იყოს კანის ოფიციალური კანდიდატი. ფილმი ვაჩვენე ჟულიენ ჟესტერს, „ლიბეს" ჟურნალისტს, რომელიც ნიდერლანდელი რეჟისორის დიდი ხნის თაყვანისმცემელია: „მოუთმენლად ველოდი მას. იმედგაცრუებული არ ვარ. ეს არის წარმტაცი ქმნილება, ყველა თემა წარმოდგენილია. განხეთქილებასაც გამოიწვევს". როდესაც ვკითხე შესაძლო საკონკურსო სე-

ლექციის შესახებ, უფრო იყოყმანა: „ეს არ ვიცი, ეს თქვენი საქმეა“. მართლაც, ეს არაა მისი საქმე. კანში, სადაც მეფობს „მომწონს/არ მომწონს“, წინააღმდეგობით სავსე დებატები ნაწარმოების ან რეჟისორის ირგვლივ ხშირად სტიმულის მომცემია, ზოგჯერ კი დაუსრულებელი და აუტანელი. მაგრამ ვერჰოვენი მოეწონებათ. ოღონდ თუ ჩაჯდება კონკურსში, რადგან: ეს არის ფრანგულენოვანი ფილმი, პარიზში წარმოებული, ნიდერლანდელის შექმნილი, რომელმაც კარიერა ჰოლივუდში გაიკეთა. არადა, ფრანგული ფილმები შეირჩევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ნანახია. ჩვენ გამონაკლისს დავუშვებთ ან უცხოურ ფილმად ჩავთვლით, რაც ნამდვილად არაა სიმართლე. კონკურსში დიდი ალბათობით შევა სამი ან ოთხი ფრანგული ფილმი, ფრანგების გადაღებული, არჩევანი კი აშკარად დელიკატური იქნება (ასაია, ბონელო, ზლოტოვსკი, დუმონი, კილევერე, გიროდი, ოზონი და ა.შ.). არც ის შეიძლება, რომ სელექცია ზედმეტად ფრანგული გამოვიდეს. მაგრამ საჭიროა გადაწყვეტილების მიღება: საიდ ბენ საიდთან გაგზავნილი ერთი მოკლე ტექსტური შეტყობინებით ვერჰოვენს კონკურსში ვიწვევ ნიდერლანდების სახელით. მას უნდა, ფილმი გამოუშვას კანის ფესტივალის მიმდინარეობისას, რადგან აშინებს კონკურენცია ჯოდი ფოსტერთან, რომლის ფილმიც ფესტივალის პირველ ხუთშაბათს გამოდის. ღელავს ალმოდოვარის ფილმზეც, რომლის ჩვენებაც „პატემ“ მომდევნო სამშაბათისთვის დაგეგმა. ურჩევნია იყოს ფესტივალის დასასრულისკენ. ვთანხმდებით, რომ ვერჰოვენის ფილმს ჩავსვამთ ბოლო დღეებში, „რომანის ადგილას“, იქ, სადაც თავის დროზე ვაჩვენეთ „პიანისტი“ და „ვენერა ბეწვის ქურქით“. მალევე დამირეკა, პოლ ვერჰოვენი და იზაბელ იუპერი მოხარული არიანო.

დღეისთვის 4 ფილმი ვნახეთ. მათ შორის საუკეთესო პირველი სრული მეტრაჟი, „კაინი“, ბოგდან მირიკას ტრანსილვანიური ვესტერნი, ვლად ივანოვთან ერთად, რომელიც ჩვენი რჩეული რუმინელი მსახიობია. ის ექიმის როლშია, რომელმაც ოთხი თვის ფეხმძიმეს აბორტი გაუკეთა. „პოლიციელის“ პერსონაჟი – ასე მოიხსენიებენ მსახიობ კორნელიუ კოლომბიუს, რომელიც ძალიან მოგვწონს და

რომელსაც მუნგიუს ახალ ფილმში კვლავ შევხვდებით, დიდი ალბათობით. ახალი მსახიობების გამოჩენას ყოველთვის ახლავს ახალი რეჟისორების ტალღა.

ხუთშაბათი, 10 მარტი

არასდროს ვყოფილვართ ასე გაფანტულები: მარტის შუა რიცხვებში გვაქვს 6 ფილმი საკონკურსოდ: შონ პენი, პედრო ალმოდოვარი, ქსავიე დოლანი, ძმები დარდენები, კრისტი პუიუ და პოლ ვერჰოვენი, ერთიც კონკურსგარეშე, ჯოდი ფოსტერი. სავარაუდოდ მონიშნულია ფილმი გახსნის ცერემონიისთვის და სურვილი, რაიმე სიახლე ვცადოთ დახურვის ცერემონიაზე. ჟიური უკვე შედგენილია და კინოგაკვეთილს ჩაატარებს უილიამ ფრიდკინი, რომელიც „კან კლასიკისთვის“ დაგვპირდა „ლოს-ანჯელესის ფედერალური პოლიციის“ რესტავრირებულ ასლს. გვაქვს აფიშა და ორი-სამი ახალი იდეა. აკრედიტაცია გახსნილია, ფილმის ბაზრობა და საერთაშორისო სოფელი ახალ პროექტებს ახორციელებენ, პარტნიორები გვეკონტაქტებიან, იურიდიული, ადმინისტრაციული და ფინანსური საქმეები მოგვარებულია. მოკლედ, მექანიზმი ბრუნავს შეუფერხებლად.

მიხარია დანიელ ოტეის ნახვა საუზმის დროს. ძალიან, ძალიან მიხარია. „როგორ მიდის სელექცია?“ – მკითხა, დავსხედით თუ არა. უყვარს, როცა ყველაფერი იცის. ერთმანეთი 2002-ში გავიცანით, მაგრამ მას მერე, რაც ჟიურიში მოვიდა რამდენიმე წლის წინ, განუყრელნი გავხდით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხშირად ვხვდებით. ბევრს მუშაობს, თითქმის არ გადის გარეთ და როგორც კი ეძლევა შესაძლებლობა, თავს აფარებს საკუთარ საიდუმლო კუნჭულებს. მაგრამ დანიელი მათ რიცხვშია, ვინც შორიდან მფარველობს თავის მეგობრებს, მაშინაც კი, როდესაც ცხოვრება აიძულებს იყოს, როგორც ახლა, ყოველ საღამოს თეატრში, ფლორიან ზელერის პიესაში „დეკორაციის მეორე მხარე“, რომელსაც უძღვება კიდეც. მსახიობს, რეჟისორს უფრო და უფრო მოსწონს, აკონტროლოს საკუთარი ბედი, უფრო კი მსახიობს, რომელიც ალბათ ასჯერ მაინც აღმოჩნდა რეჟისორის ხელში. ის ცხოვრებაში გადამდები მხიარულებით გხიბლავს, მაგ-

რამ ყალბად მშვიდია. ყველა შესაძლო კითხვის მშვიდად დასმა თავიდან გვაცილებს პასუხებზე ფიქრს, როგორც რობერტო ანდოს ფილმშია, რომელიც ვნახეთ და რომელსაც ის ენიგმატური მელანქოლიით ავსებს. მაშასადამე, დანიელი ასე იქცევა, სვამს კითხვებს და ეს მასთან ურთიერთობას მოულოდნელობებით ავსებს. მისდევს გზას, რომლის ტრაექტორიაც მხოლოდ მან იცის, რადგან „მოუხელთებლის“ ჟანრშია: სახელგანთქმულობა თუ მარტოობა? პარიზი თუ პროვინცია? კინო თუ თეატრი? შერო თუ ბერი? ჰანეკე თუ ვებერი? რა მნიშვნელობა აქვს მისთვის, მაგრამ გულგრილი არაფრის მიმართ არაა. ბევრს კითხულობს, ინტერნეტს ათვალიერებს და სიახლეებს ეცნობა, მაშინაც კი, როდესაც თითქოს ემალება მათ. ამ ზაფხულს კორსიკაში შევხვდებით. დღეს შუადღისას თითქოს იქ ვიყავი და მოვახერხე მასთან დროის გატარება.

დარბაზში ჩვენება არაა, დღეს ყველაფერი DVD-ზეა. ნაშუადღევს ლიონში გავრბივარ, რომ მარისთან მივიდე ბრონის „ქალი-დედა-ბავშვის“ სახელობის საავადმყოფოში, სადაც ჩვენს ვიქტორს ოპერაციას უკეთებენ. მისი ჯვარი მსუბუქდება წლებთან ერთად, მაგრამ ეს ბავშვი მახსენებს ფლანერი ო’კონორის სიტყვებს: „მე არასდროს მიმოგზაურია ავადმყოფობის გარდა სხვა მხარეში“.

პარასკევი, 11 მარტი

თუ დღეს ვუდი ალენს ფილმზე პასუხს არ გავცემ, ფილმს დავკარგავ. დროის მოსაგებად ვუგზავნი საქებარ მეილს. ეს უფრო ადრე უნდა მექნა. ყველაფერი იმდენად სწრაფად ხდება, რომ ვერ ვასწრებთ კინოზე საუბარს. მე მას ვუხსნი, თუ რამდენად მოგვეწონა მისი ფილმი და ვითხოვ მისგან მოთმინებას, მხოლოდ რამდენიმე დღით, ბრუნო დუმონის ფილმის ჩვენებამდე.

ოთხშაბათიდან მოყოლებული, დიდი აქტიურობა შეინიშნება „კანალ+“-სისკენ, რომელიც თურმე ამცირებს კანში დასწრების ამპლიტუდას, ისე, რომ ოფიციალურად არაფერს გვატყობინებს: ინფორმაცია მაღალი იერარქიიდან არ მოდის, ყველა იმალება. ჩვენ ვარკვევთ, გვიდასტურებენ: არხი აუქმებს ფიზიკურ დასწრებას ლა კრუაზეტზე, აუქ-

მებს პირდაპირ გადაცემებს, არ მოაწყობს ზეიმს, აღარ ააგებს „პატიო კანალს“, სადაც მთელი ფრანგული კინო ერთმანეთს ხვდებოდა. ბევრად ნაკლებ ჟურნალისტს გამოგზავნის. ვენსან ბოლორეს შესაძლო გაცოფება ამხიარულებს პრესას, კანის მერი ღელავს მისი ქალაქისთვის ნეგატიურ წაბორძიკებებზე, ჟერომ პაილარი განრისხებულია, რომ ასე დაგვიანებით უწევს უეცრად დაცარიელებული დარბაზების გაქირავებაზე ზრუნვა. პიერს და მე კი გაგვიჩნდა შეგრძნება, რომ მოგვატყუეს: გვპირდებოდნენ ჯგუფური ეფექტის სიახლეს, „დეილი მოუშენის ფართო გარემოს“, „ინტერნეტ-ტელეზე“ მხარდაჭერას, პლაჟზე კონცერტს. უკმაყოფილოები ვართ: ასეთი პრობლემები არ უნდა გვქონდეს.

შაბათი, 12 მარტი

ვალერია გოლინომ სახელი სწორედ ჰოლივუდის გზით გაითქვა – მან ითამაშა ტომ კრუზის საცოლე „წვიმის კაცში“, მაგრამ წმინდა წყლის იტალიელია, რომელიც ნეაპოლის ყურეს არასდროს მოშორებია და არც იტალიურ კინოს „სიყვარულის ისტორიის“ და „სუნთქვის“ შემდეგ. მოსტრაში, შარშან, მან ისევ აიღო პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. მას „განსხვავებულ ხედვაში“ 2013 წელს ვუმასპინძლეთ მისი პირველი ფილმით „თაფლი“, განსაკუთრებული ჟასმინ ტრინკას მონაწილეობით. გვინდა, რომ ეს მსახიობი კვლავ ვიხილოთ აქ, არაფერი ჯობს მის დაპატიჟებას ჟიურიში და გუშინვე შევატყობინე. თანხმობა დღეს მომცა. მაშასადამე: ორი ქალი (კირსტენი, ვალერია), ერთი კაცი (დონალდი).

მარი და მე დავმშვიდდით: ოპერაციის შემდეგ ვიქტორი კარგად გრძნობს თავს, მაგრამ კიდევ ერთი კვირა უნდა დარჩეს საავადმყოფოში. ხვალ დღის ძირითად ნაწილს მასთან გავატარებთ, ამ ოთახში, რომლის დიდი ფანჯრები გადაჰყურებს ბაღებს, სადაც რამდენიმე ცხოველი დახტის. დღის ორი ფილმის ჩვენების გამო არ მექნება წერის დრო, ამიტომაც ვისაუბრებ ბრიუს სპრინგსტინზე. ამას ოთხი გვერდი უნდა დაახლოებით. მათ, ვისაც ეს ფეხებზე კიდიათ, შეუძლიათ პირდაპირ მომდევნო ორშაბათზე გადაფურცლონ, პრობლემა არაა.

კვირა, 13 მარტი

მაშასადამე, ბრიუს სპრინგსტინი. მან ეს-ესაა დააანონსა თავისი ავტობიოგრაფიის გამოსვლა 27 სექტემბერს. ჩვენნაირი ხალხისთვის ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. თითქმის ორი წელი ისე გავიდა, რომ არცერთი კონცერტი არ ყოფილა, ეს დიდი დროა. მე ის 17-ჯერ ვნახე სცენაზე, როშდი ზემი – უფრო მეტჯერ. დავიდ ვატინე, ფრანგი აგენტი, ზუსტად მისი კონცერტებისთვის მიფრინავს ხოლმე ამერიკაში.

2013-ში მისი მსოფლიო ტურნე შეიძლებოდა ყოფილიყო ბოლო გასვლა – ამით წარმოჩნდა, თუ როგორი მუსიკოსია და ისიც, რა შთამაგონებელი სიმბოლოა გარკვეული სახის მსოფლმხედველობისა. მაგრამ მის ახალ ალბომს, „დამანგრეველი ბურთი“, რომელიც მოვიდა და მოგვასმენინა ანტუან დე კონთან (და რამდენიმე სხვა ადამიანთან) ერთად პიერ ლესკურის მარინის თეატრში, არაფერი ეტყობოდა დამშვიდობების ცერემონიისა. სელექციის ბოლო კვირებში, ამ წელს, შემდეგ კანის მიმდინარეობისას, საიტებზე ვადევნებდი თვალს, ოფიციალურ და არაოფიციალურ საიტებზე, სადაც ყველაფერი დევს, თარიღები, ქალაქები, შესრულებული სიმღერების თანმიმდევრობა. ქსელი სავსეა კონკურსებითა და სტატისტიკური მონაცემებით. რომელ ქალაქს აქვს ყველაზე კარგი კონცერტი, ყველაზე მეტი მუსიკალური ნაწარმოები, ყველაზე მეტი უცნობი სიმღერა, რომლებიც სცენაზე არასდროს შესრულებულა? ვიცოდით, რომ ყოველთვის, როცა წვიმდა, ის საღამოს ხსნიდა სიმღერით „ვინ შეაჩერებს წვიმას“, კრიდენს ქლიერუოთერ რევაივალის სინგლით, რომელმაც სახელი და მელოდია მისცა კარელ რეისზის ვიეტნამურ ფილმს „ჯოჯოხეთის მებრძოლები“. ვცვლიდი ინფორმაციას ინტერნეტსტრიტერებთან, ჩვენს სპრინგსტინელების კლუბთან და მეზიან ჰამადისთან, ჩემს კიდევ ერთ კორესპონდენტთან. მან დამიდასტურა, რომ 3 საათისა და 40 წუთის ხანგრძლივობით და 33 სიმღერით, მილანში გაიმართა „ინტერნეტ-სტრიტის“ მეორე ყველაზე ხანგრძლივი კონცერტი, ლონგ აილენდზე, ნასაუ კოლისეუმში, 1980 წლის 31 დეკემბერს, ფანებისთვის ჩატარებული მითიური კონცერტის შემდეგ. ჩვენ გვინდოდა, რომ ერთ თვეში ბერსიში მოხსნილიყო რეკორდი. ტურნეს შესახებ უკვე

ბევრი რამ ვიცოდით: მუსიკოსების რაოდენობა, ლითონის ჩასაბერები, გუნდის მომღერლები და ასევე, როგორ შეცვალა ჯეიკ კლემონსმა ბიძამისი კლარენს კლემონსი, დიდი კაცი, განუმეორებელი საქსოფონისტი, რომელსაც ბრიუსი ტუჩებში კოცნიდა, როდესაც სცენას გადაივლიდა ხოლმე მუხლებზე სრიალით, „ქარიშხლიანი გზის“ ფინალში. კლარენსი კოლოსი იყო, დიდი ტანის შავკანიანი მამაკაცი, რომელიც პირველ რიგებში კარგ განწყობას აღძრავდა. მახსენდება, როგორ ღელავდა პირველი გამოსვლისას აფრიკაში, „ამნესტი ინტერნეიშენლის“ ტურნეს დროს, რომელიც ჰქონდა ჯგუფს სტინგის, პეტერ გაბრიელის, იუსუ ნ'დურის და ტრეისი ჩაპმანის გვერდით (აქ მათ გააჟღერეს დილანის „თავისუფლების ზარების“ დაუვიწყარი ვერსია). სამწუხარო იყო კლარენს კლემონსის ამ ქვეყნიდან წასვლა, დანი ფედერიჩის გარდაცვალების შემდეგ მალევე. ეს არღვევდა ჯგუფის მარადიული ახალგაზრდობის იმიჯს, რაც მას ჰქონდა 70-იანი წლებიდან მოყოლებული.

ბოლოს შევიკრიბეთ ბერსის ორმაგი კონცერტის დროს, ორი წლის წინ, 4 ივლისს. 70-იან წლებში მაგრობად ითვლებოდა, თუ მაყურებელს ალოდინებდი (დარწმუნებული არ ვარ, რომ როსტროპოვიჩი სცენაზე დაგვიანებით გადიოდა ან გლენ გულდი, სანამ საკუთარ თავში ჩაიძირებოდა). ჟერალდის სპორტის სასახლეში, ლიონში, Pink Floyd სცენაზე 2 საათის დაგვიანებით ავიდა. ხელოვნური, ფერადი კვამლის ბოლქვებში, ეს ყველას ნორმალურად მიაჩნდა. E Street Band ყოველთვის პუნქტუალური იყო, მაგრამ არა ამ საღამოს. უჩვეულო მოლოდინის შემდეგ, ანტუან დე კონი გამოჩნდა სცენაზე და გვაუწყა, თავისი გამამხიარულებელი ინგლისურით, რომ ელექტროობის პრობლემა იყო და ითხოვდა მიტევებას, თუ შუა კონცერტის დროს ყველაფერი გაფუჭდებოდა. პუბლიკას ეს ფეხებზე ეკიდა და სურდა გადასულიყო შემდეგ ნაწილზე, რომელიც ამოიზარდა შუქის უეცარი ჩაქრობის და მითქმა-მოთქმის ფონზე. გაისმა „ცხოვრება ვარდისფერში“ – აკორდეონის რამდენიმე ნოტი, რაც შეწყვიტა მაქს ვაინბერგის დასარტყამმა და ბრიუსი გამოვიდა სცენაზე მთელი ჯგუფის თანხლებით, უფრო ენერგიული, ვიდრე ოდესმე. როკის საღამო დაიწყო. თექვსმეტი მუ-

სიკოსი, ძირითადი ჯგუფი, პლუს ხუთი ლითონის ჩასაბერი, ვიოლინო სუზი ტაილერი და ახალგაზრდა ჯეიკ კლემონსი, როგორც მოწვეული ვარსკვლავი. უსიამოვნო სიახლემ, რომ დიდი საქსოფონისტი საბოლოოდ გამოაკლდა E Street Band-ს და ამაზე დარდმა ჩაიარა (ვისაც წაკითხული ჰქონდა მისი ავტობიოგრაფია, სადაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემის შესახებაც გულახდილად წერდა, ამას წინასწარ გრძნობდა, თან აშკარად ჩანდა, რომ ძველებურად ვეღარ იხარჯებოდა სცენაზე) და მალე შევამჩნიეთ, რომ მისი ძმისშვილი წარმატებით ცვლიდა: ახალგაზრდა მემკვიდრე, აფრიკულ ყაიდაზე გაჩეჩილი თმით, ადვილად გაერია ჯგუფში, ბევრჯერ დადგა სცენის ცენტრში, გასაოცრად მომწიფებული მუსიკოსის გამბედაობით, ვეტერანების – ნილს ლოფგრენისა და მაიამი სტივის გვერდით, რასაც თან სდევდა ბოსის კეთილი მზერა..

ახალი ალბომების მოსმენისას ყოველთვის უნდა ეცადო შენიშნო სიმღერები, რომლებიც სტადიონებზე ჰიმნად იქცევა. „ჩვენს თავს თვითონ მივხედავთ“ – ერთ-ერთი მათგანია და გამოიწვია კიდეც ყიჟინა. ფრანსუა სამუელსენთან, სერჟ კაგანსკისთან, როშდი ზემთან, ოლივიე სნანუჯთან და სხვა მეგობრებთან ერთად წინა ლოჟაში ვიყავი მოკალათებული, არაფერს შეეძლო საღამოს გაფუჭება, გარდა გოგონასი – თითქოს მშვიდი ჩანდა, მაგრამ პირველივე ნოტიდან გიჟს დაემსგავსა, არ შეუწყვეტია სხვადასხვანაირი ჟესტიკულაცია, რაც სურვილს გვიჩენდა სცენის ორმოში თავით გადაგვეშვა, სადაც ისედაც ოცნებობდა მოხვედრას. ოცდაცხრა სიმღერა მოვისმინეთ, ზოგს ველოდით, ზოგი ცნობილი იყო, ზოგი უცნობი, მარადიული შოუს ქვაკუთხედი სიმღერები, მათ შორის „ბედლენდსი“, „დაბადებული სირბილისთვის“, „ივლისის 4“, „ეზბერი პარკი“, რომელიც ჯერ არ შესრულებულიყო ტურნეზე. E Street Band ნაპერწკლებს ყრიდა და ბერსის სამსაათ-ნახევრის განმავლობაში ცეცხლი წაეკიდა, ზაფხულის რეკორდს მისწვდა ხელით. ბრიუსი, ისე როგორც არასდროს, დაეპატრონა ჯგუფს, სპექტაკლს და დარბაზს, მსმენელს მისცა ის, რასაც მისგან ელოდნენ. მარტივი მითოლოგიით, რომელიც დაიბადა მი-

სი პირველი „ეზბბერი პარკის“ კონცერტების საგადან, მას არასდროს მოურგია რაიმე ნიღაბი, რითაც ბოუიმ და დილანმა სახალხო გამოსვლები გააფორმეს. სწორედ ამ მისტერიის, ამოუცნობის ნაკლებობას უჩივიან მასში, რომ გრიმით არ იფარებოდა, რომ არასდროს განუსახიერებია არავინ, საკუთარი თავის გარდა. მაგრამ ის არის ის, ვინც არის: ამერიკელი როკერი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ლამაზი, ირლანდიური მუსიკა მობრუნდა, გოსპელის ჩანჩქერივით ინტროდუქციები და პიტ სიგერის ფოლკსიმღერები წამოვიდა, მისი ნიუჯერსული როკი ნაყოფიერი უწმინდურობებიდან განახლებული ძალით წარმოგვიდგება.

ვინაიდან 4 ივლისი იყო, მან იმღერა „დამოუკიდებლობის დღე“, მარტომ ფორტეპიანოსთან, ასევე „ჩვენ ცოცხლები ვართ“, რაც მიესადაგებოდა ყველას, ვინც იქ იყო – ეს არის სიმღერა ხალხისთვის. კონცერტის ბოლო მეოთხედში მოგვეცა საშუალება, მოგვესმინა „აშშ-ში დაბადებულის“ ხმაურიანი ვერსია, 80-იანი წლების საწყისი როკვერსია. ეს სიმღერა 1984-1985 წლებში დიდი პოლიტიკური გაუგებრობის საფუძველი გახდა. იმდენად, რომ მერე, კარგა ხანს, სპრინგსტინი სოლო გიტარის თანხლებით ასრულებდა მხოლოდ, რათა რეიგანის მომხრე ქაჯებს და „ლიბეს“ ჟურნალისტებს კარგად გაეგონათ სიტყვები. ეს სიმღერა სრულიადაც არ არის ჰიმნი დომინანტურ ამერიკაზე, რომლის აღდგენაც სცადა რეიგანმა და რაც ამხილეს თანამედროვეებმა. შემდეგ, ისე რომ მაქს უეინბერგს ამოსუნთქვა არ აცალა, კონცერტი განაგრძო სიმღერით „სირბილისთვის დაბადებული“. შოუს ბოლოსკენ, ბრიუსმა, რომელიც ერთდროულად მწყემსიცაა და ხროვის წინამძღოლიც, დარბაზში დარჩენილი ენერგიაც აამოძრავა: ისროდა გიტარებს, სცენის კიდეზე აყენებდა მუსიკოსებს, განასახიერებდა, როგორც ერთ ვესტერნშია, გრძელ დისტანციაზე მორბენალ როკერს, ცხადია, ელექტროგიტარების – ტელეკასტერების გამოყენებით. ამისთვის ბრიუსმა თავისი გიტარა ფენდერ ესკუაიერის ელექტროგიტარას დაამსგავსა, რომელსაც ის კარიერის დასაწყისში იყენებდა.

მოვიდა კლარენსისადმი პატივის მიგების მომენტი. გაუშვეს მოკ-

ლემეტრაჟიანი ფილმი „მეათე ავენიუს ბოიკოტი“ და ბერსის დარბაზი გაირინდა. კონცერტი სამ საათს მიმდინარეობდა, ელექტროობის პრობლემები დიდი ხანია დაგვავიწყდა, მაგრამ დადგა გახსენებისა და გამომშვიდობების დრო და ისევ მოგონებები მოგვეძალა. დღევანდელი დიდება თავიდან განიცადა ყველამ, მან, მათ, ჩვენ და მოგონებებმა შეგვიპყრო, რაც უკავშირდებოდა ყველა იმ კონცერტს, რომლებსაც დავსწრებივართ ან მოგვისმენია პირატული ჩანაწერებით.

ამბობენ, და ეს გავრცელებული ამბავია, რომ დედამიწაზე ორი ტიპის ადამიანები არიან: ისინი, ვისაც უყვარს ბრიუსი და ისინი, ვინც ბრიუსის კონცერტზე არასდროს ყოფილა. ჯონ ლანდოს დადებითი წინასწარმეტყველება („მე ვიხილე როკ ენ როლის მომავალი და მას ჰქვია ბრიუს სპრინგსტინი“) ხშირად ცუდად მოუბრუნდებოდა ხოლმე ბრიუსს. და თუ ერთხელ მეტისმეტი მოგივიდა, ამას სხვაც მოჰყვება და ამიტომ არის, რომ ბრიუსი სიძულვილსაც აღძრავს. როდესაც მომავალს გიწოდებენ, არსებობს საშიშროება, რომ დრო დაგეწევა. ვინაიდან არაფერი შეუცვლია, ამიტომ ახლა ის თანამედროვეა. მან არ დაანება ნიუ-ჯერსის ზედმეტად გახურებულ ბარებში შობილ ლეგენდას გაქრობა. მას შემდეგ თესავს ქარიშხალს ვარდისფერი კადილაკით ამერიკული ოცნების ფონზე, რომლის განდიდება არასდროს შეუწყვეტია, ისევე როგორც მისი კრიტიკა. ბრიუსის კონცერტი ყოველთვის აჩენს სუფთა ჰაერს. ამ საღამოს მისი პარიზული კონცერტი სავსე იყო ჟანგბადით. ბერსიდან ლიონის ქუჩამდე ფეხით ვიარე. როდესაც შინ მივედი, კონცერტის პროგრამა უკვე იდო ქსელში. მესამე დღეს, მეორე კონცერტმა, ასეთივე დიდებულმა, სამუელსენს ათქმევინა: „ორჯერ სამსაათნახევრიანი კონცერტი ერთსა და იმავე ქალაქში, პარიზია მისი რეკორდი!“

ორშაბათი, 14 მარტი

ამიერიდან, კინოჩვენებები ადგენს ჩვენი ცხოვრების რიტმს. ყოველდღე ერთ ფილმს სახლში ვუყურებ, დილის საუზმის დროს. ოფისში მისვლის შემდეგ დილა ეძღვნება წინა დღის ფილმებზე დისკუსია-

სა და მოლაპარაკებებს: დისტრიბუტორებთან, პროდიუსერებთან, გაყიდვების აგენტებთან და ზოგჯერ რეჟისორებთან... შუადღემდე აზიელები არიან, დღის განმავლობაში – ევროპელები, ამერიკელები – საღამოს, და ავსტრალიელები, ვერასდროს ვიხსენებ, მათთვის საუკეთესო საათი რომელია. „ყველაფერი რიგზეა?“ – ცოტა ხნის წინ მკითხა ჯორჯ მილერმა, სასხვათაშორისოდ. იცის, რომ ჟიური დგება მის გარეშე და ამ პრინციპს დათანხმდა.

ნაშუადღევი ორ ნაწილად იყოფა, 13 საათიდან – უცხოური ფილმები და 18 საათიდან – ფრანგულები. ამელის ქუჩის მიწისქვეშა სივრცეში, საუკეთესოდ მოწყობილ დიდ სარდაფში, ჩვენი კინოჩვენებების დარბაზია, კედლები წითელი ხავერდითაა დაფარული, გვაქვს 5-მეტრიანი მშვენიერი ეკრანი და ორი რიგი ექვს-ექვსი ლურჯი სავარძლით.

კაბინა აღჭურვილია საუკეთესო მოწყობილობით, რაც იძლევა მშვენიერ გამოსახულებას და ხმას, აქ არის ციფრული და არაციფრული ტექნიკაც. აქ მეფობს პატრიკ ლამი, პროექციონისტი, კაცი, რომელსაც ვერ აფერხებს ვერანაირი პრობლემა ან გაუმართაობა. მინიშნებების ბრძნული ენა, რომელიც წლების განმავლობაში შევიმუშავეთ, ბგერაგაუმტარი შუშის მიღმა გვაძლევს ლაპარაკის საშუალებას. ზოგჯერ პატრიკი უფრო ყურადღებითაა, ვიდრე სხვა დროს. მაღალ სკამზე ჯდება, უწევს ხმას და უყურებს ფილმს. მისი აზრი ჩემთვის სულერთი არასდროსაა. ამ სამსახურში მოსვლისას ორი კომისია არსებობდა, ერთი უცხოური და მეორე ფრანგული ფილმებისთვის. არაფერი შემიცვლია, უბრალოდ დავამატე ახალგაზრდების მესამე ჯგუფი, რომელსაც კრისტიანი ანდობს DVD-ების ნაკადს, ასობით რომ შემოდის ყოველდღე.

უცხოური ფილმების ძირითად კომისიაში სამი წევრია: ლორან ჟაკობი, პოლ გრანსარი და ვირჟინი აპიუ. ლორანი ჟილის ვაჟია, ჩვენ თანატოლები ვართ, ის აქაა უხსოვარი დროიდან და ეს დიდი პლუსია. მახვილი თვალის მქონე კინომოყვარულია, მას კანის უგრძესი ამბავი მეხსიერებაში აქვს შემონახული და კინოს ისტორიის საუკეთესო მცოდნეა. რთულია შეეკამათო შეფასებებში. მკაფიოდ გამოკვეთილი

პოზიციები აქვს, როგორც ყველას და რაც არ უნდა უარყოს, ჰყავს ფავორიტები და ისეთებიც, რომლებიც სძულს. პოლ გრანსარმა მუშაობა დაიწყო ანჟეს ფესტივალისთვის და ჩვენ შორის დამკვიდრდა მაშინ, როცა მე მოვედი. ის ფრანგ-ამერიკელია, მკაცრად იცავს მორალურ პრინციპებს, რის გამოც ხშირად ვეხუმრებით. ის კი ყოველთვის ვერ ხვდება, რომ მხოლოდ მის გასაბრაზებლად ვიქცევით ასე. ნიჭიერი მოყვარული ფოტოგრაფია, ჯიუ-ჯიცუს მიმდევარი, ერკვევა მუსიკაში და კანის ფესტივალის დროს, ვინაიდან ყველაფერი ნანახი აქვს ჩვენთან, ფილმების სანახავად მიდის... კენზენზე. ვირჟინი აპიუზე ვეღარ იტყვი, ახალი მოსულიაო. მას ვთხოვე ქალური შტრიხები შეეტანა დებატებში: უკვე ათ წელზე მეტია ამდიდრებს კომისიას თავისი სიმკაცრითა და ენციკლოპედიურობით. ის არის დამოუკიდებელი ჟურნალისტი, „პრემიერის“ შემდეგ (დიდი გუნდი კარგი ჟურნალისტებისა, არადა, სწორედ ამ ჟურნალზე ამბობენ, კარგად ვერ არის მისი საქმეო), ამჟამად „არტესთვის“ მუშაობს. როდესაც ლოგიკურ ძაფს ვკარგავთ და ჩვენი ლაყბობა ფილმის მიმდინარე დიალოგს ფარავს, ეს ადამიანი საქმესთან გვაბრუნებს. სხვათა შორის, როცა ვერ ახერხებს ჩვენი ყურადღების კონცენტრირებას, სწორედ ეს ნიშნავს, რომ ფილმის საქმე კარგად ვერ არის. ყველას აქვს თავისი იდე-ფიქსი და ჩვეულებები, დგომის, მოძრაობის, რეაგირების მანერა. გი ბროკური, რომელიც დიდხანს იყო კომისიის წევრი, სცენარების დიდი მკითხველი, ნანახ ფილმს წაკითხულს ადარებდა: „აჰ, ეს უარესია, ვიდრე სკრიპტი“ ან „ეს ბევრად უკეთესია იმაზე, რაც წავიკითხე!“ როგორც კი ეკრანზე ტრაქტორი ან ძველი ფერმა გამოჩნდება, მე მიხმობენ ხოლმე, მაგრამ პირველივე შემჩნეულ ჩიტზე, პოლი ორნითოლოგიის სწრაფ გაკვეთილს გვიტარებს, ამ დარგის განათლებული მოყვარულიცაა. ლორანმა კლასიკური მუსიკა იცის წყალივით: კომპიუტერზე სწრაფად შეუძლია დაასახელოს ნაწარმოების ავტორი, ოპუსი და დირიჟორი. როკის ან შანსონის მხრივ მე ვარ.

ყოველდღე, 18 საათზე, უცხოური კომისია ადგილს უთმობს ფრანგულ კომისიას. ეს ცვლილება დარბაზში ჩემს კუთვნილ ადგილს არ

ცვლის – თითოეული ჩვენგანი, უკვე წლებია, ერთსა და იმავე ადგილას ჯდება. ფრანგული კომისია უფრო იშვიათად იკრიბება და ნაკლები ფილმი აქვს შესაფასებელი, მაგრამ მისი მნიშვნელობა გადამწყვეტია: საქმე ფრანგულ კინოს ეხება. ფრანგული კომიტეტი კრებს სამ ჟურნალისტს, 60-იანი წლებიდან წამოსული და ჟილ ჟაკობის მიერ 70-80-იან წლებში წახალისებული პრაქტიკის მიხედვით (ჟაკობი ყოფილი ჟურნალისტია). ჩემი წინამორბედები ყოველთვის ფიქრობდნენ დაესვათ კრიტიკოსები, რათა თავიდან აეცილებინათ შესაძლო თავდასხმა... კრიტიკოსების მხრიდან. ჰმ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს ამართლებს, მაგრამ ტრადიციად კი იქცა. მართალია, ფრანგული კინო კანში დელიკატურ საკითხად მიაჩნიათ, როგორც იტალიური კინო ვენეციაში, ან გერმანული კინო ბერლინში, რაც ცოტათი ჰგავს საკუთარ სახლში მსოფლიო თასის მოგებას ფეხბურთში. ჩემმა კოლეგამ დიტერ კოსლიკმა შეძლო პირველი ნაბიჯების გადადგმა და ეგრევე მოახერხა შეერიგებინა ბერლინალე გერმანულ კინოსთან: ვოლფგანგ ბეკერის ფილმით „მშვიდობით, ლენინ!“ 2003-ში და ფატიჰ აკირის ნამუშევრით „პირისპირ“ – მომდევნო წელს.

ბევრი ფრანგი კრიტიკოსი ყოფილა აქ ადრე და ყველა მათგანი ემსახურებოდა პრესტიჟულ ფიგურებს: ჟან დე ბარონსელი („ლე მონდ“), დანიელ ჰეიმანი („ექსპრესი“), პიერ ბილიარი („ლე პუენ“), ჟან-პიერ დიუფრენი („ექსპრესი“), ნ.ტ. ბინჰი („პოზიტივი“), სერჟ ტუბიანა („კაიე დიუ სინემა“), პიერ მიურა („ტელერამა“) ან იგივე პასკალ მერიგო („ლე ნუველ ობსერვატერ“). დღეს ესენი არიან: სტეფანი ლამომი („ექსპრემიერა“), ერიკ ლიბიო („ექსპრესი“) და ლუსიენ ლოჟეტი, ყველაზე ძველი თანამშრომელი, რომელიც მუშაობს „ახალგაზრდა კინოში“. ერთმანეთს საოცრად ავსებენ: სტეფანი ყველაფერს ინიშნავს და არაფერი გამორჩება მონათხრობიდან, ის ყოველთვის არაპროგნოზირებადია და თავშესაქცევ შენიშვნებს წერს, ლუსიენი ისტორიკოსია და ამდენად, დაინტერესებული თითოეული ახალბედა რეჟისორით, ხოლო ერიკი მოწინავე სტატიებს წერს, რასაც მოჰყვება ხოლმე მათი კომენტარები, ვისაც უარი ეთქვა. ყოველთვის ვშიშობ, რომ ერიკის მი-

კერძოებულ აზრებს ოფიციალურ პოსტსკრიპტუმებად და კომენტარად იღებენ, რასაც ვემიჯნები. ერიკის აზრები მას ეკუთვნის, ეს მისი საქმეა. პრესისთვის განკუთვნილ ჩვენებებზე ყველა ფილმს, რომლებიც ერიკმა სელექციაზე უკვე ნახა, თავიდან უყურებს. მაგრამ ჩვენი წრე, რომელიც ნებისმიერ სხვას ჰგავს, ჩასაფრებული აკვირდება თითოეულ მინიშნებას: ერთი კრიტიკული გვერდი „ექსპრესში“ ან „ახალგაზრდა კინოში“ რომელიმე ფილმზე, რომელსაც უარი ეთქვა, და ფიქრობენ, რომ ჩემი ან ფესტივალის ხელი ურევია. მან თვითონ შემომთავაზა, კომისიას დავტოვებ, თუ ეს ამბები ფესტივალს ხელს უშლისო. ამაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

მაგრამ გასაიდუმლოება და კონფიდენციალურობა ჩვენი საქმიანობის გულისგულია, ისევე როგორც სიმართლის გამოაშკარავების მიზნით ტყუილის თქმა გავრცელებული პრაქტიკაა და ისევე როგორც ფრანგული კომისიის წევრების გაბმული დესტაბილიზაცია. ისინი ძალიან ხშირად ხდებიან უსაფუძვლო ჭორებისა და დაუმსახურებელი ბრალდებების მსხვერპლი. ვამბობ – ძალიან ხშირად, რადგან ერთ ფრაზას, წარბის შეჭმუხნას, სიჩუმესაც კი მაშინვე მოჰყვება ინტერპრეტაციები: ყველა რიგრიგობით ვარდება მახეში, ამიტომ ისწავლეს და არაფერსაც არ გამოხატავენ. მტკივნეული სიტუაციაა: ყველაზე ადრე ნახულობ ფილმებს, შეგიძლია ნებისმიერი დამსწრისთვის სიამოვნების მინიჭება იშვიათი ცოდნით და ჩუმად უნდა იყო.

კრისტიან ჟენი კომისიების წევრი არ არის, მაგრამ ყველაფერს უყურებს. არ მონაწილეობს კოლექტიურ დისკუსიებში, რადგან მირჩევნია, მოვარიდო კინოჩვენებების არასტაბილურ განწყობილებებს. მას მოაქვს სხვა ტიპის სპონტანურობა, სხვანაირი აღქმის და შეფასების მანერა. ფინალური სპრინტის დროს, როდესაც ზოგიერთი ფილმი ბეწვის ხიდზე გადის, თითოეული მინიშნება შეუფასებელია. კომისიის შემადგენლობაშია ხალხი, ვინც ახერხებს გამოხატოს საწინააღმდეგო აზრი, გაბრაზდეს, დარწმუნდეს. სელექციის პროცესი პერმანენტული საუბრების პროცესია. ესენი არიან კინომოყვარულები, რომლებსაც აქვთ გავლენის გაზრდის სურვილი, ნამდვილი მაყურებლები,

საქმის მცოდნეები, ხალხი, ვის გვერდითაც ბევრს ვსწავლობ. ესენი არიან ბრწყინვალე, ჩართული, ბოროტად ჯიუტი ადამიანები. ზოგჯერ იმდენად ურთიერთსაპირისპირო აზრებს გამოთქვამენ, რომ რაღაც მაკავებს, ჩემი „ფინალური კადრი“ არ გავითამაშო. ბედნიერი ვარ ამით. ბედნიერებაა, მყავდეს თანამშრომლები, ვის შეფასებებსაც განუზომლად პატივს ვცემ და ველი.

ეს შეპყრობილის არსებობა, რომელიც მიმართულია ოფიციალური სელექციის შექმნისკენ, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მოდუნებული ცხოვრების სახეა. რადგან არაფერია მნიშვნელოვანი, გარდა აწმყო მომენტისა და მომდევნო ფილმისა, სიებისა, რომლებიც ნელ-ნელა ივსება, პრესკონფერენციისა, რომელიც ახლოვდება. ამელის ქუჩის მიწისქვეშა დარბაზში ვცხოვრობთ. უცნაური არსებობაა ეს, მაგრამ ჩვენ ძალიან მოგვწონს. საუზმე (სალათი, სენდვიჩი, მინერალური წყალი) ჩვენებების დროს გვაქვს, დრო რომ არ დავკარგოთ. მოკლდება სატელეფონო საუბრები, მეილებზე პასუხები, მთელმა გუნდმა იცის, რომ ჩვენ დარბაზში ვართ, როგორც კონკლავზე შეკრებილი კარდინალები, სოციალური ურთიერთობები მინიმუმამდეა შემცირებული, სადილი ქალაქში გაიშვიათებულია. ამ საღამოს გამონაკლისია, საზოგადოება „პუბლიკ სისტემ სინემა“-ს დირექტორ ბრუნო ბარდისთან მივდივარ. ის არის დევილის, მარაკეშის, ბონის და ჟერარმერის ფესტივალების ორგანიზატორი და პრესის ატაშე. უკომპრომისო სინეფილია („არსებობენ დიდი რეჟისორები და სხვები“), აქვს უნარი მყისიერად გაკიცხოს ისინი, ვისაც არ აინტერესებს მიზანსცენა, ოცნებობს ისეთი პრესის დაბრუნებაზე, „რომელსაც საქმის საკეთებლად ბევრი კარგი მიზეზი აქვს“ და ისეთ ხალხს შორის დებატებზე, „რომლებიც აღარ ამბობენ სისულელეებს“. „დაგელაპარაკები ფილმებზე, რომლებსაც გაჩვენებთ. ესენია პატარა სინგაპურელი, მენდოსა და ალმოდოვარი, რომლებიც შენ უკვე ნანახი გაქვს. გარდა ამისა, ნიკოლას უაინდინგ რიეფენი, რომელიც ხვალ უნდა ნახო და რომელიც ლაპარაკს გამოიწვევს, ასევე რამდენიმე სხვა, მათ შორის ნა ჰონგ-ჯინი და განსაკუთრებით პარკ ჩან-ვუკი. ასევე ფრედერიკ ბეგბედერი,

რომელიც ძალიან კარგია. შეხვედრამდე. როცა მოხვალ, კარგი წითელი ღვინო მექნება შეკვეთილი“.

სამშაბათი, 15 მარტი

გაღვიძებისას, ფორესტ უითაკერის მესიჯი მივიღე. იგი ჟიურიში მოვიწვიე. კანის ფესტივალის კაცია, მიღებული აქვს პრიზი ისტვუდის „ჩიტში“, ცოტა ხნის წინ მოგვევლინა „ფრუტვეილის სადგურის“ პროდიუსერად და დახურვაზე „ზულუთი“ მოვიდა. მას მოსაგვარებელი აქვს დროის განრიგი.

„უნაკლო ტიპი, არაჩვეულებრივი იმიჯით, ღირსეული, – აღმოხდა პიერს. – და კარიერა, სიგიჟე!“

13:00 სთ: დღის მსხვილი ულუფა, ნიკოლას უიდინგ რიეფენი. 1:45 სთ: კინორეჟისორ ჰელმუტ ნიუტონის „პოპ კულტურა“. ეს ადამიანი მოვიდა კითხვების დასასმელად იმაზე, რაც გვიჩვენა. მისთვის (სხეულთა) სილამაზის ეგზალტაცია არც ისე შორსაა (სულის) სიმახინჯისგან. ვიზუალური მასალა „ნ.უ.რ.“-ზე საუკეთესოდ გადაღებული, დათვლილი ხანგრძლივობით, ცივი და მოფიქრებული ესთეტიზმით, რამაც ბევრი გააბრაზა. მისი კრიტიკოსები მალე მოიხსენიებენ ზედსართავით „პატარა ეშმაკი“. ეს ნაკლებად ამოუცნობი შინაარსის ფილმია, ვიდრე „მხოლოდ ღმერთი პატიობს“, რომლის მხოლოდ ერთხელ ნახვა არ იძლევა საშუალებას, ამოიცნო მისი მიზანი (და რატომ უნდა ვუყურებდეთ ფილმს მხოლოდ ერთხელ? განა სამწუთიან სიმღერას ერთი მოსმენით ვიმახსოვრებთ?). მისი დასასრული გარკვეულ თავშეკავებას მიღვივებს, რადგან გაწელილია, ძირითად ამბავს და მსახიობ ელ ფანინგს გვავიწყებს, სამაგიეროდ, ნიკოლასი მიდის ბოლო რეგისტრამდე „საშინელებათა კანიბალური ფილმით მოდის სამყაროში“ და რამდენიმე სცენით ღრიალს იწვევს მაყურებელში. კომისიაში აზრები მერყეობს: „სასაცილოა“-დან „არაჩვეულებრივია“-მდე. შეფასებების რადიკალურობა წინასწარაა განზრახული: ნიკოლასმა, რომელიც გაშმაგებული კინომოყვარულია, ძლივს გადაიტანა ფილმ „დრაივის“ მსოფლიო მასშტაბის წარმატება. „ისიც სასიამოვნო იყო,

ჩემი კინო რომ არ მოსწონდათ!“ – მითხრა ერთ დღეს შატო მარმონის ტერასაზე. მაინცდამაინც სახუმარო ტონი არ ჰქონია. ამ ეპილოგის მიუხედავად, რომელმაც თავგზა ამიბნია, ფილმი მომეწონა. ყოველ შემთხვევაში, იმსახურებს კონკურსში მონაწილეობას, ეს სხვებმაც დამიდასტურეს.

ვბრუნდები ლიონში, სადაც ემანუელ კარერმა დამპატიჟა. პასაჟის ბიბლიოთეკასა და ლუმიერის ინსტიტუტში მიმდინარეობს ავტოგრაფების გაცემა, კონფერენცია და ჩვენება მისი ძალიან ლამაზი ფილმისა „კოტელნიჩში დაბრუნება“. ვსაუბრობთ უერნერ ჰერცოგზე, რენე ბელეტოსა და რუსეთზე, რომელსაც ის მისთვის ჩვეული უცნაური მიდგომით განიხილავს. „ზოგჯერ მგონია, პუტინის ერთადერთი მიზანია, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი გახდეს“. ამას ხშირად ვერ მოისმენთ. ის ყვება ჟიურის წევრობის საკუთარ გამოცდილებაზე იმ წელიწადს, როცა ტიმ ბარტონი იყო ჟიურის პრეზიდენტი – ის აპიჩატპონგ ვირასეთაკულს „ოქროს პალმას“ კი არ მისცემდა, არამედ გრან-პრის. ემანუელის ახალი წიგნი – „მას გაუმართლა, რომ აქვს წასასვლელი“, სტატიების კრებულია, რომლის სათაურიც უცნაურად ჩანს გაგანია სელექციის დროს. ჯერ კიდევ არ ვარ დარწმუნებული, რომ ვიცი, საით გვიჭირავს გეზი. ამ საღამოს ემანუელს სხვა თვალით შევხედე. ის მწერალია.

ოთხშაბათი, 16 მარტი

პარიზში დაბრუნებამდე საავადმყოფოში შევიარე, ჩემი შვილის სანახავად. ვიქტორი უკეთაა და როგორც იქნა, შეუძლია ადგომა. ზურგზე აჩნევია დიდი იარა, რომელშიც ამიერიდან ორი გრძელი რკინა ექნება. ხუმრობს: „როცა აეროპორტის კონტროლზე გავივლი, განგაშის მექანიზმი ჩაირთვება“. მე კი სახუმაროდ არ ვარ განწყობილი, ამ ოთახში მარტოს ვერ დავტოვებ.

ოფისში მისულმა ვნახე პირველი ანიმაციური ფილმი, რომელზეც ვენსან მარავალმა, ამ ჟანრის დიდმა მოყვარულმა მიმითითა: ნიდერლანდელი რეჟისორის, დუდოკ დე უიტის „წითელი კუ“. სცენარის თა-

ნაავტორია პასკალ ფერანი, ხოლო თანაპროდიუსერები არიან იაპონელები, „სტუდიო გიბლიდან“. კომისიას, რომელმაც ეს ანიმაცია წინა კვირას ნახა, როდესაც მე კრებას შევრჩი, მოეწონა. მეც მომწონს, თუმცა ოდნავ ბანალურია და, შეიძლება ითქვას, სუსტიც. მყიდველების რეაქციებიდან გამომდინარე, მარავალი დიდ წარმატებას ჰპირდება მათ და ვერ ხვდება, რატომ ვთავაზობთ „მხოლოდ“ „განსხვავებულ ხედვას“. მაგრამ ჩვენს გადაწყვეტილებებს არასდროს ეკამათება, იცის, რამდენი დრო იკარგება ტყუილუბრალოდ ცუდად დაწყებულ მოლაპარაკებებში. ფილმი კანზე – ეს ორს შორის მომხდარი ამბავია. ხშირად მიმეორებს: „ეს შენ უყურებ ფილმებს, ეს შენ იცი უკეთ, რა გაქვს“. გადავწყვიტეთ, ამ თემას აპრილის დასაწყისში დავუბრუნდეთ.

არეულობა გრძელდება. ბაზ ლურმანი, რომელიც მსოფლიოში გამოჩნდა ფილმით „Strictly Ballroom“-ის („მხოლოდ სამეჯლისო დარბაზი“) ლეგენდარული კანის შუაღამის სეანსით, მწერს – ჰიპ-ჰოპის დაბადებაზე სერიალს ვიღებ და კანში მისი ჩვენება გამიხარდებოდაო. მტკივნეული თემა: ადმინისტრაციულმა საბჭომ, კინორეჟისორთა ასოციაციის წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობით, ხმა არ მისცა კანის ფესტივალის სელექციაში ტელესერიალების მონაწილეობას. მეორე მხრივ, ეს ხელს არ უშლის „კენზენს“.

ნაშუადღევს სამი ფილმი ვნახეთ. მათ შორის ერთი ესპანური თრილერი, უცნობი ავტორით, სახელად რაულ არევალო, სენტიმენტალური კითხვის ნიშანი და კარგი დეტექტიური ფილმი, რომელიც იწყება ქალაქში და მთავრდება მოგზაურობით, კლასიკური იერის მქონე, მაგრამ ძალიანაც არა, 16-მილიმეტრიანი ფერადი ფოტო, მსხვილმარცვლიანი. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენთვის კარგია, თუმცა ნებისმიერ სხვა ფესტივალს ასიამოვნებდა. მისი ჟანრული მხარე, ეჭვგარეშეა, ექოა უკვე არსებულის: „კანში ამის სანახავად არ მოდიან“. ეს ავტორის პირველი ფილმია, იმედის მომცემია, და იმედი ვიქონიოთ, რომ პარალელურ სექციებს მოეწონებათ.

საღამოს პიერს ვხვდები. ერთმანეთს იშვიათად ვნახულობთ სელექციის პერიოდში. თანაც ძალიან დაკავებულია ყოველდღიური სა-

ტელევიზიო გადაცემით, ასევე მოლოტოვის პლატფორმის პროექტით, რომელიც ადრეულ ზაფხულში დაიწყება. ჩვენ ვაკვირდებით ყველა დოსიეს, მათ შორის „კანალისას“. გვერდითი მოვლენები რეალურია, არა იმდენად ფესტივალისთვის (კონტრაქტის შინაარსი დაცულია), არამედ უფრო არხისთვის, ფილმებისთვის, სიტუაციისთვის, ასევე სასტუმროებისთვის, რადგან „კანალ +“ ნიშნავდა 500 კაცს ლა კრუა-ზეტზე ორი კვირის განმავლობაში. პიერმა მისწერა ვენსან ბოლორეს, რათა გამოეხატა გაკვირვება ამ ყველაფერზე, სიჩუმეზე, რომელშიც მოქცეულია ფესტივალი.

ჟიურის საქმე წინ მიდის. ორი ქალი გვყავს (კრისტენ დანსტი და ვალერია გოლინო) და „ერთნახევარი“ კაცი (დონალდ საზერლენ-დი და, იმედი ვიქონიოთ, ფორესტ უითაკერი). დავუმატოთ სიას ერ-თი ფრანგი კაცი და ქალებს, ერთი რეჟისორი ან ერთი პროდიუსერი ქალი. ქალების კინოიმჯი არ უნდა იყოს მხოლოდ მსახიობი ქალი. კანში, რომელსაც ბუკმეიკერები მუდმივად აკვირდებიან, ყველაფერი სანიმუშოდ უნდა იყოს გათვლილი.

ხუთშაბათი, 17 მარტი

ბრუნო დუმონი ძალიან კარგია, ძალიან ლამაზი, ძალიან გამორ-ჩეული და კიდევ ბევრად მეტი, ვიდრე „პატარა კენკენის“ ეკვივალენტი კინო. მისი სახელია „ჩემი ლუტი“, ჩრდილოელი თინეიჯერის სახელი, რომელიც საზაფხულო არდადეგებზე უცნაურ არსებას დაუახლოვდა, „ქალაბიჭას“, რომელიც დიდი ბურჟუაზიული ოჯახის შვილია.

აქ დუმონისთვის არადამახასიათებელ ემოციურობას ვპოულობთ და თავპირდასამტვრევ როლებს, რომლებსაც ასრულებენ ცნობილი მსახიობები: ლუკინი, ბინოში, ბრუნი, ტედესკი. დანარჩენი მსახიო-ბებიც შთამბეჭდავები არიან დამაჯერებლობით, სასაცილო მსუქანი პოლიციის კომისარიც კი, რომელიც ჰაერში ფრინდება, როგორც 30-იანი წლების ფრანგული კინოს ექსცენტრიკული პერსონაჟის რეპლი-კა. ჩრდილოეთის ვრცელი პეიზაჟები (ბულონი? კალე?), პომპეზურად აღბეჭდილი, როგორც გაცოცხლებული სინათლის ავტოქრომები,

რომლის იდეალურად გადაღებული გაბნეული მარცვალი ამდიდრებს გამოსახულებას და გვიჩვენებს ცაზე დამაჯერებელ ნიუანსებს. ფილმმა გამახსენა რეიმონ ბელურის სიტყვები: „კინოს, ბევრ სხვა ფუნქციასთან ერთად, აკისრია კიდევ ერთი ფუნქცია – დაუბრუნოს სხეულები ფიზიკურ და სოციალურ მასებს, საიდანაც თითოეული ჩვენგანი წარმოიშობა“. ის გულისხმობდა „ლუმიერის მაგიას, გრიფიტის მაგიას“. ეს „ჩემს ლუტსაც“ ეხება. დანარჩენი კი არის ქარი, მიწა, ზღვა და სახეები... დუმონი საუკეთესო ფორმაშია და საკუთარ ადგილას. ის დიდი რეჟისორია.

ჩემსა და მას შორის ტელევიზიით ზედმეტად გახმაურებული შეკამათების შემდეგ, კარლტონის ოფიციალური სადილის ერთ საღამოს, მღელვარება ბატონობს. მაგრამ ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი რამეებიც არსებობს და ვიცი, რომ ბრუნო ელის ჩემს რეაქციას: არ მინდა გული ვატკინო და ჩვენ შორის დუმილმა დაისადგუროს. ვუგზავნი ორიოდ სიტყვას, მპასუხობს. მიხარია. ჯერჯერობით ამ წერტილში ვართ. 17 მარტია და კიდევ 80 ფრანგული ფილმი გვაქვს სანახავი. ვეხმაურები ჟან ბრეას, პროდიუსერს, მატილდ ინსერტის, პრესის ატაშეს და ალექსანდრ მალე-გის, თანაპროდიუსერსა და დისტრიბუტორს (რომელიც მპასუხობს: „არა მგონია რაიმე ასეთი ძლიერი ნახო!“. ვგიჟდები ამ ტიპების თავდაჯერებულობასა და ჩხუბისთავობაზე). მათ წესები იციან: 13 აპრილს, საღამოს, როდესაც დამთავრდება ფრანგული ფილმების შერჩევა ოფიციალური სელექციისთვის, გამოცხადდება ვერდიქტი.

ჩემმა აღფრთოვანებამ დუმონის მიმართ შეიძლება ვინმეს აფიქრებინოს, რომ უკვე ჩასმული მყავს კონკურსში. სულაც არა. საბოლოო გადაწყვეტილება ფრანგულ სელექციაზე მხოლოდ მას მერე მიიღება, რაც ყველა ფილმი ნანახია, რათა ყველა თანასწორი იყოს. ეს არის წესი, რომელიც მშვიდი მუშაობის განწყობილებას უქმნის მათ, ვინც ჯერ კიდევ მონტაჟის პროცესშია. არ უნდა იფიქრონ, რომ დასრულებული ფილმები უკეთეს პოზიციაშია. დასკვნა: პირველად მოსულებს პირველებს არ ემსახურებიან. ეს წესი ფესტივალს დასაწ-

ყისიდან მოჰყვება, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას წარმოქმნის: მაგალითად, „კენზენი“ არ ემორჩილება მას და ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლია პასუხის მიცემა.

სასწრაფოობის სიტუაცია დომინირებს. ნაშუადღევს, უცხოური ფილმების კომისიამ ფილმი თითქოს მოიწონა და თავსაც იკავებს. შესაბამისად, მოსალოდნელია ერთგვარი ყოყმანი, რაც აშკარად ნიშნავს შემდეგს: გახსნაზე ეს ფილმი არ გამოდგება, უცხოელი პუბლიკა ვერ გაუსინჯავს გემოს მის დიალოგებს, პიკარდიული დიალექტის ინტონაციებს, ვერ გაიგებს გადაჭარბებულ ირონიას, რომლითაც ლუკინი და კომპანია დასცინიან იმ ეპოქის პროვინციულ წეს-ჩვეულებებს. კომისია იმიტომაც არსებობს, რომ მისმა წევრებმა ზოგიერთებს გაათავისებინონ ფესტივალის ათასობით მონაწილის გემოვნება. საღამოს ვაცნობე ალექსანდრს, რომ ბრუნოს ფილმი არ იქნება გახსნაზე – მათთვის დიდი მოლოდინი იწყება. ვუდასტურებ პიერს, რომ ვუდი ალენი გახსნის კანს და ვურეკავ სტეფან სელერიეს, რომელიც მეცხრე ცაზეა, მაგრამ არ კარგავს ჩრდილოურ ხასიათს: „როდის გამოაცხადებ?“. ფილმის საბოლოო სათაურსაც მეუბნება: „კაფე სოსაიეთი“. ძალიან ლამაზია. თუ კონკურსში მონაწილეობას მიიღებს ასაიასი, რომლის ვარსკვლავიცაა კრისტენ სტიუარტი, მაშინ ის 2016 წლის კანის დედოფალი იქნება.

პარასკევი, 18 მარტი

მარტის შუა რიცხვებში ზურგის ტკივილმა ისევ შემაწუხა, დარბაზში საკმარისად არ ვმოძრაობთ. კარგი იქნებოდა დილაობით ცოტა ვარჯიში მაინც, მაგრამ დილასაც ფილმებია სანახავი. უკვე რამდენიმე დღეა, ჟურნალ-გაზეთები სავსეა სელექციის შესახებ ინფორმაციით – ამ დილით „ლე პარიზიენი“. ალენ გრასე კარგი ინსაიდერია, კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამას. ყველგან დაანონსებულია, რომ კანი იქნება პომპეზური და ეს ყოველთვის სახიფათოა. არაჩვეულებრივი კვირა გვქონდა, საკმაოდ ბევრი ლამაზი რამ ვნახეთ, და ორი პირველი ფილმი, რამაც განგვაცვიფრა: ლორან ტესიეს „ტორილი“ და რამზი ბედიას „ბუ“; ასევე

ათეულობით უცხოური ფილმი, დარბაზებსა თუ სახლში. როგორც კი რაიმე საინტერესო გამოჩნდება, DVD-ები ტრიალებს, ვლაპარაკობთ, ვაფასებთ, ვადარებთ, ვწონით. ვინიშნავთ მოსაზრებებს, მათი რაოდენობა მატულობს, ყველა ძალიან საინტერესოა, იმ ფილმების შესახებაც, რომლებიც არაა საინტერესო, მაგრამ ერთმანეთზე დამატებულები წარმტაცი სამყაროს რუკას ქმნის. ზოგიერთი შეფასება ზედმიწევნითია, ზოგიერთი უფრო კვლევითი: „ნული“, „უვარგისი“, „განმაცვიფრებელი“, „სატელევიზიო“, „ისე რა“, „მოყვარული“, „ნიშა“, „მიახლოებითი“, „ყალბი კარგი იდეა“ , „დემონსტრატიული“, და ა.შ. ორი უმაღლესი კომისიის გარდა, მესამე კომისიის ახალგაზრდები ჩაერთნენ საქმეში და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ. ყოველი სეზონის დასაწყისში ჩვენ მათ ნათლად ვეუბნებით: „ეს არის ნებაყოფლობითი სამუშო, ანონიმურია და თქვენ ნახავთ ყველაზე ცუდ ფილმებს“. ამ დილით ემანუელმა მომწერა: „ამდენი ინდური ფილმი ერთად ერთ DVD-ზე, თანაც საყურებლად შეუძლებელი. ამდენი ხანი რომ არ ვიყო კომისიის წევრი, ამას დამამცირებლად მივიღებდი. კინო უნდა გიყვარდეს, რომ ეს აიტანო.

საღამოს, 21:07 სთ (მეილები და მესიჯები ამიერიდან იძლევა საშუალებას გქონდეს არქივი, რომელიც ნაპოლეონის დროის დიპლომატიური დოკუმენტების მსგავსად შენახვას იმსახურებს): მადს მიკელსენი მიდასტურებს ჟიურიში ყოფნის სურვილს: „ეს იქნება 12 ჯადოსნური დღე!“ უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ ბორტზეა არაჩვეულებრივი მსახიობი საერთაშორისო კარიერით, პოპულარული კინოში და საავტორო კინოში, მხიარული ადამიანი. ფორესტ უითაკერისგან არაფერი ისმის.

შაბათი, 19 მარტი

დავიდ ლინჩი მორიდებით მიგზავნის ორ სიტყვას თავისი შვილის, ოსტინის ფილმზე, უნდა გაიგოს ჩემი აზრი: კარგია. თითქმის ექსპერიმენტული ნაწარმოებია, თითქმის დიალოგების გარეშე, ექსტრემალურად კარგად გადაღებული, ახლოს მდგომი თანამედროვე ხელოვნებასთან, გამოყენებულია სურათები, ნარატივი აკინძულია. კარგი და,

ამავდროულად, „ნაცრისფერი სახლი“ კანის გზაზე წესით ვერ მოხვდება. ასეთია სელექციის ცხოვრება.

ვსარგებლობ მომენტით და ცოტა ხანს ვსაუბრობ დავიდთან, რომელიც უნდა გავაწბილო. არაფერს იმჩნევს. მატყობინებს იმასაც, რომ იღებს ახალ სერიალს „თვინ პიკს“ (“Twin Peaks: The Return“): „გადაღებების 117-ე დღეზე ვართ. ძალიან ვერთობი!“ ბოლო წლებში თავი მიუძღვნა გამოფენებს, ფოტოგრაფიას, ლითოგრაფიას, მიხედა თავის ვებგვერდს („მაგრამ ადრინდელზე ნაკლებად“, – ამბობს სინანულით), ხატავს, ფიქრობს და მედიტირებს. კინოდან წავიდა. როდესაც ამას ვსაყვედურობ, იცინის, მაგრამ კანს არ ივიწყებს: „დავბრუნდები. საფრანგეთში კინოზე ლაპარაკი ყველაზე უკეთ იცით. იმხელა გატაცებით უდგებით. კინო საფრთხილო რამაა, შტატებში ხაზინადრების ხელშია, რომლებიც მხოლოდ თინეიჯერებს მიმართავენ და სტუდიების ძველ მაგნატებს დიდ ჰუმანისტ ინტელექტუალებად ასაღებენ“.

მახსოვს, ერთ საღამოს, როცა სენ-ჟერმენ-დე-პრეს ერთ-ერთი კაფეს ტერასაზე ვისხედით, მითხრა: „როცა კინო მოკვდება, საფრანგეთი იქნება ბოლო ქვეყანა, რომელსაც უკანასკნელ ამოსუნთქვას მიუძღვნის“. უცნაურია ამაზე ფიქრი დღეს, როცა ლუი ლუმიერის აპარატის სახელურის პირველი გადატრიალების თარიღია. მისი სინემატოგრაფით, 1895 წლის 19 მარტს მან გადაიღო ქარხნიდან გასვლა, გადაიღო ხელოსანი ქალები და კაცები. მონპლეზირის ხალხი. მაშინ ტრადიცია იყო იმავეს გაკეთება. დილიდან საღამომდე, ყოველ 15 წუთში (გასვლა არ აჭარბებს 120 წამს), ვატრიალებთ ლუმიერის ფილმის რიმეიკს, 2016 წლის ლიონელი ხალხით. ოჯახები, ბავშვები, ახალგაზრდები, მოხუცები, მარტოხელები, ტუჩებში კოცნა, ველოსიპედით აკრობატობა, შესრულებული კასკადები, თითოეული ამტკიცებს საკუთარ გამომგონებლობას, რათა დატოვოს კვალი პირველი ფილმის ამ ქუჩაზე, რომელსაც მათს გულებში თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული.

საღამოს გავრბივარ ლანსლბურგში მონ-სენის გზაზე, რომელსაც ოდესღაც იტალიაში წასასვლელად ვირჩევდით, სუზის ხეობის გავლით, ფრეჟუს გვირაბის აშენებამდე, მაშინ, როდესაც დრო ყველას ჰქონდა. იქ

ლორან ჟერა ყოველწლიურად მართავს სიმღერის, თეატრისა და სპექ-ტაკლების ფესტივალს. გუშინ საღამოს, ივ ბრენონი, მთის მთხრობელი, ავიდა სცენაზე მევიოლინე სონია ბუვიესთან ერთად. ამ საღამოს პიერ პერეა, რომელსაც არ გავაცდენ არაფრის გამო. ლორანმა მას საიდუმ-ლოდ სთხოვა შეასრულოს „მარსელი“, სიმღერა, რომელზეც ვგიჟდები. „მთელი ნაშუადღევი ვრეპეტიციობდი ამას, წლებია აღარ შემისრულე-ბია“, – გამანდო პიერ პერემ, რომელსაც პირველად შევხვდი. ეს ტიპი „შანსონ ფრანსეზის“ გენიოსია და რამდენიმე ჩვენგანი ღიღინებს მის სიმღერებს „ჩემი ახალი მისამართი“, „შენი სააბაზანოს კარი ოდნავ ღია დარჩა“ ან „ლა კორინს“, რომელიც ჩვენი ფავორიტია.

კვირა, 20 მარტი

მორიენიდან დავბრუნდი გამთენიისას, სიამოვნებით დავრჩებო-დი, მაგრამ – გარდა იმისა, რომ ვიქტორი საავადმყოფოდან გამო-დის, უნდა შევითავსო ჩემი ბანალური როლი და ვუყურო და კიდევ ვუყურო ფილმებს. როდესაც უამრავ ფილმს უყურებ და უამრავ ცუდ ფილმსაც, „არა უშავს რა“ გადაიქცევა „სუპერად“, გიჩნდება განცდა, რომ მარგალიტი აღმოაჩინე, გზავნი, ვიდრე ამხანაგები მწარედ არ დაგიპირისპირდებიან... მათაც, თავის მხრივ, აქვთ გარკვეული აღტა-ცებული ტონი, როდესაც საუბრობენ რაღაც ფილმზე, რომელიც შენ საშუალოდ მიგაჩნია. 1800 სანახავი ფილმიდან, სტატისტიკურად, ცოტა შეცდომა მოგვდის. ბევრად მეტი მაღალი დონის ფილმია მხატვრული თვალსაზრისით, ვიდრე შეგვიძლია მივიღოთ. ოფიციალური სელექ-ცია რჩება არჩევისა და უარყოფის, მოხიბვლისა და გულგატეხილობის ნაზავად. 15 დღის წინ ჯოზეფ სედარის „ოპენჰაიმერის სტრატეგიები“ ვნახეთ. მისი ფილმი „ფეხის ანაბეჭდი“ კანის ფესტივალზე ჯილდოს მფლობელი გახდა. რიჩარდ გირმა, რომელიც მთავარ როლშია (გან-საცვიფრებელია – აი, ამერიკული კინოს კიდევ ერთი ენიგმა, რიჩარდ გირი), დამირეკა, რომ გაერკვია, უნდა აჩქარდნენ თუ არა, აქვს თუ არა ფილმს შანსი, აირჩიონ სელექციის დროს. ეს არის ზრდილობიანი კაცი, მეგობრულიც კი, რომელსაც არ გინდა იმედი გაუცრუო, იმდე-

ნად ჩართულია თავის პროექტებში. არაა ადვილი ასეთი საუბრები.

მეილებსა და მესიჯებში ვიხრჩობი. სიგიჟეა, რამდენს მუშაობს ხალხი, კვირის დღეებში, შაბათ-კვირას და დასვენების დღეებშიც. ვაგრძელებ მათთან საუბრებს, რომლებიც ხანგრძლივია, კომპლექსური და ხშირად ნაყოფიერი, მაშინაც კი, როდესაც კრახით მთავრდება. ზოგიერთთან წელზე მეტია არ მისაუბრია და არ შევხვედრივარ. გულწრფელი სამსახურებრივი, მაგრამ ეფემერული მეგობრობა გვაკავშირებს. ხშირად საუბარი ასე იწყება: „იცი, რაზე გირეკავ?“ კი, ვიცი. მოლაპარაკებები, აღფრთოვანება, გაბუტვა, კამათი. მართებული გადაწყვეტილება უნდა მიიღო.

ყოველთვის მოინახება დრო ფესტივალის შემდეგ, რომ ერთად სასაუზმოდ გავიდეთ. და მომდევნო წელს ისევ თავიდან დავიწყოთ ყველაფერი.

ორშაბათი, 21 მარტი

შუადღისას უკვე ნანახი მქონდა სამი ფილმი. დიდი ხანია, ასეთი კარგი ამინდი არ ყოფილა. სპრინტით ვკვეთ სენას ალმას ხიდზე, „ათენე პლაზაში“ ჰარვი ვაინშტაინს ვხვდები მის წლევანდელ ფილმებზე სასაუბროდ. უცნაური და მხიარული გერმანული ფილმის ოც წუთს ვუყურე და დარბაზი დავტოვე. სიამოვნებით დავრჩებოდი.

ჰარვის 2001 წელს ჰოლივუდში შევხვდი, როცა იქ კანის გამო პირველად ჩავედი, ჟილის სურვილით. ამაზე უკვე ვწერდი. მაშინ, მოხიბლული და დამორცხვებული, სტუდიის ყველა უფროსს, აგენტს, ასევე შონ პენსა და მის პროდიუსერს, მაიკლ ფიცჯერალდს შევხვდი: ნანახი მქონდა „დაპირება“, „ჩაინიზ თეატრში“ ჰოლივუდ ბულვარზე. ჰარვი ვაინშტაინმა მიმიღო „პენინსულა ჰოტელის“ ლუქს ნაწილში. ლეგენდის წინაშე ვიყავი. თავის ძმა ბობთან ერთად მან დააარსა ცეცხლოვანი სტილის „მირამაქსი“, რომელიც დამოუკიდებელი კინოს დიდ ნაწილს აწარმოებდა და ავრცელებდა. მაგალითად, სანდენსში ნაჩვენებ ფილმებს, ტარანტინოს ფილმებს, განსაკუთრებით, პალმის მფლობელ „მაკულატურას“, რითაც დამტკიცდა მისი მსოფლიო წარმატება. ჰარვი

ამერიკისთვის ყიდულობდა ბევრ უცხოურ ფილმსაც, მაგრამ აქ გამოხმაურებები ზოგჯერ თავშეკავებული იყო. ბერტრან ტავერნიე, რომლის „დ'არტანიანის ქალიშვილი" გამოუშვა „მირამაქსმა", კარგად არ იგონებს ამ ამბავს: „თავს ვგრძნობდი, როგორც ინდიელი რეზერვაციაში". ბევრ სტატიასა და წიგნშია აღწერილი ყველანაირი ექსცესი, რასაც ჰარვი ვაინშტაინი ეძლეოდა ხოლმე. არ ვაპირებდი თავის ჭკვიანად მოჩვენებას, როდესაც მის აპარტამენტში წამიყვანეს. მაშინ ის თავისი შესაძლებლობების მწვერვალზე იყო, ჰგავდა ფატი არბაკლისა და ჰარი კოჰნის ნაზავს, სავსე იყო ირონიითა და მუქარით („ნება მომეცით გითხრათ, ვერ ვიტან კანს, ბერლინი მიყვარს") და, იმავდროულად, კინომოყვარული, უცხოური კინოს დიდი მცოდნე, განსაკუთრებით აზიური ფილმებისა. ვიგრძენი, რომ სურდა ლა კრუაზეტს მოსწონებოდა. ჩემთვის ვფიქრობდი, რომ საეჭვო რეპუტაცია ჰქონდა, მაგრამ კალიგულამდე მაინც აკლდა. ზემოდან გადმომხედა და გამომიწვია, რადგან ახალმოსული ვიყავი. ნეტავ, თუ შევძლებდი გამეკვირვებინა და ფესტივალზე წამეყვანა?! სწორედ ასე მოვიქეცი მომდევნო წელს, საფეხურების ლეგენდარული და საშინელი ავლის ცერემონიაზე, „ნიუ-იორკის განგსტერების" 20-წუთიანი ტიზერის გულისთვის. მისაყვედურეს ეს კეთილი ჟესტი ამერიკელის მიმართ, „რომელიც ჩამოვიდა და წითელხალიჩიანი კიბე ჩახერგა საკუთარი ძლიერებით" და ა.შ., მაგრამ ეს იყო კარგად გათვლილი სტრატეგიის ნაწილი. თუ კანის ფესტივალს უნდა სახის შენარჩუნება, მან ამერიკელებსაც უნდა უმასპინძლოს.

15 წლის შემდეგ ვხვდები ჰარვის, პირადად მას, ხელში ტელეფონიანი ასისტენტებით გარშემორტყმულს. სამი დღის გაუპარსავია, ოდნავ გამხდარი, მეტად კეთილგანწყობილი. წლებთან ერთად თავისი ერთგულება დაამტკიცა, თუმცა ის ტიპი არაა, სასიხარულო განწყობა დიდხანს გამოხატოს (მისი ძმა ბობი კიდევ უფრო უხეშია: როცა მადლობა გადამიხადა „ცოდვის ქალაქის" სელექციისთვის 2005-ში, ასე მეგონა, მლანძღავდა!). პარიზში ჩამოსვლისას ჰარვი ყოველთვის მეხმიანება, განსაკუთრებით, თუ საკუთარი თვითმფრინავიდან ბურჟეში ღამის 10 საათზე გადმოდის და უნდა რესტორანში შემომიერ-

თდეს. მხოლოდ დიდ სასტუმროებს სტუმრობს და მის გვერდით ათას ცნობილ სახეს ნახავთ. სელექციის მოახლოების კვალდაკვალ ბევრს ვსაუბრობთ ხოლმე.

„წელს არ ვარ ძალიან მდიდარი, მხოლოდ „ქვის ხელები“, დე ნიროსა და ედგარ რამირესის ფილმი მაქვს“. ფაქტობრივად, „ქვის ხელები“ (თითქმის მესამე მსოფლიოს მსოფლმხედველობის ფილმია, პანამელ მოკრივე რობერტ დურანზე) გადაიღო ჯონათან იაკუბოვიჩმა, ახალგაზრდა ვენესუელელმა რეჟისორმა.

„ბობი მაგარია არა?“ რეალურად, დე ნირო დიადი დღეების დასასრულს მიუახლოვდა. გულში ჩამწვდომია ფაქტი, რომ ახლა იმ ასაკშია და ისე გამოიყურება, როგორც მოხუცი ნუდლსი ფილმში „ერთხელ ამერიკაში“... მაგრამ მაკიაჟის გარეშე. კონკურსგარეშე ადგილები შეზღუდულია, ვთავაზობ შუაღამის სეანსს, რომელზეც უარს ამბობს: „კაი რა, მოდი ვცადოთ, კარგი შეთანხმება ვცადოთ“. ვპირდები, რომ მოვიფიქრებ და ვუტოვებ რამდენიმე დღეს, რომ ჩვენ გვერდით აუცილებლად იყვნენ ბობი, ედგარი და რობერტო დურანი, გასაოცარი პერსონაჟი. „რა თქმა უნდა ჩამოვლენ. აშერ რეიმონდიც კი იქნება, რომელიც შუგარ რეი ლეონარდს თამაშობს. წარმოგიდგენია? აშერ რეიმონდი, მუსიკოსი, სიგიჟე იქნება“. მგონი, უნდა ვიცოდე ვინაა აშერ რეიმონდი, მაგრამ ვერ ვბედავ ვკითხო – სპრინგსტინის მანიაკი ფანი ვარ.

მისი საქმიანობით ვინტერესდები. ამბობენ, „ვაინშტაინ კომპანის“ საქმე კარგად არ მისდისო. ამაზე იცინის. „იცი, რამდენჯერ გაავრცელეს ჩემი გარდაცვალების ამბავი? მნიშვნელობა მხოლოდ კატალოგს აქვს. „მირამაქსთან“ ერთად, რომელიც ავაგე, ისევ ძალიან დიდი ფული ღირს. აი ნახე, კიდევ ახალ ხელში გადავიდა, ამჯერად შეიძინა ფეხბურთის გუნდის მეპატრონემ პარიზში. კი, კატალოგი მნიშვნელოვანია, და „ვაინშტაინის კომპანიას“ ძვირფასი მემკვიდრეობა აქვს“. მეუბნება, რომ ერთი გადასარევი ავსტრალიური ფილმი აქვს, რომლის დასრულებას ბევრი აკლია. მეკითხება მინიშნებებს: „კაი რამეებზე, რაც უკვე გაქვს ფესტივალზე, რომელი ფილმის ყიდვა შემიძლია, რას მირჩევ“.

„ბოლო კითხვა, – მეუბნება დამშვიდობებისას, – მართალია, რომ ლამის წახვედი?“ ძლივს ვასწრებ მოყოლას, რომ აგრძელებს: „არ წახვიდე. მაგრამ გამოიყენე შესაძლებლობა და კიდევ გააკეთე რამე კანთან ერთად, უამრავი მილიარდერია, ვისაც უყვარს ხელოვნება და ენდომება შენნაირი ტიპის ყოლა. კურატორი გახდებოდი, ან რა ვიცი კიდევ რა, დიდ მუზეუმებში. შემიძლია დაგეხმარო, თუ გინდა. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, გამოიყენე შემთხვევა და დააწინაურებინე შენი თავი კანში? არა? შტერი ხარ. კარგი, სთხოვე იმის საშუალება მაინც მოგცენ, რომ რამე სხვაც აკეთო. უნდა გაზარდო ნაყოფიერება“. – უკვე ვაკეთებ სხვა რამესაც, ლიონში. – აჰ, კი. მართალია. კვენტინის წელი გადასარევი იყო ლიონში. და ოქტომბერში ვბრუნდები!“

მხოლოდ რამდენიმე საათია, რაც აქაა. ჩემი წასვლის დრო მოვიდა. ისევ უნდა გავიდე ქარში და კინოდარბაზში უნდა დავბრუნდე.

„რა უნდა ნახო?“ – მეკითხება სასხვათაშორისოდ. – ოთხი ფრანგული ფილმი, საღამომდე. „გამოეთრიე ზოგჯერ კინოჩვენების დარბაზიდან და მიხედე შენს შვილებს“, – მეუბნება ჰარვი, რომელიც გამხიარულდა, რომ ველოსიპედით მივდივარ.

როდესაც დარბაზში საღამოს ფრანგული ფილმებისთვის დავბრუნდი, უცხოური კომისიის წევრებს შევხვდი. „გერმანულ ფილმს ბოლომდე ვუყურეთ. მაგარია. ხვალ შენც უყურე“.

სამშაბათი, 22 მარტი

დილაუთენია თავიდან ვუყურებ გერმანულ ფილმს – „ტონი ერდმანი“. მოკრძალებულად ექსცენტრიკული პერსონაჟის სახელია. ის გაყრილია, ძალაუფლებისა და ფულის სამყაროში ხელმოცარული საქმოსანი ქალის მამაა. ქალი ასეთი ცხოვრებით ბედნიერი არაა. ის იცავს ქალიშვილს მოუქნელი სიყვარულით, უწმაწური ანეგკდოტებით და დაუმარცხებელი ფილოსოფიით, რომელიც აქვს ხალხს, ვინც წამგებიან სიტუაციაშია. საკმაოდ გრძელი ფილმია (ანუ ცოტა ზედმეტად), თავიდან არაფერ ნაცნობს არ ჰგავს, გარდა გადაღებისა, რომელიც თითქოს ენათესავება ერთ გერმანულ ტელეფილმის, მაგრამ

ნელ-ნელა მიზანსცენა დამაჯერებელი ხდება და მონათხრობი გაცნობიერებული. კინოა ჟანრულად ყოველ მომენტში: მარენ ადე, რეჟისორი, რქებით ცდილობს და სიზუსტით ახერხებს გვერდი აუაროს კლასიკური ნარატივის კოდექსებს, რათა გადმოგვცეს ექსტრემალურად ორიგინალური და სასაცილო რამ. მარტო ვიყავი და მაინც ვიცინოდი ამ კაცის ხუმრობებზე, ასევე ვტიროდი ამაღელვებელ დასასრულზე: ახალგაზრდა ქალი მკლავებს ხვევს უზარმაზარ გორილას, თავის მამას, რომელსაც უნდოდა ის უკანასკნელად გაეცინებინა, სანამ ეტყოდა: „დრო ისე სწრაფად გავიდა, მახსოვს, ცოტა ხნის წინ აქ იყავი, ჩემი პატარა გოგო იყავი“.

„ლე ფიგაროს“ კინოჯგუფთან ერთად ვისაუზმე. ეს ჩვენი სარიტუალო შეხვედრაა სელექციის გამოცხადებამდე ერთი თვით ადრე. ვაცდი სხვებს უყურონ „ფულის მონსტრს“, რომლის ასლიც ლოს-ანჯელესიდან ჩამოვიდა. ფილმი უკვე შერჩეულია, მაგრამ ყველამ ყველაფერი უნდა ნახოს. ყველა თანხმდება, რომ კონკურსგარეშე ნაწილი, ფესტივალის დასაწყისში, უნაკლოა. მეც დავმშვიდდი და სტეფან უარიც, საფრანგეთის „სონი კოლამბიას“ ახალი უფროსიც: „ფულის მონსტრი“ იმავე დღეს გამოდის, რა დღესაც მისი პრეზენტაციაა დაგეგმილი (დარბაზები კმაყოფილი იქნებიან, რადგან უყვართ კანის სიახლეებთან კავშირი), მას შეუძლია დაიწყოს მუშაობა.

ფილმი, რომელსაც ველოდით, არის კრისტიან მუნჯიუს ფილმი. მან აიღო 2007 წლის „ოქროს პალმა“ ფილმისთვის „4 თვე, 3 კვირა, 2 დღე“. დღევანდელს ეწოდება „გრძნობების გადამუშავება“ და ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. აღწერილია 50 წლის ექიმის ყოველდღიურობა და მასთან გადახლართული უამრავი ამბავი. ერთი უბედური შემთხვევა მის ცხოვრებას თავდაყირა აყენებს: მისი ქალიშვილი, რომელმაც უნდა ჩააბაროს საატესტატო გამოცდა, გაუპატიურების მსხვერპლი ხდება. მამა ყველაფერს აკეთებს, რომ გოგონამ ატესტატი აიღოს და ავიწყდება საკუთარი ღირსება. ყველაფერი, რაც მანამდე უშენებია, ერთ წამში დაენგრა. „გრძნობების გადამუშავება“ განკუთვნილია უფრო სიმწიფეს მიღწეული ასაკის მაყურებლისთვის და

გვახსენებს აღმოსავლეთ ევროპის 60-იანი წლების ფილმებს. მუნჯიუ მსახიობებს მართავს და ეს აშკარად ჩანს. ვინც მას კარგად იცნობს, ყველამ იცის, რომ საშინელი პესიმისტია და ეს ამ ფილმშიც იგრძნობა. რეჟისორი რუმინულ სოციუმს აანალიზებს იმედგაცრუებულობის გამჭვირვალობით და ახალი თემით, რომელიც მამის ამაღელვებელი აღსარების ექოდ ისმის: „ჩვენმა თაობამ ყველაფერი ხელიდან გაუშვა. ვერ შევძელით ამ ქვეყნის შეცვლა. წადით, შვილებო, წადით, აღარაფერს არ უნდა ველოდოთ ამ ყველაფრისგან“. შუქი ინთება და ყველანი ერთ აზრზე ვართ: საკონკურსოა. მუნჯიუს მუდმივი მუშაობა, მისი ყოფნა საერთაშორისო კინოში, სადაც ის მნიშვნელოვანი ფიგურაა, აღფრთოვანების ღირსია. უკვე სამი რუმინული ფილმია ოფიციალურ სელექციაში (ორი კონკურსში, ერთი „განსხვავებულ ხედვაში“) და კიდევ დარჩა სანახავი ფილმები. ეს ქვეყანა კინო სასწაულია.

საღამოს, როდესაც ფრანგული კომისიის ხალხი დარბაზში მოდის, ვცვლი პროგრამას და ვთხოვ მათ, ჯერ „ტონი ერდმანი“ ნახონ. შეიძლება მართებულია, რომ მოგვეწონა, შეიძლება არა.

ოთხშაბათი, 23 მარტი

კინოდარბაზში მუშაობა ყოველი კინომოყვარულის ოცნება და ათვლის წერტილია. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მაყურებლების მიღება და ბილეთების გახევა ერთგვარი კურთხევა იყო. ალბათ ჩემს ცხოვრებას ასე დავასრულებ.

სექტემბერში ლა ფურმის და ნოემბერში ბელკურის ეროვნული სახალხო კინოს შემდეგ, ლუმიერის ინსტიტუტი დღეს მის მესამე კინოს ხსნის. გალეშკა მორავიოფი პარიზელი მეწარმე-დისტრიბუტორი-პროდიუსერი, კომპოზიტორი და მუსიკოსია; გარდა ამისა, „ფილმები საზღვრებს გარეშეს“ მფლობელი და მემკვიდრეობის DVD-ის გამომცემელია; თავადაც ენიგმატური პერსონაა, ისეთი, როგორიც ყველა პროფესიაშია, მაგრამ ჩვენსაში განსაკუთრებით; აქტიურია და იდუმალი (სხვათა შორის, არაფერი მიანიშნებს იმას, რომ რუსული ჟღერადობის ეს პატრონიმი მას ეკუთვნის და მეტიც, დარწმუნებული ვართ,

ასე არაა). წინა წელს გალეშკა მორავიოფი დავარწმუნე შეძლებისდაგვარად, რომ დაეთმო თავისი ორი ლიონური დარბაზი, „ესკ ბელანკური“ და „ესკ ტერო“, ლუმიერის ინსტიტუტისთვის. ეროვნული სახალხო კინო 70-იან წლებში ვილარის შემდეგ ესთ-ს (ეროვნული სახალხო თეატრის), მფლობელმა როჟე პლანშონმა დააარსა.

ამ ხელოვნებისა და ექსპერიმენტების ისტორიულ ტაძრებს გაქრობა ელოდა და არავინ ჩანდა, ვინც ამ საქმეს გააგრძელებდა. ბერტრან ტავერნიესთან და ინსტიტუტის გუნდთან ერთად არ ვეგუებოდით პროგნოზებს. დიდიე დიუვერჟე, ბანკირი, კიდევ რამდენიმე ლიონელი და სხვა ინვესტორიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ამის გამო. სინემათეკების ვალია, დაიცვან და შეინახონ ფილმები და არქივები. ამ დარბაზების გადარჩენით ისევე ინახავ ხალხის მეხსიერებას, როგორც კომპიუტერი ინახავს ინფორმაციას. ამასთანავე, იდეა, რომ კულტურული ასოციაცია რეალურ ეკონომიკაში დაიჭერდა ადგილს და გავლენას მოახდენდა ქალაქის ცხოვრებაზე, აღგვაგზნებდა.

საფრთხე რეალურია. როდესაც კინო ხურავს კარს და ხდება რაღაც სხვა, აღარასდროს უბრუნდება პირვანდელ სახეს. კინოს გადარჩენის მაგალითი არაერთია: ნანი მორეტი და მისი „ნუოვო საშერი“ რომში, მოკი და მისი „ბრადი“ პარიზში, ან ტარანტინო, რომელმაც გამოისყიდა „ნიუ ბევერლი“ ლოს-ანჯელესში, რამაც მოიტანა ახალი შესაძლებლობები. ამ ორი ესკ-თი და მესამე „ლა ფურმით“, ჩვენ სამი შენობა და ათი ეკრანი დაგვემატებოდა. „კომპლექსები“, ასე უწოდებდნენ ამ შენობებს 70-იან წლებში, როცა კინოდარბაზები ქალაქების დედოფლებივით იყვნენ. მარში ტრიუმფალური არ იქნება: ნაკლებად სავარაუდო შემოსავალი, სავარძლების შეზღუდული რაოდენობა, პატარა ეკრანები, ახალგაზრდა თაობები, რომლებიც მულტიპლექსებში უფრო დადიან.

ადგილები ლამაზი და გადაპრანჭულია, როგორც სასწაულებრივი ყოფნა ამ ძველი კინომოყვარულების ტაძრებისა. მათი შეძენა და რესტავრაცია უკვე თვეებია ჩვენი საუბრების თემაა. ამ ბოლო დღეებში ჟულიეტ რაჟონი ადევნებდა თვალს ბოლო ტექნიკურ ცდებს. ახალგაზრდა მეწარმე სილვი და როშა დავიქირავეთ, მასთან ერთად

მარტენ ბიდუ, რომელიც პარიზიდან მოახდენს პროგრამირებას. ამით სამუშაო ადგილები გადარჩა და თუ ლიონის რომელიმე სხვა დარბაზი ნერვიულობს ამ პროექტზე, რომ თვითონ არ დაიჩრდილოს, უჟსე (კინემატოგრაფთა გენერალური გაერთიანება) და „პატე“ კარგ პასუხს გასცემენ: „რაც მეტია დარბაზი, კინოსთვის უკეთესია“. პროექტს მხარს უჭერს გი ვერეკია, უჟესე-ს ხელმძღვანელი.

საინტერესო პროგრამა უნდა მოვახვიოთ თავს, მაგრამ ემოცია ისედაც ყველგანაა. ჩვენ ვინარჩუნებთ ამ ადგილს, რომლითაც ვტკბებოდით, როდესაც ახალგაზრდა კინომოყვარულები ვიყავით. ისინი ჩვენ გვეკუთვნის და მათი გადარჩენით ხალხია მოგებული (გადავიხდით ვალს!). ჩვენ ერთგვარად დავამტკიცეთ თეორიები ფაქტებით, თეორიები, რომელთა წამოსროლაც გვიყვარს, შესრულების გარეშე. ვგრძნობთ, რომ ბედისწერის წინაშე გავიმარჯვეთ, დროს და ფატალურობას ვაჯობეთ; თავგადასავლის ბატონ-პატრონები გავხდით უდიდესი სურვილით, რომ დიდი ევროპული ქალაქის ცენტრში გადარჩეს კომერციული წერტილები, რომელთა ფასადზეც აწერია: კინოთეატრი.

ხუთშაბათი, 24 მარტი

ცუდი ღამეა – ვერაფერი გამოვნახე, რომ ოდნავ დავმშვიდდე. ორ ბუნდოვან ძილის პერიოდს შორის ისევ ვანგარიშობ, ფილმების სიას ვუბრუნდები. კონკურსი მდიდარი იქნება „ფავორიტებით“, მაგრამ საჭიროა სიურპრიზები, და თუ ვერ ვიპოვით ამ გერმანული ფილმის მსგავს ფილმებს, ფავორიტების რიცხვი გაიზრდება. ყველაფერი ვერ ჩაეტევა. მოდი და დაიძინე ამის მერე.

ტყუილად არ მოგვწონებია: ფრანგული კომისიის წევრები ერთსულოვნად იწონებენ „ტონი ერდმანს“. დავიცადე სამი დღე, სანამ ამის შესახებ უცხოურ კომისიას ისევ დაველაპარაკებოდი. ასე ხშირად ვიქცევით, დრო გაგვყავს ცოტა, რომ დავრწმუნდეთ და ერთ მშვენიერ საღამოს ემოციებში არ ჩავიძიროთ. ეს ფილმი, მიუხედავად ხანგრძლივობისა, რომელიც ყოველთვის გამართლებული არ არის, პატარა სამკაულია და კონკურსში საოცარი იქნება. სიფრთხილის გამო, და კიდევ იმიტომ,

რომ არ მინდა რაიმე ზედმეტი აღგზნება გამოვიწვიო, ვთხოვე კრისტიანს „განსხვავებული ხედვა“ შეეთავაზებინა მარენ ადესა და მისი გაყიდვების აგენტის, მიშელ ვებერისთვის. ისინი სიხარულით დათანხმდნენ. კიდევ უფრო გაიხარებენ, როცა კონკურსზე დაველაპარაკებით.

წიგნის სალონმა, რომელიც კვირას დაიხურა, განაცხადა, რომ 15 პროცენტით იკლო ხალხის ნაკადმა. იგივე ხდება „კინოს გაზაფხულზეც“. რთულია ახსნა: ეს მომსვლელთა „ბუნებრივი“ კარგვაა, რომელიც რაღაც ასეთს ჰგავს – „კარგი ამინდი იყო, პროგრამა ნაკლებად ძლიერი“, თუ სტრუქტურული ეფექტი დიდ ივენთებზე, რასაც აჩენს მოსალოდნელი ტერორისტული აქტების შიში? ამ დილით მელანი გუდფილოუ, „სკრინდეილის“ შესანიშნავი ჟურნალისტი, კანის ჩვეული სტუმარი, ჰყვება თუ რა ზომები მიიღო ტელეპროგრამების საერთაშორისო ბაზარმა (MITPV), რომელსაც აპრილის დასაწყისში ლა კრუაზეტზე უმასპინძლებენ. აშკარაა, საკითხი მტკივნეული და პრიორიტეტული ხდება. „დიახ, წელს მოგვიწევს უსაფრთხოების თემაზე საუბარი“, – მიდასტურებს ფრანსუა დერუსო, რომელიც „პალეს“ ხალხთან ხშირად ურთიერთობს.

პარასკევი, 25 მარტი

მთელი ღამე წვიმდა. ფანჯრის რაფებზე წვიმის წვეთების ხმამ არ დამაძინა. გვიან ავდექი, დილით არაფრისთვის მიყურებია. მგონი, ვაგვიანებ. მარტის ბოლოს ვუახლოვდებით და სელექციის შემადგენლობა ისევ ბუნდოვანია. ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი გრძნობა: წინა წელს თითქმის არაფერი გვქონდა. შემიძლია მიხეილ გორბაჩოვის პერიფრაზირება, თუ ვიტყვი იმავეს სელექციაზე, რასაც ის ამბობდა ერთი სიტყვით საბჭოთა ეკონომიკაზე: „კარგი“. და ორი სიტყვით? „არა კარგი“.

ყოველთვის დგება მომენტი, როცა ვგრძნობთ საჭროებას გადავხედოთ ჩვენს სიებს, რომ უფრო უკეთ დავხვდეთ იმას, რაც წინ გველის. 25 მარტისთვის რვა ფილმია შერჩეული საკონკურსოდ:

კრისტი პუიუ (რუმინეთი)

ქსავიე დოლანი (კანადა)

შონ პენი (აშშ)
დარდენები (ბელგია)
კრისტიან მუნჯიუ (რუმინეთი)
პედრო ალმოდოვარი (ესპანეთი)
პოლ ვერჰოვენი (ჰოლანდია)
ნიკოლას უინდინგ რიეფინი (დანია)

კონკურსი საშუალოდ ოცი ფილმისგან შედგება ხოლმე. კატასტროფული შემთხვევის გარდა, 3-4 ფრანგული ფილმი იქნება, რომლებიც უკვე შემიძლია სიებში შევიტანო, ერთად 11-12 გამოდის. მენდოზაზე მოგვიწევს გადაწყვეტილების მიღება: ამ დროისთვის „განსხვავებულ ხედვაშია“, მაგრამ ბრიანტს უნდა კონკურსში დაბრუნება.

მომდევნო სამ კვირას კინოჩვენებებში გავატარებთ, დარბაზში ან სახლში. დაუსრულებელი ფილმების სიაში (რომლებიც სავარაუდოდ შემოდგომით ვენეციაში წავლენ), ორი კარგი რეჟისორია: მელ გიბსონი, კადრს მიღმა პოზიციაში დაბრუნებული, და დერეკ სიანფრანსი, „განსხვავებული ხედვის“ აღმოჩენა, ფილმით „ლურჯი ვალენტინი“. მაგრამ ველოდებით ჯეფ ნიკოლსს, მარკო ბელოკიოს, კენ ლოაშს, ტერენს მალიკს, ჯიმ ჯარმუშს, კიიოში კუროსავას: მათი სახელები გაკვირვებას არ იწვევს, მაგრამ მარტის ბოლოს იმის ცოდნა, რომ ჰორიზონტზე მოჩანან, დამამშვიდებლად მოქმედებს.

ყველაფერი, რასაც ვუყურებთ, ძალიან კარგია, ზოგჯერ ერთი თავით მაღლაა სხვებზე, როგორიცაა ეს გამამხიარულებელი კორეული ფილმი „მატარებელი ბუსანისკენ“, რეჟისორ იეონ სანგ-ჰოს ნამუშევარი. ეს „კატასტროფული ფილმი ზომბებზე“ ექსტრემალურად სახალისოა და გადასარევ შუაღამის სეანსს მოაწყობს. მარტო ჩვენ რომ ვიყოთ, პირდაპირ კონკურსში წავიდოდა, ცოტა მხიარულ ამინდს შექმნიდა. მაგრამ არა მგონია კრიტიკოსთა აკადემია ამისთვის მზად იყოს. კორეელები კანს არასდროს აცდენენ და ველით ჰონგ სანგ-სოოს, კორეელ რომერს, და კიდევ ერთ-ერთ ამომავალ ვარსკვლავს, ვინც კონკურსის კარზე აკაკუნებს – ნა ჰონგ-ჯინს, „მაძებარის“ რეჟისორს, რომელიც მივიღეთ შუაღამის ჩვენებაზე, მისი ფილმია „მკვლე-

ლიც“, რომელიც შევიდა „განსხვავებულ ხედვაში“, ხოლო ამ უიკენ-დზე ვნახავ პარკ ჩან-უოოკის ახალ ფილმს.

შაბათი, 26 მარტი

ტულინსი. ბურუსისა და მდუმარების დილა. სიცივისგან მობუზული ბუნება. ხეები, აქა-იქ, ცამდე აწვდილან. ჩქაროსნულ მატარებელში, პარიზიდან აქამდე, სამი საათი გავატარე. და აი სხვაგან ვარ. ქარისგან დაწვენილ ბალახებში, გაიშვიათებულ ტყეში, ზამთრის დასასრულს. 2000 მეტრზე მაღლა თოვლი კიდევ რამდენიმე კვირას იქნება. საათი ამ ღამით გადაიწევს. ხვალ ნაკლები დრო გვექნება ფილმების ნახვისთვის.

პრესკონფერენცია სამ კვირაშია. სელექციის მხოლოდ 25 პროცენტია გარკვეული, მაგრამ ყოველდღიურად ჩქარდება ეს პროცესი. წინა შაბათ-კვირას 17 ფილმი, თითოეული ჩვენგანი შინ 30 DVD-ით დაბრუნდა. ამ ოთახში აკოკოლავებული DVD-ების ტყვეობაში ვიქნები აღდგომის ამ გრძელ უიკენდზე, მაგრამ ეს ნიშნავს 3 დღით უფრო ნაკლებ გაწევ-გამოწევას. კარგ რიტმში ვართ, წინსვლაა საჭირო. გუშინდელი საღამოდან მოყოლებული, უკვე 5 სრული მეტრაჟი ვნახე. „შევამოწმე 6 სხვა ფილმი“. არცერთი არ ახდენს ამ პროცესში გადატრიალებას, მაგრამ უნდა იცოდე, წაჰყვე თუ არა ფილმს. ხანდახან სხვაგან გინდა წასვლა და ფილმს იძულებით სხვაგან მიჰყავხარ. მხოლოდ ლოგიკურობა. ხშირად დავცინით ფეხბურთელებს, რომლებიც პატაფიზიკოსებისთვის დამახასიათებელ ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებენ, რასაც წინასწარ ამზადებენ წვრთნის დროს, მაგალითად, „მატჩებს უნდა მიუდგე სათითაოდ და რიგრიგობით“ (ჰო, აბა როგორ?). მაგრამ არც ჩვენ ვიქცევით უკეთ: ფილმებს რიგრიგობით ვუყურებთ. აბა სხვანაირად როგორ? ვიწყებთ, აღვეგზნებით, ვჩერდებით. დარწმუნებული ხარ, რომ ესა და ეს ცნობილი ავტორი შეგვხვდებოდა და უეცრად უცნობი ამოტივტივდება. საბოლოოდ, ჩვენ კი არ ვირჩევთ ფილმებს, ფილმები გვირჩევენ ჩვენ.

სახლშიც კი, ჩვენებებს შორის დარჩენილ დროს ტელეფონით ვე-

ლაპარაკები სტეფან ლამომს, ვირჟინი აპიუს, ლუსიენ ლოჟეტს, ლორან ჟაკობს, ერიკ ლიბიოს ან პოლ გრანსარს. ასევე გიემეტ ოდისინოს, რომელიც ახალი მოსულია და მოაქვს ახლებური და სპონტანური ხედვა, ჟოელ შაპრონს, „უნიფრანსიდან“, რომელიც ჩვენი კორესპონდენტია რუსეთში და რუსულად უნაკლოდ საუბრობს. ვახსენებთ კირილ სერებრენიკოვს, თეატრის რეჟისორს („ძალიან კარგი რეჟისორია!“, – მეუბნება იზაბელ უპერი), რომელმაც წარმოგვიდგინა თავისი მეორე ფილმი, არაჩვეულებრივად ნათამაშები და გადაღებული. ფილმი რუსი და ჩვენი ახალგაზრდების უეცარი დაახლოების ამბავზეა. აპრიორი „განსხვავებული ხედვისთვისაა“, მაგრამ ფილმს ჰყავს მხარდამჭერები, რომლებსაც მისი უფრო მაღლა აწევა სურთ. მიშელ ალბერსტადტმა ეს-ესაა შეისყიდა ეს ფილმი საფრანგეთისთვის. ჟოელის აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის, რასაც ვნახავთ აღმოსავლეთ ევროპიდან ჩამოსული ნამუშევრებიდან. მიდასტურებს, რადგან ამის შესახებ ვეკითხები, რომ ანა ახმატოვას ლექსები რიტმულია.

კვირა, 27 მარტი

ადრე ვდგები. რამდენიმე კვირაა, რაც ფორმაში ვდგები – პარიზის ქუჩები ჩემი საყვარელი ველოდრომია! მაგრამ ვბრუნდები, რომ გამოვიკეტო:

„უნდა გქონდეს უზარმაზარი მარაგი ბედნიერებისა, რათა განზრახ ჩაიგდო თავი კანონგარეშე, მშვიდი, ჯანმრთელი, გაწონასწორებული ხასიათის, მოცლილობისა და ნებისყოფის მდგომარეობაში...“, – წერდა ბლეზ სანდრარი 1926 წელს, როცა თავს აიძულებდა „მორავაჟინის“ წერისთვის თავი არ დაენებებინა.

მირეკავს ინგლისელი პროდიუსერი ჯერემი ტომასი. ეს საფრანგეთსა და კანზე შეყვარებული კაცი საერთაშორისო ავტორების გვერდითაა, დიდებისა თუ მცირეების (უენდერსი, ოშიმა, ბერტოლუჩი, წლეულს კი ბუტანური ფილმითაა გატაცებული, რომლის ავტორია კიენტსე ნორბუსი, აგრეთვე „თასის“ ავტორიც, რომელიც ფაბიენ ვო-

ნიემ შემოიტანა დისტრიბუციაში) და მის კეთილ ბუნებას ვერავინ და ვერაფერი ვერ არყევს. ყოველ წელს, ლა კრუაზეტზე მოსასვლელად, ლონდონიდან მანქანით მოდის, მიტოვებული გზების გავლით. მას ხშირად თან ახლავს კრიტიკოს-რეჟისორი, მისი მასწავლებელი კოლინ მაკკაიბი. ლიონში, „ვილა ფლორენტინში“ ჩერდება, ფურვიერის კალთებზე და სადილად პასაჟში დადის, საიდანაც, ჩვეულებისამებრ, მირეკავს ხოლმე. რამდენიმე ათწლეულია, ჯერემიმ, როგორც ჭეშმარიტმა ინგლისელმა, ვინც სანახევროდ არაფერს აკეთებს, საკუთარ ჯანმრთელობას ავნო ალკოჰოლის, ნარკოტიკების მოხმარებითა და კიდევ ბევრი რამით. გულზე მხვდება, როდესაც ამაზე ყვება. ისევე, როდესაც იხსენებს თავის სახლს ავსტრალიაში, მის ცხოვრებას იამაიკაში ან მამამისს, წარმატებულ ინგლისელ კინორეჟისორს, რალფ ტომას, რომელსაც ტარანტინომ პატივი მიაგო ერთი ლამაზი კინოჩვენების დროს, მასეს პლაჟზე, კანში. ეს იყო ფილმი „მამრზე უფრო მომაკვდინებელი“.

მშვიდად მოკალათებული ჩემს ოჯახურ მცირე კინოდარბაზში, ვუყურებ „მოსამსახურეს“, პარკ ჩან-უოოკის ახალ ფილმს. „ძველი ბიჭის“ შემდეგ, რომელმაც 2004 წელს ტარანტინოს ხელით გრანპრი აიღო, პარკ ჩან-უოოკი კანის ერთ-ერთი ბარონი გახდა. სამაგიეროდ, ფრანგული „მოდერნის“ პატარა ფურცლებზე არასდროს მოხვედრილა და ალბათ ვერც ახლა შეძლებს ამას – მისი ფილმი ჩემს კოლეგებს დიდად არ მოეწონათ, თავს იკავებენ. არ ვეთანხმები: ამ ფილმმა ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, მომწონს, რომ ულტრათანამედროვეა, რომ იყენებს ციფრული ტექნიკის შესაძლებლობების მაქსიმუმს, რაც დღეისთვის შემოქმედთათვის ხელმისაწვდომია. ინოვაციები მაქსიმალურად არის გამოყენებული ამ ისტორიულ-ეროტიკულ თრილერში, რომელიც მოგვითხრობს იაპონელი ქალისა და მისი კორეელი მოსამსახურე გოგონას სასიყვარულო ამბავს. ტრანსგრესიის შარმი, სიყვარულის სიმძაფრე, სოციალური დესტრუქცია... მიუხედავად ძალაგამომცლელი დასასრულისა, ეს სასტიკი მოთხრობა, აქა-იქ სილამაზის გაელვებებით, კომპლექსური სცენარით ეშმაკურად მანიპულირებს მა-

ყურებლით და ვინც მიენდობა, შორეულ მოგზაურობაში მიჰყავს. ვეძახი სხვებს, მინდა დავარწმუნო, რომ მისი ამერიკული ფილმის, „სტოკერის გაქცევის“ შემდეგ, კარგი იქნებოდა პარკ ჩან-უოოკის დაბრუნება ლა კრუაზეტზე. ეს არც ისე ადვილია: ყველა თანხმდება, რომ ფილმი არარაობა არაა, მაგრამ მისკენ არავინ იხრება.

ათობით ფილმის და ორი წახემსების შემდეგ, თვალები ისე მიმენავლა, როგორც ცეცხლი სახლის ორივე ბუხარში. გარეთ ცხვირი არ გამიყვია, არადა, გაზაფხულია. გავდივარ, დავდივარ, წვიმს, ბუნება დუმს, სველდება. თითქოს ჩემი დღე არასდროს გათენებულა. მალე ვბრუნდები. შტრაუსის ოთხი „უკანასკნელი სიმღერიდან“ ვუსმენ ერთ-ერთს – „ძილის დროა“, ვნახავ, თუ დამაძინებს. თუ არადა, ენდი უარჰოლის „ძილი“ აქაა, 5 საათი და 20 წუთი გრძელდება. აი, რა გაძინებს ადამიანს.

ორშაბათი, 28 მარტი

შაბათ საღამოს, ჯიმ ჰარისონი გარდაიცვალა. უდიდესი მწუხარება დაატყდა თავს ყველას, ვისაც ის უყვარდა, ის და მისი ტექსტები, ჩვენს ცხოვრებას სხვაგვარ ელფერს რომ სძენს. რამდენიმე მეგობართან ერთად გვინდა მივწეროთ შვედებს, რომ ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში მას გადაეცეს! ლუმიერის ინსტიტუტში პირველად 1993 წელს მოვიდა, კრისტიან და დომენიკ ბურჟუების წყალობით, რომლებიც მას გამოჰყვნენ. ეს იქცა ტრადიციად, და ის მიეჩვია რეგულარულად დაბრუნებას, ზოგჯერ ბოლო მომენტში დამირეკავდა ხოლმე – ერთ წელიწადს, ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, კანიდან წავედი და მალევე დავბრუნდი, რომ მისი მოსვლა არ გამეცდინა. უკანასკნელი ვიზიტისას სახალხოდ ისაუბრა მექსიკელი ნარკობარონების ომზე. ეს ქვეყანა ძალიან უყვარდა. ძირითადად კი სულ ხუმრობდა, საჭმელებზე ყვებოდა, დასცინოდა ჰოლივუდს და აწითლებდა გოგონებს. ფილმში, რომელიც ბრის მეთიუსენემ მიუძღვნა, ერთ გადასარევ ამბავს ყვება: „ერთ დღეს ღმერთმა უთხრა ამერიკელებს – „ძვირად დაგისვამთ იმას, რაც თქვენ ინდიელებს დამართეთ“. რადგანაც არაფერი მოხდა, ამერიკელებმა ჰკით-

ხეს: „სასჯელი რა იყო?“ ღმერთმა მიუგო: „ტელევიზია გამოვიგონე“. სანამ ჩვენებებს დავიწყებთ, ჯიმის წიგნებს ვავლებ თვალს. თითოეული ერთ კონკრეტულ მოგონებას უკავშირდება. მისი ყველა გამოცემა მაქვს, ფრანგული, ინგლისური, ლამაზი ამერიკული, მისი მეგობრის, რასელ ჩატჰამის ილუსტრირებულიც. იშვიათები, ხელმეორედ და მესამედ გამოცემული, ორიგინალი გამოცემები, თხელყდიანები. ბევრ მათგანზე ავტორის მიძღვნაა და მახსენებს სადილს, ხელმოწერას, ვიზიტს, გასეირნებას ძველ ლიონში. მის ზოგიერთ გამოცემას გლასინის ფურცლები აქვს გადაკრული, ეს ისტორიკოსმა და მწერალმა, ფრანსის ლაკასენმა მასწავლა. მისი აზრით, ეს წიგნებს დიდ ფასეულობას სძენდა, თანამედროვე ავტორებსაც, ისევე როგორც გუსტავ ლე რუჟის შემოქმედების ნიმუშებს. ამის შემდეგ, ერთხანს, მეც დავიწყე ჩემი წიგნების გლასინის ქაღალდით დაფარვა – ჩემი თავი ბიბლიოფილად წარმომედგინა. ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, წიგნების გადაკვრა, ზედმეტად მახსენებდა სწავლის დაწყების კოშმარს. მაგრამ ფრანსისის წყალობით, რომელსაც ვერავინ შეედრება ჯეკ ლონდონსა და ბლეზ სანდრარზე საუბარში, დავიწყე წიგნების ყიდვა, ბუკინისტებთან სირბილი, იშვიათობების შეგროვება და შევადგინე ეს ბიბლიოთეკა, რომელსაც ახლა, ამ დილით ვუმზერ და რომლის გამოც კინოჩვენებებზე ვაგვიანებ.

ბევრს ვერაფერს გამოვკარი ხელი დღეს. რვა ფილმს ვუყურე თავიდან ბოლომდე, თხუთმეტიოდე მითითება მივიღე კომპიუტერით. არცერთი მდარე ფილმი, მაგრამ არცერთი საჩვენო. არაფერია საგანგაშო, ხანგრძლივი სიარული დამახასიათებელია და ვიცით, რომ არ ვართ უმწეო.

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com